ბორერი ჭეიშვილი

ცხოვრება მიდის ურეპეტიციოდ

რომანი

რედაქტორები: ელბუჯა თავბერიძე
თემურ ამყოლაძე

კრებულში შესული მოთხრობები, პირველად რომ იბეჭდება წიგნად, გვიხატავს თანამედროვე ადამიანებს, მათ სულიერ და მორალურ თვისებებს. ნაწარმოებთა გმირები ჩვენს გვერდით ცხოვრობენ, იღვწიან, უხარიათ და წუხან, ფიქრობენ მომავალზე...

წიგნში მოთხრობებთან ერთად შესულია რომანი „ცხოვრება მიდის ურეკეტიციოდ", რომელიც ადრე ცალკე წიგნად იყო გამოცემული.

ავტორისაგან

მეგობარი მყავდა, ზურიკო, დაადგა ნათელი, დიდებული პროზაიკოსი, ოღონდ არ წერდა. ერთ დღეს ახლობლებთან დარჩენილა ღამის გასათევად. კაი წიგნი გექნებათ, თუ არა, ვერ დავიძინებო, უთხოვია. მასპინძელს ჩემი რომანი გამოუტანია. დაუხედავს ყდაზე ზურიკოს და დაუწყია სიცილი, თქვენ შეგიწუხდათ გული, ხი ხი ხი ხი, ამის ავტორი, მეგობარია, ერთად ვმუშაობთ ჟურნალის რედაქციაში, ხი ხი ხი ხი, მე კაი წიგნი გთხოვეთო.

წაკითხული თუ გაქვსო-უკითხავთ.

წაკითხული არა, ისე ვიცი,

თუ არ წაგიკითხავს, საიდან.

საიდან და, ტიტიკომ მითხრაო.

ტიტიკოს თუ აქვს წაკითხულიო.

წაკითხული არც იმას აქვს, მაგრამ იცის, რასაც დაწერდა მისი თანაკლასელიო.

ამ ამბავს თვით ზურიკო მომიყვა, შენი წიგნი დავიწუნე და იმ სალამოს ბალზაკით შევიქციე თავიო.

ტრისტანიც ჩემი მეგობარია, ტიტიკოს შინაურულად ვეძახით. ჩემთან მეგობრობენ, ბალზაკს, სტენდალს, სერვანტესს და იმათნაირებს კითხულობენ, ამისთვის ხომ არ დავკარგავ მეგობრებს.

სიმართლე გითხრათ, არც მე წამიკითხავს მათი წიგნები, ჯერ არ დაუწერიათ და მიტომ.

წიგნისა და მწერლის ავკარგიანობის შემფასებელი, ახალი ენერგიის შემძენი და მასწავლებელი, მკითხველია. ოღონდ ჯერ მწერალმა უნდა წააკითხოს მკითხველს თავი, მერე უნდა ზარდოს მკითხველმა მწერალი.

ერთხელ ტიტიკომ მითხრა: მწერალს თუ სათქმელი არაფერი აქვს—გაჩუმდეს, თუ აქვს, ისე თქვას, ნუ იცრუებს. სიმართლე, სისადავე და ბუნებრივობა ნაწარმოებისთვის სამი ძირითადი პრინციპია, მწერალმა თვითონ უნდა გამოცადოს, რაც მკითხველში უნდა გამოიწვიოს.

ერთი რამე გამიმხილა კიდევ ტიტიკომ: ნაწარმოებს სამნაირად კითხულობენო, კითხულობენ და არ ესმით, კითხულობენ და ესმით, კითხულობენ და ისიც კი ესმით, რაც არ არის დაწერილიო. მეოთხენაირზე სიტყვა არ დასცდენია, სულ რომ არ კითხულობენ, იმათ რა ემართებათო.

ვწერ და მომავალშიც ისე დავწერ, როგორც ტიტიკომ დამარიგა და თუ მკითხველები ჩემს ნაწერებში იმასაც ჩაწვდებიან, რაც არ დამიწერია, ტიტიკოს გაუმარჯოს ღვერთმა.

ᲗᲝᲗᲮᲠᲝᲑᲔᲑᲘ

მხატვარი ზურა მგელიაშვილი

ასირე დუსპირალე

ლევანა ვარ, ცალქალამანიძე, ქვაციხელი კაცი. ჩემს თავზე წისქვილის დოლაბი არ მობრუნებულა, დანარჩენი ყველაფერი. იმდენ უბედურებას ვარ მოსწრებული, ათ კაცს რომ დაუნაწილო, ათივე ცალცალკე დაწყევლის გაჩენის დღეს.

მამაჩემი, ტარასი, პირველ მსოფლიო ომში გაუწვევიათ. ის რომ იქიდან დაბრუნდა, ისე დაბრუნდა თქვენი და ჩემი მტერი. მოგვიანებით ზესტაფონელ კაცს შეხვედრიან, მამაჩემთან ერთად ყოფილა მანჯურიაში. შვილს ველოდიო,—უთქვამს თურმე,—ორი თვის მაინც იქნება ახალაო, ბიჭი თუა, მამაჩემის სახელს დაარქმევდნენ, როგორც დავიბარეო. ეს ამბავი ჩამოუტანია იმ ზესტაფონელს. მეტი არაფერი გაგვიგია მამაჩემის.

ვითომ უმამობა არ მეყოფოდა, თორმეტი წლისას დედაც მომიკვდა. დასაფლავების დღეს მთელი სოფელი მპირდებოდა; უდედმამობას არ გაგრძნობიებთო, აგერ ვართო. ისინი კი იყვნენ „აგერ", მაგრამ... მას მერე დედ-მამის სულს ვიფიცებ, როცა მინდა ჩემი ნათქვამი დაიჯერონ.

არაფრად ჩავთვალე შიმშილი, სიცივე, გაჭირვება, რომ ამოვიჭერი გულში, უნდა ვისწავლოთქვა, ამოვიჭერი. ავად თუ კარგად დავამთავრე სკოლა. ერთი-ორი წელი ვიმუშავე, ფულს ვიშოვი ცოტასთქვა. არ გეტკინოთ არაფერი, რასაც ვშოულობდი, იქვე მეხარჯებოდა. ბოლოს გამოცდები ჩავაბარე ფარმაკოლოგიურ ტექნიკუმში. თან ვმუშაობდი, თან ვსწავლობდი, ალბათ ამის ბრალია, სამი წლის მერე ფარმაცევტის მაგიერ ვეტფერშალის დიპლომი რომ მომცეს. უკეთესიც იყო. ფერშლობაც შემეძლო და ფარმაცევტობაც. ჩვენს სოფელს ორივე ჭირდებოდა, მაგრამ ტექნიკუმის დამთავრებისთანავე ჯარში გამიწვიეს.

ის იყო, ჯარისკაცობას ვამთავრებდი, რომ ომი დაიწყო და პირველი დღიდანვე მოწინავეზე მოვხვდი.

ტრაბახი არ მიყვარს, მაგრამ რაც შეგვეძლო ვიბრძოდით. პირველ ხანებში მაგრად მოგვაწვა მტერი. ვტოვებდით საზღვრისპირა ქალაქებს, სოფლებს და მოწესრიგებულად ვიხევდით უკან. სიმართლე გითხრათ, მოწესრიგებული იყო თუ მოუწესრიგებელი ჩვენი უკანდახევა, კი არ ვიცი, ფარმაცევტ კაცს არც მოეთხოვება ამის ცოდნა, მაგრამ უფროსი ოფიცრებისგან გამიგონია, ასე ჰქვიაო. მოუწესრიგებლად რომ დაგვეხია უკან, არ დავმარცხდებოდით?

იმას გიყვებოდით; ერთ-ერთი უკანდახევის დროს დავიღუპე კიდეც, ბრუციანი ტყვია მომხვდა მარჯვენა ქუსლში. ტყვიას თუ არ გიმიზნებენ და ისე გხვდება, ბრუციანი ჰქვია. ჩემთვის რა მნიშვნელობა ჰქონდა, დამიზნებული ტყვია მომხვდებოდა თუ დაუმიზნებელი. მარჯვენა ქუსლში მაინც არ მომხვედროდა. ერთი სიტყვით, დავიჭერი. გავრბოდი მაინც. გაცხელდა დაჭრილი ფეხი, სისხლით გაივსო ჩექმა. შესახვევად ვის ეცალა, სანამ შევძელი, ვირბინე, მერე თბილ ბურანში შევბურბუსალდი და აღარაფერი მახსოვს...

თვალი რომ გავახილე, საწოლებით სავსე ოთახში ვიწექი. თეთრ ხალათში და ფარფლიან თეთრ ქუდში გამოწყობილი ახალგაზრდა ქალი დაგოგმანობდა საწოლებს შორის. თვალგახელილი რომ დამინახა, ჩემს საწოლთან მოცქრიალდა. რაღაც მკითხა უცხოურად. ვერაფერი გავიგეთქო, ვანიშნე მუნჯურად. ქალიშვილმა ხელი გულზე დაიდო და ხმამაღლა ჩამოკაკლა: კონ-ჩე-ტი-ნო ბო-ნი-ფა-ცი-ნო. ფარმაცევტ კაცს არ გამძნელებია იმის მიხვედრა, რომ გაცნობას მთხოვდა უცხოელი გოგო, თავისი სახელი მითხრა და ჩემსას კითხულობდა. ბიჭადბიჭი არ მოვეწონებოდი თუ რა. წამოვიწიე და ლევანა მქვია თქვა, ქართულად ვუთხარი. იცინა და იცინა გოგომ. მერე გაიმეორა, ლევანტინო, ლევანტინოო. ცალქალამანიძეთქვა, დავუმატე.

ქალი შეეცადა გვარიც გაემეორებია, რომ არაფერი გამოუვიდა, თავი დაანება, ლევანტინოო, გაიმეორა და ოთახიდან გავარდა.

ცოტა ხნის მერე ბონიფაციონო ახმახ ოფიცერს შემოუძღვა. უკან ხელშეხვეული კაცი მოესდევდა. ახმახს სკამი დაუდგეს. დაჯდა, საქაღალდე გახსნა და რაღაცა თქვა მკაცრად.

„გვარიო", — გადმოგითარგმნა დამტვრეული რუსულით ხელმტკივანმა.

დიდსანს იჯახირა ახმახმა, სანამ ჩემს გვარს ჩასწერდა.

ანკეტური მონაცემების შევსების შემდეგ მითხრეს, რომ ვარ იტალიელთა სამხედრო ტყვე და თუ რამე სარგებლობას არ მოვუტანდი იტალიის არმიას, ყოფა მეტირებოდა.

ვაი, შენს ლევანტინოს, რაღა მეშველებათქვა, ვფიქრობდი ჩემთვის.

ახმახი წამოდგა და საკმაოდ გრძელი წინადადება წყაროსავით ჩამოარაკრაკა იტალიურად.

იტალიური არ ვიცოდი და იმ წყაროს ვერც დავეწაფე.

ხელშეხვეულმა ამიხსნა:—სინიორ კაპიტანს მოცდის დრო არ აქვს და პასუხს ახლავე ელისო.

მთლად დაიბნა თქვენი ლევანტინო, ძლივს მივახვედრე თარჯიმანი, ფარმაცევტი ვარ და ცხოველების ფერშალითქვა.

ახლა ხელმტკივანმა დაიწყო იტალიური.

ახმახი კაპიტანი კმაყოფილი გავიდა.

მეორე დღეს კონჩეტინო ბონიფაციონომ რაღაც მომახარა. ვერაფერი გავიგე. ბევრი იჭიხვინა, ირბინა, იხტუნავა, მაგრამ ამაოდ. მერე, გამომყევიო, მანიშნა და გამიძღვა. თავლაში შემიყვანა თუ არა, აჟღურტულდა თავისებურად, შიგადაშიგ ლევანტინოო, იძახდა.

ფერშალ კაცს ამის მიხვედრაც არ გამჭირვებია, რომ თავლაში გამამწესეს, ცხენების მოვლა-პატრონობა და მათ ჯანმრთელობაზე ზრუნვა დამაკისრეს. ეს იყო ალბათ ჩემი ბედისწერა: ტექნიკუმის დამთავრების მერე პირველი სერიოზული პრაქტიკა იტალიელთა ცხენების თავლაში უნდა გამევლო. მომცეს საფერშლო ინსტრუმენტები და ჩამაბარეს ცხენები. ავიღე სუნთქვის მოსასმენი ხელსაწყო, დუდუკს რომ ჰგავს და ჩამოვუარე ცხენებს. სულ მალე დავხელოვნდი ჩემს საქმეში. ერთ დღეს კაპიტანმა გამომიძახა და მიბრძანა:

„ექიმები ველარ აუდიან საქმეს და მათ მიეხმარებიო".

გადმოვინაცვლე ჩემი ინსტრუმენტებით იტალიელთა საველე ჰოსპიტალში. ცხოველებზე თუ ხარ დახელოვნებული, ადამიანის მკურნალობაც არ ყოფილა ძნელი. ცოტ-ცოტა იტალიურიც ვისწავლე. დავადებდი იმ აპარატს, დუდუკს რომ ჰგავს და ასირე დუსპირალეთქვა, ვეუბნებოდი ავადმყოფ იტალიელებს, ესე იგი: ჩაისუნთქე და ამოისუნთქეთქვა. ეშმაკი ხალხი კია იტალიელები, ზოგს არაფერიც არ ტკიოდა, ავად ვარო, იჟინებდნენ. ჰოსპიტალში ყოფნა ერჩივნათ ვირისთავებს და მე რავა დავაძალებდი, გინდა თუ არა ჯანმრთელი ხართქვა, პოლიტიკური სიბეცე იქნებოდა ჩემი მხრიდან.

კონჩეტინოს ყოველდღე ვხვდებოდი. რაღაცნაირად მიღიმოდა ის მამაძაღლი. შენი სუნთქვა არ მომწონსთქვა, ვუთხარი ერთ საღამოს, როცა მთლად გავუთამამდი. დავაძვრე ის ინსტრუმენტი, დუდუკს რომ ჰგავს და დავადეეი გულზე. ასირე დუსპირალეთქვა, წავჩურჩულე, გული აღარ ჰქონდა საგულეს და მივხვდი, მკურნალობა იყო საჭირო. იმ საღამოს პირველად ვუმკურნალე სერიოზულად. მას მერე ყოველ საღამოს ვმკურნალობდი. შედეგით ორივე კმაყოფილი ვიყავით.

ჰოსპიტალი თანდათან გაივსო დაჭრილებით. ბევრისთვის გახდა საჭირო ლევანტინო. ხან აქედან მესმოდა, ლევანტინო!- ხან იქიდან. ბონიფაციოს ხმის გაგონებაზე თავს ვკარგავდი. ერთ დღეს ჩამეხუტა კონჩეტინო, ხელები მომხვია,. „ვოლე ესერე ფოტოგრაფატოო", მითხრა და სურათი გადააღებია ცალფეხა იტალიელს. მაშინაც არ მომეწონა მისი სუნთქვა, მაგრამ მკურნალობის დრო არც მე მქონდა და არც კონჩეტინოს, რადგან დაჭრილებით სავსე მანქანა მოაყენეს ჰოსპიტალს. ფრონტის ხაზი ახლოვდებოდა, გადაწყვიტეს ჰოსპიტლის ღრმა ზურგში გადატანა. საღამოსათვის ყველაფერი მზად იყო. პირველ მანქანას უნდა გავყოლოდი, მაგრამ საბჭოთა ბომბდამშენი თვითმფრინავების გამოჩენამ თავგზა აურია იტალიელებს. ღმერთს შევთხოვე: ჩვენი ყუმბარების მსხვერპლი არ გავმხდარიყავი და ტყეში ვდურთე თავი. ტყეე ფერშლისთვის ჯიღას ეცალა. კონჩეტინოზე კი დამწყდა გული.

იტალიელებისაგან სამახსოვროდ სუნთქვის მოსასმენი აპარატი, დუდუკს რომ ჰგავს, ის დამრჩა, და ორი სიტყვა, დუსირე, ასპირალე. ესე იგი, ჩაისუნთქე და ამოისუნთქე.

დავხვდი ჩვენებს თეთრ ხალათში. გამახდევინეს ხალათი და ჩამსვეს ნაუბახტში. გამყიდველი ხარ და პასუხს აგებ ქვეყნისა და ხალხის წინაშეო.

„არ ვარ გამყიდველითქვა",—ეუფიცე და ეუმტკიცე.

„აბა რა გინდოდა გერმანელებთანო".

„ჯერ ერთი, გერმანელებთან არ ვყოფილვარ, იტალიელებთან ვიყავი, მერე მეორე, დავიჭერი და გრძნობადაკარგული ამიყვანეს, მესამე, ჰიპოკრატეს ფიცი მქონდა მიღებული და ვერ ვულალატეთქვა".

„შენ თუ კაი კაცი ხარ, ქუსლში რატომ დაიჭერიო".

„საყოველთაო მიწესრიგებული უკანდახევისას დავიჭერითქვა".

„მაინცა და მაინც ქუსლშიო?!"—მეკითხება მაიორი, დაკითხვას რომ ხელმძღვანელობდა.

„თავში დაჭრილები ქე დარჩნენ იქთქვა".

„შენც გერჩია იქ დარჩენილიყავიო", — კბილებში გამოსცრა მაიორმა და ჩემი გამოკეტვა ბრძანა.

ვაი შენს ლევანტინოს, რაღა მეშველებათქვა, ვფიქრობ. ქუსლში დაჭრას მერჩივნა მთლად მომგლეჯოდა ფეხი, ცალქალამანიძე კი ვარ, გვარსაც გავამართლებდი და თავსაც. ახლა აშკარად ჩანს, უკან გაქცეულს მომარტყეს ტყვია და იმასაც აშკარად მეუბნებიან; ჯობია მომკედარიყავიო. სიკვდილს ყოველთვის მოესწრება კაცი, ჯერ იმას ვეცადოთ, იქნებ რამეში გამოვადგე ქვეყანასთქვა. არა, მოღალატე ხარ და მოგაკერებთ რაც გეკუთვნისო.

კაი ხანს ვიყავი გამოკეტილი. მერე, დროებით, ჰოსპიტალში გადამიყვანეს ფერშლად. ისევ გაჩნდა რაღაცის იმედი. დღესა და ღამეს ვასწორებდი, ძილიც დამავიწყდა.

ამასობაში დამთავრდა ომი. დავბრუნდი ქვაციხეში. სულ მეშინოდა, აგერ ახლა გამიხსენებენ ქუსლში დაჭრის ამბავს და აგერ ახლათქვა. სულ არ ჩამომყოლოდა მარჯვენა ფეხი, მერჩივნა...

რომ მეგონა ლევანტინო მთლად დაავიწყდათ თავის ფეხიანთავიანადთქვა, მაშინ დამიბარეს ერთ ალაგას, როგორ იყო ქუსლში რომ დაიჭერიო, ასე იყო და ასეთქვა, სიცილად არ ეყოთ.

ისევ დამატოვებიეს ცხრა წლის განმავლობაში უპატრონოდ მიტოვებული ეზო-გარემო და გამიშვეს შორეულში. არადა, ვფიქრობდი: შევხვდები ვიღაც ქართველ კონჩენტინოს, დავქორწინდები, ჩავყრი ვენახს, გავმართავ ახალ ოდას, ვიფარმაცევტ-ვიფერშლებ-მეთქი. სად გძინავს თურმე. ვიყვირე: ქვეყანა ჩალით ხომ არაა დახურული, ფეხით ჩავალ იქ და თვითონ იმას მოვახსენებ ყველაფერსთქვა. ჯერ, სადაც ჩვენ გიშვებთ, იქით წადი, მერე როგორც გინდაო.

ცხრა წელი გამაჭყუნიეს შორეულში. ერთი წელი მქონდა დარჩენილი, ქალალდი რომ მოვიდა,—თავისუფალი ხარო, გამამართლეს და გამომიშვეს აქით. ცხრა წელი ჯარსა და ომს მოვანდომე, ცხრა წელიც იმიტომ მომახდევინეს, ქუსლში რომ დავიჭერი და ქე დავბრუნდი ქვაციხეში, სადაც დავიბადე და გავიზარდე, სრულიად თავისუფალი, რასაც მინდა, იმას გავაკეთებ.

ფარმაცევტის სასწორზე ვწონიდი ყველაფერს, სანამ რამეს გადაეჭრიდი, კიდევ არაფერში შევცდეთქვა.

სახლი დავდგი, მთელი სოფელი მომეხმარა. მაშინაც ობოლ ლევანას მეძახდნენ, როგორც ბავშვობაში. „სადაცაა ბედი შენიო“, ამბობენ და მართალია, შევხვდი ერთ კაი გოგოს. ჩემს ქართველ კონჩეტინოს ბაბილინა ჰქვია.

ხუთ წელიწადში სამი შვილი შეგვემატა. გაივსო სახლი.

ერთ დღეს სიდედრი გავაცილე თავისსახლს. ავტობუსში რომ ჯდებოდა, ხელი დაგვიქნია, ბაბილინას შეახსენა: „დროზე უთხარი ლევანას, არ დაგავიწყდესო“.

გამოებრუნდი უკან და აღარ მოვასვენე ბაბილინა.

„რაც გაქვს სათქმელი, მითხარი ბარემთქვა“.

„რა და, ქალაქში უნდა გადავიდეთ საცხოვრებლად, ჩვენს გარდა ყველამ გამოიხედა თვალშიო“.

შინაარსობლივად შემკული და გაწყობილი რთული წინადადება დავადევნე ავტობუსს.

ომი რომ, თავისთავად, ომია, ჩემზე უკეთ იცის ვინმემ? ცხოვრებაც ომი ყოფილა, მაშინ დავრწმუნდი. მშვიდობა თუ გინდა, ცოტა რამე უნდა დათმო კაცმა. ომი მაკლდა მე? მით უმეტეს, სიდედრის გაჩაღებულ ომში (კაი ქალი იყო, ნათელი დაადგა) სიძე რას გახდება.

გავყიდე ხბოიანი ძროხა, ძროხის გამოსაზამთრებლად დადგმული ჩალის ზვინები და გავუყევი ქალაქის გზას. წელან არ გითხარით? „სადაცაა ბედი შენითქვა?!" ისე მოხდა ახლაც. სულ იაფად, რომ იტყვიან, ჩალის ფასად ვიყიდე სახლი ქუთაისში. ცოტა ხელის შეელება ჭირდებოდა, ცოტა ის, ცოტა ეს, ცოტა წყალი ჩამოდიოდა, ცოტა ის, მარა ჭერი ჰქვიოდა მაინც, რასაკვირველია.

სიდედრს შვილიშვილები მივუგზავნე, ესე იგი, ჩემი შვილები და მასაც გავაყიდიე ძროხა. იმ ფულით ხელი შევავლე სახლს და სახლიც დაემგვანა სახლს.

მაშინ ქალაქში ჩაწერაზე ამხელა ამბავი კი არ იყო. ადვილად ჩამწერეს, მაგრამ სამსახურის შოვნა გამიჭირდა. ვეტექიმი ვის უნდოდა ქალაქში. ფარმაცევტების ადგილებიც დაკავებული აღმოჩნდა. ერთი იმდენი უმუშევარი ფარმაცევტი რიგში იდგა. რიგში ჩასადგომად სად მეცალა, უფრო სწორად, ჩემი საქმე არ იცდიდა. უნდა დამეწყო მუშაობა სადმე, სადაც იქნებოდა.

მივაბიჯებ ქუჩაში, ფიქრებში ვარ გადაჩეხილი, რომ ვიღაც მელოტი კაცი ამესვეტა, მომესალმა, თან მიცინის, რახანია არ მინახავხარო. მე ვუთხარი: გაგიმარჯოს, მარა, გეშლები ვინმეში ალბათ-მეთქი. არაო, მითხრა, ლევანა არ ხარ შენო. მე კი ვარ ლევანა, მარა შენ ვინ ხარ-მეთქი. კოლა ვარ, ბიჭო, კოჩიკარიო და მხარი კინაღამ მომტეხა, იმისთანა დამკრა ბეჭზე.

მოვედი აზრზე და გადავეხვიეთ ერთმანეთს, აგერ ვცხოვრობ გორაზეო, ველარ დავეფჩხვენი ხელიდან, ამიყვანა სახლში.

ორი ფრონტავიკი რომ შეხვდება ერთმანეთს, ქე იცით, როგორ წავა საქმე, თან სადღეგრძელოებს ვაკოპიტებდით, თან ვლაპარაკობდით... მშვენიერი სახლ-კარი მოუწყვია კოლიას. ცოლშვილიც კაი ჰყავს. ქეა კუკლასავით.

„პიონერთა სასახლეში დირექტორის მოადგილე ვარ რაცხა დარგშიო“, — მითხრა.

„კაი თანამდებობა გქონია, შენ მომეხმარები თუ მომეხმარებითქვა“,

„მე რა შემიძლიაო“,—მოისაწყლა თავი.

„სამსახური მაშოვიე, მეტი არაფერი მინდა შენითქვა“.

სანამ სამ ჭიქას დალევდა, სულ იძახდა: მე რას გიშოვი, მე რა შემიძლიაო, რაცხა დირექტორის მოადგილე ვარ იმის დარგშიო. სამი ჭიქის მერე აღარ გაუდვია თავპატიჟი:

„სამსახურს როგორ არ გიშოვი, ამაზე მეტი არ უნდა მიეეხმაროთ ერთმანეთსო, ტყუილა ვარ დირექტორის მოადგილე რაცხა დარგშიო. ახლავე დავრეკავ ერთ ალაგასო“. თქვა და მეზობელთან გადავიდა ტელეფონით დასარეკად. გახარებული შემობრუნდა, „ვინ მეტყოდა უარსო. ფრონტელი ამხანაგია, ახლა ავიასახელოსნოს უფროსია, პოლკოვნიკი, ის კი არაო, მთავარი ენერგეტიკის ადგილი მაქვს, ელექტროობა თუ ესმის, ხვალვე მომიყვანეო. მე ვუთხარი, მაგ საქმის პროფესორიათქვა“.

რის პროფესორი, დენის რო მეშინია...

„შენ გაჩერდიო, — სიტყვა არ მათქმევინა — ჯერ ის უნდა იცოდე, რას ნიშნავს უფროსი ენერგეტიკი. მარტო კი არ იქნები, ოცზე მეტი ელექტრიკი გეყოლება, რომ დაგირეკავენ, აქ გეჭირდებითო, გაუშვებ ორ კაცს, მერე იქ გეჭირდებითო, კიდევ გაუშვებ ორ კაცს. ელექტრიკოსებმა თვითონ იციან თავის საქმე. გაშობ-გამოშობას რა უნდა. ერთი ტახტი თუ იქნა სადმე, წამოწექი და დაისვენე. ხელფასი კაი ყოფილა და ყველაფერი“.

სამ ჭიქაზე მეტი მეც მქონდა დალეული და კარგითქვა, დავეთანხმე.

მეორე დღეს შევედით ავიასახელოსნოს უფროსის მოსაცდელში.

„ვამ კავო“, — შეგვეკითხა ცხვირაპრეხილი კონჩეტინო.

„გენაცვალე, დალოჟიტე კამანდირუ შარაბურუ, ჩტო კოლა კოჩივარი პროსიტ პირიომო“,—უთხრა მდივანს.

„კამანდირ შარაბურა ზანიატ“, — მომდურავიეით გვესროლა ქალმა.

„ტი ტოლკო სკაჟი: კოლა კოჩიეარი, ი სრაზუ ნაიდიოტ ვრემია“, — არ მოეშვა კოლა.

მდივანი ქალი ღიმილით შეეიდა, ღიმილითეე გამობრუნდა, შებრძანდითო გვითხრა და კარი ღიად დაგვიტოვა. ნახევარი საათი ართმეედა ხელს შარაბურა კოლიას. სალამ-ქალამის მერე, ეს არისო, ჩემზე უთხრა.

„რა წოდება აქვსო“.

კოლამ, ალბათ, არ იცოდა, მე გადმომხედა.

„ეფრეიტორ, ია, მედიცინსკი სლუჟბი“,—მოვახსენე სალდათურად.

არ მოეწონა ჩემი პასუხი შარაბურას, რომ გაიგო, ტყვეედ ნამყოფი ვიყავი, მთლად გადაიფიქრა ჩემი მიღება.

„რეაბილიტაცია აქვსო“, — კოლამ.

„მაშინ მოიტანოს გამართლების ქაღალდი და შეუდგეს საქმესო“.

გავეფრინდი საბუთის ჩამოსატანად ქვაციხეში.

მეორე დღესვე დაწერეს ბრძანება ჩემი დანიშვნის თაობაზე და პირველად დავესწარი საწარმოო თათბირს შარაბურასთან.

„ახალი კაცი კი ხარ, მარა, სულ უნდა იყო მზადო“.

„მზად ვარ“-თქვა,—ვუთხარი პიონერიეით და წავედი ჩემი ადგილსამყოფელისკენ.

ორი ოთახი დამხვდა, ერთი პირადად ჩემთვის, მეორეში, უფრო ღიდი რომ იყო, რამდენიმე კაცი შემოსხდომოდა თუნუქგადაკრულ მაგიდას, ზოგი ელექტროძრავას უჩხიკინებდა. ზოგი კიდეე რას.

— თქვენი უფროსი ვიქნებითქვა,—ვუთხარი ბიჭებს. ბიჭებს ვამბობ თუ არა, ზოგი ჩემზე უფროსიც იყო.

ისე დამიწყეს თვალიერება, უცხო ხილს რომ ათვალიერებენ ბაზარში. სიცილის ხასიათზე მოვიდნენ. ვიფიქრე, შარვალი ხომ არ მაქვს ცუდად ჩატნეული წინდებშითქვა, შევამოწმე, ყველაფერი რიგზე რომ აღმომაჩნდა, უფრო ახარხარდნენ. საქმეს მიხედეთქვა, და იმ ოთახში შეეედი, მთავარ ენერგეტიკოსს რომ ეკუთვნოდა, ესე იგი, მე.

მაგიდა, სკამი და კარადა დამხვდა შიგ, ტახტი არ ჩანდა. დასადგმელი ადგილი საკმარისი იყო. მოვუხმე ჩემს ელექტრიკებს და ტახტი უნდა შეეჭედოთ, ფიცრები თუ იშოვება სადმეთქვა.

„ფიცრები ჩემზე იყოსო",—ერთმა.

„ლურსმნებს ფედიას გამოვართმევო", — მეორემ.

„ბალიშს მე მოგიტანო",—მითხრა სერიოზულად ყველაზე ხნიერმა კაცმა.

ალბათ ნამეტანი სერიოზულად რომ მითხრა, ამიტომაც აიტეხეს სიცილი.

მე ვუთხარი: ბალიშს არ დავეძებ, ტახტი იყოს და საკმარისიათქვა.

„სკრომნოსტ უკრაშაეტ ჩელოვეკაო", — ისევ იმ კაცმა თქვა სერიოზულად.

ამაზეც სიცილით დაიგუდენ ელექტრიკები. იცინონთქვა,— ვიფიქრე, სიცილს ხომ ვერ დავუშლიდი ხალხს.

მეორე დღეს ხელად გავაკეთეთ ტახტი. წამოვწექი თუ არა, დარეკა ტელეფონმა: ლევან ტარასიჩ, ამკრებ-მექანიკურში ელექტრიკი გვჭირდება, ერთიო.

ორი იყოსთქვა, და გავუგზავნე. დავაპირე წამოწოლა და ისევ გასკდა ტელეფონი. ახლა მოსამზადებელ საამქროში უჭირდათ, ორიც იქ გავაგზავნე. ერთ საათში ჩამოვარიგე ჩემი ელექტრიკები. ახლა მაინც დავისვენებთქვა, ვიფიქრე, ტახტთან ახლოს გადავდგი ტელეფონი, რომ იგრიალა რაღაცამ, დაიძრა დედამიწა. ამოდენა ხმა ომში არ გამიგონია. გრიალს ტელეფონის ზარიც მოჰყვა.

„დიდი ავარიაა და ახლავე ტრანსფორმატორების უბანთან გაჩნდიო", — მიბრძანა შარაბურამ.

„ხალხი დაგზავნილი მყავს, მობრუნდებიან და გამოვუშვებთქვა".

„ხალხი რას გაიგებს, მსხვილი სპეციალისტი გვჭირდებაო".

მსხვილი სად გავუჩინოთქვა, ვიფიქრე, მალე მივხვდი, მსხვილ სპეციალისტს ჩემი მისამართით რომ ამბობდა უფროსი. ელეთ-მელეთი მომივიდა, რაღას ვიზამდი, ავითრიე ფეხი და მივდივარ-მარა, სად, კი არ ვიცი. კოლა კოჩივარის ბრალია-

თქვა, ეფიქრობ ბრაზმორეული. ასე ვიცით გადაბრალება სხვაზე, თუ არა... რას კიდებ ისეთ საქმეს ხელს, რაც არ იცი? რომელიღაც ბრძენს უთქვამს: „რასაც ვერ მიწვდები, ხელს ნუ შეუწევო", — სწორია, რატომ უნდა დაჯდე ისეთ ალაგას, მალე რომ აგაყენებენ, რა შუაშია აქ კოლა.

„დიდი ტრანსფორმატორი დგიწვა და ვეიშველე რამეო",— შემომეხვივნენ ხელმძღვანელები, შარაბურაც ისე მიყურებდა, მსხვილ, დაბნეულ სპეციალისტს, ვითომ სასწაულმოქმედი ვიყავი, ფარშევანგის ფრთას გადავუსობდი დამწვარ-დაბუგულ ტრანსფორმატორს და გავაცოცხლებდი.

„ვნახოთ, რა მდგომარეობა გვაქვს ადგილზე-თქვა",—გავაღებინე რკინის კარი, კაცის თავის ქალა და ელვა რომ ეხატა, იმდენად დაბნეული ვიყავი, შევაბიჯე რკინის ბადეებით გადატიხრულ დერეფანში. მივდივარ მბოლავი ტრანსფორმატორისკენ, თან ხალხის ხმა მესმის: რა გაბედული კაცია, სხვები სანამ რეზინის ჩექმებს არ ჩაიცვამდნენ, ვერ შედიოდნენ შიგ, ეს, ნალიანი ბატინკებით, ნაპერწკლებს ყრის და მაინც მიდისო, იცის და რომ იცის, მიტომაც არ აქვს არაფრის შიშიო.

მათი სიტყვების შინაარსი რომ დავიდა ჩემამდე, დამასხა ოფლმა, ვიფიქრე, ჩემივე ფეხით შევსულვარ სიკვდილშითქვა. უკან მოვიხედე, უამრავი გაკვირვებული თვალი მომჩერებია. გამობრუნება შემრცხვა, ისევ წინისკენ მიბიძგა რაღაცამ, მერე შორიახლო გავჩერდი, ბევრი ვუჭვრიტინე ტრანსფორმატორს. იმას კი არ ვფიქრობდი, ტრანსფორმატორს რა ეშველებათქვა, ჩემი თავი მადარდებდა, მე რა მეშველებათქვა. მაინც კოლა მომეჩვენა დამნაშავედ და ქე შეეუკმაზე თქვენგან მოწონებული... მოვბრუნდი თვალებად ქცეული ხალხისკენ, რაც უფრო ვუახლოვდებოდი ხალხს, მით უფრო ვუმატებდი ნაბიჯს. გარეთ რომ გამოვედი, უკვე სირბილზე ვიყავი გადასული.

კამანდირის ხმა მომესმა უკნიდან.

„კუდა, ლევან ტარასიჩ!".

„ინსტრუმენტ პრენესუ",—დავუძახე უკანმოუხედავად და მოვცოცხე, რაც შემეძლო. აბლაც გავრბივარ...

მეორე დღესვე მივაკითხე კოლა კოჩივარს. შემთხვევით გადავრჩი თუ არა, ჩემს ჰანაშვიდზე მოგიწევდა მოსვლათქვა.

მოვუყევი, ასე და ასე იყოთქვა. შეწუხდა, რაღა ჯანდაბა ექნათ ახლაო. დავემშვიდობე კოლას და წამოვედი, სად მიდიხარო, მომაბრუნა, შემიყვანა პატარა ოთახში. მე სავარძელზე დამსვა, თვითონ მაგიდის კიდეზე ჩამოჯდა და ხმადაბლა მკითხა: ჩემს ადგილზე თუ იმუშავებო. მერე, შენთქვა. წასვლა მინდა მაინც, სახლთან ახლოს მეურნეობაა, იქ მინდა გადავიდეო, თუ აგრეა, ვიმუშავებ, სხვა გზა მაინც არ მაქვსთქვა. ჩემი გულისთვის არ გააკეთო ეგ საქმე თუ გიყვარდე-მეთქი, არაო,—მითხრა და შემიძღვა დირექტორთან.

დირექტორმა ისე ამათვალ-ჩამათვალიერა, მოვისინჯე, ხომ არაფერი მაქვს დარჩენილი ღიათქვა.

კოლა მორიდებულად გამოუტყდა დირექტორს, რაც გადაწყვიტა.

„შენი ძმაკაცი გვტოვებს, მაგრამ მისი შეცვლა არც ისე ადვილია. ხელფასიც პატარაა, შაბათ-კვირასაც ვმუშაობთო“,—მოშიბრუნდა დირექტორი.

„მაგისთანა სამსახური არც მე მაწყობსთქვა“, ვუთხარი, „ჩემი ვენახის პატრონს კვირაში ერთი დღე მაინც მინდა თავისუფალითქვა“..

„რავა, ვენახი გაქვს, თუო?“

„კი, ბატონო, ქვაციხეში ათასი ძირი ვენახი და ჭურ-მარანი კაი გაწყობილი მაქვსთქვა“.

„ოთხმოცი კაცი მუშაობს ჩვენთან და არცერთს არ აქვს ვენახი, ერთი კაცი ვენახიანიც გვინდაო, რა ჯიშის ვენახი გაქვსო“,—დაინტერესდა დირექტორი.

„ძირითადად ცოლიკაური“.

„კარგია, ნატურ ცოლიკაურს რა ჯობია, არაფერმა შეგაშინოს, კვირას კი ვმუშაობთ, მაგრამ ორშაბათობით ვისვენებთ,—ქოჩორი შეისწორა დირექტორმა, კი აღარაფერი ჰქონდა ზედ, მარა, მაინც,—მარტო სამნეო ნაწილის გამგედ ცოდვა იქნები, ცეცხლფარეშობასაც თუ გასწევ, ხელფასიც კაი გექნება. შარშანდელი ღვინო შემოგრჩა კიდევო?“

„შემორჩა, აბა არათქვა“.

„ჰოდა დავწეროთ ბრძანება კოლას განთავისუფლებაზე და შენს მოსვლაზეო.“

„დავწეროთთქვა“, — ერთდროულად ვთქვით მე და კოლამ.

„შაქრიან ღვინოს ხომ არ აკეთებ, შაქრიანს ვერ ვიტანო“.

„რავა გეკადრებათ, ბატონოთქვა“.

„ღვინო თუ ჩამოგაქვს ხანდახანო“.

„როცა საჭიროა, კითქვა“.

„საჭირო რავა არააო“.

„თუ აგრეა, ერთ საშუალო ჭურს უკანა ეზოში ჩავაგდებ, აქვეთქვა“.

„ეგ უნდათ ჩვენს შარაფისტ თანამშრომლებს, სამუშაო საათებშიო“.

„ჩვენი ნება არ იქნება, სამუშაო საათების მერე მოეხადოთ ხანდახანთქვა“.

„შენ რავა იმასავით ლაპარაკობ, არ გადამაფიქრებიო ბრძანების დაწერაო“, — შემომიწყრა დირექტორი.

„არა, ბატონო, მეგონა გაგიხარდებოდა, თუ არ გინდოთ, წვეთს არ ჩამოვიტან-მეთქი“.

„ვერც მასე ვიმუშავებთ ერთადო“,

„არა, ზოგიერთივით ცარიელ-ტარიელი კი არ ვიელი ამასა და იმას შუა, ფუთნახევრიანი ბაჩონკა მაქვს ერთითქვა“.

ასე დავიწყე მუშაობა პიონერთა სასახლეში.

ხელად შევეჩვიე საქმეს. ვმუშაობ დირექტორის მოადგილედ სამნეო დარგში. უფროსმა საიმედო კაცად შემიცნო და მთლად გადმომაბარა ყველაფერი, მთელი შენობა, დამლაგებლებიან, მებაღეებიან, მძღოლებიანად და კიდევაც მქონდა წესრიგი ჩემს უბანზე. თანამშრომლებიც კარგები იყვნენ, აქა-იქ მაინც ერია უბედურები და უბედურნახევრიანები. უბედურნახევრიანს როცა ვამბობ, არტურა მყავს მხედველობაში, არენშილდი, ესტონელი, გაქართველებული და გაიმასქნებული. აბა რა იქნება, ესტონელი რომ ქართულს ისწავლის. მეგრელია კიდევ ერთი, ბაღათურია, ისიც კაი ჩამოსხმაა, ხონელ რეზო ტაბიძეზე და ჩხარელ ზაურ გრიგალაშვილზე თავისთავს გრიგოლ შტეინი რომ შეარქვა, აღარაფერს ვამბობ.

„ჩვენს შარაფისტ თანამშრომლებსო“, დირექტორმა რომ ახსენა ჩემი სამსახურში მიღებისას, მერე მიეხვდი, ესენი ჰყავდა მხედველობაში. რას აკეთებენ არ იკითხავთ? სათამაშო გემებს,

თვითმფრინავებს, მანქანების მოდელებს და ღადაობენ თავისთვის. კაი ბიჭები არიან, ვენაცვალე ყველას კისერში.

მასსრობა უყვართქვა, ახლა არ გითხარით?! დარაჯი გვყავდა, მოხუცი კაცი, ილიკო, არ ასვენებდა არტურა: დირექტორთან უსახელო წერილი შემოვიდა, თურმე შენ ჭამ არწივის კვერცხებსო.

ცოცხალი კუთხე გვქონდა ეზოში, არწივის გარდა შველი გვყავდა და კურდღლები.

„არწივი არ დებს კვერცხსო", — ხმის ჩაწყვეტამდე ყვიროდა ილიკო.

„აბა წერილში რატომ წერია: არწივი კენტ რიცხვებში შეუსვენებლივ დებს კვერცხებს, მაგრამ ილიკოს რა გადაურჩება, მიდარაჯებულია და გაცივებას არ აცლისო".

ატეხდა ილიკო ისტერიკულ ყვირილს, მოვარდებოდა ჯოხის კაკუნით ჩემთან და მეხვეწებოდა:

„ლევანა, უთხარი ამ ანტიქრისტეს, რომ მამალი არწივი კვერცხს არ დებს", მერე, ვითომ კარგი საბუთი მოიმარჯვაო, მკითხა: „შენ დებ კვერცხსო".

გამიკვირდა, ეს უხერხული კითხვა რაღა მაინცდამაინც მე მომცა, სოლომონიჩიც იქ იყო,—ჩვენი სასწავლო ნაწილის გამგე, ალექსანდრე ტოგონიძეც,—ხატვის მასწავლებელი, კოტე ფარულავაც—ორკესტრის ხელმძღვანელი. არა, შენ თუ დებო,— მე ჩამაჟინდა.

„არ ვდებთქვა"—ვუთხარი.

„ისე დებს ისიც, ისე დებს ისიცო!!"—ხელს არწივისკენ იშვერდა ილიკო.

ამას საერთო სიცილი მოჰყვებოდა. დარაჯი ან არწივის მოსაკლავად გაიწევდა ან არტურასკენ. ორივე შემთხვევაში აშოშმინებდნენ, გაუგებრობას აქვს ადგილი.

„ოხერი ესტონელი, ოხერი არწივი, ოხერი კვერცხები,"— იმეორებდა გულამოვარდნილი დარაჯი.

თითქმის ყოველ დღე მეორდებოდა ერთი და იგივე. ბოლოს არტურას მობეზრდა, მაგრამ ილიკო აღარ ანებებდა თავს, როგორც კი დაინახავდა, გამოეკიდებოდა ხელჯოხის კაკუნით, ეჩხუბებოდა, მამალი არწივი კვერცხს არ დებსო.

არავინ იცის, ილიკო დარაჯი თავისი დღით მოკვდა, თუ „ოხერმა ესტონელმა“ მოუსწრაფა სიცოცხლე. ის კია, კატომ თქვა, ილიკოს ცოლმა, სიკვდილის წინ ჩემს კაცს გრძნობა დაუბრუნდა, მიმიხმო თავისთან, „მამალი არწივი კვერცხს არ დებსო“ — დამიბარა და წავიდაო.

პიონერთა სასახლის უკანა ეზოში, ჩვენი ძალებით, ერთი სრული ოთახი ავაშენეთ, გემთმოდელიზმმა და ავიამოდელიზმმა დაიდო ბინა, ესე იგი არტურამ და რეზო ტაბიძემ—შინაურობაში ლართხის რომ ვეძახდით.

სხვა საღებავი არ გექონდა და თეთრად შეეღებეთ. ამის შემდეგ „თეთრი სახლი“ დაერქვა შენობას, გაავსეს გემების და თვითმფრინავების მოდელებით და ამოისუნთქეს ნორჩმა ტექნიკოსებმა.

სამუშაო საათების ბოლოს, რატომღაც, თეთრ სახლში ვიყრიდით თავს. არტურა ფანჯრიდან გახედავდა ცას და გამოცდილი ექიმივით, ყოველთვის უტყუარ დიაგნოზს რომ სვამს, ამბობდა: ამისთანა ამინდში თითო ჭიქის დალევაა კარგიო.

„კი, ჩემო ბატონოო“, — ეთანხმებოდა ლართხი.

„თეთრი კამეჩი თუ გინახავსო“, — მეკითხება ერთხელ არტურა.

თეთრი კამეჩი მართლა არ მინახავს და, — არათქვა, — ვუთხარი.

„ისე არ მინახავს შენი მოტანილი ღვინოო“.

„ჩემს ღვინოზე არ გაქვს ნასწავლი ქართული სადღეგრძელოებითქვა?“

„არ მახსოვსო“,

„თუ არ გახსოვს, რა ვქნა ახლათქვა“,—ვუპასუხე და წასასვლელად მოვემზადე.

„დავანებოთ ყველაფერს თავი და თუ იტყვი, რა წონა ექნება იმ ქვასო“, მეკითხება არტურა და ის ქვა დამანახა, ორი დღის წინ მე რომ დავადე ყვავილების სათბურის მინას.

„რა ჭკუა აქვს მაგის წონასთქვა“.

„ჩვენს შორის ვინც ყველაზე არასწორი გამოდგება, ხუთი კაცის პურმარილი იკისროსო“.

ყველამ თავისი სავარაუდო წონა დაასახელა, მეც მოვსინჯე ქვა ხელში,—ფარმაცევტი კაცი ამაში რავა შევცდებითქვა—და დავასახელე წონა. მოპირდაპირე მხარეზე მაღაზია იყო. დავდეთ სასწორზე, არტურას ხუთი გრამი დააკლდა, ლართხიმ ამდენივე გადაამეტა. მე სამას გრამში შევცდი. მაღაზიაში შემოსული ქალი გაკვირვებით მიაჩერდა სასწორზე დადებულ რიყის ქვას, მერე სათითაოდ შეგვათვალიერა.

მინდოდა, ჯემალია გამყიდველისთვის მეკითხა, რამდენს იპარავს შენი სასწორითქვა, მაგრამ იმ ქალის მომერიდა, თანაც სამას გრამს, ცხადია, ვერ მოიპარავდა.

რესტორნის თავი მე არ მქონდა და სახლში გავაწყობინე პურ-მარილი. მეორე დღეს არტურა მაბრაზებდა, არ გეპატიება, ფარმაცევტი კაცი შეცდიო. დღეს თუ მოსინჯავ, უსათუოდ გაგიმართლებს, რო იცოდე შენო და ახლა კასრის თავზე დადებული ქვა დამანახა, იმ ქვით წინა დღეს კასრის ჩაჭედილი თავსახური მოვაძვრე.

რაღა დაგიმალოთ და სანაძლეო მიყვარს, ისევ ჩამოვწერეთ ჩვენ-ჩვენი ვარაუდი, ისევ გადავჭერით ქუჩა და ისევ ჩემთან ვიქეიფეთ.

ერთ დღეს „ფეთრ სახლში“ უნდა შევსულიყავი, შემთხვევით ქვას წავკარი ფეხი და ტკივილისგან სახე მომექცა. გამოვიდა არტურა და მეუბნება:

„მაგ ქვის წონას მაინც იტყვი ზუსტად, რომ იცოდე შენო“.

წავატანე გვერდზე გადაგორებულ ქვას ხელი. მოვსინჯე და წუთის წინ რომ კიღამ ფეხი მომტეხა, იმ ქვას რიგრიგობით ვათამაშებდით ხელში, ბოლოს გადავჭერით ქუჩა და ისევ დაღო მაღაზიაში შესულმა ხალხმა პირი, რატომ წონიან ქვასო. წონა რომ გავიგე, მეც დამრჩენია პირი ღია. იმ საღამოსაც ჩემთან მოილხინეს ბიჭებმა.

მეორე დღეს სამსახურში რომ მოვედი, ჯემალიამ დამიქნია ხელი. რა მითხრა, არ იკითხავთ?!

„რამდენი ხანია მინდა გკითხო, რატომ წონით ქვებსო. ჯერ გადმოვა არტურა და ლართხი, აწონიან, ცოტა ხნის მერე დაემატები შენ და ისევ იმ ქვას წონით, ვერ მივმხვდარვარ, რა ხდება“.

„ვერც მე ვხვდებოდი თუ არა, ორივეს დავნაყაედი შენს თვალწინთქვა“, — ვუთხარი ჯემალია გამყიდველს.

ბიჭებთან არაფერი გამიმხელია. ეზოში დიდი ქვა ვნახე, გავახვიე გაზეთში და გადავიტანე მაღაზიაში, გავიგე წონა და ჩემი აზრით, დავაგე ხაფანგი. მოვიდნენ ბიჭები, დავანახე ქვა და ახლა მე გენიძლავებითთქვა, ვუთხარი.

„მაგ ქვის წონას ზუსტად გეტყვი, რომ იცოდე შენო“, და მართლა არ ჩააჯინა გრამი-გრამში?

ლართხის არც გაუსინჯავს ქვა, არტურას ვეთანხმები ჩემო ბატონოო.

„ეს ქვაც აწონილი გაქვთ თქვე ხატგაყიდულებოთქვა“, ჩავილუღლუღე დამარცხებულმა.

ამის მერე ქვების დანახვას ვეღარ ვიტანდი, ვაგროვებდი და რიონში ვყრიდი, იმის შიშით, ეს ქვებიც აწონილი ექნებათთქვა.

ახლა პენსიონერი ვარ. გადავაბარე ყველაფერი ჩემს შემცვლელს, დავემშვიდობე თანამშრომლებს, დავუბრუნდი ქვაციხეს, ვუვლი ვენახს და ვიხსენებ ახალგაზრდობას. გასახსენებლად არ ღირს, მაგრამ, მაინც.

პენსია დამინიშნეს, შაბიამნის საყიდლად მყოფნის, სიგარეტს აღარ ვეწევი.

ამასწინათ კოლმეურნეობის თავმჯდომარემ მიწის ნაკვეთი შემომთავაზა, რამდენიც გინდა გამოგიყოფო.

„ადრე მოგეცათ, კარგი იყო, ახლა მე აღარ შემიძლია და ჩემს შვილებს მიწის ხათრით აქით ვეღარ ჩამოვიტყუებთთქვა“.

გრიგოლ შტეინს მანქანა უყიდია. გაავსებს ხანდახან ბიჭებით და ამომაკითხავენ ქვაციხეში, ვენახს დაგიბარაეთო.

რას მომატყუებენ, ბარი და თოხი უნდა არტურას და ლართხის?.. საღამომდე მადღეგრძელებენ ხან მე, ხან ჭურ-მარანს. საღამოს დამემშვიდობებიან ხატგაყიდულები, მიმატოვებენ ჭიშკართან და მიდიან.

ვრჩები ენაჩავარდნილი, გულდაწყვეტილი და გაღიზიანებული. გამოვბრუნდები, დავგნისავ ჭურისთავს, მიეუჯდები მინავლებულ ბუხარს და მანამ ჩავშტერებივარ ჩაბჟუტულ ნაკვერცხლებს, სანამ მთლად არ დაკარგავენ სითბოს და სინათლეს. ყველაფერი რომ გაციდება, ბუხარიც, სახლიც და ფიქრებიც,

რაღაცის ტკივილი ამეკვიატება, აბეზარი ფიქრივით. თითქოს არც მტკივა, მაგრამ არც მასვენებს. ტკივილის შეგრძნება ნატყვიარი ქუსლიდან იწყება და მთელ სხეულს დაიელის.

ბუხრისთავიდან, ჩუქურთმიან, ძველებურ, პატარა, ყუთს ჩამოვიღებ. შიგ ბაბუაჩემის ნაქონ, ვერცხლის ქილისთავებთან ერთად, მეცხრამეტე საუკუნის შუახანებში შედგენილი ნასყიდობის მიწმობაა, რის საფუძველზეც ჩვენი ვენახი გრიგოლ საჭავარიანისგან უყიდია ბაბუაჩემის მამას, სოფრომას. სოფრომა თურმე თავივით უფრთხილდებოდა საბუთს, მეფის რუსეთის გერბი, ორთავიანი არწივი რომ ამშვენებდა. დიდის ამბით გადმოუბარებია ბაბუაჩემისთვის და ასე მოსულა ჩემამდე. ახლა, ამ საბუთს, კი არაფერი ძალა აქვს, მაგრამ მაინც ვუტოვებ ჩემს შვილიშვილებს, ქილისთავებთან ერთად.

რაღაც კიდევ ინახება ყუთში, იმას არაეის არ დავუტოვებ, ან მე რატომ ვინახავ, მაგრამ... გერმანული ტყვიაა, იტალიელებმა რომ ამომიღეს ჭრილობიდან და კონჩეტინომ მისახსოვრა. ხშირად ვატრიალებდი ხელში. ზოგჯერ ცხოვრებაზე ხელჩაქნეულს მინატრია კიდეც: თავში ან გულში მომხვედროდა-ოქო. ახლა მაინც ასე მირჩევნია: ბუხრისთავზე ეგდოს თბილად; ვიდრე სხეულის რომელიმე ნაწილში მქონდეს გაჩხერილი და გაცივებული.

ერთ დღეს ბიჭები გავაცილე. მაშინაც გულდაწყვეტილი ავეფიცხე ბუხარს... გავხსენი ყუთი, ამოვიღე ტყვია. ხელახლა გავაჩაღე მიძინებული ბუხარი, შევუმატე შეშა, გავავარვარე კეცი და დავაგდე ის ტყვია ზედ. შურისძიება იყო, თუ რა, არ ვიცი, ასე კი მოხდა და. მივამატე შეშა, გადავრიე ბუხარი. გაბარბალდა კეცი და თითქოს გაცოცხლდა ტყვია, აჩერჩეტდა ცეცხლადქცეულ თიხაზე, დაკარგა მოხაზულობა. ცხელ კურცხალს დაემგვანა და ჩააცხვა კეცს.

ჩემი თვალით ვნახე ტყვიის ტირილი.

ახლა იმ ჩუქურთმიან ძველებურ ყუთში ვენახის ნასყიდობის მოწმობასთან და ვერცხლის ქილისთავებთან ერთად, ჩემი სამახსოვრო ტყვიის მაგიერ გადამდნარი ცივი ცრემლი ინახება—წარსულის კენტი ჭირისუფალი.

ბზა

ტერენტი წყალ-კანალ ტრესტში მუშაობდა. რა თანამდებობაზე, არავინ იცოდა. სამსახურში დიდი პორტფელით დადიოდა. მეზობლები ეკითხებოდნენ: „ტრესტში რად მუშაობ“.

— მმართველი ჩემი მოადგილეა, — გადმოყრიდა კბილებს ტერენტი და ნაბიჯს აუჩქარებდა, თითქოს ტრესტში უფროსის ყურის ასაწევად აგვიანდებაო.

— მგონი, საერთოდ არ მუშაობს, — იჭვობდა ერთი.

— მუშაობს!—ამტკიცებდა მეორე.

— მუშაობს, მარა, თვითონაც არ იცის, რად,—დაასკვნა მესამემ.

ტერენტიმ იცოდა, რაზეც მუშაობდა. ქალაქის ერთი დიდი უბანი ებარა და წყლის გადასახადის ამკრები აგენტი იყო ამ უბანში. უყაირათოდ წყლის მხარჯველების დაჯარიმებაც შეეძლო, მაგრამ მისგან განაწყენებული ჯერ არავინ ენახათ. სამაგიეროდ სახლში ფეხარეული ბრუნდებოდა.

ორი შვილი ჰყავდა. ორივენი დელაქალაქში ცხოვრობდნენ. უფროსი რევიზორი იყო, უმცროსი პროვიზორი. ხმის გამცემიც ჰყავდა სახლში — ქალბატონი ვენერა, პროვიზორის დედა, რევიზორის დედინაცვალი და ტერენტის მეორე, მაგრამ კანონიერი ცოლი. ხშირად ვენერა თბილისში იყო შვილიშვილებთან. ტრესტის აგენტი მარტო რჩებოდა სახლში. დილით წაპორტფელდებოდა, საღამოს ნასვამი ბრუნდებოდა. ცარიელ სახლში ვენერას ბუზღუნს მაინც იყო გადარჩენილი, სხვას არაფერს დაეძებდა.

წლოვანებას ჰკითხავდნენ და სამოცს ხუთი წუთი მიკლიაო, მისი პასპორტის გარდა არავინ იცოდა მართალი.

ოცი წლის იქნებოდა, სოფლიდან ზურგქარით წამოსული, წინდებში შარვალჩატნეული ტერენტი, სიმწიფის ატესტატითა და ცოდნადაკაპიწებული სურვილით მოაწვა ქალაქის კარს, გააღო, შემოვიდა შიგ და ისე მიხურა, უკან აღარ მიუხედავს. ამის მერე არც დაინტერესებულა, ის კარი საერთოდ იღებოდა თუ არა.

ტერენტი პედაგოგიურ ტექნიკუმში მოეწყო და დაეხარბა სწავლას. ქალაქის შემოსასვლელ მთავარ ქუჩაზე, კუთხის სახლში, ერთი პატარა ოთახი იქირავა. სახლის მეპატრონე ცოლ-ქმარი კარგი მოხუცები აღმოჩნდნენ, მაგრამ უფრო კარგი მათი ქალიშვილი მოეჩვენა ტერენტის და სანამ მეორე კურსის სტუდენტი გახდებოდა, სახლის მეპატრონეების სიძე გახდა.

მაშინდელი ქალაქი საჭაპანო ტრანსპორტის ქალაქი იყო, მერე და მერე შემცირდა ცხენი და ფაიტონი. ბოლოს სულ გაქრა. სამაგიეროდ შიგაწვის ძრავების თუხთუხი და ბენზინის სუნი მოძლიერდა. მანქანებს თანდათან ევიწროვათ საეტლე გზები. გაჭირდა საქმე. გახშირდა უბედური შემთხვევები. ამიტომაც ქალაქში გაჩნდა გზის პრობლემა.

ტერენტი მამის დანაბარებს იხსენებდა: „ან დიდი წყლის პირას უნდა იცხოვრო, ან დიდი გზის პირას. ან წყალს ჩაეჰყვება რამე, ან გზასო". ტერენტი, აგერ, ორმოცი წელია, დიდი გზის ნაპირას კი არა, პირდაპირ დიდ გზაზე ცხოვრობს. ჯერ არაფერი ჩამოჰყოლია გზას. იმედი კი ჰქონდა, რაღაცას აუცილებლად მოუტანდა გზა.

მოუტანა კიდეც:

ერთ საღამოს სამსახურიდან ნასვამი ბრუნდებოდა ტერენტი. მოაქნევდა პორტფელს და ზიგზაგებით ამცირებდა მანძილს. ამ დროს, ზემოდან, თეთრმცელელი ავტომანქანა ჩამორიხინდა. მოხვევა დაავიწყდა თუ მოკლეზე გადასწორება გადაწყვიტა, არავინ იცის, ეს კია, რომ სადარბაზო კარის გვერდზე იმოდენა კედელი გამოანგრია, ტერენტის სახლის კარის გაღება აღარ იყო საჭირო, ისე შეხვიდოდით მასთან.

ტერენტიმ პორტფელი ახლად გამონგრეულ კედელს იქით მოისროლა, კაბინის კარი გამოაღო, ეცა თვალებდაქაჩულ, შეშინებულ მძღოლს.

— რავა ხარ, ბიჭო, ხომ არაფერი იტკინე!

— არა, მარა, ეს სახლი ქე დაგინგრიე და...

— მაგ არაფერი, შენ იყავი კარგათ.

— გუშინდელი ღამენათევი ვარ, ჩამძინებია ეს ოხერი.

— არაფერია, შვილო, იღბალი გქონია, რომ გაიღვიძე, ბარეორი იძინებს მასე და...

— აბა მოვკოჩავ ამ მანქანას. აგური მიმქონდა ქვისლთან. აქ უფრო საჭირო შეიქნა, ვატყობ,—აგური ჩამოცალა,—ხვალ დილას ხელოსანსაც მოგიყვან ადრიანად. ახლა წავალ თუ არა, ავტოინსპექტორი მომისწრებს და გაძვირდება მარილი.

მეორე დღეს ამოაშენეს დანგრეული კედელი. აჭრელდა ფასადი ორნაირი აგურით. ხელოსანი ახალი წასული იყო. ტერენტისთან კარის მეზობელი, მარსელ ფრანგიშვილი გადაეიდა. რემონტის ხარისხს მუშტრის თვალით დაუწყო სინჯვა.

— ამას ´ არაფერი უჭირს, იმის საქმე რაეაა?

— რისი?

— იმის,—მარსელმა ცერა და საჩვენებელი თითები ისე მიუსვ-მიუსვა, მიუსვდა ტერენტი მეზობელს.

— ფული?! ფული მძღოლმა მისცა, კაცო!

— მძღოლი მისცემდა, აბა მშენბანკი არ ჩაურიცხავდა, ვიცი კარგად.

—ა ბა რის ფულს მეკითხები, შე კაცო!

— იმხელა პორტფელით დადიოდი, მეგონა რაცხა თაეშიც გქონდა, მარტო რემონტს დაჯერდი?!

— აბა?!

—ა ბა და, ერთ ათას მანეთს ისე ავაძრობდი, ვითომ არაფერი.

— მაგდენის რა დამიშავა?

— მეტს რას დაგიშავებდა, სამასვალი ჩაგიყენა ზალაში.

— ზალაში კი არა, პადიეზდში.

— დიდი შელავათი, რა მნიშვნელობა აქვს.

— აბა შემეძლო ჯიბეები ამეჭრა?!

— ჭკუა ატანე საქმეს, ჭკუა,—დაუბარა ტერენტის და კარი ისე გაიხურა, ახალი ამოშენებული კინაღამ ამოსაშენებელი შეიქნა.

— ჩაუკაკლე ყველას ყველაფერი, — ჩაილაპარაკა თავისთვის ტერენტიმ, თან გულჯიბე მოისინჯა.

მეორე დღეს სამსახურში ახალი პორტფელით მივიდა. სახლში ფხიზელი დაბრუნდა. ქუჩის მხარეს, ორივე ოთახში, დეკორაცია შეცვალა. თავისი საწოლი უკანა ოთახში გადაიტანა. „სახიფათო" კედელთან ისეთი ნივთები გაამწკრივა, ერთ დროს დიდი ფასი რომ ჰქონდა, ახლა არაფერში რყენებდა.

პირველი შემთხვევიდან თვეზე მეტი იქნებოდა გასული, რომ კედლის სიმაგრე ამჯერად გრძელმა ავტომატარებელმა მოსინჯა. ფანჯრებსშორის კედელი შეანგრია.

ტერენტი ცალწვერჩამოპარსული შევარდა ოთახში.

ავტომანქანის მძღოლი კაბინიდან ათვალიერებდა მოპირდაპირე კედელზე გამოფენილ ოჯახურ პორტრეტებს.

— მაგის ყურებას გირჩევნია, საბუთები დამიტოვო და აახვიო აქედან, სანამ ინსპექცია დაგადგებოდეს თავზე. ხვალ ათ საათზე მოდი, მოვილაპარაკოთ.

მძღოლი დაფაცურდა, ყველაფერი ისე გააკეთა, როგორც ტერენტიმ ასწავლა. მანქანა რომ წავიდა, სახლში ცნობისმოყვარე მთვარემ შემოიჭვრიტა და ტერენტის ნახევრადგაპარსულ სახეზე კმაყოფილი კაცის გამომეტყველება გამოიჭირა.

ორი-სამი თვე არ გავიდოდა, ტერენტის სახლის ფასადს რემონტი არ დასჭირვებოდა. გამოცდილ ოსტატსაც გაუჭირდებოდა დადგენა, თავდაპირველად რომელი აგურით იყო ნაშენი სახლი.

ტერენტიმ სამსახურს თავი დაანება. იქ ტყუილა დროს ფლანგვას მირჩევნია კედელ-ყურეს ვუდარაჯოო.

ერთ დღეს, ბაზრიდან დაბრუნებულს, ასეთი სურათი დახვდა: ოცი, ოცდაათი მეტრის მოცილებით, სახიფათო მოსახვევის გამაფრთხილებელი საგზაო ნიშანი დაეყენებიათ. მისი სახლის კედლის რემონტი დაეწყოთ და ავტოინსპექციის თანამშრომლის ზედამხედველობით, ფასადის გასწვრივ, რელსის ნაჭრებს ისე აბეტონებდნენ, მოტოციკლიც ვერ გაეტეოდა.

გადაირია ტერენტი.

— ჩამსვით, ბარემ, ჩემი სახლიანად კლეტკებში. სახლს თაე
დაანებე, ცენტრალურ გზას აუშნოებთ. სხვა რომ არაფერი, ათა
სი უცხოელი შემოდის ამ გზით...

— ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებაა, მოქალაქე! მ
არაფრის შეცვლა არ შემიძლია.

— ჩამოვლიან სოფლიდან და დაგვიწყებენ ჭკუის დარიგე
ბას... ამას ასე არ დავტოვებ, იქაც წავალ, რომ დამჭირდეს,-
საჩვენებელი თითი მზისკენ შემართა ტერენტიმ.

— წაბრძანდით, ბატონო—მისცა უფლება მილიციელმა.

ტყუილა აიშალა ნერვები ტერენტიმ. წინაღობა არავინ მო-
შალა. ბარეორი მანქანა დააზიანა რელსებმა. სახლი უენებე-
ლი რჩებოდა, მხოლოდ სწორად ჩაბეტონებული რკინები დაემ-
გვანა რომაულ ციფრებს. საწოლი ისევ ქუჩისპირა ოთახში
გადმოიტანა. შვეიცარული, ძველი კედლის საათი და ლიბერ-
მანების ნაქონი ძველებური პიანინო, რომლებიც რამდენჯერმ
მამასისხლად ჰქონდა შეფასებული, კვლავ უკანა ოთახში დაა
ბრუნა. მეორე წელი დაიწყო, ტყუილა იჯდა სახლში. ნერ-
ვებად გადაიქცა, ყველას ეჩხუბებოდა: წერილების დამტარე-
ბელს, პურის გამყიდველს, ტროლეიბუსის მძღოლს. მეზობ-
ლის მდგურები ხომ ხასიათს უშხამავდნენ. ქვედა მხარეზე ფან-
ჯრიდან ნახევარი ჰექტარი ცა მოჩანდა სამადლოდ და იმასაც
გასაშრობად გამოფენილი მათი იმპორტული ქვედა საცვლები
ფარავდა.

— ასე ვითარსები ყოველდღე!—ყვიროდა ტერენტი და ხელს
პირველი მოხმარების უნიკალური გამოფენისკენ იშვერდა
ნერვიულად.

ერთ საღამოს ტერენტი იწვა და ფიგურულ სრიალს უყუ-
რებდა ტელევიზორში. თვალი მიებრიცა. ის იყო ჩასთვლიმა
კიდეც, რომ ამწე კრანის ფანჯარაში შემოყოფილ ისარს, მინის
საზარელი მსხვრევის ხმა, კედლის ძაგძაგი და სიცივე შემოჰ-
ყვა.

— ა-ა-ა-ა-ა!!! — ხმამაღლა ამოიკითხა ძილგამფრთხალმა ტერენტიმ ამწე კრანის ისარზე ჩამოკიდებული ქართული ანბანის მეთაური ასო. მალე მოეგო გონს, თავი შემოდღლეზილ ფანჯარაში გაჰყო.

მძღოლი ძირს გადმოსულიყო და გაჩენის დღეს ისეთი სიტყვებით ამკობდა, მძღოლებს რომ შესწევთ ამის უნარი.

— შეეშვი ქაქანს და ახლა შიგნიდან დაათვალიერე შენი მომშვენებული საქმე,—ალაპარაკდა ფანჯარაში გაყოფილი თავი.

მძღოლმა ქუდი მოიშვლიჭა, ძირს დაახეთქა და ტერენტისთან შეიძუძგა.

— რა ეშველება ამ საქმეს!—ძლივს დააღწია თავი უშვერ სიტყვებს მძღოლმა.

— ცხრა და ცხრა, ცხრა და ცხრა, ცხრა და რვა, ათი, ათი, ათი...

— რათ უნდა, ახლა, ამას, ამდენი ვაჭრობა!—შეუწყრა ტელევიზორს ტერენტი. ფანჯარაში თავშეყოფილ ამწეს გზა გადაეკეტა, ამიტომაც სხვა მანქანების საყვირები გაეჯიბრნენ ერთმანეთს. მძღოლმა ისევ ჩაიხედა თავის ორთოგრაფიულ ლექსიკონში. ათი წუთის მერე ამწე კრანი მოაბრუნა და წაიყვანა. უკან ყვითელი მანქანა გაჰყვა, რომლის თავზეც იისფერი სინათლე ცელქობდა.

ერთი კვირის მერე სამი კაცი მოვიდა. გაჭვრიტეს და გამოჭვრიტეს გზას. ერთი რაღაცას ხაზავდა, სხვები ხელებს იქნევდნენ.

ტერენტის შეუმჩნეველი არ დარჩენია მათი ვიზიტი. შემპარავი ნაბიჯებით მიუახლოვდა მხაზველს.

— გამარჯობათ!

— გაგიმარჯოთ!

— თუ საიდუმლო არაა, რას გეგმავთ? აგერ ვცხოვრობ და მაინტერესებს, — ხელით ანიშნა სახლისკენ.

— მაქ თუ ცხოვრობთ, მაყარიჩი თქვენზეა.

— ვერ გავიგე?!

— გზას ვაფართოებთ, რომ თქვენს სახლს საფრთხე ავაცილოთ.

— კი მარა, რის ხარჯზე!

თქვენი მეზობლის სახლს ვანგრევთ,—მხაზველმა ფანქრიანი ხელით ტერენტის სახლის მოპირდაპირე, მარსელ ფრანგიშვილის სახლზე ანიშნა.

— მერე და ჩემი გულისთვის უნგრევთ იმ კაცს მამა-პაპისეულ ბუდეს?

— ჩვენ ვინ გვეკითხება, ბრძანებას ვასრულებთ.

საღამოს ტერენტი ფრანგიშვილებს ესტუმრა.

— მიწა გამხეთქოდა მერჩიენა, რომ გავიგე შენი სახლის დანგრევას აპირებენ. თუ ჩაატრიალებ ვინმეს, შეიძლება უშველო საქმეს.

— რა ვქნა, ტერენტი, მომკლა შენი საცოდაობის ყურებამ. მეც დავთანხმდი, ბინა უკვე გამომიყვეს ბალახვანში.

ტერენტიმ იმ საღამოსვე დაწერა გულისამაჩუყებელი წერილი. მეზობლების სახელით მოითხოვდა: არ დაენგრიათ ფრანგიშვილები. ოთხად გადაწერა, დაგზავნა, სადაც საჭიროდ მიიჩნია და გულისფანცქალით დაელოდა შედეგს. ბევრი ცდა არ დასჭირვებია. მალე ფრანგიშვილების სახლი თავისი ეზოთი და გარაჟით გზამ ჩაყლაპა. ტროტუარები გააფართოვეს. ახლა მანქანები ტერენტის სახლს შორიდან უვლიდნენ გვერდს.

ტერენტიმ დიდი გაჭირვებით აღიდგინა თავი ძველ სამსახურში. საღამოობით მისი პორტფელი ისევ ზიგზაგებით ბრუნდება უკან.

ძუდია თუ ბოხოხია

ძუკუ ბოდოკია და ახალი დღე ალიონზე იღვიძებდნენ. სამსახურისკენ მიმავალს მზე გზაში წამოეწეოდა ხოლმე. უსაშველოდ შორიდან გამოგზავნილ სითბოს და სინათლეს ძუკუს მისამართიც ჰქონდა.

ახლაც მხიარული იერით გამოვიდა სახლიდან. მძიმე, ნესტიანი ჰაერი რომ ჩაისუნთქა, ხასიათი წაუხდა. უმზეო დილა ფეხაკრეფით წამოეპარა. ფოლადისფერი დღე თანდათან ძალაში შედიოდა. ამ ბოლოს თითქოს გახშირდა ასეთი დღეები, უინტერესო საკითხავი წიგნივით ერთფეროვანი და ხასიათის წამხდენი. რა საყვარელი კია საავდროდ გამზადებული ცა, რუხი ფიქრების აშლა რომ იცის. არც ძუკუს უყვარდა. მიუხედავად ამისა, ასეთი დღეები მაინც თენდებოდნენ და ღამდებოდნენ. დღესაც ასეთი დღე გათენდა. უხალისოდ გაუყვა გზას ავტოვაგზლისკენ. იქ მუშაობდა დისპეტჩერად. ხელფასი არ ჰქონდა სახარბიელო, მაგრამ ცოტა სხვა რამეც იყო, მძღოლები რომ უჩურთავდნენ ჯიბეში. საღამოობით ჩაკუშნულ მანეთიანებს ქურდულად ასწორებდა და აწყობდა, თავიც შეზარებია, მაგრამ რა ექნა...

მხიარული კაცი იყო, მასხრობა უყვარდა. ერთხელ სიმთვრალეში წამოცდენია, „ეს ცხოვრება ანეკდოტიაო", მოსწონებია და მას შემდეგ სიფხიზლეშიც იმეორებდა თურმე. ანეკდოტიაო, ვინ იცის მერამდენედ გაიმეორა ახლაც სამსახურისკენ მიმავალმა და ტროტუარზე დაგდებულ თუნუქის კოლოფს, „კილკა" რომ ეწერა და ეხატა, ფეხი მოუქნია. უსიამოდ აკახაკუხდა მოწყენილი დილა. მართლაც ანეკდოტია, ოღონდ სასაცილო ცოტაა ამ ანეკდოტში, მეტი წილი სატირალია. აბა რა იქნება, ამ ქვეყნად მოსვლას არავინ გეკითხება, მოხვალ და ნიადაგ ვიღაცის წინ გაშვერილ საჩვენებელ თითს უნდა მიყვე-მოყვე. ერთ მშვენიერ დღეს, თუ ამას მშვენიერი ჰქვია, გავქრებით, წავალთ, და არც ამას გვეკითხება ვინმე, გვინდა წასვლა, არ გინდა...

რა დროს ანეკდოტია, რა დროს სიცილი ან ტირილია. ასეთი მიწიერი რაღაცეებისთვის სადღა სცალია ძუკუს. ის დრო

გაფრინდა, ყველაფერი დათმო, წარსულს ჩააბარა. ახლა სახლიდან გამოსული იმასღა ფიქრობს, საღამოს პურის გარდა რაღაც კიდევ მიიტანოს შინ. ცოტაც აღარ ჰყოფნის, უკვე შვიდი შვილის მამაა, ერთი ბანტიანი არ ურევია, სულ ბიჭებია, უფროსი ათი წლისაა, დანარჩენები წლინახევრიანი ინტერვალით ასდევნებიან ერთმანეთს. სამი სკოლაში დადის, ორი საბავშვო ბაღში, ნაბოლარები კი ჯერჯერობით ფოთოლას „ეხმარებიან" — რასაც ისინი ასველებენ, ფოთოლა აშრობს და დროც გადის. დედ-მამის ფიქრი შვილებია. თითიც არ უნდა წამოტკივდეთ. მერე ერთად რომ აკიღოთ რამდენი თითია, სათვალავი აგერევათ. იმასაც ფიქრობდნენ, ათამდე აეყვანათ ნამატი, მაგრამ ძუკუ ხუმრობდა, შეგნებულად შევჩერდი შვიდზეო, გმირობას ათი შვილის დედას აძლევენ, მამას კი არავინ ახსენებსო. მეშვიდეს ზედმეტსახელად წერტილი დაარქვეს და მიელ ქვეყანას გამოუტყდნენ, რომ ამიერიდან ძალას და ენერგიას ბიჭების აღზრდას მოახმარდნენ მხოლოდ.

ახალგაზრდობაში ძუკუ არაფერს არ იკლებდა, ქეიფი, ქალები, დროსტარება...—როცა მოისურვებდა. სიგარეტს არ ეწეოდა, არც აცვენილი ბიჭებისკენ უწევდა გული. ეს ყველაფერი ოცდახუთ წლამდე. მერე ფოთოლას შეხვდა, მერე ქორწილი, მერე თამადის სადღეგრძელო: ხუთი ქალი და ხუთი ვაჟიო. სამასი კაცის დასტური — ხუთ-ხუთიო. ნეფე-დედოფლის მორცხვობაშეზავებული ღიმილი, თანხმობად რომ მიიღო ყველამ.

იმავდღიდან შეუდგნენ სიტყვის შესრულებას. ხუთ-ხუთი არ გამოუვიდათ, მაგრამ... რაც გამოუვიდათ, ხარისხიანი.

სადღა სცალია ძუკუს ტოლებში საქეიფოდ, რომც ეცალოს, სულ სხვის ხარჯზე მაინც ვერ იქეიფებს... დროსტარება ვილას ახსოვს. ერთი კია, სიგარეტს მიეჩვია. კი არ მიეჩვია, სხვების დასანახად ეწევა, როცა მარტოა, არც ახსენდება, თუ ვინმე უყურებს, მაშინ ააბოლებს, აქაოდა, ყველაფერი როდი მივატოვე კაცურიო.

ღვთის შეწევნით, ბავშვები ჯანიანები ჰყავდა. დრო გადიოდა. შვილებთან ერთად მოთხოვნილებებიც იზრდებოდა. სახლიდან სამსახური, სამსახურიდან ბაზარი, ბაზრიდან სახლი და ისევ თავიდან. დედამიწის არ იყოს, ძუკუც ბრუნავს, ოღონდ

დედამიწა ბრუნავს თავისი ღერძისა და მზის გარშემო. ბუკუ რახან დედამიწის ბინადარია, ბრუნავს ორივეს გარშემო და თავისი ოჯახის გარშემოც. ოჯახის გარშემო ტრიალი უჭირს თუ არა, ღერძისა და მზის გარშემო ისე ბრუნავს, ვერც გებულობს.

— რა ღირს ვაშლი? — შეევაჭრა ერთ დღეს ბაზარში გორელს.

— ორი მაანთი!

— სამოც კაპიკად არ გაყიდი?

— არც ასსამოც კაპიკადა, — სიცილის ხასიათზე მოვიდა გორელი.

— ორსაც მოგცემდი, მაგრამ შვიდი შვილი მყავს და არ მყოფნის, ეს ოხერი.

— დაელოცა ღმერთს სამართალი, შენთვისა შვიდი მოუცია, მე კიდევა სულ არა მყავ.

— მაგიტომ გეუბნები, მომეცი ეგ ვაშლი სამოც კაპიკად, ყველას წავიღებ, შენც დაბრუნდები სახლში, ის შვიდი შვილი ჰაერზე კი არ მოსულა, არ ვცილდებოდი ჩემს ფოთოლას. მე რომ გორში ჩამოვსულიყავი კვერცხების გასაყიდად, შენსავით ყიქნებოდი მეც. აღარ უნდა ახლა მაგას ფიქრი, სამოც კაპიკს გაძლევ და მიხედე საქმეს, რა დროს ვაშლია. რა გქვია გორელო?

— ვალიკო!

— ჰოდა, წავიღებ ამ ვაშლს, ღამეებს რომ უთევ და ცდები ტყუილა.

— ჯანიც გავარდეს, მაიტა ბადურა,—გორელი ფაცა-ფუცით წონიდა ვაშლს, გაავსო ხელჩანთაც, ბადურაც, კიდევ დარჩა ერთი იმდენი.

— აგერ ვცხოვრობ, ორ ნაბიჯზე, მივიტან სახლში და ხუთ წუთში მოვბრუნდები. ვაშლი არ გამიყიდო, ვალიკო, იცოდე!

— მალე, მალე, ბევრსაც ვეღარ დავიცდი, კაცო!

ბუკუ მართლაც მალე დაბრუნდა, ვალიკოს ერთი ქალი ევაჭრებოდა, სულ წავიღებ, მანეთნახევრად მომეციო.

— არ იყიდება, გენაცვალე, არ გესმის?!

— აბა რა ჯანდაბას უდგეხარ აქ?!

—ერთმა კაცმა იყიდა, შვიდი შვილი ჰყოლია, სუ ვაშლიჭამია ბიჭები.

— აწონე, აწონე,—შორიდანვე მიაძახა ძუკუმ.

— აგე, მოვიდა,—გაიხარა გორელმა, ვაშლები ძუკუს ხელჩანთაში გადააწყო. ძუკუმ ფული გადაიხადა, ორი ვაშლი ველარსად ჩაატია, იქვე შეჭამა და ვალიკოს წამოეწია, რომელსაც სასწორი უკვე ჩაებარებინა.

— ავტოსადგურში ბილეთი თუ არ იქნა, კუკურა იკითხე ჩემი სახელით, ძუკუმ შემოგეხვეწათქვა, რაღაცას მოგიხერხებს, ჯერჯერობით ვაშლს თავი დაანებე.

ბაზრიდან მიმავალ ბუკუს ბიჭები ქუჩაში ეგებებოდნენ. მამა მოვიდაო კი არა, ვაშლი მოვიდაო, ატეხდნენ ყვირილს და მეცეცხლური მეზობლების გარდა სხვებიც გებულობდნენ, იმ დღეს რით იყო მობაზრებული ძუკუ. მთელ შესახვევს ესმოდა საღამოობით: საზამთრო მოვიდა, კვახი მოვიდა, კვერცხები მოვიდაო. ზოგჯერ ამასაც იძახდნენ, მამა მოვიდაო. მამა რომ სახლში ბრუნდება, რა ჯობია, მაგრამ ბიჭების შეძახილს მაინცა და მაინც მაშინ აკლდა აღმაფრენა. ასეთ დღეებში ძუკუს ბადურა ჯიბით ბრუნდებოდა სახლში, როგორც დილით მიჰქონდა, ისე. მიზეზი ყოველთვის იყო.

მიჯახირობდა წუთისოფელი ასე და ამგვარად. ბრუნავდა დედამიწა და ბრუალობდა ძუკუც. ერთი უხაროდა, ბიჭებმა გაუმართლა, კარგად სწავლობდნენ. დაამთავრა უფროსმა და იმ წელსვე მოეწყო საინჟინროზე თბილისში. მამიდაშვილთან მიიყვანა, ამ ერთს მიმიხედეთ თუ არა, სხვები დამრჩება გზაშიო. მეორე წელს იმის მიმყოლი დაჯდა უნივერსიტეტში. ის მეორე ბიძაშვილს ჩააბარა სულივით. მესამე წელს მიმყოლის მიმყოლმა ქიმიას შეუბერა, გადარია გამომცდელები. დაიღალა ძუკუ ამასა და იმას შუა სიარულით, დანარჩენებსაც თბილისისკენ ეჭირათ თვალი, გაყიდა სახლი, მოხვია ხელი მიმყოლის მიმყოლის მიმყოლებს და გადაბარგდა თბილისში. სულ მალე ოთხი სტუდენტი კიდევ მიემატა ბოდოკიებს, ბიჭები სწავლობდნენ და

თავის თავს თვითონ უვლიდნენ, ინსტიტუტში მოსაწყობი ფულები კი არა, ვაშლის ფული არ ჰქონდა ძუკუს, გასსოვთ კარგად. ამიტომაც ამაყობდა შვილებით. ამასობაში უფროსმა და მისმა მიმყოლმა ინსტიტუტები დაამთავრეს და სამსახურის კაცები გახდნენ. სამსახურის კაცებს საკუთარი ოჯახები შეეფერებათ. ეს საკითხი თავისით წამოიჭრა. ერთ საღამოს, ნავახშმევს, ფოთოლა მაგიდას რომ ალაგებდა, შვილიშვილი მოინატრა და უფროს ვაჟს მრავალმნიშვნელოვნად მიაჩერდა. უფროსმა ჯერ სიგარეტი აწყალა ხელში, მერე რა დასამალიაო და გამოტყდა, ერთი გოგო უნდა მოვიყვანიო. ბიჭებმა ყურები ცქვიტეს. ეს საუბარი მეტ-ნაკლებად მათაც ეხებოდა. ბოდოკიების ოჯახში ახალი სიტყვა გაისმა, დიდი შინაარსისსმომცველი და საბედისწერო.

მორფოლოგიურად „ცოლი" მარტივი არსებითი სახელია,— ამბობს ნაბოლარა, ფილოლოგიურზე რომ სწავლობს და ზედმეტსახელად წერტილი შეარქვეს,—ბარეორმა ბედდამწყარმა უკეთ იცის, რა მარტივიცაა, მარა რას იზამ. რახან „ცოლი" სულიერი არსებითი სახელია, პასუხობს კითხვაზე „ვინ".

— რამდენის წინაშე დასმულა ეგ კითხვა, პასუხს ცხოვრება იძლევა, თუმცა იგი იმდენად ბუნდოვანია, შეიძლება არც ჩაითვალოს პასუხად,—ჩაერთო ძუკუ.

ეს ბუნდოვანი კითხვა დაისვა ბოდოკიებში იმ საღამოს და ყველა ჩააფიქრა. თუ ბიჭი ხარ, ნუ ჩაფიქრდები. შვიდი ცოლი უნდა შემოსულიყო ოჯახში, შვიდი არსებითი სახელი, შვიდივეს ცალ-ცალკე დაესმის კითხვა „ვინ".

—ამ სიტყვის შინაარსს რომ ჩავწვდეთ, ცოლი უნდა ვაბრუნოთ, — გააგრძელა ფილოლოგმა, ყველაზე დიდი რომ იყო შვილებში და არაფრით არ შეეფერებოდა, წერტილს რომ ეძახდნენ.

— ვიცით!—თავი დააქნია ძუკუმ.

ძმებიც ირონიულად იცინოდნენ, აშკარა იყო, მათაც იცოდნენ.

— ის სხვაა, მე მორფოლოგიურად ვამბობ,—თავისაზე იდგა ფილოლოგი. ძუკუს მიაჩერდა და ჩამოკიკლა:

სახელობითი—ცოლი უნდა შევირთო, მამა
მოთხრობითი—ცოლმა უნდა მაჩუქოს შვიდი შვილი, მამა
მიცემითი — ცოლს ყველაფერი არ უნდა აუსრულო, მამა
ნათესაობითი—ცოლის კეთილები ჩემი კეთილებია, მამა
მოქმედებითი — ცოლით ან აშენდები ან დაიქცევი და ან... მამა.
ვითარებითი—ცოლად ყველა ქალი როდი გამოდგება, მამა
წოდებითი—ცოლო, შენი დედა... მამა.

რამოდენა წერტილი დამისვამსო—გაიფიქრა ძუკუმ. ღრმად ამოისუნთქა და სანამ ჩაისუნთქავდა, ბევრი სიმართლე წამოცდა ამ მამაძაღლსო, ასე თქვა. მემკვიდრეები უმცროს-უფროსობით შემოირბინა თვალებით. მზერა ისევ იმ წერტილს მიუდარაჯა, ზიმაზე დიდი რომ გამოუვიდა, იღიმოდა მამაძაღლი. ძმების არ იყოს, მის პირსახესაც ოცნებაში გაჩხერილი ღიმილი ეღლაბუცებოდა, ძუკუ ძველი იყო და იმასაც მიხვდა, იმ ღლაბუცს იქით რაც იმალებოდა.

ფოთოლა თეფშებს ამშრალებდა. დედის ფიქრიც შვილების საცოლეებს დასტრიალებდა.

— ზოგი მართალიც წამოცდა, — ისევ გაიმეორა ძუკუმ.

— მე რა წამომცდა, გრამატიკას წამოცდა, გრამატიკას თუ რამე წამოცდა, კანონია. სიყვარულსაც აქვს თავისი გრამატიკა. გამომდინარე აქედან... — ისევ მოემზადა საქადაგოდ ფილოლოგი.

— გამომდინარე აქიდან, წადით ახლა და დაიძინეთ, მაგაზე სხვა დროს, — აღარ დაანება ძუკუმ,—დამიწყო სიყვარულის ღრამატიკა.

ბიჭები უხმოდ წაზოზინდრენ საწოლებისკენ. ჯერ საბნებში შეიმუდრენ, მერე სიზმრებში გადასახლდნენ.

ცოლ-ქმარს ძილი გაუტყდა, ვერც გაამტყუნებ, დედ-მამა შვიდი ძმის შვიდ საცოლეზე ფიქრობდა.

— დამიბერდა უფროსი,—ამოამთქნარა ძუკუმ.

— აბა!—მთქნარებითვე დაემოწმა ფოთოლა.

— მაგის ხნის რომ ვიყავი, განათლება მიღებული მქონდა, ტანკისტობა მომთავრებული, ჰიტლერიზა დედა ნატირები და შენ მეორეზე მყავდი გამზადებული.

— მართალი ხარ, ახლანდელებს აკლიათ მიხრა-მოხრა...

— მაგის მეშინია, ვიღაც გოგო მიყვარსო, რომ თქვა, ერთ კვირაში გაუვლის ქარშოშინი, სიყვარული რომ ჰგონია და რა შერჩება იცი?!

—თვალები არც ჩვენ უნდა დავიფსოთ, უნდა გავიკითხ-გამოვიკითხოთ.

— ბიჭებს მე უნდა შევურჩიო ცოლები, გამოცდილებაც მაქვს და დროც, პენსიონერი კაცი უკეთესს რას გავაკეთებ.

— არჩევა მართლა კაი იცი.

— მაშინ რა ვიცოდი თუ არა, ახლა შენს მაგიერ სხვას მოვფხანდი ზურგს, — ჩაიქირქილა ძუკუმ.

— ძუკუია ტანკისტო! ენა რომ ჯარ გქონდეს, ქარი წაგაიმასქნებდა, ქარი!

— ხუმრობა იქით და ჩემს ბიჭებს ექიმი ცოლები უნდა შევრთოთ. შენ იცი, რაა შვიდი ექიმი? შვიდი ექიმი ერთი პოლიკლინიკაა. აწი პოლიკლინიკა დაგვჭირდება ძირითადში.

ფოთოლამ შვიდი თეთრხალათიანი ახალგაზრდა ქალიშვილი ჩაამწკრივა წარმოდგენაში. ეგ კი არა, ისიც მოეჩვენა, საძინებელი სპირტისა და ნოვოკაინის სუნით გაიჟღინთა თითქოს. თვალი ძილმა მოსტაცა... ის აღარ ახსოვს ცხადად, სიზმარში ნახა ალბათ, იმ შვიდ თეთრხალათიანს ვულზე წარწერები რომ ჩამოკიდა ტრანსპარანტებივით ძუკუმ. უროლოგი, კარდიოლოგი, სტომატოლოგი, ოკულისტი, პედიატრი, ქირურგ, ტრავმატოლოგი... რამდენიმე წარწერა ხელში შერჩა, არ ეყო სარძლოები. უკმაყოფილო დარჩა ძუკუ. ახლა ნანობდა, შვიდზე რომ შეჩერდნენ. გმირი ცოლიც ეყოლებოდა, სრულყოფილი პოლიკლინიკაც ექნებოდა. რაღას მიეწეოდა სიზმარში. ის წერტილიც უშლიდა ხელს, გრამატიკას რომ ატენიდა პიტნასავით.

მეორე დღეს თვითონ ძუკუ გამოეწყო სასიძოსავით, გაიხურა ქარი და წავიდა სარძლოების საძებრად ნატანკისტარი პენსიონერი. სულ ერთი იყო, კარდიოლოგი იქნებოდა თუ ოკულისტი. პირველს ამ მხრივ გარკვეული უპირატესობა ჰქონდა მიმყოლ სარძლოებთან შედარებით.

მთელი წელი შემოადნა. დაიარა პოლიკლინიკები, საავადმყოფოები. გაზაფხულსა და შემოდგომაზე ორ-ორკვირიანი „პროფილაქტიკაც“ ჩაიტარა წოლითი რეჟიმით. ახალგაზრდა ქალთა მთელი მედპერსონალი გაიცნო. ვინც მოეწონა, ექთანი გამოდგა. ექიმებიც გამოერივნენ, მაგრამ გათხოვილები. გაუთხოვრები ართვალები იყვნენ ძირითადად. მხოლოდ ექიმობისთვის ხომ არ შესთავაზებდა ვაჟის ხელს. ერთმა თეთრხალათიანმა ისიც უთხრა, მასეთი ქმარი, საცოლეს მამა რომ აურჩევს, ხელით სათრევი და საწვალებელი იქნებაო. სანახევროდ მართალი კი თქვა იმ გოგომ, მაგრამ ასეთი ენაბარაქიანი რძალიც საშიში იყო ძუკუს ოჯახისთვის.

რაღა ბევრი გავაგრძელოთ და ექვსი ქორწილი ერთ წელიწადში გადაიხადა ძუკუმ. თავიც გადაღალა და ახლობლებიც. „ან ერთად გაეკეთებია ამ ოჯახკეტიანს, ან დაეწყვილებია, აღარც ის შეგვიძლია, აღარც ისო“;—იძახდნენ. იმ „აღარც იმაში“ რას გულისხმობდნენ, არ ამბობდნენ, მაგრამ მიმხვედრი მიხვდება.

ექვსივე რძალი ძუკუს არჩეული იყო, ექვსივე წყვილს საკუთარი სახლები შეექნათ. ზოგს სამსახური შეეწია, ზოგს სიმამრი. პოლიკლინიკა არ გამოვიდა. არცერთი არ შეხედა ექიმი. წერტილამდე მშვიდობიანად მივიდა. წერტილთან შეჩერდაო, რომ ვთქვათ, არ იქნება სწორი. წერტილმა თვითონ აგრძნობინა, სდექო. ის ახლაც მორფოლოგიური თვალსაზრისით უყურებდა ცხოვრებას. სიყვარულის გრამატიკა სულაც არ ითვალისწინებდა მამის მიერ შვილისთვის ცოლის არჩევას. ძუკუს ჩაწოდებულ ორ საცოლეს აცილება რომ მისცა, მაშინ უთხრა წერტილმა: მესამეს ნუღარ ეძებ, შენც დაისვენე და მეც დამასვენეო.

„აბა რა ვაკეთო პენსიონერმა კაცმა უკეთესიო“—ძუკუმ.

„ან მახათი ნახე, ანო..!“ — წერტილმა.

„ეს ნაბოლარა შავი რძით გაგიზრდიაო“—ცოლს დააბრალა ძუკუმ.

„რას ბოდავო“—შეურაცხყოფილმა ფოთოლამ.

— ბრაკია, ბრაკი, ყველა ხარისხიანია, ეს ერთია ბრაკი!

იმ წუნდებულ წერტილს, სახლის კარი რომ მიიხურა, შორიახლო მცხოვრები მეზობლის გოგო უყვარდა. ჯიბეში სულ ჰქონდა მომარაგებული პატარა კენჭები. მეორე სართულის ერთი ფანჯარა იყო მისი სამიზნე. ფანჯრიდან თავდაპირველად დედა იყურებოდა იმ გოგოსი. ქალი მალე მიხვდა, რაშიც იყო საქმე და მერე და მერე აღარ გამოჩენილა. არც თანანას უყვარდა ფანჯრიდან გადმოხედვა. კენჭის ხმაზე კიბეს ჩამოირბენდა, გააღებდა საღარბაზოს მძიმე კარს და უცნაური ღიმილით უასლოვდებოდა კენჭების თამაშით გართულ მეზობლის ბიჭს. სულ მალე იმ ბიჭმა ფილოლოგიური დაამთავრა, გოგომ სამედიცინო და შემოდგომაზე ჯვარიც დაიწერეს. ძუკუ არ ელაპარაკებოდა- უმცროსს, ქორწინების დღეს მიულოცა ცალყბად ახალ რძალს, ეგ იყო და ეგ.

წერტილი ახლა იმ სახლში ცხოვრობდა, რომლის ფანჯარასაც ადრე კენჭებს უშენდა. ასე ინებეს თანანას მშობლებმა. ამაზე უფრო გაგულისდა ძუკუ. შვიდი შვილის პატრონი ცოლ-ქმარი მარტოდმარტო დარჩა ოთხოთახიან ბინაში. ომის მონაწილეთათვის განკუთვნილ მაღაზიაშიც აბუჩად აიგდეს, რატომ შენ გეკუთვნის წიწიბურა და მე არაო.

— მეო,—უთხრა ძუკუმ,—ომისა და შრომის ვეტერანი ვარ და იმიტომო.

— ზედვე გეტყობა, რა გოზინაყიც ხარ, შენ ჯიბეში ჰარტიის მანდატიც გექნებაო,—იმ უსინდისომ.

ჯიბეში არა, მაგრამ სახლში მართლა ჰქონდა, არც დაუმალავს. შვილის ტოლმა ფხრიწინა სიცილი დაადევნა ბრძოლის, შრომისა და პარტიის ვეტერანს. იმ ფხრიწინმა სახლამდე მიაცილა და არც მერე მოასვენა. ეჩვენებოდა, ქუჩაში ვამვლელები დასცინოდნენ, ვეღარავის უსწორებდა თვალს..

მოხუც ცოლ-ქმარს მოწყენილობა შეეჩვია. მათ მოჟრიამულე სახლში სიჩუმე და სიცარიელე გამოკეტილიყო. ძუკუს არჩეული რძლები ტელეფონითაც არ ეხმიანებოდნენ მიტოვებულებს. ის ნაბოლარა, ძუკუ რომ არ წყალობდა, ყოველ საღამოს გებულობდა მათ ამბავს.

ზამთრის კვირა დილაა. დღეს სადილს ნუ გააკეთებო, ფოთოლას ეუბნება ძუკუ. ამინდი არაა ცუდი და არაფერი. ჩავიცვათ თბილად, ჩავკიდოთ ერთმანეთს ხელი და მოვინახულოთ ჩვენები უფროს-უმცროსობით. საღამომდე ქე მოვასწრებთ და ყველაფერიო. უარი არც ფოთოლას უთქვამს და დილის ათი საათისთვის მიადგნენ უფროსს. შეხვედრა კაი, ყველაფერი კაი,-- ჩაი ხომ გაქვთ დალეულიო,—იკითხა რძალმა.

— ჩაი კი დავლიეთ, ჩაი, ნამცხვრით—დაასწრო ძუკუმ.

— აბა, ჩაი ჩვენც დალეული გვაქვს და...

მიმყოლთანაც იგივე ამბავი გამეორდა,—ჩაი ჩვენ უკვე დავლიეთ, იმასთან თუ იყავით, თქვენ იქ დალევდით და ესეც ასეო.

— კი, ჩაი იქ დავლიეთ, — ახლა ფოთოლამ დაასწრო.

— ნამცხვრით,—დაამატა ძუკუმ.

— სად შოულობს ეს ხალხი ამ შაქარს,—გაუკვირდა რძალს.

მიმყოლის მიმყოლი სახლში არ დახვედრია, რძალმა კი ეს თქვა: — ჩაი რაღა დროსია, სადილი ნამეტანი ადრეა, სანამ ის დაბრუნდება, იყავით აგერ, ის რომ მოვა, სადილის დროც ქე იქნებაო.

—ა რა, გენაცვალე, რა დროს სადილობაა ჯერო,—შეიცხადა ძუკუმ. სანამ -შემდეგ შვილთან მივიდოდნენ, სადილობა გადასული იყო, რძალი და შვილი ნასადილებ-ნასიამოვნები. იმასთან გამოგივლიათ, იქ ისადილეთ ალბათო, ასე იკითხეს ღმერთწინაშე.

— კი, იქ ვისადილეთ ნამდვილადო,—ძუკუმ.

პირველი ექვსეული რომ მოიარეს, შებინდდა კიდეც. წერტილთან მისვლა არც ჰქონიათ გადაწყვეტილი, რადგან ძუკუ ჯერ კიდევ ებღუზებოდა „ურჩ“ შვილს. ამიტომაც თავის სახლს მიაშურეს. სახლის კარი რომ მიუდგეს, ძუკუმ ისეთი შეიკურიხა უსაგნოდ და უმისამართოდ, რომ ფოთოლა გაკვირვებას დარჩა.

— ისევ შენ, ჩემო ფოთოლა, ააღუღე წყალი და ვახშამი მსუბუქად მაინც გადავიაროთ, მაგათ იმედზე იქნა... რომ კითხო,

სამშობლოს ათავისუფლებენ. ჯერ დედ-მამას დაალევინონ წყალი და მერე წაეპოტინონ უფრო დიდსა და სანუკვარს.

ტელეფონის ზარმა ხმა გააწყვეტინა ძუკუს. თანანა ვარ, მამაო. ამბის მოკითხვის მერე—ხაში თუ გიყვარსო,—იკითხა.

ძუკუს ყურმილი კინაღამ გადაცდა ყელში.

— ხაშიო?! ხაში კარგია დილით, ზედ კაი ლავაში... საღამოს ხაში ეინ გაიგონა. რაო?! შენ ამბობ ხაში ძილისწინ უკეთესიაო?! შენ თუ ამბობ ამას, ჩემი საკუთარი ექიმი, სხვა გზა არაა, უნდა დაგიჯერო!.. კარგი, კარგი, არ ღავწვები და მოგიცდიო, რახან არ იშლით! — ყურმილი დადო. თანანას მშობლები დალოცა, არაყი გადმოასხიო, ფოთოლას უთხრა და სანამ ამ პატარა სამზადისში იყენენ, კიდეც დარეკა ზარმა. შემოვიდა წერტილი მისი თანანათი, განათდა მაგიდა ხაშით და ლავაშით. ოჯახში გამოხდილი ჭაჭის არაყიც ჩამოდგა ფოთოლამ. სადღეგრძელოები არ დაიწყეს? ასე არ ვარგაო, ძუკუმ, ჩვენი მარტო მიტოვება, გადმოდით ჩვენთან თქვე ხატგაყიდულებო, ცხენი გაჭენდება, იყავით აგერ, გამრავლდით, გაიხარეთო... იმდღევანდელ ოდისეაზე კრინტი არ დაუძრავთ. გადაკრა არაყი, ისე დაიჭყანა, მის დანახვას არაფერი ჯობდა. ღიღინი დაიწყო, ქუდია თუ ბოხოხიაო, იმეორებდა ხშირ-ხშირად. წერტილსაც ეხვეწებოდა ამყევიო. შეილიც აჰყვა მამას. ტანად დიდი იყო და ხმაც შესაფერი ამოუშვა. რამოდენა წერტილი დამისვამსო,—ახლაც ფიქრობდა ძუკუ, თან იმას ღიღინებდა, ქუდია თუ ბოხოხიო.

სატვის მასწავლებელი

ამირან არახამია მშობლიურ ქალაქს სამხატვრო სასწავლებლის დამთავრების მერე დაუბრუნდა. პედაგოგები აღფრთოვანებულნი არ ყოფილან მისი ნიჭით. თვითონ კიდეე ჰქონდა მომავლის იმედი. როგორც კი ფუნჯსა და პალიტრას მოჰკიდებდა ხელს, მაშინვე აუჩქროლდებოდა გული, „ალბათ, ახლა იქმნება, რისი იმედიც მასულდგმულებს“, გაიფიქრებდა თავისთვის და იღვიძებდა გულის კუნჭულში მიძინებული პატარა იმედიც. სიტყვაზე ვამბობ, თორემ ის იმედი ისე პატარა იყო, ისე პატარა, არც ღირდა მისი ხსენება, მაგრამ მაინც იმედი იყო და ზოგჯერ წნევასავით უცებ აუვარდებოდა თავში, შეაბრუებდა, შეათრობდა, ვერც ამჩნევდა, როგორ წამოეზრდებოდა მხრებზე ფრთები, არც თუ ისე ძლიერი, მაგრამ იმისთვის საკმარისი, ოცნებაში გადასახლებულიყო და ზემოდან გადმოეხედა ქვეყნიერებისთვის. იქიდან ყველაფერი ეპატარავებოდა თვალში.

ყოველი ახალი ტილოს დამთავრების შემდეგ კვლავ მიწაზე ეშვებოდა; ისე მსუბუქად, თავისთავს თვითონვე ძლიეს გრძნობდა.

„ამას ჰქვია სიცოცხლე? — ფიქრობდა გულდათუთქული, — ერთი ადგილის ტკეპნა ჰქვია ამას. ადგილზე სიარული უკუსვლაა, უკუსვლა დამარცხება და სიკვდილი. სიკვდილი ერთი პატარა ბორცვია იმ მიწაზე, სიცოცხლეში რომ დადიოდი. ცოტა ხანს ერქმევა სახელი, მერე თანდათან გასწორდება ბორცვი, სახელიც გაქრება...

სულ სხვაა, ერთი ნახატი რომ გამაკეთებია. თავად რომ გადმოხტება მოლბერტიდან, ფეხს რომ აიდგამს და ქვეყნიერებას შემოივლის, ჩემი სიკვდილის შემდეგაც რომ ივლის ჩემთან ერთად, სამი, ათი, ოცდაათი საუკუნის შემდეგაც“.

სამხატვრო სკოლაში მუშაობდა. ფერწერას ასწავლიდა. ორი წლის წინათ, მოსწავლეებს რომ გაეცნო, უთხრა:

— დაიხსომეთ, მხატვრისთვის მთავარია მოლბერტი, მოლბერტის გარეშე ხატვა შეუძლებელია, ყველაფერი იწყება

და მთავრდება მოლბერტით. მოლბერტის გარდა მხატვრისთვის რაც საჭირო იყო, მოსწავლეები თვითონ მიხვდნენ. იმ დღის მერე პედაგოგ არახამიას კლასში სისხლსავსე ცხოვრება დაიწყო.

— ბიჭებო! ხვალ დილით შევიკრიბებით სკოლის ეზოში და გავალთ ბუნების წიაღში სახატავად, — ამბობს ერთ დღეს არახამია.

— საით წავალთ, მას?!

— ერთი კარგი ადგილი ვიცი.

— რა წამოვიღოთ?!

— საეტიუდო დაფები.

— საჭმელი არაფერი წამოვიღოთ?

— თუ ვერ მოითმენთ, წამოიღეთ რამე.

დილით დროზე გამოცხადდნენ.

— საეტიუდო დაფები ხომ ყველას გაქვთ, — იკითხა არახამიამ და მოსწავლეებს გაუძღვა.

მასწავლებელსაც წამოეღო სახატავი მოწყობილობა. ძლივს მოთავსდნენ ავტობუსში თავიანთი ბარგი-ბარხანით. ერთი საათის მგზავრობის შემდეგ არახამიამ მძღოლს მანქანა გააჩერებინა.

— მოვედით! — დაიძახა ბიჭების გასაგონად და პირველი თვითონ ჩავიდა. ერთი საათიც ფეხით მიუძღოდა მოსწავლეებს. სვენებ-სვენებით მიიწევდნენ წინ. აღმართ-აღმართ მიუყვებოდნენ ბილიკს. ზღაპრული სილამაზე ავსებდა თვალსა და გულს. ორი-სამი სოფელი აიარეს. წყაროსთან შეისვენეს, ცოტა ხნის შემდეგ გზა გააგრძელეს. ჭრელი ძაღლი აედევნათ, ხან გადაუსწრებდა მხატვრებს, ხანაც ჩამორჩებოდა.

— ძაღლზე ჭკვიანი და საყვარელი ცხოველი არც არსებობს ალბათ, არა, ბიჭებო?! — დაეკითხა მოსწავლეებს არახამია.

— რა თქმა უნდა, მას, — დაემოწმნენ მოსწავლეები.

— ძაღლი გულთმისანია, თვალებში შეგხედავს და იგრძნობს... ერთი სიტყვით, ენა არ აქვს თუ არა, ყველაფერს ადამიანზე უკეთ...

— კი, მას, ძაღლი ჭკვიანია.

— ეს ძაღლი გამოგვყვება და სანამ არ წამოვალთ, ჩვენთან დარჩება, — არა, ბიჭებო?!

— კი მას, მოლბერტი არ აქვს თუ არა, შეიძლება...

— რა შეიძლება? — იკითხა არახამიამ.

— შეიძლება დახატოს კიდეც, — უპასუხა შეეჯვებულმა მოსწავლემ და რომ არ გასცინებოდა, ქვედა ტუჩი მოიკვნიტა.

— მხატვარი ძაღლი არ მინახავს მე, — უცებ გაბრაზდა მასწავლებელი.

ხასხასა ბალახით დაფარულ, დამრეცი ველის ავლისას მათი მეგზური ძაღლი მეორე ძაღლს გამოედევნა. იმ მეორეს კბილელა ძვალი ჰქონდა პირში.

მინდვრის ზემოთ დიდი წაბლის ხე იდგა. ხის ირგვლივ გააწყვეს საეტიუდო დაფები. მინდვრის ქვემოთ ხევი იწყებოდა, უფრო ქვემოთ მდინარის დაკლაკნილი კალაპოტი ჩანდა, მდინარეს ალაგ-ალაგ უცებ წამოჩიტული ბორცვები ეფარებოდა, გაღმა მთის კალთაზე შეფენილი სოფელი იტაცებდა თვალს. სოფელი მოშორებით იყო, მაგრამ ქათმის კრიახი, ბოჩოლებისა და თიკნების ბღავილი ისე კარგად ისმოდა, გეგონებოდათ, სადღაც აქვე, ხელის გაწვდენაზეაო.

— ოთხ საათამდე ვხატოთ, ხუთ საათზე ავტობუსს უნდა მივუსწროთ, — თქვა არახამიამ და თვითონაც გააწყო მოლბერტი. ის ხედი აირჩია, სოფლის გვერდზე ჩანჩქერი რომ ეცემოდა.

ცოტა ხნის შემდეგ გამოღმა ნაპირიც გადაჭრელდა საქონლით. მოხუცი კაცი დააბოტებდა ახლო-მახლო. ხან აქით მიდგა, ხან იქით, ბოლოს ჩრდილი მოძებნა და ბალახზე წამოწვა.

ბიჭები ხატავდნენ. არახამია ჯერ ერთს დაადგა თავზე, მერე მეორეს, „მასწავლებელი რომ მქვია თუ არა, რად უნდა ამათ მითითება, თვითონაც კარგად იციან, რა უნდა აკეთონ“, — გაიფიქრა გულში, აიღო ფუნჯი და კონტურების მოხაზვა დაიწყო. ახლაც გაჰკენწლა იმ პატარა იმედმა, ხატვის დაწყებისას რომ იცოდა თავის შეხსენება. ტილოზე თანდათანობით

აისახა მდინარის გაღმა-გამოღმა ნაპირები. ჩანჩქერი ისე ცოცხლად გამოუვიდა, ინატრებდით, ერთი აქ მაჭყუმპალაო. გამოღმა ნაპირის დამუშავებაც დაიწყო. მოხუცი კაციც ჩართო კომპოზიციაში, მხარ-თეძოზე რომ წამოწოლილიყო. იქვე ახლოს ბომბორა ძაღლს მოერთხა ფეხი და ენაგადმოგდებული ქელავდა. სწორედ იმ ძაღლს ხატავდა. ახლა არახამია.

— ბისკვიტია, ეუუუ! ბისკვიტია!!. — გაბა მოხუცმა.

პასუხად მეორე ძაღლის ყეფა მოისმა. ისეთი ხმა ჰქონდა, შიშის ზარს მოჰგვრიდა კაცს. ბისკვიტია საქონელს უვლიდა ვარს. ერთ ადგილას შეაქუჩა და პატრონისკენ გაიქცა. უცხო თვალიც შეამჩნევდა, მთელი ჯოგის მომვლელი ბისკვიტია იყო. ერთი წუთიც არ გაჩერებულა ადგილზე. უშეელებელი კუდის ქნევით მიირბინა მოხუცთან. კაცი მოეფერა ძაღლს, ბისკვიტიამაც ხელები დაულოკა მოხუცს. მერე გაიქცა, ერთხელ კიდევ შემოუარა ჯოგს, გვერდზე გამდგარი მოზვერი ჯოგის შუაგულში შედენა და ისევ მოხუცისკენ გამობრუნდა. ამ დროს წაბლის ხის ჩრდილში შემუდრული მხატვრები შეამჩნია. შედგა ძაღლი, ცმობისმოყვარე მზერა მიაპყრო უცხო სტუმრებს. მერე ყეფა-ყეფით მხატვრებისკენ გაიქცა. მოხუცმა ხელი მოიჩრდილა, მანაც ახლა შეამჩნია არახამიას ჯგუფი.

— არ გაინძრეთ თუ არა, შეგჭამთ! — გააფრთხილა ბიჭები.

მართლაც არავინ განძრეულა. ძაღლმაც ყეფას თავი დაანება და რევიზორივით ჩამოუარა ხატვის გაკვეთილს. ყველას ნამუშევარი რომ დაათვალიერა, არახამიას ნახატის წინ ჩამოჯდა. არახამია გაქვავებული იდგა. ფუნჯი უხერხულად შერჩენოდა გაწვდილ ხელში. იჯდა ბისკვიტია და უყურებდა ნახევრად დახატულ ძაღლს, ხანაც არახამიას გადახედავდა, ალბათ უკვირდა კიდეც, რამ გააშეშა ეს ხალხიო. მასწავლებელს მოსწავლეებისაც შერცხვა, თავისი თავისაც და იმ ძაღლისაც, პირდაღებული რომ მისჩერებოდა და ხერხივით კბილებს ლესავდა მზეზე. ესეც არ იყოს, მოლბერტისკენ გაწვდილი ხელი დაეღალა და თანდათან ჩამოუვარდა. „რას მიზამსო“, — გაი-

ფიქრა და საღებავიანი ფუნჯი ნელა დაადო ნახატს. ძაღლი დინჯად ადევნებდა თვალს. როგორც კი ტილოზე ახალი საღებავი გაჩნდა, შეუღრინა, მარჯვენა თათი საღებავს ჩამოუსვა და თავისებური შესწორება შეიტანა ნახატში. არახამია არ შეეპუა, კვლავ ახალი ტონი დაადო ტილოს. ბისკვიტიამ ისევ ჩამოუსვა თათი და ღრენით აგრძნობინა: მეტს აღარ გაგაფრთხილებ და რაც მოგივა, შენს თავს დააბრალეო.

— აკაკი ბიძია! დაუძახე ბისკვიტიაა თუ ჯანდაბის ორღობე.

— ჯერ ერთი, აკაკი კი არა, სოფრომა მქვია, მერე მეორე, არაფერი არ გამოვა, მანამ იქნება თქვენთან, სანამ არ მოწყინდება.

— შეიძლება ავტობუსის გასვლამდე არ მოწყინდეს, ხომ დავრჩით ტყეში.

— ბისკვიტიას არ უყვარს ხუმრობა, არ გაინძრე თუ არა ავტობუსის გასვლამდე შეგჭამს, — დაიძახა მოხუცმა და შებრუნდა, ამით გაშეშებულ მხატვრებს აგრძნობინა: მე ჩემი ვითხარით, თქვენ როგორც გინდათო.

არახამიამ ისევ გააპარა ფუნჯიანი ხელი ნახატისკენ და ბისკვიტიას მეგობარს კუდი შეუმუქა. ძაღლმა ისევ ნერვულად ჩამოუსვა თათი ახლად გასმულ საღებავს, ღრენას ყეფაც მიაყოლა. თათის ძალუმად ჩამოსმის ვერ გაუძლო მოლბერტმა და წაიქცა. ბისკვიტია თავზე დაადგა ნახატს და ძირფესვიანად დაიწყო შესწავლა. მერე ჩანჩქერს აუსვა ენა, ალბათ წყუროდა. მოლურჯო-მომწვანო ენა ძლივს შეაბრუნა პირში. ეტყობა, ცუდი გემო დაუტოვა საღებავმა და მთელ ნახატს ყნოსვა-ყნოსვით შემოუარა, კარვახანს ამოწმა აკვარელში ხატავს თუ ზეთშიო, დარწმუნდა, ზეთში ხატავსო, არ მოეწონა, ფეხი ისე ასწია, თითქოს წაბლის ხის წამოქცევის ეშინიაო.

იდგა ენაჩავარდნილი არახამია პირდაღებულ მოსწავლეებში. ისინი დინჯშემოყრილნი შემოწყობოდნენ ნახატს და თვალს ადევნებდნენ, როგორ იფარებოდა ლამაზი პეიზაჟი

მოყვითალო სითხით. ჰაერს ცხენის ოფლის სუნის მაგვარი ოხშივარი შეერია.

— ავალაგოთ ყველაფერი და წავიდეთ, — ძლივს გადმოცდა არახამიას კბილებს ორი სიტყვა.

ნიავმა წამოუბერა. არახამიას ნახატი ჰაერში აიტაცა და კაიხელაზე ააფრიალა.

— თქვენი ნახატი ჩვენს ჩასვლამდე იქნება სოფელში, მას!

არახამიამ შეუბღვირა მოსწავლეს და ნაღვლიანი მელოდიის სტვენით გააგრძელა გზა.

ავტობუსის ჩამოვლამდე კიდევ იყო დრო. კარგახანს ისხდნენ უხმოდ.

— ძაღლი მაინც ძაღლია, — დაარღვია სიჩუმე ერთმა.

— აბა რა, ბიჭო, ძაღლი ცხოველია, — დაეთანხმა მეორე.

— სოფლელმა ძაღლმა, თანაც მწყემსმა, რა იცის ხელოვნების ფასი, არა, მას?! — იკითხა გაუბედავად იმ მოსწავლემ, იქითობისას რომ ემოწმებოდა, ძაღლი ჭკვიანიაო.

არახამია ფერდობზე შეფენილ სოფელს მისჩერებოდა, ისევ იმ ნაღვლიან მელოდიას უსტვენდა. ძნელი მისახვედრი იყო, რაზე ფიქრობდა ხატვის მასწავლებელი.

ბუჭა, შე ძველო!

დილით გიორგიმ გამომიარა. იგი ჩემი ბიძაშვილია. სოფლად ჩვენ-ჩვენი ეზო-კარი ისე ახლოა, როგორი ახლობლებიც ვართ ერთმანეთის. თუ მოდიხარო, მკითხა. სოფელში წასვლას არ ვაპირებდი, მაგრამ ამ უბენზინ-უტრასპორტობაში მანქანიანი კაცისთვის რომ უარი მეთქვა, ქვეყნის საქმე ხომ აღარაა კარგად, ჩემიც საკითხავი იქნებოდა. ჩავუჯექი. დატრიალდა ბორბლები, აღმართ-დაღმართი აღარ უკითხავთ. ბროლიქეთის გადასახვევთან მდგარ კაცს შეეხმიანა გიორგი:

„ბარო, ბუჭა, შე ძველო!"

ბუჭამ ალაგ-ალაგ მელოტი თავი მკვირცხლად მოაბრუნა ჩვენი მანქანისკენ. გიორგი რომ იცნო, უკეე ჩავლილი ვიყავით. ხელები გაშალა, ხელები, ფრთების ადგილზე რომ გვაქვს ადამიანებს, მაგრამ ფრთები არაა.

ღიმილი შერჩა გიორგის. მივხვდი, რაღაც გაახსენა იმ ჩია კაცმა, იაფფასიანი საჩუქარივით რომ იდგა რესტორნის ვიტრინის წინ. ღიმილი თანდათან ისეთ ხარხარში გადაეზარდა, გზისპირას მძინარე ნაგაზს წამოაწევინა თავი. ძაღლმა თვალი გააყოლა გიორგის, რა აცინებსო, იკვირიკა. რას მიხვდებოდა, ბუჭაია რომ იყო მისი შელვიძების მიზეზი. ვერც მე მივხვდი და ვკითხე, ვინ იყო ის კაცი-მეთქი.

— ბუჭაია? ბუჭაია კაი ვინმეა, ჩვენთან მუშაობდა პროკურატურაში, ახლა პენსიაზეა,—თან ორ-სამ ალაგას სიცილით ჩატიხრა ეს წინადადება.

— მორჩი სიცილს და მომიყევი, რა კაცია ეგ ბუჭაია, ასე რომ გაგამხიარულა.

— პროკურორის თანაშემწედ მუშაობდა ჩვენთან. მე რას მოგიყვები მის ამბავს, თხუთმეტი წელი გვერდიგვერდ ვიყავით და კარგად კიდეე ვერ ვიცნობ. ბუჭაია რომ გაიცნო, მასში უნდა შეცურდე, როგორც ნავი შეცურდება წყალში. ის არც მდინარეა, არც ზღვა, მაგრამ არც დამდგარი გუბეა. დიდ წყალში რომ მოხვდება შენი ნავი, ამას კი მიხვდები, მაგრამ ქარიშხალს არ უნდა ელოდო. ვერც თევზს დაიჭერ, რადგან თევზი არ ხარობს და ვერც წყურვილს მოიკლავ, სასმელად უვარგისი რო-

მაა, იმიტომ, ისე იტივტივებ ზედაპირულად. კარგად თუ შეტოკე, გამონაპირება შეიძლება ვერც მოახერხო. დარჩები მშიერ-მწყურვალი, თუმც იმის უიმედო იმედი და ილუზია სულ ვექნება, ვითომ კარგი ნასვამ-ნაჭამი ხარ, სიზმარში გამომძღარი კაცივით, გამოღვიძებისთანავე რაღაც რომ აწუხებს და მაშინვე ხედება, ეს რაღაც შიმშილია. ვინც ჩვენს პროკურატურაში მოხვდება: თანამშრომელია, დამნაშავე, მოწმე თუ დამნაშავის პატრონი, ყველა ამ წყალში ინათლება. მოკლედ რომ ვთქვათ, ნათლიაა ბუჭა და თავისი ემბაზიც აქვს.

— რას აკეთებდა პროკურატურაში?! — ვიკითხე ჩემი მხრიდან სიჩუმის ამოსავსებად.

— ყველაფერს, რაც არ ეკალებოდა და არაფერს, რაც თანამდებობრივად ეხებოდა.

სამსახურიდან გავიშვებო, სერიოზულად დაემუქრა პროკურორი ერთხელ.

„მე რომ აქედან გამიშვათ, დიდი შეცდომა იქნება თქვენი მხრიდან, კალისტრატოვიჩო,—უთქვამს ბუჭას.

„რ"-ბგერას სხვებივით ლაზათიანად ვერ გამოთქვამდა, რ-ს მაგიერ „ლ' ისმოდა და პროკურორის მამის სახელი კარგისტლატოვიჩად ეყურებოდა მსმენელს,

— ჯერ ერთი, ახალ თანაშემწეს თვალი სულ პროკურორობისკენ ექნება, რამდენი მაგალითია, პროკურორი მოუსრიალებიათ და თანაშემწე გაუპროკურორებიათ. ჩემგან ეს საშიშრიება მოხსნილია, კარგისტლატოვიჩ, ვიცი, დამასმინეს შენთან, გაუნათლებელიაო, კი, ბატონო, არც ეგაა ტყუილი, იმათ რა იციან. მე გეტყვით ჩემი განათლების ამბავს: ორმოცი წლის წინათ შიკრიკის თანამდებობაზე დავიწყე მუშაობა აქ, ახალსკოლადამთავრებულმა. კაისანს მომიწია შიკრიკობამ, მაგრამ საქმესაც ავუღე ალღო. აცხონა ღმერთმა, მაშინ სერგო იყო პროკურორი. თქვენ ჯვარი გწერიათ, ისიც კარგისტლატოვიჩი იყო, იურდიულზე მაინც ჩააბარეო,—მირჩია, როსტოვში წერილიც გამატანა მის ნაცნობთან, დაუსწრებელზე იქნებ მიეხმაროო. რუსული მე არ ვიცოდი, ქართული იმათ, რა უნდა მესწავლა. ამიტომაც ჩავზიდე ტყაჩირიდან როსტოვში: წვრილფეხა-ფრთოსანი, ტიკმაკი და გოჭმაჭი. მამაჩემი დამზადების პუნქ-

ტის გამგესავით მყავდა სოფელში. „რავაა საქმეო“, რომ მკითხავდა, ვაჩვენებდი სამებით გამოტენილ მატრიკულს და ისიც იმედიანად აგრძელებდა „დამზადებაში მუშაობას“.

ცხრა წელიწადში დავამთავრე „ექსტერნად“. ბარეორი, ვისაც ტყაჩირისნაირი არ ვაჩინდა, უფრო დიდხანს მოუნდა განათლებას. მამაჩემის წილი ტყაჩირი მთლად რომ ჩავზიდე როსტოვში, მომცეს ორად გაკეცილი ქაღალდი. ამ ქაღალდის მეტი როსტოვიდან არაფერი ჩამომყოლია.

მამაჩემმა ვალმოხდილად ჩათვალა თავი თუ რა იყო, ვერ გეტყვით, იმ შემოდგომაზე ყარიდან სიმინდით სავსე ეოდორი რომ ამოიტანა, რაცხა ვერ ვარ კარგადო, ჩამოჯდა საშფეხსკამზე და „დიასვენა“, იგი იქიდან აღარ ამდგარა. საიქიოს ჩემი ჯავრი და იმ ქაღალდის იმედი გაჰყვა, როსტოვიდან რომ ჩამოვიტანე...

ასე კარქა-ლამაზად ჩემზე უკეთ ვინ დამასმენდა თქვენთან, კარგისტლატოვიჩ. მანამ არაფერი მეტკინა, მე პროკურორობაზე არ ვიფიქრო. რამდენიმე პროკურორის თანაშემწე ვიყავი და თქვენთანაც ვიმუშავებ თუ დამტოვებთ, ვიქნები ჩემთვის დ ვიბურჭალ-ვითანამშრომლებო.

პროკურორი ჩაფიქრდა, დაკვირვებით მიაჩერდა ბუჭაიას „ინტელექტუალურ“ პირსახეს, ზედმიწევნით რომ უთავსდებოდა როსტოვულ „განათლებას“. მართლაც და ასეთი თანაშემწეა საიმედო, გაიფიქრა თავისთვის. მერე „მარლბოროს“ კოლოფს დაწვდა, სიგარეტი ამოიღო, სანთებელამ გააწვალა, სანამ აინთებოდა, კაი, ბატონო, იბურჭალეო,—უთხრა სანთებელას.

ბუჭა მიხვდა, სანთებელას კი არა, მას უპასუხეს.

— ესე იგი ვიმუშაოთ, კარგისტლატოვიჩ?!

— ვიმუშაოთ, ვიმუშაოთ, ოღონდ სახელი მაქვს მე, ეს უპატრონო, და მამის სახელს დაანებე თავი!

— არ გეწყინოთ და მამაჩემსაც კალისტრატე ერქვა, მამისსახელით რომ მოგმართავთ, ასე მგონია, თქვენ კი არა, მამაჩემს ვეხვეწები თითქოს რაღაცას და უფრო იმედიანად ვარ,— პოლო სიტყვებს სიცილი მიაყარა საფანტივით ბუჭამ.

თავთავის დროს ასე დაამუნათა ყველა პროკურორი დ მტრის ჯინაზე განაგრძობდა პროკურატურაში მუშაობას, ანუ

ბუჭას სიტყვებით რომ ვთქვათ, პროკურატურაში მოღვაწეობას. სხვები კიდევ ბუჭას „მოღვაწეობას“ ჩალიჩს ეძახდნენ — მაგ საქმეს ბუჭაია გააჩალიჩებსო—იტყოლნენ ხოლმე.

მართლაც ჩალიჩობდა ბუჭაია. ჩალიჩი, როგორც წესი, ფასიანი იყო და საბანკო ბილეთების იღენობა ძუძუს გოჭივით დასდევდა ინფლაციას. ამიტომაც არ უჩიოდა ბუჭა ჩელფასის სიმცირეს, ბაზრის სიძვირეს და დანაშაულის სიხშირეს. ერთი საფიქრალი ჰქონდა მხოლოდ, ემუშავა თავისი პროფილით და ეჭამა პური ქვეყანაზე.

თანამშრომლების გაბიაბრუებ—გაპამპულება უყვარდა. მოვიდოდა და იტყოდა: ამას დღე ვაყარე, იმას დღე ვაყარეო. ერთხელაც ვიფიქრე, რავა ყველა ამის სასაცილოა, მოდი, თვით ბუჭას მოვსინჯავ, რა ჩიტიცაათქო და კიდევაც წამოეგო ანკესზე.

თავისივე მონათხრობით ვიცოდი, რომ ბუჭა, მისი მთიელი ძმაკაცი, ზეზვა, მილიციაში რომ მუშაობს და ნერვოპათოლოგი ანტუშა, ყოველსალამოს ბანქოს სათამაშოდ დადიოდნენ საერთო მეგობართან, ის მეგობარი მარტოხელა კაცი იყო და ხელსაც არავინ უშლიდათ. ერთი მეზობლის ქალი ეეჭვებოდათ მხოლოდ, ძმაბიჭების თავშეყრისას რომ იძახდა: „მოვიდნენ ყომარბაზებიო“. იმ პერიოდში მოგვივიდა მთავრობის დადგენილება აზარტული თამაშის მიმდევართა მიმართ მკაცრი ზომების გატარების თაობაზე.

ჩემს განყოფილებაში სტაჟირებაზე იყვნენ ახალბედა იურისტები. დავუძახე ერთ-ერთს და დავაწერინე ანონიმური წერილი პროკურორის სახელზე, რადგან სხვა თანამშრომლების ხელწერას ბუჭაია ცნობდა, დავბეჭდე როგორც წესი და რიგი იყო და მეორე დღესვე გავუგზავნე ჩემსავე პროკურატურას.

მესამე დღეს მდივანი ფოსტას რომ არჩევდა, მეც შევესწარი. ეს მათხოვეთქო, ნაცნობ კონვერტზე ეუთხარი ნუნუკას, გავხსენი და წავაკითხე, მერე ყველაფერი ავუხსენი, რატომაც გავაკეთე ასე და მისგან რა დახმარებაც იყო საჭირო. თქვენთან ვარ, ბატონო გიორგიო, მითხრა აკისკისებულმა მდივანმა.

შეკვეთით გამოგზავნილი კონვერტი, მოგონილი მისამართი რომ ეწერა, დავკუშნე და ნაგვის ყუთში ჩავაგდე. წერილი კი

დავხიე და ისიც კონვერტს წავაყარე. შევედი ჩემს კაბინეტში, დერეფანში გამავალი კარი ღია დავტოვე. შესვენებამდე არ გამოჩენილა ბუჭა, დაიწყო შესვენება და ჩაუარა კიდეც ჩემს კარს ღიღინითა და საჩახმახე თითზე მანქანის გასაღების ტრიალით, სალმის მაგიერ ხელი ამიწია.

— ბუჭა, ბუჭა, შემოიარე ჩემთან,—დავაწიე მიმავალს.

— მე მეძახი გიორგი?! — იკითხა და მაშინვე შემოჰყვა თავისსავე ხმას.

— შენ გეძახი, შენ!—რაც შემეძლო საგანგაშო ტონალობა მიეცი ნახევარხმას, — მიხურე კარი და მომისმინე: ვინ გყავს ასეთი დაუძინებელი მტერი, გაშანშალებული ანონიმური რომ გამოუგზავნია პროკურორის სახელზე.

— ჩემზე?!

— შენზე, შენზე!

— ღადაობ რაღაცას,—გამომცდელად დამაშტერდა ბუჭა.

— რა დროს ღადაობია, კიდევ კარგი, ნუნუკასთან ახალ ფოსტას შევესწარი, შეკვეთილ კონვერტს მივაქციე ყურადღება, გამომგზავნელის მისამართი მოგონილი მომეჩვენა, მერე სამისამართო ბიუროში დავრეკე: ამა და ამ ქუჩის 215 ნომერში რა გვარი ცხოვრობსთქო. ეგ ქუჩა 105 ნომერზე მთავრდებაო, მიპასუხეს. გავხსენი და შენი შავი „დახასიათება" შემრჩა ხელში.

— მასხრობ თუ მართლა ამბობ, შალვოვიჩ.

— რას ვმასხრობ, შედი ნუნუკასთან, დავხიე და სანაგვე ყუთში ჩავყარე კონვერტიცა და წერილიც.

როგორც ჩანს, დამაჯერებლად გამომივიდა, ჩაფიქრდა ბუჭა, მერე კბილებში გამოსცრა:

— ვიცი ვინცაა, მაგას მოვუტან კანისტრას!—თან მარჯვენა ხელისგული მომუჭულ მარცხენას ისე დაუშინა, როგორც ტყემლის ბოთლს ურტყამენ ფსკერზე. გავარდა კაბინეტიდან. გასული არ იყო და შემობრუნდა.

— სადაა ნუნუკა, დაკეტილი რომაა კარი?!

— რა ვიცი, ალბათ - შესვენებაზე.

საათს დახედა, როდის მოვაო, საჯავროდ შეექნა 35 წუთი.

— მაინც რაო, რას წერს ეგ ავ-კარგ მიიმასქნებული...

— რა ვიცი, რაც კი ცხოვრებაში მიგიქარავს, ყველაფერს.

— კანონიერი ქურდის შვილი რომ მყავს მონათლული, იგიც წერია?

— ეგ არა!

— ლიანიასთან რომ მაქვს საქმე?

— არა!

— ქალიშვილი რომ დავაჯინე სამედიცინოზე?

— არც ეგ, სხვა ყველაფერი.

— სიძეს რომ უცხოური მანქანა ვუყიდე?!

— ეგეც არა.

— გამოსაფხიზლებელში რომ მოვხვდი?

— არა მარა, იქაც ხან ნამყოფი?

— აბა! ერთხელ, გათიშული მთვრალი ვიყავი, პიჯაკი მეკავა ხელში და ტორეადორივით დავდევდი დასაჭერად ტაქსებს თურმე. მოსულა მილიციელი და ტროტუარზე ადიო, უთქვამს. გავბრაზებულვარ, მე, ბუჭა კალგიტლატოვიჩს, ქალაქის პროკურატურის წამყვან ფიგურას, ვიღაც მილიციელი ჭკუას მარიგებდა, დამიწყია ყვირილი: „მაგ პაგონებს აგახევ და სულ ცხვირში გირტყამ-თქო...“ ატეხა იმ მილიციელმა სტვენა, იმწამსვე მოვარდა ყვითელი ვილისი და სანამ იმას ავახევდი სამხრეებს, მე მომაკერეს თხუთმეტი დღე-ღამე.

დილას პროფილაქტორიუმის უფროსმა ბოდიშები მიხადა, ყველას ბევრი გვაგინეყე, მარა გიცანით ვინც იყავით და წიგნში აღარ გაგატარეთო, ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ მებრძოლი კომისიის თავმჯდომარე მაინც არ ვყოფილიყავი...

— ჰო, ეგ წერია, ლოთობას რომ უნდა ებრძოდე და თვითონ ლოთობ.

— ვიცი ვინცაა, მაგას მოვუტან კანისტრას! — ისევ წამოვარდა სკამიდან ბუჭა და ისევ გამახსენა ტყემლის ბოთლი მისი ხელების ენერგიამ.

გააღო ნუნუკამ კარი და შეყვა ბუჭა.

— რა ფოსტა მიიღე დღეს, გოგო, — შეეცადა მშვიდად ელაპარაკნა.

— რა ვიცი, ბატონი გიორგი რომ არ ყოფილიყო, კალისტრატოვიჩის მაგიდაზე იქნებოდა ახლა.

— მაჩვენე, სადაა?

მდივანმა საქაღალდეზე მიუთითა. ბუჭამ ჯერ თვალებით ისეირნა საქაღალდეში, მერე შიგ გადაეშვა და მანამ არ აუწევია თავი, სანამ ყველა ნაკუწი კურტაკის ჯიბეში არ გადაიადგილა. ნუნუკას უთხრა, თუ ვინმემ მიკითხოს, გასული ვარო. თავის კაბინეტში შევიდა და კარი შიგნიდან ჩაკეტა. სამი საათის მერე გამოვიდა, შემოვიდა ჩემთან და ახლა ჩემი კაბინეტის კარი ჩაკეტა შიგნიდან. გახსნა საქმის ყუა და დამიდო მაგიდაზე სამსაათიანი შრომის ნაყოფი, — გამჭვირვალე ქაღალდზე დაწებებული წერილის ნაკუწები თითქმის მთლიანად აღედგინა, მხოლოდ ორ ადგილას აკლდა პატარა ფრაგმენტი.

— ვიცი, ის ქალია, შალვოვიჩ, როგორც დაგვინახავს, მოჰყვება წყევლა-კრულვას, ყომარბაზებს გეეძახის, ველარ მოვითმინე ერთხელ, ვაგინე მკვდარი და ცოცხალი, ახლა გახსენებია ამ ვირიშვილს, ამას, ნახე რას წერს!

ღრმად პატივცემულო, ამხ. პროკურორო!

ძალიან ბოდიშს კი ვიხდი თქვენი ძვირფასი წუთების მითვისებისათვის, მაგრამ ეს წერილი, რომელიც ჩემი ალალი გულისწყრომის კარნახითა და თქვენდამი დახმარების მიზნითაა დაწერილი, ბოლომდე უნდა წაიკითხოთ და გამოიტანოთ სათანადო დასკვნები, რათა ჩვენი საბჭოთა კავშირი და სოციალისტური რევოლუციის მონაპოვარი არ გაანიავონ ისეთმა ხორცმეტებმა, თქვენი თანაშემწე, შრომის ვეტერანის მედლის მფლობელი, პროკურატურის პირველადი პროფორგანიზაციის კულტმასობრივი მუშაობის კომისიის თავ-რე, ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ მებრძოლი კომისიის თავ-რე, სკკპ წევრი წლების განმავლობაში, ბუჭა კალისტრატესძე ჭახათელი და მისი ამფსონები არიან.

ამხ. პროკურორო! ზემოთაღნიშნული პირი, თანაც პროკურატურის პასუხისმგებელი თანამშრომელი, სისტემატიურად

დეიარება მასავით გათახსირებულ ცხოვრების მუწუკთან, გ-კ-სთან (ნახე რას წერს, სისტემატიურადო, ყოველდღე სად მცალია, დიდი დიდი ოთხჯერ, ჰა, ხუთჯერ შეეიკრიბოთ კვირაში.) გვიან ღამემდე არ წყდება აზარტული თამაშები, ლოთობა სვამენ: არაყს, შამპანურს, პოლონურ, ჩეხურ და ბავარიულ ლუდს (ბავარიული ლუდი საერთოდ არ გამისინჯავს)... მერიდება, მაგრამ უნდა ვთქვა, ბოზობა, რადგან ხშირად თან ახლავთ მათსავით აღვირახსნილი ქალები (ერთბელ შახლდა ლიანია და ხშირადო წერს, ხედავ?) გადადიან ყირაზე და არ აძლევენ პატიოსან შრომის ფერხულში ჩაბმულ მეზობლებს კანონიერი დასვენების საშუალებას, რომ მეორე დღეს აღდგენილი ენერგიით თითო ანგური შესძინონ კომუნიზმის დიად შენობას (რას წერს ეს დებილი, მაგათი აგურით ნაშენები რომაა, კიდეეაც ეტყობა იმ შენობას).

ამხ. პროკუროვო! დროზე მოიცალეთ გვერდიდან ბუჭაია ჭახათელი, რომელიც მისი ქმედებით არცხვენს მთელს თქვენს უმწიკლო კოლექტივს და ჩვენს ქალაქს.

თუ ჩემს წერილს სათანდო რეაგირება არ მოჰყვა, მეორე წერილს, უფრო ვრცელს, უფრო დოკუმენტურს და ჭახათელის „მეგობრების" ზუსტი ანკეტური მონაცემებით, მე ვიცი სადაც გაეგზავნი.

მაგრამ იმედი მაქვს თქვენი სიბრძნის, როგორც ჩვენი ქალაქის კანონიერების ბურჯისა და კომუნისტური პარტიის მოთხოვნილებების ცხოვრებაში განუხრელად გამტარებლისა და ალბაი სათანადო ზომებს მიიღებთ აუტანელი მდგომარეობის აღსაკვეთათ.

თქვენი კეთილისმსურველი.

(ისე შენი კეთილები) შიშნარევი მზერით მომაჩერდა ბუჭა.

— ეს რომ შეფს ენახა, დამთავრებული იყო შენი დილაოდილა, ამიტომაც დავხიე, თუ სხვაგან გაგზავნა, როგორც იმუქრება, მაშინ ხარ ცოდვა. ვიცი ვინცაარ, იძახი, ავი და კარგი კი არა, ბოდიში მოუხადე და თუ საჭირო იქნა, უნდა იყიდო კიდეც. ერთი სიტყვით, უნდა ეცადო, გააჩუმო...

— კი, გიორგის ვენაცვალე, ძმა ხარ ჩემი, მაგ საქმეს კი მოვუვლი, რახან ღმერთი შეგვეწია და არ გახმაურდა.

მერე შევიტყვე: მისულა ბუჭაია იმ ქალთან, პატიება უთხოვია, მყუდროებას გირღვევდით, აწი აღარ შეგაწუხებთო...

— წადით, გადაშენდით, რა საქმე მაქვს თქვენთან, მე ჩემი ყომარბაზი შვილები მეყოფა, თქვენ თუ გინდათ ქვაი იხალეთ თავში. წადით, დამეთხუეთო — და თვითონ დაეთხოვა თურმე — შესულა სახლში.

ერთ დღეს ზეზვას შევხვდი და ამ ამბავს მოვუყევი, ასე იყო და ასე-თქო. არ გადაირია ხევსური? მართლა ეგრე იყოო, მართლა-მეთქი. ბუჭაიას მოვუტან კანისტრასო, იძახდა.

— რამ გაგაბრაზა-მეთქი, — ვეკითხები სიცილით.

— მეც წამაკითხა ეგ დაწებებული ანონიმკა და ათასი მანეთი გამომართვა იმ ქალის გასაჩერებლად ჩემდაწილად, ანტუშამაც ასე მომცაო, ნაკლებად არ შვება ის შობელ-ძაღლიო.

იმ კვირაში ფსიქიატრიულშიც მომიწია მისვლა, ერთი კაცისმკელელი იგონებდა სიგიჟეს, იქ შევხვდი ანტუშას, ჩემი საქმე რომ მოვილიე, სხვათა შორის ის ამბავიც მივაყოლე. ახლა ანტუშა გახდა დასაბმელი, თავის პაციენტებზე უარესად შეიქნა, ბუჭაიასო... და ცოფები ჰყარა. მრავალგზის ახსენა კანისტრაც და კანისტრაზე მძიმე რაღაცეებიც, ანტუშასაც დაუდვია მისი წილი ათასი მანეთი. ათასი მანეთი მაშინ ფული იყო. ძმაკაცებიდან აღებულ ორიათას მანეთს თავისი წილიც დაუმატა ბუჭამ თურმე და ქალიშვილს ისეთი ქორწილი გადაუხადა, ჩიტის რძე არ აკლდა მაგიდას, მე ვარ მოწმე. გააკეთებდა კიდეც, ძირითადი პროდუქტი უფასოდ უშოვია. წონა და გამავლობა ჰქონდა ქალაქში და. იმიტომ.

კომუნისტები რომ დაითხოვეს, ბუჭაიაც გაუშვეს პენსიაზე. მანდატი კი გადააგდო დროზე, მაგრამ კომუმისტი იყავიო, გაუხსენეს. ერთხანს ადვოკატურაში იმუშავა, მაგრამ რად გინდა, ვიღას სჭირდება უიარაღო დამცველი, ვინც სულს

ღაფავს, რაღად უნდა დაცვა. ვისაც სული უდგას, თვითონ ირჩევს იარაღში ჩამსხდარ დამცველებს. დარჩა ბუჭა თავისი გამოცდილებით და სპეციფიკური ცოდნით მთხლესავით, აღარც ღვინოდ ვარგა და აღარც ძმრად. ერთი მიბრუნება მიუბრუნდა მამისეულ ტყაჩირს და გაუშინაურდა სოფლის მეურნეობას. სოფელი უფრო ძნელი გამოდგა.

ამ ბოლოს თავისი სახლის პირველ სართულზე ერთი ოთახი კომერციულ მაღაზიას დაუთმო, თვითონ ამარაგებს, ვიღაც გამყიდველი აუყვანია. ერთი-ორჯერ ავტომიატიან ჯეელებს შეუვლიათ, უცხოური სიგარეტები და შამპანურები წაუღიათ უთვლელად და უფულოდ. ასე არ ივარგებსო და ბუჭასაც მოუძებნია ვიღაც ავტომატიანი დეტექტივი, მეტსახელად „ზუბა“, ხელფასი დიდი, მადა დიდი, მუცელი დიდი, მაღაზიის მოგება ყოფნის და არც ყოფნის ზუბას.

კომერციული მაღაზიის წინ, რომლისთვისაც პატრონს „ტყაჩირი“ დაურქმევია, ხშირად დგას უკანაპირისახეზე ხელებდაწყობილი ბუჭაია და თავისთვის იძახის: მაგას მოვუტან კანისტრასო. კაცმა არ იცის, ამჯერად ვის ეკუთვნის კანისტრა.

სოფელი, ჩემი სოფელი...

ესტატე

„წიგნს მოკიდე ხელი, თუ არა ერმალოზის ბიჭივით ილაყუნებ აღმა-დაღმა", — მიჩიჩინებდა ესტატე ბაბუა დღენიადაგ. მის წყენინებას თავით მარილის ნაყვა მერჩივნა. გამოვიტანდი ჭიკოიას ნაქონ წიგნს, ჩამოვჯდებოდი ნიგვზის ჩეროში, ძველ ბუხრისთავის ქვაზე და ისე ხმამაღლა ვკითხულობდი, გაღმელი თანატოლები, რიკტაფელას თამაშის დროს, წაუკითხავად სწაელობდნენ სახვალიო გაკვეთილს. სკოლიდან მაინც ისეთი ნიშნებით ვბრუნდებოდი, სხვადასხვა მიზეზით მტერ-მოყვარეს რომ ვერ გაუმხელს კაცი, სულ წკიპზე ეკიდა ჩემი კლასიდან კლასში გადაყვანა.

მერვე კლასამდე ვაჯახირებდი დირექტორს, მასწავლებლებს, ბაბუას და საკუთარ თავს. მერვეში ბოლო გამოცდა ვერ ჩავაბარე და... სახლში დაყურული დავბრუნდი.

— გაგიწყრა გამჩენი ხომ?! — შემომიღრინა ესტატემ. ახლადგამოკვერილი თოხი ხელუკულმა ისროლა და მარცხენათი, რომელიც ბარეორის მარჯვენას სჯობია, თქვენგან მოწონებული ალიყური მცეცხლა. უკულმა დატრიალდა ბაბუასეული ეზო-გარემო და ვანიჩკას მინდორში რომ მწარე ბალს ვხეთქე თავი, უკან მერე მოვიხედე, რა მომარბენიებდა-თქო.

— ფეხი არ მოიცვალო, მაქ მომიცადე, — მომაძახა ესტატემ.

სადღა წავიდოდი. ხის ძირში ჩამოვჯექი გულზე გაბღიზინებული და თვალი მივადევნე, მზე ლოთის თუმნიანივით როგორ იხარჯებოდა საწვიმრად შემზადებულ ღრუბლებში. ვინატრე წვიმა, კოკისპირული, ამას წინათ რომ იყო, ისეთი, მაგრამ მზემ ისევ მალე შემოიფლითა საავდრო სამოსელი და

კვლავ გამოეჩხირა ვანიჩქას კოპიტებში. თავი ჩავხარე. ახლა ჭიანჭველებს დავაკვირდი, ჩემს ფეხებთან მიწაზე ცოცხალი ხაზი რომ გაებათ და საქმიანად დაქუქცუცებდნენ. მალე ისევ ჩამოიქუფრა. ავიხედე. ახლა ესტატე აპფარებოდა მზეს. ორ თოხზე ჩამოყრდნობილი მომჩერებოდა. ერთი გამომიწოდა და უკმეხად მითხრა:

— მოკიდე ხელი ამას, მეტი მაინც არაფერი გამოვა შენგან.

წინ გამიძღვა, ნაგვიანები ყანისკენ, „საღამომდე ორ სერელს გავიტანთო“ — უკანმოუხედავად თქვა ასე.

ესტატეს ხმაში ძველებურად თხოვნა კი არა, ბრძანება იყო. „უარესი მეკუთვნის“, ვფიქრობდი გულჩაწყვეტილი და ბალახმოძალებულ მიწას დაბოლმილი ვჩორკნიდი.

რაღაცნაირად ესტატეც აჯოჯოხეთებდა თავის ხასიათს. მშიერი მგელივით აწრიალებულ ფიქრებს ისე მივუხვდი, თითქოს ხმამაღლა ეთქვას: „რავა დავამახსოვრე. ხელი ამხელა ბიჭსო; სხუმის მეტი ეკუთვნოდა, ვერ გავიმეტე, ახლა რა ჯანდაბა მეტაკაო; მერე რაფერი ამაყია, ნახე რამდენ ხანს იქნეს ჩემზე გულმოსულიო; სულ მამამისის ხასიათი აქვს ამ ვირისთავსო...

ერთი სერელი ისე გავიტანეთ, დაღლა არ გვიგრძვნია, არც ხმა გაგვიცია, დროდადრო ქურდულად გავაპარებდით ერთმანეთისკენ მზერას.

ყანის თავში ჩამოჯდა ესტატე, თუთუნს მოუკიდა.

— დაჯექი, ბაბუა, მუხლი მოატყუე, — მითხრა თოხის ტარზე ჩამოსვენებულს და მტყუანივით გაეღიმა. მისი ღიმილი წელანდელ მზეს ჰგავდა, ღრუბლებიდან რომ ძლივს დააღწია თავი, მერე მზერა მომარიდა, მივხვდი, ყინული გამლღვალიყო. გული ამიჩუყდა, ცრემლი მომეძალა. მარტო ვყოფილიყავი, ვიტირებდი ალბათ. მომინდა, მივვარდნილიყავი და ჩავხვეოდი მოხუცს, მაგრამ ეს რომ გამეკეთებია, ბაბუასთანაც ვერ შევიკავებდი შიგნიდან მომსკდარ ნაღველს, მხოლოდ ტირილით რომ მოიფონებს კაცი. ისღა მოვახერხე, გვერდით მივუჯექი და მიწას ჩავაშტერდი. არ მინდოდა, ცრემლით დაბინდული თვალები მენახვებინა მისთვის.

მოხუცმა იმ ხელით, რომლის კვალი ალბათ ჯერაც მაჩნდა სახეზე, თმა ჩამომფარცხა. ამას კი ვეღარ გავუძელი და რაღაც სასწაულით შეკავებულმა ცრემლებმა თავისი გზა ნახეს. სახე მუხლებში ჩავმალე.

ესტატემ მადროვა, სანამ გულს მოვიოხებდი.

— ყური მათხოვე, — ისე დაიწყო, ჩემსკენ არც გამოუხედავს, — შენ ჯერ ბავშვი ხარ, თავსაყარი ოქრო გაქვს ხელში. ეს ოქრო დროა. ოქროს ჭკუით უნდა მოხმარა, თუ არა, ისე შემოგეფცქვნება, უკან მოხედვას ვერ მოასწრებ. არ მინდა ცხოვრებამ დაგჯაბნოს. შენთვის ვამბობ და ქვეყნისთვის, ბაბუა! თორემ ჩემთვის კაი ხანია შემზადილი უნდა ჰქონდეს კაცს ოთხი ფიცარი. არც ის ვარგა, მიუწვდომელს შეეპოტინო, მთავარია ადამიანი იყო, იცოდე სიტყვისა და საქმის ფასი. ისე, რასაც გააკეთებ, კარგად გააკეთე და ეგაა.. ღმერთმა აცხონოს ბაბუაჩემი, კაცს თუ სიტყვას ეტყოდა, მოკვდებოდა, მაგრამ შეასრულებდა. ის რომ ჩოხას შეკერავდა, ییფ!.. ახლა მამაჩემს არ იკითხავ? მასეთი მჭედელი სად იყო. რობაქოს დამღიან წალდს თუ ნაჯახს, ცელს თუ ნამგალს, ხელიდან სტაცებდნენ ერთმანეთს ჩხარის ბაზარზე, აბა!

არაფერი მიპასუხნია. წამოვდექი, ბროწეულის საქარში შედგმული თუნგულა გამოვიღე, — დალიე-მეთქი, — გავუწოდე „ჯერ შენ გეკუთვნისო“, მანიშნა, მოვსვი. მერე ცოტა მიწაზე გადავღვარე, როგორც ბაბუამ იცოდა. მოხუცმაც მოიკლა წყარვილი. დოქს ლელვის ნეშო დაახურა და კვლავ საქარში შედგა. თოხნა ისევ უხმოდ გავაგრძელეთ.

საოცარი კაცია ესტატე, — ვფიქრობდი ჩემთვის, — ქველი და რობაქო მოიგონა, თავისთავზე არაფერი დასცდენია. არადა „მსგავსი ოსტატები სადღა არიანო“, ასე თქვა მუზეუმიდან მოსულმა კაცმა, შარშან ბაბუას ნახელავი ქამარ-ხანჯალი და ვერცხლის სასმისი რომ წაიღო. ამ ბოლო ხანს გასივდა კაცი გულზე, ვეღარაფერს აკეთებს. არც ხელი უჯერის, აღარც თვალი უჭრის ძველებურად, ხუხულაში ხშირად შედის, გადაფერთხავს მტვერს, გაწმენდს ხელსაწყოებს, ცოტა ხნით ჩამოჯდება, იმ სიმღერასაც წაიღიღინებს, მუშაობისას რომ იშველიებდა.

უადგილო ადგილას გაუწყდება ხმა. მერე ეშმაკს შეაფურთხებს, სიბერის მომგონს დაწყევლის და მომაკვდავის პატრონივით გამოდის გარეთ. ამ დროს იმაზე ხნიერი და მოტეხილი გეგონება, ვინემ სინამდვილეშია. მხრებჩამოყრილი და მობუზული დააშტერდება მიწას, თითქოს რაღაც დავიწყებულის გახსენებას ცდილობსო, მერე უცებ მხრებს გაშლის, წელში გასწორდება, თითქოს წლები ჩამოიფერთხაო და წინ ისევ თვალმოჭუტული, კვლავ რაღაცაზე ჩაფიქრებული, ჩემი ბაბუა, ნამდვილი ესტატე დგას.

მეორე სვრელი რომ ამოვათავეთ, მზე შინდოვნის მთაზე ჩამომჯდარიყო. ცოტა ხანს დაღლილი კაცივით იყურა იქიდან, მერე თვალი ჩაუკრა სოფელს და გაუჩინარდა. წყაროზე ხელ-პირი დავიბანეთ, თუნგულა ახალი წყლით ავავსეთ და სახლისკენ გავსწიეთ.

მოკაჟვინჭკებულ საურმე გზაზე, ფეხშიშველი, ტანშოლტანა გოგო მოაბიჯებდა. ქარს თავის ჭკუაზე აეყოლიებინა მისი გრძელი თმები და მოკლე კაბა. ვერ ვიცანი ასე შინაურულად ჩაცმული უცხო გოგო. მანაც დაიჭირა ჩემი დაჟინებული მზერა. მომარიდა თვალი და ღობის გასწვრივ ჩარიგებულ ტირიფებს ნაწყენივით რაღაც წაუბუზღუნა. მერე ისევ მომიხედა და კვლავ ტირიფებს ჩააცივდა.

— დამუწე ბაბუა პირი და წამოდი, ამ საურმე გზას მალე სამანქანოდ გადააკეთებენ და მაგისთანები აივლ-ჩამოივლიან?! — შემაფხიზლა ესტატემ.

კი ვიცოდი, გზას ბევრი ამვლელ-ჩამვლელი ჰყავს, მაგრამ იმ უცხო გოგოს ევლო მინდოდა. წელმოწყვეტილივით გავაგრძელე გზა.

ესტატე ჩემსკენ მობრუნებულიყო, თოხზე ორივე ხელთან ერთად ნიკაპიც ჩამოესვენებია და სახეზე ღიმილშეყინული იყურებოდა. ვერ მივხვდი, მე მომჩერებოდა თუ ბინდმოძალებულ სოფელს ჩასციებოდა. წინ ავესვეტე. ყურადღება არ მოუქცევია. ალბათ მისმა ბებრულმა მეხსიერებამ წლებწაფარებული, გულისკუნჭულში ჩარჩენილი, ტკბილი მოგონება ამოატივტივა და შიგ გაჩხირა.

— ბაბუა, ვისია თუ იცი ის გოგო? — ეკითხე გაუბედავად.

— აჰ! — უაზროდ შემომხედა მოხუცმა. — ჰოო!! ის გოგო?! ბაბილინას შვილიშვილია ლელუკა, წელს არდადეგებს ჩემთან გაატარებსო, ბებიამისმა.

— აბაჰ!

— მოგეწონა თუ?

— არა, კაცო, ისე...

— ისე შეიძლება, თუ არა შენისთანა თოხმომარჯვებული ბიჭისთვის არ ეცლება მაგას. ბაბილინასაც ბევრი უპრაწავდა თვალებს, მისი ხათრით მეც წამდაუწუმ ვისწორებდი ქოჩორს.

— მერე?!

— მერე ჩემი ქოჩრის სწორებაში დიმიტრიმ სამხედრო სასწავლებელი დაამთავრა, ჩამოვიდა სოფელში აფიცრის ფორმაში გამოწკეპილი, სტაცა ხელი ქურციკივით გოგოს და მეორე კვირას ქორწილში მიგვიპატიჟა. ასეა, — ამოიხვნეშა ესტატემ, თოხი ყუით დაჰკრა მიწას, დაღამებულაო თქვა და სახლისკენ წალასლასდა.

მთელი ღამე არ მიძინია. ამოვიდე თავქვეშ ხელები და ვფიქრობდი იმ გოგოზე,ლელუკას რომ ეძახდნენ, სარკესავით თვალები რომ ჰქონდა, შიშველ ფეხისგულებს რომ აჩვევდა სოფლის შარაგზას...

ცის იმ ნაწილზე, ჩემი ფანჯრიდან რომ მოჩანდა ღრუბლებს შორის, ერთი ვარსკვლავი კიაფობდა. სხვა დროს ყურადღება არ მიმიქცევია. ახლა სულ სხვანაირად კაშკაშებდა ის დალოცვილი.

მეორე

ეზეკიას მამალს ფედოსია ქვრივის ვარიები ესიზმრებოდა, ანთიმოზი რომ წყაროდან დაბრუნდა. პირსაბანი შეაესო, ხელ-პირი დაიბანა, მერე ალმაცერად ახედა ცას.

„კაი დარი იქნება დღესაც“, — ჩაილაპარაკა ჩუმად. კოპიტის ჯირკში ჩარჭობილი წალდი ამოაძრო. გუშინდელი ნამოროდი წაიღლვანია და საპირეში ჩაუჩეხა ძროხას.

— გვრიტინე, ჯეყურება?! — გასძახა ცოლს.

— ბატონო! — გამოეხმაურა სამზადიდან ქალი.

— ცოტა დაუჩქარე, გამოწველე ძროხა, მერე ორ ლუკმას წავიხემსებ და წავალ საქმეზე.

— დაითქვი სული, — კარდალას გამოვრეცხავ და მოვალ.

— ბოშო, ის გოგო კიდევ არ ამდგარა ზეზე?!

— არ ამდგარა, არა, ისევ აიტკივა რაღაც, ნეტა კარგად იქნებოდეს.

— ვიცი მაგის ტკივილ მე, სიზარმაცე ქვია მაგას, მზე რომ წამოადგება ლოგინში, რისი მაქნისია მერე ის?..

გვრიტინე ჯორკოლაზე მოკალათდა. ხბოს რამდენჯერმე დაათელევინა ძროხის ძუძუები, მერე ბოძზე გამოაბა და წველას შეუდგა.

— ივანობისთვეში თუ ამინდები დაიკავა, მოსავალი კაი გვექნება, — აჰყვა ანთიმოზი რძის ჩხრიალს.

— კაი დაგემართოს!

— გერმოგენას ბიჭმა, ჭუტიამ, შარშან ცოლი რომ ითხოვა, ხომ გახსოვს?

— რავა არა, პარიკმახერის შავი გოგო, დაბლა სოფლიდან.

— ჰო, ბოშო, იმ შავ გოგოს სამი ბიჭი შეძენია გუშინწინ.

— აბაჰ, ერთად, კაცო?!

— ერთად, გადარეულია კანტორაში ხალხი.

— ონისიმეს ბიჭს გაუშვია ის ქალი, შენ რომ მოგეწონა პოლექსის გასვენებაში, „უმაღლესი იმიტომ დავამთავრე, სოფლის ტალახი ვზილოო“...

— დაუდგა თვალი და ყური, — მიაჯოჯოხეთა გვრიტინემ ონისიმეს დიპლომიან რძალს.

ანთიმოზმა მათარა მოძებნა, წყლით აავსო, საველე ჩანთა მხარზე გადაიკიდა, ტარმოკლე წალდი ქამარში გაირჭო, გვრიტინეს დაუცახა, ძროხა კიმოთიას ნაველნახარში ჩააბიო და ჭიშკარი მიიხურა.

ჩქარი სიარული იცოდა ანთიმოზმა. მხრებში ოდნავ მოხრილი, გრძელ, ყუნცულა ნაბიჯებს ისე წაადევნებდა, გეგონებოდა, სამოთხეში აგვიანდებაო. ოდნავ წინ გამოშვერილი ნიკაპი, თუთუნისაგან შეყვითლებული თეთრი ულვაშები, ტუჩებს შორის გამომზირალი ფოლადის სამი კბილი, ბარაქიანი, კეხიანი ცხვირი და სქელ წარბებს ქვემოთ ჩასაფრებული, ნაცრისფერი, დიდი თვალები, მიუკარებელი, კუშტი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა, სინამდვილეში, მისი წერილი ხმა ქალისგან გეგონებოდათ ნასესხები, ხასიათი კი გულუბრყვილო ბავშვისა ჰქონდა.

ოც წელზე მეტია, ანთიმოზი სოფელ გვიმრიანის კოლმეურნეობის მეველედ მუშაობდა.

„ერთობ დიდი საქმე მაქვს ჩაბარებული და კარგი გაძღოლა უნდაო", — შეიცოდებდა ხოლმე საკუთარ თავს სხვების გასაგონად, — „ხუმრობა ხომ არაა, როკიანის ბოგირიდან შინდოვნის მთამდე, ყველაფერი ჩემი საპატრონო-საჯახიროა, ასი თვალი და ყურია საჭირო, აბა, ჩეროში კოტრიალი და უხადი ჭურის დაჭაშნიკება, იცოცხლე, ადვილია. საქმე მითხარი შენ, საქმე, ამხელა სოფელს მოვლა არ უნდა?! რეტი დაესხმება კაცს. ააშენა ღმერთმა ჩვენი თავმჯდომარე. ბულალტერს ჟიგული ჯამოუყო, ფერმის გამგეს — მოსკვიჩი, მე — ენა... ცოტა გაუძელი და ამ ორ წელიწადში იქნებ ცხენი გაგიხერხოო".

ამ ფიქრებში ანთიმოზს ერთი სამოყვრო გზა ჩამოეთიხარიკებია და ახლა ლომინის დობილოს ღელე-ღელე მიუყვებოდა. ცოტა შეისვენა, პირზე წყალი შეისხა, ქვაზე ჩამოჯდა, სიგარეტი ამოიღო, ასანთს გაპკრა, ჩაუქრა, ჩაუქრა მეორედაც. — გრისხა ღმერთმა! — უგუნებოდ გააფურთხა გვერდზე.

— სასიკეთო პირი უჩანდა მოსავალს, ეს ქარ-სიცხე მო-

ხარშაეს ახლა, — მეველეს ზურგიდან მხარზე თოხგადებული კაცის ლანდი წამოეპარა.

— ან-ან-ანთიმოზს გა-გა-გა...

— ვაგიმარჯოს, ფოლია! — არ დაამთავრებინა სიტყვა მხეიძეების ენადაბმულ, ერთადრეთ მემკვიდრეს.

— რა-რა-რა...

— რავა ვიქნები, კარგად, თავად?

— კა-კა-კა...

— კარგად გამყოფოს მამაზეციერმა, — კელავ დაასწრო ანთიმოზმა, სანამ ფოლია ახალ რამეს მოაცოდვილებდა...

— გაიგე?! გერმოგენას რძალს სამი ტყუპი შესძენია, ონისიმეს ბიჭს ქალი გაუშვია, ეზეკიას გოგო გაპარვია, პირდაპირ ონოფრიას ბიჭის ქორწილიდან გაკიდებია ჭოგნარელ მედილეს. კიმოთიას ნათლიდედა, აღათი მეოთხედ დაქვრიეებულა.

— სა-სა-საწ...

— საწყალი კი არა, „კუდიანიაო, ასე ამბობენ.

ანთიმოზმა სიგარეტი ღელეში მოისროლა. „კარგად მეყოლეო", — დაემშვიდობა პირღია დარჩენილ ფოლიას და სანამ იგი რაიმეს კითხვას მოახერხებდა, ღიღინით დაითავდაღმართა ვენახებისკენ.

მთელი სოფელი ანთიმოზს მოსიარულე ცნობათა ბიუროს ეძახდა. უცნობიც რომ შეხვედროდა, სალამ-ქალამის შემდეგ რაღაც-რაღაცეებს გამოჰკითხავდა. თუ საინტერესოს გაიგებდა, საღამოს გვრიტინეს მიახარებდა, სახლში მისვლამდე, ვინ იცის, კიდევ რამდენს დააპურებდა სოფლის ავ-კარგით. ეს ჩვევა სულში და ხორცში ჰქონდა გამჯდარი, ავად გახდებოდა, ვინმესთვის ახალი არ ეთქვა.

ფაციას ძროხა შემოდგომაზე მოიყვანს ხბოს, კირილეს მიტოვებული სამჭედლო ქარმა წააქცია, პროკლეს გოგო აგრონომიულზე მოეწყო, ანტონას ბიჭი ვირმა გადმოაგდო, საულია მომსპარმა მაჩვი დაიჭირა... წაბამდა სულმოუთქმელად. უნდა გენახათ, რა სიამოვნებას ჰგვრიდა ახალი ამბით გაკვირვებული თანასოფლელი, თვალებდაკუსული რომ უსმენდა წყაროსავით მორაკრაკე, ენადგაკრეფილ ანთიმოზს.

მსმენელი შეკითხვასაც ვერ ასწრებდა, ანთიმოზი უკვე მეორესთან ილექსებოდა.

— აპალონს გაუმარჯოს! — მიესალმა ღობის რაგვით გართულ მეზობელს მეველე.

— გაგიმარჯოს ანთიმოზ!

— ეს ქარ-სიცხე გვაკლდა?!.

— აბა!.. თავმჯდომარე კანტორაშია თუ იცი?!

— არა! გუშინ თბილისში წავიდა, ფერმის გამგე ბიულეტენზეა, კოპერატივში მაცივარი და ნავთი მოიტანეს, პოლიექტორმა ლატარიაში ველოსიპედი მოიგო.

— ანთიმოზ! მოიწი აქეთ, ჩეროში ჩამოვჯდეთ, გეტყობა, დაღლილი ხარ!

— დაღლილი კი ვარ, მაგრამ სად მცალია, ჩემი საქმის პატრონს, ჭალას უნდა გადავხედო, არაფერი იყოს შეპარული.

— აბა, კარგად იყავი!

— კარგად გნახე!

— რას მიზდევს, სად გარბის, — მხრები აიჩეჩა აპოლონმა და ჩორთით მიმავალი ანთიმოზი დამცინავი მზერით გააცილა.

მეველემ აღმართი აიარა, ჭალას გადახედა და თვალები კინაღამ გადმოცვივდა. ქვემოთ, შალიკოზე გაპიროვნებულ ყანაში ბაწარშეწყვეტილი შავი ძროხა მიწიდან ერთ ჩარექზე პარსავდა ახლად ულვაშაყრილ სიმინდს.

— აუჰ! ვისია აწი ეს უპატრონო!

ფერდობზე სირბილით დაეშვა. ყანის ბოლოში დაიჭირა აპალონის ძროხა. იქვე ხეზე მიაბა. ოფლი მოიწმინდა, ბროწეულის სახრეს დაწვდა და ერთი-ორი ისეთი უთავაზა, თეითონვე შეეცოდა პირუტყვი.

— შენ რას გერჩი, შენი პატრონი მყავს ტყავგასაძრობი. წელან რომ მეპატიჟებოდა, აგერ ჩეროში ჩამოვჯდეთ, თუთუნი გავაბოლოთო.

ანთიმოზმა საველე ჩანთა გახსნა. დავთარი გაშალა. ქიმიური ფანქარი ამოიღო, ენის წვერზე დაისველა, ცოტა დაფიქრდა, ხელმეორედ დაასველა ფანქარი და იმ გრაფაში, სადაც ეწერა, „პატრონის გვარი და სახელი", აპალონ მამალაძე ჩაწერა. მერე თანმიმდევრულად შეავსო:

პირუტყვის დასახელება — ძროხა.

აღწერილობა — შავი, შუბლზე თეთრი ნიშანი.

ზარალის რაოდენობა — ანთიმოზი ფანქრიანი ხელით სიმინდების თვლას მოჰყვა. სამოცდაშვიდი ჩაწერა გრაფაში.

დაჭერის დრო — სადილობამდე.

შემთხვევის ადგილზე მოწმე არ იყო. სოფ. გვიმრიანის კოლმეურნეობის მეველე ანთ. კოპალაძე.

ანთიმოზმა დავთარი შეინახა. კვლავ მოიწმინდა ოფლი, მათარიდან წყალი მოხვა, მერე ძროხა აუშვა და წაიყვანა.

აპალონის ძროხა მეველემ ფერმის ყარაულს ჩააბარა, ჯარიმის ქვითართან ერთად სოფლის ახალ-ახალი ამბებიც დაუტოვა და უკან გამობრუნდა.

„მზის ჩასელამდე ყორნელას, საკაკილე მთას და შინდოვანს მივიარ-მოვიარ და ეგ არის", — დაგეგმა დღის მეორე ნახევარი ანთიმოზმა.

ყორნელა მოათვალიერა, საკაკილე მთაზე მუხლი მოატყუა, ქვაზე ჩამოისვენა. სიგარეტი მოძებნა და ისე ხარბად გააბოლა, არამწეველსაც შეშურდებოდა. ქვემოთ ხელისგულივით მოსჩანდა მთელი სოფელი. ვითომ ჩემი კუკურია ნაკლებად იცხოვრებდა აქ? მარტო შემოდგომაზე რომ ახსენდება სოფელი? აგერ ჩემი ფოთოლაც ქალაქისკენ იქაჩება. ამ ბოლოს რაღაც ავადმყოფობა მოეძალა, ექიმთანაც ყავდათ, წამლები გამოუწერია. დროზე უშოვნეთ თუ არა, საშიშია, სხვა რამედ არ გადაიქცესო. მასუკან აღარაა გვრიტინე ხასიათზე. დასწყევლოს ღმერთმა! ცოცხალ კაცს რა გამოულევს საფიქრალს.

ანთიმოზი წამოდგა, ხელი მოიჩრდილა. დაკვირვებით გადაჩხრიკა თვალსაწიერი და უკან გამობრუნდა.

„ამ საღამოს წყალს მოვზიდავ, შაბიამანს ჩავკიდებ, ხვალ ვენახს შევწამლავ, თუ არა, გაფუჭდა წრეუნდელი მოსავალი. კუკურიას იმედზე დადგა ჩემი მტერი. კი შემპირდა, წყალი დამახვედრე, დანარჩენი მე ვიცი, მარა ყადაა".

ანთიმოზს ვენახი ეზოდან მოშორებით ჰქონდა, წყაროსთან. რვაასი ძირი ცოლიკაური ბროწეულის ცოცხალი ღობით იყო შემოკავებული. ვენახის ჭიშკარი რომ შეაღო, მზე ახალი ჩასული იყო.

„უყურე შენ! როგორ გაულახავს ქარს, — ჩაილაპარაკა უგუნებოდ. იქვე, ნახევრად წაქცეული ქვევრიდან, წყალში დამბალი ლაფნის ტყავის სახვევი ამოიღო, ჩამოშლილი ლერწები ხელახლა ააკრა ხარდანზე, — ყოველწუთში უნდა კაცის ხელი ამ დალოცვილს. თუ დააკელი რამე, შემოდგომაზე დაგსვამს მშიერ-მწყურვალს.

წყაროსთან მჯდომი ქალების ლაპარაკს მოჰკრა ყური უნებლიედ. მიშიკოს რძალი დედამთილის ძვირებს უყვებოდა ონოფრიას ცოლს.

ანთიმოზი ჩაცუცქდა, დააყურა, ქალმა თუ თავი მიხსნა, რაღაც კიდევ წამოცდებაო.

— იმ თვალდამდგარს, გვრიტინეს გოგოს, რა მოსვლია, გაიგე?! — წამოიწყო ონოფრიას ცოლმა.

გაოგნებული ანთიმოზი გაქვავდა, სისხლი გაეყინა.

— არა! რავა? — ჩაეკითხა მიშიკოს რძალი.

— გვრიტინე რომ იძახოდა: „რაცხა აწუხებს, ჩამოხმა ბავშვიო", შენც არ მომიკვდე...

ბოლო სიტყვები ველარ გაიგონა ანთიმოზმა, ონოფრიას ცოლმა პირზე ხელი აიფარა და ჩურჩულით გააგრძელა.

— რას მეუბნები, ქალო! — შეიკივლა მიშიკოს რძალმა.

— კი, ასეა ეს, ოთხი თვის... — მოხვდა ანთიმოზის პელენგატორივით მომართულ ყურს ტყვიის მაგიერი.

— გადარეული იქნება საწყალი ანთიმოზი.

— ანთიმოზმა არაფერი იცის; გვრიტინე ორცეცხლშუაა.

— ჩემო დღეო! რა უბედურებაა! ასი თვალი და ასი ყური უნდა ქალიშვილ ქალს. ბოლო ხანებში მოუხშირა წანწალს, აქ თხას გადავაბამ, იქ ძროხას გადავხედავო, არა და, მოზვერს ხვდებოდა თურმე ორღობეში.

ანთიმოზს ქალების აღარაფერი ესმოდა, სუნთქვაშეკრული ვაზის ძირთან ჩაიკეცა. გურული კრიმანჭულივით დაგრეხილ, თავის ხელით დარგულ, ნალოლიავებ ვენახს დაკოჟრილი, უხეში ხელები მისდაუნებურად შეეზარდა, მთელი ძალა ხელის მტევნებში დაუგროვდა. უნებურად მოსწია თავისკენ. მოთხრილ ვენახს ხარდანიც ამოჰყვა.

იდგა ანთიმოზი ცას და მიწას შორის გაბოხირებული.

ოლიკა

დედამიწა მრგვალიაო, დაიჟინეს ზოგიერთებმა. ბევრი იჭ-ეობდა მის სიმრგვალეს. მხოლოდ ბოშებს არ უკვირდათ. ან კი, რად გაიკვირვებდნენ. ვინ იცის, რამდენჯერ შემოუვლიათ მისთვის, რამდენჯერ შეჩერებულან ადამის ჭიშკართან და ისევ გაუგრძელებიათ გზა დიდ წრეზე, ერთ მშვენიერ დღეს ისევ ამ ჭიშკართან რომ ჩამოევლოთ, ისევ მოეტყუებინათ ცნობისმოყვარე ორფეხი, გაესაღებინათ ჯაჭვი და სამფეხი, წაეღოთ წყალი და პური, და კვლავ გაეგრძელებინათ დიდი წრე — გზა უსასრულო.

აკი მოგახსენეთ, ბოშებმა უფრო ადრე იცოდნენ, რომ დედამიწა მრგვალია. მრგვალია და ბრუნავს ფერით, ენით, სარწმუნოებით, ზნე-ჩვეულებით განსხვავებულ ხალხებთან ერთად. და რახან ჩვენი სოფელი ამ უზარმაზარი, მრგვალი მასის პაწაწკინტელა ნაწილი იყო, ერთ მშვენიერ დღეს აქაც შემორიხინდა დანჯღრეული ოთხთვალა. ოთხთვალას შავ-ყვითელა ბოშების ნახევრად შიშველი ბრბო შემოჰყვა. ელეფთერას უბანში გაშალეს ბრეზენტისა და ტყავის ნაგლეჯებით დაბღონჯილი კარავი. გაახურეს ქურა და სოფლის ხმაურს ბოშების ჩაქუჩების ხმაც შეუერთდა. მათი ქალები კი ტიტლიკანა ბავშვებით იქაურობას გრიპივით მოედვნენ. გაჩაღდა მარჩიელობა, ექიმბაშობა, ხელცივობა და ათასი სხვა თითლიბაზობა.

აგვისტოს მზე დედიშობილა მიჰფიცხებოდა ქვეყანას. წყაროდან ვბრუნდებოდი. დოქი ჩამოვდგი და ნიგვზის ჯირკზე ჩამოვისვენე. გზის გაგრძელებას ვაპირებდი, რომ არჩილის ჭიშკრიდან ბოშა ქალი გადმოვიდა. სამი ბავშვი მოჰყავდა, ერთი — ხელით, მეორე — ზურგით, მესამე — მუცლით. ტყლაპის ნახევი მოეკუშნა, დროდადრო წუწნიდა, პატარა ბავშვი(ხელით რომ მოჰყავდა, მთლად შიშველი იყო. ამოეჩემებია ორი სიტყვა და რაღაცას უკიოდა დედამისს. ქალმა ტყლაპიანი ხელით შეულამაზა ცრემლითა და ჭუჭყით აჭრელებული სახე. უფრო ბეჯითად ატირდა ბავშვი. დედამ შეუყვირა ატირებულ

ბიჭს და ტყლაპის ნახევით დაუცო ღიად დარჩენილი პირი. პატარამ შეწყვიტა ტირილი, ჩააფრინდა ნადავლს და ცოტა ხანში მისი სახის დანახვას არაფერი სჯობდა. როგორც იქნა გაჩერდა ერთი, ახლა მეორემ იწივლა ზურგიდან. მესამე ჯერ-ჯერობით ჭკვიანად იყო.

ბოშა მომიახლოვდა.

— წკალია? — დოქზე მანიშნა.

— წყალია.

— შენ ქაი ბიჩი, — დოქს ხელი დაავლო, ჯერ დალია, მერე პირზე შეისახა. ჯირკზე ჩამოჯდა, ჩვილს ძუძუ მიაწოდა. დაისვენა ყურებმა. სანამ ბავშვი ძუძუზე ერთობოდა, ბოშამ დაწვრილებით გამომკითხა: ახლო-მახლო სახლები ვისი იყო, რა ჰქვიოდათ, რამდენი ცხოვრობდნენ და სხვა ათასი წვრილ-მანი. მეც ყველაფერი ჩავუკაკლე.

— შენ ქაი ბიჩი, — შემაქო, მერე ისევ მოსვა წყალი, რაც მორჩა, ფეხებზე გადაივლო, სტაცა ხელი ტყლაპიჭამიას და უახლოესი სახლისკენ წაბანდალა.

ნესტორას ჭიშკართან შეჩერდა, იქაურობა მოათვალიერა. აივანზე მოხუცი ქალი პატარა გოგონას ათამაშებდა.

— მარჩიელი არ გინდა, მარჩიელი! — შეეხმიანა ჭიშკრის ფალანგებში თავგაყოფილი ბოშა თეკლეს.

— რომელი ხარ?! — ყურზე ხელი მოიმარჯვა თეკლემ.

— მარჩიელი, მარჩიელი, მამალი, ლილა, ვიოლტკა, ფითილი, ლამპის შუშა!

— მზექალასთვის კამფეტს გამოვართმევ, — ჩაილაპარაკა თეკლემ და ხელი დაუქნია ქალს.

ბოშა ეზოში შევიდა. ჭიშკარი გულდასმით გადაკეტა, ეტყობოდა, უკან გამობრუნებას, მაინცდამაინც, არ ჩქარობდა. ხის ძირში, გრძელ სკამზე მოკალათდა, ზურგიდან ბავშვი მოიხსნა, ჭინჭებიანად ბალახში ჩააგორა, მოშილიფდა, ხელად მოშინაურდა. თეკლე დოინჯით დაადგა თავზე, კამფეტს გამოვართმევ და გავუშვებო, მაგრამ... საათზე მეტი იდავიდარაბეს, ბოლოს ბოშამ ძალით უმარჩიელა. იმდენი სიმართლე ილაპარაკა, თეკლეს თანდათან მოუბრუნდა გული.

— კი მარა, ამეებს საიდან ხვდები? — ჩაეკითხა გაკვირვებული.

— აქედან! — უპასუხა მარჩიელმა და ტყლაპში დათხვრილი საჩვენებელი თითით შუბლზე წერტილი დაისვა, კარტი შეინახა და გასამრჯელო მოითხოვა.

თეკლემ დიდხანს იბუჯარა ჯიბეში. მერე ცხვირსახოცი ამოიღო. სანამ გახსნიდა, ბოშამ მსხალი და შავქლიავი ჩამოკრიფა ხეებიდან. ტიტლიკანა ბიჭმა ტყლაპის ნახევი გადააგდო და მსხალს ჩააფრინდა. ამასობაში თეკლემ ცხვირსახოციდან მანეთიანი გამოშიგნა, გაუწოდა ბოშას და ხურდას დაელოდა.

— ხურდა არ მაქ, — იუარა ბოშამ, ჯიბიდან ქაღალდში გახვეული, პატარა, მწვანე ფერის კოკორი ამოიღო, ეს მუცლისტკივილის წამალია და ხურდაში გქონდესო.

— არ გვტკივა, ბატონო, მუცელი! — ხმას აუწია თეკლემ.

— გეტკინებათ! — დააიმედა ბოშამ.

— ქე წაიღო მანეთი, მარა ყველაფერი მართალი მითხრა და რას ერჩი, — ჩაილაპარაკა თეკლემ.

მარჩიელი რომ მეორე მეზობელთან გადავიდა, თეკლე მესამესთან გაჩნდა.

— ეს ვინ ყოფილა, რაები მითხრა, ყველაფერი მართალი, ჭკუაზე შეგშლით, გადაგრევთ, — ქაქანებდა ხელების ქნევით.

მეზობლებმა მიატოვეს საქმიანობა და რიგრიგობით ეპატიჟებოდნენ ჭიშკარზე მიმდგარ მარჩიელს.

დიხანს აპურებდა პირდაღებულ სოფლელებს ბოშა. მწვანე კოკრებს ხან უშვილობის, ხანაც სიყვარულის წამლად ასაღებდა.

— რამ გამოაშტერა ამდენი ხალხი, მაგ პირდაუბანელს მოვატყუებინებ თავს? — ქირქილებდა ოლინკა, თან ჩაფარაზე ლელვის ჩირს აფენდა, ჭია თუ არ გაუჩნდა, ამას არაფერი ჯობიაო, — მეუბნებოდა. ამ ამბავში იყო გოგოლაშვილის ქალი, რომ ჭიშკართან ის ბოშა გამოჩნდა.

— გოგო! — რომ არ მიიპატიჟა, თვით ბოშა შეეხმიანა ოლინკას.

— რა გნებავს, ქალბატონო?! — დამცინავად მოწკურა წარ-ბები ბებიამ.

— მარჩიელი არ გინდა?!

— მერე, შენ უნდა მირჩიო?!

— ქი!

— შენ თავს ურჩიე!

— შენ კაი ქალი არის!

— ახალი ამბავი!

— შენი სახელი ექსი ასოა!

— შენს გზაზე წაშავდი! — დაუცაცხანა ბებიან, თან ზურგს-უკან მარჯვენა ხელზე თავისი სახელი ასო-ასო ჩამოკაკლა. თითი რომ დააკლდა, შეცბა, მართლა ექვსი ყოფილაო, გა-უკვირდა, კიდევ დაითვალა და კიდევ, მარჩიელი მართალი იყო.

— გოგო, მოდი აქ! — გამოუდგა ოლინკა.

— აღარ გაქ დრო!

— მობრუნდი, ბაღნებს გაფიცებ!

— არ გაქ დრო, ჩემი გზაზე წაშავდი!

— რა იყო, შე ქალო, ხუმრობა არ იცი? ფულსაც მოგცემ, კორკიმელსაც მოგაკრეფინებ.

ბოშა შემობრუნდა.

— დადე ფული, შემოვალ, — ჭიშკრის იქიდან შეევაჭრა მარჩიელი.

— შემოდი და მოგცემ, — თავისაზე იდგა ოლინკა.

— თუ არ გინდა... — ზურგი აჩვენა მარჩიელმა.

— მობრუნდი, არ მოგიბრუნდა წელიწადი!

— დადე ფული! — კვლავ გაუწოდა ხელი ბოშამ.

ოლინკა ტკიცინა მანეთიანს აფარებს ქალის ჭუჭყიან ხე-ლისგულს.

როგორც სხვაგან, აქაც მალე მოშინაურდა ბოშა. მარჩიე-ლის პატარა ბიჭი, ყველაფერს რომ გემოს უსინჯავდა, ჩაფა-რას მიუჯდა და ლეღვის ჩირს მანამ შეეპატიჟა, სანამ ჭია გაუჩნდებოდა.

— ლეღვმა არ აწყინოს! — შეიცხადა ოლინკამ, და ბავშვი დედამისს ჩაუსხა კალთაში.

ბოშამ ჩირი გასინჯა, მერე პეშვით აიღო: ეს არც ამას აწყენს და არც მეო, დაამშვიდა ოლინკა, ბავშვი ისევ ჩაფარასთან გადასვა და საქმიანი იერით უთხრა:

— დადე ფული, სახელი გითხრა.

ბებია ყოყმანობდა.

— ექსი ასო, ექსი!..

ოლინკამ მეორე მანეთი შესწირა ამ საქმეს.

ბოშამ ჯერ ფული დააბინავა, მერე ბებიას თავისივე სახელი აჩუქა. მესამე მანეთის საფასურად ბებიამ შეიტყო, რომ მის ქმარს ლავრენტი ჰქვიოდა, კარგი თერძი იყო, უკვე აღარ კერავდა, რადგან ათი წლის მკვდარი იყო.

— დადე მანეთი, გეტყვი რამდენი შვილი, — გადმოყარა ფასადის კბილები ბოშამ.

ბებია მარჩიელის ფოლადის ოთხ კბილს ჩააშტერდა, საიდანაც ოთხი პირდაღებული ოლინკა იყურებოდა. უცებ მოკუმა ტუჩები და კვლავ რომ გააღო პირი, მეტი ფული აღარ მაქვსო, ასე თქვა.

— მაშინ ის წიწილი მოგეცი, — დაანახა ბოშამ, ქათმებში გამორჩეული ვარიკა.

ბებია შემეხვეწა:

— დაიჭირე და მიაშავე, თუ არა...

რომ შეიტყო, რამდენი შვილიც ჰყავდა, სკამზე მოუსვენრად აწრიალდა, კიდევ რაღაცის შეკითხვა მოუნდა, ვერ გაებედა. ბოლოს ცნობისწადილმა დასძლია.

— ისეთ მაღვალაკ თვალებში იყურები, იმდენი რაღაცეები გცოდნია, ისიც გეცოდინება, როდის მოკვდები. შვილებს გაფიცებ, ტყუილი არ მითხრა.

ბოშამ უფრო მსხვილი ჰონორარის საძებრად ააცეცა თვალები და მანამ არ გააჩერა, სანამ დედლებთან მოკურკურე წითელი მამალი არ გამოარჩია.

— ის მამალი მოგეცი და...

— გაგიჟდი?! — ხმას აუწია ბებიამ.

— არ გინდა, ნუ გინდა, — გულმოსულიეთ წამოხტა ბოშა, სტაცა ხელი ბავშვებს და თვალის დახამხამებაში ჭიშკრის იქით აღმოჩნდა.

ოლინკა მისდაუნებურად გაჰყვა. ჭიშკარს დაეყრდნო და ისე გაშეშდა ენაჩავარდნილი.

ბოშა შემობრუნდა, ღიმილი მიაგება ოლინკას.

— შენ კაი ქალი, მე შენზე გულმოსული არა, გითხრა, ისე გითხრა, არ მინდა მამალი, შენი სიკტილი პარასკევი არი.

— რომელი პარასკევი! — თვალები გაუშტერდა ბებიას.

— რომელი და წიტელი, წიტელი!

— რომელი წითელი? — ძლივს ამოიდგა ენა ოლინკამ.

— მაგი არ იცის! — აკისკისდა ბოშა.

ელეფთერას უბნამდე მისდია მარჩიელს ბებიამ. რომელ წითელ პარასკევს უნდა დაეწყო გულზე ხელები, მაინც ვერ შეიტყო. ბოშათა ბანაკში, კოცონის ირგვლივ მოცეკვავე ქალებში გარეული ნაცნობი მკითხავი ველარ იცნო ოლინკამ.

— რავა ყველა ერთმანეთს გავს, ეს დასაწყევეტლები, — წაილუღლუღა და ცოცხალ-მკვდარი ამობრუნდა უკან.

მთელი ღამე არ უძინია, გამოითვალა, წითელ პარასკევამდე რვა თვე და ორი დღე იყო დარჩენილი. დილით საქათმის კარი გამოაღო, მამალს ჩაუსაფრდა, დაიჭირა და ნელა დაადგა იმ გზას, გუშინ რომ ჩაათავა ქოშინით მარჩიელის დევნისას. ელეფთერას უბანს რომ მიუახლოვდა, სახტად დარჩა. ბანაკის ადგილას ნაბანაკარი დახვდა.

ამ ამბის მერე ოლინკა შეიცვალა. უძილობა დასჩემდა. თუ დაიძინებდა, კიდევ უარესი, შემზარავ სიზმრებს ხედავდა, დილით ცეცხლწაკიდებულ ქაღალდს სამჯერ შემოიელებდა თავზე, ამაზე გადაიაროს ჩემმა სიზმრებმაო, — წაიპუტუნებდა. ძველებურად საქმიანობდა, გაჩერებულს ვერ ნახავდით, მაგრამ ყველაფერში სიცოცხლე აკლდა.

გავიდა ორი-სამი თვე, თანდათან გამობრუნდა გოგოლაშვილის ქალი.

„რამ გამომაშტერა ეს ოხერი. და მუდრეგი, ციგნის ბუუტურს. რავა ვუგდე ყური“.

ისევ ძველებურად დატრიალდა, კვლავ ჩაუდგა ძალა მკლავსა და მუხლში. „ორ საუკუნეს ვიცოცხლებ მტრის ჯინაზე“! — მუშტმოღერებული დაემუქრა წუთისოფელს.

ოქტომბერში პართენას გოგო გათხოვდა.

— ახდა თუ არა მარჩიელის სიტყვები, — გაიგონა თეკლეს ხმა ოლინკამ. ხელსაქმე მიატოვა, თეკლეს ზიარ ღობეს მიადგა.

— რა სიტყვები ახდაო, რას ამბობ?!

— რა და ამ შემოდგომაზე გათხოვდებიო!

— იმას რომ არ ეთქვა, არ გათხოვდებოდა?

— რა ვიცი, ყველაფერი ქე კი სრულდება და...

— რა ყველაფერი?

— რა და რაჟდენას ბიჭი შეეძინა, სოლომონამ სამსახური გამოიცვალა, ვერიჩკას გოგოს უთხრა, უმაღლესში ვერ მოეწყობიო და ვერ მოეწყო.

— კაი, ერთი, თუ ქალი ხარ, — გამობრუნდა ოლინკა.

— შენ მასე თქვი და... ვისაც რა უთხრა, ყველაფერი ახდა, — გაიმეორა თეკლემ.

„ყველაფერი ახდა, ყველაფერი ახდა", ჩარჩა ოლინკას სმენას. ამაზე აღარ უნდოდა ეფიქრა, მაგრამ ვერ მოახერხა. თეკლეს ხმამ დაიბუდა ყურებში და მოსვენებას აღარ აძლევდა. ისევ მოტყდა ბებია. „სიზმრებში სულ მიცვალებულებს ვხედავ, არაა კარგი ნიშანიო", — ამბობდა.

კიდევ გააჯახირა ორი-სამი თვე. წითელ პარასკევამდე რამდენიმე კვირით ადრე ლოგინში ჩაწვა და ისე დაელოდა სიკვდილის მოსვლას.

აღდგომის კვირაში, შავ ორშაბათს, დილით, ერთი სიტყვა თქვა: მშიაო. ეს სიტყვა შუადღისას და საღამოს გაიმეორა, მეტი არაფერი დასცდენია. აღდგომის სამშაბათს აღარც ის უთქვამს. უხმოდ შეექცეოდა სასთუმალთან მიტანილ საჭმელს. დიდ ოთხშაბათს შიმშილობა გამოაცხადა. დიდი ხუთშაბათი საღამომდე გულაღმა მწოლარემ გაატარა, როგორც სასახლეში უნდა ყოფილიყო, ისე, საღამოს ალმაცერად გადახედა მისოვის მიტანილ ვახშამს, ცრემლი გადმოაგდო. ხვალის მერე, ირმოცამდე, გამიწყობენ ასე, ჭამის თავი როგორც სხვა მიცვალებულს, არც მე მექნება. ვინ იცის რამხელა გზა მიდევს წინო, გადმობრუნდა და ისეთი წაივახშმა, ორი დღის ნამარხულევს რომ ეკადრება. მერე ყველა ჭირისუფალი საწოლთან შემოიმწკრივა.

— უნდა გამოგეთხოვოთ, ლაშე მითიეთ, მარტო არ მიმატოვოთ, — ორი ქალიშვილი დაიტოვა, სხვებს მეორე ოთახში მოცდა გვთხოვა. კვლავ რომ მოგვიხმო, ისეთი ჩაცმულ-დასურული დაგვხვდა, სასტუმროდ რომ იცოდა გამოწყობა.

ნაშუალამევს ოლინკას „გასაცილებლად“ მოყურყუტე შვილიშვილებს რიგრიგობით ჩაგვეძინა. დილით საგარეო ტანსაცმელში გამოწყობილი ბებია ისევ ისე დაგვხვდა. იწვა და უყურებდა, კარსზემოთ დაკიდებულ კედლის საათს, ამოჩემებული რიტმით რომ მიწამწამობდა.

— ეს საათი მომაცილეთ აქედან! — გავიგონეთ ოლინკას ნელ-თბილი ხმა, ხვეწნა-ბრძანებით რომ იყო შეზავებული.

საათის ჩამოხსნისას სკამი წაგვექცა. მოლოდინით გადაღლილ ოლინკას გული წაუვიდა. მალე მოიხედა.

— სადა ვარ? — იკითხა შეშინებულმა.

— გზიდან დაგაბრუნეო, — უთხრა მამაჩემმა.

— გზიდან?.. ცუდად მაქ დაცდილი, — წამოიკვნესა ბებიამ, შებრუნდა კედლისკენ და ორი დღის ღამენათევი, ძილის ანგელოსს მიენდო. წითელი პარასკევი გამოიძინა.

— რა დღეა დღეს? — გაღვიძებისთანავე იკითხა მისუსტებული ხმით.

— შაბათი! — მიახარა მამამ.

— ისე გადი როკიანის ბოგირზე, — თქვა ოლინკამ და ცნობისმოყვარე თვალები მიუდარაჯა მამაჩემს.

— ისე გავედი, ისე!..

— აბა არ ღლიცინობ და შაბათია დღეს?

— შაბათია, შაბათი! — ერთხმად დაადასტურეს სხვებმაც.

— დაიფიცეთ! — ჯანი დაეტყო ხმასაც და გამოხედვასაც.

შინაურებმა დაიფიცეს.

— თქვენ შემოგევლოთ ოლინკა, ჩემო შვილებო, ჩემო გვრიტებო, ჩემო იმანოებო, — წამოხტა საწოლიდან, ხვევნა-კოცნით ჩამოუარა ყველას. გული რომ იჯერა, ჩამოჯდა, კარგახანს გვათვალიერა, მერე სადღაც ერთ წერტილს გაუშტერა მზერა და ისე, თითქოს თავისთვის ლაპარაკობსო, თქვა: — სიკვდი-

ლის კი არ მეშინია, თქვენგან განშორების მეშინია, თქვე ხატ-გაყიდულებო.

მომავალ წითელ პარასკევამდე თერთმეტი თვე და ოცდაათი დღე იყო დარჩენილი. ოლინკა ისევ შეეტოქა წუთისოფელს. ცხოვრების ორომტრიალს ძველებურად შეერია. ერთი კი იყო, დღე არ გავიდოდა, იმ შავყვითელა ბოშა ქალის ნაიბარაზე მოგდებულ ორ სიტყვას მისთვის ხასიათი არ მოეწამლა.

„არ მეშინია, არ მეშინია", — ეურჩებოდა საკუთარ თავს ბებია, მაგრამ რაც დრო გადიოდა, მით უფრო იპყრობდა შიში.

წიოელ პარასკევამდე ორი თვე რომ დარჩა, შარშანდელივით შეწყვიტა წინააღმდეგობა, მიესდო ბედისწერას და ჩაწვა. ვარწმუნებდით, ბოშებს არაფერი დაეჯერებათ-თქო. ისიც მათქმევინეს, როგორ გამომტყუა არც თუ დიდი საიდუმლო, მაგრამ მარჩიელისთვის მეტად მნიშვნელოვანი ცნობები წყაროდან მომავალს. არაფერმა გაჭრა. წითელ პარასკევამდე ყოველთვის იწვა. პატარა შაბათი კი მეორე დაბადების დღე გახდა ოლინკასთვის, ჩიტივით წამოფრენილს დასვენება ავიწყდებოდა.

ასე გაჩნდა ოლინკა გოგოლაშვილის ცხოვრებაში ორი წელთაღრიცხვა: ბოშამდელი და ბოშასშემდგომი. ბოშასშემდგომი წელთაღრიცხვის მეთორმეტე წელს ოლინკამ ჩემს ქორწილში იტრიალა. მეოცე წელს ყველა შვილიშვილის ქორწილი მოლეული ჰქონდა. ბოშასშემდგომი წელთაღრიცხვის ოცდამეხუთე წელს ოლინკა ბებიამ ჩემი შვილის ქორწილშიც ინატრა ტრიალი. ეს ნატვრაც აუსრულდა ბებიას და სხვა მრავალიც. გრძელ-მოკლე წუთისოფელი სიმწარის გარეშეც არ არსებობს. ბევრი ახლობელი, თანასოფლელი, გამკეთხავი მიაბარა მიწას, ზოგი რიგით, ზოგი ურიგოდ, ყველას ვაატანა მათი წილი ცრემლი. ერთ დღეს მიხედ-მოხედა სოფელ-ქვეყანას, ტოლ-სწორი რომ ვეღარავინ დაიგულა, სინანულით გვითხრა: თავი სხვა ქვეყანაში მგონია სტუმრადო.

ყოველთვის უფრთხოდა წითელი პარასკევის მოახლოებას, რამდენჯერ გამოუნელებია ეს შიში, რამდენჯერ გაუმტყუნე-

ბია მარჩიელი, მაინც ეშინოდა, რომ ეშინოდა, არ ამხელდა ადრინდულად.

დიდ ხუთშაბათამდე მთლად გამოილია, ძლივსღა აჩნდა საწოლს. ზურგი შეგვაქცია, მთელი დღე კედელს ეპუტუნებოდა. შებინდებისას იკითხა: ბოვში თუ მოვიდა სამსახურიდანო (მამაჩემს ეძახდა ასე). მოვიდაო, უთხრეს.

— დაღამებულა, — ჩუმად გაუმხილა კედელს.

მეორე დილით, მამა ხელ-პირს რომ იბანდა, ოლინკამ თავი მოაბრუნა, შვილს დაჟინებული მზერა მიაპყრო, სანთლისფერ, ჩამომჭკნარ სახეზე ღიმილისმაგვარი რაღაც გაებნა.

— გათენებულა, რა დააღამებს დღევანდელ დღეს, — ისევ შესჩივლა კედელს ოლინკამ და შეაძიგძიგა.

ცოტა ხნის მერე ფეხები გაუცივდა, სიცივე ნელ-ნელა მოედო მთელ სხეულს, ყველაფერი გაეყინა გულის გარდა. მამაჩემის მოსვლამდე გააძლებინა გულს, მერე ერთი ამოიოხრა და სულიც ამოაყოლა.

ცისკენ ფაკვალული ბილიკი

ივანობისთვეში კარგი დარები წაეწყო. პირველ ხანებში ყველას უხაროდა. მერე და მერე თაკარა მზე მტერივით რომ დააშტერდებოდა სოფელს, გაჭირდა საქმე. მოიწყინა ყველაფერმა, რასაც ხელებდაკაპიწებული გლეხკაცი იმედის თვალით უყურებდა.

მეთოდე ყოველ დილით აივნიდან გაზვერავდა ჰორიზონტს, მერე ხელებს იმ ადგილისკენ შემართავდა, საითაც, მისი ღრმა რწმენით, მამაზეციერი უნდა ყოფილიყო.

— ნუ გაგვიმეტებ, უფალო, გადმოგვხედე, შე დალოცვილო...

ამასობაში მოწმენდილ ცის კიდეს ოქროსხივი ააჭიანოებდა. მოძლიერდებოდა და სულ მალე ვეებერთელა ცეცხლის ბურთი თვალის ერთი ჩაკვრით ჩაყლაპავდა აღმოსავლეთს.

— თფუჰ! — მარცხენა ხელი მოწყვეტილივით ჩამოუვარდებოდა მეთოდეს, ფუთიან მარჯვენას კვლავ ცისკენ შემართავდა და ქუსლებჩაკეცილი წუღებით კორომისკენ წაჩლატუნდებოდა.

— დომნიკა, სკამი, ბოშო! — შეეხმიანა ერთ დილას გახარებული მეთოდე ცოლს.

კარში ჯერ სკამი გამოჩნდა, მერე შეჩქვიფებული დომნიკა.

— რა იყო, რა ამბავია?!

— რა და ეგერ, ჭურისსატკეპნი ურო დამარტყი თავში, თუ ამ წუთში ცა არ ჩამოვიდეს ფეხად.

— კოწია! — გადასძახა მეზობელს, რომ არავინ გამოეხმაურა, აივნიდან გადავარდნამდე გადაიხარა, ვითომ უფრო გავაგონებო. გააგონა კიდეც.

— მოდის, გონია, ეს დალოცვილი, აჰ!

— ვინ მოდის, ვინ?!

— ვინ კი არა, წვიმა მოდის, წვიმა!

— წვიმა მოვა, აბა სად წავა, შარშანაც მასე არ იყო? წადგა გვალვები, მერე მოაღო ცამ პირი და წვიმებმა მოგვაპეზრა თავი...

— ნეტაი შენ!.. — ეწყინა მეთოდეს. სკამზე ვერც დაჯდა, ვერც ადგა. იქ გაშეშდა, დგომას და ჯდომას შორის რომ შუა

ადგილია. ასე იცადა ერთხანს. ნამყენი ბყოლის ფოთლებზე წვიმის მსუყე წვეთებმა რომ ტკაცატკუცი ასტეხეს, მაშინღა ამოისუნთქა შვებით.

გვალვების შემდეგ, როგორც იქნა, ღვთის წვეთები გადმოაპკურა ზეციერმა. მოსულიერდა ყანა და ვენახი. პატარ-პატარა ნაკადულები თვალსა და ხელშუა წამოიჩიტნენ, დაითავდაღმართეს, ერთმანეთს გაეჯიბრნენ, რომელი ჩაასწრებსო ნასხვისარ ბუდეში. უწყინარი მდინარე, როკიანი, აქამდე ჩუმად რომ მოარშიყობდა, წამოიფოფრა, ააბრუნა ქვა და ღორღი, არ დაზოგა ხიდი და ბოგირი, მოღვართქაფიობდა რისხვითა და მუქარით.

გული რომ იჯერა, გადაიკარა. მზემ ღრუბლები მისწი-მოსწია და ახლად გამოჩეკილი წიწილივით ამოწყერკაკანდა, მდინარეს სიცილ-სიცილში დაახია ყურები, ჩაუბრუნა გული საგულეს და ძველებურად წააჩუმათა გაზეპირებულ კალაპოტში.

მეთოდემ წულები წინკარში მიაწყო. წვერიანი კალოშები ჩაიცვა, გაიდო ჩაფი მხარზე, — ამისანაში სხვა რამეს ვერ ვაკეთებ, წყალს მაინც მოვიტანო, ჭიშკრამდე არც იყო მისული, შვილიშვილი აედევნა. მხარზე მასაც დოქი გაედო.

— დაისვრები, ბაბუა! — ერთი კი უთხრა მეთოდემ. ისე, გულში ეამა, ტალახს არ ეპუებაო ქალაქელი ბიჭი.

რეზიკოსთვის ძნელი შეიქნა წვიმით გაჯერებული აყალო. ერთი-ორჯერ კინაღამ ფეხსაცმელი ჩარჩა ტალახში.

მეთოდე წინ მიდიოდა. დეეის ნაფეხურებს ტოვებდა და მიდიოდა. ბიჭი კვალში ჩაუდგა. ახლა დიდ ნაფეხურებზე პატარებიც რჩებოდა. აღარ უჭირდა სიარული. ეს კი იყო, ვერ იქნა და ვერ აუწყო ფეხი ბაბუას გრძელ ნაბიჯებს. ამიტომაც მიხტუნაობდა.

ტიტიკოს ნიგვზებთან არ იყვნენ ჩასული, წყლის დასალევად ჩამოდენილი ჭსაქონელი წამოეწიათ.

— უტიე, ბაბუა, საქონელს, რამე არ მოეწიოს!..

— საქონლის არ მეშინია მე! — შეეპასუხა ბიჭი, გვერდზე მაინც მიდგა. საქონელმა ჩაიარა. მეთოდემ ეზა ვანაგრძო.

თვალებისცეცებით დაუწყო ძებნა ბაბუას ნაფეხურებს რეზიკომ, საქონლის ჩლიქებს წაეშალა მოხუცის ნაკვალევი. მერე ალალბედზე მიჰყვა, სანამ ახალ ნაფეხურებს არ ჩაუდგა კვალში.

— რეზიკო! იცანი ის ბიჭი, საქონელს რომ მიერეკება?

— ვერ ვიცანი.

— ეგ ელეფთერას ნაბოლარა შვილია, ხუთი ქალიშვილის მერე გვარის გამგრძელებლად და საამაყოდ გააჩინა. სახელად მახარე დაარქვა. გამორჩეულად უვლიდა, ცივ ნიავს არ აკარებდა. სიბერეში გამახარებსო, ფიქრობდა ელეფთერა. წამოიზარდა მახარე და გავიდა ხეზე. იმ დღის მერე ადესა ყურძენივით სულ ხეზე იყო ჩამოკიდებული. მთელს სოფელს ესმოდა ელეფთერას ხვეწნა-მუდარა: ჩამოდი ძირსო. მახარეს არ ესმოდა. როდის-როდის ჩამოვიდა, მაგრამ რაღა დროს. ელეფთერას დიდი იმედის მაგიერ ჩიტირეკია შერჩა ხელში. ბოლოს კაკუნია ბრიგადირმა ურჩია: „შენი ბიჭიდან დაფნისგვირგვინოსანი აღარ დადგება, სამწყემსურში მაინც გავუშვათ, სოფელში ბირდაბირის გამწევი კაცი აღარაა, თუ არა, ეგ საქმეც ძნელი სანდობია ხეკოწიალა კაცისთვისო“. ასეა, ბაბუა, ჭკვიან კაცს თუ არ დაუჯერე, ქარსაყოლილს დაემგვანები, საიდანაც დაგიბერავს, იქით რომ წაგიღებს, პირგაზაფხულზე ერთი გაზრდა გავიზარდე, ვენახის გასხვლა მასწავლეო, რომ ჩამაცივდი. შენისთანა კაცი კარგი მამულიშვილი უნდა დადგეს.

ბიჭი უხერხულად შეიშმუშნა. თავის სიცოცხლეში პირველად უწოდეს კაცი. დაცინვით კი არა, დაცინვას მაშინვე მიხვდებოდა. ბაბუას მთელი სოფელი ეკითხება ჭკუას, ტყუილს არ იტყვის, — ფიქრობდა რეზიკო, — წისქვილთან რომ ობოლი ტრო ცხოვრობს, ჩემი ტოლაა. კაცის და ქალის საქმეს ორივეს ის ერთმევს თავს. მეც შემიძლია ყველაფერი გავაკეთო, რაც კაცის ხელიდან გამოდის.

წყაროსთან ერთი ორომტრიალი დახვდათ. საქონელი რჩოლა-ბულრავით მიიწევდა წყლისკენ. მახარეს ტყემლის ტოტი მოეწია და ფოთლიან-ნაყოფიანად ასუფთავებდა. საქმეს რომ

მორჩა, — იჰიო! — გაიცინა, უბეში ჩაიყარა ტყემალი, ნაწილი რეზიკოს გაუწოდა, გასინჯეო.

— არ მინდა, კბილებს მომკვეთს, — იუარა რეზიკომ. „არ მოგკვეთსო" და ამის დასამტკიცებლად ერთი პეშვი ტყემალი კაკალ-კაკალ ჩაუშინა სტომაქს კურკებიანად. რამდენიმე კურკა პირში დაიგრიგა და წყაროზე გადაყუდებულ მოზვერს მიასაფანტა, მოზვერი რომ დაფრთხა, — იჰიო, — იხარა და იხარა. მერე უხერხული ადგილი მოიქექა, წავედიო, მეთოდეს დაუბარა და უკან გაბრუნებულ ნახირს გამოუდგა.

— ასეა, რეზიკო! კაცს შუბლზე აწერია, რისი მაქნისიცაა. ხომ შეხედე, ერთ წუთში დაგვიმტკიცა ახალი ჩამოსული რომაა ხიდან.

სახლისკენ შებრუნდნენ. წინ ჩაფი მიდიოდა, უკან დოქი მისდევდა... ჭიშკარი რომ შეაღეს, — ორასორმოცი, — შეწყვიტა თვლა რეზიკომ.

იმ დღის მერე ბაბუას ნაბიჯებით ზომავდა სოფელს. ზეპირად იცოდა, რამდენი ნაბიჯი იყო ყანიდან — წისქვილამდე, ვენახიდან — ჭურისთავამდე, წყაროდან — ეკლესიამდე, მტერიდან — მოყვარემდე, სამოთხიდან — ჯოჯოხეთამდე.

მეთოდე ნიგვზის ჩრდილში სამფეხა სკამზე იჯდა. ფეხიფეხზე გადაედო, მუხლისთავზე ხელები შემოეჭდო, მარჯვენა ხელის თითებსშუა ჩამქრალი სიგარეტი შერჩენოდა. მზერა გაღმა სოფლისთვის მიეცივებია და შუბლშეჭმუხნული ისე ლაპარაკობდა, თითქოს თავის თავს ეთათბირებაო. ყველაფერს კი შვილიშვილის გასაგონად ამბობდა, იქვე შორიახლო, კოინდარში რომ წამოგორებულიყო და ტოტებსშორის გამოპარულ მზის სხივებს ემალებოდა წარამარა. ბაბუა ლაპარაკობდა, შვილიშვილი უსმენდა თუ არა, ვერ იტყოდით.

— ახალგაზრდები ზედმეტად თვლით, მაგრამ გამოცდილი კაცის ნათქვამს, სამი ქალამანით მეტი რომ გაუცვეთია თქვენზე, ყური უნდა ათხოვოთ.

— რა ოროს ქალამნებია, ბაბუა, მთვარეზე დადის ცოცხალი კაცი, — ეღიმება რეზიკოს.

— ქირქილს თავი დაანებე! კაი მთქმელს, კაი გამგონეო, იცი ალბათ.

— კაი მთქმელი მითხარი თორემ, ჩემისთანა გამგონეზეა ეგ ნათქვამი, — ისევ გაიღიმა შვილიშვილმა.

— მაგ ღლიცინში გაგყავთ დრო, ყველაფერზე მოწიწებით დრის უნდა მოეპყროთ, თქვენობით მიმართოთ, თვალებში უყუროთ, მის კალთას ხელი ჩასჭიდოთ, მიჰყვე-მიჰყვეთ, თორემ გაუპარებათ. იმასაც ვერ გაიგებთ, როდის გაგეპარათ. ერთ ძშვენიერ დღეს მიიხედ-მოიხედავ და ძიხვდები, დრო გასულა. ჰო, ჰო, ჩქარი მატარებელივითაა დრო, არცერთ სადგურში არ ჩერდება. ვერ მიუსწრებ თორემ, თითქმის ცარიელი გარბის მატარებელი. გვიან მიხვდები, ცხვირწინ რომ ჩაგიქროლებს და ვადაგასული წამალივით დაგტოვებს. მერე სდიე რამდენიც გინდა, ველარ მიეწევი.

ცოცხალ კაცს შეუძლია სიკვდილს გადაეღობოს, ტყვიას ალუდგეს წინ და შეაჩეროს, მდინარე შეაგუბოს, კლდე გახვრიტოს, ზღვა კოვზით ამოხვრიპოს, დროს ვერ შეაჩერებ. წამი რაა, წამსაც არ დაგითმობს. შეიძლება დროის პატარა ნაწილი შემოგინახოს მეხსიერებამ, მთელი ცხოვრება მის ნეტარხსენებაში რომ იყვე, რადგან მაშინ, იმ მონაკვეთში, მთელი სიცოცხლის ათწლეულებს რომ გადაწონის, ან იკაიკაცე და ხმალი მოიქნიე მარჯვედ, ან ახალი ვარსკვლავის ამოცისკაბადონებას შეასწარი თვალი შორეთში. ორივეზე შეიძლება ილაპარაკოს კაცმა, მაგრამ თავიც არ უნდა მოაბეზრო სხვას, ისეთ სიცოცხლეს, თუ ხმალს ვერ მოიქნევ და ვერაფერს დაინახავ, სიცოცხლე არც აქვია, მაგრამ დაუსრულებლივ ერთი იღბლიანი წამით მოგქონდეს თავი, არც ეს ვარგა.

რეზიკო ისევ მოერიდა მზის სხივებს და გვერდი იცვალა. მოხუცს არ შეუნიშნავს შვილიშვილის გულარხეინობა. კვლავ ბაღმა სოფლისკენ იყურებოდა, არც ახლა დაგიდევდათ, უსმენდა თუ არა ვინმე.

— დრო ცოცხალივით სუნთქავს, გულიც აქვს, სულიც, მისწრაფებაც, სისხლიც უდუღს, დიდ საქმეებსაც აკეთებს და

ოფლსაც ბევრს აქცევს. სწორედ სისხლით და ოფლით იწერება დროის ისტორია. ახალგაზრდა ვიყო, კი ვიცი, როგორ უნდა ვიცხოვრო... აწი რაღა დროის უკბილო ცხენის ჭრელი უნაგირია.

ბიჭმა რაღაც მელოდია წაუსტვინა.

— შენთვის ვლაპარაკობ, ბაბუა, ყველაფერს, შენთვის.

— ვიცი, — გაიცინა ბიჭმა, — რამდენჯერ მომისმენია...

— ერიხელაც მოისმინე, არ გაწყენს, — ჯიბიდან ასანთი ამოიღო, ჩამქრალი სიგარეტი თითებში მოსრისა, მოსაკიდებლად შეამზადა. ...წლები თავისას შვება, საულვაშეზე ღინღლი რომ გამიჩნდა, რაღაც-რაღაცეებში გავერკვიე. ერთ მშვენიერ დღეს უფრო კარგად დავინახე უცნაურობით სავსე ქვეყანა. დიდხანს ვივარცხნე ქოჩორი იმ დღეს, ბიძაჩემის ვერცხლით მოჭედილი ქამარი უკითხავად ავიღე, შემოვირტყი ბლუზაზე, ჩემს სიცოცხლეში პირველად შევკარი მინდვრის ყვავილების თაიგული და ბარე ათჯერ ავუარ-ჩავუარე ერთ სახლს ზედა სოფელში.

— კარგი აივანი ჰქონდა იმ სახლს ალბათ, — თქვა რეზიკომ, თვალებში ეშმაკები ჩასახლებოდა, წამოჯდა, გამომცდელად მიაჩერდა მოხუცს.

— აივანი სხვა სახლებს უკეთესი ჰქონდა... — თავი ჩახარა მეთოდემ,

— რა ხნის იყავი? — დაინტერესდა შვილიშვილი.

— შენოდენა, შეიძლება უფრო ახალგაზრდა... ვერ იქნა და ვერ ვთქვი ერთი წინადადება თავის დროზე, ძნელი სათქმელი შეიქნა სამი სიტყვა.

— სინტაქსურად მარტივი წინადადებაა ის სამი სიტყვა, შენ რომ ვერ გითქვამს მაშინ.

— სინტაქსი მინტაქსი არ ვიცი, მაგრამ მაგაზე რთული წინადადება არ არსებობს... — მოხუცს თვალი გაუშტერდა, ბაბუაწვერას ჰაერში აფარფატებულ თავგვირგვინს ხელი აუქნია. ჟრუანტელივით ააცახცახა ჰაერის ნაკადმა თავგვირგვინი. ოდნავმა სიომ ზევითკენ წაიღო. მეთოდე სევდიანი მზერით დააცილებდა ბაბუაწვერას და როცა ბუსუსები თვალს მიეფარა, ისეთი შესახედავი დარჩა, შეგეცოდებოდათ, თითქოს ყვე-

ლაზე ძვირფასი მოგონებები იმ ფარფატა ბუსუსებს გაჰყვა სამუდამოდ.

რეზიკო ისევ წაგორდა კოინდარში. მასაც გაახსენდა, პირველად რომ შეყოლოდა სარკის წინ, პირველად რომ გააუთოვა შარვალი და პირველად რომ გაუტყდა ძილი.

— რეზიკო, საცურაოდ არ წამოხვალ? — იძახის ჭიშკარს მომდგარი ახალგაზრდებიდან ერთ-ერთი.

ბიჭი წამოსტა. და ჭიშკრისაკენ გაიქცა.

— შეაყარე კედელს ცერცვი, — ჩაილაპარაკა თავისთვის მოხუცმა და ახლაღა მოუკიდა ჩამქრალ სიგარეტს.

საბანაოდ მიმავალი ბიჭების ხმამაღალი შეძახილები კარგახანს ესმოდა მეთოდეს, ნეტაი თქვენო, შენატრა ხმამაღლა.

— ისე, კაცმა რომ თქვას, რას ერჩი, ქალაქელი ბიჭია, ცოტა ხნით ჩამოდის, ხელის წაშველება იცის, სკოლა ხუთებზე ღაამთავრა, უმაღლესში მოეწყო, ოთხ-ხუთ წელიწადში კაცია, ვარსკვლავთმრიცხველი ვიქნებიო, ცაში იყურება სულ. გუშინ სასიმინდე შემაკეთებინა, დღეს ჭიშკარი, საძინებელ ოთახსაც შეგიღებავო, შემპირდა, მასალაც მოიმარაგა, ვნახოთ, რასაც გააკეთებს, თვითონ გამოადგება, კაცი ხელჩოგანა არ უნდა იყოს.

მეორე დილით, მეთოდე რომ სახლიდან გავიდა, შვილიშვილს ჯერ კიდევ ეძინა.

— ღელის წყალს გადავაგდებ ყანაზე, შუადღემდე ვერ მოვბრუნდები, — დაუბარა დომნიკას, გაიდო თოხი მხარზე და ღიღინით გაუდგა გზას.

უკან რომ დაბრუნდა, საკვირიკო ლელვის თავზე დახვდა მზე, — ამ დროს კაჭალი შუადღეაო, ამბობს მეთოდე, როცა რამეს აკეთებ, შუადღემდე უნდა გატეხო საქმე წელში, სადილის მერე ის ხალისი აღარაა, დილიდან რომ აგყვება კაცს.

— ამიტომაც ვთქვი უარი სადილზე, — გამოეხმაურა აივნიდან შაბიამნისფერ საღებავში თავიდან ფეხებამდე ამოთხვრილი რეზიკო.

— გამოგდის რამე?!

— ჯერ ეს მითხარი, ასეთ საქმეში ყველაზე კარგი ოსტატი ვინაა თქვენში?

— ვინ და ევტიხი ღვინეფაძე.

— ჰოდა, ევტიხიც ვერ გააკეთებდა ასე.

მოხუცი თავზე წაადგა ბიჭს. კარგახანს ათვალიერა მისი ნახელავი, ალაგ-ალაგ აჭრელებულიყო კედელი, — კარგია, მართლა კარგი, — ღიმილით თქვა მეთოდემ, გულში კი ფიქრობდა: „ვერაფერი შვილი ნახელავია, მაგრამ მეორედ და მესამედ უკეთესი გამოუვა". — ჩამოდი ახლა, ბაბუა, დაისვენე, სანამ დომნიკა სუფრას გაგვიწყობს, ერთ რაღაცას მოგიყვები.

რეზიკომ ხელები გადაიბანა.

— რა ვიქნებოდი, თორმეტი ან ცამეტი წლის, — დაიწყო მეთოდემ, — ამ ამბავს რომ წავესწარი და დღესაც მახსოვს.

ლომისის დობილოდან ორი თოფიანი კაცი გამოვიდა, უკაცრავ ძაღლები მოსდევდათ. ბერძენი მჭედელი ცხოვრობდა ჩვენს სოფელში, ჰეფესტო აფანასიადი, ის შემოხედათ წინ, მიესალმნენ ერთმანეთს.

— სად მიდიხართ? — დამცინავი სიცილით ეკითხება მჭედელი.

თოფიანებმა ერთმანეთს გადახედეს, სავაზნე ჩანთებიც შეისწორეს.

— ვითომ ვერ ხედები? — იკითხა ტანმორჩილმა.

— ვხედავ, მაგრამ, მაინც რაზე მიდიხართ!

— რასაც წავეწევით, — ახლა მაღალ-მაღალმა გადმოსელა დამცინავად მჭედელს.

— მასე ნაიბარაზე სიარული გამიგონია? ის მაინც უნდა იცოდეთ, რაზე მიდიხართ სანადიროდ. ეს ძაღლები თქვენია?!

ტანმორჩილს ეს შეკითხვაც გაუკვირდა.

— აბა ვისი იქნება!

— რომ დაამთქნარა, ის რომლისაა?

— ჩემი მწევარია, — თავმომწონედ ამბობს მაღალი.

— მერე რა უნდა გაგიკეთოს მაგან?

— რა და, კურდღელს გამოეკიდება, დაეწევა და დაიჭერს.

— ეგი ბიჭოოო?!

— ეგი, ეგი...

— მაგ დაიჭერს ჩემს ფეხებს, უყურე, კიდევ ამთქნარებს, კარგი ბატონი, ვაქვათ დაიჭერს, მაგრამ სადაა კურდღელი?!

— კურდღელს მეძებარი მოძებნის, ჩემი ძაღლი მეძებარია, ახლა ტანმორჩილმა აჩვენა თავისი, რომელიც საკუთარ კუდს გამოდგომოდა დასაჭერად და პატრონის წინ ერთი წკმუტუნ-ბზრიალი გაემართა.

— მაგ მოძებნის ჩემს...

— ვნახოთ, ოთხი საათის მერე საესე ჩანთით რომ ჩამოვიელით, — დაემუქრა მეძებრის პატრონი.

— დღამებამდე უკან მომბრუნებლები არ ხართ თქვენ.

— ვითომ რატომ?!

— დღისულ შეგრცხვებათ სოფელში ცარიელ-ტარიელი გავლა, სანამ კარგად არ დაბნელდება, თავს ვერ გამოყოფთ ტყიდან.

მონადირეებმა ბუზღუნ-ბუზღუნით გააგრძელეს გზა. ჰეფესტომ თვალი გააყოლა ძაღლებს, პატრონებს რომ ჩადგომოდნენ კვალში და ყნოსვა-ყნოსვით მისდევდნენ უკან.

— მასეთი ძაღლების იმედზე იქნა ჩემი მტერი, მაგენი დაიჭერს ჩემს... — გააკეთა საბოლოო დასკვნა მჭედელმა და გზა გააგრძელა.

— შენ, ბაბუა, ნუ გეშინია, დაიჭერ, უსათუოდ დაიჭერ, — დაამთავრა მეთოდემ და ცხელი მჭადი გატეხა.

სასაფლაომდე აღარ გაუზომია მანძილი რევაზს. თუმცა ორმოც წელს მიღწეულ ასტრონომს აქამდე შემორჩენოდა ბავშვობაში აკვიატებული ჩვევა. ბაბუას ნაბიჯებით გაზომა მანძილი იმ ვარსკვლავამდეც, თვითონ რომ აღმოაჩინა.

ისიც გაიხსენა, შარშან ზაფხულში, მეთოდემ რომ ჩამოუთვალა ხუთი-ექვსი კაცი — „სახლებს დგამენ, სოფელს დაუბრუნდნენ, მეტნი მოვიდა ხალხი ჭკუაზეო“.

მიდიოდა რევაზი. წინ ახლაც მეთოდე ბაბუა მიუძღოდა, ნელი, დაჯერებული ნაბიჯებით. სახლში რომ შევიდა, იქაც მეთოდე შემოეგება. გადიდებული სურათიდან უღიმოდა. იმ ღიმილში მთელი სოფლის ღიმილი ჩაეტეოდა.

სოფლის ექიმი

ჩვენი სოფელი დიდია, მაინც ორცხენიან სოფელს ეძახდ-ნენ მაშინ. ომი ახალი დამთავრებული იყო და გვიკვირდა, ის ორი ცხენიც როგორ შემორჩა შინდოვანს. შავი ცხენით კოლ-მეურნეობის თავმჯდომარე დადიოდა, ნიკოლა, ორმოცდასამ-ში დაუქმებული მარჯვენით რომ მიუბრუნდა შინდოვანს. მათრახი, სოფლისა და ცხენის სადავე მარცხენათი ეჭირა. ახლა მარცხენა ხელი იყო მისი მარჯვენაც და იმედიც. თეთრი ცხენი სოფლის ექიმს, ერმალოზს ჰყავდა. უყვარდა სოფელს ორივე ცხენოსანი. ძნელბედობის წელი ნელ-ნელა გაგვერიდა. სოფელ-ქვეყანამ ცოტა თავისუფლად ამოისუნთქა. წლების-წინანდელი სიცივე და შიმშილიც მიავიწყდა ხალხს. ცხენები ვიღას უკვირდა, მანქანები გაჩნდა სოფელში. ცალხელა თავ-მჯდომარე ორხელამ შეცვალა. საქმე მაინც არ წასულა წინ. მოხუცი ერმალოზის მაგივრადაც ახალგაზრდა ექიმი გამოგ-ზავნეს. თავდაპირველად მასაც ცხენი ჰყავდა. სოფლელები რომ ჩორთით მიმავალ ექიმის ცხენს მოჰკრავდნენ თვალს, იმავწუთს ერმალოზი ახსენდებოდათ.

მთლად ბავშვს გრიშა ექიმსაც ვერ ეტყოდით. ახალგაზრ-დას ერმალოზთან შედარებით ეძახდნენ, თორემ წლები არც რას აკლდა. ქალაქელი კაცი იყო, ცოლ-შვილიც ქალაქში ჰყავ-და. მიჭირს ქალაქიდან მისვლა-მოსვლაო, უთქვამს რაიკომში და მაშინვე გამოუყვიათ ადგილი. საეზოს ვერ დაიწუნებდა, სახლიც ჩაიდგმებოდა, საყანეც სამყოფი ექნებოდა და საევ-ნახეც. არც დაუწუნებია. შემოღობა. მამა-პაპურად კი არა, უფრო სხვანაირად. ეროი სიტყვით, ისე შეღობა, მხოლოდ ფრინველი თუ ჩაიხედავდა შიგ. სახლიც კარგი აიშენა, ცხენი-დან მსუბუქ მანქანაზე გადაჯდა, უფრო კარგად მოვემსახურ-ები ხალხსო და ემსახურებოდა კიდეც. ოღონდ მისი მანქა-ნის დანახვისას ახლაც ერმალოზი ახსენდებოდათ სოფლე-ლებს.

გრიშა ექიმი პრაქტიკული კაცი გამოდგა. ყველა მოიხნ-რა, ორსართულიან სახლს ფართო აივნები შემოაველო. ეზიც ჩააყრევინა შეზობლებს. თუ ვინმე სამკურნალოდ მიიწვევ-

და, დაზარება არ იცოდა. ავადმყოფის ახლო მეზობლებსაც ინახულებდა, ზოგს თვალის უპეებში ჩახედავდა, ზოგსაც ენას უსინჯავდა, რომ არ მენახეთ, ავად გახდებოდითო, იტყოდა, წამლებს გამოწერდა, რჩევა-დარიგებას დატოვებდა და კმაყოფილი მიდიოდა, რომ მეორე დღეს ღმერთისა და გრიშას შეწევნით ავადმყოფიც კარგად იქნებოდა და მისი მეზობლებიც, ოღონდ გრიშას ამ სამსახურისთვის ფულს უჩურთავდნენ ჯიბეში, ღმერთს კი, არა. ისე, ფული თუ ვინმეს ჭირდება, კაცს ჭირდება, სულ ერთია, ექიმია თუ ვექილი. ღმერთს რად უნდა ფული. კაცს კი, ამ ქვეყნად, თუ რამის იმედი აქვს, ფულის იმედი. ფული მიაჩნია უფრო დიდ ღმერთად და თუ ფული აღარ შველის უკუღმართს, მაშინ ახსენებდა ღმერთი. ღმერთებს არა აქვთ ფულისადმი მიდრეკილება. ფულებისკენ მოკვდავნი მას მერე ისწრაფვიან, რაც ფული გაჩნდა. გრიშაც მოკვდავი იყო.

უცნაური აკვიატება იცოდა გრიშამ. მისი აზრით, შინდოვანში აღმართი მეტი იყო დაღმართზე. ავადმყოფებთან უმრავლესად ასვლა უწევდა და ამიტომაც თვლიდა ალბათ ასე. გოგია კი, ეკლესიის ზემოთ რომ ცხოვრობდა, პირიქით ფიქრობდა, დაღმართი მეტიაო. ამ საკითხზე კიდევაც უკამათნიათ გრიშას და გოგიას, საქმე ნიძლავამდეც მისულა. ორივე თავისი ეზოდან გასცქეროდა სოფელს. გრიშამ რამდენი აღმართი დათვალა, გოგიასთვის დაღმართი გამოდგა. ორივე მოგებულად თვლიდა ათი კაცის პურმარილს. ნიკოლას თხოვეს, უხნესი კაცი ხარ, შენ მაინც გაარჩიე ბრუნდი და მართალიო. ნიკოლაც ხან გრიშას მიეხმარა თვლაში, ხანაც გოგიას, ისიც დაიბნა, სამოცდათხუთმეტი წლის კაცი ვარ, აღმართიც პევრი მინახავს და დაღმართიც, დათვლით, სიმართლე გითხრათ, არ დამითვლია. მივდიოდი აღმართი იყო, მოვდიოდი დაღმართი... ერთი სიტყვით, ვერც ყოფილმა თავმჯდომარემ გააჩია საქმე, ჩაიქნია ხელი და ნელ-ნელა აუყვა იმ გზას, ცოტა ხნის წინ გოგიამ დაღმართში რომ მიითვალა, გრიშამ — აღმართში.

სწორედ გოგიასთან მიიჩქაროდა ექიმის თაგვისფერი „პობედა". თეო გამხდარიყო ავად, გოგიას ცოლი.

— ეს არაა აღმართი? ძლივს მიბობღავს მანქანა, — ღრინავდა გრიშა.

როგორც იქნა მიაღწია გოგიას ჭიშკრამდე. დიდი ქვებით დაბორკა მანქანა, რომ არ დაგორებულიყო, სახლში შესვლამდე ხელის დაბანა მოითხოვა ექიმმა, მერე თეოს გამოჰკითხა, რა აწუხებდა.

თეომ მოხსნა გუდას თავი და ალაპარაკდა, ჰო, ჰო, ჰო, რა ალაპარაკდა.

— ენა მიჩვენე, — ძლივს გააგონა ავადმყოფს გრიშამ.

თეოც დაემორჩილა. დაისვენა ყურებმა. მოლაპარაკე ენაზე მეტი უთხრა თეოს გამოყოფილმა ენამ. სიცხე გაუსინჯეს ავადმყოფს. ოცდათერამეტი და სამი ხაზიო, გოგიამ. ჩაფიქრდა ექიმი ერთი ჩაფიქრება, მერე გამოწერა სიცხის წამალი და გოგიას უთხრა, ახლავე ამოუტანეო, თანაც ა-მ-ო-უ-ტ-ა-ნ-ე განსაკუთრებულად გამოკვეთა, ახლა მაინც გატყდი აღმართი რომაო.

— კი, კაცო, ჩავირბენ და გაუჩინარს...

— შენი გამოსწორება არ იქნება, ხელი დამაბანიე ქე მაინც, ხელი.

ურცხო ენაზე ასეა, ქართულად კი ასე უნდა გავიგოთ: ფული გამოიტანე, ფული!

გოგიამ დოქით წყალი გამოიტანა.

— რა გქვია, ბიჭო, შენ?!

— ვითომ არ იცი, — თავის ჭიშკარივით დაიშალა გოგია.

— მე კი არა, შენც არ გეცოდინება, რა გქვია.

— რა მქვია დ პროკლე.

— პროკლე არა ის, უტუ გქვია შენ და სულ დარჩები უტუ, მოვსპე მანქანა და გავაოხრე, ნაწილები მაინც იშოვებოდეს, სამმაგს მახდევინებენ ყველაფერში, ბენზინსაც ბევრს ხვრიპავს...

— აბა, აბა! — დაემოწმა გოგია ანუ უტუ.

გრიშა მიხვდა, ეს ლაპარაკი ენის ვარჯიშად რომ დარჩა და ეზოს ქორის თვალი მოავლო. კიბესთან ახალნერგი შენიშნა.

— ეს საადრიო შავი ბალი ხომ არაა, ბიჯო?!

— კი, შავი ბალია!

— ჰოდა, მაგას ვეძებ, რამდენი ხანია.

თეო საწოლიდან წამოიწია და ყელის ტკივილის მიუხედავად ექიმს გააგონა:

— შავი კი არა, თეთრი ბალია, საგვიანო, თეთრი!

კი არ იცოდა, რა ფერის იყო, მაინც ასე დაიძახა.

— მთლად უკეთესი, თეთრი არ ჯობია? წყალი შეიტანე და ბარი გამოიტანე, ბარი!

ძირებს მიწაც გამოაყოლა, კარგად გაიხარებსო, დააიმედა გოგია, ნერგი მანქანის საბარგულში ჩადო და გრიშას კიდევ დაამადლა, ამხელა აღმართი ამოვიარე, მოვკალი მანქანაო.

— გამოვაცლი მაგ ქვებს და ნაცხავ რაცხა აღმართია, — ისევ დაემგვანა თავის ჭიშკარს უტუ.

— რა ქნა მაგ უსვინდისომ, ეგ არ მოესწრო იმის დამწიფებას, რავა მოგვითხარა ძლივს გახარებული ბალი, — აქოთქოთდა თეო, გოგია რომ სახლში შებრუნდა.

— ვერაფრით ხერ გავუხერხე ვარი, შე ქალო!

— ერმალოზს დაადგა ნათელი, რა კაცი იყო?!

— ერმალოზმა, ბოშო, მამაჩემს რო მოვუყვანე, წამალი გამოწერა, მიიხედ-მოიხედა, მიხვდა რა ფულის პატრონებიც ვიყავით, ამოიღო თუმნიანი, დაადო რეცეპტს, წამალი უშოკეთ ახლავეო... ამას, იქით თუ არ მიეცი ფული, ხეს მოგიჭრის...

თავმჯდომარეობიდან გათავისუფლებულმა ნიკოლამ თავისუფლად ამოისუნთქა, უწინდელი ცალ-ღონე სადღა იყო, კიდევაც დაეტყო მის ეზო-გარემოს. შვილები ქალაქში ცხოვრობდნენ და კანტი-კუნტად ჩამოდიოდნენ შინდოვანში. გასულ ზამთარს იავადმყოფა ნიკოლამ, მერე მოიხედა, მაგრამ თავს მაინც ვერ გრძნობდა მთლად კარგად. ბოლო დროს ისევ მიეძალა ავადმყოფობა, ხან იწვა, ხანაც გაიელ-გამოიელიდა, უფროსი შვილი ჩამოვიდა, გიორგი, მთელი შვებულება სო-

ცელში გაატარა, ექიმიც ჩამოიყვანა თბილისიდან, ვერაფერი უთხრა, გამოკვლევა უნდაო, არ ქნა ნიკოლამ, გუშინდელი კი არ ვარ, აწი ავადმყოფობა მომეძალება, აბა რა იქნებაო, ბილოს მთლად დასუსტდა, დავარდნილს ვერ ეტყოდით, მაგრამ ლოგინს მიეჩვია. გრიშა ექიმს დაუძახა გიორგიმ.

გასინჯა ავადმყოფი ექიმმა, მერე უხმოდ გავიდა აივანზე. სიგარეტი გააბოლა, გაიარ-გამოიარა და გიორგის წინ შედგა. ერთხანს იყუჩა, მერე ალაპარაკდა.

— რაღა დაგიმალო და ვერ გაქ კაი ამბავი... დიდი-დიდი ერთი თვე იცოცხლოს. რა უნდა ვქნა მე, ის კი არა ვარ. ან თქვენ რა უნდა ქნათ იმაზე მეტი, რასაც აკეთებთ.

პორტფელი მოიძია და ნელა ჩაუყვა კიბეს, ჩააცილა გიორგიმ, ჭიშკართან შემობრუნდა ექიმი და ხმადაბლა დაიწყო:

— კაცი კაცს გაჭირვებაში უნდა დაეხმაროს, თუ არა... ყველაფერს მნიშვნელობა აქვს და იმისი არ იყოს, მეზობელი ვარ, აგერ, თქვენ არ გექნებათ საყოფი, დაჭირვებით მალე დაგჭირდებათ, რომ დაგჭირდებათ, მე მაქვს კაი ღვინო, გასახელებს იცოდე, სხვაგან რატომ უნდა ეძიო, ანდიოფას გასვენებაში ქე იყავი შენ, ჩემი ღვინით გაასვენეს, რავარი იყო? ჰოდა, მეტი რა ვართ ერთმანეთისთვის. ფასში მოვრიგდებით და... აბა შენ იცი, ასე ქენი, ასე, ჩაჯდა მანქანაში და გაქუსლა.

გიორგი კარგა ხანს იდგა გაშეშებული, იქით იყურებოდა, საითაც გრიშას მანქანა ვაგორდა, მერე მიაფურთხა გზას და შებრუნდა.

სოფლის ექიმი კი ღიღინ-ღიღინით მიჩახჩახებდა თაგვისფერი მანქანით. ორმოებს მოხერხებულად უვლიდა გვერდს, თავსაც ეფერებოდა და მანქანასაც. სკოლასთან ქალს წამოეწია. სანამ ჩაუვლიდა, მოეწონა, რომ ჩაუარა, მოუხედა, და უფრო მოეწონა, გააჩერა მანქანა, კარი გაუღო, დაჯექიო, შეეპატიჟა.

— უი, არა, გრიშა ექიმო, ნუ წუხდებით

— რა შეწუხებაა, იქით მივდივარ მაინც.

რახან იქით მიდიოდა, სიტყვა ველარ შეუბრუნა, ჩაჯდა მანქანაში და კაბა ისე მოხდენილად გაისწორა, მის შეხედვას

არავერი ჯობდა. საერთოდ ასეა, ქალი რომ მუხლისთავები-კაბის გასწორებას გააჭიანურებს, უნებლიეთ იქცევს ყურადღებას, მით უფრო, თუ მოყურადე კაცია. კაცი გახლდათ გრიშაც და რახან მისი ყურადღებაც მიიქციეს, ცოტა შეუყოვნდა თვალი, გზაზე პატარა თხრილიც გამორჩა და ისე აყუნცულდა მანქანა, ქალს ხელახლა შეექნა მუხლისთავები საპატრონო.

— როგორ ხარ, ანიჩკა, — უფრო უხერხულობის დასაფარავად იკითხა ექიმმა.

— რა მიჭირს, ვცოცხლობ.

— ეს ორდენი როდის მიიღე? — ახლა საჯილდოე ადგილებში გადმოიმსუნაგა გრიშამ.

— ეს რომ მიეიღე, მასუკან დავბერდი.

— რა დროს შენი სიბერეა, — ისევ ჯილდოს ახლო-მახლო დაასუნსულებდა მზერას ექიმი, — რისთვის დაიმსახურე?

— მაშინ ფერმაში ვმუშაობდი.

— ფერმაში შენი გაცდენა გამიგონია?.. რაღაც ფერი არ მომწონს შენი...

— შეწუხებით არაფერი მაწუხებს და...

— მასე იცით, ხანდახან პროფილაქტიკის მიზნითაც უნდა შეიაროთ ექიმთან... ახლა სად მიდიხარ?

— საბჭოში, მერე თბილისში, აქტივის კრებაზე.

— როგორც კი ჩამოხვალ, ჩემთან მოდი, უნდა გაგაშუქო, ღვიძლზე მაქ ეჭვი, თუ არა, ბარეორი წასულა აქტივის კრებიდან იქით, შენ რომ იცი.

სოფლის ცენტრში, საბჭოსთან გაუჩერა მანქანა, ქალმა მადლობა გადაუხადა და ისე წავიდა, ორდენისანს რომ შეეფერება.

— არ დაგავიწყდეს, როგორც ჩამოხვალ, მაშინვე მოდი, — მიაძახა ექიმმა და სახლისკენ გაუხვია, ახლაც ღიღინებდა, თუ კარგად მიაყურადებდა კაცი, სიტყვებსაც გაარჩევდით: „ერთი ჩემებურად უნდა გაგაშუქოო", — უმღეროდა ვიღაცას. ახლაც ქალს წამოეწია, სანამ გადაუსწრებდა, იმის გაშუქებაც ინატრა, შენმა სულელმა ქმარმა არც იცის, რამოდენა სიმდიდრის პატრონიაო, — გააგრძელა ღიღინით, გადაუსწრო და საკუთარი ცოლი არ შერჩა ხელში? აუტყდა სიცილი.

ცოლსაც გაუჩერა მანქანა, ქალმა იმ ადგილას მოიკალათა, ქმრების მანქანაში დაკანონებული რომ აქვთ. რა გაცინებსო, ჰკითხა გრიშას, გრიშამ სიცილს უმატა.

— ერთი ქალის გაშუქება ვიფიქრე და კინაღამ შენც არ მიგაყოლე ზედ?

— რულს მოკიდე ხელი, რულს!

— რაც შენ გაშუქებული მყავხარ, უიმე დედაია!

— ატროებულივით იცინი და არაფერი გეწყინოს დღეს.

— მეწყინოს არა ის.

— რაის ნერგი გაქ საბარგულში?

— იაპონური ზღმარტლიაო, ოთარამ.

— თავზე თუ დამარგავ, თუ არა, ეზოში აღარაა ადგილი.

— სადაც დაგარგავ, ის მე ვიცი, — ისევ გაიცინა ექიმმა.

— როგორაა ოთარას დედა?

— მაგათაც მალე დასჭირდებათ ღვინო.

— რაებს ბოდავ დღეს?..

— რაც გესმის.

რკინის ღობით შემოსაზღვრულ ეზოსთან მანქანამ სვლა შეანელა და პირქუშ ჭიშკარს მიადგა, მიასიგნალა. შეიხსნა ალაყაფი. მანქანას რომ შევყოლოდით, ხეხილით სავსე, უფრო სწორად, ხეხილით გადატვირთულ ეზოში მოხვდებოდით.

ავადმყოფები გელოდებიანო, ჭიშკართანვე უთხრა ქალიშვილმა. გრიშამ უთქმელადაც შეამჩნია საზაფხულო მოსაცდელში, მსხლის ქვეშ, ძელსკამზე მსხდომი ქალები. ერთი ხანშიშესული ჩანდა, მეორე ახალგაზრდა, შორიდან ვერ იცნო, მიუახლოვდა ქალებს. ვერც ახლოდან შეიცნო. მიესალმა, სალამზე რომ პასუხი მიიღო, როგორ ბრძანდებითო, ვითომ ორივეს ჰკითხა, სინამდვილეში ახალგაზრდას შესციცინებდა.

— მე კი გახსოვარ ალბათ გრიშა ექიმო, ლადიმირას შვილის ქორწილში კინტაური რომ ვიცეკვე, თვალის უპეები გაქვს ჩამოსივებული და ღვიძლი არ გაწუხებდესო...

— როგორ არ მახსოვხარ, კაცო, გაშუქებას არ შეგპირდი?

— კი ბატონო, ეს ჩემი დედამთილია, რახან მიდიხარ, მეც გავეშუქებიო.

რა დროს ამის გაშუქებაა, ფიქრით ასე გაიფიქრა გრიშამ, ხმამაღლა კი — თუ გულით უნდა, გავაშუქებო.

მეორე სართულზე აიპატიჟა ქალები. უკანა ოთახში ჰქონდა რენტგენის აპარატი.

— გაიხადეთ. ტანსაცმელი ტახტზე დააწყვეთ.

— გავიხადოთ?! — შეფიქრიან-შეყოყმანდა დედამთილი.

— აბა ჩაცმული გაშუქება ვის გაუგონია, — წაიქირქილა რძალმა.

— მთლად კი არა, შეშილიფდით წელსზევით, — ამბობს გაბადრული ექიმი.

ქალებმა შეშილიფებას მიჰყვეს ხელი.

გრიშამ ფანჯრის ზემოდან შავი ფარდა ჩამოუშვა. ოთახი დაბნელდა. წუთის მერე სიბნელე გაბაცდა. ექიმის წუწკი მზერა ნახევრადშიშველი ახალგაზრდა ქალის სხეულს ყლაპავდა. ჯანიანი ქალის ხორცმორეული ტანი პერანგიდან გაქცევას ლამობდა.

— ღვიძლი არა ის, — გაიფიქრა გრიშამ, შეაკანკალა ერთი შეკანკალება და იგრძნო, როგორ წამოეზარდა სხეულის გარკვეული ნაწილი. ზოგს გაუკვირდება, რატომ ხდება ასეო, მაგრამ გრიშა ექიმი იყო და კარგად მოეხსენებოდა, ის ვარკვეული ნაწილი ვერ იტანდა ნახევრად სიბნელეში ნახევრადშიშველ ქალს, ასე იცოდა აჯანყება ყოველთვის და მანამ იქნებოდა შემართული, სანამ ხუშტური არ გაუვლიდა, ქალმა რენტგენის აპარატისკენ გაუბედავად გადადგა ნაბიჯი, გრიშა შეეშველა, სანამ ეკრანის წინ ჩააყენებდა, ქალის მკერდით ანუ ხაფანგში გაბმული ორი კურდღლის ფერებით იქცეოდა თავს.

სიბნელეს მიდარაჯებული დედამთილი ცდილობდა გაერკვია, რას ბღლარძუნობდნენ აპარატის ახლოს მისი რძალი და გრიშა ექიმი. რძალმა დედამთილის ხათრით ხმის ამოღება ვერ გაბედა. დედამთილის ხათრი გრიშასაც ჰქონდა, მაგრამ რა ექნა, რაღაც უხილავს მიყობ-მოყობოდა ბრმად. როგორც იქნა ჩართო აპარატი ექიმმა. ქალის გული გამოხტომას ცდილობდა მკერდიდანაც და ეკრანიდანაც. გრიშამ იფიქრა, უფრო კარგად რომ გავაშუქო, ცოტას მოვწევ ეკრანისკენო, და ხე-

ლებისფათურით ისევ გულ-მკერდის ძებნა დაიწყო, მაგრამ... მაგრამ მოხდა ის, რასაც არ ელოდით, არც თქვენ, არც რძალ-დედამთილი და არც თავად ექიმი, სანამ ქალის სხეულს შეეხებოდა, მანამ გაკვესა ნაპერწკალმა. გრიშა ექიმთან ერთად აკანკალდა რენტგენის აპარატიც. რძალ-დედამთილმა იაზრა, რაღაც უბედურება რომ მოხდა...

— გრიშა ექიმო, — ხმადაბლა დაუძახა რძალმა.

ექიმი ცახცახებდა.

— გრიშა!!! — ახლა დედამთილმა დაიძახა ხმამაღლა.

ცახცახი შეწყდა.

ახალგაზრდა ქალი ფანჯარასთან მიიჭრა და შავი ფარდა ჩამოგლიჯა. ოთახი განათდა. მტერსა და ავს, რაც იქ რძალ-დედამთილმა დაინახა: გრიშა ექიმს შიშვლადდატოვებულ ელექტროსადენში გახლართოდა ხელი, ახლაც სკამზე იჯდა, პირსახეზე გაშავებულიყო. თვალები ღიად დარჩენოდა, პირი ღია, თითქოს უკვირდა რაღაც.

კვირის თავზე დაასაფლავეს. ქელეხი კარგი გაუკეთეს. პურ-მარილი ხომ იყო და იყო, ღვინო მართლა სამაგალითო ჰქონია.

ექიმის კუბოს სასაფლაოსკენ რომ მიაცილებდნენ, გოგიამ თეოს გადაუჩუმათა:

— საწყალს აღმართის ავლა ძულდა ნამეტანი, ფეხით იყო ოუ მანქანით, სულ ჯუჯღურებდა, ამ პოლო აღმართს ქე აივლის უხმოდ, უბენზინოდ და უიმოთ, ასე ეწერა ალბათ.

— ერმალოზის გასვენებაში სამჯერ მეტი ხალხი იყო. — შეუბღვირა თეომ.

მზერა აარიდა ცოლს. შავი ნაჭრებით გაწყობილი ექიმის მანქანა მოხვდა თვალში. „პობედა" კუბოს სიჩქარით მიუძღვოდა ჭირისუფლებს.

ᲓᲘ ᲨᲢᲠᲐᲡᲔ

რაინდის ბიჭი როა, გიორგი, იმსელა ვიქნებოდი, მანქანა რომ დავიხახე პირველად. სკოლა ხუთ კილომეტრზე, მთავარი გზის პირას იყო. გზის პირას რომ იყო, იმიტომაც დავიხახე მანქანა. შესვენებაზე ვართ ბაღნები. შივანებეთ ᲜᲐᲛᲐᲨᲘᲡ თავი და მივირბინეთ მანქანასთან, სოფლის გადასახედთან რომ გააჩერა შოფერმა. გვერდით ჩემზე ცხვირძოუსოცავი ბიჭი უჯდა. გააღო იმ ბიჭმა მანქანის კარი, შეხტა ძარაზე. ცალი ხელით ᲘᲐᲠᲐᲡ ჩაეჭიდა, მეორეთი დოინჯი გაიკეთა და ვინც ჩადის, ორ-ორი მანეთი მომეცითო, თქვა. ჩამომსვლელებმა მისთანა ადგილებიდან დააძვრეს ცხვირსახოცში გამოსკვნილი ფულები, ყველას გასაგონად კი ვერ ეიტყვი. დოინჯის ᲓᲠᲝ საღა დარჩა იმ ბიჭს. სადოინჯე ხელით იკუჭავდა და იკუჭავდა ჯიბეში ფულებს. განახევრდა მანქანა. მაგიერში მარჯვენა ჯიბე ამოიტენა იმ ბიჭმა, მერე ფუყეთ ჩამოხტა ᲘᲠᲘᲡ, ისე, რომ სადოინჯე ხელი გამოტენილი ჯიბისთვის არ მოუცილებია. უფრო იმედიანად ჩატენა ფული და მიუჯდა შოფერს. შოფერი მარჯვედ მიესადაგა რულს, ახლა ქე ვიცი, საჭე ქვია, მარა მაშინ რულს უძახოდა მთელი ქვეყანა. რა არ იწვალა შოფერმა, მაინც ვერ აამუშავა მანქანა.

პამოშნიკ, რუჩკაი, იყვირა. გადმოხტა ბიჭი, თან რაცხანაირად მოღუნული რკინა ჩამეიღო. წინაბორბლებსშორის შეუკვეხ მანქანას, ატრიალა და ატრიალა მეარღნესავით. ათუხთუხდა მანქანა, ბათქა-ბუთქიც გამოურია ალაგ-ალაგ. ᲐᲠᲚᲜᲘᲡ ხმა არა, მარა თავისებური მუსიკა მაინც ქე გამეევიდა. ᲒᲐᲘᲝᲤᲚᲐ ბიჭი, არაქათი გამოეცალა.

ახლა შოფერმა დაიფურთხა ხელისგულებზე. მომეცი აქო, შეუყვირა ბიჭს. დაჯექი რულთან და ისე დოუიმასქენი, როგორც გასწავლეო.

შოფრის ადგილი უფრო საქმიანი კაცივით შეიმშვენა პამოშნიკმა. პედალს რო დოუიმასქნა, რულთან დარჩა უხერხულად, რულს მიემარჯვა და პედალს ვეღარ მიწვდა. კი ვერ გეტყვით, მძღოლმა უკეთ იმუშავა, თუ იმ ბიჭმა, მანქანა ამუშავდა, დაიძრა და მივყევით ჩვენც ნაბამი ძაღლებივით,

სანამ შევძელით, მერე კაიძალზე ჩამოგვიტოვა, თვალიდა მივადევნეთ. შევბრუნდით და გაგეახსენდა გაკეეთილი.

მართალია, მანქანაში არ ვმჯდარვარ, მაგრამ იმითაც კმ-ყოფილი დავრჩი, რომ დავინახე. ახლა ქე ვიცი რაცაა, მაშინ დიდი გამოგონებაა-თქვა, ასე გავიფიქრე. არ იყო თუ?! ხარი არ უნდოდა და ცხენი, სიჩქარე არ აკლდა და ძალა. შოფერი ხომ იყო ღმერთი, მარა ბიჭი, დღესიადაგ გვერდში რომ უჯდა და ჯიბე ფულით ქონდა ამოტენილი, ჩემზე ცოტა უფროსი რომ იყო და დაქრიალობდა აღმა-დაღმა, არც ის იყო საკლები.

დასამალი რა მაქ და გულში ჩამივარდა შოფრობა. სწავლით არც მანამდე ვიკლავდი თავს, ახლა სულ აეიცრუე გული. ტყუილა სკოლაში სიარულს ყოლიფერი ჯობია-თქვა, ვუთხარი მამაჩემს.

„რა მოხელე გინდა მაინც რო ვამოხვიდეო" — მკითხა მამაჩემმა.

შოფრობას ვისწავლი და კაცი ვიქნები ქვეყანაზე-თქვა.

მიდგა-მოდგა მამაჩემი, გაიკითხ-გამოიკითხა და ქვისლის ძმიშვილთან მიიყვანა საჭირო საქმემ. გაეგო, ის ბიჭი ორი წელი რომ მუშაობდა მანქანაზე, აშიტომაც ძალიან რაღაცაზ მოპქონდა თურმე თავი.

მამას უთქვამს, რისთვისაც იყო ბისული.

რაცხანაირად გაუცინია გვერდზე. ბაგ არც ადვილი საქმეაო, უთქვამს. ორი-სამი წელი პამოშნიკად უნდა იმუშაოს, ბერე, საბუთები, მოწმობები, წიგნაკები და ყოლიფერი ბევრიო. ყოლიფერს ერთად პატარა ფულიც უნდაო. პატარა, ისე უთქვამს, მიმხვდარა მამაჩემი, რაცხა პატარა იყო ის ფული.

მოხმარებას რავა დაგამადლი, გავიკითხავ თუ ვინმეა თავისუფალი, მარა ოცდახუთი თუმანი დაჭირდება მაგ საქმეს, ტყუილა არავინ აიყვანს. მე უკვე მყავს პამოშნიკი, თუ არა რავა გაგიშობდი სადმეო.

კაცმა რომ თქვას, ოცდახუთი თუმანი კი არ უძვირია მამაჩემს, მარა არ ჰქონდა, მისი ნახევარიც არ ჰქონდა და იმის გარდა სხვა რამეზეც რომ იყო საჭირო, ის ფული სულ არ ჰქონდა.

პევრი რომ არ გავაგრძელო, შემრჩა შოფრობაზე ოცნება და ოყიანი თოხი. სანამ ახალგაზრდა ვიყავი, შოფრის და მისი დამხმარის დანახვაზე, გულში ვფიქრობდი, ამათ ქე უშონიათ ოცდახუთი თუმანი და ის, სხვა ფულიც, დასარჩენ ყოლიფერს რომ ჭირდებოდა-თქვა და გულნაწყვეტად გამიყოლებია თვალი მათთვის. მერე და მერე ჭერეხივით რომ დეიყენია შოფრები და გახშირდა მანქანები, გამოჩნდა რა მოხელე ჩიქვანებიც იყვნენ. ზარეორი ციხეში მოხვდა, ზოგი საავ დმყოფოში, ზოგმა ორფეხი გაიტანა, ზოგმა ოთხფეხი. ისეთი ავარიებიც გაკეთეს, სხვებიც დაღუპეს და თავიც მიაყოლეს. ამოზიზნილ ვინმეს შეასწრებდნენ თვალს, შოფერივით დადისო, შეიგინებდა ვინმე და, შოფერივით იგინებაო. მეც ავდექი და განგებას ძალლობა ვუთხარი, თოხი რომ შემატოვა ხელში. ჩემგან სხვა რა უნდა გამოსულიყო. ამ თოხს სადაც შინდა, იქ დავკრავ. მიწას ის არ ცილდება და არაფერი. მთავარია მარჯვედ ვეჭირის ხელში. მარჯვე თოხმა კაი მოსავალი იცის. მასუკან ბევრმა წყალმა ჩაიარა. შრომა არ მძულდა, ახლაც არ მძულს. არც მომშივნია, მარა არც ისე ვიყავი, დულს და გადადულსო. ჩემს მოწეულ შემოდგომის სხვასაც ვუნაწილებდი, სოფელი ქალაქის მარჩენალია და მიედი-მოვდიოდი ამასა და იმასშუა.

ღღესაც ბაზარში ვიყავი, ბოსტნეული მქონდა გასაყიდად. შუადღემდე მოვრჩი ჩემ საქმეს და ახლა ქე ვარ ძოკალათებული ჩემი სოფლის ავტობუსში. შესრულდება სამი და წავალო. ერთ საათში სახლში ვიქნები, მთელი დღის საქმის გაკეთებას მოვასწრებ კიდო.

დახედა კუკურამ საათს, ვინც მოდის, ამოდითო, დაიძახა და ჩართო მანქანა. კუკურა ავტობუსის მძღოლია. ხვალ ილო აქნება. ეს ორი კაცი დღეგამოშვებით ცვლიან ერთმანეთს და გვატარებენ აქეთ-იქით. ჩვენ ქკეყანაში ბევრი სოფელია. ყველა სოფელს თავის ილო და კუკურა ყავს, მარა ჩვენ რო კუკურა და ილო გვყავს?! ჩვენ რომ ილო და კუკურა გვყავს?! არ მითხრათ...

ავტობუსი მოგვიძველდა, მარა სხვის ახალს ჩვენი ძველი გვირჩევნია. როგორც დედა ცნობს დაბრუნებულ შვილს ფეხის ხმაზე, ისე ვცნობთ ჩვენს ავტობუსს ხმაზე. ღღეში ხუთჯერ

მიდი-მოდის. ისე ოცდასუოკაციანია, სინამდვილეში რამდენს იტევს, ვერც მე გეტყვით, ვერც კუკურა და ილო. ასე მგონია, მთელმა სოფელმა რომ ერთად მოინდომოს მგზავრობა, ყველა ჩაეტევა. ჭუჭულიას ბელელივით სულაა გამოტენილი. მარა ამის გამო ვინმე წაუსვლელი დარჩენილიყოს, არ მახსოვს. ავტობუსი რკინიგზის სადგურიდან გამოდის, ჯიბეებში ხელებჩაწყობილი ლენინი რომ იდგა, იქიდან. საფიჩხიის ბაზართან მგზავრებს აიმატებს, კი არ აკლია, მარა მაინც დაეშვება თავქვე. წყალწითელას ხიდთან შეჩერდება ერთი შეჩერება და გააგრძელებს გაზეპირებულ გზას. ავტობუსმა იცის, სად გაჩერდეს, საით მოუხვიოს. ილო და კუკურა ისე ატრიალებენ რულს, თუ არა, კი არაა საჭირო. მგზავრები ხომ იცნობენ ერთმანეთს, მძღოლებმაც ზეპირად იციან, ვინ ვინაა. ერთს მოიხედავენ უკან და ხედებიან, შემდეგ ვის ჭიშკართან გააჩერონ. ჭიშურასთან ბაბილინა დაგვემატება, ბულალტრათ რომ მუშაობს რომელიცხა კანტორაში, სააგურესთან ლიტუშა კობახიძე, წითელს რო ვერაფერს იტანს და თეთრ ავურს უშობს.

ნავენახების გადასახვევთან ერთი წყება ხალხი ჩამოგვაკლდა. ავტოინსპექციის პუნქტთან თამარა ფოსტალიონი ამოვიდა, სავსე ჩანთით და გაზის ბალონით.

გადავუხვიეთ იმ სკოლასთან, სადაც წლების წინათ პირველად ვნახე ავტომობილი. სწორეთ იმ სკოლასთან მთავრდება გზა და იწყება უგზობა. გადასახვევიდან სათემოს უბნამდე ხუთი კილომეტრია, ამ ხუთი კილომეტრის გავლასაც იმდენივე დრო სჭირდება, რამდენიც აქამდე 20 კილომეტრს. სათემოს სკოლამდე განახევრდა ავტობუსი. სკოლასთან ისევ შეივსო ჩანთიანი გოგო-ბიჭებით. ეკლესიასთან ჩავლისას რამდენიმე მგზავრმა ამოიხვნეშა. ერთი სასახლე მეც მაქვს აქ, ნლვასთან დამარცხებული ჩემი ვიტალი ცხოვრობს შიგ. დაელოცა ღმერთს სამარადალი.

მიასიგნალა კუკურამ. ამ დროს სათემოელები საათს ასწორებენ. ყველამ იცის, ოთხს ხუთი წუთი უკლია.

ღენტორას ჭიშკართან თავშეხვეული პელაგია დახვდა ავტობუსს, მარტოხელაა საწყალი. ჭიშკარი არც გაუღია,

ღობიდან მიაწვდინა ფული კუკურას, ადელფანი იქნება ამოგიტანო, შენი მუხლების ჭირიმეო.

ლევანტის ლადომ სიგარეტი დააბარა, არ დაგავიწყდეს, თუ არა შენ ქუდს შეიჭამო, დაემუქრა. კუკურამ გაიცინა და ორფა სიგნალით ამცნო, საღამოს „ასტრა“ გექნებაო.

სოფლის მაღაზიასთან მობრუნდა ავტობუსი, მომსველელი ჩამოვიდა, წამსველელი ავიდა. ერთი გრძელი სიგნალი უკან გაბრუნების მისცა და გზას გაუდგა.

ილიან თქმა, ილო ჩქარია, მალ-მალე მიდი-მოდისო... ამ ხნის კაცი ვარ და ჩემი აზრი მაქ ყველაფერზე, ფაქტს ვერ გაექცევი, ილოც ხუთ გზიბას აკეთებს და კუკურაც. მისვლა-მოსვლის განრიგი ერთნაირი აქეთ, არც ერთი არღვევს და არც მეორე, ოღონდ ილო ხუთი წუთით ადრე მოდის ბოლო გაჩერებაზე, გააბოლებს სიგარეტს და მიდის, კუკურა არ ეწევა თუთუნს, ზუსტად მოდის, ამიტომაც შეარქვეს დინჯი, ძაან უნდა ილოსაც სიგარეტის გადაგდება და დადინჯება, შარა ვერ მოახერხა.

ასეა, ჩემო ბატონო, ასეთი მძღოლები გვყავს, მაგათ შოფრებს ვერც დავუძახებ, მე რო მე ვარ და მეშოვნა მაშინ ის იცდახუთი თუმანი, შეიძლება მეც ვერ გამოვსულიყავი ამათთანა მძღოლი, სხვებივით შოფერი დავრჩებოდი, გინებაშიც გავეჯიბრებოდი ზოგ-ზოგებს და მებუხრესავით ვიქნებოდი ამოგანგლული, ვიცი ჩემი თავის ამბავი.

ლეოლინეს ჭიშკართან რომ ავიარე, ვაჟიკომ მომატანა ოვალი, გამარჯობა სევასტინო, თავი მეიკლა, გინდა თუ არა, გამეიარეო, არ მინდოდა, მარა მაინც შევიარე. ღრაფინი გაენახევრებია მარტოსულს, ხასიათი კაი, სიმღერა კაი... ღვინოს თუ დალევო, კითქვა, დალიე, ვინ გიშლიაიუსო. დაშლით მართლა არავინ მიშლიდა და ქე დავცალეთ ღრაფინი ერთიერთში.

ვაჟიკოს ღვინო მოეკიდა. ჩემი ღვინო რავა მათრობსო, გაბრაზდა. ღვინოს თუ დალევ, დაგათრობს, გინდ შენი იყოს, გინდ სხვისითქვა. ავიღე ჩემი კალათი და სანამ ღრაფინს ხელახლა გაავსებდა, ჩიტუნას სახლს ვიყავი უკვე გაცილებული.

ჩემთან ერთად ჩიტუნას უფროსი შვილიშვილი ჩამოყვა მანქანას, ეშხას სახლი რომ იყიდა შარშან. უკვირდა, მძღოლს წამალი და სიგარეტი რავა დააბარესო, მე ვუთხარი, მაგათ შენ ვერ არ იცნობ, აწი გაიცნობ, რა ხალხიათქვა, რამდენა პურს აბარებს, ისიც ვუთხარი, ეფროსინემ ილოს ერთი ხალამი ყველი რომ გაატანა საფინხიის ბაზარზე გასაყიდად. თვითონ ვერ მიდიოდა ეფროსინე, არ შეეძლო, როცა შეუძლოთ ხარ, მაშინ უფრო გჭირდება ფული. წაუღია ილოს ყველი ბაზარში, ბაზრის ფასი ხუთი მანეთი დახვედრია (ნეტაი იმ დროს), თვითონ ოთხი დაუფასებია. ათ წუთში ცარიელი ხალამი მოუბრუნებია. პანაშვიღებისა და გასვენებების დროს ყვავილების ყიდვას და ჩამოტანასაც ავალებენ მძღოლებს, ქორწილის დროს პურის, ლიმონათის და ბორჯომის წამოძღვანებას, გოჭების შეწვას და მთვრალი სტუმრების სახლში ჩამორიგებას.

ილო და კუკურა ყველასათვის ახლობელია, ჭირში და ლხინში ისე პატივცემენ, როგორც ჩვენებურს. კუკურამ ეროს ბავშვიც მოუსათლა, ილოს შვილი სათემოელმა მოსათლა, შეიგრიხა და ჩამარყუედა ნათესაური სიყვარული.

კუკურა სოფლის ოკრო-ბოკრო ხვეულებს რომ მორჩება და სიმონეთის მარანთან ცენტრალურ გზაზე გადაუხვევს, ხელს გერმანელივით იშვერს წინ და დი შტრასეო, ყვირის.

რა გაყვირებს მანდამაინ მარანთანოქვა, დავაყინდი ერთხელ.

დი შტრასეო, მითხრა, გერმანულად გზასაც ნიშნავს და ქუჩასაცო. ამ შემთხვევაში, დი შტრასე, გზას ნიშნავსო. თქვენი სათემოდან სიმონეთის რესტორნამდე გზა არ არსებობს, ამას ყველაფერი ქვია გზის გარდა, სიმონეთის მარნიდან იწყება გზაო და მიტომაც ვყვირი მარანთან გერმანულადო.

მართალი იყო კუკურა, რაღას ვეტყოდი, უარესი არ უნდა დაეძახა? მარა სადაა კაცი პატრონი.

შამოდექი რომ დადგება და შაშვი დაიწყებს ყვლობას, ხან ამ ჭიშკართან აჩერებენ ავტობუსს და ხან იმ ჭიშკართან, ხან ნოდიკო მიდის მძღოლის მხრიდან მანქანასთან და ხან

ვახტანგი, ხან ეკოგუჯა და ხან თამაზი, იესება წინა განყოფილება ყურძნის აკიდოებით, კვახითა და სიმინდით, ფელამუშითა და მაჭრით, სითბოთი და ღიმილით, დიდი მადლობითა და რისი მადლობით...

ერთი სიტყვით, გზა არ გვივარგა და გეზი, თუ არა ხალხი?! თავით მარილს დანყავს, რომ იყოს დასანაყი.

ამასწინათ სიზმარი ვნახე, ვითომ ამისრულდა ბავშვობის ოცნება, ილომ და კუკურიმ უფულოდ ამიყვანეს პამოშნიკად. ქიშვარდის თენგიზამ, საგზაოს ინჟინერი რომაა, სიმონეთის მარნიდან სათემოს მაღაზიამდე დააგო ასფალტი. მიჭირავს რულია თუ საჭე და ვყვირივარ ხელგაშეერილი, დი შტრასეთქვა, აქიდან ჩემი შვილიშვილები, ცეზარი და ანუკა იმეორებენ დი შტლასე, დი შტლასეო... დიდხანს ვიყვირებდი კიდევ, ჩემ ოჯახობას, ანიკოს რო არ გამოეგლიჯა ბალიში ხელიდან, საჭესავით რო ვატრიალებდი თურმე ძილში.

გამეღვიძა და გული დამწყდა, რულიც და დი შტრასეც სიზმარში დამრჩა.

დი შტრასე გერმანულად, როგორც კუკურამ მითხრა, ქუჩასაც ნიშნავს თურმე, მე რომ სიზმარში ვყვიროდი, გზას ნიშნავდა.

ვენაცვალე ჩემს ცეზარიკოს და ანუკას.

პაროლი

ერთ საღამოს მოქცეულას მთის მწვერვალიდან პაკრიშკა დავაგორე. ეს საღამო მთელ სოფელს დაამახსოვრდა. ამის მერე გამივარდა სახელი. უცნობთან რომ წარმადგენდნენ, ლადო კენჭოშვილიო, თან დაამატებდნენ, ეს ისაა, მოქცეულადან პაკრიშკა რომ დააგორაო. ახლადგაცნობილის თვალში მაშინვე იზრდებოდა ჩემი წონა.

სოფელში თუ ცხოვრობ და კაცი გქვია, უნდა იგრძნოს სხვამაც, მეზობელმა, სტუმარ-მასპინძელმა, მტერ-მოყვარემ და თვითონაც უნდა გაგიჩნდეს მოთხოვნილება, ისეთი რაღაცის გაკეთების, ყველა რომ დააფასებს და დაიხსომებს.

ჯარის მერე, ერთხანობას, რუსეთში ვიმუშავე. ჩემს ჩამობრუნებამდე ზოგს ეკლესიის აღდგენა უთავებია, ზოგს სასმელი წყლის გამოყვანა, წისქვილიც აუშენებიათ და მაღაზიაც. მე ავდექი და პაკრიშკა დავაგორე.

რუსეთიდან რაც ფული ჩამომყვა, იმით სახლი ავაშენე, გადავხურე, მოწყობით აწი უნდა მოვაწყო. ფული შემომელია, უფულოდ რაღას გავაკეთებდი, რით მოვიგებდი ხალხის გულს.. სწორედ მაშინ დავაგორე პაკრიშკა.

ფული არც პაკრიშკის დაგორების მერე მიშოვია, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს. მთავარია პაკრიშკა მე დავაგორე პირველმა, ამით დედაჩემსაც მოჰქონდა თავი, მარუსას, ჩემს ცოლსაც და შვილებსაც, რადგან მათაც ესმოდათ ნაცნობებისგან: ამ ქალის შვილია, ან ამ ქალის ქმარია, ან ამათი მამაა ის კაცი, პაკრიშკა რომ დააგორაო. საწყალი მამაჩემი, ისიც იამაყებდა, მაგრამ პაკრიშკის დაგორებამდე გარდაიცვალა. თუ სადმე განგებაა, საფლავშიც იამაყებს, ასეთი შვილი რომ დავრჩი.

განსაკუთრებული ამბავი მალე იდგამს ფეხს და სოფლიდან სოფელში გადის, რაიონშიც ვრცელდება და ხშირ შემთხვევაში ქალაქამდე აღწევს, მაგრამ რას ვიფიქრებდი თუ საზღვარსაც გადაცდებოდა...

ეს ამბავი, პაკრიშკის დაგორებაზე მოგახსენებთ, ჩემთვისაც მოულოდნელად მოხდა. სიმინდის ყანები ახალი აღებული გვქონდა. ყორნელის ტყიდან ებრუნდებოდი. ჭურის

სარეცხად თაგვისსარა მომქონდა, ის იყო, მოქცეულაში გადმოვედი, დიდი მანქანის პაკრიშკა არ აგდია თხრილში? გამიკვირდა, მოქცეულაში მანქანას არ გაუელია, საიდან უნდა გაჩენილიყო პაკრიშკათქვა. ამის ფიქრით თავი დიდად არც შემიწუხებია, სიცივე იგრძნობოდა. ერთს მაინც გავთბებითქვა, ვიფიქრე და ასანთი ვაწვალე კაიხანს, როგორც იქნა მოეკიდა ცეცხლი. თანდათან მოძლიერდა, გავთბი, კიდეც გავცხელდი, ვიფიქრე, რა მოხდება რომ დავაგორო-მეთქი. რა უნდა მომხდარიყო. ყანები აღებული იყო და ყველაფერი. გაფიქრება და საქმე ერთი ვქენი. არ მიყვარს ჭოჭმანი. დავაგორე მოქცეულადან მრგვალი ცეცხლი. მის ყურებას არაფერი ჯობდა. მიგორავდა, მიხტუნაობდა თანაბარაჩქარებული ცეცხლი. ჩაათავა დაღმართი, ახლა აღმართს შეუტია. თანდათან დაკარგა სიჩქარე. წამით ადგილზე შედგა. შეეტყო, ზევით ასვლის თავი აღარ ჰქონდა. უკანვე დაგორდა. პატარა ვაკე ადგილი მოძებნა. ერთხანს ცეცხლიანი რვიანები ხაზა. მერე დაემხო მიწაზე. უძრავად რომ დარჩა, უფრო მაღალი ცეცხლი შეექნა. მე ჯერ ვუყურე ამ სანახაობას, მერე გამოვენთე ცეცხლიან გზას. მართალია, ცეცხლი არ მეკიდა, მაგრამ ცეცხლმოკიდებულივით მოვრბოდი მაინც. ბუნებრივიცაა, ვისაც მოქცეულას მთის ფერდობი ჩამოურბენია, დამეთანხმება. არ მითხრას ვინმემ, შუა ფერდობზე გავჩერდები და დაწყნარებულად წავალო, არა, მხოლოდ სირბილით უნდა ჩაივაკო, თუ გინდა მშვიდობა. თუ წაიქეცი, მეყოლე ვარდივით. რომ არ წაიქცე, მუღამი უნდა იცოდე: თავმა არამც და არაიც არ უნდა გაასწროს ფეხებს. ერთი ბეწვაც რომ გაასწროს, მაშინაც მეყოლებით ვარდივით და რომ ჩამორჩეს, მაშინაც. თუ პატარა შეგეშალა, აღარც თავია საჭირო, აღარც ფეხები, ისე ჩაგორდები იმ ადგილას, პაკრიშკა რომ ჩაგორდა. ამიტომაც მოგახსენეთ, მუღამი ვიცითქვა. თავმა და ფეხებმა ერთი საქმე უნდა აკეთოს და ეგაა...

მოვრბივარ ნაცეცხლურ გზაზე ჩემი მუღამით და მარიფათით. შუაგზაზე ერთმა იდეამ შემაწუხა. წელან არ გითხარით, ჭოჭმანი არ მიყვარს-თქვა? და გადავწყვიტე ჩავაკებამდე განმეხორციელებია ახალი იდეა. ოდნავ გავხარე აღებული კურ-

სი და ჩემს ჭიშკარში რომ შევვარდი, დედაჩემმა მომაძახა, ვინ მოგდევსო. ერთი აზრი მომდევსთქვა და შევირბინე მარანში. დავაველე ხელი დოქს, ჩაფის პრეტენზია რომ ჰქონდა, ხის ვობზე ყველს, ჭიდს, მეავე პამიდორს ჩაისჭიქიანი ყანწი მივუწვინე და გავაგრძელე ნაპაკრიშკალი გზა. პაკრიშკასთან რომ ჩავირბინე, უკვე შეკრებილიყვნენ მეზობლები. ძირითადად კაცები, ქალები თავთავიანთი სახლებიდან იწყეველებოდნენ, რა ამბავიათქვა, ვიკითხე მისვლის უმალ.

„რაი, ბიჭო, და ვინცხა სულელმა და თავმოხდილმა მოქცეულადან ეს ცეცხლმოკიდებული პაკრიშკა დააგორა, კინალმა ამობუგა მთელი სოფელი“ — შემომჩიელა კაკუნია ნაბრიგადირალმა.

„ნეტაი ტვინის ნასახი თუ აქ თავში, ვინც ეს გააკეთა“ — ხელებს შლიდა ლეოდინეს ვაჟიკე, — ჩვენიანი არ იქნება, მოგზავნილია, არ უნდა ლაპარაკიო.

პაკრიშკის დამგორებელზე ყველამ გამოთქვა თავისი აზრი. ჩემთვის არცერთი არ იყო მისაღები. სანამ დამგორებლის ღედას და ცოლ-შვილს მოიხსენიებდნენ, მანამ უნდა მეთქვა სიმართლე, თუ არა, მერე ვეღარც გავბედავდი, მე რომ ვიყავი ის „შემოგზავნილი“. გავავსე ყანწი, სმენა იყოსთქვა, დავიძახე, ყველას ხმა რომ დამეფარა, ისე, მე დავაგორე პაკრიშკათქვა, ეთქვი ხმადაბლა. არ ვიცი რამდენად ჭკვიანური შესახედავი ვიყავი, ხალხის ხორხოცი კი შეწყდა, ხმა ჩაიკმინდეს, რაღა ეთქვათ, აღარ იცოდნენ...

რისთვის დავაგორე არ იკითხავთ-მეთქი?

ხმა არ გაუღია არცერთს.

ღრუბლის ნაფლეთები საქმიანი ფაცი-ფუცით მიიწევდნენ სიქთარვისკენ. ერთ ნაფლეთს, თუმცა რის ნაფლეთს, ჰექტარზე მეტი იქნებოდა, ნელ-ნელა ოქროსფერი გაუხდა ნაპირები და სულ მალე ძველი მთვარე არ გამოჩერჩეტდა იქიდან? ასლა დაინახა ყველამ, ხელში სავსე ყანწი რომ მეჭირა, იქვე ბალახში ჩადგმული გიბიც შენიშნეს.

ძველი იყო მთვარე და კარგად ანათებდა ყველაფერს. გულში მადლობა ვუთხარი განგებას, ძველი მთვარე რომ დაამთხვია პაკრიშკის დაგორებას.

რისთვის დავაგორე, არ იკითხავთ-მეთქი? — გავიმეორე, ასე ერთად რომ შემეკრიბეთ ყველა და ორი სიტყვა გვეთქვა ერთმანეთისთვის, ამ ბოლო ხანებში რომ გავუძვირდით ერთმანეთს და გავგარეულდით.

საქციელი წაუხდათ მეზობლებს. ვაჟიკომ თქვა, ნამდვილად ვიჩქარეთ, ჯერ უნდა გაგვეგო, რაში იყო საქმე და მერე გვეთქვა სათქმელიო. ასე ორიგინალურად ჯერ ალბათ არავის არავინ დაუპატიჟებიაო. ყანწი გამომართვა და სადღეგრძელოც მოქარგა. ხელიდან ხელში გადავიდა ყანწი, ჭუჭულიამ, არიქა ცეცხლი არ ჩაქრესო და გარსმოხვეული ბიჭები ახლო-მახლო დაფანტა შეშის მოსატანად. გაჩაღდა კოცონი, მოგვემატა სითბო და სინათლე. ვახტანგმა თქვა, ბარემ შამოვუსხდეთ ცეცხლსო. გაკეთდა დიდი წრე, დატრიალდა ყანწი წაღმა-წაღმართიანად. სამჯერ რომ შემოუარა კოცონს, ერთიორად იმატა სითბომ. ჩემს დოქს სხვისი დოქებიც ამოუდგნენ გვერდში. ლევანტის ლადოს წვერა დაეჭირა, იქვე შეწვა ცეცხლზე. ნოდიკომ შამოთვალა, ნანადირევ კურდღელს ვწვავ და ჯერ არ დაიშალოთო. ნოდიკოსი არ მიკვირს? დილამდე რა დაგვშლიდა.

აღარ მახსოვს, მერამდენე წრეზე მიდიოდა ყანწი, მინაგოს ჟორამ რო მთხოვა: გრუზინ! ერთი სადღეგრძელო უნდა მათქმევიოო და ყანწი გამომტაცა. ასწია მაღლა, საჩახმახე ნახევართითი, თავის დროზე ჯარის გულისთვის რომ წაისხიპა, კოცონს დაუმიზნა. ამ ცეცხლს გაუმარჯოს და ვინც ამ ცეცხლის ირგვლივ შამოგვამწკრივა, იმ კაცს გაუმარჯოს, პაკრიშკას რომ ცეცხლი წაუკიდა და მთიდან დააგორა, ის გრუზინს გაუმარჯოსო, გაუმარჯოსო, გაიმეორეს სხვებმაც. ყანწი ალიკოს ნუგზარს გადააწოდა.

„მომისმინეთ — ითხოვა ნუგზარმა — გაგებაში და სიყვარულში პირველი კაცი იყავი, ლადო, საბურავის დაგორება რომ საბურავის დაგორებაა, იმაშიც პირველი გახდი, გეიგე?!

„საბურავი არ გამაგონო, პაკრიშკაა გრუზინულად“ — არ აცალა ჟორამ.

„კარგი, პაკრიშკა იყოს, ამით აზრი არ იცვლება, გეიგე, მთავარია სიყვარული, თუ სიყვარული იქნება, თითო ნახმარი საბურავი არცერთს არ გაგვიჭირდება“..

„პაკრიშკა“ — ისევ იყვირა მინაგოს ჟორამ.

„კაი, ბატონო, პაკრიშკა, სულ ერთი არაა?“

სულ ერთიათქვა, დავუდასტურე, მარა თუ კინკლაობას გააგრძელებთ, სხვა დროს ორივეს ერთად დავაგორებ, პაკრიშკასაც და საბურავსაცთქვა.

იცინეს და იცინეს, მერე ვკოცნეთ და ვკოცნეთ ერთმანეთი. აგიზგიზდა კოცონი და კოცნები. გადავწყვიტეთ, ხშირად დაგვეგორებია პაკრიშკა, სადაც შეჩერდებოდა, იქვე შემოვსხდომოდით, გამოგვეტანა ღვინო თავისი ამბით და მთელ სოფელს გველოცა ერთმანეთი, გვესაუბრა სოფლის ჭირ-ვარამზე და მომავალზე.

მთვარეს ღრუბლები სიქთარვისკენ გადაერეკა, თავზე წამოგვდგომოდა და ისე იყურებოდა სათემოელების დანთებულ ცეცხლში, როგორც გასათხოვარი ქალი შეყვარებულის მიერ ნაჩუქარ სარკეში. მიხარიდა, ახალ ტრადიციას საფუძველი ჩაეყარა, საფუძვლის ჩამყრელი მე ვიყავი და ყველაფერი ამის მოწმე ის, ძველი მთვარე. ასეთ მთვარეს ფოფინარი ჰქვიაო, ანდიოფა იტყოდა, ბებიაჩემი. ჰოდა ფოფინარი, ციური მოწმე, ბოლომდე შემოგვრჩა.

გამთენიისას ცეცხლიც მიინავლა, სიმღერაც, ფოფინარი მთვარეც, მაგრამ მთვარე ძველი იყო და მაინც ყველაფერს უყურებდა ზემოდან, როგორ მოკიდეს ხელი მეზობლებმა თავთავის დოქებს. არამტკიცე, მაგრამ ვითომ დაჯერებული ნაბიჯებით როგორ მიაშურეს სახლებს, როგორ დაკარგა ღელეში ვაჟიკომ ცალი შტიბლეტი, როგორ წაიქცა ქიშვარდის დოქი ბუზუნას ჭიშკართან და როგორ შეიტირა იცდაათი წლის წინ გარდაცვლილი მინაგო ჟორამ. მთვარეს არ გაკვირვებია, იცოდა, სიმთვრალეში რომ ახსენდებოდა ჟორას საწყალი მამა.

განსაკუთრებული ამბავი მალე იდგამს ფეხს და სოფლიდან სოფელში ვრცელდება. აგორდა ცეცხლწაკიდებული პაკრიშკები სიქთარვასა და ალისუბანში, ნახშირღელესა და გოდოგანში. ქალაქშიც თურმე ყველას ჩემი სახელი აკერია პირზე. ჩემი ამბავი თუ საზღვარს გადაცდებოდა, მართლა არ მეგონა, მაგრამ სინამდვილეს ვერ გაექცევი.

თავის ქებაში არ ჩამომართვათ და... ქუთაისელი ძმაკაცი მყავს, ვალტერ წილოსანი, ამასწინათ იტალიაში ყოფილა ევროპის პირველობაზე. იქ გაუცვნია ნეაპოლელი სევერინო პირელი. გადაკიდებია სევერინო ვალტერას, გინდა თუ არა პაკრიშკა უნდა დავაგოროო. ვინ გასწაელა პაკრიშკის დაგორებაო, — უკითხავს ჩემს ძმაკაცს.

„ლადო კენჩინო ყოფილა უნიონა სოვეტიკაში, იმას დაუგორებია მოქცეულას მთიდან, იმისგან ვიციო".

„ლადო კენჭოშვილიო?" — უკითხავს ისევ ვალტერას.

„სი, სიო", — აუტეხია იტალიელს.

სი-სი, იტალიურად ჰო-ჰოს ნიშნავს თურმე.

„ჯერ ერთი, საბჭოთა კავშირიდან კი არა, საქართველოდანაა, მერე მეორე, ლადინო ჩემი ძმაკაციაო" — ვალტერამ.

გადარეულა პირელი, გინდა თუ არა ეგ შენი ძმაკაცი ჩამომიყვანე ნეაპოლში, გამაცანი და რა უნდა ღმერთსო.

სად მაქ ნეაპოლში სასეირნო დრო, ჩემს სახლს პირელი მომიწყობს?! გული ქე მწყდება, იტალიაში ერთხელ ვარ ნამყოფი, ისიც სიზმარში და ისე მომეწონა, მეორეთაც ქე ნახავდა კაცი.

გინდა ასე თქვი, გინდა ისე, ქე კი გავარდა ჩემი სახელი ევროპაში.

გაუმარჯოს პავლესა

აგვისტოა.

ღრუბლის ნაფლეთიც არ ჩანს ცზე. ნიავ-ქარი დაჩერჩეტობს უმისამართოდ. დახუთულ ჰაერს მის ჭკუაზე ათამაშებს და ჩრდილშიაც ცეცხლს ანთებს.

სოფლის ცენტრში, გზის პირას, აკაციების ჩრდილში სახელდახელოდ გაკეთებულ ძელსკამზე ორი მამაკაცი ჩამომჯდარა. გაოფლილ, ღილებჩახსნილ მათ პერანგებს ქარი ისე ეღლაბუცება, ვერ გაარჩევთ, წელსზევით აცვიათ თუ არა რამე. მარცხნივ რომ ზის, სქელ-სქელი და ცალი ხელით ქუდს ჩაფრენია, ქარმა არ წამართვასო, ხახუტა ხოხიაშვილია. მარჯვნივ — კარპე ცირეკიძე. ქუდი კარპესაც ახურავს, ისე მაგრად აქვს ჩამოცმული, ქარი მომტაცებსო, არ ეშინია, ამიტომაც ლაპარაკის დროს ორივე ხელს თავისუფლად ხმარობს.

ხახუტა სოფელ თხილნარშია აგრონომად, კარპე — ჟრუნაღელის კოლმეურნეობის ბრიგადირია. სოფლელი კაცი ამინდსაა მიჩერებული. ახლაც ამინდზე ლაპარაკობდნენ, რომ მოკირწყული გზიდან ვილისმა გადმოუხვია, დაამუხრუჭა და ორივე მოსაუბრე მტვერში გახვია. კარპუმ მძღოლის გამზრდელი ახსენა ხმამაღლა.

მანქანიდან ორი კაცი გადმოეიდა. ერთი მიესალმა მოსაუბრეებს, მერე ტყავის საქაღალდე მზეს ააფარა, თავი მის ჩრდილში შერგო და წინგასწრებულ მელოტს აემგზავრა საბჭოს შენობისკენ.

— ეს პაპიანი ვერ ვიცანი, — ამბობს კარპე.

— ეგ ვაგნერ ლიკლიკაძეა, ჩვენი სკოლის სასწავლო ნაწილი.

— ვიცი, ვიცი, ერხელაზე ჟრუნაღელშიც ასწავლიდა ოთხწლედში.

— კი, ინსტიტუტი რომ მიახრჩო, თქვენთან ვაანაწილეს პირველად.

— დაუწინაურებიათ!..

— რას ამბობ, ამასწინათ ჩამოაიმასქნეს თუ არა, აქამდე დირექტორი იყო იმაჩი ე, თოხნარის ღამის სკოლაში.

— კაი, კაცო, ბუჭუნა ბუცხრიკიძის დირექტორი ყოფილა. ბუჭუნა ქვისლია ჩემი, ქართულს ასწავლის ღამე, დირექტორზე იმისთანეებს მიყვებოდა...

— მაინც რას?!

— პედსაბჭოს გახსნა ცოდნია კაი.

— ჰო, რავა იმაშობდაო.

— ერთს ჩაახველებბდა თურმე და... საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ოჯოლის რაიონის თოხნარის აგურის სილიკატური ქარხნის, ქალისა და მამაკაცის ქვედა და ზედა საცვლების სამკერვალო საამქროს, კაჟ-ხვინჭკის კარიერსამმართველოს, კრავოტების მექანიკური ქარხნის, სოფელ ქვედა თხილნარის გასაბერი ბუშტების საამქროს მუშა-ახალგაზრდობის საღამო სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომას გახსნილად ვაცხადებო, აცხადებდა თურმე! მერე შეეჭვებულა ეკითხებოდა ისტორიის მასწავლებელს:

— ასე არაა ალექსანდრეეე?!

ალექსანდრე უინტერესოდ უსმენდა დირექტორს, სამჯერ-ოთხჯერ ასწრებდა დამთქნარებას სანამ დირექტორი შეკითხვას მისცემდა, ოდნავ წამოიწევდა და ასეა, ბატონო, ასეო, ეთანხმებოდა, თუმცა კარგად იცოდა, რომ დირექტორს შეგნებულად თუ შეუგნებლად სათვალავიდან ყოველთვის რჩებოდა მაყვლის წვენის დამამზადებელი საამქროს მოხსენიება, ერთხელ ქე უთქვამს ალექსანდრეს, გამოგრჩაო, გაბრაზებულა ლიკლიკაძე:

— მაგ საამქროდან კი გვყავს სამი მუშა-ახალგაზრდა სიაში, მაგრამ არ დაიარებიანო.

ალექსანდრეს იმის შეხსენებაც უნდოდა, მასე არც გასაბერი ბუშტების საამქროდან დაიარებიანო, მაგრამ დროზე დააჭირა თურმე ენას კბილი. მას მერე ასეა, ასეო, ეთანხმება ალექსანდრე და კარგადაც იქცევა მისი შეტყობით.

— რახან ასეა... ამოვიკითხოთ სია, ვინ გვესწრება და ვინ არ კვესწრება", აგრძელებდა დირექტორი.

— ამოვიკითხოთ, — ეთანხმებოდა, თურმე, ალექსანდრე.

— ალექსანდრე ბოგვერაძე არიიი!

— გახლავართ, ბატონო... — ისევ წამოიწევდა სკამიდან ისტორიის მასწავლებელი.

— კასიანე ლიკლიკაძე!

— ზდეს, — ეხმიანებოდა ცალხელა კაცი.

— ტოროლა ლიკლიკაძე!

— გახლავართ, ბატონო, — პასუხობდა გერმანულის მასწავლებელი და წითლდებოდა ახლო ნათესავს ბატონობით რომ ელაპარაკებოდა სხვების გასაგონად.

— ბუჭუნა ბუცხრიკიძე!

— ბუჭუნა შაკიკის წამალზე წავიდა ექიმბაშთან და მოგვიანებით შემოგიერთდებითო, დაიბარა — ამბობს თურმე ნახევრად წამომდგარი ალექსანდრე.

— ტატიანა ლიკლიკაძე!

ტატიანა პედსაბჭოზე ალგებრის რვეულებს ასწორებს წითელი და ლურჯი მელნით. ლურჯით შეაკეთ-შემოაკეთებს, თუ რაიმე მოუხერხა, მერე ბოლომდე მიიყვანს. შუაზე მიტოვებულ ამოცანას. თავის გამოყვანილში სამიანის დაწერა ეუხერხულება და წითელი მელნით ოთხიანზე აფასებს საკონტროლოს.

დირექტორი გადახედავს თავის საქმეში ვაბნეულ ტატიანას, არისო იტყვის და აგრძელებს თურმე სიის კითხვას.

— კორნელი კირკიტაძე! — მოათვალიერებს იქაურობას ლიკლიკაძე, — არც დღეს გვესწრება ხომ, ჩვენ ვართ მარტო მოცლილები? მარტო ჩვენ უნდა ვირტყათ თავში ხელი? თვითონ ჩხარის ბაზარზე იქნება!..

— არა, კალისტრატოვიჩ, დღეს გოჭები უნდა ჩაეყვანა რაიონში დასაკოდად, — ისევ ალექსანდრე პასუხობს ფეხზე ადგომით.

— რაღა დღეს, დაეკოდა ხვალ!

— კი ვუთხარი, მარა, მთვარე ფუჭდებაო!

— ახლა მთვარესაც მიწვდა?! მთვარეს რა უჭირს, გუშინ სად იყო?!

— გუშინ ჩხარში!

— არა, მეტის მოთმენა აღარ შეიძლება, მაგის საკითხს პერსონალურად განვიხილავ კრებაზე! დინარა ლიკლიკაძე, — გააგრძელა თურმე გაბრაზებულმა.

— ვარ, მარა... — ცრემლებმა გააწყვეტინა ხმა შავგვრემან ბოგონას, გეოგრაფიის მასწავლებელს.

— რა მარა!.. — კითხულობს დირექტორი.

— რა და თავი ჩრდილოეთის განედზე მგონია, — სპილენძისფერი ლოყები ლურჯად ჩამოხაზეს ხელოვნურად ჩაშაბიაბნისფერებული თვალის უპეებიდან გადმოგორებულმა ცრემლებმა.

— რა მოხდა, ვამაგებინეთ!..

მწიფე მსხალი რომ მიწყდება ხეს, ასე დაეთხლაშა თურმე დინარა სკამს და თავი ხელებში ჩარგო.

— რა და ალია ქენქერას ბიჭი ეეტორლიალა, ნამეტანი შავები ხართ, უნდა გადავაჯიშოთო, — უპასუხა ტატიანამ და ისევ რვეულების სწორება გააგრძელა თურმე.

— მარტო ეგ არ იქნება, — ორაზროვნად ამბობს დირექტორი და გეოგრაფიის მასწავლებლის საქმით იმდენად დაინტერესდა, რამდენადაც ამის საშუალებას ნათესაური კავშირი აძლევდა, ბოლოს გაახსენდა, დღის წესრიგში სხვა საკითხი ჰქონდა განსახილველი, დინარას საკითხი დროებით გადაუდეია და პედსაბჭო გაუგრძელებია...

სოფლსაბჭოს შენობიდან ის მელოტი კაცი გამოვიდა, აქეთობასაც ვაგნერი მოაცილებდა. კარპემ თხრობა შეწყვიტა და ეს თავტვლიპა ვინაა, იკითხა.

— არც მე ვიცი, იქიდან ჩამოსული უფროსი იქნება, ვინცხა, — აკაციის კენწეროსკენ აიქნია ხელი ხახუტამ.

— კი, სიარულზეც ეტყობა.

სანამ იქიდან ჩამოსული „ვინცხა უფროსი“ ვილისში მოკალათდებოდა, ვაგნერი ხელასლა მიესალმა ჩრდილში მჯდომარეთ.

— შენ ბუჭუნას ქვისლი არ ხარ? — დაეკითხა კარპეს.

— კი ბატონო!

— გიცანი, შენზე რაღაცეებს მიყვებოდა ბუჭუნა, — ვაგნერი მრავალმნიშვნელოვნად გაიბადრა. ლიკლიკაძემ მანქანაშიც შეიყოლია სიცილი, თანამეზავრს კარპე და ხახუტა დაანახა, მელოტმაც სიცილი აიტეხა.

მანქანა დაიძრა. ისევ მტერის ბული ავარდა. კვლავ მოიხსენიეს მძღოლის მშობლები ლიკლიკაძისა და იმ მელოტის მშობლებთან ერთად.

— ასეა ჩემო ხახუტა, არიან თუ არა დამნაშავენი, შვილების გამო ავადაც და კარგადაც დედ-მამას იხსენიებენ, რადგან შვილები მეტწილად დედ-მამის გაჩენილებია, — ჩაიქირქილა კარპემ, ღიმილი უცებ შეეყინა სახეზე და ამჯერად ვაგნერ ლიკლიკაძე გაიხსენა პერსონალურად.

— რა აცინებდა მე მაგის... — აჰყვა ხახუტაც.

ამ დროს ლიკლიკაძე კარპეს ამბებით ართობდა მელოტს, სკოლის მიმდინარე კაპიტალური რემონტის ავკარგიანობის შესამოწმებლად რომ მოევლინებიათ სამინისტროდან. ვაგნერი ცოცხალი ანეკდოტებით კვებავდა სტუმარს.

— კარპეზე მოგახსენებთ, ბატონო, ყავარიკვით გამხმარი კაცი რომ დაგანახეთ კანტორასთან, იმაზე, კოლმეურნეობის ბრიგადირია ზემო სოფელში, გეგმა დიდი აქვს, მუშახელი აკლია, გამოვა ყოველ დილით სოფლის შუაგულში და იმათ, ვისი ბუხრებიდანაც ჯერ კიდევ ამოდის კვამლი, ელრიტინება გამოდით სამუშაოდო. ერთ დილას ეზეკია კენჭიშკილისთვის შეუსწრია თვალი, თავის ვენახში ბროწეულის საქარს აკალიფებდა თურმე.

— ეზეკია! ეზეკია-თქვა! ეზეკია უუუ!!!

ეზეკიას ხმა არ გაუცია, გაუგრძელებია თავისი საქმე ღიღინით.

— ეზეკია, ვიცი გესმის ჩემი და არ მაგონებ!!! — იჭაჭებოდა ბრიგადირი.

— გაგლეჯა შუაზე, — წაიმღერ-წაიღიღინა ეზეკიამ და არც ახლა გამოეხმაურა თურმე.

— არ მაგონებ ხომ?! ჩამოგართმევ მაგ საკარმიდამოს, თუ ვყოფილვარ კარპე ცირეკიძე და მოსაფსმელ ადგილს არ დაგიტოვებ, მოსაფსმელს!

— არ დამიტოვებ? ჩამოვალ და შენს ეზოში მოვფსამ, — ისე ჩაიმღერ-ჩაიღიღინა ეზეკიამ, ეტყობოდა გულთან მაინცა და მაინც არ მიუტანია;

ამ ამბავს მაშინვე აუდგამს ფეხი, მთელი სოფელი მოუვლია, თავმჯდომარის ყურამდეც მიუტანიათ და უცხო სტუმრების თანდასწრებით დაუძალებია კარპესთვის, სიტყვა-სიტყვით მომიყევი, როგორ იყოო.

— ნეტა მაშინ არ მეთქვა, ბატონო, ახლა, ამ საპატივცემულო ხალხთან რავა გავიმეორებ, — დაურცხვენია კარპეს.

არ მოეშვა თავმჯდომარე, თუ იტყვი, ჟიგულს გამოგიყოფთო, გაუმეორებია კარპესაც ჟიგულის ხათრით.

ყველა კმაყოფილი დარჩენილა.

ორი თვის მერე მსუბუქი მანქანა შეაგორა კარპემ ეზოში.

უფროსმა ბიჭმა გასაღები გამოტყუა მანქანის, — მათხოვე ერწამასო და... მას მერე ბენზინის ფულისთვის თუ ამოაკითხავს ქალაქიდან ხანდახან.

სტუმარი იცინოდა, ვაგნერს უხაროდა, ვაგნერს რომ უხაროდა, სტუმარიც კმაყოფილი იყო. სტუმარი თუ კმაყოფილი გყავს, რა გინდა მეტი.

მანქანიდან გახედეს ობიექტს.

სკოლის რემონტი გრძელდებოდა. სახურავი დაკერებული, შელესილი კედელი უსწორ-მასწორი, შეღებილი-აჭრელებული.

კარგიაო, მოვლინებულმა, მერე დაირცხვინა, ეს რა ვთქვიო, სხვაგან არც ასე კეთდებაო, — დაუმატა.

თითქოს მზესაც შერცხვაო, უმისამართოდ გამობჟუტურებულ ღრუბელს შეაფარა თავი.

სინათლე რომ გამკრთალდა, რა დრო წამოსულაო, შეიცხადა ვაგნერმა, მძღოლს ანიშნა, მანქანა მოაბრუნეო.

ისევ გამოანათა მზემ და უკან გაბრუნებულ მანქანას მანამ უთვალთვალა, სანამ ვილისი ლიკლიკაძეების ეზოში არ ჩაგორდა.

კარპე და ხახუტა კვლავ იმ ადგილას სხედან, სადაც დავტოვეთ, ოღონდ იმ განსხვავებით, ახლა ხახუტა ყვება ვაგნერის ამბავს...

— შარშან ოქტომბერში ეს გაბერილი (ვაგნერი ჰყავდა მხედველობაში) შეყუჟულა თავის კაბინეტში, შესვლის ზარი

კაიხნის დაიმასქნილი ყოფილა, რომ უცნობ გოგონას შეუღია კარი, სალამი უთქვამს მოსულს.

— დავუშვათ, გაგიმარჯოს, მერე?! — უკითხავს დამცინავად ლიკლიკაძეს.

— აქამდეც უნდა მოვსულიყავი, მაგრამ...

— ვიცი, ვიცი... ჯერ ერთ ამბავში ხართ, საბუთები მიიღეთო, მერე შუა ოქტომბერში გახსენდებათ სკოლა.

— გოგონას მხრები აუჩეჩავს.

— რომელ კლასში ხართ? — უკითხავს აგდებულად.

— მეცხრეში და მეათეში.

— ერთად?! — გაჰკვირვებია დირექტორს, — იქნებ უმაღლესიც შეითავსო, — თავისივე ხუმრობით კმაყოფილი დარჩენილა ლიკლიკაძე, მერე ხმამაღლა უთქვამს: შედი კლასში და თავის აგდებას... ხომ იცი... ტელეფონის ყურმილისთვის წაუვლია ხელი და უკანვე დაუხეთქებია.

ქალს შეშინებია, სხვა რამესაც არ ეტაკოსო, გამოსულა კაბინეტიდან და შესულა მეცხრე კლასში.

კორნელი კირკიტაძის გაკვეთილი ყოფილა, ორი მოსწავლე ყოლია იმ დღეს, დომინოს უხათქუნებდნენ თურმე. კარგახანს არც მიუქცევიათ ყურადღება, ახალი ხელის დაწყებისას შეუმჩნევიათ გოგონა, ოთხში ვითამაშოთო, შეუთავაზებია მასწავლებელს, უარი უთქვამს გოგონას, ზარი რომ დააიმასქნეს, მერე მიუქცევიათ ყურადღება ქალისთვის. კირკიტაძეს ისიც უთქვამს, შენისთანა კაი გოგოს დიდხანს არ გარინიებენ მარტო იმაჩიო. მეორე დღეს განათლების განყოფილებაში გამოუძახნიათ ვაგნერი. ის გოგონა დახვედრია გამგესთან. ჩვენი ახალი ინსპექტორიაო, — გააცნო თურმე გამგემ. დაბნეულა ვაგნერა. გამგის ნელ-თბილი შეხვედრითაც ვერ დარჩენილა ნასიამოვნები. ვერც იმას მიხვდა, რატომ უთხრა გამგემ: კაი ხუმარა ყოფილხარო, ან კიდევ, დომინო ოთხში უკეთესიაო. მთელი გზა უფიქრია, სკოლისკენ რომ მობრუნებულა. კაბინეტში შესვლისთანავე უხეთქია კედლისთვის თავი, მაინც ეერაფერს მიმხვდარა. სამასწავლებლოდან კირკიტაძის ხმა შემოსმია დაბნეულ ვაგნერს.

— მაგას ვუჩვენებ, როგორ უნდა საყვედურის გამოცხადება, გაავსო სკოლა ლიკლიკაძეებით და... რა სჭირს ჩვენი სოფლის ახალგაზრდობას ლიკლიკაძეების სასწავლებელი... პედსაბჭოს გაცდენისათვისო... პედსაბჭო კი არა ლიკლიკაძეების ყრილობაა ეგ და... არც აწი დავესწრები, სანამ ლიკლიკაძეების ლიკლიკი არ მოისპობა აქ. — გავარდნილა კირკიტაძე და მთელი ძალით მიუიმასქნია კარი.

— ესეც რა დროს ამყრალდა?!! — ჩაულაპარაკნია ვაგნერს და კიდო უხეთქია კედლისთვის თავი.

მეორე დღეს რაიკომში გამოუძახნიათ დირექტორი, საგიტაციო უბანში თუ მაინც გაქ საქმე გაიმასქნებულიო, გოგირდისფერი გამხდარა ლიკლიკაძე, მაინც ჩაუჯენიათ მანქანაში და წაუყვანიათ. ობოლაძეების უბანში რომ შესულან, ხანმორეული კაცი დაუნახავთ, ღობეში გაჩხერილ უღლიან ინდაურს ათავისუფლებდა თურმე.

— ბიძია, თქვენს უბანში აგიტატორი ვინაა, თუ იცი? —

— აგიტატოიიი?! — ჩაფიქრებულა ბერიკაცი, ქურდულად მოუთვალიერებია იქაურობა, — აია, მაგისთანა გვაი ჩვენს უბანში კი აია, მთელ სოფელში აი გამიგონია.

მეორე დღესვე მოხსნეს ლიკლიკაძე ღამის სკოლის დირექტორობიდან და დღის სკოლაში ჩამოიმასქნეს სასწავლო ნაწილის გამგედ. კირკიტაძეს სასტიკი საყვედური გამოუიმასქნეს და რახან სხვა ვერავინ გამოძებნეს, ღამის სკოლის დირექტორად ისევ ის დააიმასქნეს.

— უყურე შენ, — გაუკვირდა კარპეს.

ამ დროს ვაგნერი და მისი სტუმარი ჩაცივებულ ღვინოს შეექცეოდნენ. მაჩპინძელმა ცოლ-შვილი იფიცა, გრამი შაქარი არ მიმიცია, სულ ჩემი ხელითაა დაკუმპლულიო. სტუმარს უარი არ უთქვამს და სხვისი ხელითაც რომ ყოფილიყო დაკუმპლული, უთუოდ ისევე დაეწაფებოდა, როგორც ახლა.

ორი-სამი ჭიქის მერე ლაპარაკს მოუმატეს, სადღეგრძელოებში ლექსებიც გამოურიეს, ერთი სიტყვით, საფიცარი ღვინო თავის საქმეს აკეთებდა. ვაგნერს აერია დავთარი და

ამბროსიჩის მაგიერ დავითიჩი აკადრა სტუმარს. ამბროსიჩს არც მიუქცევია ყურადღება, ალბათ მართლა დავითიჩიაო, გაიფიქრა ერთი გაფიქრება ვაგნერმა.

— იმას მოგახსენებდით, დავითიჩ, კანტორასთან მეორე კაცი რომ ელაპარაკებოდა ბრიგადირს, ეგ აგრონომია, დიპლომში უწერია ასე თუ არა, ისე... კი არაფერი უსწავლია, როგორც წავიდა, ისე ჩამოვიდა. ხუთი წელი იყო დედაქალაქში. ტრამვაის ბილეთი რომ ტრამვაის ბილეთია, ის არ ჩამოპყოლია. ან ჩაცმაზე შეეტყობა კაცს, ან ლაპარაკზე, არა, როგორც ჩალაყუნდა, ისე ჩამოლაყუნდა. აბა ჩემი ბიჭი ერთი წელია თბილისში სწავლობს და უკვე ველარ ვცნობთ, ყველა მეორე სიტყვას ტოს აყოლებს მამაძაღლი, იქინეის და აქანეის კი არ ამბობს იმასავით, ხახუტაზე მოგახსენებთ, პატივცემულო დავითიჩ. დაამთავრა თუ დაამთავრებიეს სასოფლო და მოგვიბრუნეს უკან. კოლმეურნეობის თავმჯდომარე იმხანად ალიკო აბულაძე იყო, ხუმარა კაცია ალიკო, ჰოდა, მისულა ხახუტა აბულაძესთან, თქვენთან გამომიშვესო.

— სამ კითხვაზე თუ მიპასუხებ, მიგიღებ, — უთქვამს აბულაძეს.

— გამოცდები ძლივს მევიშორე, ვიფიქრე დავისვენე თქვა, აქაც გამოცდებს მიწყობთ თუ, — გულზე შემოეყარა თურმე ხახუტას.

— ის რა გამოცდები იყო, ბიჭო! გამოცდები აწი გექნება. კარგად დაუფიქრდი, რაა საჭირო ბოსტნეულის კარგი მოსავალი რომ მივიღოთ?

ხახუტა დაფიქრდა, ისეთი ორაზროვანი შეკითხვა იყო, კილაოზნიკ კაცს ყოველთვის შეეძლო დაეწუნებია პასუხი.

— პირველ რიგში, მიწა და თესლეული, მერე გამრჯე მარჯვენი, — იჭვნეულად უპასუხა ხახუტამ.

— ამოლესილ ლობიოზე რომელი მწვანილი მიდის ყველაზე უფრო?

— წიწმარიტი და წითელი ბოლოკი, — გამოცოცხლებულა აგრონომი.

— წითელი ბოლოკი რა ფერია მოთხრამდე?

— მოთხრამდე რა ფერია და... მოთხრამდე... წითელი.

— ბოლოკი მოთხრის მერე წითლდება, ბიჭო, მე გეკითხე-ბი, მოთხრამდე რა ფერისაა.

იმფერი გამხდარა ხახუტა, დავითიჩ, ბოლოკი რომ გასლავთ მოთხრის მერე, მაგ ახლა გავიგონე პირველადო, ძლიეს ამოღერღა თურმე, მერე თავი უმართლებია, ბოლოკს რომ გავდიოდით, იმ პერიოდში ავად ვიყავი და ინსტიტუტში არ დავდიოდიო.

— ბოლოკის საკითხში მოიკოჭლებ, მაგრამ საცდელი ვადით მიგიღებო, — უთქვამს აბულაძეს ღიმილით.

მას მერე, ამბროსიჩ, ოცი წელი იქნება გასული, ხახუტას ახლაც ჰგონია, ბოლოკი მოთხრის მერე წითლდება.

ამბროსიჩი თუ დავითიჩი თეფშზე ქათმის ძვლებს ახვევებდა, როგორც კი პატარა დროს გამოძებნიდა, იცინოდა, უცებ ყველაფერს თავი დაანება, ხელები შეიწმინდა, ჭიქა ასწია და ყალბი ბარიტონით დაიწყო:

— ჩემო ვაგნერ! ასე არ გქვია, კაცო, ჰო, არ შემეშალოს. ერთი შენი ნათლია მომცა ახლა აქ.

ვაგნერი დაიბნა, არ იცოდა, რას უპირებდნენ მის ნათლიას.

— რავა, დავითიჩ!

— რავა და შენი სახელია, თუა სახელი, არც ამბროსას გავს, არც სოფრომს, არც დავითს და არც კოწიას. ჭკვიანი ყოფილა ნათლიაშენი, ჭკვიანი! ჰო, ჩემო ვაგნერ, ქართველებს რაც გვაქვს, ვერავინ წაგვართმევს, ყველა ქართველი ნომერ პირველია, ნომერ მეორე ქართველი არ არსებობს, ჯერ არ გაჩენილა და აწი რა გამჩენი გაუწყრება, ზოგს არ ეხათრება პირველი რომაა და ხმამაღლა გაიძახის, ზოგს რცხვენია თვითონ გაამხილოს და სხვას აქადაგებს, ესა და ეს კაცია პირველიო, მესამე კატეგორიაც არსებობს, გულში რომ ამბობს: იძახეთ რამდენიც გინდათ, სინამდვილეში პირველი მე ვარ, მაგრამ მაგის დანახვის ნიჭი ვინ მოგაშავათო.

— სწორია, სოფრომიჩ! — ჭიქა მიუჭახუნა ვაგნერმა.

— ვთქვათ გვყავს ხუთასიათასი ინჟინერი, ხუთასიათასივე ნომერ პირველია, ასევეა დალაქები, მეწისქვილეები, მებუხრე-

ები და შენ წარმოიდგინე, მესაფლავეებიც კი, ხომ კარგია ნომერ პირველი მესაფლავე.

— რა ჯობია, — უანგარიშოდ დაეთანხმა ვაგნერი.

— ასე ვიცით... ავირჩევთ კაცს თამადად, დაველოცავთ, ყველანაირ სიკეთეს ვუსურვებთ, მეორე წუთიდანვე, მაგიდის ყველა წევრი თამადას ეჯიბრება, სხვას კი არა, თამადას, პირველ კაცს, თუ აჯობა, ვინ იქნება პირველი?!

— ვინც აჯობა!

— ჰოდა, მითხარი, სხვას რატომ შეეჯიბრება, შეიძლება ვერ აჯობოს, მაგრამ თვითონ, თავის გულში მაინც იტყვის, ვაჯობეო, და მაინც პირველია. ამიტომაც ცდილობს, თამადაზე უკეთ გამოთქვას სადღეგრძელო, მასზე უკეთ იხუმროს, იმღეროს, იქეიფოს და ვაი თამადის მოსწრებას, თუ რამე შეეშალა, ვინ აპატიებს!

— არავინ! — დაეთანხმა ვაგნერი.

— ყველა ქართველი ნომერ პირველი თამადაა, ნომერ მეორე თამადა არ გვყავს და არც გვეყოლება. კიდევ ერთი რამ გვახასიათებს, ჩემო ვაგნერ, ხომ სწორად ვამბობ, ვაგნერი არა?!

— დიახ, დავითიჩ!

— ჰო, იმას ვამბობდი, ერთი რამ გვახასიათებს კიდევ: პეტრე, კაცო, პავლეს დასცინის საქვეყნოდ, პაველ — პეტრეს, ის კი, პავლე, თავის, პავლეს საქმეზე რომ დაფიქრდეს, არ არსებობს, სხვისი საქმის და საქციელის რევიზიონისტები ვართ, მოკლედ რომ ვთქვათ, მოკლედ რომ ვთქვათ, პავლეს გაუმარჯოს, პავლეს!

— თავიდან ვერც ქე მივხვდი, პავლეს სადღეგრძელოს თუ ამბობდი, კინაღამ დავიბენი, — ამბობს წყენაშეპარული ხმით ვაგნერი.

— თავიდან ყველა იბნევა, მაგრამ არაფერი... თქვენს სადღეგრძელოს თქვენვე ხომ არ იტყოდით.

— კი, მაგრამ პავლე...

— ჰო, პავლეები და პეტრეები ვართ, სოფრომიჩები, დავითიჩები, აგერ-ეგერ შემოგვერია ვაგნერები, დაზმირები და ჯუსტანები, ისე, ერთი ვართ ყველა.

მასპინძელს გულზე დაადგა სტუმრის სიტყვები, შეეცადა ღიმილისმაგვარი რაღაც გამოსვლოდა, რაღაც კი გამოუვიდა, მაგრამ ღიმილს არ ჰგავდა.

„შენც კაი ხვითო ყოფილხარ. თამადობა არ წამართვა? რა ქნას ახლა აბა, გაიფიქრა ვაგნერმა, „პავლეს გაუმარჯოსო", წაილულლულა და ბოლმისაგან რომ არ გაგუდულიყო, ჭიქა გამოსცალა.

ნომერ პირველი რევიზორი, სოფრომიჩი თუ დავითიჩი თვალმოჭუტული იღიმოდა, ვითომ აქაც არაფერიო. სინამდვილეში ტვინის იმ უჯრედებს იჭყლეტდა, სადღეგრძელოების ყულაბა რომ ჰქონდა მიბარებული. ახალ სადღეგრძელოს ეძებდა სტუმარი, ნომერ პირველ თამადას რომ შეჰფერის, ისეთს.

ბუზუნა

მამაჩემი, ხუტია, დიდი მშრომელი კაცია. რვა შვილი ისე გაგვაჩინა, წელისტკივილი და კვნესა არ გაგვიგონია მისგან. ხუმრობა უყვარს, კარგი სმა-ჭამა და ღიღინი. ამ თვისუზებით შვილებიც გამოვემგვანეთ. ღვთის შეწევნით ქე დავიზარდეთ საღ-სალამათები. ვითომ ცოტა ვიყავით, თითოეულს სამ-სამი სახელი კიდეე შეგვარქვა, ყველას რა ჩამოთვლის, ჩემსას გეტყვით: საბუთებში ნუგზარი, ისე ბუზუნა ან კვერცხება, მთლად ბავშვი აღარ გეგონოთ, ოცდაათს გადავცილდი, მარა ხუტიას შვილების დაუოჯახებელთა ორმოცდაათი პროცენტის მეოთხედი ვარ მაინც.

რა დაგიმალოთ და ტყუილა ყიალი არ მიყვარს, ყველაფერი მეხერხება, რაც სოფლელ კაცს ჭირდება. ხელჩოგანა არც სხვა საქმეში გეგონოთ. ამ ბოლო დროს ძირითადად რკინის ჭიშკრებს ვაკეთებ. სოფელს კი არ შვენის რკინის ჭიშკარი, მარა ერთმა გააკეთა, მეორემ წამზირა, მესამესაც თვალი ღარჩა ზედ და ჩაჯდა სოფელი რკინის გალავანში. ახლა ჩვენთან თითო მოსახლეზე საშუალოდ შვიდი-რვა ტონა რკინეული მოდის. კიდეე კარგი, გაძვირდა და გაჭირდა თუ არა, ხარდნის მაგივრადაც რკინის ხიმინჯებს დაუსობდნენ ვაზს.

სოფელს ყავს თავისი მჭედელი, მეწისქვილე, თერძი, დურგალი, ქვითხური, მე რახან ჭიშკრის ხელობაში გავიწაფე, მეჭიშკრე შემერქვა, ჩვენებური კაცისთვის ჭიშკარი მთავარია, ყველა ცდილობს, ლამაზად მორთულ-მოკაზმული ჭიშკარი ჰქონდეს. სათემოელებს იდუმალი შეჯიბრიც აქვთ ეამართული, გვაქვს სამფეროვანი, ოთხფეროვანი, ხუთფეროვანი და მრავალფეროვანი ჭიშკრები. აპოლის ლექსომ გემის საღებავი გაახერხა, ჭიჭიკოს ბუჭუნამ თვითმფრინავის. ერთი სიტყვით, აფერადნაირდა ჩემი ნახელავი ჭიშკრები, არ დაცურავს და დაფრინავს თუ არა, მიდი-მოდის ადრინდულად და იქაეე დგას, რაცხა იმისი. არ იყოს.

იმ დღეს კიმოთიას ჭიშკარს ვაკეთებდი, ორი დიდი ჭიშკარი, სამანქანეს რომ ეძახიან, უკვე გამზადებული მქონდა, ცალფა ჭიშკარს ვაწყობდით. კიმოთია მეხმარებოდა, დეტა-

ლებს მიჭერდა, სანამ მივადუღებდი. ნელ-ნელა მაყურებლებიც მოგროვდნენ. ჩვენს ქვეყანაში ტრადიციულად იყო ასე: ორი მუშაობდა, ოთხი ან ექვსი უყურებდა, ჩვენს სოფელშიც პატივს სცემენ ტრადიციებს. მე და კიმოთია ვმუშაობდით, ჟორჟიკა, ნოდიკო, დათო, მერაბი და ისაკის გოგია გვიყურებდნენ; ყოველთვის ამასაც არ აკეთებდნენ, როგორც კი რკინას ელექტროდს შევახებდი, მაშინვე მაქცევდნენ ზურგს და მომდურავივით მარიდებდნენ მზერას, — კაშკაშა სინათლე თვალებზე გვწყენსო, ვითომ მე მიხდებოდა. იღგნენ ჯიბეებში ხელებჩაწყობილი და იფხანდნენ ხან ენას და ხან... მეტი საქმე აღარ დარჩათ. გოგია შამპანურის ქარხანაში მუშაობს, ნოდიკო მშენებლობაზე, ჟორჟიკა აგურის ქარხანაში. წავლიან დილით, დახედავენ სამუშაო ობიექტს, ისევ ძველ ადგილზე რომ დახვდებათ, დაიმედებულები გამობრუნდებიან უკან. შამპანურს ვერ ასხამენ, ბოთლები არ აქვთ, მშენებლებს ცემენტი, მეაგურეებს სილიციუმი, არ გვყოფნის ხელფასიო, ჩივიან. ის მიკვირს, ან იმას საიდან ჯანდაბიდან ურიგებენ, რასაც აძლევენ.

დავამთავრეთ ვიწრო ჭიშკარიც და დაიმუდრა ქათმებმაც. კიმოთიას ცოლმა — ვახშამი მზადაო.

„კი, მზად, მარა ჯერ უნდა შევამოწმოთ ამ ნამუშევარში გვეკუთვნის თუ არა ვახშამიო“, — ისაკის გოგიამ.

„კი, ბატონო, ნახეთ-თქო“, — ვუთხარიყე.

„მაშინ წამოვაყენოთო“.

კიმოთიამ, — „არ უნდა წამოყენებაო“.

„თუ არ წამოაყენე, რას გაიგებო“, — იჟინებდა გოგია.

ბოლოს წამოაყენეს. გახედეს, გამოხედეს, „კაიაო“ — ჟორჟიკამ.

„საით უნდა იღებოდეს?!“ — იკითხა გოგიამ და მაშინვე გავიფიქრე:

„ნეტა არ წამოეყენებიან-მეთქი. ჭიშკარი შიგნით არა და არ გაიღებოდა, ისე იყო შედუღებული. თავიდან, კიმოთიას რომ ვკითხე, შიგნით გინდა თუ გარეთ-თქო, შიგნითო, მითხრა, რას ვეკითხებოდი მეც?!

„საით უნდა იღებოდესო“, — იკითხა ისევ გოგიამ.

„შიგნითო“ — კიმოთიამ.

„მაშინ ეს არ ყოფილა შენი ჭიშკარი, შენთან არ გაიღება შიგნით, ჩემთან კიო“.

„რა უჭირს, საითაც გაიღება, მაგით არ ვიწუნებ მეო“.

„თუ არ იწუნებ, მაშინ დაეიბანოთ ხელიო“, — შეატოვეს ჭიშკარი პატრონს და ხელსაბანისკენ წაიბაწრა ყველა.

„სა მიხვალთ, მე რომ შემატოვეთ მარტვანა, სანამ მეკავოს სელში ასე წამოყენებულიო“, — უკვირდა კიმოთიას.

„გეკავოს ერთხანს, მაინც მასე უნდა ჩავაბეტონოთო“, — სიცილით იხრჩობოდა ვოგია.

ხელის დაბანა ყველამ მომასწრო, თუმცა იმათ ტყუილა გადაიელეს წყალი. მე რომ შეეუერთდი, კაი ადგილები უკვე გაენაწილებიათ, ქათმის ხორციც შერჩეოდა გადაღებული. მე დამრჩა ადგილი გასასვლელში და ქათმის ფეხები, იღბალი მაქ ასეთი, სულ ფეხები მრჩებოდა ჩემდაწილად. ახლა რატომ შემხვდებოდა უკეთესი?

„მომეხმარეთ თუ არა, გავუშვებ ხელსო“, — იყვირა ისევ კიმოთიამ.

„გაუშვი, გაუშვი“! — მიაძახა ვოგიამ.

კიმოთიას ხელი არც დაუბანია: „მიიწარი ცოტაო“ — მე მომადგა მაინცდამაინც, მიმკუჭა კედლისკენ.

ოჯახის თავმა: „ვოგია უფროსი კაცია და ეს იქნება თამადაო“.

ვოგიამ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, — არაო, თამადობაზე დათანხმება მაშინვე არ უყვარდა, წინდაწინ კაცი უნდა მიგეგზავნა, ამის დრო ახლა ვის ჰქონდა.

„შენ თუ არ გინდა, მაშინ ბუზუნაო“.

მეორეს რავა ვათქმევინებდი, ეტაცე ჭიქას ხელი და თავშეყრა ვადღეგრძელე. ატყდა ჭიქების ჭახა-ჭუხი. მარტო ჩვენთან როდია ასე, მთელ ქვეყანაში ასეა: მუშაობისას ექვს კაცზე ორი თოხი, ჭამა-სმისას ჭიქა, თეფში, ჩანგალი, ყველაფერი ექვს-ექვსი, თან თოხი ხანდახან ერთხელაც არა, ჭიქა და თეფში სამჯერ დღეში. საკვირველია, აქამდე როგორ გაუძლო ერთმა თოხმა ექვს, ათ, თორმეტ მუცელს... აქამდე გაუძლო, ბატონო, მარა აწი?!

„ღვინო თუ გაქეს საყოფი-თქო“, — კიმოთიას ვკითხე.

„კიო, ღვინო ოხრათ მაქო“, ესე იგი, რამდენიც გინდათ იმდენი სვითო.

კიმოთიას ხომ ვუდღეგრძელეთ მკვდარი და ცოცხალი, არც სხვისი დაგვიწყნია, ღამის სამ საათზე, რაღა დაგიმალოთ და, ქე ვიყავით კაი გამოწყობილები. კარქა რომ . გამოვეწყობით, მერე ვიცით ხოლმე სიმღერა, უკეთესს რას მოისმენ. ძილი ავიწყდება მთელ სოფელს. ჩვენ ვერ ვატყობდით და ყველა სხვადასხვა სიმღერას ვამბობდით, მარა ერთი გეგონებოდა თურმე მაინც. ბოლოს ჭიშკრები ვადღეგრძელეთ, ვისაც ჩამოკიდებული ჰქონდა, ის ცალკე და ჩამოუკიდებელი ცალკე. ჭიშკრებზე იმდენი ვილაპარაკეთ, ერთი აზრი გამიჩნდა: მოდი, მოვიპაროთ მეზობლების ჭიშკრები-მეთქი.

„ახლაო“, — გოგიამ იკითხა.

ახლა-მეთქი.

„ამ ღამეშიო?!

„ღამეშია კაი, აბა დღე ვინ ჩამოგაზსნევინებს-მეთქი“.

დავიკაპიწეთ სახელოები და გავლაგდით ღამის ცვლაში სამუშაოდ.

რკინის ჭიშკრები ჩემი ნახელავი იყო, გამკეთებელმა უკეთ არ იცის მოხსნა?!. ვხსნიდით ცალფა ჭიშკრებს, დიდებს ხელს არ ვკიდებდით, სათრევად იყო მძიმე. . ატია ღვინეფაძის ჭიშკარი ნოდარა კობახიძის ვენახში დავმალეთ, ვანიჩკა ფუტკარაძის, საულიას ეკლებში. მაინცდადამაინც შორს არ მიგვქონდა, არც აღმართში მივათრევდით, მძიმე იყო. ან თავდაღმართში ვინ გვრჯიდა, მარა ასე გადავწყვიტეთ. ყველა გადაწყვეტილებას შესრულება უნდა. ჩვენ სიტყვის ხალხი ვართ, სიტყვის ღვთის ანაბარა მიტოვება არ გვიყვარს.

ცოტა შევისვენეთ. ხუთ კაცს, თოხის არ იყოს, ერთი სიგარეტი აღმოგვაჩნდა. მოუკიდა ჟორჟიკამ და დავატრიალეთ წრეში. მესამე წრეზე რომ მომიახლოვდა რიგი, ჩემს წინ მიაწვა თითები კიმოთიას, ჩემი იღბალი დაიწვა.

„ავდგეთ და გავაგრძელოთ საქმე თუ არა, დაგვათენდა თავზე“.— მუშაობისასაც ვაგრძელებდი თამადობას, ასე მაქ დაცდილი, თუ რამეს მივეჩვიე, გადაჩვევა მიჭირს.

„ახლა ნუგზარ აბულაძის ჭიშკარი მოვხსნათო“, გოგიამ.

„მაგის ჭიშკარი ახალი შეღებილია, ხელებს დაგვისვერის, — გაგვაფრთხილა რომელიღაცამ.

„საღებავი ქეა მშრალი მარა, რავა ოთხივე მხრიდან გაუჩახჩახებია ილიჩის ნათურები? დავწვეთ და ხოხვით წავიდეთ თუ არა, ვინცხა დაგვინახეს და ჩაგვეშლება ყველაფერიო" — ჟორჟიკამ.

ეს წინადადება ჭკუაში დაგვიჯდა, ჩაეუწექით საქმეს ერთგულად და გაბა ყეეფა ჩემმა ძაღლმა. სხუმის სულ ძინავს, ახლა აყეფდა და აიყოლია მთელი სათემოს ძაღლები. არც მაცივა და არც მაცხელა, წამოვხტი და გავიქეცი სოფლის მაღაზიისკენ, მე რომ გავიქეცი, ჩემი მხლებლებიც შეშინდნენ, სად გარბისო, წამოიშალნენ, გამოიდგნენ. გადავახტი ღობეს, გემოვაღე ელექტროკარადის კარი და გავთიშე მთელი სოფელი. საქმე თავად გასწავლის სიფრთხილეს და მოხერხებას. ჭიშკრის მოპარეა თუ გინდა, ბიძია, შუქის გამორთვაც უნდა იცოდე.

პირველად გოგია დამეწია, სულს ძლივს ითქვამდა, ვერ მითხარი ამისთვის თუ მორბოდი, გადაგვიტრიალე გული? მეგონა, ვიღაცა მოგვდევს-მეთქი. ისე, ყველა საქმეს პროფესიონალიზმი შვენის, ნაღდი ქურდი ხარო, რამკიანი ქურდიო, ჟორჟიკამაც. თითო-ოროლა საქები სიტყვა სხვებმაც შემაწიეს და გავაგრძელეთ გზა ფორთხვით ალიკოს ნუგზარის ჭიშკრის „ასაღებად".

ადვილად ჩამოვხსენით.

„არ მომყვება, რაცხა უშლის ხელსო",

„რა უშლის-მეთქი".

„რა ვიცი, სინათლე ქე გამორთე და ვერაფერს მივჩერებივარო" — მიუსვ-მოუსვა ხელი გოგიამ და პრუუნა ყოფილაო.

„მოხსენით და წამოდით მალე-მეთქი".

„პრუუნაც .მოვხსნათო?!"

„რავა, რა იყო, ჭიშკარი მოხსენით და პრუუნა რა ვახდა, გამოდით აქით, მარტო ჭამაში ხართ მარჯვე-მეთქი".

კაი ოსტატურად კი იყო გაკეთებული, მაგრამ არა ნაკლებ ოსტატურად მოვხსენი და გავიტანეთ სახიფათო ზონიდან,

შეეიტანეთ ნოდიკოს საძროხეში და გამოვიხურეთ კარი. კიდევ კარგი, სინათლე არ იყო თუ არა, ძაან გაუკვირდებოდა ნოდიკოს ძროხას, საიდან მოათრიეს ამ შუალამისას ეს პრუჟუნიანი ჭიშკარიო.

დაეეპაწურეთ ვახტანგის ჭიშკარს, არ წამოგვყვა, რა იყო, რას მოუნდით ამდენ ხანსო, — გოგიამ. ვერ მოვხსენითო, — კიმოთიამ.

„ვამოდით აქეთ, თქვე ეულახებოო", — გაგვაშვებია ხელი, გააკეთა მსუბუქი ბუქნი, ამოდო ხელი ჭიშკარს ქვემოდან, წამოდგა და აჰყვა ჭიშკარიც თავის ბეტონიან ბოძიან საკეტიანად და „რა ეუყო, ბიჯო, სა წავიღოო", — იკითხა. ვუთხარით, სადაც უნდა მიეყუდებია და მოვიცვალეთ ადგილი. ჭუჭულიას ჭიშკარს რომ ვხსნიდით, ატეხეს მამლებმა ყივილი. ორი საათის წინ გადავუჭერი სოფელს სინათლე და მამლები ათეთრებდნენ ჩვენს მიერ გაჩალიჩებულ ღამეს.

გვეყოფა, რაც გავაკეთეთ, ახლა თითო ჭიქით აღვნიშნოთ ჩვენი საქმიანობა და შევასწროთ ლოგინში უჭიშკრო მეზობლებს თუ არა, ჩვენ ჩამოგვკიდებენ ჭიშკრების ადგილზე-მეთქი.

სანამ კიმოთიას მიტოვებულ მაგიდას მივუსხდებოდით, ჟორჟიკას ეზო გვქონდა გასავლელი.

„ჩემი ჭიშკარიც ჩამოუხსნია ვილაცასო", — იყვირა ჟორჟიკამ. რა გაყვირებს, შენ არ ჩამოხსენი თვითონ?. ქე გითხარი, დაანებე თავი შენიათქო, მარა სანამ არ ჩამოხსენი არ მოისვენე," — სიცილით იჭაჭებოდა გოგია.

„მერე სა წავიღე?!..

„ისე მთვრალი იყავი, აღარ გახსოვს?!"

„ვითამ ახლა ვარ ფხიზელი?.."

აანთო კიმოთიამ ლამპა და განათდა ჩვენგან დროებით მიტოვებული მაგიდა, სამჭიქიანი რქები უპატრონოდ ეყარა კიმოთიას წინ, სტაცა ხელი კიმოთიამ, გაავსო და დაიწყო: ამ პატარა სასასმოთი და დიდი გრძნობით ჩვენ-ჩვენ მარჯვენას გაუმარჯოს...

„ძარჯვენა კი არა, რას გავხარ შე უპატრონო, რას გიგავს ტანსაცმელი,“ — სიცილი დააყარა გოგიამ სათამადოდ მოღერებულ სახლის პატრონს.

„მე თუ შენ? — კიმოთიამაც ჩაახვია ხელა-სიცილში თავის გაკვირვება, ასეა ყოველთვის, კაცი საკუთარი ნაკლისადმი ბრმა და ყრუა, სხვისას მაშინვე ამჩნევს და დაცინვის საგნად აქცევს, ასე მოგვივიდა ჩვენც, ერთმანეთის დასაცინი რა გექონდა, ერთნაირად ამოთხვრილები ვიყავით, არ გვაკლდა ტალახი და ჩონჩორიკი, ახალი შეღებილიაო, ხელი არ გაგვისვაროს ნუგზარის ჭიშკარმაო და ხოხვით რომ მივიწევდით, რა კაი დაგვემართებოდა, ჯერ იყო და ღვინოში ჩაეწექით უნახავებივით, მერე ტალახში და ნეხვში, მეზობლების ჭიშკრები ჩამოვხსენით და მარჯვენაო, რისი მარჯვენა, წავიდეთ სახლებში დროზე თუ არა, მიგვახმობენ მარჯვენას და მიაყოლებენ მარცხენასაც, ასე ქე ვუთხარიყე მარა, მაინც დავლიეთ სამ-სამი ჭიქა, დავამთავრეთ ღამის სმენა და წავბარბაცდით სახლებში, ვიფიქრე, დავაქცევ ძილის ქვეყანასთქო, მარა ვერ მოვახერხე... გამთენიისას უჭიშკრო მეზობლებმა თავად დააქციეს ქვეყანა წყველა-კრულვითა და გინებით. ხმაურზე გამეღვიძა, რა აყვირებს ამ ხალხს-თქო, — ეკითხე ხუტიას ნაბოლარა ქალიშვილს, ანუ ჩემს დას, ჩემსავით სამი სახელი, დამწვარი ბედიღბალი და მომავლის იმედი რომ კიდევ ჰქონდა.

„რა ვიცი, წუხელი ვინცხა ხელგასახმობი ჩამოყოლია და ცალფა ჭიშკრები მოუპარავს მეზობლებისთვის“.

„ჭიშკრებიიი?!“ — ვითომ გამიკვირდა, ეკვირვების რა მოგახსენოთ და სიფხიზლეში შემრცხვა სიმთვრალეში ჩადენილი სისულელის გამო, გოგიაც რომ აგვყვა, მამისტოლა კაცი! ისედაც სიდუხჭირეში და უბედურებაში ჩაცვენილ ხალხს ეს უნდოდა? იმდენად ნერვებაშლილი და გააეებული იყვნენ მეზობლები, ვეღარც ჩემს დას გავუმხილე, ჩვენ რომ შეგვაცდინა სიმთვრალემ, უნდა ავმდგარიყავი და გაერეულიყავი ხალხში, თუ არა ეჭვს გავაღვიძებდი ვიღაცაში, ზოზინით ჩავიცვი და შეეუერთდი მოყაყანე მეზობლებს.

„ბუზუნა მოლის, ამას ეცოდინება ჩვენი ჭიშკრების ამბავი“, — შემეგება ჭუჭულია.

„მე რა მეცოდინება, ნეტაი ძილი გეცლიათ, მართალია რასაც ამბობენ“?

„აბა ტყვილია, ბიძია?! ვერ უმზერ ჩაის საკრეფი დიდი ეოლორი მაქ ჩადგმული ნაჭიშკრალში“?!

„კიდევ კარგი, პატარა ჭიშკარი წაულიათ, დიდი რომ ჩამოეხსნათ, მის მაგიერ რას ჩადგამდი“?!

„რას ჩავდგამდი და ჩამომხსნელის კუბოს სიგრძეზე“.

„ეახტანგისთან რა უქნიათ, ის უნდა ნახო: რკინის ბოძებიან-ბეტონიან-იმიან-იმიანა აქვთ ამოძრობილი, ორმოები ღაუტოეებიათ მარტვანა“. — კვირობდა ჭიჭიკოს დუსუნა.

„მაგ ჭიშკრებიც თურქეთში ექნებათ წაღებული“, — თავის მოსაზრებას აწვებოდა ქიშვარდი.

„რა იცი შენო“, — ჰკითხეს.

„რავა რა ვიცი, ყველაფერი იქით მიაქთ, რასაც მოიხელთებენ, ახლა კაკასხიდს იქნებიან გაცილებული“.

ამ დროს ახმაურებულ მეზობლებს თამაზ აბულაძე შემოუერთდა, კაკუნიას უფროსი ვაჟი, ყვირილითა და ხელების ქნევით.

„ჭიშკრების ქურდობაც დეიწყეს? ეგ გვაკლდა ახლა, ჩემი რატომ ვერ ჩამოხსნეს, ჩამომხსნელს მოვუტანდი კეთილების ტრაქტატს, ჩემსას მასე ადვილად ვერ შეახებენ ხელს“:

„თუ დაჭირდათ, შეახებენო“, — ხუტიამ.

„რას ქვია, დაჭირდათ, რას ქვია, დაჭირდათ! რო არ მჭირდებოდეს, კი არ ჩამოვკიდებდი, თუ ბიჭები არიან, ჩემი წეიღონ, მარა იციენ ჩემი ამბავი, მიწაში რომ ჩაძვრენ, ჩაეყობი და მოვუტან ტრაქტატს“, — ხელების ქნევით ემუქრებოდა უცნობ ჭიშკრის ქურდებს თამაზი, მიეხვდი, რატომაც ყვიროდა, ეჭვობდა ალბათ. ჭიშკრის ქურდები დასაკარგავიდან არ იყვნენ მოსულები, იქვე ახლომახლო ეგულებოდა და იმიტომაც ყვიროდა, ხმა მიეწვდინა: ჩემს ჭიშკარს არ ახლოთ ხელი თუ არა, აგისრულებთ შეპირებულსო. ამ ამბავში იყო კაკუნას თამაზი, რომ ვნახეთო, იყვირა ატია ღვინეფაძემ. სად იყოო — მიაძახეს აქეთ-იქიდან.

„ნოდარას ვენახშიო“.

მერე ნოდარას ჭიშკარსაც მიაგნეს, ასე აღმოაჩინეს თითქმის ყველა და ატყდა სოფლის ცენტრში საქმიანი ფაცა-ფუცი, მიდი-მოდიოდა ჭიშკრები აქიდან-იქით, იქიდან-აქით. რახან თურქეთის ვარიანტი გამოირიცხა, ჭუჭულიამაც დაიწყო თავისი ჭიშკრის ძებნა. სად.არ იყო, ჭაშიც კი ჩაიხედა, იქ ხომ არ ჩაუკიდიათო, მაგრამ უშედეგოდ, ყველამ მიაგნო, იმისი არ ჩანდა, სანამ თორმეტი საათის ავტობუსი არ მოვიდა, მანამ ეძია, მოვიდა ავტობუსი და კინაღამ დაიხრჩო სიცილისაგან ილო—ავტობუსის მძღოლი, გააწყო სიგარეტი, მიავლ-მოავლო იქაურობას თვალი.

„ის ჭიშკარი ვისიაო“ — წამოიყვირა უცებ.

„რომელიო“ — შეეპასუხენ.

„რომელი და მაღაზიის კედელზე რომაა მიყუდებულიო“,— იქით გაიხედეს და ყველამ ერთხმად დაიძახა: ჭუჭულიას ჭიშკარიო.

მაღაზიის კედელი და ჭუჭულიას ჭიშკარი ერთნაირი საღებავით იყო შეღებილი, თუ კარგად არ დაუკვირდებოდა კაცი, კი არ ჩანდა. მაღაზიის წინ იყო შეკრებილი მთელი სოფელი და ვინმეს რომ აქამდე შეემჩნია, რაღა უნდოდა ჭუჭულიას ჭაში, მოვარდა ჭუჭულია და ამდენ ხალხში მაინცდამაინც მე ამომარჩია.

„მოდი, კვერცხება, წამიკარი ხელი, ამატანიეო“, — რაღას ვიზამდი, მოვკიდე ხელი წელმოწყვეტილ მაღაზიის კედელზე მისადაგებულ ჭიშკარს და გამახსენდა: რამდენიმე საათის წინ მე და გოგიამ რომ ჩამოვიტანეთ მაღაზიასთან, დავისვენოთ-მეთქი, დავისვენეთ, მაშინ მივაყუდეთ მაღაზიის კედელზე და დაგვრჩა ალბათ ასე. ის მიკვირდა მხოლოდ, სულ ბოლოს, სოფლის ცენტრში, ყველაზე თვალსახვერო ადგილას მიტოვებული ჭიშკარი რომ აღმოაჩინეს.

გაიდო ჭუჭულიამ ბეჭზე ჭიშკრის შედარებით მჩატე თავი და შეუყვა შეღმართს, უკან მე მივყვებოდი, ახია-მეთქი, ვფიქრობ ჩემთვის, რა ადვილად ჩამოვაჩაქჩაქეთ წუხელი და რა ძნელი ასათრევი შეიქნა დღეს, ძნელია აღმართი და უკუღმართი საქმე.

„ასე გავიდევი ბეჭზე ამის მომხსნელი და ჩამომტანი დღეისსწორამდე“, — მოისურვილა ჭუჭულიამ, თან დამეკითხა, ხომ ეკუთვნისო.

რა მეთქვა, აღარ ვიცოდი, რაღაცა წავიბუზუნე ჩემთვის, ალბათ თანხმობად ჩამითვალა და მეტი აღარ შევუწუხებივარ. გააჩოჩა ბოდორი და ჩამოვკიდეთ ჭიშკარი, მისი და ჩემი ჭიშკარი ერთმანეთს მისჩერებია, მიბრუნდა ჭუ[illegible]ულია და მეკითხება:

„კი მარა, შენი ჭიშკარი რატომ არ წაიღეს, ნეტაიო“, — და გამიყარა თვალი თვალში.

„ჩემი თავბოლოშექცეული კაუჭებით მაქ მიდუღებული და ვერ ჩამოხსნიდნენ-მეთქი.

„თავბოლოშექცევით?! — იკითხსა ჭუჭულიამ, მივიდა, დაუკვირდა, გამოაღო, — ნაწვალები ესეცაა მარა ვერ მოუძვრიათ მაგ კვდარძაღლებსო.

საღამომდე წავუძინე. საღამოს კიკოლამ გამაღვიძა, ჩემმა სახლიკაცმა, ნუგზარი გვეპატიჟება აბულაძე, ჭიშკრის კვლავ-ჩამოკიდება უნდა დავასველოო, ჩვენ რა გამოგვილევს დალევის მიზეზს, რომ არ გადავსულიყავი, ეწყინებოდა, გულში ჩადება იცის, გადავედი ისევ. მაგიდას ყველა არა, მარა სამი ჭიშკრის ქურდი ქე ვუჯიქით, საღღეგრძელო ჭიშკრებთან იყო დაკავშირებული. ცოტა რომ შევუწყერით სიფხიზლეს, გამოვტყდით, ჩვენ რომ მოვიპარეთ ჭიშკრები, იცინეს და იცინეს, კარგად რომ მოგვეკიდა ღვინო, ერთხმად გადავწყვიტეთ, თამაზი აბულაძის ჭიშკარიც ჩამოგვეხსნა, ნამეტანი რომ ვეპირდებოდა რაღაც-რაღაცეების მიტან-მოტანას. ისე საქმიანად წავედით თამაზის სახლისკენ, თითქოს ამაზე საჭირო, საჩქარო და აუცილებელი საქმე არ არსებობდა ამ ქვეყნად.

თამაზის ჭიშკარი ელგუჯა აბულაძის სახლის უკან მივაყუდეთ, იქვე, მეორე ეზოში. მთელი სოფელი რომ გადაეტყავებია, ელგუჯას ეზოში არ შევიღოდა, თვითონ თამაზს ჰქონდა დაფიცებული, მის ეზოში ფეხს არ შევდგამო და ასრულებდა კიდეც ფიცს.

დილით თამაზი ფირფიცრის საყიდლად მიდიოდა, ფაცი-ფუცით ჩაიცვა, სანამ ეზოს გასცილდებოდა, გზადაგზა ცოლს

აფრიხილებდა: ჩემს მოსვლამდე ასე და ასე გააკეთეო, აჩქარებული ნაბიჯით გავარდა ეზოდან. ეკლესიისკენ მიმავალ შეღმართს რომ დაადგა, მაშინღა გაიცნობიერა: ეზოს ისე გადმოცილდა, ჭიშკარი არც გაუღია და არც მიუხურავს, მოიხედა უკან და დააღო პირი, ჭიშკარი აღარ იყო.

პირი ქე ჰქონდა დაღებული და, ნინოო, ისეთი განწირული ხმით მიაძახა ცოლს, თითქოს თოკი ჰქონდა წაჭერილი იმ ადგილას, უსაქმური კაცი რომ იფხანს ხოლმე.

„რა მოხდაო", — შეეხმიანა ცოლი.

„ჭიშკარი სა წევიდა, შე შობელძაღლო"!

„მე რა ვიცი, შენ გადადი გადაღმა და აქით მეკითხები?!"

ბევრი რომ არ გავაგრძელო, იმ დღეს, დილის შვიდ საათზე მთელმა სათემომ გაიგო თამაზი აბულაძის ჭიშკრის ამბავი. თვითონ თამაზს ფანერაზე რომ მიეჩქარებოდა, ქე გითხარით, რაღაი მობრუნების დრო აღარ ჰქონდა, ჭიშკრისკენ გააგრძელა გზა ისეთი ხმამაღალი ქართულით, ვერცერთ წიგნში ვერ ამოიკითხავთ, ფანერა გაყიდული დახვედრია. ამან მთლად გადარია. წამოვიდა დაქადნებული ყოფილ სოფლსაბჭოს შენობისკენ, თან ის მძიმე ლექსიკონი წამოჰყოლია, ხშირი ხმარებით რომ საკმაოდ შემოცვეთოდა.

ყოფილ სოფლსაბჭოს შენობასთან (ახლა რა ქვია, არც მე ვიცი) ცოტა ხალხიც იყო. არავისთვის არ მიუქცევია ყურადღება.

„რომელ ოთასში ზისო", — იკითხა ხმამაღლა.

ყველა მიხვდა, ვისაც კითხულობდა, მიუთითეს, შევიდა. საწერ მაგიდას ქაღალდებში თავჩარგული ახალგაზრდა კაცი უჯდა თურმე.

„შენ ხარ თავმჯდომარე"! — შეუყვირა უბოდიშოდ დამხვდურს.

„თავმჯდომარე არა, მარა გამგებელი კი გახლავარო!" — უპასუხა ახალგაზრდას, თან დაბნეული ღიმილი შეუგებია.

„გამგებელი?!! გამგებელი თუ ხარ, გეიგე მაშინ, ვინ წეიღო ჩემი ჭიშკარი".

„დაწყნარდით, დამშვიდდით და ამიხსენით, რა მოხდა".

„დავწყნარდე ხომ, კიდო მე დავწყნარდე?! შენ დაწყნარლებოდი, ჭიშკარი რომ მეეპარათ შენთვის?!“

გამგებელს ჯერ მოვრალი მოეჩვენა თამაზი, მერე დაჩოჩებული. ბოლოს გაერკვა, რაშიც იყო საქმე, მიხვდა, მის წინ იყო თანასოფლელი, გამრჯე, მშრომელი კაცი, ფხიზელი, ნორმალური, ოღონდ შეშფოთებული და აღელვებული, დილით ჭიშკარი რომ აღარ დახვდა ადგილზე, ველარ გაუმტყუნა, დაამშვიდა, შენც მალე მიაგნებ ჭიშკარს, როგორც შენმა მეზობლებმა მიაგნესო.

წამოსულა თამაზი, ის ლექსიკონი თან წამოჰყოლია, ოღონდ ახლა შედარებით ხმადაბლა ფურცლავდა დროდადრო.

ამ უშნო ხუმრობიდან ორ წელზე მეტი გავიდა. ახლა აღარ აქვს მნიშვნელობა, ჭიშკარი გაქვს თუ ციხე-სიმაგრე, ვისაც უნდა, როცა უნდა შემოგივარდება, წაიღებს, რაც მოეწონება, გაგლახავს კიდეც, რატომ მეტი არ დამახვედრეო, თუ შეეპასუხე, მოგკლავს, რატომ ატლიკინებ ენასო.

შეშფოთდა ხალხი, თამაზ აბულაძის ლექსიკონში ბევრმა ჩაიხედა.

ჭიშკრებს აღარ ეიპარავთ, რაღა გვეხუმრება, როცა მთელი ქვეყანა დარჩა ღობე-ყორის გარეშე, ჭიშკრის გარეშე. არ გაგიკვირდეთ, ხუტიას ბუზუნა რომ ლაპარაკობს ამას, ამას ყველა უნდა ლაპარაკობდეს და აკეთებდეს. ერთი დიდი ჭიშკარი რომ გვაქვს გასაკეთებელი, საიმედო ჭიშკარი, ჩინურ კედელს რომ შეეფერება, ისეთი.

იტყვით, დიდ საქმეს დიდი სულის ბერვა უნდაო. არაა მთლად მასე. დიდ ჭიშკარს იმდენი მარჯვენა უნდა, რამდენ ქართველსაც უცემს მკერდში გული.

მეოთხე ღილი

ჩემი მეზობელი, ბოჩია, ტანმორჩილი კაცია. ყველას მაინც ზემოდან უყურებს. შეხვედრისას, გაგიმარჯოსო, ისე გეტყვის, რავა ხარ შე გაჭირვებულოს უფრო ჰგავს მისი სალამი. მეზობლებს და მტერ-მოყვარეს კი არა, ის ხანდახან მზეს ახედავს, დაიწვები მზის ცოდვით.

რადგან ივლიტა ბოჩიას ცოლია, ივლიტაც ჩემი მეზობელია. ცოლიც ბოჩიას სიმაღლისაა, მაგრამ ქალის პირობაზე ტანმორჩილს ვერ იტყვით. ივლიტა ერთადერთია ამ ცის ქვეშ, ეისაც ბოჩია ზემოდან ვერ უყურებს. აბა საიდან უყურებსო,— გაგიკვირდებათ, უყურებს: აივნიდან, ყანიდან, საჩეხიდან, უყურებს თვალებში. ივლიტას თვალებს ყოველთვის ერთი ფერი როდი აქვს. თუ განრისხებულია ცოლი, ქმარს თვალები ფოლადისფერი ეჩვენება, სიყვარულით თუ მისჩერებია — ცისფერი, თუ არც ერთია, არც მეორე — ნაცრისფერი, ცოლის სხვადასხვაფერი თვალების ყურებაში ორმოცი წელი ჩოხასავით შემოაცვდა ბოჩიას. ოთხი შვილი გაზარდეს, დააოჯახეს, გამრავლდნენ, იკლო ცისფერმა თვალებმა, ნაცრისფერია აქა-იქ, ფოლადისფერი სჭარბობს.

სხვისი ცოლის თვალებზე ლაპარაკი კი არ ეკადრება მეზობელს, მაგრამ ამით გულს ვიოხებ. მიმხვედრი მიხვდებ, ჩემი ცოლის თვალებიც არაა ყოველთვის წაბლისფერი.

ცხრამეტი წლის ყოფილა ბოჩია, რიკტაფელას რომ თამაშობდა თურმე ბიჭებში, ბიძამისს დაუძახნია: დაანებე, შვილო, თამაშს თავი, დაიბანე ხელ-პირი, გამოიცვალე ტანზე, ქალის გადასანახულებლად მივდიეართო. იმ დღეს უნახავს პირველად ივლიტა ბროლიქეთში. ისიც კაი ხელპირდაბანილი, ჩაცმულ-დახურული დახვედრია. თექვსმეტი წლის ივლიტა აბრეშუმის კაბაში ყოფილა გამოკვართული. მაჯისსიმსხო ნაწნავები გულისპირზე გადმოეყარა, მათ ქვეშ ორი ვაშლისოდენა ბორცვი გაყურსულიყო. პირველად ივლიტასთვის თვალებში ვერ შეუხედავს და იმ ბორცვების თვალთვალით შეუქცევია თავი ბოჩიას. ივლიტაც უხერხულობდა თურმე. ხელები სად წაეღო, აღარ იცოდა, მერე კაბის მეოთხე ღი-

ლისთვის ჩაუვლია ხელი და უწვალებია ერთხანს, ბოჩიასაც ღილზე გადაუტანია ყურადღება. ღილის ქვეშ, ქსოვილზე, ფოთოლი ყოფილა მოჩითული. მაშინვე გახსენებია ბოჩიას ის სურათი, ბავშვობაში რომ უნახავს სადღაც. დედიშობილა ქალს, დაახლოებით, იმ ადგილას ჰქონდა ფოთოლი აფარებული, ივლიტას კაბის მეოთხე ღილი რომ წვალობდა ივლიტასავე ხელებით. იმ დღეს ძლივს გაუცვალეს ერთმანეთს სახელები და რომ შეუხედავს, ივლიტასთვის, ბოჩიაზე ბევრად პატარა ორი ბოჩია დაუნახავს საცოლის ნაცრისფერ თვალებში.

სასიდედროს დაუწუნებია ბოჩია, ერთი დაწუნება, ჩია კაცია სასიძოო.

„ჩია კია, მარა რამხელა თავი აქვს ვერ უყურებო, — არ დაბნეულა ბოჩიას ბიძა, — კაცი კი არა, ბაღანაა ჯერ, კაცი ოცდახუთ წლამდე იზრდებაო."

სასიდედროს ცხრამეტიდან ოცდახუთამდე გადაუთვლია თითები და ექვსი თითი შერჩენია მოკეცილი. ექვსი წელი თუ იზარდა, კაი ნაზარდი დარჩებაო და უფროსებმა უმცროსების გარეშე დანიშნეს ჯვრისწერაც და ქორწილიც.

ყველაფერ წვრილმანზე აღარ შევჩერდები. იმას უთქმელადაც მიხვდებით, როგორ შეაწყდებოდა იმ კაბას მეოთხე ღილი და მიყვებოდა დანარჩენები, როგორ გადაუსობდა ივლიტა ბოჩიას ბარაქიან თავს ხელებს და ჩაიკრავდა გულში. ივლიტას თვალებში კი მაშინაც ორ პატარა ბოჩიას დაინახავდა ქმარი, ორ პატარა ცისფერ ბოჩიას.

როგორც გითხარით, ორმოცი წელი გავიდა მეოთხე ღილის ამბიდან. ივლიტას კი მოემატა სიმაღლე, ბოჩია არ წასულა ზრდაში, თავი გაეზარდა ცოტა, ეს იყო და ეს. ცოლი მერედამერე სამი თითისდადებით ჯობდა ქმარს,

სიდედრი ისე გარდაიცვალა, ხმა არ გაუცია ბოჩიას ბიძისთვის. ივლიტაც ხშირად დაჰყურებდა ქმარს ზემოდან, რომ არ გაიზარდა, ბოჩიასაც რცხვენოდა, მაგრამ რა ექნა.

კაი ხანია მოენატრა ბოჩიას ცისფერი ბოჩიები, ველარ იტანს ფოლადისფერს, ნაცრისფერებიც მობეზრდა, ცოლიც და ქმარიც მშრომელი ხალხია, ინათებს თუ არა, ქმარი ყანაშია, ცოლი ბოსტანში, ასიცხებამდე მუშაობენ უსმელ-უჭმე-

ლნი. ბოჩია იგინება, ივლიტა იწყევლება, კი არავინ ჰყავთ მოპასუხე, ისე, ძველ წყენას იხსენებენ და უახლდებათ გულისწყრომა. ასიცხდება და გაახსენდებათ სადილი, სადილზე ღვინოსაც აყოლებენ. ნასადილევს ქმარიც მღერის და ცოლიც.

მე და ბოჩიას კაი მეზობლობა გვაქვს, ვიცით ერომანეთზე ხელის წაშველება, ამასწინათ ყანის გამოროდებაზე მომეხმარა, კაია, ორი კაცი რომ თოხნის გვერდიგვერდ, — საუბარ-საუბრით მიიწევ, საქმეც კეთდება და თავსაც ირთობ, საღამომდე ყანაც დავანელეთ და ბევრიც ვილაპარაკეთ. მეტწილად ბოჩია ლაპარაკობდა, მე ვუსმენდი. გასაცინარზე ვიცინოდი და იმაზეც, ჩემს გასაცინებლად რომ ყვებოდა და უმარილო გამოდიოდა. მარტო შეჯამანდს როდი უხდება საკმაზი, კაცი შენს გაცინებას რომ ცდილობს, ენერგიას ხარჯავს და მსმენელი დუმს, არ ვარგა, ხათრით მაინც უნდა გაიცინო. ჰოდა, ბოჩიასთვის გული რომ არ დამეწყვიტა, ვიცინოდი. მას ყოველისმცოდნედაც მოაქვს თავი, ვერ იტანს გაფუყულ ქალაქელებს, ყველას ეკამათება: უმაღლესი დაამთავრეთ თუ არა დიდი ვინმეები ხართო, ამასწინეებზე, — უფრო ხმადაბლა მითხრა, — აგერ, ეშხას სახლი რომ იყიდა, მწერალია თუ რაცხა, ისე გავაბითურე, რო დაგეგდო ყური, სიცილით გაიგუდებოდიო. მომიყევი-მეთქი და დაიწყო: ვინცხა სულელის დაწერილს წაიკითხავს და თავისად ასაღებს, ყველა პირდაფჩენილი უსმენდა. მე რავა მოვატყუებიებდი თავს. მთვარეზე კაცი დადისო, მივყევ-მოყევით ამაზე და ასე მითხრა, შენ იქნებ ისიც არ გჯერა, ეს დედამიწა მრგვალი როაო, რავა, შენ გჯერავსთქვა?! მჯერავსო — უტეხად მითხრა, თვალში მზერა გაქთქვა?! და ახარხარდნენ ის პირდაფჩენილები. ჩამოყვა ზღაპრებს, ჯორდანა ბრუნდი და ალილო ვალილო დიდი მეცნიერები არიანო, ზოგი აფრიკდანაა, ზოგი სიკვტილიდან, ისინი ამტკიცებენო. მე ვუთხარი, ისინი არ ვიცი საიდან უყურებენ, აფრიკიდან შეიძლება მართლა კვახივით მოჩანს მიწა მარა, ჩვენთან... ამას რომ კაცი ვერ დაინახავს, ან ბრმაა, ან ბითური, გახედე ამ მთებსთქვა,ხელი გავიშვირე უნაგირასკენ, ესაა მრგვალი-თქვა!?. ისევ დაიხოცენ სიცილით, ვინც გვესწრებოდა. თვითონაც არ მოაღო პირი და არ ახარხარდა? მე ვუთხარი, დედო-

მიწა რომ მრგვალი ყოფილიყო, ამდენახანი არ დავეორდებოდითქვა?! ამაზე სული ველარ მოითქვეს, იმდენი იცინეს, ისიც იცინოდა, წეხან არ გითხარი? მთელი სოფლის სასაცილო გავხადე და მაინც იცინოდა. შენთან ლაპარაკი აღარ შემიძლიაო და მუცელი ხელით წაიღო სახლში, ამისთანა დავა სხვასთანაც მქონია, ბარეორი სხვაც იძახის მრგვალიაო, ისე ოუშენდა კერია მაგის პირველად მთქმელს და მერე დამჯერეს, მწერალი... მწერალი არა ის, ვეყავდა ჩვენ მწერალი, დედინაცვლებზე და მაჭანკლებზე რომ წერდა, ის იყო მწერალ . გოვუკეთეთ, ბატონო, მუზეიმი, ეკუთვნოდა და გოვუკეთეთ. ეს რო ჩამევიდა, მაგასაც ხო არ უნდა მუზეიმი, ერთი მუზეიმი არ გვეყოფა?!.ორი მუზეიმი შეიძლება ერთ სოფელში?! ჯერ რა დამიწერა მაგის ფასი. წიგნს კი არ ვკითხულობ, მარა, მაინც, თუ გინდა ვკითხულობდე, კაცი რო იტყვის, დედამიწა მრგვალიაო, იმის დაწერილს წევიკითხავ? თავიდან, სულ პირველად რო ჩამევიდა, სანამ თავის სახლს საძინებლად და საცხოვრებლად მოამგვანებდა, ჩემთან გადმევიპაიჯე, იმ საღამოს კარქა წევიპურმარილეთ და ღამეც ჩემთან გავათევიეყე თელ ოჯახს, დატრიალდა ივლიტა. ღმერთწინაშე, მეც არ დამიზოგავს თავი. ვიფიქრე, მწერალი სტუმრად სხუმის არ მყოლია და ესეც შენი მწერალითქვა. რაცხას იტყვის განათლებული კაცი, მოვუსმენთ, შევირგებთ და კაი იქნებათქვა. რომანოზას და გუგუნასაც დოვუძახეყე. წვრილი ჭიქები გამოამზადა ივლიტამ. ნამეტანი გვიქო ჭიქები, ამისთანა ჭიქით მიყვარს მუსაიფიო. გუგუნამ გადმომიჩუმათა, ვიცნობ მე მაგათ, ერთს ამბობენ, მეორეს ფიქრობენ, ჭიქები შეცვალე თუ არა, ჩეიჭრები ჭიქების საკითხშიო, მენიშნა და შევაცვლევიე ჭიქები, არც ამაზე უთქვამს ვარი და დიდი ჭიქით შევიჩვიე ჩემ ცოლიკაურზე. მესამე საინძელოს ვაკოპიტებდი, — ბოდიში რომ გაწყვეტიებ, მაგრამ შენი სახელი საიდან მოდის თუ იციო, — მკითხა, ბაბუაჩემს ერქვა და იქიდანთქვა, ბაბუაშენისო?! ბაბუაჩემის ბაბუამისიდანთქვა, ნამეტანი ჩამეძია და კაიხან ვიბიჩიავეთ. ბოლოს თქვა, ვიცი, საიდანაც მოდისო. ახლა მე ვკითხე, საიდანთქვა და მითხრა: ბოჩია ჭანურად მამალ თხას ნიშნავს, ქართულად ვაცს რომ ეუძახითი. რომანოზამ და გუ-

გუნამ სიცილი აიტეხა, ვაცი რომ აღმოეჩნდი. კაცური კაცი ნეგონა და ვაცური კაცი ყოფილაო, გადირია ივლიტა.

ახლა აგრე ლაპარაკობ, თავისდროზე კარქა-ლამაზად მიძახოდი, მოდი, ჩემო ბოჩია, დამიჩქარე ბოჩია, ეს საქმე გამახერხე ბოჩია და ის საქმე გამიხერხე ბოჩია. კიდო კაი, ჭანურად მიძახოდი, ქართულად რო დაგეძახა, არ გადარევდი ხალხს-თქვა.

ნუ ამიტყდები, ბოჩია, თუ არა, შეგარცხვენო, შამომეპასუხა ივლიტა. ივლიტას ნათქვამი რომანოზამ თარგმნა პირველად და ისე ახარხარდა, მეორე დილას გაღმელი ღვინეფაძეები შეკითხვიან, რაზე იცინოდი წუხელიო.

ვუსმენდი ბოჩიას. ისე კარგად ყვებოდა, ზრდილობისთვის გაცინება აღარ დამჭირვებია. წარმოვიდგინე, როგორც იტყოდა ივლიტა და მიაშტერებდა ფოლადისფერ თვალებს ვაცურ კაცს, საიდანაც, ალბათ, თავისი ბოჩიაობით აღტაცებული ორი პატარა ფოლადისფერი ვაცი ანუ ბოჩია იმზირებოდა.

თოხები დავასვენეთ და ჩეროში შევმყუდროვდით. შვილიშვილს დოქი გავატანე წყაროზე. სანე ვიყავიო, მკითხა ბოჩიამ და მოემზადა თავისი ამბის გასაგრძელებლად. ხოდა, იმას გეუბნებოდი, ივლიტა რო შემპირდა, შეგარცხვენო, მართლა არ ჩამოფქვა ადამიანობის ამბავი? მე დავიწყებული მქონდა, ივლიტას ჩარჩენია გულში, ჩემი უფროსი ბიჭი ცხრა წლის იქნებოდა მაშინ,ჯუანშერას გოგოს რო შეხვედრია. ბოჩიას შვილი არ ხარ შენო?! — უკითხავს, საიდან მიხვდიო, გაკვირვებია ბოვშს, საიდან და აქიდანო, თავზე გადაუსვია ხელი. კაი ბიჭი ჩანხარ, თუ გაქ ამაში რამეო და ისევე თავზე მოფერებია თურმე,მერე უთქვამს: „დედალი გყავს, ბიჭო, მამა, დედალი და როცა მამა გყავს დედალი, დედა მაინც უნდა გყავდეს მამალიო“, მამაშენს არ უთხრა, რაც გითხარიო და წასულა.

ჩემთვის მართლა არ გაუმხელია, მარა დედამისისთვის უთქვამს ლექსივით. დედამისმა იმ ღამესვე დამკითხა, რა უნდა შენთან ჯუანშერას ლობიოს, ასე და ასე რომ უთქვამსო.

რა ვიცითქვა — ქვა ავაგდე.. ეს ძველი ამბავი ჩამოკაკლა ივლიტამ სტუმრებთან, მაშინ ვერ დავაჯერე, ახლაც ეღვიძა

ოცდაათი წლის ეჭვს, ახლა რაღასი მეშინოდა და ქე მოვყევი, რაც ივლიტასთვის არ გამიმხელია მაშინ.

აჯამეთში მივდიოდი. ბორანით გადავედი ყვირილაზე. ჯუ-ანშერას გოგო ბორანზე დამხვდა, ხელში კალათა უჭირავს, შეეცადა ჩემი მზერაც დაეჭირა, ივლისია. შილიფად, ცხელი ამინდის შესაფერისად აცვია ქალს, იმაზე თამამად ჩაცმა აღარ შეიძლება. გარეგნულად რაც ჩანდა, იმას გეუბნებით, შიგნი რა ვიცი. საით მიხვალო, რაცხანაირად, ტკბილად მკითხა, მე სოკოზეო, ისე მითხრა, არ მიკითხავს. კალათას მიაქნევდა ბავშვივით. კალათის გარდა სხვა რამესაც მიაქნევ-და, ჩემ ყურადღებას იტაცებდა, მისი ფიქრით, რო არაფერი გამოუვიდა, ირგვლივ მიიხედ-მოიხედა და ჩუმათ მითხრა: ბოჩია, შამომყევი ყანაში, საქმე მაქ შენთანო, რა საქმე აქ, სიმინდებში რო ფიქრობს შეტყუებასთქვა. სიმინდებში შამომ-ყევი ბოჩიაო — ჩურჩულით გამიმეორა, მარა მეგონა, მთელ დედმიწას ესმოდა.

ივლიტას ეწყინებათქვა. შენი გახარება მინდოდა, რა დროს ივლიტაო, ძირს დაანარცხა კალათა და შეჭენდა სიმინდებში, ახუნტრუცებული ქალი რომ თავგამეტებით მირბის, კაი სა-ყურებელია, აქა-იქ ისიც ჩანს, რასაც კაბა ფარავს ხოლმე. ახლა აღარ მახსოვს, კაბის ქვეშ ეცვა თუ არა რამე, რომ შეგეხედათ დაიწვებოდით კალათის ცოდვით, უპატრონოდ რომ იყო მიტოვებული ყანის თავში. მივხედი, რა სოკოზეც იყო წამოსული ჯუანშერას გოგო. სოკო, სოკო არა ის, ივ-ლისის გვალვაში სად იყო სოკო.

ერთი ყლუპი ჰაერი დააყოლა ძველ მოგონებას ბოჩიამ, ახლაც იმაზე ფიქრობდა, ღირდა თუ არა იმ კალათის ისე, უპატრონოდ მიტოვება.

— უნდა აგეღო კალათა და მიგეტანა პატრონისთვისთქვა, — წავაქეზე ოცდაათწლიანი დაგვიანებით ბოჩია.

ბოჩიამ ახლა იმაზე მეტი ჰაერი მიაწოდა ფილტვებს, ვი-ნემ ერთი ყლუპია.

— მაგასაც გეტყვი, იმ გოგომ ბარეორს დაუგდო კალათი, ბოლოს წამოაგო ერთი, მიატოვებია ცოლ-შვილი და გადაი-კარგენ კიდეც სოფლიდან, ახლა ტყიბულში ცხოვრობენ.

ეათხოვების მერეც დადიოდა თურმე ის ქალი სოკოზე, ქმრის ჩუმათ. ქმარი შახტაში, ცოლი სოკოზე, ქმარი სიზმარში, ცოლი სოკოზე, ქმარი ყანაში, ცოლი სოკოზე. გაუგია კაცს, ბიოლოს, და გაუტეხია კალათა.

სახელის გატეხვას კალათის გატეხვა ჯობიათქვა და მივაჩერდი, რას მიპასუხებდა. ჯობია, ჩემო ძმაო, მარა, მანამდე ხან ერთ რქაზე ქონდა ჩამოკიდებული ის კალათა ქმარს და ხან მეორეზეო, — მიპასუხა ბოჩიამ.

ცივი წყალი მოგვირბენია შვილიშვილმა, მოვიკალი წყურვილი და გავაგრძელეთ თოხნა.

სანე შევჩერდიო, ისევ იკითხა ბოჩიამ. მეოთხე საღლეგრძელოზე ხარმეთქი, ხო, ჩემო ბატონიო და გააგრძელა მეოთხედან.

ამ ჭიქით ქართველი მწერლების საღლეგრძელო უნდა ვთქვა იაკობ გოგებაშვილის თამადობითთქვა.

რატომ გოგებაშვილის თამადობითო, გულმოსულივით შამომხედა, გოგებაშვილმა გვაჩუქა დედა ენა და იმიტომ, დედა ენა რომ არ გვქონოდს, რას დაწერდნენ დანარჩენებითქვა, ვინ დანარჩენებიო, აქით მკითხა კიდო, ვიფიქრე, ასე მალე რამ დაათრო ეს კაცი თქვა და ჩამოვყევი, წიგნებს მაინცდამაინც კი არ ვკითხულობ, მარა სათაყვანებელი მწერლები: ილია, აკაკი, შოთა, ვაჟა, ის რომაა კიდო ეე!!! რას დაწერდნენ დედაენის გარეშეთქვა. ხო არ გეშლება რამეო, — დამეკითხა, მე ვუთხარი, მე არ მეშლება და შენ ქე უნდა გცოდნოდათქვა. უმაღლესი არ დამიმთავრებია, მარა ჩემმა შვილებმა ხომ დაამთავრესთქვა.

იმათ ნათქვამს იმეორებ თუ შენ იცი ასე წყობილოთ ყველაფერიო.

ვინმეს სასწავლებელი რა მჭირს, ეგ მთელმა ქვეყანამ იცისთქვა, რაღა უნდა გითხრაო და დამანება თავი, კაცს რომ ეს არ ეცოდინება, მწერალია ის?! მეოთხე ჭიქა კი დალია რაცხანაირად იყო, აღარ შემიძლიაო და საძინებელში შევიდა. სამი ორშიმო ღვინო დაელიეთ მას მერე.

ვუსმენდი ბოჩიას, არც ხათრით გამცინებია, არც ისე, ტყუილა ემდური იმ კაცს-მეთქი, რავა, არც შენ იცი, დედა-ენა

გოგებაშვილმა რომ მოგვცაო, თოხნას თავი ანება. მის გამოხედვაში მართლაც ეაცის სიჯიუტე გამოსჭვიოდა.

ამ საუბრიდან ერთი წლის შემდეგ ყანის მარგვლაში ვშველოდით იმ ახალ მეზობელს. ჩემს გასაგონად მოუხადა ბოდიში ბოჩაამ — დედა-ენა მართლა უჩუქნია იაკობ გოგებაშვილს, მაგრამ გვიან უჩუქნიაო.

ბოჩიამ და ივლიტამ ოქროს ქორწილი აღნიშნეს. სტუმრები არ ჰყოლიათ, შინაურები და რამდენიმე ახლო მეზობელი უჯდა მაგიდას.

მკლავი სუსტი, მუხლი ვერლავეს, თვალი ახლოს, ყური შორს, დაგვაჩაჩანაკა სიბერემ და ვუცდით, როდის ამოგვაძრობს სულსო, ნაღვლიანად ჩამოყვა ბოჩია. სამადლობელი ოქვა, ჯერ ივლიტა ადღეგრძელა, ველარ შეამჩნია, რა ფერი ჰქონდა ივლიტას თვალებს. ჩვენ გაგვიმარჯოსო, ჭიქები მიაჭახუნეს, ბებრულად გაუღიმეს ერთმანეთს, და კვლავ გამოჩნდა ივლიტას აცრემლებულ თვალებში მოცურავე ორი ცისფერი ბოჩია.

მეოთხე ღილის ამბიდან ნახევარი საუკუნე გაფრენილიყო.

ფოფინარი მთვარე დაჰყურებოდა ქვეყანას.

დაღუპული სასიძო

თანდილა იმ გოგოს გულისთვის არ ჩამოსულა ქუთაისში. სიმართლე რომ გითხრათ, მას მხოლოდ მაშინ გაახსენდა იგი, როცა ხალხით გაჭედილი ავტობუსიდან გამოძვრა, ტანსაცმელი შეისწორა და იმ ქუჩას გაუყვა, ავტოსადგურიდან უნივერსიტეტისკენ რომ მიემართებოდა. შარშანაც ეს გზა არჩია. ასეთივე თბილი დღე იყო შარშანაც. მაინც როგორ აეწყო... საქმე კი არაფერი ჰქონია, ისე ჩამოვიდა სოფლიდან, შორსაც არაა უნაბეთი. დილით ჩამოსულ კაცს შეუძლია სულდათქმულად აკეთოს თავისი საქმე და საღამოს ისევ გაპყვეს ბოლო ავტობუსს.

შარშანდელზე მოგახსენებთ, სრულიად უსაქმოდ და უმიზნოდ იყო ჩამოსული თანდილა, გავივლ-გამოვივლი, თვალს წყალს დავალევინებ და დავბრუნდები უკანო, ფიქრობდა, მაგრამ ნათქვამია: ბედი უკრავს კაცზე, კაცი — სალამურზეო. თანდილა კი ჩამოვიდა სალამურით, მაგრამ, ბედს არ ეძინა თურმე...

მიუყვება თანდილა ქუჩას. ზემოდან ხელისგულივით ჩანს ბალახვანი. ახითხითებული ტყემლები და აკვასკვასებული ატმები სილამაზეში გასჯიბრებია ერთმანეთს. გაზაფხულის სითბოს ქალიშვილებიც გამოუტყუებია გარეთ. სავსეა თანარის ქუჩა ზეინაბებით. გოგონებს შილიფად აცვიათ. ადრინდელ, ჩაფორიალებულ კაბებს სიგრძე დაკლებია. ვერ გეტყვით, მოდამ იმუშავა თუ ქსოვილის სიძვირემ, თითო მტკაველით, ზოგის კაბა მეტითაც ასცილებია მუხლისთავებს, აყვავებული ხეების არ იყოს, გოგონებიც გასჯიბრებიან სიკეკლუცეში ერთმანეთს.

თანდილას ტყემალიც უყვარს და ატამიც, მაგრამ ამეების შემხედვარემ თავი ანება ბალახვნის ფერწერას და უფრო საინტერესო ნატურების ცქერით გაერთო. განსაკუთრებით ერთ-

მა ზეინაბმა მიიტაცა თვალი. თვალი ოხერია, თუ რამეს შეასწარი, მიგრჩება ზედ და ველერ მოწყვეტ მზერას, ასე დაემართა თანდილასაც. იმ ზეინაბმა მოსტაცა თვალი, სანამ ჩაუვლიდა, ხომ უყურა, ჩაუარა და რას შეხედავდა უკეთესს, ისედაც მოკლე კაბის უკანა ხედს ჭრილიც ჰქონდა, ჭრილიდან ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე ელვა იმზირებოდა. ელვა როგორ არ უნახავს თანდილას, მაგრამ ეს თეთრი ელვა იყო, თბილი ელვა. კაცი წინ რომ მიდის, უკან რატომ იხედება თუ იცით, იმიტომ, რომ უკან თვალები არ აქვს. მოიხედავს უკან და წინ რჩება უთვალოდ, კი არ ვარგა. ასე ფიქრობდა თანდილაც. გაიფიქრა თუ არა, კიდევაც დაეტაკა ვიღაცას და გაქრა ელვა.

— უკაცრავად, — თავის მობრუნებამდე წაილუღლუღა თანდილამ.

— რას ბრძანებთ, ჩემი ბრალი იყო, — ესალბუნა ყურს ქალის ხმა.

მოიხედა თანდილამ და სიტყვა გაუწყდა, მის წინ მეორე ელვა ენთო, სასწაული ხმაც ჰქონდა, ასეთ ხმას ეძახიან ხავერდოვანს ალბათ.

— უკან მოვიხედე და... — აქით ებოდიშებოდა ელვა თუ შუქურა.

— როგორ გეკადრებათ, სასიამოვნოც კი იყო...

ორი სხეულის შეჯახება რომ სასიამოვნო აღმოჩნდა, სიცილი აუტყდათ, სიცილ-სიცილში ერთმანეთს ათვალიერებდნენ. ყველაფერს დასასრული აქვს და სიცილიც რომ მოათავეს, უკვე იცოდნენ, ქორწინების ბეჭდით არც ქალიშვილი იყო დარგოლური და არც ვაჟი. ქალის ზედა ტუჩს ხორბლის მარცვლისოდენა ხალი ამშვენებდა, ვაჟს სიცილისას ორივე ლოყაზე პატარა ღრმულები უჩნდებოდა.

— თანდილა! — თქვა ვაჟმა და ხელი გაუწოდა.

— მერი.

— შენ ჯვარს იწერდი ბმ ღამეს, მერი... — მოიშველია გალაკტიონი, გუნებაში ხალის ახლო-მახლო სუნთქვის მობრუნება ინატრა, ხმამაღლა კი უფრო საფუძვლიანად გაეცნო ქალიშვილს.

— თანდილა ვარ, უნაგირელი, სოფელ უნაბეთიდან,—ძლივს შეელია ქალის ხელს.

— ეგ საითაა... უნაბეთი.

— აქით, — ხელი ჩხარისკენ გაიშვირა თანდილამ, — ამ საღამოს თავისუფალი ხართ?!

— ამ საღამოს არა, ამ საღამოს ჯვარს ვიწერ, უნაგირელო.

— ხვალ საღამოს?! — იკითხა დაბნეულმა ბიჭმა.

— ყოველდღე ხომ არ დავიწერ ჯვარს, — აკისკისდა მერი.

ქალის ხმამ აგიზგიზებული ატმები გაახსენა, თანდილაც ახარხარდა. კულტურულად, უნაბეთში რომ ხარხარებენ მთელი სულით და გულით, ისე.

ამ დღის მერე თანდილა ხშირ-ხშირად ჩამოდიოდა სოფლიდან. უნივერსიტეტში აკითხავდა მერის. მთელი კურსი სიძეს ეძახდა. ხან სად დადიოდნენ, ხან სად. მარტო კი არა, მერის ყოველთვის ახლდა ორი-სამი თანაკურსელი, თანდილა შოკოლადებით და საღეჭი რეზინებით უმასპინძლდებოდა. მარტო ვერ იქნა და ვერ მოიხელთა მერი, არადა ოთხმაგად იღეჭებოდა ვალიკოს ნაშოვნი ფულები.

ვალიკო თანდილას მამაა. ამასწინათ ყანას თესავდნენ. ვენახის ბოლოს, ღელესთან, ატმის ხეები დაანახა მამას თანდილამ.

— შეხედე რა ლამაზია, რა ჯობია ამათ ყურებას, — ატმის ხეების დანახვაზე მერი ახსენდებოდა და აღარც ხვნა უნდოდა, აღარც სოფელი.

— ატამი კაია, კაი, ზოგი საკბეჩია, ზოგი სახეთქი, ორივე ჩინჩლიანი კია, — თქვა ვალიკომ და სახრე წაუცაცუნა ყვავილას, — თავის ხარს, თავივით რომ უყვარდა და უვლიდა.

— ჩინჩლიანი არა ის, — ჩაიბუზღუნა თანდილამ.

— ეიშ! ოოუ!!! — ისევ წააქეზა ხარები ვალიკომ, — გუშინ ვიღაც ორ კაცს აუვლია ჩვენ სახლთან, ერთს უთქვამს, ამას რავა გავატან ქალს, რას უგავს ღობე-ჭიშკარიო.

— იმის გამოგზავნილი იქნება, არ უნდა ლაპარაკი.

— ვისი?

— ვისი და გოგო მყავს ერთი, ქუთაისში, გვზვერავენ ესე იგი.

სულ მალე ახალი ჭიშკარი და ღობე შემოევლო ვალიკოს ეზო-კარს. თანდილა მთელი თვე მოუნდა მეზობლებში წანწალს, ფული შევაგროვოთ და გზა შევაკეთოთო. ორი-სამი მეზობლის გარდა კაციშვილს არ გაუსვია ჯიბეზე ხელი, მამაშვილმა გაიღო ლომის წილი და ასე თუ ისე დაამგვანეს გზას.

ამასწინათ ახლოური საზღვარგარეთიდან ძმა ჩამოვიდა შვებულებით, თანდილას უფროსი, ქუდი ჩამოუტანა საჩუქრად, უკეთესს რას ნახავ. მოუარეო, — გაუფრთხილებია ძმას, ყველგან ნუ დაიხურავ, ასეთი ქუდი უყვარდა ჩარლი ჩაპლინს, უბრალო არ გეგონოს, კანადური შალია, როგორც ჩვენთანაა ზესტაფონი, ისეთი ქალაქი ყოფილა იქ, კანადაში, კვებეკი, კვებეკშია დამზადებულიო. ჩაპლინს თუ უყვარდა, მე რატომ უნდა მძულდესო, უთქვამს თანდილას და მის მერე ქუთაისში სულ კვებეკურად დადიოდა. მთელი ქალაქი თვალს აყოლებდა თანდილას. თითით საჩვენებელი შეიქნა. თავად არაფერს იმჩნევდა, ისე დადიოდა, თითქოს სულ არ ეხურა ჩარლის ქუდი. განსაკუთრებით უნივერსიტეტში დაინტერესდნენ, აქამდე ისე შედიოდა და გამოდიოდა, არავინ ამჩნევდა, ახლა თვალის მოწყვეტა ეძნელებოდა ყველას. მერის ამხანაგები ხომ აღფრთოვანებულები დარჩნენ. ამით ნასიამოვნებმა თანდილამ ახალ კინოფილმზე მიიპატიჟა მთელი კურსი. კინოც მოეწონათ, სნიკერსიც, საღეჭი რეზინაც, ყველაფერზე დიდი შთაბეჭდილება კვებეკურმა ქუდმა დატოვა მაინც. თავების მეტი რაა ამქვეყ-

ნად, მაგრამ ჩარლის ქუდი ერთ თავს ეხურა და ეს ერთი თავი თანდილასი იყო.

ამის მერე ესმოდა თანდილას: შლიაპა მოვიდა, შლიაპა წავიდა, შლიაპამ დაგვპატიჟა და მიხვდა თანდილა, შლიაპა რომ გამხდარიყო მისუნებურად. მერისგან არ გაუგონია ბრუნდი სახელი. ამიტომაც მერის გარდა ყველას ალმაცერად უყურებდა. მერის ისე ეჭირა თავი, თითქოს მოსწონდა კიდეც თანდილას თავსახური. მეტი რა უნდოდა თანდილას.

ერთ დღეს უქუდოდ ჩამოვიდა მერის სანახავად. ქუჩაში აღარავის მიუქცევია ყურადღება. უნივერსიტეტის ეზოში რომ შეაბიჯა, თითქოს ჩარლის ქუდი ახურავსო, ისე იუხერხულა. მეორე კორპუსის კიბეს რომ აუყვა, ზემოდან მერის თანაკურსელის ხმა მოესმა:

— გოგოებო. შლიაპა ჩამოსულა თავმოხდილი!

უკვე აღარაფერი მნიშვნელობა ჰქონდა, როგორ ჩამოვიდოდა თანდილა, ქუდით, უქუდოდ, მუზარადით თუ ყაბალახით, მაინც შლიაპა იყო.

მესამე სართულზე ის გოგონა შეეფეთა, მისი მოსვლის ამბავი რომ გააგებინა დანარჩენებს. ვიღაც „ფირმა" ვაჟისთვის გამოედო ხელკავი და ქვემოთკენ მიიჩქაროდნენ.

— შლიაპას გაუმარჯოს, — მიესალმა თანდილას.

„ფირმას" ისე გაეხარდა შლიაპას გაკონება, ყველა კბილი გამოაჩინა, რაც გააჩნდა. სიბრძნის კბილი აკლდა და რასაკვირველია, არც გამოჩენია.

ის კი არა, ფასადის კბილები ჩამოსაღები მოეჩვენა თანდილას, მაგრამ ამას დრო და ადგილი უნდოდა შესაფერი.

გოგონამ ხელი უბიძგა „ფირმას", — წადი, ახლავე დაგეწევი, შლიაპას რაღაც უნდა ვუთხრაო.

— ხომ არ გწყინს, შლიაპას რომ გეძახიიით?!

— არა, პირიქით, — ცოტა უკმეხად უპასუხა თანდილამ.

— ასეც ვიცოდი... ჩვენ ყველას მეტსახელს ვარქმევთ, ამ ბიჭს ბათაყვას ვეძახით, კიბისკენ აიქნია ხელი.

— მერის?!

— მერის, წუნიას.

— რატომ?

— ყველას იწუნებს, მხოლოდ შენ მოათვინიერე, დღეს მერი არ მოსულა.

— ავად ხომ არაა?!

— არა, ავად არა, ისე, ერთი რამ ვიცი, სოფელში არ გაათხოვებენ, ერთოთახიანი ბინა მაინც რომ გაყიდია სადმე, ცენტრში, თავი ქუდში გექნება.— ქუდის ხსენებაზე ორივეს შლიაპა გაახსენდათ და იშვა თავი სიცილმა.

— შენთვის კარგი მინდა და მიტო გეუბნები, აბა, წადი!— ხელი აუწია თანდილას და კისრისტეხით გამოუდგა ბათაყვას. რახან მერი იქ აღარ აღმოჩნდა, თანდილაც დაუყვა კიბეს.

— ვინაა ეს ჭუკი, — წაესმა ბათაყვას ხმა.

— სუუუ, არ გაიგონოს, სოფლელი ტიპია, მერის ეპადხოდება მისი ჭკუით.

— ჭუკიც ვყოფლვარ, — ჩაილუღლუღა თანდილამ. კი ეწყინა, რაც გააგონეს, მაგრამ, იმ საფიქრალმა, სახლი რომ უნდა ეყიდა, ყველაფერი გადაფარა. სახლის ყიდვა ხუმრობა არ იყო, მაგრამ ამ საქმის გამოვარგიანებაც შეიძლებოდა, თუ ვალიკო დაუდგებოდა გვერდით, გვერდით კი არა, ვალიკოს უნდა მოეგვარებია ეს საქმე, დანარჩენს თანდილაც მიხედავდა.

თერჯოლის ავტობუსს გაჰყვა გადასახვევამდე. სამი კილომეტრი შეუმჩნევლად გაიარა, ჭიშკარი რომ შეაღო, მაშინ შეახსენა თავი დაღლამ. ვალიკოს ჭილოფი გაეფინა ნიგვზის ჩრდილში. ჩაძინებამდე, როგორც ჩანს, წიგნს კითხულობდა. წიგნის დამჭერი ხელი ცარიელი შერჩენოდა ჰაერში, მეორე თავქვეშ ამოედო და ხვრინავდა ხარისხიანად. ხელიდან გავარდნილ წიგნს ქარი დაპატრონებოდა და ფურცლავდა მარცხნიდან მარჯვნივ, ხან პირიქით.

— ეს ხვრინავს ჩეროში, — უკმაყოფილოდ გააქნია თავი თანდილამ. მერე ჭილოფზე დარჩენილი ადგილი მისთვისაც საკმარისად მოეჩვენა, მიუწვა გვერდით და დაქანცული სხეული ძილს მიანება.

თითქმის ერთდროულად გაეღვიძა მამა-შვილს.

— როდის მიდის, როდის მოდის, ვერ გაიგებ, — აბუზღუნდა ვალიკო, — ცოლი არ გინდა, მამაააა?!

თანდილამ თმის ხარჯზე გაზრდილი შუბლი მოიფხანა, ალმაცერად გახედა ვალიკოს, ხომ არ დამცინისო, გამქირდავი ვერაფერი დაიჭირა მამის მზერაში და გულახდილად გამოტყდა:

— მინდა, მამა, მინდა!!!

— თუ გინდა, სადაა... გაგიკეთე ღობე, ჭიშკარი, გზა, ამდენი ფული ჩავყარეთ, დაგვღუპა ხალხი და კიდევ არ მოგყვება?!

— სოფელში ვერ ვიცხოვრებ, ქალაქში რომ მოგცა ბინაო...

— მერე რას ფიქრობ, მამა!

— რას ვფიქრობ... რას ვფიქრობ და გავყიდოთ ყვავილა და ერთი ძროხა, იმ ფულით ქე გავახერხებთ რამეს და იქნება დამადგეს საშველი.

— ყვავილას თუ გავყიდით, დაგადგება საშველი ვითამ?!

— ხო, მამა.

— მერე ყანა რითი დავხნა, შენი... — დედა ახსენა არასახარბიელო კონტექსტში მამამ.

თანდილამ ვერ უთხრა, ყვავილას გარეშე რით დახნავდნენ ყანას, მაგრამ, სხვა რამემ გააბრაზა:

—დედას რატომ მაგინებ, მამა?!

— კი არ გაგინებ, გისრულებ რამდენი ხანია, შენისთანა კიტრები ხეზე კი არ იკრიფება.

ერთი სიტყვით, მამა-შვილს შორის კატამ გაიარა. თვეზე მეტი იწვა თანდილა და მისჩერებოდა ერთ წერტილს ჭერზე.

შვილის დაჟინებულმა მზერამ ჩააფიქრა მშობლები. ყვავილა ვერ გაიმეტეს, მაგრამ ძროხა, სხვა რაღაცეები მიყიდ-მოყიდეს და შეიძინეს ქუთაისში ერთოთახიანი, კეთილ-კეთილმოუწყობელი, მაგრამ მრავალიმედიანი ბინა. მოსწყვიტა თანდილამ მზერა ერთ წერტილს და როგორც გითხარით, იმედიანად გაიხედა სამი წერტილისაკენ.

ვალიკო ნაკლებ შინაარსიანად როდი იხსენიებდა უცნობი სარძლოს მშობელს, — ჯერ არ შემოსულა ეზოში, დაგვლუპა და დაგვაქცია, რო შემოვა, მერე რას იზამს, მაგისიო... და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

უსაზღვრო შეიქნა თანდილას სიხარული, სახლის გასაღები რომ ჩაუცურა კურტაკის ჯიბეში ვალიკომ. ვეღარ დაიძინა იმ ღამით. უხედარი ახალცხენივით დაუოკებელი ფიქრები მიეძალა. გათენებისთანავე გაფრინდა მერისკენ. დიდი სიხარულიც დაემგზავრა. გულით იმედი მიჰქონდა, ჯიბით გასაღები, — პასპარდუ გასაღები, სახლის კარის გარდა სხვა რამეების გაღებაც რომ შეეძლო.

მერის არც მისალმებია, სახლი ვიყიდე ბალახვანშიო, მიახარა.

— რა ვიყიდეო, რა თქვი?!

სახლი.

— სახლი... ბალახვანში?!

— ჰო!

— მეზობლები გავმხდარვართ.

ოოო, როგორ ეწყინა თანდილას, მეზობლობაში რომ გადაზარდა მერიმ ის პატარა სიახლოვე, რაც აქამდე არსებობდა მათ შორის. შლიაპა გახდა, ჭუკიც, ახლა მეზობელიო, მერის თან მეზობლობა რაში აწყობდა. ნელი, ჩოჩიალა ნაბიჯებით გამობრუნდა უკან თანდილა. უპასუხოდ დატოვა ახალი „მეზობელი“, დიდი ტკივილი და გასაღები წამოჰყვა თან. „შლიაპა“ დარჩა უნივერსიტეტში, მაგრამ ბათაყვას გოგომ დააწია ქოშინით.

— რა გაწყენიეს ასე მწარედ, შლიაპაა?!

თანდილამ უაზრო მზერა მიაშტერა მერის ამხანაგს

— როგორც გითხარი, სახლი იყიდე, უნივერსიტეტში თუ არა, ინსტიტუტში მაინც მოეწყვე და ყველაფერი რიგზე იქნება, შლიაპას ვენაცვალე, — გააგრძელა ისევ თავისებურად იმ გოგომ.

— თქვენი შლიაპა და თქვენი მეზობლებიც, — შეიკურთხა თანდილამ, ჯიბეები მოიქექა, სახლის, გასაღები ამოიღო და ზაურია კაკაბაძის კოტეჯისკენ მოისროლა, მობრუნდა და ჩქარი ნაბიჯით დაადგა იმ გზას, აქეთობისას იმედით რომ მოუყვებოდა.

წყალწითელას ხიდი გადაიარა... გადაიარა და მიხვდა, ფეხით შედგომოდა სოფლის გზას. გამობრუნდა სადგურისკენ. რიყის ქვას გამეტებით მოუქნია ფეხი. გაბრაზებულმა კაცმა იცის ასე. ფეხი ეტკინა. რომ ეტკინა, ეამა კიდეც. უშანგი იაშვილის ეზოს ამოუარა, მაისის ატმები სიმწიფეში შესულიყო. ატმების დანახვამ მთლად გადარია. ახლა მეორე ფეხი მოუქნია უფრო მოზრდილ ქვას. ფეხის ტკივილმა სახე მოუქცია, ეს მოქცეული სახე ჩაყვა სახლში და უთქმელად მიხვდა ყველაფერს ვალიკო. გასაღების ამბავი არ გაუმხელია თანდილას.

— უმაღლესში მოეწყვე და გამოგყვებიო, — მართალივით შეატყუა მოგონილი პირობა მამას.

— უმაღლესი სახლზე იაფი კი არ დაჯდება, შვილო!

— თუ სახელმწიფო ინსტიტუტში შეხვალ, მეტი დაჯდება, თან მომზადებულიც უნდა იყო, კომერციული ჯობია, ფულს გადაიხდი, გინდა ისწავლი, გინდა არა...

— გინდა, წახვალ, გინდა, არა, — წაეხმარა შვილს ვალიკო.

— ჰო, მამა!

— მერე მაგაში გინდათ გადამაყრევიოთ ფულები?! ვის გადაეკიდე, შე შობელძაღლო, ნელ-ნელა რო გვაძრობს სულს, ახლა ჭიშკარიო, მერე სახლიო, ბოლოს უმაღლესიო, კაი, ვთქვათ, მოეწყვე ინსტიტუტში და კიდო გითხრა ვარი, სად მიდიხარ მერე, რაღა გვეშველება, ხომ დავიღუპეთ მე მაგისიო — და გამხიარულებული კახელივით გამართული წინადადებები მიაყოლა ერთმანეთს გეგმაზომიერად და გულსაფხანად.

თანდილა იმ ეოგოს გულისთვის არ ჩამოსულა ქუთაისშა. აღარც ატმის ხეების ცქერით ერთობა და აღარც ზეინაბების მოკლე კაბებისკენ აპარებს მზერას. ტყუილა გააკეთა ჭიშკარიც, ღობეც, ტყუილა იყიდა ქალაქში სახლი. ტყუილა ჩაყარა კომერციულ ინსტიტუტში ამერიკული ვალიუტა. დაღუპა იმ ერთმა უკან მოხედვამ.

ამასწინათ მერის ამბავი გაუგია ბათაყვას გოგოსგან: შორეულ საზღვარგარეთ გათხოვდაო, ავსტრალიელ ქართველს გაჰყოლია ცხრა მთასა და ცხრა ზღვას იქით. ზესტაფონივით ქალაქი ყოფილა ავსტრალიაში, მელბურნი, თურმე იქ ცხოვრობს წყნარი ოკეანის სანაპიროზე, საკუთარ ვილაშიო.

— მე ქე დამღუპა და ახლა სადაც უნდა იქ იცხოვროსო, — უთხრა თანდილამ იმ გოგოს და ვალიკოს ფულით ნაყიდი „დონალდოს“ ღეჭვა-ღეჭვით შეალაჯა კომერციულ უმაღლესში.

ცხოვრება მიდის ურეპეტიციოდ

რომანი

რომანი, „ცხოვრება მიდის ურეპეტიციოდ“ იმ ახალგაზრდების ცხოვრებას ეხება, სავალდებულო სამხედრო სამსახურს რომ გადიან. მასში გადმოცემულია მშვიდობის პერიოდში ჯარისკაცური ცხოვრების ყოველდღიურობა, სიძნელე და სიხარული, გაჭირვება და დალხინება, იმ მოვალეობის ღრმა გრძნობა, რასაც ქვეყანა ფარავენ ბიჭებს აკისრებს.

ნაწარმოებში მხატვრული დამაჯერებლობით და მსუბუქი იუმორითაა გადმოცემული, როგორ აწრთობს და ამზადებს ახალგაზრდებს სამხედრო სამსახური მომავალი ცხოვრებისთვის. ამასთანავე ავტორი იმ ჭრილობებზეც მოგვითხრობს, მეორე მსოფლიო ომმა რომ მიაყენა ჩვენს ქვეყანას და ხალხს.

1

ჭიშურა გავიარეთ. მანქანებმა ის იყო აღმართი აათავეს, რომ აკაციების ჩრდილში მდგარი ვილისი შევნიშნეთ. იქვე სამხედრო კომსარი და მეორე ნაწილის უფროსი საუბრობდნენ. მათ ნიშანზე ავტობუსები ვილისის უკან გააჩერეს.

— ჩახვალთ და ორ მწკრივად მოეწყობით, — გვეუბნება ლეიტენანტი ბობკოვი.

— ზურგჩანთებიც ჩამოიტანეთ, — გავიგონეთ განყოფილების უფროსის ხმა, მაიორის სამხრეები რომ ჰქონდა.

პირველი ავტობუსის მგზავრები, თუ შეიძლება ასე ვუწოდოთ ჯარში მიმავალ ბიჭებს, უკვე მოწყობილიყვნენ.

— სმენა! — ბრძანა ბობკოვმა და კომისარს ახალწვეულების საბოლოო შემოწმებისათვის მზადყოფნა უპატაკა.

— თავისუფლად! შეგიძლიათ შეამოწმოთ პირადი შემადგენლობა, — ნება დართო კომისარმა.

დაიწყეს სიის ამოკითხვა. შემდეგ ზურგჩანთები გაგვახსნევინეს და სათითაოდ შეამოწმეს. ყველას აღმოგვაჩნდა თითო-ოროლა ბოთლი ჭაჭის არაყი.

— ეს რა გიქნიათ, — შეწუხდა კომისარი, — საცოდაობაა, ეაგრამ სხვა გზა არაა!.. დააქციეთ! — ბრძანა ბოლოს.

შეგროვილ ბოთლებთან დიდი ქვა იყო, დახვრეტილი და ლამაზი, კაცის ხელით ნაცოდვილარს არ ჰგავდა, უფრო დიდი შემოქმედის ბეჭედი აჩნდა ძველისძველ ქვასასწაულს. ბობკოვი ბოთლებს ხსნიდა, ქვის ძაბრისებურ ნახვრეტში ასხამდა, მძაფრი სუნი რომ აეცილებია, ცხვირი გვერდზე გაეწია. ქვის ძაბრულაში მოხვედრილი არაყი შუაში მილიკლიკებდა, მერე სხვადასხვა ნახვრეტში ნაწილდებოდა.

— ამხანაგო პოლკოვნიკო, დომენტი ბაბუამ იმიტომ გამოხადა „ჭაჭა", ჭიშურის აყალო გვეზილა?! — იკითხა რეზომ.

— ვიცი, თქვენზე უკეთ ვიცი, რისთვისაც ხდიან არაყს... არ შეიძლება.. ჩათვალეთ, თითქოს ომში დაღუპული, თქვენი ტოლა ბიჭების შესანდობარი დაგელიოთ.

ჰაერი სპირტის სუნით გაიჟღინთა. მზიანი ამინდი იყო და თვალნათლივ ჩანდა, როგორ ორთქლდებოდა არაყი.

— ხვალ აქ არაყის წვიმა მოვა, — ამბობს რეზო.

— წვიმის მოსელა არ სჯობს? ამდენი არაყი დივიზიას დაათრობდა, — პასუხობს ქგანყოფილების უფროსი.

ბობკოვი გასავათდა, მეორე ოფიცერიც ეხმარებოდა. ქვის ღრუში მოხვედრილი სითხე ახლა უფრო ყრუდ ბუყბუყებდა. დაცლილი ბოთლი უხერხულად შერჩა ლეიტენანტს, ისიც ცარიელ ბოთლებთან დააგდო. ფეხი უბიძგა წკიპზე შემდგარ ქვას. გაღიზიანებული კაცი ჯავრს რომ იყრის რაღაცაზე, ისე. ჯერ ზლაზვნით გადაგორდა ქვა, დამრეცი ფერდობი რახან თავისად დაიგულა, გამოცოცხლდა, ბოლოს ისე გადაირია, წინ ვეღარაფერი დაუდგებოდა, წამიც და ყვირილას შავ ჩქერებში მოადინა დგაფანი.

კომისარი ყველაფერს ხარბად ადევნებდა თვალს. მზერა იმ ადგილს მიაყინა, სადაც ქვა გაუჩინარდა. კარგა ხანს იდგა ასე, მერე ერთი ბოთლი არაყი იქ დააქცია, ქვა რომ იდო.

— მათი ხსოვნისა იყოს, — ჩაილაპარაკა ჩუმად, ჩაჯდა ვილისში და უკან გაბრუნდა.

ავტობუსში ჩავსხედით და გზა განვაგრძეთ. ფანჯრიდან ვიყურებოდით, სულ მცირე, სამი წლით მაინც ვემშვიდობებოდით ყველაფერს, რაც ავტობუსიდან ჩანდა. ის დღე გამახსენდა, ატესტატები რომ დაგვირიგეს, დავემშვიდობეთ სკოლას და პედაგოგებს, ეზოდან გადმოვაბიჯეთ.

— ბიჭებო, ცოტა ხნით ბალში ჩამოვსხდეთ, გავამხილოთ, ვინ საით აპირებს, — შემოგვთავაზა მაშინ გურამმა.

— ვინ ვცის, რისი საბუთია ეს? — გვეკითხება თამაზი და ატესტატი თავსზემოთ შეათამაშა.

— სიმ-წი-ფის ა-ტეს-ტა-ტი! — ჩამომარცვლა გიულიმ, — ესე იგი, დავმწიფდით, ნოდარი მოიხარშა, ჯუმბერი გამო-

ცსვა, ბარეორი ჯერ ისევ ცომია. ვგონებ, ადრე დაგვირიგეს ეს საბუთები. ვთქვათ, მე მეკუთვნოდა, კიდევ რამდენიმეს, ეაგრამ რა დროს ლევანის სიმწიფეა ჯერ, — გაიცინა და ხელი ჩ.მკენ მოაშვირა.

— მაინც რას აპირებ? — მეკითხება რეზო.

— ისტორიულზე შევიტან საბუთებს.

— მეც!

— მოიცათ, მოიცათ! საუკუნეების მიღმა რომ მიძვრებით, აქეთ რას გვიპირებთ?! — წამოიყვირა გიულიმ და თვალები ღაგვიბრიალა „ისტორიკოსებს“.

— ჩვენ — აქეთაც და იქითაც, თვითონ რას პირდები ქვეყანას? — იკითხა რეზომ.

— ჯერ ავტოქარხანაში, მერე ვნახოთ! — ქქვა გიულიმ.

— ვნახოთ! — გაეპასუხა რეზოც.

ჩვენ წინ ბეჭებში მოხრილი მწითური ბიჭი აისვეტა. მხრიდან შავ ნაჭერში გახვეული ყუთი ჩამოიღო, სამ ფეხზე გააბაჯაჯგინა და თვალი ჩაგვიკრა.

— გადაგვიღე, „გრაფ“! — შევეხმიანეთ.

— მაგისთვის ვდგავარ შრომის ვახტზე, — კბილები გამოაჩინა „გრაფმა“.

ატყდა ქოჩრების სწორება, „გრაფი“ დოინჯშემოყრილი გვიცდიდა, თან რაღაც მელოდიას უსტვენდა. მესურათეს კარგად ვიცნობდით. ჩვენზე უფროსი იქნებოდა. რაც გვახსოვს, სულ შეგირდი იყო. ადრე ზედმეტ სახელად „რიჟას“ ვეძახდით. გვეხვეწებოდა: მაგას — ნუ, სხვა რაც გინდათ... მეტრიკაში შალიკო მიწერია, თქვენ ფოტოგრაფი დამიძახეთ, ი, გულ რო მიხეთქამთო...

ფოტოგრაფი გრძელი მოგვეჩვენა და შევამოკლეთ. შალიკო აღარ ბრაზობდა, ახალი სახელი მოსწონდა კიდეც.

როგორც იქნა დავლაგდით. „გრაფმა“ შავ ნაჭერში შემალა „ცეცხლწაკიდებული“ თავი. იჯახირა კარგა ხანს, — არ გაინძრეთო, — გაგვაფრთხილა და მორჩა საქმეს.

ერთი კვირის შემდეგ სურათები დაგვირიგა. სურეთებიდან ღიმილით გვიმზერდა ორი „ისტორიკოსი“, სამი „ექიმი“, ოთხი „ავტომშენებელი“, ერთი „ასტრონომი“, ორი „არქი-

ტექტორი“ და სამიც გაურკვეველი ხელობის ახალგაზრდა.

— აი, ვინ არი იმედი ხვალის! — ხმამაღლა წამოიძახა რეზომ და სურათი ფრთხილად შეინახა ჯიბეში.

— მარტო ხვალის? ზეგის არა?! — იკითხა გაოცებულმა „გრაფმა“.

— შენც თუ დაგვემატები, მაზეგაც არაფერი გვიჭირს, — ეუბნება თამაზი.

— ოოო!.. შამოგეველეთ, — დამშვიდდა „გრაფი“, აპარატი შავ ნაჭერში გაახვია და სტვენა-სტვენით წავიდა.

— წაათრია ორფეხა ყუომა სამფეხა ,ყუთი, — სიცილით ამბობს ოთარი.

— მე კი პირიქით მგონია, — შეეპასუხა თამაზ მორალიშვილი, — მაგას რა უჭირს, ჩვენ ვიკითხოთ, ფშვიტინის უფლება რომ არა გვაქვს.

— ვითომ რატომ! უკვე ყველაფრის უფლება გვაქვს, — ჩაგვერია ლევან მიქაბერიძე.

— უფლება არაა საკმარისი, ძმაკაც!

— სურვილიც მაქვს, — თავისაზე იდგა ლევანი და ეშმაკურად იღიმებოდა.

— ეგ სხვა საქმეა, თუ სურვილიც გაქვს, შეგიძლია იფშვიტინო.

მალე ლევანი ჯარში გაიწვიეს. იგი ჩვენზე უფროსი იყო. სამი წლის შემდეგ დაბრუნდა. მილიციის სამმართველოში დაიწყო მუშაობა და შეგვისრულა დანაპირები.

მე და რეზო ისტორიკოსობას ვფიქრობდით, მაგრამ მშობლებმა დაგვიჟინეს: თქვენგან შესანიშნავი ინჟინრები დადგებაო. ხათრი ვერ გაეუტეხეთ და პოლიტექნიკურ ინსტიტუტში შესასვლელად დავიწყეთ მზადება. გამოცდებამდე მშენებლობაზე ვმუშაობდით ქალაქის გარეუბანში.

პირველი გამოცდა მათემატიკის წერაში უნდა ყოფილიყო, როგორც წინა წლებში, მაგრამ იმ წელიწადს ხაზვით შეცვალეს. ხაზვა არაა ძნელი, თუ იცი. ჩვენ არ ვიცოდით. გამოცდაზე მაინც შეეედით. დაგვირიგეს გასრიალებული ქაღალდები, მერე განმარტეს, რა თანმიმდევრობით უნდა გვემუშავნა. აქსონომეტრია, იზომეტრია, ამათ გარდა, კიდევ რამდენიმე,

ჩვენთვის უცნობი სიტყვა ახსენეს და „მიგვიშვეს ღუმელთან“. ორი ხედი მოცემული იყო, მესამე უნდა გვეპოვნა. დავიწყეთ ძებნა. მე ჩემი გზით წავედი, რეზომ მოკლეზე გადააჭრა.

მეორე დღეს ჩვენს ნაშრომებს ორიანები ამშვენებდა. ადგილობრივ გაზეთს ჩვენი სურათი. ქვემოთ ეწერა: „პოლიტექნიკურ ინსტიტუტში დაიწყო მისაღები გამოცდები. სურათზე: პირველი გამოცდა ხაზვაში“. მე და რეზო ყველაზე წინ ვჩანდით. ნაცნობები გვილოცავდნენ: გაზეთში გნახეთო...

გამოვიტანეთ საბუთები და გავაგრძელეთ მუშაობა. ხაზვაშიც ვემზადებოდით ნაცნობ ინჟინერთან. სკოლაში ხაზვას მათემატიკოსი გვასწავლიდა, ხაზვის მაგიერ გეომეტრიის ამოცანებს გვახსნევინებდა ტრიგონოძეტრიის დახმარებით, — ეს უფრო გამოგადგებათ ცხოვრებაშიო. ახლა, ხაზვაც საჭიროაო, ჩვენც მივადექით და ვხაზეთ, სანამ ნაცნობმა ინჟინერმა არ გვითხრა: „აწი მესამე ხედს ორივე ერთი გზით იპოვითო...“

მაგრამ... „მაგრამ“ რომ არ იყოს, რა გვიჭირდა. ორი თვით ადრე გამოცხადდა: შარშანდელმა ცდამ არ გაამართლა და ხაზვის გამოცდა ისევ შეიცვლება მათემატიკის წერითო. ახლა ალგებრის მაგალითები ვიყვანეთ სხვადასხვა გზით...

სექტემბერში სამხედრო კომისარიატიდან უწყებები მივიღეთ. გავიარეთ საექიმო კომისია. ათ ნოემბერს რეზო უნდა წასულიყო, ოცში — მე. საბავშვო ბაღში ერთად დავდიოდით, სკოლაში ერთად, სამსახურში ერთად, ახლა კი ერთმანეთს გვაშორებდნენ. საცოდაობა იყო. ზუსტად ასე მოვახსენეთ სამხედრო კომისარს. კომისარიც შეწუხდა, თქვენი დაცილება როგორ იქნებაო. განყოფილების უფროსი მოიხმო, კაბინეტში საშუალო ტანის მაიორი შემოვიდა, კომისარმა გააცნო ჩვენი თხოვნა.

— ამხანაგო პოლკოვნიკო! ძნელი საქმე კია, მაგრამ გავახერხებ რაღაცას.

— მაინც რას?!

— ათ ნოემბერს გავგზავნი ორივეს.

კომისარმა კმაყოფილები გამოგვისტუმრა. მაიორს შევყევით კაბინეტში.

— რომლის ნათესავია კომისარი? — იკითხა განყოფილების უფროსმა და შეგვათვალიერა.

— არცერთის!

— არცერთის?! — გაუკვირდა მაიორს, — კარგი კაცია პირდაპირ, ნამდვილი ადამიანი.

მაიორი „ლ"-ს ისე რბილად ამბობდა, შემეშინდა, საყლაპავ მილში არ გადაცდეს-მეთქი..

— ბობკოვ! — თავი მეორე ოთახისკენ მიაბრუნა მაიორმა.

— გისმენ! — მოახსენა გვერდითი ოთახიდან გამოსულმა ლეიტენანტმა.

ლეიტენანტს თვალები ცალ-ცალკე გაურბოდა. გეგონებოდათ, მაიორსაც უსმენს და ავადმყოფი სიდედრის მდგომარეობაც აწუხებსო. რომელიღაც მსახიობს მაგონებდა მისი პირისახე. კაცი რომ ყოველთვის რაღაცის გაფუჭებას ფიქრობს, ისეთი გამოხედვა ჰქონდა.

მაიორმა აუხსნა საქმის ვითარება..

— არის! — გაიჭიმა ლეიტენანტი და თავის ოთახში შებრუნდა. ისევ გამოაღო კარი, თვალებს აცეცებდა, თითქოს ნაჩუქარი ჯაყვა დაჰკარგა და ეძებსო. დაბნეული მოგვაჩერდა, ცალი თვალით რეზოს უყურებდა, მეორეთი — მე.

— მოდიტ ბიჩებო ჩემტან! — გვითხრა და გაუჩინარდა.

შევედით. ლეიტენანტმა რეზოს ფანჯრის ფარდა გადააწევინა და შუქი ჩააქრეო, მანიშნა.

— აი ასე! — წამოიძახა „კრამაროვმა" (როგორც იქნა გავიხსენე მსახიობის გვარი), ხომ შეიძლება ძმა იყოს მისი, — გამიელვა თავში და კინაღამ ვკითხე...

ელექტროენერგია რომ დაგვაზოგვინა, ჩვენი იქ ყოფნა დაივიწყა. ლეიტენანტი თავის ქაღალდებში შეიმუდრა, ზოგი აქეთ გადმოაწყო, ზოგი — იქით. მერე ყველაფერი თავიდან გადაამოწმა. ერთი ქაღალდი ამოარჩია, თავისთვის იკრუსუნა ცოტა ხანს, მერე დაჭმუჭნა და სანაგვე კალათში მოისროლა. მალე მეორე ქაღალდიც მიამატა კალათს, მესამე და მეოთხე რომ დაჭმუჭნა, რაღაც გაახსენდა. კალათი მაგიდაზე გადმოაპირქვავა, ქაღალდები სათითაოდ გადასინჯა, ერთი დაიტოვა,

სხვები ისევ დაჭმუჭნა. ის ქაღალდი გულდასმით გაასწორა, რომელიღაც საქმე ამოარჩია და შიგ ჩააკრა. ბოლოს, როცა საკმარისად დაამტკიცა, აქ ტყუილად როდი ვზიავარო, გაგვიხსენა.

— შენი გვარი?— ხელი რეზოსკენ გაიშვირა და მე მომაჩერდა.

— ჩემი? — ვკითხე შეეჭვებულმა.

— შენი ბიჩო! — შეუყვირა რეზოს, ისევ მე მიყურებდა.

მერე მე მკითხა გვარი და ცეცხლგამძლე ყუთს მიაჩერდა. იფიქრა, იფიქრა და წამოდგა. კარადის უკნიდან დასაკეცი კიბე გამოიღო. თაროების წინ გაშალა. კიბე დამიჭირეთო, გვანიშნა, აქეთ-იქით მოვკიდეთ ხელი. „კრამაროვმა" თუ მისმა ძმამ მოსინჯა, დარწმუნდა, — კიბე კარგად უკავიათო, პირველ საფეხურზე ავიდა უკუსვლით. მეორეზეც აპირებდა ასვლას, მაგრამ გადაიფიქრა. ბოლოს ქამრის ბალთის პირდაპირ აღმოაჩინა ის ქაღალდი, რომელსაც ეძებდა, გამოიღო და მაგიდას მიუჯდა.

— თქვენი გვარები? — იკითხა ისევ.

— გოგიაშვილი და ჯავახაძე.

— გ-გ-გ-გ! — აგრუხუნდა ლეიტენანტი, როგორც იქნა. ამოძებნა ჩვენი საბუთები და ოც ნოემბერს გასაგზავნი ჯგუფის სიაში შეიტანა.

— ესეც ასე! ოც ნოემბერს, ატ საატზე, ზურგჩანტებიტა და პასპორტებიტ, არა ჯაცო! პასპორტებიტა და ზურგჩანტებიტ გამოცხადდებიტ...

— ჩვენ ათი ნოემბრისთვის შევთანხმდით, — ვუთხარი ლეიტენანტს.

— ატი, აჩი, მე ვიცი რაც შევტანხმდიტ, — წამოდგა, მეორე ოთახში გავიდა, იქიდან მაიორის ყვირილი შემოგვესმა. „კრამაროვი" ზურგით შემობრუნდა თავის ოთახში. წვიმაში გაწუწულს ჰგავდა. დაჯდა სკამზე და ცეცხლგამძლე ყუთს გაბრაზებული მიაჩერდა. მივხვდი, ჩემზე იყო გულმოსული.

2

შვიდ ნოემბერს მე და რეზო სადღესასწაულო პარადს დავესწარით. რვაში ახლობლები მოვინახულეთ. ცხრაში ზურგჩანთები ჩავალაგეთ. ათში, ათ საათზე ახალწვეულთა კლუბში კომისარი გვესაუბრა:

— არ შეარცხვინოთ ჩვენი ქალაქი, სამაგალითო დისციპლინით და საბრძოლო მომზადებით მოწინავეთა რიგებში ჩადექით, პირნათლად შეასრულეთ თქვენი ვალი სამშობლოს წინაშე.

აბა, თქვენ იცითო და გზა მშვიდობისა გვისურვა.

აქეთ წამოსვლამდე კომისარიატის ეზოში ორი „ЛАЗ"-ი იდგა. სამოცამდე ახალწვეული თბილისამდე ; ავტობუსებით მივდიოდით. ერთ-ერთი ავტობუსის კართან, კრამაროვს რომ მივამგვანე, ის ლეიტენანტი იდგა. სიის მიხედვით უშვებდა ზურგჩანთიან ბიჭებს ავტობუსში. მე და რეზო ნაცნობ ლეიტენანტთან მოვხვდით. ჩვენი გვარები რომ ამოიკითხა, გაელიმა.. გვადროვა, სანამ გამცილებლები დაგვემშვიდობებოდნენ, ავტობუსში ასვლისას გვითხრა, წინა სკამი დაიკავეთო.

ერთი სათის შემდეგ უფროსს უპატაკა:

— ქვეგანაყოფი დაკომპლექტებულია, ნება მომეცით გავემგზავროთ!

ნებართვა მიიღო და მანქანა ამუშავდა.

— ხომ არ მოიცხინეტ, ბიჩებო? — შეგვეხმიანა შინაურულად, — არაფერია, მალე გაგიელიტ, — მე გამიღიმა და რეზოს მუხლზე დაჰკრა ხელი.

„ნამდვილად რაღაცაა კრამაროვის", — ისევ გამიელვა თავში. ახლა აღარ მეუხერხულა და ვკითხე:

— ამხანაგო ლეიტენანტო! თქვენ გვარი... თუ შეიძლება.

— ბობკოვი ვარ, ვლადიმერ პარამონის ძე ბობკოვი.

— ჩვენ ერთ პიროვნებას მიგამსგავსეთ, თქვენი ახლობელი გვეგონა, გვარი არ დაემთხვა, ის კრამაროვია...

— მსახიობი? — თვალები გაუბრწყინდა ბობკოვს.

— ჰო, მსახიობი.

— ვიცი, შენ პირველი როდი ხარ, სხვებიც მამსგავსებენ. მაგრად ვგავარ ხომ?

— ასლი ხართ.

— ნათესავი არა, ისე ერთი მხრიდან ვართ.

— როგორ, ერთი სოფლიდან?

— ერთი სოფლიდან რომ ვიყოთ, კიდევ შეიძლება, მეზობელი მეზობელს დაემსგავსოს, — გადაიხარხარა ბობკოვმა, — იცით?! ერთხელ კრამაროვი ცნობილ რეჟისორს მიუწვევია კინოში. უფროსი მეხანძრე უნდა ეთამაშა. ამას აირწინაღი არც დასჭირდებაო, უთქვამს რეჟისორის თანაშემწეს და ბობკოვი ისე ჩაბჟირდა, კინაღამ გაიგუდა.

ლეიტენანტის დანახვაზე ველარც ჩვენ შევიკავეთ თავი. ბობკოვი, ბიჭები გავაცინეო, მთლად გადაირია. სული რომ მოითქვა, გულახდილად გვითხრა:

— ისე, ჩემი არსებობა რომ სცოდნოდათ, კრამაროვის რაზმში, თუ სხვა რამეზე არა, რიგით მეხანძრედ მაინც ჩამრიცხავდნენ. სიმართლე თუ გინდათ, მეხანძრეობა მირჩევნია კომისარიატის ქაღალდებში ქექვას. თავიდანვე ასე მათამშებს ცხოვრება, ყოველთვის იქ გადამისვრის, სადაც ჩემი საქმე არაა. შემიკლა ქაღალდებში ქექვამ. რაც მეზარება, იმას მაძალებს ბედისწერა. ტყუილა როდია ნათქვამი: Судьба играет на человеке, а человек — на трубе.

აი, ჩაგიყვანთ თბილისში და.. ალბათ, პასუხიც დამხვდება უკანდაბრუნებულს. კომისარს პატაკი დავუტოვე, იქნებ რომელიმე სამხედრო ნაწილში გადამგზავნონ. სპეციალობით არტილერისტი ვარ. სამხედრო ნაწილი სხვა საქმეა, ჩემს სტიქიაში ვგრძნობ თავს.

— ახალწვეულებო! — მოგვმართა ბობკოვმა, — სამხედრო ცხოვრებას თავისი წესები აქვს. უნდა ავირჩიოთ კომკავშირის მდივანი, დაასახელეთ...

— მე ვიქნები! — წამოაყენა თავისი კანდიდატურა ჩვენს პირდაპირ მჯდომმა ბიჭმა, ფეხზე წამოიჭრა და ბობკოვს ისე მიაჩერდა თვალებში, მე შემრცხვა მის მაგიერ.

ლეიტენანტმა ბიჭები შეათვალიერა. ფეხზე წამომდგარ

ახალგაზრდას, მოდაზე შეკერილი კოსტიუმი რომ ეცვა და ფართო ჰალსტუხი გაეკეთებინა, გვარი ჰკითხა.

— კოპლატაძე — უპასუხა ჰალსტუხიანმა.

— ვინაა მომხრე კომკავშირის მდივნად ავირჩიოთ გოგია-შვილი, — ხელი ჩემსკენ მოაშვირა ლეიტენანტმა.

ბობკოვს ყველამ მხარი დაუჭირა.

— კომკავშირის მდივანი ავირჩიეთ! ახლა დავასახელოთ ჩემი მოადგილის კანდიდატურა.

კოპლატაძე კვლავ ფეხზე წამოიჭრა.

— უფროსობისკენ გქონია მიდრეკილება — ჩაიღიმა ბობ-კოვმა.

ჰალსტუხიანმა დაჟინებული მზერა მიაპყრო ლეიტენანტს, თითქოს ამბობდა: მიდრეკილებაცა მაქვს და ამათთან შედარე-ბით მეკუთვნის კიდეცო

— ჩემს მოადგილედ ვნიშნავ ჯავახაძეს! — ახლა რეზო გა-აცნო ბიჭებს ბობკოვმა.

კოპლატაძე გაბრაზდა, მერე ფანჯარაში იყურა კარგა ხანს.

— სხვათაშორის, მე ინსტრუქტორი ვარ! — წამოიყვირა ბოლოს.

— თუ შეიძლება გვითხარით, რისი ინსტრუქტორი ბრძან-დებით? — დაინტერესდა ბობკოვი.

კოპლატაძემ პიჯაკის ჯიბიდან რაღაც საბუთი ამოიღო და ქედმაღლურად გადააწოდა, თან მზერას არ აცილებდა ლეი-ტენანტს, უნდოდა გაეგო, როგორ შთაბეჭდილებას მოახდენ-და წითელ ყდაში ჩასმული მოწმობა.

ბობკოვმა გადაათვალიერა და უკან დაუბრუნა.

— მაგრად შეინახე, იქნებ გამოგადგეს კიდეც.

ასეთ გულგრილობას არ მოელოდა კოპლატაძე. მოწმობას, სადაც დადასტურებული იყო, სურათზე გამოსახული ახალ-გაზრდა კრივის ინსტრუქტორიაო, ხელში ატრიალებდა, თან ბიჭების გასაგონად ამბობდა:

— ამით მე საქმეებს დავაწევ, ნახავთ!

ბობკოვს თავიდანვე არ მოუვიდა თვალში ჰალსტუხიანი, დამცინავად გადახედა.

— მარტო მაგ საბუთის ამარა ხარ წამოსული ამხელა გზაზე? — გაუკვირდა რეზოს.

კოპლატაძემ მეორე ჯიბიდან უსიტყვოდ ამოიღო სპორტსმენის საკლასიფიკაციო ბილეთები და რეზოს გაუწოდა.

— შენ ვინ ყოფილხარ, კაცო! — ისე შეიცხადა რეზომ, ვერავინ მიხვდებოდა, მართლა ამბობდა თუ დასცინოდა წინდახედულ ახალწვეულს.

— მეორე თანრიგი კრივში, მესამე — ფარიკაობაში, მეორე ფესბურთში, მესამე თანრიგი კალათბურთში. შენ უნდა თქვა უნიკერ...

— ეგ რაა, — შეაწყვეტინა ნასიამოვნებმა „ინსტრუქტორმა", — ველარ მოვასწარი, ხორემ ხელბურთისა და ფრენბურთის საკლასიფიკაციო ბილეთებიც მექნებოდა. მოკვიანებით, ადგილზე გამოგიზავნიო, მამაჩემმა.

— მთლად უკეოესი, ოღონდ შეატყობინე, ის ბილეთები მაინც შეავსონ სხვა ხელით, ესენი ერთი კაცის შევსებულია, ვინმეს ეჭვი არ შეეპაროს რამეში, — დაარიგა რეზომ, მერე დანარჩენებსაც შეეკითხა: — სხვებსაც ხომ არაფერი საბუთი აქვთ წამოღებული?!

— საბუთი არ მაქვს, მაგრამ ჩოგბურთის ვთამაშობდი განთიადში, — წამოიძახა უკანა რიგიდან ერთმა.

— სპორტსაზოგადოება განთიადში? — იკითხა კოპლატაძემ.

— არა, ხობის რაიონში, ჩვენს კოლმეურნეობას ჰქვია განთიადი.

— ეგ არაფერი, მამაშენს მისწერე, იმ ბილეთებთან ერთად ჩოგბურთელის საკლასიფიკაციო ბილეთიც გამოგიგზავნოს და ეთამაშე ბერაიას, სანამ უემბლდონის ტურნირზე მიგიწვევდნენ, — დაარიგეს კოპლატაძე.

— მამაჩემმა იარაღი იყიდა ერთი, — წამოიწყო ბერაიამ, იშვიათი რამეა, ლურსმანსაც ილებს, სახრახნისიცაა, ნაჯახის ნ გიერიც, მკვნეტარაც, ჩაქუჩიც და რა ვიცი, რა არ ეწერა ინსტრუქციაში, ერთი სიტყვით, ყველაფერს აკეთებდა ამასავით, — თავი კოპლატაძისკენ გადააქნია, — ჩვენ ვერაფერში გამოვიყენეთ ის იარაღი, სანამ არ გადააკეთა მამაჩემმა. ყველაფრის გადაკეთება ხომ არ შეიძლება?

ამასობაში კარიხელა გზა გაგვეელო. ლიხის უღელტეხილი დაწყებულიყო. ორი საათი სრულდებოდა. ნიემბრის მზე კი ანათებდა, მაგრამ ძალა აღარ ჰქონდა. ქარი, დილით ნელ-ნელა რომ ელაქუცებოდა ხეებს, უღელტეხილის მისადგომებთან ზოძლიერდა. მიყვარს ქარი... ნისლ-ბურანში გახვეულ მთის ამბავს ბარში ჩამოიტანს, ბარისას ხეში გადაჩეხს, ლაღად დათარეშობს და მუსიკის უბადლო ჯადოქრებსაც ეჯიბრება თავისი შტვენითა და მოთქმით. უკრავს თავის სიმფონიას ელექტრონისა და ტელეფონის მავთულებზე, ებრძვის მათ, სანამ არ დაიღლება, არ დაიქანცება. და თუ ვერაფერი მოუხერხა, თავს იკლავს ისევ იმავე მავთულებზე. ქარს პირადობის მოწმობა არა აქვს, არც სხვა რამე საბუთი, მაგრამ ვიცით რაცაა, რაც შეუძლია, მოსვლაც იცის, წასვლაც და ღმერთმა დაგვიფაროს, იმან გადარევა იცის...

კოპლატაძე ჩემკენ შემობრუნდა, ისე მომაჩერდა, თითქოს მიხვდა, რასაც ვფიქრობდი. თვალი ავარიდე, ისევ ქარის ფრთებზე „შემოეჯექი", ფიქრებიც მის ქროლვას ავაყოლე. დატრიალდა ქარბორბალა, მოკლეზე გადააჭრა და ჩემი სოფლის ცარგვალს შემრია. შეგეხარბებათ, ისე კარგად ჩანს ზემოდან ყველაფერი: სათემოს ეკლესია, დავით კლდიაშვილის სახლი, ბაბუას ვენახი და მთელი სიმონეთი. ლამაზი მთა, რატომღაც მოქცეულა რომ დაურქმევიათ, უფრო ლამაზი მომეჩვენა. აგერ თეთრამიწა ფერდობი, სასრიალოს რომ ვეძახდით. დავჯდებოდით ზემოთ და კისრიტეხით მივსრიალებდით „ღელიყურამდე", რამდენჯერ მივსულვარ სახლში გამოხეული შარვლით. ახლაც სრიალებენ ბავშვები. ზოგიერთები შეეიცანი კიდეც...

სოფლის გზაზე ლეოდინე შევნიშნე — რუსულის მასწავლებელი. სახლში ბრუნდება. უნებლიეთ საათს დავხედე. საქმის ნახევარი იყო, ბოლო გაკვეთილი ჩაატარა ალბათ და... წყაროსთან შეისვენა. როგორც ყოველთვის, წყურვილს მოიკლავს, მერე აუხვევს სახლისკენ.

— ჩემს ბუჭუკას გეფიცები! — შემომესმა სატუას ქერივის, მარიამის ხმა. სიზმარს უყვებოდა მეზობელს: — შემოვიდა კირილე, ღმერთმა გაანათლოს მისი სული და მითხრა: — შენი

ეაჟკაცი, ბუჭუკა, გზაშია და მალე... სულ მალეო... ჩემს მამამთილს, ხომ იცი, არ უყვარდა ტყუილი. — თვალებით მიაცივდა სატუას ქერივი ონოფრიას ცოლს.

ოცდაორი წლის წინათ წავიდა ომში ბუჭუკა. აღარ დაბრუნებულა, არც წერილი მიუღია მისგან მარიამს. მაინც ელოდა შვილს. ფანჯარასთან ჯდომა უყვარდა ოურმე ბუჭუკას. იქიდან მთელი სოფელი ხელისგულივით ჩანდა. წასვლის წინ დაუსურავს ფანჯარა, ჩემს ჩამოსვლამდე არ გააღოთო, დაუბარებია, მალე დავბრუნდებიო. მის მერე დაკარგა ძილი და მოსვენება სატუას ქვრივმა, ხანდახან თვალს თუ წაატყუებდა, ბუჭუკა ესიზმრებოდა... ლეოდინეს სიგოზი მორეკა ჩემმა ბიჭმა წუხელ სიზმარშიო, ჭოგრის შემოკერაზე სეტყვასავით ცვიოდა კაკლები, მიწაზე ყველა გერმანელებად იქცეოდა. კაი სიზმარია, გაიმარჯვა, დედუკები ენაცვალოს და მოდისო... — თვითონვე ინუგეშებდა თავს. ოცდაორი წელი გავიდა ამ ზმანებაში. ის ფანჯარა არ გაღებულა. ჩამოვა ბუჭუკა და თვითონ გააღებს, როგორც დამპირდაო.

დახურული ფანჯრიდან შევიხედე ოთახში. მოპირდაპირე კედლიდან ბუჭუკა მიყურებდა, ჩემი ტოლა ბუჭუკა.

— ჩიტუნა! — მომესმა ბებიას ხმა, — გეყურება?!

— რა იყო ბოშო! — შეეპასუხა ბაბუა.

— მოიტანე წყალი და ვისადილოთ, — იძახის ბუხართან მოფუსფუსე დომნიკა.

ბაბუა წყაროზე მიდის. მე ეზო-გარემოს ვათვალიერებ, ნეტა, ასე ლამაზია სხვა სოფლებიც? გასახმობად გამოფენილი პილპილის აცმა, კვახები, რჩეული მტევნების აკიდოები, ქარვისფერი ჯანჯუხები.

ბაბუა წყაროდან ამობრუნდა. ბებია ფაციფუცობს, სუფრას აწყობს, — მერე ჩაფიდან თუნგულაში ასხამს წყალს. ხელი გადააბანინა ჩიტუნას.

— ი ბიჭი დღეს მიდის ჯარში, — თქვა ბაბუამ.

— რას ამბობ! ზეგ მივდივარო, ასე არ თქვა?!

— ზეგ მივდივარო, გუშინწინ გვითხრა, დღესაა ის „ზეგ“.

— ღმერთო მომკალი, ხვალ მეგონა, გავაცილებ-თქვა, ვფიქრობდი...

ი ბიჭი მე ვარ, ვერ მამჩნევენ თუ არა, იქვე გვერდით ვდგავარ და ყველაფერი მესმის. მეც დავიბანე ხელი, როგორც ყოველთვის. ის იყო, მაგიდას უნდა მივჯდომოდით, ავტობუსის მუხრუჭებმა დაიღრჭიალა და გამოეფხიზლდი, რიკოთზე ავსულვართ. წინა ავტობუსიც გაჩერებულიყო, ეტყობოდა, აქ ვისადილებდით, ახლა არ შეეშალათ ხელი და...

— კარგი იყო, გარეთ გვესადილა, მაგრამ ქარი წაგვიღებს, — თქვა ბობკოვმა.

ისევ ავტობუსში მოვწესრიგდით, გადავაფარეთ გაზეთები და გაიშალა პურ-მარილი.

— ყველაფერი გვაქვს ჩიტის რძისა და ჭიშურაში რომ დაგვატოვებინეს, იმის გარდა, — თქვა რეზომ.

— ისიც გვაქვს! — წამოვიძახე და ზურგჩანთაში ჩავყვინთე. ყველა მომაჩერდა. ორი ლიმონათის ბოთლი და პაწაწინა არაყის ყანწი ამოვიღე.

— მართლა არაყი მეგონა, — თქვა იმედგაცრუებულმა ბერაიამ.

— არაყია, ბიჭებო! ბაბუაჩემის გამოხდილი, ჭაჭის არაყი. ამ ბოთლებს გარედან აწერია და ახატია ლიმონი, თუ არა... ვიცოდი ჩამოგვართმევდნენ, ამიტომაც წამოვიღე „ლიმონათად“.

— მოიტა! — წამოიძახა რეზომ, ბოთლი გამომტაცა და შეანჯღრია, — ფოცხვერს დაბამს, ისეთი ჯაჭვი აქვს, — თავსახური კბილებით მოხსნა

ბობკოვმა ბოთლი გამოართვა რეზოს, დაყნოსა, თავი გააქნია და თქვა:

— არა, ბიჩებო, არ შეიძლება.

— ამხანაგო ლეიტენანტო, სულ ორი ნახევარლიტრიანია, ოცდაათ-ოცდაათი გრამი შეგვხვდება, მაგრამ სადღეგრძელოს გვაოქმევინებს! — შევეხვეწე ბობკოვს.

— ეშმაკსაც წაუღიხართ, — ხელი ჩაიქნია და ბოთლი ისევ რეზოს დაუბრუნა.

რეზომ ყანწი გამივსო. მე ბობკოვს გავუწოდე, — „კუჩი მაცუხებსო“, — უარი მითხრა,

ისევ მე უნდა დამეწყო, მოკლედ მეთქვა და კარგად. ცოტას დავფიქრდები-მეთქი. დავფიქრდი და ყველაფერი ერთმანეთში აირია. ბიჭები მოეათვალიერე, მთლად დავიბენი. რაც მეტს ეფიქრობდი, უარესი იყო...

— ბიჭებო, ჩვენს სამშობლოს გაუმარჯოს და ჩვენს ძარღვებში რომ სისხლი დულს, იმას გაუმარჯოს! სამშობლოს საკეთილდღეოდ იტრიალოს სისხლმა და თუ საჭირო იქნა, ისევ სამშობლოსათვის დავღვაროთ, როგორც ამას ჩვენი წინაპრები აკეთებდნენ. — რაღაცის დამატებას ვაპირებდი კიდევ, — „გაიფუჭებ, ბაბუა!" — ჩამესმა თიქოს ჩიტუნას ხმა. „ყლუპ", და ლომის კურცხალს ჩემი კურცხალიც ჩავაყოლე.

ვინც ყანწი ჩაიგდო ხელში, ცდილობდა ლამაზი სადღეგრძელო ეთქვა.

კოპლატაძეს ზურგჩანთის მაგიერ პორტფელი წამოეღო, გახსნა და ანანასის კომპოტი ამოიღო, ყანწი მიაწოდეს, ძე ბოლოს ვიტყვიო და ფიქრებში ჩაიძირა, თან გოჭის ტვინს მიირთმევდა.

ლეიტენანტი აქამდე ჩუმად იყო, უსმენდა ბიჭებს და ყველაფერს უსინჯავდა გემოს, რასაც შიმშილის წამალი ერქვა. მერე ხელი ჩაიქნია და ყანწი მოთხოვა რეზოს. იმიდენა სადღეგრძელო თქვა, ლამის ყველას გადააჯობა.

კოპლატაძის რიგიც დადგა. ყანწი გაივსო და იკითხა:

— ყველამ შესვა?! მაშინ, გაუმარჯოს!... — და წავიდა კორიანტელი ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებისა, საქართველო, ცა, მიწა, ტრადიცია, პატრიოტიზმი, წინაპარი, ერთგულება, სინათლე, მზე, ვალი, კოლექტივი... კიდევ ვინ მოთელის, რაები აურ-დაურია, მოგვიძღვნა დასკვნითი სადღეგრძელო და გამოგვიცხადა:

— დალევით ვერ დაველევ, არ შეიძლება.

— მორიგედ ენიშნავ კოპლატაძეს! — ბრძანა ბობკოვმა სადილის შემდეგ.

— მერედა, რა მევალება? — იკითხა გახარებულმა კოპლატაძემ.

— ყველაფერს მიალაგებ, ქაღალდები და ნარჩენები სანაგვე ყუთში!

— მე ჩემი უკვე მივალაგე, — თქვა ნირწამხდარმა.

— კოპლატაძე! დაიხსომე, დღეიდან ჩემი და შენი აღარ არსებობს, არსებობს — „ჩვენი“ — და უნდა შეასრულო, რასაც დაგავალებენ. აბა, მაჩვენე, როგორ მიალაგე „შენი?“.

კოპლატაძემ ღია ფანჯარაზე მიუთითა, საიდანაც გაზეთში შეხვეული ნარჩენები გადაეყარა.

— აი, ყოჩაღ! წუთის წინ საქართველოს სადღეგრძელო მიჰქარგ-მოჰქარგე, უკვე პრაქტიკულადაც შედგომიხარ...

კოპლატაძე აირია, აღარ იცოდა, რა ექნა, მერე ბუზღუნით შეუდგა საქმეს.

სიმღერით გავაგრძელეთ გზა. ისმოდა არეული ხმები. ადვილად მიხვდებოდა კაცი, ერთი ანსამბლის წევრები რომ არ ვიყავით. არ გამოგვივიდა სიმღერა, თანდათანობით ჩაიღველფა. მალე მთელი ავტობუსი გაიტრუნა, ერთ უზარმაზარ ფიქრად გადაიქცა. ზოგმა წაუყვინთა. კოპლატაძის კმაყოფილი გამომეტყველება ამბობდა: კარგად გეახელით, საღამომდე არაფერი მინდაო.

მე ისევ „ქარს ძივენდე“, ამჯერად ქუთაისის ქარს. ქუთაისის ქარი სულ სხვაა, სულ სხვანაირად უბერავს. ამას წიხათ ქარების ლექსიკონი ჩამივარდა ხელში. ჯერ ის გამიკვირდა, ასეთი ლექსიკონი რომ არსებობს, მერე ასო „К“-ზე „Кутаисский ветер“-ო რომ ამოვიკითხე.

ჩემს უცნაურ ქალაქს ქარიც საკუთარი ჰქონია, განსხვავებული. პირველად ბაგრატის ტაძართან შევიქროლე. ჟამთააღმწერელივით შემომეგება შუა საუკუნეები. ეტრიალებდი ტაძარში და ვუყურებდი ჩამონგრეულ გუმბათზემოთ მოწმენდილ ცას. არც ერთი კარი აღარ შერჩენია, მტერს რომ ჩაურაზო, მოყვარეს გაულო. გამჭოლი ქარი დაძრწის დიდი ხანია ხავსიან კედლებში. ნეტა მერამდენე ზამთარს ხვდება ასე თავ-შიშველი, დაგლეჯილი პერანგით?.. უნებლიედ ის ქვა გამახსენდა, არაყის ცრემლებად ატირებული ქვა, ყვირილაში რომ დაიხრჩო თავი. ტაძრის კედლიდან ჩიტი აფრინდა. შურდულივით გავარდა. თვალი მომტაცა. თითქოს გელათის მონასტრისკენ მიაშურა. ერთი მტკაველი მომეჩვენა ეს მანძილი. მალე ათი საუკუნე გახდება, ასე დგანან ერთმანეთის პირისპირ, ასე ქუდ-

მოხდილი ესალმება ჯვარგუმბათოვან სალოცავს ქუთაისიდან ბაგრატის ტაძარი.

ნახვამდის!..

გალახულივით დავეშვი ზემოდან. ნაკადულის გზას დავადექი, გავძვერ-გამოვძვერი და რიონის ნაპირას აღმოვჩნდი. ნახვამდის, ჩემო სანატრელო. ქართველი ხარ შენი კალაპოტიან-პასპორტიანად, ასე რომ არ იყოს, ქუთაისს ვინ გაგაყოფიებდა ორად. შენი იმედი რომ არ გვქონდეს, ვინ გაგიშვებდა ფოთში. ვიცი, არ გინდა ქუთაისიდან წასვლა, სულ თეთრ ქვებზე უხათქუნებ თავს, მაგრამ ძალა აღმართს ხნავს. მიდიხარ შენი გზით, სადაც გაივლი, ყველგან სინათლეს ტოვებ. თეთრ ხიდთან მობანავე ბიჭებში ლაზღანდარობას არაფერი გირჩევნია. თითქოს შეჩერდები კიდეც, აბანოს თავიდან ვადმომხტარ ბიჭს ჩაიხუტებ და ისევ შენს გზას აგრძელებ. ბოლოს, თეთრ ქვებზე ნახათქუნებ თავს შავ ზღვაში „იხრჩობ“.

ნახვამდის, ჩემო სანატრელო!

ბალახვანში ჩვენებთან შევიქროლე. აღარ მახსოვს, როგორ დავტოვე იქაურობა. მეზობლის ბიჭები სკოლიდან ბრუნდებიან, როინას ბებია სახლის წინ, სახელდახელოდ გაკეთებულ სკამზე ჩამომჯდარა, წინდებს ქსოვს, თან თვალს ადევნებს, რა ხდება ირგვლივ. დედაჩემი ეზოს ხვეტავს (ნოემბერში ხეებს ფოთოლი ცვივა). ხვეტავს ეზოს, მაგრამ ფიქრით სადღაც სხვაგანაა. ნეტა ვიცოდე, რაზე ფიქრობს? არაფერი იჯავრო, სამი წელი თვალსა და ხელშუა გაფრინდება, მალე დაებრუნდები.

ნახვამდის, დედა!

მშენებლობასაც დავხედე, სადაც ვმუშაობდი. ოსტატს ერთი აგური მივაწოდე.

არ მოიწყინო, ოსტატო!..

საფიჩხიაზე მივიხედ-მოვიხედე. მეტი დრო აღარ მქონდა, გამოვუდექი ავტობუსს, გორში დავეწიე ბიჭებს.

ჩემს ადგილზე, ავტობუსში დედაჩემი დამხვდა. ეზოსაც ხვეტავს და ჩემთანაცაა, აგერ, თბილისამდე ჩაგაცილებ, მერე

იქაც გამოგყვები, დაგაბინავებ საიმედოდ და გამოვბრუნდები უკანო. ვიცი, ტყუის, მაინც ჩემთან დარჩება.

მთელემარე ავტობუსი თანდათან გამოფხიზლდა. ყველა ალაპარაკდა.

— ამხანაგო ლეიტენანტო, რამდენი წლისა ხართ?! — ვეკითხები ბობკოვს.

— ოცდარვისა.

— ომიანობის წლები გემახსოვრებათ.

— მემახსოვრება რომელია, პირდაპირ ომის ხახაში მოვხვდი და სანამ იქიდან თავს დავაღწევდი, ჯოჯოხეთში გამოვიარე. იცი, რ: არის ჯოჯოხეთი? — მკითხა და მიმაჩერდა.

— არა, საიდან.

— ნეტა არც მე მცოდნოდა, — ამოიხვნეშა ლეიტენანტმა, თავი ჩაჰკიდა, მერე ფანჯარაში გზის მეორე ნაპირს მიადევნა თვალი, ქანდაკებას დაემსგავსა, თითქოს სუნთქვაც შეწყვიტა.

— ჯოჯოხეთში ხუთი წლისა მოვხვდი, — ალაპარაკდა „ქანდაკება", — კურსკში ვცხოვრობდით. რა დამავიწყებს იმ დღეს, ენაჩავარდნილ, შეგროვილ ხალხს. რადიოს ხმა ისმოდა მხოლოდ, ის ხმა ახლაც მაქვს ყურებში. პატარა ვიყავი, მაინც მიეხვდი: შიშით შებოჭილებს, რაღაც, ყველაფერზე საშინელი რამ გააგებინა რადიომ.

სილაში თამაშს თავი მივანებე, მშობლებს დავუწყე ძებნა... იმ არეულობაში როგორ ვიპოვიდი... ავღრიალდი. ყური არავინ მათხოვა, ყველას თავისი ფიქრი და დარდუბალა შემოსწოლოდა, ტირილს ვუმატე. საიდანღაც მამაჩემი მოვარდა, ხელში ამიტაცა, ჩამიხუტა, ისე მიმიყვანა სახლამდე. ჩემს ტოლა გოგო-ბიჭებს თავმომწონედ და ამაყად ვუყურებდი, შემომხედეთ, როგორი ძლიერი მამა მყავს, ლამაზი, ახოვანი-მეთქი. ახლაც მახსოვს მისი უბის სითბო, მისი ომახიანი ხმა. მამაჩემი ყველაზე ღონიერი მეგონა მაშინ. სხვა დროსაც ავუყვანივარ ხელში, მაგრამ... იმ დღეს რა დამავიწყებს!..

მერე ის მახსოვს: მამა გავაცილეთ, ზღვა ხალხი ირეოდა. გამცილებელთა ქვითინი ისმოდა ირგვლივ. ქვითინებდა დედაჩემიც. ზარს შემოჰკრეს. ეს თურმე მამაჩემთან დაცილების ნიშანი იყო. აჩოჩქოლდა ხალხი. ქვითინი ზლუქუნში გადაი-

ზარდა. დედ-მამას ცოტა ხნით ჩემი არსებობა დაავიწყდა. ვიდექი სხვისი შვილივით და ვერ გამეგო, რა აწუხებდა ამ ხალხს. ომი დაიწყოო, იმ დღეს მოვკარი ყური და მაშინვე ყველაფერი შეიცვალა.

მამამ ხელში ამიტაცა, მაკოცა, ჩემი ვაჟკაციო, თქვა, კიდევ მაკოცა სამჯერ, თავს გაუფრთხილდითო, — დაგვიბარა, დაძრული ვაგონის კიბეზე შეხტა და...

მატარებელი ნელ-ნელა მიიზლაზნებოდა, თანდათან უმატა სიჩქარეს. ბოლო ვაგონზე წითელი ნათურა ენთო. ხალხი ამ ნათურას მისჩერებოდა, ბოლოს ყველას იმედად აშუქებდა. ნათურა თანდათან დაპატარავდა, ბოლოს „ყველას იმედი" წერტილად გადაიქცა. წერტილი რაა, მაგრამ იმედია მაინც, ეს წერტილიც გაქრა და... ხალხი უხმოდ გაიკრიფა.

— მამა სად წავიდა? — ვკითხე დედას.

— ომში!

— როდის დაბრუნდება?

— არ ვიცი.

— იქ რა უნდა აკეთოს?

— უნდა იბრძოლოს.

— რატომ?

— დამანებე, შვილო, თავი! — ამოიოხრა დედამ.

გავიტრუნე, ჩემს შეკითხვას პირველად უპასუხეს ცივად. ნეტა რა მოხდა? მამა სხვა დროსაც წასულა ასე, ზურგჩანთით. დედა მეუბნებოდა, სათევზაოდაა, მალე დაბრუნდებაო, ახლა ომშია, უნდა იბრძოლოსო; იბრძოლებს კიდეც. მასი შომრეკი ვინ იქნება, „მამაჩემი ლინიერია, ყოფას უტირებს ყველას და უკან დაბრუნდება". ბოლო სიტყვები ხმამაღლა ვთქვი. დედამ თავზე გადამისვა ხელი და ისევ ამოიოხრა.

იმ დღიდან მოყოლებული დაზაფრული უსმენდა ხალხი რადიოს, ეტყობოდა, ცუდად მიდიოდა საქმე.

ერთ დღეს დედამ პატარა ფუთაში რაღაც-რაღაცეები შეახვია, ხელი მტაცა, ძირს ჩამარბენინა. ქუჩაში ხალხის ტალღას შევეერთდით. ყველა ჩქარობდა. უმეტესად მოხუცები, ქალები და ბავშვები იყვნენ. მივდიოდით და მივდიოდით. გზის დასასრული არ ჩანდა. დავიღალეთ, მაინც მივდიოდით. სიარუ-

ლი ველარ შევძელი, ხელში ამიყვანა დედამ. შევატყვე, დედაც დაიღალა, ფეხებს ძლივს მიათრევდა. — ჩამიშვი-მეთქი, — შემეცოდა. არ შემეძლო, თორემ მეც ავიყვანდი ხელში და ვატარებდი ასე, სანამ არ მეტყოდა: დამსვი, ჩემო ბიჭო, უკვე საშშვიდობოს ვართო.

რამდენიმე ასეულ მეტრზე მიიზლაზნებოდა ლტოლვილთა კოლონა, გეგონებოდათ, გზა გაცოცხლდა, ფეხი აიდგა და თვითონვე მიდის თავისი გზითო. ამ დროს გაისმა ვიღაცის შეშზარავი ხმა:

— ჰაერი! ჰაერი!..

— ყველაფერი აირია: წვიმა-კვიმა, ღრიალი, ბავშვების ტირილი, ამას თვითმფრინავების ღმუილი შეუერთდა, ღმუილს ვინ დაეძებს, რაც ღმუილს მოჰყვა, სწორედ იმას ჰქვია ჯოჯოხეთი. ჯოჯოხეთი რამდენიმე წუთს გაგრძელდა, ბევრისთვის იქვე დასრულდა. ჩემთვის დღესაც გრძელდება. ღედამ ხელში ამიტაცა, გულში ჩამიკრა, ტყისკენ გამაქანა, რაღაცას ფეხი წამოჰკრა, წაიქცა და ველარ წამოდგა. მე გადამეფარა, „არ გაინძრეო", იმეორებდა, აცახცახებული, მერე ერთი ძალუმად შეტოკდა და მთელი სხეულით დამაწვა. აღარ მაფრთხილებდა, არ გაინძრეო და უფრო და უფრო ვგრძნობდი მის სიმძიმეს. მეტის მოთმენა ველარ შევძელი. ვიწვიღე, რაც შემეძლო. ვიღაც ქალი მომეშველა, დედაჩემი გულაღმა დააწვინა. მისი ღიად დარჩენილი, ცისფერი თვალები თითქოს რაღაცას მისჩერებოდა. შიში იყო იმ თვალებში ჩაბუდებული, შიში და სიკვდილი. რამხელა თვალები ჰქონია სიკვდილს. დედას გულში ჩავესკვენი, ტირილით ვეხვეწებოდი: — ადექი, წავიდეთ აქედან-მეთქი, არ მახსოვს, რამდენ ხანს ვეხვეწე, ბოლოს იმ ქალმა ძალით მომწყვიტა დედის მკერდს. ბედნიერია დედაშენიო, ცრემლად იღვრებოდა ახალგაზრდა ქალი.. ცალ ხელში ჩვილი ბავშვი ეჭირა, მეორეთი მე მექაჩებოდა, — წავიდეთო. დედაჩემის ხელჩანთა აიღო, კისერზე ჩამომაცვა და ძალისძალად წამიყვანა. სულ უკან-უკან ვიხედებოდი, ან აგერ წამომეწევა დედა, ან აგერ-მეთქი, მაგრამ არა, — მისი თვალები წამომყვა მხოლოდ. დიდრონი, ცისფერი თვალები, შიში და სიკვდილი რომ იყო შიგ ჩაბუ-

ლებული, — ბობკოვმა ამოიხვნეშა, — ყველაფერს ვერც მოპყვება კაცი, — ისევ ქანდაკებას დაემსგავსა.

ლეიტენანტი აღარ ‘ჰგავდა „კრამაროვს“.

ხუთი წლის ბიჭებს რამდენჯერ გვითამაშია ომობანა. ხუთი წლის ბობკოვს უკვე აღარ ეცალა სათამაშოდ, უკვე იცოდა, ომიდან შეიძლება ველარ დაბრუნდე, ომის დროს სიკვდილმა შეიძლება ყველგან მოგაგნოს.

— იმ ქალს, მე რომ წამოვიყვანა, გვერდიდან არ მოეცალებივარ. ირჯერ გამოსტაცა ჩემი თავი სიკვდილს, — განაგრძო ბობკოვმა, — ახლაც ერთად ვცხოვრობთ. ორმოცდაჩვიდმეტი წლის ქალია პოლინა ვასილის ასული. შესაშური დედა-შვილობა გვაქვს. ანატოლი მაქსიმეს ძე, — პოლინას მეუღლე, ომიდან კონტუზირებული დაბრუნდა, კარგი კაცი იყო. ორი წლის წინათ დავასაფლავეთ. მზრუნველობას არც ის მაკლებდა.

პოლინა ვასილიევნამ დედის მკერდიდან რომ ამაგლიჯა, თავისი ჩვილი მკვდარი ‘ყოლია. ევაკუირებამდე ფილტვების ანთებით გახდომია ავად, ხელში ჩაკვდომია. იმ დღეს დამერქვა ვალოდია, გარდაცვლილი ბავშვის სახელი. მანამ, მახსოვს, ვასიას მეძახდნენ. გვარი საკუთარი დამრჩა, დედისეულ ხელსანთაში საბუთები ვიპოვეთ, ჩემი დაბადების მოწმობა და დედის პასპორტი. მამაჩემის ასავალ-დასავალს ველარ მივაკვლიეთ. არაფერი ვიცი, არც ნაწილი, არც საბრძოლო გზის დასაწყისი. სახელი და მამის სახელი დედაჩემის ‘პასპორტის საშუალებით გავიგე, — პარამონ ნიკიტას ძე ბობკოვი, მკვდარია თუ ცოცხალი, არაფერი ვიცი.

ლეიტენანტი წამოდგა, უკანა კართან გადაჯდა, თამბაქო გააბოლა.

— სადა ვართ? — იკითხა ‘ვილაცამ.

— მცხეთაში შევდივართ, — თქვა კოპლატაძემ, მერე ლამაზი შენობისკენ გაგვახედა, — პირველი კლასის რესტორანია, თბილისელები აქ ჩამოდიან საქეიფოდ, მებუფეტე რაჭველი კაცია, კარგად ვიცნობ. აი, იქ, იმისთანა ქაბაბს ‘აკეთებენ, თითებს მიატან, — ახლა მეორე მხარეს გაახედა ბიჭები, — გვერდით სახინკლეა...

— ეე რა ნაგებობაა, თუ იცი? — ჰკითხა რეზომ და სვეტიცსოელის ტაძარი დაანახა.

— ეს? ეს ეკლესიაა, — არ დაიბნა კოპლატაძე.

— რომელი ეკლესია?

— რომელი და ჭრელი, ეკლესია ეკლესიაა.

— „დიდოსტატის მარჯვენა თუ წაგიკითხავს? — არ მოეშვა რეზო.

— დიდოსტატის არც მარჯვენა წამიკითხავს და არც მარცხენა.

— ეე რომ წაგეკითხა, სხვა რამეზე ილაპარაკებდი!

3

ხუთი საათი სრულდებოდა, გამანაწილებელ პუნქტში რომ მიგვიყვანეს. ბობკოვმა ჩვენი საბუთები ტანმაღალ კაპიტანს გადააბარა. მან სია ამოიკითხა.

— აქ დამიცადეთ, ამ წუთში დაგბრუნდები, — გვითხრა კაპიტანმა და კიბე აირბინა.

— აბა, კეთილი გზა! — დაგვემშვიდობა ბობკოვი. მე და რეზოს ხელი ჩამოგვართვა და წავიდა.

ჭიშკართან დავეწიე:

— ამხანაგო ლეიტენანტო! თქვენი მისამართი თუ შეიძლება, წერილებს მოგწერთ.

ბობკოვს გაეცინა.

— სიამოვნებით გიპასუხებ, — მისამართი ჩამაწერინა და კიდევ ერთხელ ჩამომართვა ხელი.

— შეხედეთ, — ჩაიქირჩიქა კოპლატაძემ, — ჩვენი ყოფილი უფროსობა ემშვიდობება ერთმანეთს.

არავინ გამოხმაურებია. იუხერხულა, ჯერ აქეთ მიდგა, მერე იქით, თითქოს ვიღაცას ეძებსო.

ამასობაში კაპიტანი დაბრუნდა. დიდ ყაზარმაში შეგვიძღვა, ერთი კუთხე გვიჩვენა, „აქედან აქამდე დაიკავებთო“ — გვითხრა. ეს გახლდათ ფიცრით შეჭედილი, გრძელი ტახტი, რომელიც ყაზარმის კედელს თავიდან ბოლომდე გასდევდა ორ წყებად.

— ღამეს ამ ფიცრებზე გავათევთ? — იკითხა კოპლატაძემ.

— .დიახ, ლუდოვიკოს დროინდელი საძინებლის გასაღები ოაგვეკარგა, — მოუბოდიშა კაპიტანმა და გარეთ გადმოფენილი ჰალსტუხი პიჯაკს შიგნით ჩაუტნია.

— ამხანაგო კაპიტანო! სერგო თუ მუშაობს, სერგო... ჯიბიდან ორად გაკეცილი ქაღალდი ამოიღო, — სერგო კოპლატაძე.

— არ ვიცი, არ ვიცნობ, — უპასუხა კაპიტანმა.

— წერილი მაქვს მასთან და...

— არ ვიცი! მეორე სართულზე ოცდაშვიდ ნომერში იკითხე.

კოპლატაძე ნახევარი საათის შემდეგ დაბრუნდა. ვერ იყო ხასიათზე.

— რა ცხვირ-პირი ჩამოგტირის, ბიჭო, ხომ მშვიდობაა? — ჰკითხა მურთაზ მახარაძემ, რომელსაც თვალებში ეშმაკები ჩასახლებოდა.

— სერგო პენსიაზე გაუშვიათ, ტელეფონი მომცეს, სახლში დარეკეო, პენსიაზე გასული კაცის გაკეთებული საქმის დედა ვატირე!..

— მაინც, რა საქმე უნდა გაეკეთებინა შენს სერგოს? — იკითხა რეზომ.

— რა და, სადმე, კარგ ადგილზე გამიშვებდა. თქვენ შეიძლება დილა-საღამოს თეთრ დათვებს მიესალმოთ, მე კი რომელიმე სპორტდარბაზში გამამწესებენ, თბილ ადგილზე.

— რაღა გეშველება!

— არაფერია, მეორეს მოვსინჯავ, — სერგოს წერილი დაანაკუწა, ჯიბიდან მეორე წერილი ამოიღო, ახლა იოსებ ბობოხიძის ძებნა დაიწყო. ამჯერად გახარებული დაბრუნდა, პორტფელი წაიღო, იოსებთან მიეღივარო, დაიბარა და წავიდა.

პირველი ღამე გავათიე ასეთ საწოლზე. თაქვეშ ზურგნასთა მედო. დაღლილი ვიყავი და მაინც ტკბილად მიმეძინა. დილით გვერდები მტკიოდა. ხის ტახტს შეჩვევა უნდა. ბიჭებმაც გაიღვიძეს, სიცივისგან ვკანკალებდით.

— ცოტა სირბილი, ცოტა ვარჯიში და გაგვიელის, — თქვა დანელიამ.

მაღალი იყო დანელია, მაღალი და სუსტი. საცივეს ძლიერ შეეწუხებინა, კბილს კბილზე აცემინებდა, ადგილზე ტლინკაობდა, ჭიშურაში დაღვრილი არაყიც გაისსენა, ას-ასი გრამი მოგვნათლავდაო.

სამი წრე დავარტყით ყაზარმებს. პატარა წავივარჯიშეთ და მოვითქვით სული.

ცხრა საათზე კოპლატაძე დაგვიბრუნდა, ვილაც დარბაისელ კაცს ახლდა. არც მოგვსალმებია, ეტყობოდა, კარაქიანი პური და მურაბიანი ჩაი ჰქონდა მირთმეული. ხან ერთი ოთახის კარი შეაღო იმ კაცმა, ხან მეორესი. ათ საათზე მოვიდა, ვილაცაზე უთხრეს ხოლოს.

„ესაა ალბათ იოსები", — გავიფიქრე, თვალს არ ვაცილებდი უცნობს, ხელები ზურგს უკან რომ შემოეწყო და ბოლთას სცემდა შეკრეჭილი ბუსენარის გასწვრივ. კოპლატაძე ადიუტანტივით დააცილებდა აქეთ-იქით. მობრუნდა უცებ ბატონი იოსები და აჩქარებული ნაბიჯით საპირფარეშოსკენ გაემართა. კოპლატაძეც აედევნა, ერთხანს ფეხსალაგის წინ იწრიალა, მერე ალბათ, ხათრი ვეღარ გაუტეხა და შიგ შეყვა. უკანვე გამობრუნდა, პორტფელი ხელ შებეჭილ ტოტზე ჩამოკიდა, ისევ შეაღო საპირფარეშოს კარი. იქიდან კმაყოფილი გამოვიდა. კარგა ხანს იცადა, მერე პორტფელი ისევ ხეზე ჩამოკიდა და ამბის გასაგებად შეაკითხა იოსებს. ამჯერად მალე გამოვიდნენ. იოსებსაც კმაყოფილი გამომეტყველება ჰქონდა.

ათ საათზე „ის" კაცი ნახეს. რაღაც ისაუბრეს. თავი დააქნია იმ კაცმა. იოსები დაემშვიდობა კოპლატაძეს, ხელი ჩამოართვა და წავიდა.

ჭიშკრამდე მიაცილა კოპლატაძემ. ჭიშკრის იქით აღარ გადაუშვეს და მობრუნდა უკან.

— სულ მეფხანება ხელები მაგის გასალახავად, — თქვა დანელიამ.

— რაო, იმ კაცს კუჭი ხომ არ ჰქონდა აშლილი? — ჰკითხა კოპლატაძეს, როცა ის მოგვიახლოვდა.

— იმ კაცს ყველაფერი რიგზე აქვს. გაკვაჭა საქმე. უკვე ვიცი, სადაც წამიყვანენ.

— მაინც სად?

— სამხედრო საიდუმლოებაა.

— მაგრად შეინახე. არა, მეფხანება ხელები და რა ვქნა! — ისევ წამოიყვირა დანელიამ.

კოპლატაძე აზრზე არ იყო, რატომ ეფხანებოდა ხელები დანელიას.

— მოხერხება არ უნდა? ფეხსალახში გააკეთა ამხელა საქმე, ჭიშკარს იქით რომ გადაეშვაო, მაშინ გენახათ თქვენ! — ენასაც იფხანდა დანელია.

4

ოორმეტი საათისთვის ორ რიგად მოგვაწყვეს. ჩვენს კაპიტანს ცისფერსამხრეებიანი მაიორი ახლდა.

— ამ წუთიდან თქვენი უფროსი იქნება მაიორი ლუკიანჩენკო! — გამოგვიცხადა კაპიტანმა.

ლუკიანჩენკოს ჰუსარივით აწკეპილი ულვაშები ჰქონდა. წარმოსადეგი ოფიცერი სამხედრო ტანსაცმელში ისე კოხტად იყო გამოწყობილი, გრეკოვის დახატული გეეონებიდან.

კაპიტანი წავიდა, ლუკიანჩენკომ შეგვათვალიერა, სია ამოიკითხა. ჩვენი თანამგზავრებიდან სიაში მხოლოდ ათნილა მოვხვდით. დანარჩენები სხვაგან გადაანაწილეს. მაიორის განკარგულებაში სულ ოცდაჩვიდმეტი ახალწვეული იყო. მე და რეზო აქაც ერთად დავრჩით. ნაცნობი ბიჭებიდან ჩვენთან მოდიოდნენ: ჯავახაძე, ბერაია, კოპლატაძე, დანელია, მახარაძე, გორგოძე, გვეტაძე და კიდევ ოთხი ქუთაისელი. დანარჩენები დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა რაიონიდან იყვნენ.

— კი მაგრამ, მე არც ფეხსალაგში შევსულვარ, არც საბუთი მაქვს რამე, რაფერაა, შენთან რომ მოვხვდი? — იკითხა გაკვირვებულმა დანელიამ და კოპლატაძეს უკანალზე უჩქმიტა. კოპლატაძემ მხრები აიჩეჩა. თვითონაც უკვირდა.

ორ საათზე ჩვენი ეშელონი მზად იყო გასასვლელად. ვაგონის ფანჯრებთან ვიყავით შეჩუჩხულნი. უცებ დაბარბაცდა თბილისის ვაგზალი, ბერე ნელ-ნელა წასრიალდა უკანა ვაგონებისკენ. ყველაფერს, რაც ფანჯრიდან ჩანდა, თითქოს

ფეხი აედგა და უკან გაქცეულ ვაგზლის შენობას ასდევნებოდა. მალე მთაწმინდა, ქართველის დედა, ნარიყალა... მიეფარა თვალს და...

ნახვამდის, თბილისო!!!

„ნეტავ სად არი კიდევ ცა!"... — წამოიწყო რეზომ...

„თბილისოოო!.." — ავყევით დანარჩენები.

მეორე სტროფის სოლო ნაწილი ლუკიანჩენკომ ჩამოართვა რეზოს, ტექსტს რუსულად მღეროდა, შვენოდა ყველაფერი, იფიქრებდი, ნახატი ამღერდაო.

სიმღერის შემდეგ მაიორი თითქოს ჩარჩოდან გადმოვიდა, მოგვიახლოვდა. ყველანი ერთად შეეგროვდით. ერთმანეთის გულისცემა გეესმოდა. დღეიდან ერთმანეთის პატრონები ვიქნებით. ჩვენი საერთო პატრონიც აქაა — ლუკიანჩენკო.

მაიორმა ჯერ დღის წესრიგი წაგვიკითხა, შემდეგ ჩვენი უფლება-მოვალეობა გაგვაცნო, ბოლოს გვითხრა: „კომკავშირის მდივანი ავირჩიოთო".

— რად უნდა ირჩევა, არჩეულია და ესაა! — წამოიძახა დანელიამ.

კომკავშირის მდივნად ისევ მე დამტოვეს.

— ახლა ავირჩიოთ მამასახლისი...

— მე ვიქნები! — შეაწყვეტინა კოპლატაძემ.

— რატომაც არა! გვარი?

— კოპლატაძე, ამხანაგო მაიორი.

მაიორმა ქაღალდზე დაბეჭდილი დღის წესრიგი გადმომცა, — ვაგონში გააკარით, კოპლატაძეს მორიგეობის სიის შედგენა დაავალა.

დღის წესრიგი ეკუთვნის:

6 ს. — ადგომა;

6—8 ს. — ტუალეტი;

8—9 ს. — საუზმე;

9—13 ს — თავისუფალი დრო;

13—14 ს. — სადილი;

14—19 ს. — თავისუფალი დრო;

19—20 ს. — ვახშამი;

20—22 ს. — თავისუფალი დრო;

22 ს. — გასაყრისი.

ბიჭები დღის წესრიგს გაეცვნენ. დილის ექვს საათზე ადგომა ყველას ემწუთხა.

— საბავშვო ბაღის მერე ამდენი თავისუფალი დრო არ მქონია, ჯარი კი არა, სამოთხე ყოფილა, — თქვა ბერაიამ, საათს დახედა, — თუ არ ვცდები, განრიგის მიხედვით ახლაც თავისუფალი დრო გვაქვს; წამოგორდა ზედა საწოლზე, ამოიდო თავქვეშ ხელები და ჭერზე, ნათურის გვერდით, ჰაერგამნიავებელი ნახვრეტების თვლა დაიწყო. დანელია ფანჯარაში იყურებოდა, თან ვაგონის კედელზე რიტმულად უბრახუნებდა ხელებს, რეზო დღიურის პირველ ფურცელს ავსებდა. ყველა თავისებურად იყენებდა თავისუფალ დროს.

ვაგონის გამცილებელმა ბიჭებს ლეიბები დაურიგა. სულ ბოლოს ჭიათურელმა სხირტლაძემ მიაკითხა.

— იცდათოთხმეტი გავეცი, მეტი არა მაქვს, — უარი უთხრა გამცილებელმა.

— ყველამ დაირიგეთ და მე არ მინდა მატრასაი?! — აჭუჭყუნდა ჭიათურელი.

— მიდი მაიორთან და უთხარი, — დაარიგა ბერაიამ.

— მერე, სადა აქვს იმას მატრასაი!

— რაღაცას მაინც მოგიხერხებს.

— აქანა კი არა, სახლში ვერაფერს ვაგნებდი, რა მეშველება! — უმატა ჭუჭყუნს სხირტლაძემ.

— წამოდი, მე ვეტყვი მაიორს, — ხელი მოჰხვია დანელიამ. სხირტლაძე ობოლივით გაჰყვა.

— რაშია საქმე? — იკითხა ლუკიანჩენკომ, რომელიც რეზოს ჭადრაკს ეთამაშებოდა.

— მატრასაი არ მაქ, მატრასაი მინდა მე, — თითქმის ტირილით მოახსენა ჭიათურელმა.

— გვარი?

— სხირტლაძე, ამხანაგო მაიორო! მატრასაი მინდა, მატრასაი, — ფინიასავით შეუყეფა ისევ.

— რაო, რას თხოულობს?! — იკითხა მაიორმა და დანელიას გადახედა, იქნებ ამან ამიხსნას სხირტლაძის სატკივარიო.

— გამცილებელმა ყველას დაურიგა ლეიბები, სხირტლაძე ლეიბის გარეშე დარჩა...

— რაო? — ისევ რუსულად იკითხა მაიორმა.

— ბიჭო, ეგი ყრუა თუ არ იცის ქართული?! — ჰკითხა დანელიამ რეზოს.

— ქართული საიდან ეცოდინება.

— აბა, მე და ლუკიანჩენკო ვერ ვისაუბრებთ?

— ისაუბრებთ, მაგრამ ვერ გაუგებთ ერთმანეთს.

პირლია დარჩენილი სხირტლაძე ხან რეზოს მისჩერებოდა, ხან მაიორს, ხანაც დანელიას.

— რაიო, არ მაქ მატრასაიო?

— ჯერ რუსული უნდა ვისწავლოთო.

— მე რომ რუსულს ვისწავლი, რაღათ მინდა მატრასაი.

ბოლოს რეზომ აუხსნა მაიორს, რაც სხირტლაძეს აწუხებდა.

— ამ მაღალს რა უნდა?

— ამას სხირტლაძე ეცოდება და მის დახმარებას ცდილობს.

მაიორი სიცილს ძლივს იკავებდა, წამოდგა.

— ახლავე გავარკვევო რაშია საქმე.

— გამცლებელთან შევიდა, მერე სხირტლაძეს უთხრა, — ყველა დაურიგებიაო...

— რაიო, ბიჭო, არ არი მატრასაიო?! — რეზოს ჩაეკითხა სხირტლაძე.

— რაღაცას მოგიხერხებო.

— მაგი რას მომიხერხებს, მამაჩემმა ვერაფერი მომიხერხა მე.

მაიორმა კოპლატაძეს მოუხმო და დაავალა, მორიგეებთან ერთად ვაგონი ჩამოევლო, დაეძებნა, ხომ არსად იყო მიგდებული ზედმეტი ლეიბი.

— მორიგეები გორგოძე და დანელია ჩემთან! — ისე ბრძანა კოპლატაძემ, თითქოს ლეიბის კი არა, ახალი ქვეყნის აღმოსაჩენად მიდისო.

მეოთხე კუპეში, ზედა საწოლზე დანელიამ ზეწარი გადასწია და წამოენთო: ზეწარს ქვეშ ორი ლეიბი ეგო.

— ვისია ეს საწოლი! — იყვირა გაბრაზებულმა.

— ვისია ეს საწოლი? — წამოიძახა სახეაჭარხალებულმა კოპლატაძემაც.

— ვისია და შენია, ამხანაგო კოპლატაძე, — ნახერეტების თვლას დროებით თავი მიანება ბერაიამ.

— ჩემი?! — გაუკვირდა კოპლატაძეს, — მე ერთი დავაგე და...

— ვხედავთ, რამდენიც დააგე, — კბილებში გამოსცრა დანელიამ, — არა, მეფხანება ხელები და მოვიფხან კიდეც.

ამჯერად მიუხვდა კოპლატაძე.

— რაღაც ხშირად გეფხანება ხელები, რატომ?

— შენისთანა პითეკანთროპის დანახვაზე, — მიახალა დანელიამ.

კოპლატაძე ვერ მიხვდა, რა უწოდეს, ის კი იაზრა, პითეკანთროპი რაღაც მაჯლაჯუნას თუ ჰქვიაო.

— აბა, აბა, ენა დაიმოკლე, თორემ მაიორს მოვახსენებ!

— მოახსენე მერე... — დანელიამ თითებგაჩაჩხული მარჯვენა ნერვიულად ჩამოუსვა კოპლატაძის პირისახეს, ჰალსტუხი ჩაბღუჯა და ისე მოჰქაჩა, თითქოს კისრიანად უნდა ჩამოგლიჯოსო. ძლივს გააშვებინეს ხელი.

კოპლატაძემ გაფუყული ჰალსტუხით მიირბინა მაიორთან.

— ამხანაგო მაიორო, — კვლავ შეაწყვეტინა ჭადრაკის თამაში ლუკიანჩენკოს, — დანელია ხელით შემეხო!

— აქეთ მეფე მყავს დასაცავი, იქით კოპლატაძე, — ჩაილაპარაკა მაიორმა, — დაუძახეთ დანელიას!

დანელია მივიდა.

— მომახსენე, რაშია საქმე? — იკითხა ლუკიანჩენკომ.

— რაშია და ამ ბედოვლათს, თავისი ჰალსტუხით მივახრჩობ და გავათავისუფლებ ქვეყანას.

— დანელია! — ხმას აუწია ლუკიანჩენკომ, — კოპლატაძე დანიშნულია თქვენს უფროსად და სანამ არ გადაურჩევიათ, მისი სიტყვა კანონია თქვენთვის.

— რაო, ბიჭო?! — რეზოს მიაჩერდა დანელია.

რეზომ გადაუქართულა.

— მიტომაა კარგად საქმე, მაგი რიმაა უფროსი.

— დანელია, ერთი რიგგარეშე მორიგეობა! — თქვა ლუკიანჩენკომ და ეტლი .ააფარა მეფეს.

— წააგებ მასე! — ჩაიცინა დანელიამ, ეტლი უკანვე დააბრუნა და მეფე პაიკს ამოაფარა.

მაიორს გაელიმა, სწორი ხარო, ჩაილაპარაკა.

— რაიო?! — ისევ რეზოს მიაჩერდა დანელია.

— სად ისწავლე თამაშიო.

— ხუმრობთ ორივე და ერთობით, ამასობაში კოპლატაძე უფროსობას მიეჩვია, რაღა გვიჭირს მაგის სიტყვა თუ იქნა კანონი.

— რა ვქნა ახლა მე? — იკითხა სხირტლაძემ.

— რა და, მოკიდე ხელი კოპლატაძის ლეიბს და გადაიტანე, რომ ვააჭირვე საქმე, — შეუყვირა დანელიამ.

— ორივე?!

— ერთი არ გეყოფა, შენმა მზემ?

— ოავა არ მეყოფა, აქამდე სულ არ მქონდა. — სხირტლაძემ მოსინჯა, რომელი ლეიბი სჯობსო, აარჩია, უკეთესი თავის საწოლზე დააგო, გადააფარა თეთრეული და გახდას შეუდგა.

— უკვე წვები? — ჰკითხა დანელამ.

— რავა?!

— დღის წესრიგი თუ წაიკითხე?

— რაო, რა წერია?

— ოც საათზე ვახშამია და ღამეორზე ძილი.

— ისე მაგრად ვისადილე, ხვალ დილამდე არაფერი მინდა. დაღლილი ვარ და მივეგდები ძილად. — პიჯაკი უკვე გაეხადა, ბამბაზიის პერანგს იხდიდა, პერანგს შიგნით მეორე პერანგი ეცვა, მეორეს შიგნით მესამე პერანგის საყელო მოუჩანდა.

— მეტი არაფერი გქონდა, რომ ჩაგეცვა?

— რავა არა, მქონდა, მარა ღილები აღარ შეიკრა.

— ამდენი პერანგი რად გინდოდა?

— რავა რად მინდოდა, შე კაცო, ერთი ყველას აცვია, თუ

ჩაცმაა, ქე უნდა ჩაიცვა. რა ვიცი, სად მივდივართ, სადაც არ უნდა ჩავიდეთ, ერთბაშად ნავარძეთის ამინდები არ დამხვდეს იქ.

სხირტლაძე ზედა საწოლზე ახტა.

დანელია ლუკიანჩენკოს კუპეში შევიდა.

— შეიძლება, ამხანაგო მაიორო?!

— რატომაც არა, ჩამოჯექი.

— რაიო ბიჭო?! — რეზოს მიაჩერდა დანელია.

— შეიძლებაო, — უპასუხა რეზომ და ლაზიერი ისეთ ადგილზე დადო, ლუკიანჩენკომ მეტი რომ ვერაფერი მოახერხა, თავისი მეფე წააქცია.

— არ გრცხვენია, ბიჭო, უფროსს მოუგე? — შეუტია დანელიამ.

— რას ამბობს?

— კი მივდივართ მაგრამ, თუ საიდუმლო არაა, საით მივდივართ, რა ნაწილში მოგვიხდება სამსახურიო, აინტერესებს.

— სამხედრო საქმეში საიდუმლო ბევრი რამაა, მაგრამ ამის გამხელა შეიძლება.

— რაო?! — ახლა დანელია მიაჩერდა რეზოს.

— არაფრის თქმა არ შეიძლება, მაგრამ დანელიას ხათრით გეტყვითო.

— საჰაერო-სადესანტო ნაწილში იმსახურებთ უკრაინაში, — მშვიდად ამბობს მაიორი.

— მერე ჩვენც უნდა ვიხტუნაოთ პარაშუტით? — ახლა რეზომ იკითხა შეშინებული ხმით.

— რა თქმა უნდა, საშიში არაფერია, მიეჩვევით.

— რა?! — ნახევრად ყვირილით იკითხა უყურადღებოდ მიტოვებულმა დანელიამ.

— შენზე ვკითხე, ესეც უნდა გადახტეს პარაშუტით-მეთქი? რა თქმა უნდაო.

— მაგას დედაჩემი რომ გაიგებს, ის უნდა ნახო შენ, მეექვსე სართულიდან გადმოხტება უპარაშუტოდ.

— რას ამბობს? — ლუკიანჩენკომ დანელიაზე ანიშნა რეზოს.

— არაფერი, ახალგაზრდობაში დედაჩემიც პარაშუტისტი იყო.

— ოჰო, ოჯახური ტრადიცია გრძელდება! — გაიცინა ლუკიანჩენკომ.

— რა უხარია, გამაგებინა, კითხე ერთი, სული თუ დაგყვება ძირს.

— კი დაგყვებათო, სული და სველი ნიფხავები დაგყვებათო, პირველ ხანებში, მერე და მერე ყველაფერი შეგაშრებათო.

დანელია თავისი საწოლისკენ გაბრუნდა. ბერაიას ნახვრეტების თვლა მოეთავებინა, ახლა ფანჯარაში იყურებოდა და ელექტრონის ბოძებს ითვლიდა. აქ რა ახლო-ახლო დაუსვიათო, უკვირდა, ჩვენთან ორმოცდაათ-ორმოცდაათ მეტრში ასობენ, ალბათ, გვერდზე ყიდის ბოძებს გალდავა მაიმუნიო.

— დაანებე თავი ბოძებს და ყველაფერს, რაც მიწაზეა, — უთხრა დანელიამ.

— რავა, რა მოხდა?

— ეირჩევნია ცაში თვალო ვარსკვლავები.

— დღე სადაა ვარსკვლავები, ღამით მაგასაც ვითვლი, ეანთიადში დათვლილი მაქვს უკვე.

— დღეც გათვლევინებენ, დამიჯერე და, შეიძლება ცაში ანველოზებსაც ეარშიყო, ისე გვაქვს საქმე.

— რა მოხდა, მითხარი პირდაპირ.

— რა და ერთი თვის მერე გაგკოჭავენ პარაშუტით და გისვრიან იქიდან, — ხელი ცისკენ აიქნია დანელიამ.

— რა ნაწილში მოვხვდით? — იკითხა შეშფოთებულმა კოპლატაძემ.

— შენ ეგ თბილისში იცოდი, მე მეკითხები?

— თბილსში ასე შევთანხმდით, რიგის მახლობლად სპორტულ ნაწილში მოხვედებიო.

— ალბათ, იურმალაში შეგპირდნენ. ამ გზას ბალტიისპირეთისკენ არ მივყავართ კუპლეტაძე, — განგებ დაუმახინჯა გვარი დანელიამ.

კოპლატაძემ მუშტი ვაგონის კედელს დაჰკრა და ვიღაცას აჯ-კარგი აუგად მოიხსენია.

— მატრასაი მინდა, მატრასაი, — წამოაბოდა ძილში სხირტლაძეს.

ბერაიამ შეანჯღრია, შემკრთალმა სხირტლაძემ თავი წამოჰყო.

— დირიჟაბლი არ გინდა, ძმაკაც?

— არ მინდა, ხომ გითხარით, ნასადილარი ვარ. ძილი მინდა, ძილი.

— რა დროს ძილია, ადექი! — შეუღრინა კოპლატაძემ.

— რაება, გათენდა?

— გათენდა, გათენდა!

— რა ჩამოვა ახლა აქიდან!

— პარაშუტი ხომ არ გინდა, ბიჭო!

— პარაშუტი რად მინდა.

— რა იცი, რომ დაგჭირდეს.

— თუ დამჭირდა, მაგასაც მაშოვიებთ, მატრასა მაშოვიეთ და...

— ჩათვალე, რომ ნაშოვნი გაქვს, — დააიმედეს სხირტლაძე.

სხირტლაძემ გაიღიმა, მერე ჩამოხტა ძირს და ვაგონის ბოლოსკენ მოუსვა, თან ხვანჯარს იხსნიდა გზაში. კარი დაკეტილი დახვდა, ჩვენს მტერს, იმას სახე შეექნა. საპირფარეშოდან კოპლატაძე გამოვიდა.

— პარაშუტის ხსენებაზე ამასაც ატეხია ფაღარათი, — ჩაიქირქილა დანელიამ.

სხირტლაძე მოგვიანებით დაბრუნდა თავის კუპეში.

— ვინ წაიღო ჩემი მატრასაი! — შემოგვესმა კვლავ. ხან აქეთ ეცა, ხან იქით, მერე ისევ კოპლატაძეს მიადგა, — მოგეცი ჩემი მატრასაი.

— მომწყდი თავიდან, — შეუღრინა კოპლატაძემ.

ექვსი დღე ვიმოგზაურეთ მატარებლით. ექვსივე დღეს საძებარი ჰქონდა „მატრასაი" სხირტლაძეს. ჩვენც ვერთობოდით დუ ისიც. ბოლოს ზედმეტ სახელად „მატრასა" დავარქვით (სამი წელი ჩვენ ვეძახდით, თავის ნავარძეთშიც ჩაყოლია და ახლაც „მატრასას" ეძახის მთელი სოფელი).

ექვსი დღე ერთად ყოფნა, ერთ ჭერქვეშ, ცოტა არაა. ერთმანეთს კარგად გავეცანით. მხიარული ბიჭები იყვნენ, განსხვავებული ხასიათისანი, მაგრამ ბევრი საერთოც გექონდა.

ეს საერთო მუშტად გვკრავდა ერთ ბედქვეშ მოხვედრილ ბიჭებს, ყველას თავისი გადასახედი ჰქონდა ცხოვრებაში, ყველას თავისებურად ესახებოდა მომავალი.

ბერაია ყველაფერს ითვლიდა — მდინარეებს, ხიდებს, გვირაბებს, ქარხნებს... მეექვსე ღღეს გამოაცხადა:

— არა, ძმაო, დიდ ქვეყანაში ვცხოვრობთ, ამოდენა ქვეყანას კარგი მოვლა უნდა.

— კარგი დაცვა არ უნდა? — იკითხა „მატრასამ".

— მაგას ვამბობ, დაცვა რომ უნდა, მაგიტომ გადაგხოტრეს ეგ ნამყენი თავი, მაგრამ მიკვირს, როგორ უნდა დაიცვა, ექვსი ღღეა ლეიბს ეძებ, რომელიც არ დაგკარგვია.

— თქვენისთანა ოხრების ხელში თავი რომ შემრჩა, იმაზეც მადლობელი ვარ.

— მასეთი თავი გინდ გქონია და გინდ არა.

— რატომ, თმა არ ამოგვია, ვითომ?

— ასე თუ გააგრძელე, რა ამოგვია, ეგეც საკითხავია.

— შენს ბუღალტერიას მიხედე, თორემ ისეთს გლეწავ... — შეუტია ბერაიას დანელიამ, მატრასას დამცველი და ქომაგი რომ იყო.

ბერაია უსიტყვოდ შებრუნდა.

მახარაძეს სამი შეყვარებული დაეტოვებინა ქუთაისში და სამივეზე გული წყდებოდა. სამივე მიყვარსო, მითხრა. ერთმანეთსაც იცნობენ, თვითეულ მათგანს ორი დანარჩენი ჩემი ბიძაშვილ-დეიდაშვილი ჰგონია, აქეთ წამოსვლისას სამივემ გამომაცილაო. ავტობუსის ფანჯრიდან ვუყურებდი, რომელი ჯობია-მეთქი, ვადარებდი. ისინი მეც მეკეკლუცეობდნენ და ერთმანეთსაც. მათ გვერდით ჩემი ნამდვილი ბიძაშვილები ტრიალებდნენ, ოთხივე ვაჟი ჩემზე უფროსია, ოთხივე საეჭვოდ უჟუჟუნებდნენ თვალებს იმ სამს! იმათგან ერთ-ერთი მე უნდა ამერჩია. ახლა მთელი გზა ვფიქრობ მათზე, რომელზეც მეტს ვიფიქრებ, ის უფრო მყვარებია ალბათ. რას იტყვი შენ? — მკითხა.

გამოცდილი კაცის გამომეტყველება მივიღე და ცოტა ხნის ფიქრის მერე ვუთხარი:

— შენი ლაპარაკიდან ჩანს, არც ერთი არ გყვარებია, თუ ალლო არ მღალატობს, უკეე აღარც მათ უყვარხარ, ისინი იმ დღესვე გაარკვევდნენ ვინ ვისი დეიდაშვილია. ამას რაც მოჰყვება, ალბათ, კარგად გესმის. შენ სამივე მალე დაგავიწყდება, როგორც კი უფრო ახლოს მეოთხე გოგონა გამოჩნდება. აგერ, რეზოს მაგალითს გეტყვი. მასაც ჰყავს შეყვარებული, მაგრამ თუ სხვა ქალიშვილი გამოჩნდა, დროებით ავიწყდება ის, ყველაზე უფრო რომ უყვარს. ამიტომ არც ეროს რეზო არ გამოუცილებია. ამას ისე ვამბობდი, მაჩარაძეს ლაპარაკის მადა წაუხდა. ფანჯარასთან მივიდა, არყის ხეებს მიაშტერდა, მერე დაბალ ხმაზე დაიწყო:

შეყვარებული ვის არ ჰყოლია, დელია,
მაგრამ საფლავში ვინ ჩაჰყოლია, დელია...

მომიბრუნდა, გამიღიმა და ჭითხრა:

— სწორია, საფლავში ჩაყოლა რა საჭიროა, ისე, კარგი გოგო გულს არ ემეტება თუ არა... გოგოების მეტი რაა ამ-ხელა ქვეყანაში, — ხელი არყის ხეებისკენ აიქნია.

რეზო ახლაც ჭადრაკს ეთამაშებოდა ლუკიანჩენკოს. ახალ კომბინაციაზეც ფიქრობდა, ჩვენც გვისმენდა თურმე.

— არ გამომაცილეს, თორემ დავებენი გზას, ჭკუა და მოხერხება თუ გაქვს კაცს, ყველაფერი შენი გეგმით წავა. ეს ცხოვრებაც ჭადრაკივითაა, იცი თამაში, გაიმარჯვებ! მეფე აიღე ოუ გინდა, ყველაზე დინჯია, ნაბიჯ-ნაბიჯ დაბრძანდება თავის საუფლოში. ამიტომაც სხვა ფიგურებზე დიდხანს ცოცხლობს. პაიკი სულ სხვაა, თამაშის დაწყებისთანავე წინ ილტვის. ხშირად თავისივე სულსწრაფობა ღუპავს. ასეა ყველა, ვინც ოჩქარებს. ცხოვრებას დინჯად უნდა ძიჰყვე, თუ გინდა დაძში ვახვიდე. აგერ მთელი კვირაა მეთამაშება ჩვენი უფროსი, ერთი ხელი არ მოუგია. დასაწყისში უპირატესობა აქვს. ახლაც, დასაწყისშივე წამართვა ცხენები. ჩემს ტაქტიკას არ ვუღალატე და ქე მყავს მიმწყვდეული. ორ სვლაში შამათი იქნება.

— შახ! — თქვა ლუკიანჩენკომ და ეტლი დაუმიზნა მეფეს.

— სხვა მეფეების არ იყოს, რეზოს მეფეც დინჯი აღმოჩნდა, ერთი მოკლე ნაბიჯი გააკეთა გვერდზე. ლუკიანჩენკომ მხედრით გადაუჭრა გზა. თეთრი მეფის საქმე შავად იყო.

— ამ პარტიას აღარაფერი ეშველება, — წაილუღლუღა რეზომ და ლუკიანჩენკოს მტყუანივით გაუცინა.

5

— ნახევარი საათის მერე ჩავდივართ, — გამოაცხადა მაიორმა.

ატყდა ერთი ჩოჩქოლი. ათ წუთში მზად ვიყავით. ბიჭები ფანჯრებს მიაწყდნენ. თვალსა და ხელშუა წამოიჩიტა ქალაქი.

— ორასოცდათვრამეტი, — ჩაიბარა ბერაიამ ბოლო სადგური და ზურგჩანთის თასმებში ხელები გაუყარა.

მატარებლიდან ჩამოვედით. სადღა იყო გრძელი ეშელონი. რომელიღაც სამგზავრო მატარებელზე მხოლოდ ჩვენი ვაგონი მიებათ ბოლოში.

ლუკიანჩენკომ ადგილი მიგვიჩინა. თვითონ ნაწილში დარეკა. მარქანის მოსვლამდე სახლებში დეპეშები გავგზავნეთ.

სამხედრო ნაწილი, სადაც ჩვენ მიგვიყვანეს, ქალაქის მეორე ბოლოში იყო, ერთ-ერთი შენობის წინ ჩაგვამწკრივეს.

— ქუდები მოიხადეთ! — გვიბრძანა ლუკიანჩენკომ, — ვისაც თავი არ აქვს გადაპარსული, გაპყვება ზემდეგ ჩევერნოჟენკოს.

ულვაშებგადაფურჩქნილი ზემდეგი სარკეებიან ოთახში შეგვიძღვა.

— საიდან იქნებით? — შეგვეკითხა ჩევერნოჟენკო.

— საქართველოდან, — უპასუხა კოპლატაძემ.

— რაო, თქვენთან დალაქები არ არიან?

— რამდენიც გნებავთ, მაგრამ ჩემი დალაქი ისვენებდა იმ ღღეს.

— როგორ, საკუთარი დალაქი გყავთ?!

— არა, ნაცნობ დალაქთან ვიკრიჭებით.

— კეთილი, ახლა მე გაგკრიჭავთ, როგორც საჭიროა. პირველწლიანებისთვის ერთი ვარცხნილობა მაქვს შერჩეული,

„დაე, მუდამ იყოს მზე!..“ მეორე წელს „გოგოებო, ჩემკენ...“ მესამე წელს კი „გამარჯობა, დედა!..“ მესამე ვარცხნილობამდე კაიმალი „სახნავ-სათესი“ გექნებათ. მანამ კი ვარცხნილობა ნომერ პირველი!

— დაჯექი! — სკამი შესთავაზა კოპლატაძეს.

— მე არა, ჯერ სხვა! — დაგვითმო კოპლატაძემ.

— რაც იქნება, იქნება! — თქვა რეზომ და სარკის წინ დაჯდა.

ჩევერნოჟენკომ წარბებს ზემოდან დაიწყო პარსვა. მიპყვა და ხერხემლის მალებამდე ისე ჩაღრუჭ-ღრუჭ-ღრუჭუნდა, არ დაუსვენია.

— ამხანაგო ზემდეგო, თქვენი სახელი და მამის სახელი, თუ შეიძლება?!

— მიკოლას მეძახიან, მამაჩემს ოლექსო ჰქვიოდა, ღმერთო, გაანათლე მისი სული.

— მიკოლა ოლექსოს ძევ, მწიწკნის თქვენი მექანიკური ხელსაწყო, ამაძრო თავის ქალა.

— შეუძლებელია, წინა კვირას დავლესე დანები, ასამდე კაცი გავპარსე, არავის უთქვამს საყვედური. — მერე სარკეში ჩაიხედა, ყურისძირთან გაფურჩქნილ თმას დაადო საპარსი და შეჰყვა ზემოთ. ცალი ულვაშის აწევ-ჩამოწევაზე მიეხვდი, პატრონსაც წიწკნიდა საპარსი.

— მოიცა, მოიცა! — წამოიძახა და ახლა მეორე მხარეს დაიწყო ცდის ჩატარება. რეზოს დანახვას ხომ არაფერი სჯობდა, მიკოლა ოლექსოს ძე უკეთესად გამოიყურებოდა.

— ამხანაგო ზემდეგო, ეგ, ალბათ, მეორე ნომერი ვარცხნილობაა, თქვენ რომ გაიკეთეთ?! — ეკითხება რეზო.

— არა, ამას ნომერი არა აქვს, ცოლი დღენიადაგ მაფრთხილებს, სისულელეებს თავი დაანებეო, მაგრამ ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია.

ზემდეგმა საპარსი დაშალა, დანების ლესვა დაიწყო.

— მოძველდა ჩემი მანქანა, ორმოცდასამ წელში ბრიგადენფიურერი ფოგელი გამიპარსავს, რამდენი სხვაც, ვინ მოთვლის, დიდ-დიდი ჩინებიც, უბრალო ესესელებიც.

— გერმანელებთან მსახურობდი? — ერთდროულად ვიკითხეთ ბიჭებმა.

— ჰო, ისე იყო საჭირო, ჩემს თავზე სინჯვა-სინჯვას მაშინ მივეჩვიე. გერმანელები სიცილით იჭაჭებოდნენ, ამას რომ უყურებდნენ.

საპარსი ისევ ააწყო და სამ წუთში გაათავისუფლა რეზო. ახლა დანელია დაჯდა სარკის წინ. ოთახში სერჟანტმა შემოიხედა.

— ამხანაგო ზემდეგო! მაიორი ფირსოვი გიხმობს, — უთხრა ჩევერნოჟენკოს.

მიკოლა ოლექსოს ძემ საპარსი მახარაძეს გადააწოდა, ჩემი მეოდით გააგრძელე, მალე მოვალო.

მახარაძემ საპარსი აამუშავა.

— რას შვები, მურთაზ მიხეილიჩ, მწიწკნის! — წამოიყვირა დანელიამ.

მურთაზმა თავის თავზე გასინჯა და შეუყვირა:

— ნუ სიმულიანტობ!..

გაიპარსა დანელია, გორგოძე, გვეტაძე, მახარაძე... კოპლატაძე ვერ იქნა და ვერ დასვეს სარკის წინ, სხვებს უთმობდა რიგს.

ყველა გაიპარსა, კოპლატაძის გარდა.

— დაბრძანდით, — შეეპატიჟა მახარაძე და სკამზე მიუთითა.

— მერე!

— მერე, — მახარაძემ საპარსი აამუშავა ჰაერში.

— შენ?!

— დიახ!

— ახალი ამბავი!

— დაჯექი, ბიჭო! — შეუყვირა დანელიამ და საპარსი ჩამოართვა მახარაძეს.

— მანამ არაფერი ჭამე, სანამ ჩემი თავი არ ჩაგიგდო ხელში საჯიჯგნად.

— აბა, მოუცადე შენს დალაქს და ჩამოგაკითხავს ქუთაისიდან.

ვერც ერთ ჩვენგანს ვერ ენდო. ისევ მოგვიანებით დაბრუნებულმა ჩეკერნოჟენკომ „გაანათა“ კოპლატაძის თავი. თხილის კაკლისოდენა კოპი ჰქონდა თავზე ახლად გაპარსულს.

— ეს რაა?! — იკითხა დანელიამ და ცერი დააჭირა კოპზე.

კოპლატაძემ უხეშად მოიშორა დანელიას ხელი.

— ეს დაბადებიდან დამყვა, — თქვა ამაყად, — ბესარიონ კოპლატაძესაც აქვს, ზუსტად ამ ადგილას. ახლა ფოთში მუშაობს.

— რას აკეთებს იქ? — დამცინავი ღიმილით ეკითხება მახარაძე.

— პორტის უფროსის პირველი მოადგილეა.

— აინშტაინსაც ჰქონია კოპალი, — ისევ მოიფხანა ენა დანელიამ.

ჩეკერნოჟენკომ შეგვათვალიერა.

— ოოოი ბატუშკი, როგორ ერთმანეთს ჰგავხართ ჩასამჟაველელი კიტრებივით! ომებით კიდევ გავარჩევდათ კაცი. ეს კი სუფთა გერმანელია, ქართულად რომ არ ჭიხვინებდეს, — დანელიაზე მიგვითითა ზემდეგმა, — ასეთივე ქერა და ცისფერთვალება იყო ფოგელის ადიუტანტი, რამდენჯერ გამიპარსავს ის აყლაყუდა. ახლაც გამახსენდა ერთი ეპიზოდი. ცოტა გრძელი ამბავია... მოკლედ გეტყვით...

— მაიორი ლუკიანჩენკო გეძახით, აბანოში მივდივართ! — შეგვატყობინა „მატრასამ“.

— მაშ მიდიხართ? კარგი, სხვა დროს მოგიყვებით, — დაგვპირდა ზემდეგი.

მანქანა გვიცდიდა. ავედით ძარაზე თუ არა, დაიძრა კიდეც.

აბანოში რიგი იყო, სანამ შეგვიშვებდნენ, მახარაძეს გაზეთის გამყიდველი გოგონა გაეცნო და შაბათს ცეკვებზე შევხვდეთო, დაეთანხმებინა.

— ამხანაგო მაიორო! ხომ ვერ მეტყვით, სად მდებარეობს ჩერნიახოვსკის სახელობის კულტურის სასახლე? — კითხულობს მურთაზი.

— შენ რა, უკვე ქალაქის გაცნობას შეუდექი? — კითხვაზე კითხვით უპასუხა ლუკიანჩენკომ.

— არა, ერთი გოგო დამპირდა, შაბათს იქ შეგხვდებიო, ისეთი გოგოა, სიტყვას ვერ გაუტეხავ...

ლუკიანჩენკოს სიცილი აუტყდა.

— სასასლეს მიგასწავლი, მაგრამ ეეჭვობ პაემანი შედგეს. შაბათს არ გეცლება საცეკვაოდ, სხვა საქმით იქნები დაკავებული.

მრავალდღიანი მოგზაურობის შემდეგ შხაპი მისწრება იყო. აბანოდან სამხედრო ფორმით გამოვედით. სამხრეებიღა გვაკლდა.

— სამხრეებს მოგვიანებით დაგირიგებენ, — დაგვამშვიდა ლუკიანჩენკომ.

მატრასას ყველაზე გრძელი შინელი აერჩია.

— გრძელი გაქვს შინელი, ვერ უყურებ?! — ეუბნება დანელია.

— რა ვუყო მერე, ორმოცდარვა ზომა ვუთხარი და ორმოცდარვა აწერია ზედ. შემოვჭრი და ჩექმებს მაინც გავწმენდ ხანდახან.

ოთხი დღე თავისუფლად ვიყავით. არაკითარი განრიგი არ გვქონდა. ბალტიისპირეთიდან შეკვეთას ელოდნენ, მანამ არც ჩვენ გვამეცადინებდნენ.

მატრასას შინელი თვალსა და ხელშუა დამოკლდა. ახლა მუხლებს ზემოთ ჰქონდა ქულაჯასავით. ერთი მტკაველი, როგორც ამბობდა, თვითონ შემოჭრა, ქვეყანას შეატყობინა, შინელის ნაჭერი მისწრებაა ჩექმების ასაპრიალებლადო. მესამე დღეს მატრასას შინელს სამი მტკაველი აკლდა, ბიჭების ჩექმები კი სარკესავით პრიალებდა.

ზემდეგი ზაიჩენკო, რომელიც დროებით ჩვენს უფროსად დანიშნეს, მატრასას ჩაცმულობაზე გადაირია. მატრასა ქართულად ეჭუჭყურებოდა რაღაცას. საქმეში რეზო ჩაერია.

— სამ დღეში ასე დამიპაწიავდა, ერთ კვირაში ალბათ საყელო დამრჩება მარტოო, — უთარგმნა რეზომ ზემდეგს.

— გადაეცი, თავის ტანსაცმელს ყურადღება მიაქციოს, ამჯერად სამზარეულოში ვაგზავნი კარტოფილის სათლელად.

სხირტლაძე ჭუჭყურ-ჭუჭყურით წავიდა სამზარეულოში. მეორე დილით ყაზარმაში ძველი ქუდით დაბრუნდა.

— რას დაგიმგვანებია ქუდი, იატაკი წმინდე? — ჰკითხა დანელიამ.

— არა, ერთმა მომხადა, მეორეს გადასცა, მეორემ მესამეს და ასე გამიქვრეს ცხვირწინ. ვეძიე და ვეძიე, ველარ ვნახე, ბ-ქუდიდ ხომ არ დაებრუნდებოდი, მოვსტაცე იმ ბიჭს თავისი ქუდი და გამოვიქეცი აქეთ.

— კარგად მოგიფიქრებია! — ახითხითდა შახარაძე.

დანელიამ ხელი მოხვია მატრასას.

— წამოდი, მაჩვენე ის ბიჭი, პატარა ჭკუას დაკარიგებ ოუ არა, ერთ კვირაში საცვლების ამარა დაგტოვებენ, შე გაჭირვებულო.

— დაანებე თავი, ჩარიკით ბიჭია, არაფერი მოგწიოს! — აფრთხილებდა სხირტლაძე.

— ნუ გეშინია, შენ დამანახე, დანარჩენი მე ვიცი.

მატრასა სამზარეულოსკენ გაქცევა დანელიას.

— ის ბიჭია, ქვაბს რომ მიათრევს.

— ეიიტა მაგის ქუდი, — დანელიამ მომენტი შეარჩია, სანამ თეთრხალათიანი ქვაბს ღუმელზე შედგამდა, ახალი ქუდის ნაცვლად ისევ თავისი, გაქონილი ძველი ქუდი ეხურა.

— ვის უბედავ!.. სალაგა!.. — ძლივს გამოძვრა თვალებზე ჩამოფხატული ქუდიდან თეთრხალათიანი.

— მკელტაციობას მოეშვი, თუ არა!.. — ულრიალა დანელიამ და მუშტი მოუღირა.

თეთრხალათიანი უკან მიაწყდა.

— წამოდი, ბიჭო! — სხირტლაძის ვასაგონად თქვა დანელიამ და ქამარი შეისწორა.

მატრასას ორივე ხელით ჩაებღუჯა ქუდი, დანელიას აედევნა, თვალები უკან რჩებოდა, თეთრხალათიანისკენ.

6

შაბათ საღამოს მასარაძე თხოვნით მივიდა ზეზდეგ ზაიჩენკოსთან.

— შეიძლება, ამხანაგო ზემდეგო?

— შეიძლება!

— ამხანაგო ზემდეგო! ღღეს საღამოს, ცოტა ხნით გამიშვით კულტურის სასახლეში, საქმე მაქვს, ოღონდაც გამიშვით, ყველაფერი რიგზე იქნება, კომკავშირულ სიტყვას გაძლევთ.

— კულტურის სასახლის გარეშე ვერ ძლებ, გეტყობა, მაინც რა საქმე უნდა გქონდეს იქ?

— გოგო მყავს დაბარებული ერთი, დავპირდი, შაბათს მოვალ-მეთქი.

— უკვე მოასწარი? გადამრევს ეს ხალხი. სამხრეების გარეშე გინდა წახვიდე?

— რავა, რა უჭირს, აქამდე სულ სამხრეების გარეშე არ დავდიოდი? — გაუკვირდა მახარაძეს.

— აქამდე როგორ დადიოდი, ცოტა ხნით დაივიწყე. კარანტინის დამთავრებამდე ფეხსაც ვერ გაადგამ ამ შემოღობილიდან, არ შეიძლება! გესმის?

მახარაძემ ყურები ჩამოპყარა. წელმოწყვეტილივით გამობრუნდა უკან. თავის ოთახში ფანჯრის რაფას ჩამოეყრდნო და გზას გახედა ჭიშკრის იქით. — იმ ჭიშკრიდან უსაბუთოდ არავინ გაგიშვებს, სხვა ჭიშკარი აქაურობას არა აქვს, ხომ არ გადავიპარო? — დაეკითხა საკუთარ თავს. მაცდური ფიქრი რომ აეცილებინა, დაჯდა და წერილი მისწერა ერთ-ერთ შეყვარებულს იმ სამიდან. ცოტა წაიტრაბახა, ასე ვარ და ისეო, სიტყვა არ დასცდენია, პირველი პაემანი ჩამიფლავდაო. შენს წერილს მოუთმენლად ველიო. დრო მაინც კაიძალი დარჩა. მარინამ და სოფამ რა დააშავაო და იმათი წერილებიც ჩაახლაფორთა. შინაარსი თითქმის ერთნაირი იყო.

როგორც კი წერილები ყუთში ჩაუშვა, მაშინვე ახალგაცნობილი ოლგა დაუდგა თვალწინ. ალბათ, კულტურის სახლთან უცდის ახლა. ოთახში ველარ გაჩერდა. გალიაში გამომწყვდეულივით დაიწყო წინ და უკან სიარული. ღობესთან მიირბინა, იპოვა პატარა გასაძრომი, დურთა თავი და ცოტა ხნის მერე ქუჩაში აღმოჩნდა.

— ქალაქის ცენტრში როგორ მოვხვდები? — ჰკითხა ერთ

ქალიშვილს, რომელიც ოლგაზე ნაკლები არაფრით იყო. ყოველ შემთხვევაში, ასე მოეჩვენა მურთაზს.

— პირდაპირ იარე! — მოკლედ უპასუხა გოგონამ.

უკან მოუხედა. ისე კოხტად მიპაკუნობდა, იფიქრებდით, რკინიგზის ლიანდაგზე შპალებს ითვლისო. გულის ნაწილი იმ გოგოსაც გაატანა მახარაძემ.

— მოგეწონა? — შინაურულად დაეკითხა ახალგაზრდა ლეიტენანტი. მას ორი წითელარმიელი ახლდა. სამიეს წითელი სამკლაურები ეკეთათ. „პატრულ" — ამოიკითხა მახარაძემ ოფიცრის მკლავზე.

— ისე რა! — უპასუხა კითხვაზე და წასვლა დააპირა.

— მოიცა! — არ გაუშვა ლეიტენანტმა, — საით მიდიხარ?

— კარგად არც მე ვიცი, სადღაც ჩერნიახოვსკის სახელობის კულტურის სასახლე ყოფილა.

— ძალიან კარგი, ერთი გზა გექონია, მანქანით წავიდეთ, უფრო ჩქარა მივალთ.

მურთაზი არ გაძალიანებია, ძარაზე ახტა იმ ბიჭებთან ერთად, ლეიტენანტს რომ ახლდნენ. ლეიტენანტი კაბინაში ჩაჯდა.

„მშვენიერ ქალაქში მოვხვდი, პატარაა, მაგრამ ლამაზი", — ფიქრობდა არხეინად.

— თქვენ საიდან ხართ? — იკითხა მურთაზმა.

— იქიდან! — უთხრა ერთ-ერთმა და მაღალი შენობა დაანახა.

— მე სადაურობა გკითხე, შე ბოთე.

— აი, მიგიყვანთ, იქ დავაკმაყოფილებთ შენს ცნობისწადილს! — ახლა მეორემ ამოიღო ხმა.

მანქანა მოედანზე გაჩერდა, სინათლეებით გაჩახჩახებული შენობის წინ.

— მოვედით? — იკითხა მურთაზმა და გადმოსასვლელად მოემზადა.

— ჯერ არა, შეეგროვდებით და მერე, — ხელით შეაჩერა ერთმა.

მეორე გადმოხტა და ლეიტენანტს შეჰყვა შენობაში, დი-

დი ასოებით რომ ეწერა: ჩერნიახოვსკის სახელობის კულტურის სასახლე.

ქუჩაში ახალგაზრდები დასეირნობდნენ. მურთაზი თვალს ადევნებდა, რა კარგი გოგონებიაო, ფიქრობდა, ერთმანეთზე უკეთესები. ეს მუტრუკი არ მიშვებს თუ არა, ეგერ იმ გოგოს, ხუთ წუთში ეცოდინება საქართველოს ისტორია, როგორ მოჰყავთ ჩაი, რატომ ჰქვია ჩვენთან გამოშვებულ ავტომანქანებს „კოლხიდა", რომელ ნომერ ბუცებს იცვამენ ჩვენი სახელგანთქმული ფეხბურთელები მესხი და მეტრეველი.

ლეიტენანტმა ათი წუთის შემდეგ ორი წითელარმიელი მოიყვანა, ერთს ეტყობოდა ნასვამიც იყო. მურთაზის დანახვაზე გადაიხარხარა, მის ახლოს მოკალათდა, მხარზე დაჰკრა ხელი და უთხრა:

— კაცო, ჯერ სამხრეებიც არ გაქვს და უკვე გაები?

— გაები არა იხვის ტოლმა, — წაიბუზღუნა მურთაზმა.

კომენდატურაში წითელყდიანი ჟურნალი გაშალეს და სამიევე დამრღვევის გვარი შიგ შეიტანეს.

— აწი არაფერი გვიჭირს, წითელ წიგნში მოვხვდით, ჩვენზე ნადირობა უკვე აღარ შეიძლება, — ისევ გადაიხარხარა იმ ბიჭმა, ნასვამი რომ იყო და ხის გრძელ სკამზე წამოწოლა დააპირა.

არ დაანებეს, ისევ კუთხეში მიიყუჟა.

ნაწილის ნომერი ჰკითხეს მურთაზს.

— არც ნომერი ვიცი და არც გზა, ფეხით რომ გამიშვათ, ველარც მივაგნებ.

ტელეფონზე იწვალა მორიგე ოფიცერმა, როგორც იქნა დაუკავშირდა ნაწილს.

ცოტა ხნის შემდეგ ზემდეგი ზაიჩენკო შემოვიდა.

— მე ხომ უარი გითხარი! — შეუყვირა მურთაზს.

— მიტომაც გამოვიპარე! — უტეხად უპასუხა მახარაძემ.

— კარგი, გასწავლი როგორ უნდა უპაგონოდ და უპრაგონოდ სიარული, გამოადგი ფეხი!

ნაწილში მიყვანისთანავე სამზარეულოში გაამწესა:

— ძილის ნაცვლად მთელი ღამე მზარეულებს მიეხმარები, შემდეგ ვნახოთ.

სამზარეულოში დანა მისცეს ხელში, კარტოფილი თალეო. ასე იღბლიანად დაიწყო მახარაძეს სავალდებულო სამხედრო სამსახური.

„კოხტად რომ მიპაკუნობდა, სულ იმ გოგოს ბრალია, — ფიქრობდა მურთაზი, — უკან მიეუხედე, გაეერთვე და შეუმჩნეველად წამომადგნენ ის ბემურაზები. კაცმა რომ თქვას, იმის ბრალიც არაა. პირდაპირ იარეო, დამარიგა. მე პირი დავაღე და... ახლა კარტოფილს ვთლი აგერ. „მატრასა“ შუა ძილში იქნება, კოპლატაძე, ალბათ, შუა სიზმარში. კარტოფილიც ხომ. უნდა გათალოს ვიღაცამ. დილით ბერაია გაიღვიძებს, არ უნდა საჭმელი? რა მოხდა, დღეს მე გავთლი, ხვალ სხვა და გავა დრო“.

ამ ფიქრებში იყო, რომ ჩასთვლიმა, ხელში ნახევრად გათლილი კარტოფილი და წვერწატეხილი დანა შერჩა. ასე ფეხაკრეფით შეფაჩუნდა ძილში, ძილიდან სიზმარში. სიზმარი იქიდან დაიწყო, გოგოს რომ მოუხედა უკან, შოლტივით გოგოს. ჩამოსხმული ტან-ფეხი ჰქონდა, იმ მამაძაღლს. უკან დაედევნა. ახლა დაუკვირდა, წითელი კაბა, წითელი ფეხსაცმელები ეცვა, წითელი, ქუდი ეხურა. ეს ხომ წითელქუდაა?! ბავშვობიდან ვიცნობ. ხელზე სამკლაურიც აქვს, „პატრულ“, — აწერია სამკლაურს. გზა დამთავრდა. ტყეში ვიწრო ბილიკით შევიდა „წითელქუდა“. მურთაზიც შეჰყვა ხვეულებში.

„სად მიდიხარ?“ — ჰკითხა ბოლოს.

„ბებიასთან მივდივარ!“

„ვიცი, რაცხა ბებიასთან მიდიხარ, — მაინც გაჰყვა, — სახელი რა გქვია?“

„გალია მქვია“, — უპასუხა და მაცდური ღიმილი მოეფინა პირსახეზე.

არც სახელი მოეწონა, არც სამკლაური, მაინც მიჰყვებოდა ტყეში.

„ბებიასთან არ უნდა მიდიოდე, გოგო, შენ!“ — დაეჭვდა მურთაზი.

„შენს თავს ვფიცავარ, ბებიასთან მივდივარ!“ — გადაიკისკისა „წითელქუდამ“.

მე დამიფიცაო და გადაირია მახარაძე, კინაღამ „წითელ-ქუდასაც“ გადაასწრო.

როგორც იქსა, მიაღწიეს ბებიას ქოხამდე. თბილ ლოგინში იწვა ბებია. დიდრონი თვალები ეჭვიანად დააშტერა მურთაზს.

„ეს შავტუხა საიდან გაჩნდა აქ?“ — იკითხა ბოლოს.

„ჩემი ძველი ნაცნობია“, — უპასუხა „წითელქუდამ“.

„უსამხრეებოდ როგორ გაბედე ჩემი კუდრაჭას გვერდით გავლა!“ — შეუბღვირა მურთაზს.

კარგად დაუკვირდა ბებიას, იმ ლეიტენანტის სახეს მიამსგავსა, კომენდატურაში რომ წაიყვანა. ღუმელზე, დიდ ქვაბში, რაღაც იხარშებოდა.

„გაუმასპინძლდი სტუმარს!“ — მიმართა „წითელქუდას“ ბებიამ, ახლა ქალაქის კომენდატს რომ დამსგავსებოდა.

„წითელქუდამ“ გადმოიღო ქვაბი. იქიდან მოხარშული კარტოფილების ამოლაგება დაიწყო. ალაგებდა და ალაგებდა. მაინც რამდენი ყოფილა, მაგიდაზე კარტოფილების პირამიდა აშენდა. აღარც ბებია ჩანდა, აღარც „წითელქუდა“. მათ მაგივრად ზემდეგი ზაიჩენკო დადგომოდა თავზე.

„გათენებამდე ყველას გაფცქვნი, გესმის?!“

„ყველას! ყველას! ყველას!“ — გაიმეორა მთელმა ტყემ.

ნელ-ნელა გაიფანტა ბურუსი, ასევე ნელ-ნელა დააღწია თავი სიზმრიდას.

შეფ-მზარეული წამოდგომოდა თავზე.

— რას შვები, ძმობილო! სიზმარში გათლილი კარტოფილით აპირებ პოლკის დაპურებას?

„რა იცის ამ გაბერილმა, სიზმარშიც რომ კარტოფილს კთლიდი?“ — გაუკვირდა ნამძინარევ მახარაძეს.

ისევ კარტოფილის თლა გააგრძელა.

„ნეტა მართლა რა ჰქვია იმ გოგოს?!“ — ფიქრობდა თან.

ცოტა ხნის მერე რამდენიმე ახალბედა შემოუსხდა ვეებერთელა ქვაბს, რომელშიც გათლილ კარტოფილს ყრიდნენ.

ოთხი დღის შემდეგ ბალტიისპირეთიდან შევსება მოვიდა, სამივე რესპუბლიკა მაღალ-მაღალი თეთრი ბიჭებით წარ-ოდგა სამხედრო სამსახურში. ისინი იმ დღესვე გამოაწყვეს ფორმის ტანსაცმელში და იმ დღესვე დაანაწილეს შენობებში. ჩამოაყალიბეს ქვეგანაყოფები. ჩვენი, ოცდაცამეტკაციანი ჯგუფი, სხვადასხვა ქვეგანაყოფში დაგვანაწილეს. მახარაძე, გორგოძე, გვეტაძე და ბერაია ჩემთან ერთად მოხვდნენ.

გავეცანით კარანტინის დღის წესრიგსაც, წუთებიც ისე იყო გამოთვლილი, თავის მოსაფხანი დრო აღარ გვრჩებოდა.

პირველ რიგში სამხრეები დაგვირიგეს, გიმნასტურაზე, სადღესასწაულო მუნდირსა და შინელზე ჩვენიანი ხელით დავაკერეთ, როგორც სერჟანტმა აკალადამ გვასწავლა. სამხრეებზე საპაერო დესანტის ოქროსფერი ემბლემები აბრჭყვიალდა. სხვიც სხვა მიეცა ჩვენს ტანსაცმელს. ახლალა დაეემსგავსეთ ნამდვილ ჯარისკაცებს.

— სამი თვე კარანტინში ვიქნებით, — გამოგვიცხადა აკალადამ, სამხრეები წესრიგში რომ მოვიყვანეთ, — ასეულის მეთაური იქნება კაპიტანი გერშალოვი, გერშალოვს მიეხმარებიან სერჟანტები: ჩაპლია, ანტოპოვი და მე.

ამ დროს ყაზარმაში საშუალო ტანის კაპიტანი შემოვიდა.

— სმენა! — იჭექა აკალადამ, მერე სამწყობრო ნაბიჯებით მიუახლოვდა მოსულს, ხელი მარჯვენა წარბს ზემოთ მიიტანა და მოახსენა: — ამხანაგო კაპიტან, ასეული მზადაა თეორიული მეცადინეობის ჩასატარებლად.

— გამარჯობათ ამხანაგებო! — მოგვესალმა კაპიტანი.

— გაგიმარჯოთ, ამხანაგო კაპიტანო! — ერთხმად ვიხუვლეთ ჩვენც.

— კარგად მპასუხობთ! — შეგვაქო კაპიტანმა.

— ვემსახურებით საბჭოთა კავშირს! — ისევ ერთხმად ვუპასუხეთ, როგორც აკალადამ გვასწავლა.

— თავისუფლად!

— თავისუფლად! — გაიმეორა აკალადამაც.

— ამხანაგო ჯარისკაცებო, მე გახლავართ კაპიტანი გერ-

შალოვი. ხელმძღვანელობამ დამავალა: სამი თვის მანძილზე კარანტინში ვიმსახურო თქვენთან ერთად. ვიმეცადინებთ, როგორც თეორიულად, ასევე პრაქტიკულადაც. ვუხელმძღვანელებ განაწესების შესწავლას, ფიზიკურ მომზადებას, სამწყობრო მომზადებას, პარაშუტის ნაწილების შესწავლას და მის მომზადებას საბრძოლო ხტომებისათვის, — კაპიტანი შუბლშეჭმუხნილი ლაპარაკობდა, წარბიც არ შეუხრია, მის თვალებში უზომო სევდა იყო ჩაღვრილი.

გერშალოვისადმი მაშინვე თანაგრძნობით განვიმსჭვალე, თუმცა არ ვიცოდი, რატომ.

— მარჯვნისა-კენ! — ბრძანა გერშალოვმა.

ზოგი მარცხნივ შებრუნდა, ზოგი მარჯვნივ, იქვე დავამტკიცეთ ახალბედები რომ ვიყავით.

— სასწავლო კორპუსისკენ ნაბიჯით იარრ!

სამი წუთის შემდეგ სასწავლო კორპუსში მერხებს ვუსხედით.

ოთხი პატარა ზომის ნაცრისფერყდიანი წიგნი გვიჩვენა გერშალოვმა.

— აი, ოთხი განაწესი, ყოველი ფეხის ნაბიჯზე რომ უნდა გვახსოვდეს, უნდა დაიცვას ყველამ, ვისაც საბჭოთა სამხედრო მოსამსახურის ფორმა აცვია. ჯარისკაცია თუ გენერალი, მფრინავი თუ მეზღვაური, სულ ერთია. მცირე გადახვევაც სამხედრო წესდების დარღვევაა, დამნაშავე პასუხს აგებს დანაშულის სიმძიმის მიხედვით.

პირველი წიგნია შინაგანაწესი;

მეორე — დისციპლინარული სამსახურის წესდება;

მესამე — საგარნიზონო და საყარაულო სამსახურის წესდება;

მეოთხე — სამწყობრო სამსახურის წესდება.

თვითეულმა თქვენგანმა ზეპირად უნდა იცოდეს ყველა თავი, ყველა მუხლი განაწესებისა, ძილშიაც რომ გკითხონ, მაშინაც.

ამის შერე კაპიტანმა ყოველ ოთხ ჯარისკაცს წესდებების თითო კომპლექტი ჩამოურიგა, — ხვალისთვის პირველი თა-

ვების გამოკითხვა გექნებათ, — გაგვაფრთხილა და ათწუთიანი შესვენება გამოაცხადა.

მოსაწევ ოთახში სიგარეტები გავაბოლეთ, ბერაიამ ფურცელ-ფურცელ გადათვალა ხვალინდელი დავალება.

— ამას რა მასწავლის ხვალამდე. რვა წელი ვსწავლობდი სკოლაში რუსულს, „სტრეკოზა და მურავეის“ მეტი არაფერი მახსოვს, იმასაც ჩვენი კოლმეურნეობის გუნდში გვამღერებდა ძუკუ ლოტბარი, „რესპუბლიკურ კონკურსზე უეჭველად გავიმარჯვებთ და სამოსკოვოდ ერთი სიმღერა მაინც ხომ უნდა გვქონდეს მზად, მარტო მეგრულ სიმღერებს ვინ მოუსმენს იქო“. -მართლა მაგრად მოვამზადეთ სიმღერა. შავი პიჯაკები შეგვიკერეს — კრეპის. შარვლებზე ფული აღარ ეყოთ. „არცაა საჭიროო“, დაგვაიმედეს. წელს ქვევით მაინც ბეჩონგურე ქალების გრძელი კაბები დაგფარავთო.

— ბოლო-ბოლო იმღერეთ მოსკოვში? — დაინტერესდა მახარაძე.

— მოსკოვში აღარ გაგვიშვეს. ნახევარი ქულით გადაგვისწრო წალენჯიხამ და შევვრჩა შავი პიჯაკები. ჩემმა მეზობელმა შარვალიც შეიკერა შავი და იმ კოსტუმში მოიყვანა ცოლი. მეც მირჩევდა, შეიკერე შარვალიო, მარა ჯარში გამიწვიეს და აგერ ვარ ახლა.

— სიმღერით ისწავლე და უფრო ადვილად მოერევი, აქაც ხომ შეგიკერეს შინელი, — გავეხუმრე ბერაიას.

— სიმღერა გვაკლია ჩვენ? დილას, შუადღეზე და საღამოს ვმღერით. სულ იმას გვარიგებდა ძუკუ ლოტბარი: „ბევრი არ იმღეროთ, ხმა არ გადაღალოთო“, ეს რომ იცოდეს, ამდენს მამღერებენ აქ, გადაირევა, არ უნდა ლაპარაკი.

— კარგი კაცი ყოფილა ძუკუ.

— ეუუუუ!.. რაიონული ფესტივალების ლაურეატია მრავალგზის. სამი გოგო ჰყავს, სამივე ერთმანეთს სჯობია. უმცროსი... რაღა დაგიმალოთ, ძმები ვართ უკვე და... მისი ხათრით მოვხვდი გუნდში, თუ არა, სად მქონდა ხმა. კლუბში რომ მივედი, პირველი ხარ თუ მეორეო, მკითხა ლოტბარმა. ყველა მე მომჩერებოდა. ძუკუს გოგოც მიყურებდა. დავიბენი მთლად, ისიც ვერ გავიგე, რა მკითხეს. შემატყო ძუკუმ და

უფრო გასაგებად აბიხსნა. რომელ ხმას მღერი, წვრილ ხმას თუ მსხვილსო. მე ვუთხარი: გუნდში მიმიღეთ და რომელსაც გინდათ იმას ვიმღერებ-მეთქი. მაშინ მეორე ხმა მიჭირსო და მარჯვენა მხარეს დამაყენა. კიდევ კარგი, პირველი არ უჭირდა, თორემ დავიღუპებოდი. მეორეს მღეროდა ძუკუს გოგოც, ჩემს წინ იდგა, სულ ახლოს, მე და შენ რო ვართ ასე, თავს რომ გააქნევდა, მისი ნაწნავები ცხვირში მხვდებოდა სულ. მაშინ მივხვდი, რა ძალაც ჰქონია სიყვარულს. თავის დღეში არ მიმღერია, სიმღერა რომ ჰქვია ისე. ახლა დავაკოკრეჭინე მარა, რა გამოვიდა, რომ იცოდეთ. „ვიღაცამ აუწიაო", ცალყურმოდარაჯებული ამბობდა ძუკუ. ავუწიე კი არა, მთლად რომ არ გავსკდი, რატომ არ გაუკვირდა ნეტა. მე არაფერ შუაში ვიყავი, სიყვარულს სცოდნია სიმღერა ასე. ხუთი წელია მიყვარს. სკოლიდან დაიწყო ყველაფერი.

ერთხელ სახლში ვბრუნდებოდით გაკვეთილების შემდეგ. ხიდი დაგეხვდა წყლისგან წაღებული. ქვებზე ხტუნვა-ხტუნვით უნდა გადავსულიყავით ფონს, მაშინ იყო, ხელი გავუწოდე ძუკუს გოგოს. მივეშველე გადასვლაში. გადავიყვანე როგორც იქნა. ელექტრონივით დამიარა მთელ სხეულში რაღაცამ. ვიფიქრე: ახლა მეც ლამაზად გადავხტები, ცოტა თავს მოვაწონებ ამ ანგელოზს-მეთქი და შევირცხვინე ბიჭობა, ფეხი დამიცდა სველ ქვაზე, წყალში მოვადინე ტყაპანი. მის მერე ვაგდივარ წყალში ანთებული მუგუზალივით, არც დავიწვი და არც წყალი ანელებს იმ ცეცხლს, გულში რომ გამიჩნდა.

— გოგოს თუ უყვარხარ? — იკითხა რეზომ.

— ძუკუს გოგომ არაფერი იცის, მგონი. ვითომ რაღაცეებს კი ხვდებოდა, მაგრამ, რა ვიცი... ერთხელ ცუდად გავხდი სკოლაში, რა გჭირსო, მეკითხება ალგებრის მასწავლებელი, რინოს ბაღათურია. არ ვიციმეთქი, მხრები ავიჩეჩე. გვერდით მელუას გოგო მეჯდა, ეშმაკის ფეხი, შუბლზე ხელი დამადო და იყვირა, ტემპერატურა აქვს მაღალიო. ვინ ცხოვრობს ბერაიას მეზობლად, რომ გააცილოს? — იკითხა ალგებრამ. მეო, — წამოხტა მუკუს გოგო. მაგას თუ გავატანთ, სახლში მისვლამდე აუწევს სიცხეო, — მელუას რა ვუთხარი, იმან წამოიძახა. გაკვეთილი არ იცოდა, ალბათ, თუ არა აღარ გა-

ᲩᲝᲛᲧᲔᲑᲝᲓᲐ, მისი ხასიათი რომ ვიცი. ერთი სიტყვა არ უთქვამს გზაზე. იმ დღიდან შეიცვალა ძუკუს გოგო, მგონი კიდეც გამᲘრბოდა, თვალებში ველარ ვუყურებდით ერთმანეთს, მᲚᲚᲣᲐᲡ·რა ვუთხარი. ველარ გამოეუტყდი. ბევრჯერ დავაპირე, მაგრამ, აზრიც მეკარგებოდა, ხმაც და სითამამეც, მაგ დროს რომ სჭირდება ჩემისთანა ბოთეს. დედაჩემს მოგუყევი ყველაფერი: ძუკუს გოგო მიყვარს და იმიტომაა ძილიც დავკარგე და მოსვენებაც-მეთქი. რომელიო, მკითხა, ხალიანი რომაა, ის-მეთქი.

— ხალიანია თუ ჩონგურიანი, კარგად დაუკვირდი, თუ არა, სიმღერამ სხვა რამედ იცის გადაკეთება, — გამაფრთხილა დედამ.

ახლა ვფიქრობ, წერილი გავუგზავნო, თუ მოვახერხე დაწერა.

ოთხი თეორიული საათის შემდეგ ფიზმომზადება ჩაგვიტარდა. ადვილად დავძლიეთ ყველაფერი. ლიტველ იგაუნისს გაუჭირდა მხოლოდ. მაღალი იყო, ორ მეტრს სამი თითისდადება უკლდა. ვერაფრით ვერ შეეგზავნა კაპიტანმა ორძელზე. დაიჟინა, გადმოვვარდებიო.

— ეცადოთ, მეც დაგეხმარები! — დაპირდა გერშალოვი.

— არა, — წაგრძელებული თავი გააქნია იგაუნისმა, — ერთხელ ვცადე, თავი მივარტყი, მის მერე მაზრიალებს ორძელის დანახვაზე.

— რიგითი იგაუნის, სმენა! — ხმას აუწია გერშალოვმა.

იგაუნისი გაიჭიმა, გრძელი, დაკენკილი პირისახე ჰქონდა, შიში და მორჩილება ეწერა ზედ.

— ორძელთან! — ბრძანა კაპიტანმა.

იგაუნისი იარაღს მიუახლოვდა. ბევრი იწვალა გერშალოვმა, ბოლოს, როგორც იქნა, ჩააყენა ორძელის ლარტყებს შორის.

— დაიწყე! — მოთმინებას ჰკარგავდა გერშალოვი.

იგაუნისი ლარტყებს ჩაეჭიდა, ფეხის წვერებით უხერხულად უბიძგა ტანს, ვერ აზიდა და უმწეოდ მიაჩერდა გერშალოვს.

— რამდენი კილო ხარ? — იკითხა კაპიტანმა.

— მსუბუქი ვარ.

— ყოფაქცევას არ გეკითხები, წონა მაინტერესებს! ას კილოზე მეტი?

— არა, არა, გაცილებით მსუბუქი.

მიხვდა გერშალოვი, იგაუნისს უნდოდა ეთქვა — გაცილებით მძიმე.

— სულ ერთია, მაინც უნდა დავიპყროთ ეს სიმაღლე, — ორძელზე ანიშნა, — როგორი პარაშუტისტი უნდა გამოვიდეს შენგან, თუ...

— პარაშუტით ახლავე გადმოვხტები, ამხანაგო კაპიტანო! — სახე გაუნათდა იგაუნისს.

— ჯერ ორძელზე ახტი! — იჭექა გერშალოვმა.

იგაუნისი კიდევ ერთხელ შეეჭიდა სიმაღლეს, როგორც იქნა აბობღდა, ფეხები გადაატარა ლარტყებზე.

— აი ასე, გაგიჭირდა, მაგრამ მაინც გააკეთე, შემდგომში ივარჯიშებ და... გადმოხტი, რაღას უცდი! — შეუძახა გერშალოვმა.

— არ შემიძლია! — ახლა გადმოხტომაზე გაიდო თავპატიჟი.

— სცადე, ისე, როგორც ახტომა სცადე.

არც ბრძანებით, არც ხვეწნით არაფერი გამოვიდა, ბოლოს გერშალოვმა და აკალადამ ძლივს ჩამოიღეს გაჩაჩხული იგაუნისი ორძელიდან.

— სერჟანტო აკალადა! სადილის შემდეგ მანამ ავარჯიშებ, სანამ ყველაფერს 'თავისუფლად არ გააკეთებს.

— არის, ამხანაგი კაპიტანო!

ბაჩენის საათს მშობლიურ ენაზე მიაწყეველა იგაუნისმა და მწყობრისკენ წაბორძიკდა.

— საწყალი, მართლა მინარტყამი აქვს თავი თუ არა, ასე ოთხკუთხედი არ ექნებოდა დასაწყისში, — შეიცოდა ბერაიამ იგაუნისი, — შენ მითხარი, „უსტავს“ რა ისწავლის რუსულად, თორემ, ორძელზე მეგრულადაც რომ ვივარჯიშო, რას მიხვდება გერშალოვი.

სამწყობრო მომზადებისას ისევ იგაუნისი იყო პროგრამაში. მარცხენა ფეხის გადადგმაზე მარცხენა ხელსაც იქნევდა წინ

ლა ცირკის მასხარას ჰგავდა, ყველაფერს ხალხის გასართობად და დროს გასაყვანად რომ სჩადის.

სადილის შემდეგ სასწავლო კორპუსში ვიჯექით და წესდებებს ვსწავლობდით. ჩვენთან ერთად სერჟანტები, ჩაპლიკა და ანტიპოვი იყვნენ, ისინი მაგალითებით ავსებდნენ თეორიულ მასალას.

— აგაშენოთ ღმერთმა, — გაუხარდა ბერაიას, — რად უნდა ამას დაზეპირება, თუ ისე შეეასრულებთ, როგორც ჩაპლიამ გვითხრა. საინტერესო კია, სადაურია ეგ ბიჭი. გვარი მეგრელს უგავს, შავიცაა, ჩვენებური არ ალმოჩნდეს, მეგრულად არ აჟღურტულდეს თუ არა გადავირევი პირდაპირ. კითხე, თუ არ გეზარება, ჩემს მაგიერ.

— ამხანაგო სერჟანტო, სადაური ხართ?! — ეკითხე ჩაპლიას.

— ხმელნიცკის რაიონიდან, რად გაინტერესებს?

— მე არა, ბერაიას მეგრელი ეგონე.

— ეგლა მაკლია, — თქვა ჩაპლიამ და ვადაიხარხარა.

რვა საათზე ვივახშმეთ. შემდეგ თავისუფალი დრო გვქონდა. ამ დროს უმრავლესობა წერილების საწერად იყენებს. სანამ ძილის საათი მოაწევს, სამ-ოთხ წერილს ასწრებს ზოგი. ბერაია, ალბათ, ძუკუს გოგოს სწერდა წერილს. იგაუნისი თავის გაჭირვებას ატყობინებს შინაურებს ბირჟაიში. მახარაძე სამივე შეყვარებულს ეფიცება, ძალზედ მომენატრეთო. რიგელ გოლიათს — ტულიშს, ერთი ჰექტარი ენა გადმოუგდია და კონვერტს თაფლივით ლოკავს.

— გამარჯობა, გალკა! — დაიწყო ნოვიკოვმა. მერე კარგა ხანს სიტყვა ველარ მიამატა რომ დამეწყო წერილის წერა, ალბათ ასე მომივიდოდა მეც, დავწერდი ერთი გოგოს სახელს და ჩავყვინთავდი ფიქრებში. ამიტომაც არ დამიწყია წერა. ისედაც ბევრი საქმე ექნება ხვალ ფოსტმაისტერს ამათი გადამკიდე.

— საღამოს გასეირნებისთვის მოეწყ-ვეთ! — ეასცა ბრძანება ანტიპოვმა.

ზოგს შუაზე გაუწყდა ფრაზა. ზოგმა დაუმთავრებელი წერილი ჯიბეში შეინახა.

ერთ წუთში ორ მწკრივად მოწყობილი ასეული გასასვლელისკენ დაიძრა. ასეა განრიგით, ძილის წინ თხუთმეტწუთიანი გასეირნება გვაქვს სუფთა ჰაერზე.

— სიმღერა! — ბრძანა სერჟანტმა.

Безусые комбаты
Ведут своих орлят,
Когда поют солдаты,
Спокойно дети спят.

წამოიწყო ნოვიკოვმა.

Когда поют солдаты,
Спокойно дети спят.

ავყევით დანარჩენები.

— ძილის წინ, ალბათ, მარგებელია სიმღერა, — წამჩურჩულა ბერაიამ.

— ლაპარაკი წყობილებაში! — შეუწყრა ანტიპოვი.

ოცდაორ საათზე ჯარისკაცები იძინებენ, გამონაკლისები მხოლოდ გუშაგები და მორიგეები არიან, ისინი ფხიზლად უნდა იდგნენ სადარაჯოზე. კარანტინში მყოფი ახალბედებისათვისაც ოცდაორ საათზეა ძილი. თუ ასეულში ურევია ისეთი ჯარისკაცი, როგორიც იგაუნისია, შეიძლება ეს დრო ერთიორი საათით გადავადდეს. ვისაც ამ ამბავზე ბუნდოვანი წარმოდგენა გაქვთ, მინდა მიგიწვიოთ გასაყრისის ერთ საღამოზე.

საძილე სათავსოს შესასვლელში, ტუმბოსთან მდგომი მორიგე, ოცდაორ საათზე ბრძანებას იძლევა.

— ასეულო, მოეწყვეთ საღამოს შემოწმებისათვის!

ყველა ეწყობა ერთ მწკრივად. სერჟანტი იწყებს სიის ამოკითხვას.

— რიგითი აფანასიევი!

— ვარ!

— რიგითი ბონდარევი!

— ვარ!

— რიგითი გოგიაშვილი!

— ვარ!..

შემდეგ სერჟანტი პატაკს აბარებს ასეულის უფროსს და მისგან ღებულობს ნებართვას გასცეს გასაყრისის ბრძანება. ჯარისკაცები დგებიან თავთავიანთი საწოლის წინ. სერჟანტს, ბრძანებას რომ იძლევა, ხელში წამმზომი უჭირავს. ტანსაცმლის გახდა და ლოგინში ჩაწოლა თვითეულმა უნდა მოასწროს ორმოცდახუთი წამის განმავლობაში, საკმარისია, რომელიმემ თუნდაც ერთი წამით დაიგვიანოს, ყველასათვის ყველაფერი თავიდან იწყება.

იგაუნისმა პირველ ცდაზე ქამრისა და გიმნასტურის ღილების შეხსნა მოასწრო მხოლოდ. უკვე ერთი წუთი იყო გასული და აკალადას მისჩერებოდა, გავაგრძელო გახდა თუ აღარაა საჭირო, მაინც ხელახლა ჩასაცმელი მაქვსო. ყველას მოესწრო დაწოლა. მარტო ტულიში იდგა თეთრი საცვლების ამარა. ისიც იგაუნისივით ფიქრობდა, შეგორებულიყო ლოგინში თუ ისევ ჩაცმა დაეწყო.

— დასტოვეთ! — ისმის სერჟანტის ხმა.

ბრძანებისთანავე ყველანი უნდა ადგნენ, ისევ ჩაიცვან და ყველაფერი ხელახლა გაიმეორონ. ამ დროს იგაუნისზე და ტულიშზე ცუდ მდგომარეობაში სხვები ვარდებოდნენ. სინქარეში გახდილი ტანსაცმელი ერთმანეთისაში ერეოდათ. ქუდი, ქამარი, ჩექმები, ყველას საძებარი ჰქონდა. სანამ დანარჩენები გაარკვევდნენ სჩვისას და თავისას, იგაუნისი და ტულიში ერთმანეთს ესაუბრებოდნენ.

— სადმე რომ გვეჩქარებოდეს, სხვაა, გაიხადე ნელა, ვინ მოგდევს... ორმოცდახუთ წამშიო, დაუყენიათ, ცეცხლი გვიკიდია თუ რა... ზვაჭირეს საქმე, — ამბობდა ტულიში.

იგაუნისი თავს უქნევდა, ამასაც ძალიან ნელა აკეთებდა.

როგორც იქნა, ყველამ ჩაიცვა.

— შეხედეთ ეოვერსს, ორი მარჯვენა ფეხი აქვს, — გაიცინა ტულიშმა.

— ისე, როგორც შენ გაქვს ორი მარცხენა, — იქვე გააწყვეტინა სიცილი აკალადამ.

— მართლაც ცალ-ცალი ჩამიცვამს, — აბურდღუნდა ნირწამხდარი.

— ასე იქნება ყოველთვის, სანამ ჩვენს სერჟანტს წამმზომი ექნება ხელში, — ორი სიტყვა თავისთვის ჩაიღრუტუნა იგაუნისმა.

— „ატბოი!" — გასცა ბრძანება ანტიპოვმა.

ატყდა ერთი აურზაური, თითქოს მიწა ინძრაო. აქა-იქ ანყვეტილი ღილების კაჩა-კუსიც ისმოდა. ახალწვეულები დასაძინებლად ემზადებოდნენ, ოთხი მომღიმარი სერჟანტი არსეინად ადეკსებდა თვალს სანახაობას.

— დასტოვეთ! — კვლავ გაისმა ბრძანება.

ტულიში პირვანდელ მდგომარეობაში დარჩა, იგაუნისს კი, შარვლის ცალი ტოტიდან ჰქონდა ფეხი გამოღებული, ბრძანება რომ შემოესმა, ტყვიანაკრავივით შეხტა.

— სად ეჩქარებათ, ცეცხლი რომ გვეკიდოს, გასაგებია, — უკვე მერამდენედ ამბობდა ტულიში იგაუნისის გასაგონად, თან ისეთი სახე ჰქონდა, გეგონებოდათ, იგაუნისს სამძიმარს ეუბნება, შარვლის გახდას დროზე რომ ვერ ახერხებსო.

იგაუნისმა ჩექმები გაიხადა და შარვლიან-გიმნასტურიანად შეგორდა ლოგინში.

— რიგითო იგაუნის, ადექი! — დაიყვირ ანტიპოვმა.

იგაუნისი არც განძრეულა. ანტიპოვმა გაიმეორა ბრძანება. იგაუნისი ხმას არ იღებდა.

— ეტყობა, დაემდურა ანტიპოვს, — შეწუხდა ბერაია.

ანტიპოვი იგაუნისის საწოლთან ძივიდა, საბანი გადააძრო, შესამედ გაუმეორა ბრძანება, იგაუნისი თვალგახელილი მიცვალებულივით იწვა და ჭერს მისჩერებოდა.

— იგაუნის, დიდხანს იქნები ასე?!

— აბა, რა ვქნა, ვერ ვასწრებ, ხვალ დილით ადგომაზეც ერთ ამბავს დამიწევთ, მირჩევნია, ასე დავწვე, გამოწყობილი.

— ეგ შეუძლებელია! უნდა ივარჯიშო, სანამ დროში არ ჩაეტევი. ამჯერად ადექი! მოიცვენე ტაშტი და ტილო, დერეფანს მიწმენდ!

იგაუნისი წამოდგა. თითქოს გაუხარდა კიდეც, ასე იოლად რომ გადარჩა.

— არ მეგონა, თუ მორიგდებოდნენ! — უკვირდა ბერაიას.

ასეთი ვარჯიშის შემდეგ ყველა მკვდარივით იძინებს.

დილით, ექვს საათზე, მორიგე სინათლეს აანთებს, ადექითო, გასცემს განკარგულებას, უნდა წამოხტე და სასწრაფოდ ჩაიცვა.

— მაინც რა ჩქარა თენდება, ეს ოხერი? — ჯაერობდა ბერაია ყოველ დილით.

— განთიადში უფრო ნელა თენდება? — კითხულობს გორგოძე.

— განთიადში ორ-სამ სიზმარს ენახულობდი, აქ ერთის ნახვასაც ვერ ვასწრებ, ძუკუს გოგო მყავდა პაემანზე დაბარებული გაბისონიას მანდარინებში, ადექით, იღრიალა მამაძაღლმა ოვერსმა და ისე გამომიყვანა სიზმრიდან, ველარ მოასწრო მოსვლა ძუკუს გოგომ, — თან მეგრულად დაუმატა ოვერსის მისამართით, — მუ ოღვარაფუანს თე უმინჯურს!*

ცხრა საათამდე უნდა მოვეესწრო პირის გაპარსვა, გიმნასტურაზე თეთრი საყელოს გამოკერება, აწყვეტილი ღილების დაკერება, საუზმე.

ცხრაზე მეცადინეობა იწყებოდა სასწავლო კორპუსში.

პირველი საათი შინაგანაწესის გამოკითხვა იყო. კაპიტანი ჯერშალოვი პირწმინდად მოჰყვა ყველას და წესლების პირველ მუხლს იბარებდა ხან ლიტვურ, ხანაც ესტონურ კილოკავზე.

გერშალოვმა მთელემარე ბერაია შენიშნა.

— რიგითო მახარაძე, გააღვიძე შენი მეზობელი!

მახარაძემ ბერაია შეანჯღრია.

— რა მოხდა, ბიჭო, რომ დამეტაკე სულთამხუთავივით.

— ახლაც გაბისონიას მანდარინებში ხომ არ იყავი? — ჩურჩულით იკითხა მახარაძემ.

— მანდარინებში არ ვიყავი, მაგრამ, სადაც ვიყავი, იქ მირჩევნოდა ნამდვილად.

— ლაპარაკი, — ეაწყვეტინა კაპიტანმა, — რიგითო ბერაია! გამოფხიზლდი?

— მთლიანად, ამხანაგო კაპიტანო!

— მაშ მიპასუხე, რას გვასწავლის შინაგანაწესის პირველი მუხლი?

---

* რა აღრიალებს ამ უპატრონოს.

ბერაია წ. ბოსაზინდა.

— თუ ძმა ხარ, მიკარნახე დაწყება, — წასჩურჩულა მახარაძეს. გერშალოვს მისჩერებოდა, მახარაძეს უსმენდა, სიტყვიდან სიტყვამდე კაისელა შესვენებას აკეთებდა, რომ მახარაძის მიერ ნაკარნახევი ასალი სიტყვა დაეჭირა. ბერაიას ლაპარაკზე გერშალოვს ეღიმებოდა, ალბათ პირველად ისმენდა შინაგანაწესს მეგრულ კილოკავზე. როგორც იქნა, დავინახე გაღიმებული გერშალოვი. თვალები მაინც სევდიანი ჰქონდა. „ნეტა რა აწუხებს ამ კაცს?“ ვფიქრობდი ჩემთვის.

მეორე საღამოს, ძილის წინ, აკალადამ წამმზომი რომ მოიმარჯვა, იგაუნისმა მწყობრი მიატოვა და გასასვლელისკენ დააღირა თავი.

— საით, რიგითო იგაუნის?

— ტაშტისა და ტილოს მოსატანად, ბოლოს მაინც ამით დავამთავრებ, დროზე მირჩევნია მოვრჩე საქმეს.

— დადექი რიგში! — ბრძანა აკალადამ.

ოთხჯერ გავიხადეთ და ჩავიცვეთ იგაუნისის გამო, უკეოესობა ეტყობოდა, მაგრამ იმ ღღესაც მოაწმენდინეს დერეფანი და იმ კვირაშიც წმენდდა სულ. ბოლოს იგაუნისიც ჩაეტია დროში, ბერაია როგორც იქნა შეხვდა ძუკუს გოგოს გაბისონიას მანდარინებში, შუალამეზე წამოაბოდებდა ხოლმე, „გაბისონიაშ სამანდარინეს გეშებხვადათ, ძღაბი“* — და ჩაწყნარდებოდა.

3

ჯერ არ არსებობს ისეთი სასწორი, იმ სიხარულის აწონა შეეძლოს, ჯარისკაცი წერილთან ერთად რომ ღებულობს. პირველი წერილის ფასს ვერ გაიგებ, თუ თვითონ არ მიგიღია. პირველი წერილები დედებისგან მივიღეთ. შინაარსი თითქმის ერთნაირი იყო: „როგორ ხარ? ხომ არ გცივა? ხომ არ გშია? ხომ არ გწყურია?“ ზოგ-ზოგებს დედის წერილი არ

* გაბისონიას მანდარინებში შევხვდეთ, გოგო.

მიულიათ და ასე მეგონა, მათ მოსწყურდებოდათ, შეცივდებოდათ, მოშივდებოდათ...

ჯარისკაცი, წერილების დასტა რომ უჭირავს, სასწაულმოქმედივით დგას გარშემორტყმულ ბიჭებში და იბოლი მარგალიტივით არიგებს ბარათებს. ტულიშმა მიღებისთანავე გახსნა კონვერტი და „შიგ ჩაძერა". სალასპილსელი ვალტერსი ყაზარმის თავისუფალ კუთხეში მიიყუჟა. სხვა კუთხეებიც დაეკავებინათ უკვე და ვარჟგალისმა რომ წერილი მოიგდო ხელში, მეხუთე კუთხის ძებნა დაიწყო. ყოველმა ბარათი ჩაბღუჯა და მოსაწევი ოთახისკენ მოჰკურცხლა.

ერთ დღეს მე ვარიგებდი ბარათებს. ბერაიას წერილი ბოლოში ამოვდე. ყველა დანარჩენი ადრესატს ჩავაბარე. ბოლო წერილი კი, რომელიც ჩემს ირგვლივ შეგროვილ ოცამდე ბიჭის იმედად შემორჩა, გავკეცე და ჯიბეში შევინახე.

— ესეც მე! — ვთქვი ხმადაბლა.

ოციოვეს თვალებში აბრწყინებული იმედის პატარა ნაპერწკალი ბარათს ჩაჰყვა ჯიბეში, ბერაიაც იმ ბიჭებში ერია.

— ვიხუმრე, ომარ, ეს ბოლო წერილი შენია, აჰა! — გავუწოდე.

გადამეხვია. გულჯიბიდან მეორე ბარათი ამოიღო, გაუხსნელი ბარათი. ახალი მიღებული მის ადგილზე შეინახა.

— ეგ წერილი როდის მიიღე? — ვეკითხები გაკვირვებული.

— ეს? — იქით კვირაში. ასე ვიცი სულ, მიღებისთანავე რომ წავიკითხო, ახლის მიღებამდე ხომ გამისკდა გული. ამიტომ ვინახავ და სანამ მეორეს მივიღებდე, ამით ვსუნთქავ, წაუკითხავი ბარათი რომ მიდევს ჯიბეში. ახლა ამას წავიკითხავ და მეორე აგერ მაქვს, მესამეს მიღებამდე გამაძლებინებს ალბათ.

— ძუკუს გოგოს წერილი რომ მიიღო, იმასაც წაუკითხავს შეინახავ?

— მეეჭვება, მივიღო მისი წერილი. თუ მივიღე, იმასაც დიდსანს შევინახავ.

— რა მოგათმენიებს.

— რა ვიცი, რას მომწერს და იმ წუთში გულისწყვეტის მირჩევნია, იმედად ვატარო.

ერთ დილით კაპიტანი გერშალოვი მეცადინეობაზე ავტომატით შემოვიდა. დაფასთან ავტომატის ნახაზიც ჩამოკიდა და გვითხრა:

— დღეს გავეცნობით კალაშნიკოვის ავტომატს.

ყველაფერს ვიწერდით, გვიჩვენა კიდეც, როგორ იშლება ავტომატი, როგორი თანმიმდევრობით უნდა დალაგდეს, რომ აწყობის დროს არ შეგეშალოს.

სადილობის შემდეგ სერჟანტების დახმარებით ყველა კარგად გაეცნო ავტომატს. ვინც ორმოცდახუთ წამში ააწყობდა, ხუთი ეწერებოდა, ორმოცდაათ წამში — ოთხი, ორმოცდათხუთმეტში — სამი, წუთს ვინც გადააცილებდა, ორიანის გამოსწორებამდე უნდა ევარჯიშნა.

იგაუნისმა სამი მიიღო, ტულიშმა ოთხი, ბერაია ვერ იქნა და ვერ ჩაეტია დროში. სწრაფად იწყებდა წყობას, მაგრამ ან თანმიმდევრობა შეეშლებოდა, ან ხელები დაებორკებოდა. წუხდა, მალე გადის წუთიო. „დასაკრავი ინსტრუმენტი რომ იყოს, ხელათ ავაწყობდი. ამაზე გული არ მიმდის", — თავს იმართლებდა ოფლში გახვითქული და საკეტს უკულმა ტენიდა ბუდეში.

— ეხ, სო რექ მუაჩქიმი, მუშენ ვაუჯინექ ჩქიმ გაჭივრებას!*

— ვის უხმობ ასე მწარედ? — ეკითხება მასარაძე.

— მამაჩემს, ბიჭო, მამაჩემს! იარაღი უყვარს ძალიან, ერთ სიტყვას მაინც წამაშველებდა, რომ მიყურებდეს, ავტომატს კი არა, საათს ამაწყობინებს.

— რა მოხელე-ნაჩალნიკია მამაშენი? — დაინტერესდა გორგოძე.

— მეწისქვილედ მუშაობს განთიადში. წყლის წისქვილი აქვს, თავის ხელით ააწყო სულ.

— წისქვილი თუ ააწყო, საათს რა დიდი ამბავი უნდა, შე კაცო.

---

* სად ხარ მამაჩემო, ჩემს გაჭირვებას რომ არ უყურებ!

— ახლა თქვენ არ გაიცინოთ და მამაჩემი ჭკვიანი კაცია მართლა. დიდი ხანია მეწისქვილედ მუშაობს, სიმინდს რომ ჩაცლიდა, ჩამოფქვამდე კაიმალი დრო რჩებოდა, ჰოდა, ის დრო ტყუილა არასდროს გაუცდენია. სულ რაღაცეებს ფიქრობდა, რაღაცეებს ამარტივებდა. მაგალითად, გამომრთველი რომაა სინათლის, დაშალა, თვრამეტი ნაწილი დაითვალა შიგ. ახლა თქვენ გაიკვირდებათ, მაგრამ ასეა, თვრამეტი ნაწილიდან სამად სამი დატოვა და მაინც იმუშავა. ისმება კითხვა: რაღა საჭიროა დანარჩენი თხუთმეტი? დროისა და მასალის ხარჯვაა მხოლოდ. ახლაც ის გამომრთველი აქვს წისქვილში. მართალია, სინათლეს აღარ აქრობს, მაგრამ დღედაღამე საჭიროა სინათლე, რად უნდა გამორთვა.

— წისქვილში უნდა იფქვილებოდეს ამისთანა თავი? — გაიცინა მახარაძემ.

— შენ იცინე და გადაირია პერტენავა — ჩვენი გეოგრაფიის მასწავლებელი, რესპუბლიკის გამომგონებელთა საბჭოში გაგზავნე, ბევრ ფულსაც მოგცემენ, ბევრსაც შეგპირდებიანო. თვითონ დააწერია ყველაფერი.

— გაგზავნეს? — ისევ დაინტერესდა მახარაძე.

— არ მოასვენა და გაგზავნა ბოლოს.

— აბა, პრემიას მიიღებდა.

— არა, კაცო, არც ფული მიუციათ და არც შეპპირებიან ისე მგონი წარმოებაში კი ჩაუშვეს მამაჩემის წინადადება, ხობის რაიონში არ გამოაჩინეს თუ არა, ყველგან მიუღიათ ისეთი გამომრთველები, სინათლეს რომ არ აქრობდა. ვიღაცამ მიითვისა ალბათ მამაჩემის აზრი. ხომ იცით, ნაცნობი უნდა გყავდეს ვინმე, დღეს ისე ვერაფერს გააკეთებ. ეგ კი არა, ტელევიზორში ნახევარი ნაწილები ამოიღო, ხელს უშლის მუშაობაშიო, მშვენივრად აჩვენებს მაინც, მართალია, დიქტორს ორი თავი აქვს, მაგრამ გამოსახულება ზღაპრულია.

— ყოველთვის ორთავიანი მოჩანს? — დაინტერესდა მახარაძე.

— ყოველთვის არა, როცა ჩართულია.

ბერაიამ ავტომატი დაშალა, დააწყო თანმიმდევრობით და მანიშნა წამმზომი ჩართეო.

— ტკაპ! — ჩავრთე.

„მოპკურცხლა“ ბერაიამ, ოც წამში ააწყო ნახევარი ავტომატი, მერე ისევ უკულმა მიაწვა საკეტს და შემოეხარჯა წუთი.

— არა, უნდა მივწერო ვალიკო ბერაიას ისევ. აიღებს კალაშნიკოვის ავტომატს, გაამარტივებს, გაანხევრებს ნაწილებს და ნახეთ, თუ არ ჩავეტევი დროში.

ბიჭებმა გადაიხარხარეს.

— რა გაცინებთ, სროლით მაინც ისვრის და მეტს ესეც არაფერს აკეთებს, აგერ რომ ყრია დაშლილი.

— კიდევ კარგი, მამაშენს ნაცნობი რომ არა ჰყავს, თუ არა, ვინ მოთვლის რამდენ რამეს დაშლიდა, — ვუთხარი ბერაიას.

— ააწყობდა კიდეც, — შემომიტია ბერაიამ.

10

პარაშუტის ძირითად ნაწილებს და მის დაკეცვას ვსწავლობდით. სხვადასხვა სავარჯიშო იარაღებზე გავდიოდით წვრთნას. ერთ იარაღს ეშმაკის ბორბალი შევარქვით. შიგ გამრავლების ნიშანივით გაჩაჩხულს ხელ-ფეხი მაგრად უნდა გქონოდა, თორემ გაყოფის ნიშანს დაემსგავსებოდი. უნდა გებრუნა, რამდენსაც შეძლებდი, მერე კი, მწყობრში დამდგარიყავი ფეხის აურევლად, ვგონებ, ადვილად მოვყევი. საქმით უფრო ძნელია, განსაკუთრებით პირველ ხანებში.

ჩვენს გასაოცრად იგაუნისი უყოყმანოდ გაემართა იარაღისკენ. დიდხანს ატრიალა ბორბალი, გააჩერა, გადმოვიდა, ისე დადგა მწყობრში, ვითომ აქაც არაფერი, ჩემმა რიგმაც მოაწია. წაღმა დავაბრუნე ბორბალი. ჯერ ნელა, მერე ცოტა ავაჩქარე. სიამოვნება ვიგრძენი დასაწყისში, მერე და მერე ვაჯირდა საქმე. ცა, სტადიონი, მიწა, შტაბის კორპუსი, ისევ და ისევ სტადიონი, მიწა... მიწა... მიწა... თავბრუ დამესხა და ყველაფერი გაქრა. ცოტა ხნის მერე თვალები გავახილე, მაგრამ ვერაფერს ვხედავდი. გაჩერდა ბორბალი.

— გადმოდი! — მესმის გერშალოვის ხმა.

— როგორ გადმოვიდე?!

— ნუ გეშინია! — წამაქეზა ისევ.

პირველად ხელი გავუშვი თუ ფეხი გადმოვიღე, აღარ მახსოვს. ძირს კი მოვადინე ზღართანი. ყველაფერი ბრუნავდა, ფეხზე დადგომას შევეცადე, ისევ ავყირავდი. ვიღაცამ ხელი შემაშველა, წამომაყენა და მწყობრისკენ წამიყვანა. თანდათან მოვედი გუნებაზე, ახლა გავარჩიე, გერშალოვი ყოფილა.

— რაგორაა საქმე? — მკითხა კაპიტანმა.

— ახლა კარგად, წელან კი დავეთანხმე გალილეისაც, ჯორდანო ბრუნოსაც, კოპერნიკსაც და ყველას, ვინც ამტკიცებდა დედამიწა ბრუნავსო. დედამიწა მართლაც ბრუნავს, ამხანაგო კაპიტანო.

— ბრუნავს, გოგიაშვილო, ბრუნავს და ჩვენც იმიტომ ვართ აქ, რომ დედამიწამ იბრუნოს, წაღმა იბრუნოს. — ხმადაბლა ნაილაპარაკა გერშალოვმა და სევდიანი მზერა თვალსაწიერს გაუშტერა. ჩვენკენ არ მოუხედავს, ისე ბრძანა:

— შეისვენეთ! ნაშუადღევს პარაშუტის დაკეცვაზე ვივარჯიშებთ.

მოსაწევ ადგილს მივაშურეთ. სერჟანტებიც ჩვენთან ერთად იყვნენ. სავარჯიშო მოედნისკენ გავიხედე. გერშალოვი ისევ იქ იდგა. ღერძს ორივე ხელით ჩამოყრდნობოდა და მიწას ჩასჩერებოდა.

— ამხანაგო სერჟანტო! — მივმართე აკალადას, — იქნებ იცი, რა აწუხებს კაპიტანს, ყოველთვის გულჩათხრობილა რომაა?

— მაგას თუ არა, მაშ, ვის აწუხებს, — აკალადამ სიგარეტი მოქაჩა, ლაპარაკი შეწყვიტა, ეტყობოდა, გააგრძელებდა, მხოლოდ იმას ფიქრობდა, როგორ და საიდან დაეწყო.

— შარშანდელი ამბავია, გერშალოვი მორიგე იყო შტაბში. დღის ორი საათი იქნებოდა, პოლიტნაწილის უფროსი, პოლკოვნიკი კულიკოვი მოედა.

გერშალოვმა მოახსენა:

— ამხანაგო პოლკოვნიკო, ჩემი მორიგეობის დროს ნაწილის შტაბში სრული წესრიგია!

— თავისუფლად, თავისუფლად, ამხანაგო კაპიტანო! ნაწილში სრული წესრიგია, — გაიმეორა კულიკოვმა, ნაიარევი ხელით შუბლი მოისრისა, თითქოს რაღაც გაახსენდაო, თქვა: — ამხანგო კაპიტანო, მორიგეობას მაიორ ფირსოვს გადააბარებ, შინ გელოდებიან, მორიგე მანქანა წაიყვანე.

გერშალოვი აფორიქადა.

„რა ამბავიაო" — ძლივძლივობით ამოდერღა, მაგრამ კულიკოვი უკვე ვილისში ჯდებოდა.

გერშალოვს შინ ცუდი ამბავი დახვდა. შვილი აღარ ჰყავდა, მეხუთეკლასელი კოლია. ორ თანატოლთან ერთად მდინარის ნაპირზე ჩასულიყო მანქანის რადიატორის ამოსატანად. ჯართს აგროვებდნენ თურმე პიონერები. ძვრა ვერ უყვეს, მავთულები ჩაუბამთ, ერთად მოუწევიათ, ამას აფეთქება მოჰყოლია და სამივე... მას მერე ასე დადის, ცოცხალ-მკვდარი. ერთ წელიწადში განახევრდა კაცი. ოცი წლის წინათ გერშალოვის უფროსი ძმა გამარჯვების დღეს ბერლინში ბრმა ტყვიით განგმირულა. ოცი წლის შემდეგ ბრმა შემთხვევამ დაღუპა ისევ.

სამივე ბავშვი ძმათა სასაფლაოზე დამარხეს. მშობლებიც ზეზეულად დამარხულებს ჰგვანან მას შემდეგ. გერშალოვი მოუსვენარი კაცი იყო, კარგი სპორტსმენი, კარგი მომღერალი, ენაკვიმატი... ყველაფერი პატარა კოლიამ მოსტაცა, დარჩა ასე, — თავი გადააქნია გერშალოვისკენ აკალადამ.

ბიჭებმა იქით გაიხედეს. კაპიტანმა თითქოს იგრძნო, ჩვენკენ მობრუნდა, გვიყურა კარგა ხანს, მერე შინელი გაისწორა და შტაბის შენობისკენ წავიდა.

11

ერთი კვირის შემდეგ კარანტინი მთავრდებოდა. ნელ-ნელა ვაზიზინდა სამი თვე. ბიჭებმა ყველაფერი კარგად აითვისეს. ივანუნისი თავისუფლად ვარჯიშობდა ორძელზე. ბერაიას აღარ დასჭირვებია ავტომატის გამარტივება. მეც შევეჩვიე იმ საქარჯიშო ბარაღს, „საშრობს" რომ ეძახდნენ ზედმეტ სახელად.

სერჟანტი აკალადა შტაბში გამოიძახეს. მალე უკანვე დაბრუნდა, ერთ მწკრივად მოგვაწყო და გვითხრა:

— პოლკოვნიკ ფომინცევს ეს ნივთი გდამოვარდნია, — აკალადამ მაგიდის კალენდარის გატეხილი ხის სადგარი დაგვანახა, — რომელიმე თქვენგანს ხომ არ შეუძლია შეაკეთოს?

ცოტა შევიცადე, რომ არავინ გამოეხმაურა, ნაბიჯი წინ წავდგი.

— შეაკეთებ? — დამეკითხა სერჟანტი.

— თუ საჭიროა, ახალსაც გავაკეთებ.

ამის მერე სერჟანტმა დიდხანს მავარჯიშა, როგორ შევსულიყავი შტაბის უფროსთან სამწყობრო ნაბიჯებით, მიმეცა სამხედრო სალამი და მომეხსენებინა: „ამხანაგო პოლკოვნიკო, რიგითი გოგიაშვილი თქვენი ბრძანების თანახმად გამოცხადდა!“ მერე შტაბის შენობისკენ შემაბრუნა, მხარზე ხელი დამკრა და მითხრა:

— აბა, შენ იცი!

შტაბის უფროსის კაბინეტის რბილ კარზე ვერც დავაკაკუნე, ვერც ისე შევაღე და უხერხულ სიარულს მოვყევი დერეფანში წინ და უკან. მოპირდაპირე ოთახიდან ქერათმიანი ჯარისკაცი გამოვიდა, ამხედ-დამხედა, მაგრძნობინა — აქ შენზე შინაური ვარო.

— ვისთან ხარ? — მკითხა ქედმაღლურად.

— შტაბის უფროსთან.

— მარჯვნიდან მეორე კაბინეტი.

— დაკეტილია, — ვიცრუე.

— არა მგონია, — კართან მივიდა, თამამად შეაღო, — ამხანაგო პოლკოვნიკო! თქვენთან ახალბედაა ერთი.

— შემოვიდეს! — შეეხმიანა დახვეწილი ბარიტონი.

საკმაოდ სრული ოთახის ბოლოში, ფანჯარასთან, საწერ მაგიდას უჯდა სასიამოვნო შესახედაობის შუახნის ოფიცერი. სამწყობრო ნაბიჯებით გავემართე შტაბის უფროსისკენ. პოლკოვნიკი წამოდგა, სახეზე ღიმილმა გადაურბინა. მისგან სამ ნაბიჯზე ფეხი ფეხს მივადგი და ხმამაღლა დავიწყე:

— ამხანაგო პოლკოვნიკო!..

— საიდან ხარ? — შემაწყვეტინა.

— საქართველოდან!

— გვარი?

— გოგიაშვილი!

— საოცარი დამთხვევაა, ისიც ქართველი იყო, ემზარს ეძახდნენ, მისი გაკეთებულია ეგ სუვენირი... სულ თვალწინ მიდგას...

დემობილიზაციამდე ეროი თვეღა ჰქონდა დარჩენილი. ნაწილში ცნობა მოვიდა, დანაღმული ველის უვნებელყოფას გვთხოვდნენ. სალიკვიდაციო ჯგუფს ემზარიც გააყოლეს თურმე. ასეთ საქმეებში გამოცდილი იყო. იმ დღესვე შევიტყვეთ: სხვების გადასარჩენად გაუწირავს თავი. ნაღმს ემზარი დაუფლეთია მხოლოდ... ჰოდა, თუ შეგიძლია, გამიმთელე ეს ნივთი.

— ამხანაგო პოლკოვნიკო! ხვალ საღამოსვე დაგიბრუნებთ შეკეთებულ დაფას. ნება მომეცით წავიდე!

— წადით!

რაც კი დამჭირდა, მასალა თუ იარაღი, ყველაფრით აკალადა მამარაგებდა.

მეორე დღეს უფრო თავისუფლად შევაღე შტაბის უფროსის კაბინეტის კარი. დაფას ქაღალდი შემოვხსენი, საწერ მაგიდაზე დავდე. ფომინცევს თვალები გაუბრწყინდა.

— ერთ კვირაში კარანტინი მთავრდება, ახალბედებს დივიზიონებში ვაგზავნით ქვეგანაყოფების შესავსებად. შენ, თუ გსურს, აქ დაგტოვებთ, შტაბში.

— როგორც გენებოთ.

— რაო, პოლკოვნიკმა, მოგიწონა ნამუშევარი? — მკითხა აკალადამ უკან დაბრუნებისთანავე.

— მომიწონა, შტაბში მტოვებს სამსახურის გასაგრძელებლად.

— დაგტოვებს, აბა, არ დაგტოვებს? აუცილებლად, ხვალ...

— ხვალ რატომ, კარანტინის შემდეგ დაგტოვებო.

— იმედი გაქვს? კარგია! — ჩაიცინა სერჟანტმა.

მახარაძე უგუნებოდ დამხვდა.

— რა მოვიგიდა, შენს ცხვირს კიდევ ჩამოშვება უნდა? — ვეკითხები მურთაზს.

— გამომიჭირეს, ვირთხასავით გამომიჭირეს...

— რა მოხდა, გამაგებინე!

— მაგი რას გაგაგებინებს ახლა, სადაა ხასიათზე, კედელზე გადიოდა წელან, მაგრამ არ ვავუშვი, — ჩაგვერია ბერაია.

— რა მოხდა, ომარ, შენ მაინც მითხარი?!

— წერილი მიიღო სამშობლოდან.

— რა წერილია ასეთი, ხომ მშვიდობაა, ბიჭო! — ისევ მურთაზს მივაშტერდი.

მურთაზმა ბალიშის ქვემოდან დაკუჭული წერილი გამოიღო და მესროლა. სანამ გავშლიდი და წავიკითხავდი, თითქმის მივხვდი, რაშიც იქნებოდა საქმე.

წერილი მოკლე იყო. სასიამოვნოდ იწყებოდა:

„ჩვენო საყვარელო მურთაზ!

სამივეს ძლიერ გვიყვარხართ, შენ რომ ჯარში გაგაცილეთ, იმ ღღეს უფრო ახლოს გავიცანით ერთმანეთი, დაუმეგობრდით კიდეც. კარგი ჩიტი ყოფილხარ. შენგან მიღებულ წერილებს ერთმანეთს ვუკითხავთ. ეს რა ზრდილობაა, მაგრამ სხვანაირად ვერ მოვახერხეთ, სოფიკოს წერილი ნანას კონვერტში იყო, ნანასი — მარინას კონვერტში. ეს ჩრაფერი, ადრეც ვხვდებოდით, არეული რომ გქონდა მისამართი. შენ არც აწი დაებნევი გზას.

წერილებს მოგწერდით, მაგრამ ერთმანეთის გერცხვენია. შენგან პასუხებს აღარ ველით!

ნანა, სოფიკო, მარინა“.

„ჩვენ უნდა ვდიოთ აწი სხვა ვარსკვლავს“, — წაულექსა ბერაიამ.

— სხვა ვარსკვლავებს, — შევუსწორე.

— თქვენ არხეინად იყავით, ეგ არაფერი. — აქეთ დაგვამშვიდა მახარაძემ და მეორე ბარათი გამოგვიწოდა, წერილს სურათიც ახლდა. ეშხიანი გოგონა გეიეურებდა სურათიდან.

— ვინაა, ბიჭო, ეს ანველოზი?!

— უმცროსი და ყოფილა რიგითი ვოვერსის, — ისევ ბერაიამ დაასწრო მურთაზს.

— მისამართი მაინც ვინ მოცა?

— რიგითმა ვოვერსმა, — გამოაჯავრა ბერაიას მახარაძემ, — ვოვერსმა მითხრა: ჩემს დას ძლიერ მოსწონს შავი ბიჭებიო. მივწერე წერილი, შენი გაცნობა მსურს-მეთქი და ა, ბატონო, პასუხიც.

„ძვირფასო მურთაზ!..“

ასე იწყებდა წერილს ვოვერსის და, ბალტიისპირელი ქერა მზეთუნახავი, სკაიდრიტე. ვილნიუსში პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ვსწავლობო, ზაფხულის არდადეგებზე ძმასთან ჩამოვალ და გნახავ აუცილებლად. გაცნობით გავეცანით ერთმანეთს, ასი გავაღრმაოთ ნაცნობობაო.

— გავაღრმაოთ, გავაღრმაოთ! — ხმამაღლა გაიმეორა მახარაძემ და ვოვერსს დის სურათი დაანახვა.

ვოვერსი მოგვიახლოვდა, სურათს დახედა.

— სკაიდრიტემ გამოგიგზავნა? — ღიმილით ჰკითხა მურთაზს, პასუხი რომ მიიღო, გადაიხარხარა, მერე სურათი ლიტველებს აჩვენა და იმათაც კარგა ხანს იცინეს.

— რა გაცინებთ? — იკითხა დაბნეულმა მახარაძემ.

— არაფერი, ზაფხულზე ჩამოვა და გაგაცნობ! — სურათი დაუბრუნა ვოვერსმა.

— შენ რაღა გიხარია, — ეკითხე ბერაიას, — მოუსვენრობა რომ შევნიშნე.

— მეც მივიღე ბარათი, აქა მაქვს, — ხელი გულზე დაირტყა.

— ძუკუს გოგომ მოგწერა თუ?!

— მომწერა, მომწერა, ლევანს ვენაცვალე, ნახე რა ხელი აქვს, ხატავს პირდაპირ, — კონვერტი მაჩვენა ბერაიამ.

— ჯერ არ წაგიკითხავს?

— ჯერ არა!

— გადამრევს ეს კაცი!

— ახლა რა წამაკითხებს, მაცალეთ სიხარულის მონელება.

— რამდენ ხანში მოინელებ, მაინც?

— ვნახოთ.

ორი დღე ინელებდა ბერაია სიხარულს, კიდევ აპირებდა გაძონელებას, მაგრამ მე და მახარაძემ ველარ მოვითმინეთ, დავიჭირეთ და ძალით ამოვუღეთ ჯიბიდან წერილი.

— შენს სიცოცხლეში ველარ წაიკითხავ ამ ოთხ წერილს, შე ბრიყვო, — უთხრა მახარაძემ .და ოთახიდან გავარდა.

— გამიშვი თუ არა, ეგ დამთხვეული მარილ დამიკარავს წერილს, მობრუნდი, ბიჭო, წავიკითხავ, მოდი!

ადრინდელ გუნებაზე ველარ დარჩა ბერაია წერილის წაკითხვის მერე.

— რაო, რას გწერს ძუკუს გოგო ამნაირს.

— არაფერს, ყველაფერი კარგად არისო, მეც კარგად ვარო, ჯერ არ მოუთოვიაო, უცხო ენაში ვემზადებიო, უნივერსიტეტში უნდა ჩავაბაროო. პერტენავა, გეოგრაფიის მასწავლებელი, ძალიან ავადაოო.

— მეტს არაფერს გწერს?

— მეტს რას მომწერდა, რასაც ვეკითხებოდი, ყველაფერზე გამცა სრული პასუხი.

— კი მაგრამ, იმოდენა წერილი მისწერე და სულ იმას ეკითხებოდი, გეოგრაფიის მასწავლებელი როგორააო?

ბერაიას არაფერი უპასუხნია, ვვერდზე გაიხედა.

— დაჯექი ახლა და მისწერე წერილი, ყველაფერი პირდაპირ მისწერე, მასწავლებლებს თავი დაანებე, თუ არა, დარჩები მშრალზე, — დაარიგა მახარაძემ.

— წერილის წერას ვერ მასწავლი შენ, პირდაპირ მისწერ და პირდაპირ მოგწერს ისეთს, ჭამის მადა დაგეკარგება, შეპარვით უნდა შეაჩვიო, ნელ-ნელა. მე ის მაფიქრებს, რა მიარბენინებს თბილისში. დაეცადა ცოტა, ერთად წავიდოდით ბარემ. ჩავა მარტოდმარტო ამოდენა ქალაქში, მილიონზე მეტი ცხოვრობს თურმე ახლა. მილიონიდან მილიონს მოეწო-

ნება, ისეთი გოგია ძუკუს გოგო. ვილაცა ლამლუბავს, ეატყობ. სოფლიდანაც რომ იყოს ჩათრეული, მაინც თბილისელივით ვაულიმებს. გოგო შტერია, ისიც გაუცინებს. მერე იმ თამამ ბიჭს მდულარე რომ გადაასხას, მაინც ვერ მოიცილებს. სახელსაც ათქმევინებს, მისამრათსაც, დაუწყებს გაცილებ-გამოცილებას. ამ დროს მე აგერ ვიქნები, შუაგულ უკრაინაში, პარაშუტის საწყობის ყარაულად. ან ჰაერში გამოეეკიდები ოგიეე პარაშუტით და დელამიწის მიზიდულობას ვანდობ თავს. ძუკუს ვოგოს თბილისი იზიდავს, იმ ბიჭს, თამამი რომაა, ძუკუს გოგო. ხომ გაგიგონიათ, ნიუტონს რომ უთქვამს: „ორი სხეული ერთმანეთს იზიდავსო", რად უნდა ამას ნიუტონი. რა მიარბენინებს თბილისში, რომელი უცხო ენა სჯობია მეგრულს, დაეტიოს მშობლიურ განთიადში და აგერ ვარ მეორე სხეული.

— აგერ რომ ხარ, ამაშია საქმე, — ცეცხლს ნავთი მიასხა შახარაძემ.

— ეგაა სწორედ, შორიდან რომ მიზიდავს, — თქვა ბერაიამ და საცოდავად მოიბუზა.

13

თებერვლის ერთ დღეს საპარადო მუნდირებში გამოეწყეთ. ფიცს ვლებულობდით ახალბელები. ავტომატასხმულები, ითხ მწკრივად დაწყობილები გავემართეთ ქმათა სასაფლაოსკენ. იქ უნდა გვეთქვა ფიცი.

ერთნაირი, უბრალო საფლავები იყო ჩარიგებული. გვარები და ინიციალები იკითხებოდა პატარა ზომის მარმარილოთა ქვის ფილებზე დაბადების და გარდაცვალების თარიღებთან ერთად. ჩვენი ტოლა ბიჭების ერთნაირად დამთავრებული სიცოცხლეები იყო ჩვენს წინ. მათ საპატივცემულოდ ობელისკი აღემართათ, ცოცხალი ყვავილები ეწყო ბრინჯაოს მებრძოლის ფერხთით.

სასაფლაოზე მოსული ხალხის თანდასწრებით რიგითმა ივანასიევმა მკვეთრი ხმით დაიწყო:

Я, гражданин Союза Советских Социалистических Республик, вступая в ряды Вооруженных Сил СССР, принимаю присягу и торжественно клянусь быть честным, храбрым, дисциплинированным, бдительным воином, строго хранить военную и государственную тайну, соблюдать Конституцию СССР и Советские законы, беспрекословно выполнять все воинские уставы и приказы командиров и начальников...

აფანასიევი ბონდარევმა შესცვალა.

Я клянусь добросовестно изучать военное дело, всемерно беречь военное и народное имущество и до последнего дыхания быть преданным своему народу, своей Советской Родине и Советскому правительству...

ბონდარევის შემდეგ ვარუგალისმა დაიწყო.

Я всегда готов по приказу Советского правительства выступить на защиту моей Родины — Союза Советских Социалистических Республик...

ვარუგალისის შემდეგ ჩემი რიგი დადგა, ვეფიცებოდი ყველას, ვინც მიყურებდა და არ მიყურებდა, ვეფიცებოდი იმ საფლავებს, რომლის წინაც ვიდექი, ვეფიცებოდი მარიამის ბუბუკას, ბობკოვის დედას, გერშალოვის ძმას, მის პატარა ბიბუნას — კოლიას, ვეფიცებოდი ემზარს და ათასობით თალხთავსაფრიან დედას, გერშალოვის თვალებს:

...и, как воин Вооруженных Сил СССР, я клянусь защищать ее мужественно, умело, с достоинством и честью, не щадя своей крови и самой жизни для достижения полной победы над врагами.

Если же я нарушу эту мою торжественную присягу, то пусть меня постигнет суровая кара советского закона, всеобщая ненависть и презрение советского народа.

დავამთავრე ფიცი, შვებით ამოვისუნთქე, ისევ მწყობრში დავდექი. საზეიმო ფიცი ყველამ მიიღო, გერშალოვმა მოგვილოცა ეს მნიშვნელოვანი დღე. ბოლოს პოლიტნაწილის უფროსი — პოლკოვნიკი კულიკოვი მოგვესალმა. შუბლზე ნიარევი აჩნდა, მკაცრი კაცის გამომეტყველებას ჰმატებდა.

მაღალი, ხმელ-ხმელი კაცი იყო კულიკოვი, მომეჩვენა, თითქოს ბაგეების ნაცვლად ჭრილობამ გახსნა პირი და ალაპარაკდა. თებერვლის მზემ ძლივს დააღწია თავი ღრუბლის ტყვეობას და პოლკოვნიკის დაღარულ სახეს ნათელი მოჰფინა. ისევ მომეჩვენა, თითქოს ჭრილობამაც გაიღიმა შუბლზე.

— საზეიმო თარიღთან დაკავშირებით ნებას გაძლევთ საღამოს შემდეგ მოაწყოთ გასეირნება. — გვითხრა კულიკოვმა ბოლოს.

ჩვენს ხიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. სამთვიანი კარანტინის შემღეგ დღეს პირველი გამოსვლა იქნებოდა ნაწილის ტერიტორიიდან.

დავბრუნდით ნაწილში. იარაღი ჩავაბარეთ, ვისადილეთ და გასეირნების გეგმაც შევადგინეთ. პირველ რიგში გადავიღებდით ფოტოსურათს, შემდეგ დავათვალიერებდით ქალაქის ტყეპარკს, „სოფიეევკას“, რომელიც თურმე სილამაზით მეტოქეობას უწევს ევროპის საუკეთესო პარკებს.

საღამოს ბიბლიოთეკაში ახალ გაზეთებს გადავხედე. ადგილობრივ გაზეთში ერთმა სურათმა მიიქცია ყურადღება. შუახანს გადაცილებული ჭარმაგი მამაკაცი მეცნაურა. პიონერები ეხვია გარს. ნეტა საიდან მეცნობა?.. „შაქრის ქარხნის მთავარი ინჟინერი, ომის ვეტერანი, თადარიგის კაპიტანი პ. ნ. ბობკოვი მეორე საშუალო სკოლის წითელკვალმაძიებლებთან“, — წავიკითხე სურათზე მინაწერი.

— ბობკოვი... პ. ნ. ბობკოვი, ესე იგი, პარამონ ნიკიტას ძე! — ვიყვირე შეშლილივით, გაზეთს ხელი დავავლე და ბიჭებს დავუწყე ძებნა. ბერაია, მახარაძე, გორგოძე და გვეტაძე მოვძებნე.

— პარამონ ნიკიტას ძე ბობკოვი ცოცხალია, ბიჭებო, ცოცხალი!—ვყვიროდი და გაზეთს თავს ზემოთ ვაფრიალებდი.

მაშინვე დავწერე წერილი. ბობკოვის მისამართი ამოვძებნე და კონვერტი ყუთში ჩავუშვი. შაქრის ქარხნის მისამართზე მეორე ბარათი გავგზავნე:

„ძვირფასო პარამონ ნიკიტას ძევ!

გწერთ ქუთაისელი ჯარისკაცი ლევან გოგიაშვილი. მე თქვენს ქალაქში ვმსახურობ. თქვენი შვილის საშუალებით გიცნობთ. იგი საქართველოში ცხოვრობს. ალბათ, თქვენც ეძებდით თქვენს ოჯახს. ვლადიმერ პარამონის ძესაც არ დაუკლია ცდა. გაზეთში გამოქვეყნებულმა წერილმა და ფოტომ მიმაგნებია თქვენს კვალს. მადლობა პარამონ ნიკიტას ძეე. ცოცხალი რომ ხართ!

თქვენი ვაჟის მისამართია: საქართველო, ქალაქი ქუთაისი, დავით აღმაშენებლის პროსპექტი № 16. ვალოდია ქუთაისში სამხედრო კომისარიატში მუშაობს.

ნახვამდის!

პატივისცემით ლევან გოგიაშვილი".

14

მეორე დღეს ჩვენთან მაღალ-მაღალი ზემდეგი შემოვიდა, სერჟანტ აკალადას რაღაც უთხრა.

— რიგითო გოგიაშვილო, აკრიბავ შენს ავლა-დიდებას და გაჰყვები ზემდეგ ჟიეოგლიადს! ამიერიდან მის ქვეგანაყოფში ვადადიხარ.

აკალადა დარცხვენილი მელაპარაკებოდა, თითქოს მაშინდელი ირონია უკან მიაქვსო.

ორი წუთის შემდეგ ჩემი ბარგი-ბარხანით ჟიეოგლიადს მივყვებოდი. შტაბის კორპუსში, პირველ სართულზე, გრძელი დერეფანი გავიარეთ, ბოლო ოთახში შევედით.

— ამ ადგილს დაიკავებ! — კუთხის საწოლი მაჩვენა ზემდეგმა.

ჩემი ნივთები კარადაში შევინახე. ქვეშაგებელს ახალი თეთრეული გადავაფარე. ის იყო მოვრჩი ყველაფერს, ღელთმიანი, პატარა ტანის ჯარისკაცი შემოვიდა.

— აქ რა დაგიკარგავს, „სალაგა?!" — ვარიკასავით აკაკანდა შემოსული.

— არაფერი არ დამიკარგავს, უბრალოდ, აქ გადმომასახლეს.

— სასიამოვნოა, სასიამოვნო, ცვლა მოდის, ესე იგი. რამდენი ხანია ფორმა გაცვია?

— სამი თვე.

— მოთმინება გმართებს, ძმობილო, მოთმინება! მოდი აქ! — ფანჯარასთან მიმიხმო, — ხედავ იმ მაღალ სახლებს? აი, წინა სახლის თავზე ამჩნევ რამეს?

— ვერაფერს?!

— მეც გეკითხები... შენ რას შეამჩნევ. იქ, სახურავზე დემობილიზაცია ჩამომჯდარა ჩემოდანზე და ხელს მიქნევს. შენი დემობილიზაცია ჯერ შორსაა. მესამე წელს შენიშნო იქნებ. შენს დემობილიზაციას ჯერ ჩემოდანი არა აქვს. ჩემი გამზადებული მოდის. ერთი თვის მერე, აი, აქ შემოვა, ხელში დონის როსტოვის ბილეთს მომცემს... წავა და აღარ გამოჩნდება კაი ხანს. ერთი წლის მერე მოვა ხელახლა... ბიცურას, მადარაშს, პეტროსიანს, უტიშკალიევს, კოზარეზოვს ჩამოურიგებს ჩემოდნებს. შენსას სამი წლის მერე მოიტანს. იცი, მანამდე, რამდენი ქაშაყი უნდა ჭამო, სიგრძეზე რომ წააწყო?

— რამდენი?

— სამი კილომეტრი.

— მერე რა?

— მერე ის, რომ შენ აწი გაქვს გასავლელი ყველაფერი.

— არა უშავს, შენ გაიარე? თავს არც მე შევირცხვენ. ამასობაში ის ჩემოდნიანი დემობილიზაციაც მოვა.

როსტოველი ფანჯრის რაფაზე ჩამოჯდა. ფიქრებში გაერთო, ხან გაელიმა, ხანაც წარბები შეჰყარა. ეტყობოდა, იმ წუთში, სადღაც დონის ნაპირებზე დააბოტებდა.

— რა გქვია „ჩემოდნიანო?“ — კვლავ კუბრიკში დავაბრუნე „ცხრა მთას იქით გადაკარგული“.

— ჯარში სახელები მოდაში არაა, — დამცინავად გადმომხედა, — შენი სახელი კარგა ხნის დაზეთილი და შენახული უნდა გქონდეს, რომ არ დაგეჟანგოს.

— აბა, ისე გამეცანი, როგორც მიღებულია.

— ეფრეიტორი კუროჩკა!

— რიგითი გოგიაშვილი!

— რიგითო გოგიაშვილო, გაასწორე საწოლი, როგორც წესია, თორეშ შემოვა ჟივოგლიადი და...

ოთახში მართლაც შემოიხედა ჟივოგლიადმა.

— ეფრეიტორო კუროჩკა, რა წესია, ფანჯრის რაფაზე ჯდომა, თანაც ახალწვეულის დასანახად! — კუროჩკა ჩამოხტა, მერე რა მოხდაო, წაიბუზღუნა.

— ახლავე გაჩვენებ, რაც მოხდა! — გაცეცხლდა ჟივოგლიადი, — აიღე ცოცხი, გადი ეზოში, ჭიშკრიდან შტაბის შემოსასვლელამდე მოხვეტავ და ერთ საათში მომახსენებ შესრულების შესახებ!

— არის! — გაიჯგიმა კუროჩკა, მერე ცოცხი მოძებნა და სანამ დემობილიზაცია ჩემოდანს მოუტანდა, დაგვას შეუდგა.

ვახშმობამდე ჩვენი პატარა კუბრიკის ყველა ბინადარი გავიცანი. ოთხი ჩემსავით ახალბედა აღმოჩნდა, სამი კუროჩკასავით _წკიპზე იყო, დანარჩენებს კილომეტრნახევარი „სელიოდკა“ ჰქონდათ შესაჭმელი.

ჩემი საწოლის გვერდით მალახოვის საწოლი იდგა. ისიც ახალბედა იყო. მალე გავშინაურდით. მოსაწევ ოთახში გავედით, სიგარეტებს მოვუკიდეთ, სადაურობა ვკითხე.

— მოსკოველი ვარ, შენა?

— ქუთაისელი.

— სადაური?!

— ქუთაისელი, ბიჭო, ბალახვანი არ გაგიგონია?

— არ გამიგონია, სად არ ცხოვრობს ხალხი? — ჩაილაპარაკა თავისთვის.

— სადაც ვცხოვრობთ, სილამაზეც იქიდან იწყება.

— სასწაულები ხართ ქართველები, — თქვა მალახოვმა და მსუბუქი წყენა სიგარეტის ბოლში გაახვია.

— ტყუილა კამათობთ! თქვენ არ გინახავთ, რა ლამაზად ჩადის ჩვენთან მზე, — თქვა იშმურატოვმა.

— სად თქვენთან? — ვკითხე ირონიულად.

— უზბეკსტანში, — მომიგო ამაყად.

— რომელი სოფელი? — არ მოვეშვი.

— რომელი და უზბეკსტანი.

— კი მაგრამ, თქვენს უზბეკსტანში მზე ჯერ ამოდის?

— რა ვიცი, მე რომ ვდგებოდი, ამოსული მხვდებოდა, — და ისე გაიცინა, გეგონებოდათ შინელი გაიხაო.

— ხვიხვინს თავი დაანებე და მითხარი, საერთოდ თუ გინახავს მზის ამოსვლა?

— პირველად შარშან ვნახე, აქ, დილის ექვს საათზე, გამამხნევებელ ვარჯიშზე პირდაპირ სიზმრიდან გამიყვანეს, მის მერე ღღე არ ვამიცდენია, — და ისევ გაიხა შინელი. — ჭკვიანი კაცია იშმურატი, მეუბნებოდა, „ჯარში მოგარჯულებენ, იქ დაფერთხავენ შენგან სიზარმაცის ვირუსებსო“...

— იშმურატი ვინღაა?

— მამაა ჩემი.

— ჭკვიანი ყოფილა მამაშენი, ჭკვიანი, — ჩაგვერია ლაპარაკში კურიჩკა,—შვილის სიკეთე თუ გინდა, შუადღემდე უნდა აძინო. ხომ გაგიგონიათ: „ბავშვი ძილში იზრდებაო“.

იშმურატოვის ხმამაღალი ხვიხვინი შეეფხვნა მოსაწევი ოთახის კედლებს. სიცილის დროს, ისედაც ვიწრო თვალების ადგილას, ორი შავი ხაზი რჩებოდა. იფიქრებდით: ძილში იცინის იშმურატის იმედიო.

თამბაქოს მოსაწევი ოთახი თანდათან შეცარიელდა. მე და მალახოვი შემოვრჩით.

— შეეჩვიე სამხედრო ცხოვრებას? — შევეკითხე.

— ვეჩვევი ნელ-ნელა.

— ჩვენი უშუალო უფროსი ვინაა?

— უშუალო — ჟიეოგლიადი, ისე ყველა, ვინც მოისურვებს, ეფრეიტორი კურიჩკაც ჩვენს უფროსად ითვლება.

— ჟიეოგლიადი როგორი კაცია!

— ჟიეოგლიადი ზემდეგია ჩვენი. მის წყენინებას გერჩივნოს, ღმერთს აწყენინო.

— ვოქვათ და ვაწყენინე, მერე?!

— მერე არაფერი, ცოცხსა და ტილოს ჩაგახუტებს და იატაკს გაწმენდინებს.

15

მეორე დღეს, საუზმის შემდეგ, ჟივოგლიადმა პირველი დავალება მომცა:

— როგორც გავიგე, ხის საქმეების ოსტატი ყოფილხარ. ხედავ ავტოპარკთან გარღვეულ ღობეს?

ვხედავ!

— ჰოდა, სადილობამდე გაამრთელებ, რომ ზოგიერთმა თავნებამ მისდა უნებურად ქალაქში არ ამოჰყოს თავი.

გაბრუნებამდე გამახსენდა: ღობის შეკეთებას შიშველი ხელებით ვერ შევძლებდი.

— შეკითხვა თუ შეიძლება? — მივმართე ჟივოგლიადს.

— შეიძლება.

— მასალისა და იარაღის გარეშე ხომ ვერ გავაკეთებ ღობეს?

— რასაკვირველია, — დამემოწმა ღიმილით.

— მერედა, სადაა ფიცრები?

— შენს საქციელს ჩვენს ენაზე ზედმეტი ტლიკინი ჰქვია. ფიცრები სადაა, არც მე ვიცი. ბრძანება მიიღე? შეასრულე კიდეც, აი, რა ვიცი მე. აქ არმიაა და არა საშენი მასალის საწყობი... ფიცრები, ფიცრები გინდა დაბადე, გინდა იმასქენი... გააჩინე კი!—თანდათან აუწია ხმას ჟივოგლიადმა, მერე იჭექა:—სმენა! ზურგისა-კენ, ნაბიჯით იარრრ!..

აბა, როგორ ფიქრობდი, რიგიოო გოგიაშვილო, რასაც გიბრძანებენ, უნდა შეასრულო. ორი ფიცარი აკლია ხის ღობეს, ასე პატარა საქმისთვის არ ღირს ჟივოგლიადის გაბრაზება.

მანქანების შემკეთებელ სახელოსნოში შეეედი.

— რა გნებავს? — მეკითხება საცხში ამოსვრილი კურორჩკა.

— მშვიდობა!..

— მეტი არაფერი?!

— კიდევ ჩაქუჩი.

— მშვიდობა ნუ მოგიშალის, ჩაქუჩი მე მჭირდება.

— ჟივოგლიადმა, ჩაქუჩს კურორჩკა გამოგატანსო.

— ააა!!! თუ ჟივოგლიადმა — სხვა საქმეა.

იარაღის ყუთიდან ჩაქუჩი ავიღე. ახლა ფიცრები უნდა მეშოვნა. მთელი ეზო მოვიარე, ფიცრისნაირი ვერ ვიპოვე, სხვა რომ ვერაფერი მოვიფიქრე, მორღვეული ღობის საპირისპირო მხარეს ორი ფიცარი ავაძვრე და ავტოპარკთან ისე მივაჭედე, კაციშვილი კი არა, გზააბნეული ქარშოშინაც ვერ გაიპარებოდა. ყოველიადს დავალების შესრულება ვუპატაკე, ზემდეგი ავტოპარკისკენ შებრუნდა, მერე მე შემომხედა, ბოლოს საათი მიიტანა ყურთან, მუშაობსო, დარწმუნდა, ისევ მე მომაპყრო მზერა.

— კაიძალი დრო დაგრჩენია, გინაცვალე, ტყუილა ხომ არ გაჩერდები, ისევ ცეცხლფარეში ბიცურა ნახე, ნახშირის დახარისხებაში მიეხმარე.

— ნახშირის?! — გავიკვირვე.

— ნახშირის, ნახშირის, აბა, პეჩენიას ყველა გადაარჩევს, და საერთოდ, რიგითო გოგიაშვილო, ჩვენ უფრო ვიცით, რა გადაარჩიონ უმცროსებმა. სჯობს, ენა დაიმოკლო და ხელი გაანძრიო. დაიხსომე: „მეთაურის ბრძანება კანონია მისი ხელქვეითისთვის". შენ ვის გავხარ ასეთი წუწუნა, მსახურობდნენ ჩემთან შენი თანამემამულეები, იცი, რა ბიჭები?.. კურტანიძე, გეწაძე, დვალიშვილი... ერთბაშად მათ არ ჰგავდე... აი, ბიჭები!.. მთელი სამი წელი საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების წარჩინებულები იყვნენ.

16

მეორე დღეს ნაწილის დროშას ვყარაულობდი. დილის ცხრა საათიდან თერთმეტამდე მიწევდა დგომა.

ნაწილის უფროსი პოლკოვნიკი ლაზარეევი ცხრაზე მოვიდა. მორიგემ უპატაკა:

— ამხანაგო პოლკოვნიკო, თქვენი არყოფნის დროს ნაწილში მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა!

— თავისუფლად! — ბრძანა პოლკოვნიკმა და კიბეს ამოუყვა.

უნებლიეთ ნაბიჯების თვლა დავიწყე, როცა სხვა რამეზე გადაგაქვს ფიქრი, შეუმჩნევლად მიიპარება დრო. პირველად ვიდექი დროშის ქვეშ და ორი საათი საუკუნედ მომეჩ-

ვენ. ვიდი, რვა, ცხრა... კაცმა რომ თქვას, რა ჩემი საქმეა პოლკოვნიკის ნაბიჯების თვლა... მაგრამ თვლაში დრო ვადის. თითო ნაბიჯი თითო წამია... ცამეტი, თოთხმეტი, თხუთმეტი... გაიღო კარი და შემოვიდა ლაზარევი. თურმე როგორი ყოფილა ნაწილის უფროსი... მაღალი, ვაუკაცური, ოდნავ კუშტი შესახედაობის. თავისუფალი დგომიდან სმენაზე გადავედი. ლაზარევი დროშას მხედრულად მიესალმა და კაბინეტისკენ გაემართა. სამი, ოთხი, ხუთი... თოთხმეტი... თხუთმეტი... გასაღები გაჩხაკუნდა. კიბის თხუთმეტი საფეხური, თხუთმეტი წამი, კარიდან კაბინეტამდე, თხუთმეტი ნაბიჯი. ოცდაათი...

— ნაწილის მორიგე ჩემთან! — იჭექა ლაზარევმა.

წელანდელზე სწრაფად ამოირბინეს თხუთმეტი საფეხური.

— ამხანაგო პოლ!..

— სადაა ჟივოგლიადი?! — შეაწყვეტინა ლაზარევმა.

— საწყობშია, ინვენტარს ანაწილებს.

— ახლავე მოვიდეს, დავაყენებ ხალიჩაზე!

— არის!

კაპიტანი კოზადაევი გამეტებით დაეშვა კიბეზე, მეთერთმეტე საფეხურზე წაიოფრხილა, ეტყობა, მშვიდობით გადარჩა. ორმოცი თვლის მერე, ნალებიანი ჩექმები რვაჯერ შეეხო კიბეს. კარი ეაიღო და გაოფლილი ჟივოგლიადი გამოჩნდა. გიმნასტურას და ქამარს გზაში ისწორებდა.

— ამხანაგო პოლკოვნიკო! ნაწილის ზემდეგი, ბაზის ზემდეგი, ზემდეგი ჟივოგლადი თქვენი ბრძანების თანახმად გამოცხადდა!

— თანამდებობების ჩამოთვლაში მაგარი ხარ, საქმე გვერდზე გრჩება!

— დამნაშავე ვარ, ამხანაგო პოლკოვნიკო!

— გადაიხედე ფანჯრიდან!

— ვიხედები, ამხანაგო პოლკოვნიკო!

— ვერაფერს ამჩნევ?

— ვერაფერს, ამხანაგო პოლკოვნიკო!

— ზემდეგო, დურბინდი მოვატანინო თუ ისე მიხვდები, რატომ გაჰყავი თავი ფანჯარაში?!

— დურბინდი აღარაა საჭირო, დავინახე, ამხანაგო პოლკოვნიკო! ისევ გაურღვევიათ!.. ისევ... ჰმ!

— არა გაქვს დისციპლინა, აკლებ თვალსა და ყურს, დღეს ღობე გაარღვიეს, ხვალ გაგეპარებიან, ზეგ არაყის ბოთლში ჩაიხედავენ, გოგოებში გაეჩვევიან, შენ კი... არავითარი სუბორდინაცია! არავითარი... უკანასკნელად გაფრთხილებ, იცოდე... შეგიძლია წახვიდე.

— არის!

ლაზარევისკენ მიმავალ ჟივოგლიადს აღარ ჰგავდა უკან გამობრუნებული ზემდეგი. კარამდე ძლივს მილასლასდა. „არავითარი სუბორდინაცია!“ — ჩაილაპარაკა, მხრები აიჩეჩა და კარი გაიხურა. ნალიანი ჩექმები აკაკუნდა კიბეზე. ცალ ჩექმას აძრობაზე ჰქონდა ნალი. ისეთ დღეში იყო, ნალისთვის არ ეცალა ჟივოგლიადს.

17

ხუთშაბათობით მეცადინეობის დღე გვქონდა. პოლიტმეცადინეობისა და სამწყობრო მომზადების შემდეგ ფიზმომზადებას ჟივოგლიადი გვიტარებდა. პირველი ვარჯიში კარგად შევასრულეთ. სიმაღლის მიხედვით ღერძთან მისვლა იშმურატოვს უწევდა ბოლოს. იგი სამწყობრო ნაბიჯებით მიუახლოვდა სავარჯიშო მოედანს.

— იარაღთან არის რიგითი იშმურატოვი! — გვამცნო ხმამაღლა, დადგა ღერძის ქვეშ, მერე ისე ახედა, სიკვდილმისჯილი რომ ახედავს, ალბათ, სახრჩობელას ყულფს. გააკეთა ყუნცი, მოსწყდა მიწას და გასატყავებელი მოზვერივით ჩამოეკიდა ღერძს. ის იყო ფეხები და უკანალი გაჭირვებით გაატარა ხელებშუა, რომ ჩექმები წაძვრა და მიწაზე მანამ დაცვივდა, სანამ პატრონი ჩამობრუნდებოდა.

— იშმურატოვ, სხვისი ჩექმები გაცვია თუ?..

— ჩემი ჩექმები, ამხანაგო ზემდეგო!

— მაშინ, რატომ გაქვს ასე ფაყვედ?!

— ჭკვიანი კაცია იშმურატი...

— კონკრეტული პასუხი, რასაც ვეკითხები!

— იშმურატი აქით რომ მიშვებდა, ჩექმები ორი ნომრით დიდი ჩაიცვიო, დამარიგა. ორ ფეხსახვევში აღარ შეგცივდებაო.

— არავითარი სუბორდინაცია!.. არავითარი!.. გასწავლი ჭკუას!.. დღეს წაისულელებ, ხვალ ხეზე გახვალ, ზეგ, ვინ იცის, რას მოიმოქმედებ. მეცადინეობის შემდეგ შემოხვალ ჩემთან, დაგაყენებ ხალიჩაზე. დადექი რიგში! მასე არა! ჩაიცვი ჩექმები!

იშმურატოვმა ჩექმებში ფოსტლებივით გაუყარა ფეხები და მწყობრისკენ წაჩლატუნდა.

სადილის შემდეგ ჟიოგლიადმა ისევ ღობის შეკეთება დამავალა. ბევრი აღარ მიფიქრია. ორი ფიცარი თვალში ნაკლებად საცემ ადგილზე ავაძვრე და საქმესაც მოვრჩი.

18

ბობკოვებთან წერილების დაგზავნიდან ერთი კვირა გავიდა. პასუხები არ მომსვლია. მიკვირდა, თუ ქუთაისში არ მიუღიათ წერილი, უმანში მაინც მიიღებდა პარამონ ნიკიტას ძე. თუ მიიღო, რატომ არ გამოეხმაურა-მეთქი? ამ ფიქრებში ვიყავი გართული, რომ ნაწილის მორიგე მაიორ დარბინიანის ხმა გავიგონე:

— გოგიაშვილი, ტელეფონთან!

სულმოუთქმელად მივირბინე, „ნეტა ვინ უნდა იყოს?"

— რიგითი გოგიაშვილი გისმენთ! გა... გაგიმარჯოთ, პარამონ ნიკიტიჩ! — ისე ვიყვირე, მაიორი დარბინიანი კინაღამ სკამიდან გადმოვარდა. — დიახ, დიახ, — ახლავე პარამონ ნიკიტიჩ, მოვდივარ! — ყურმილი დავდე.

— რიგითო გოგიაშვილო!—შემომესმა ჟიოგლიადის ხმა. შემოვბრუნდი.

— სად გარბიხარ ასე თავქუდმოგლეჯილი?

— იქ... გასასელელში მიცდის, ჩემთან მოსულა... ამხანაგო ზემდეგო!

— ბოლოს და ბოლოს გასაგებად მითხარი, რა მოხდა!

„ასე ადვილად ვერ დავეფჩხვნები ხელიდან“, გამიელვა თავში და სწრაფად ავუხსენი საქმის ვითარება.

— მერედა, უნებართვოდ გარბიხარ? სად გგონია თავი?! — აუწია ხმას ზემდეგმა.

— დამნაშავე ვარ, ამხანაგო ზემდეგო!

— დამნაშავე, დამნაშავე! გაიქეცი საწყობში, მანქანას დაატვირთვინებ ბოროვიკს.

— ამხანაგო ზემდეგო!..

— სიტყვა არ გავიგონო! — შემაწყვეტინა ჟივოგლიადმა,— შენს სტუმარს მე მივხედავ.

საწყობისკენ წავედი.

— გოგიაშვილო, ჟივოგლიადი ვიხმობს გასასვლელში, — გავიგონე რომელიღაც ჯარისკაცის ხმა.

ტვირთი მანქანაზე მოვისროლე და გავიქეცი.

ჟივოგლიადს ეზოში შემოეყვანა სტუმარი. მოსაწევ ადგილზე მიწყობილ გრძელ ფიცრის სკამზე ჩამომსხდარიყვნენ. ბობკოვს ფეხებშუა ყავარჯენი დაებიჯგებია და ორივე ხელები ზედ ჩამოეყრდნო. ჩემი ფიქრით, ორმოცდათხუთმეტ წლამდე უნდა ყოფილიყო, მაგრამ თეთრი თმა და ჭაღარა ულვაშები გაცილებით მეტის შესახედაობას აძლევდა. დიდი სხვაობა იყო, მაინც იტყოდით: ეს ჭარმაგი კაცი ლეიტენანტ ბობკოვის ახლობელიაო.

ზემდეგს გაყვითლებული ფოტოსურათი ეჭირა ხელში. როცა მოსაუბრეებთან ახლოს მივედი, პარამონ ნიკიტას ძე ფეხზე წამოიჭრა, ხელები გაშალა და გულში ჩამიკრა. ასე ვყავდი ჩაბღუჯული კარგა ხანს, ალბათ, ასე ხვდებიან ერთმანეთს დიდი ხნის უნახავი მამა-შვილი. ბოლოს გვერდით მომისვა, ჟივოგლიადს სურათი გამოართვა.

— ნახე ჩემი ვასია მეუღლესთან ერთად.

პატარა ბობკოვი დათვის ბელივით ჰყავდათ ვამოწყობილი.

—ისაა, ნამდვილად ის! — ვიყვირე.

— არაფრით არ შეიძლება, შვილო, — მეუბნება პარამონ ნიკიტას ძე და თვალი ამარიდა, — ჩემს ვაჟს ვასილი ჰქვიოდა, ეგ, ალბათ, სხვაა, მეგვარე, მეტი არაფერი.

— არა, თქვენს შვილს ვლადიმერი ჰქვია, ვლადიმერ პარამონის ძე და ამაში ახლავე დაგარწმუნებთ.

შევატყვე, პარამონ ნიკიტას ძე იმიტომ მოსულიყო, ეთქვა, რომ მე შევცდი. ამან უფრო გამახარა, რადგან ახლაე გავხდებოდი მოწმე და მონაწილე ჯოჯოხეთგამოვლილი კაცის უსაზღვრო სიხარულისა.

— პარამონ ნიკიტიჩ, დამშვიდდით და მომისმინეთ.

— გისმენ, შვილო, გისმენ!

— თქვენ კურსკში ცხოვრობდით, ხომ მართალია?!

— მართალია!

— თქვენი მეუღლის სახელი იყო ვერა, შვილისა — ვასია.

— მართალია, — თვალები გაუფართოვდა პარამონს. გაფაციცებით მისმენდა. სკამიდანაც კი წამოიწია, თითქოს გასაფრენად გამზადებულ ჩიტს უნდა წაეტანოსო.

რაც ვიცოდი, ყველაფერი ვუამბე. სტუმრისთვის ყოველივე ნათელი გახდა.

— აი, სასწაული, — თქვა პარამონ ნიკიტას ძემ და კელავ მისი მკლავების მარწუხებში მოვხვედი.

ჟივოგლიადი წამომდგარიყო, დაბნეული უსმენდა ყველაფერს, თვალები მასაც სველი ჰქონდა, მერე შენობისკენ წავიდა, სანამ შენობის კედელს მიეფარებოდა, მოგვიბრუნდა.-

— რიგითო გოგიაშვილო! ტანსაცმელი გამოიცვალე, ოცდაორ საათამდე გათავისუფლებ, შეგიძლია გაჰყვე სტუმარს, ოღონდ ჭკვიანად.

— გმადლობთ, ამხანაგო ზემდეგო, ყველაფერი რიგზე იქნება! — მივაძახეთ ორივემ.

ფეხით გავუყევით ქუჩას, კარგა ხანს უხმოდ მივდიოდით. პარამონს ფეხის ტკივილიც კი დაავიწყდა, ყავარჯენი ისე მიჰქონდა, არ იბიჯებდა. ბობკოვზე ნაკლებ ბედნიერი არც მე ვიყავი.

— ეეხ, ლიოვა! — ამოიხვნეშა პარამონმა და მხარზე ხელი ჩამომაყრდნო, რაც თავს გაჭირვება გადამხდენია, ენაც ვერ იტყვის ადვილად. გახსენებაც არ მინდა. ბოლოს ყველაფერი დასრულდა. ცაში ვისროლეთ ქუდები, მივეცით გამარჯვების ზალპი, მაგრამ ძვირი დაგვიჯდა ყველაფერი. ახლა მითხარი,

როგორ მიდის სამსახური არმიაში, ხომ არ ვიჭირს, პირველ ხანებში ძნელია, შეჩვევა უნდა.

— არა, პარამონ ნიკიტიჩ, ყველაფერი რიგზეა, ზემდეგი ეიეოგლიადი კარგი კაცია.

— აბა, კარგად მომიყევი ჩემი ვასიას ამბავი, წერილიდან ვიცი, ქუთაისში ცხოვრობს და კოისარიატში მუშაობს. სხვა რა შეგიძლია მითხრა?

— სხვა რა გითხრათ, დედობილთან ერთად ცხოვრობს. ცოლი ჯერ არ შეურთავს, სამხედრო ნაწილში აპირებდა გადასვლას, ვერ შეეგუა კომისარიატის საკანცელარიო საქმეებს. საარტილერიო სასწავლებელი აქვს დამთავრებული თბილისში.

— ლამაზია თქვენი ქალაქი, სამი წლის წინათ ვიყავი წყალტუბოში. თითქმის ყოველ მეორე დღეს ჩავდიოდი ქუთაისში. რა ვიცოდი, თუ ჩემი ვასია იქ იყო, აი ბედი, ჭკუაზე შეიშლები კაცი... ხვალიდან შვებულებაში ვარ, ისევ წყალტუბოში მივდივარ. წერილსაც არ გავუგზავნი, მოულოდნელად დავადგები თავზე ვასიუხას. ეიიი! რა სიხარული იქნება, ბიჭოოჰ! შენ რას იტყვი, ლევან!

—რაღა თქმა უნდა, თითქოს ყველაფერს ვხედავდე, ისე მაქვს წარმოდგენილი თქვენი შეხვედრა. -მენანება, რომ ვერ დავესწრები. პარამონ ნიკიტიჩ, ჩვენებთანაც შეიარეთ, იქვე ახლოა ჩემი სახლი, მშობლებს ძალზე გაუხარდებათ თქვენი სტუმრობა, ორიოდე სიტყვასაც მივწერ.

— სიამოვნებით, ჩემო კარგო, როგორ დაგზარდები, შენ ოღონდ მითხარი, რა გსურს, აწი მოვალეც ვარ შეგისრულო ყველაფერი.

ამ საუბარში კაიხელა გზაც გაგვევლო. ბობკოვმა ჭიშკარი გააღო. ეზოში პატარა, კოხტა სახლი იდგა. ორი სკოლამდელი ასაკის გოგონა სილაში თამაშობდა. დაგვინახეს თუ არა, ჩვენსკენ გამოიქცნენ.

— ბაბუა მოვიდა, ბაბუა!

მოხუცმა ორთავე ხელში აიყვანა და ჩაიხუტა. ბავშვების ხმაზე ორი ქალი გამოვიდა სახლიდან, ერთი — ხნიერი, მეორე — ახალგაზრდა. ორთავეს პირისახეზე მოუთმენლობა ეხა-

ტა. ბობკოვმა ბავშვები ძირს ჩამოსვა და ახლა ქალებს გადაეხვია.

— მომილოცეთ, ძვირფასებო, ჩემი ვასიუტკა ვიპოვე, ჩემი ვაჟკაცი!—სამივე იცრემლებოდა.

პატარა გოგონები ერთმანეთს ეკამათებოდნენ. ერთი ამბობდა ჩემზე გენერალიაო, მეორე — ჯარისკაციო.

— არა, კუდრაჭებო, მე ჯარისკაცი ვარ და გენერლობაზე ვფიქრობ!

ორივე კმაყოფილი დარჩა.

მოგვიანებით გავახსენდი ბობკოვს. მაპატიეო, მომიბოდიშა და ქალებს მიმართა:

— გაიცანით, ლევან გოგიაშვილი, ამას უნდა ეუმადლოდე მთელი სიცოცხლის მანძილზე!

ქალებმა ხელი ჩამომართვეს.

ნატალია ვასილიევნა! — თქვა უფროსმა.

— ირა! — შინაურულად მითხრა ახალგაზრდამ.

სახლში შემიწვიეს. სამთავე ცდილობდა ჩემთვის ესიამოვნებინათ. ზედმეტმა ყურადღებამ უხერხულობაში ჩამაგდო. ქალები სამზარეულოში დაფაცურდნენ, ბობკოვმა სურათების ალბომი გადმოიღო. დიდხანს ეძება, ბოლოს იპოვა, როგორც იქნა.

— ლევან, დაუკვირდი, ამ სამთაგან ერთი მე ვარ, ერთიც შენი თანამემამულე, ვარლამ ჭკუასელი, — მითხრა ბობკოვმა, — და გაყვითლებული სურათი გამომიწოდა, — ბევრი რომ არ გავაგრძელო, ქართველებს ჩემს ცხოვრებაში დიდი ღვაწლი მიგიძღვით. ჭკუასელმა სიკვდილს გადამარჩინა, ტყვეობიდან დამიხსნა, შენ კიდევ იმოდენა სიხარული მომანიჭე!.. მადლობა, ჩემო ძვირფასებო...

ვარლამის ამბავი ვკითხე მოკრძალებით.

— ომის მიწურულს, საბრძოლო დავალებიდან დაზიანებული თვითმფრინავით დაბრუნებულა. რაღაც წამები აღარ ეყო. დაჯდომამდე თვითმფრინავი მთლად გამოსულა მწყობრიდან. ვარლამი ცოცხალ-მკვდარი ამოუყვანიათ, ექიმებს უთქვამთ, არ გადარჩებაო. მეტი ვერაფერი შევიტყვე მასზე. ვინ იცის, იქნებ ცოცხალიცაა...

ვთხოვე, ყველაფერ მოკითხრო ჭკუასელის შესახებ.

— არ შემიძლია გახსენება, არ მინდა გავიხსენო დღევანდელი სიხარული, სხვა დროს, როგორმე სხვა დროს მოგიყვები.

ქალებმა სუფრა გააწყვეს. ოთახში სამოქალაქო ავიაციის ტანსაცმელში გამოწყობილი ახალგაზრდა შემოვიდა.

— ოოო, დროულად მოხვედი, დროულად! გაიცანი ჩემი სიძე, ეს კიდევ ლევან გოგიაშვილი, წერილი რომ გამომიგზავნა.

მფრინავმა ხელი გამომიწოდა.

— ვადიმი მქვია, — თქვა და გაიღიმა.

გემრიელი ვახშამი მოემზადებიათ ქალებს. ახალი თევზი პარამონ ნიკიტას ძეს დაეჭირა დილით.

— ასეთ შემთხვევას დალევაც მოუხდება,—თქვა ოჯახის უფროსმა და ჭიქები შეავსო. ჩემი ჭიქა არ გაუვსია.

— „ტერპი, კაზაკ, ატამანომ ბუდეშ", — მითხრა ღიმილით და თვალი ჩამიკრა. ნატალია ვასილიევნამ სავსე ჭიქა ააცალა, — პაშა, არ შეიძლება, ხომ იცი, შენთვის საწამლავია.

— ახლავე რომ გავფშიკო ფეხები, ერთს მაინც დავლევ, —თქვა და ჭიქა ჩამოართვა ცოლს, — ღმერთმა ქნას, ყველა ასეთი ბედნიერი იყოს, როგორც მე ვარ დღეს!

ვადიმს ერთი მანამ შეესვა, სანამ ბობკოვი დალევდა. ეგ სადღეგრძელო არ მითქვამსო, და მეორედ შეიესო ჭიქა.

ვადიმს ირა ეცა ხელში.

— ამ ქალაქში როგორღა მოხვედით, — ეკითხე ბობკოვს.

— ეგეც ბედია, ლევან, ბრმა ბედისწერა. ჩვენს ქვეყანაში სადაც ვისურვებდი, იქ შემეძლო მეცხოვრა, რახან ომის კლანჭებს დაეუსხლტი, მაგრამ ცხოვრებასაც თავისი ლოგიკა აქვს. ორმოცდაოთხში მძიმედ დავიჭერი ფეხში, ორი თვე ვიწექი ლაზარეთში. ჩემი ოცნება ბერლინში შესვლა იყო, მინდოდა, მეც დამედგა ფეხი მათ მიწაზე, მაგრამ ბრძოლის ველის მიტოვება ომის დამთავრებამდე მომიხდა. ფეხზე გავლა რომ შევძელი, ჩვენი მიწიდან უკვე განდევნილნი იყვნენ გერმანელები.

კურსკში გავემგზავრე. დავაბოტებდი გადაბუგულ ქალაქში, ოთხი წლის წინათ თვალდახუჭულს რომ შემეძლო სია-

რული, ახლა, ნურას უკაცრავად. ფხიზლად უნდა ყოფილიყავი, სადმე ორმოში არ ჩავარდნილიყავი, ან რაღაც სასწაულით შერჩენილი კედლის ნატეხი, ბეწვი რომ ამაგრებდა, არ დაგცემოდა თავში და ზღვას გადარჩენილი წყლის არ დაეხრჩვე. ჩვენი ქუჩა სადღა იყო. ხუთსართულიანი სახლი, სადაც ვცხოვრობდი, მეორე სართულზე მოვარდებოდა, ოვალით მოეზომე ის სივრცე, მესამე სართულზე, ჩვენი ბინა რომ იყო ოდესღაც. გავიხსენე ცოლ-შვილი, ბინის მიღება, ისიც — უსაზღვრო სიხარული მწუხარების უფსკრულმა რომ შესცვალა... იმ დაწყევლილ დღეს დავტოვე ოჯახი და... გამოვბრუნდი გულდათუთქული... ცოლ-შვილის ამბავი ვიკითხე. ევაკუაციის დროს დაბომბვაში მოხვდნენო...

კურსკიდან კრასნოდარის მხარეში გავემგზავრე, მშობლიურ სოფელში, — ოტრადნა-ოლგინსკაიაში. იქნებ ჩემი მოხუცები მაინც ვნახო-მეთქი. გავერანებულ ეზოში ნანგრევებიღა დამხვდა ნასახლარზე. მამა პარტიზანებთან წასულიყო, ერთ-ერთი ოპერაციის დროს დაღუპულა, დედა ძროხას წველიდა თურმე... გერმანელები ბოსელში შეეჭრილან, ძროხა წაუყვანიათ, წინ გადადგომია, უბედური: ავტომატის ჯერით დაუცხრილავთ. შემდეგ ცეცხლი მიუციათ სახლისთვის. აღარც ცრემლი მქონდა, აღარც აზრი.

საიდან დამეწყო, ან რა დამეწყო, აღარ ვიცოდი. ვიდექი ასე გაშტერებული კროპოტკინოს სადგურზე და ვუცდიდი მატარებელს, რომ შიგ ჩავმჯდარიყავი. სულ ერთი იყო, საითაც წავიდოდი. გაზეთის ნახევში მახორკა შევახვიე და ცეცხლი მოვუკიდე... მატარებლების განრიგი არ არსებობდა, არც ის ვიცოდი, საიდან მოვიდოდა, არც ის, გააჩერებდა თუ არა კროპოტკინოში.

— ჩემს პირდაპირ ქალი იჯდა ფუთაზე. მეორე ფუთაზე პატარა გოგონა იდგა მუხლებით და რაღაცას ეტიტინებოდა ქალს. ქალი ხან ერთ მხარეს გაიხედავდა, ხან — მეორე მხარეს,—ხომ არაფერი მოდისო. ცოტა მოშორებით მოხუცი იჯდა. მასაც პატარა ბიჭი ახლდა. გოგონამ ღედას თავი დაანება და თანატოლ ბიჭს სახელი ჰკითხა.

— ვიტალიკ, — მედიდურად უთხრა ბიჭმა. მას კაცის პი-

ჯაკი ეცვა, ხელები არც უჩანდა გრძელ სახელოებში. გოგონამ ვიტალი აიყოლია ლაპარაკში. სიტყვაძვირი არც ბიჭი აღმოჩნდა, ეგ კი არადა, გოგონას სულაც აღარ ალაპარაკებდა.

— გერმანელებს კუდით ქვა ვასროლინეთ, მამაჩემი ახლაც მისწრეს გაქცეულებს. ისეთი ღონიერია, ცალხელა მაერევა ყველას. წერილი მოგვწერა, მალე გავუსწორდებით მტერს და ჩამოვალო! ხომ მოგვწერა, ბაბუ, ხომ მოგვწერა?! — მოხუცის მუხლებს წაეპოტინა ბიჭი.

— მოგვწერა, შვილო, მოგვწერა, — თვალი აარიდა მოხუცმა.

— ოოო! შენ ვეგონა, გატყუებდი?

— მეც მყავს მამა, გგონია, მარტო შენ გყავს? მამაჩემი შენს მამაზე ღონიერია.

ახლა ფუთაზე ჩამომჯდარმა ქალმა აიფარა თვალებზე ხელი.

— თუ გყავს, სად არის, მე ვიცი, მამაჩემი ახლა ჩეხოსლოვაკიაშია. მამაშენი?

— მამაჩემი? მამაჩემი... — ირგვლივ მიმოიხედა გოგონამ, აი, მამაჩემი, — ხელი ჩემკენ მოაშვირა და გამოიქცა, — მამა! მამიკი! უთხარი ვიტკას, რომ ჩემი მამა ხარ, ხომ ხარ ჩემი მამა? — მეტიტინებოდა თვალცრემლიანი, მუსლებზე ამობობღდა, ხელებს გაუპარსავ ლოყებზე მითათუნებდა, მემუდარებოდა, მეთქვა ვიტალისთვის... ისე შემომციცინებდა, იმ თვალებს უარს მაინც ვერ ეტყოდი, ქვა რომ გქონოდა გულში. არადა, ქვა მქონდა გულში, თავში, სულში. არაფრის აზრი და ფიქრი, პაპიროსი თითებს რომ მიმაწვავდა, ახალს ვახვევდი. ამ გოგონამ კი გაალხო ყინული, აადუღა ქვა... გულში ჩავიკარი, ვკოცნიდი და ვეჩურჩულებოდი:

— დაწყნარდი, ჩემო გოგონა, დაწყნარდი.

ქალი, ფუთაზე რომ იჯდა, აწრიალდა, რა ექნა, აღარ იცოდა, ცოტა ხნის მერე მოგვიახლოვდა, ისე, ჩუმად მოყურადებულ ბიჭუნას რომ არ გაეგონა, ბოდიში მომიხადა.

— უკაცრავად, განერვიულდა, ასე იცის ხოლმე, აიკვიატებს რამეს და თვითონვე იჯერებს თავისსავე გამოგონილს.

— ირონია, ნუ აწუხებ ძიას, წამოდი!

.— იყოს, ქალბატონო, რა შეწუხებაა, ნეტა ამის მეტი...

ვიტალი მობუზულიყო და შურით მისჩერებოდა „მამის“ კალათში ტკბილად მიძინებულ გოგონას.

ის გოგონა, ჩემო ლევან, ამ პატარა გოგონების დედა გახლავთ, ისე აიკვიატა მაშინ მამა ხარო, მეც დამაჯერა და ნატალია ვასილიევნაც. ამ ქალაქში ვასილიევნას მშობლები ცხოვრობდნენ. აქით მოდიოდნენ თურმე დედა-შვილი. სახლის ფარღალა კედლები დაგვხვდა მხოლოდ. მას მერე აქა ვართ. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი დავამთავრე და შენც იცი, შაქრის ქარხანაში ვმუშაობ ახლა.

უკვე ოცი წელი გავიდა. ყველაფერი თავიდან ავაშენეთ. წავშალეთ მტრის ნაკვალევი. ცხოვრებაც თავიდან დავიწყეთ. თითქოს გუშინ იყო ეს ქარ-ცეცხლი. დავებიჯებ მიწაზე, სხვებთან ერთად სისხლით და ოფლით რომ მაქვს დაცული. მოვუწოდებ ჩემს თავს და ყველას: ვიყოთ ყურადღებით! გავუფრთხილდეთ მშვიდობას!

— სანამ მე ჯარში გეგულებით, ყველაფერი რიგზე იქნება, პარამონ ნიკიტიჩ, ამასობაში, ავერ, გოგონების საქმრეები წამოიზრდებიან და მშვიდობაც საიმედო ხელში გადაინაცვლებს,—სიცილით ვთქვი და პატარა გოგონებს ვაშლები ჩამოვურიგე.

ბობკოვმა აიღო ვაზიდან ვაშლი. ცოტა ხანს ხელში ატრიალა...

— ვაშლმა გამახსენა. ვარლამის ამბავსაც მოგიყვები ბარემ... ისე დაიწყო პარამონმა, მე არაფერი მითხოვნია.

1943 წლის ივნისი იყო. ტყვეთა ბანაკში ვარლამ ჭკუასელი ახალ ჯგუფთან ერთად მოიყვანეს. ჩემს ზემოთ მიუჩინეს საწოლი. მალე დავმეგობრდით. გულღია ბიჭი იყო და იმედიანი. დროებით ვართ ასეო, ამბობდა, მერე დაუმატებდა: ამქვეყნად ყველაფერი დროებითიაო. უნდა გავიქცეთო, — გამენდო ერთ დღეს.

— გაქცევა უფრო ადრე ვიფიქრე, მაგრამ მაღალი ძაბვა, ძაღლი და კაცი ყველა ჩვენ გვდარაჯობს-მეთქი. „ერთი ძილი მდინარესაც ეძინება, დროს უნდა შერჩევაო“, — მითხრა.

აეროდრომს გვაშენებინებდნენ. მძიმეწონიანი თვითმფრინა-

ვების დასაჯდომ ზოლს აკეთებდნენ. ეჩქარებოდათ მამაძაღლებს, 14 — 16 საათს გვამუშავებდნენ, გვერდით მოქმედი აერიოდრომი ჰქონდათ, „მესერშმიტები“ იყო ჩარიგებული, ჭკუასელი შეწყვეტდა ხოლმე მუშაობას და მიაშტერდებოდა თვითმფრინავებს. ერთ დღეს წამჩურჩულა:

— „იმ თვითმფრინავში რომ ჩაგვაჯინა?!“

„მერე?“ — ვკითხე სხვათა შორის.

„არაფერი, გავფრინდებოდით... მფრინავი ვარ, ბიჭო, მფრინავი! გერმანელებს რაღაც აერიათ, თორემ ჩემი აქ ვამოგზავნა არ შეიძლებოდა“.

ვაკვირვებისგან პირი დავაღე.

„მართალს ვამბობ, დედას გეფიცები. თუ აქედან არ მოგიტაცო, ეს ულვაში მომპარსე. 107 საჰაერო ბრძოლა მაქვს მოგებული. 108-ემ არ გამიმართლა. ამიტომაც დღე და ღამე ვფიქრობ 109-ეზე. 109-ე გერმანული თვითმფრინავით უნდა შევასრულოო“.

ეს ყველაფერი ზღაპარს ჰგავდა. — ილაპარაკოს, გულს მოიოხებს და გაჩერდება-მეოქი, ვფიქრობდი ჩემთვის.

ერთ დღეს ბანაკის ახლოს, ეკლიანი მავთულხლართის გასწვრივ, შავგერემანმა გოგომ ჩაიარა. ხელში პატარა, ნაჭერში გამოკრული რაღაც ეჭირა. ფეხი შეანელა. პირველად ჭკუასელმა შეამჩნია ჩვენსკენ კისერმოქცეული გოგო.

„გამარჯობა, ნადია!“ — დაუძახა და ხელი დაუქნია.

„ჩემი სახელი საიდან იცი?“ — გაუკვირდა გოგონას.

მორიგე გერმანელმა რაღაც იღრიალა, ნადიამაც გზა განაგრძო.

„მართლა ნადია რქმევია, — გაუკვირდა ჭკუასელს. — ჩოხატაურში მყავს ერთი შავი გოგო, იმედა ჰქვია, იმედა თქვენებურად ნადეჟდაა, მისი სახელი დავუძახე და არ გამიმართლაო?!“

„ლაპარაკი!“ — ისევ იღრიალეს გერმანულად.

იმ დღის შემდეგ, თითქმის ყოველდღე ჩაუვლიდა ის გოგო ბანაკს. ეკლიანი მავთულხლართები გვყოფდა ერთმანეთისაგან. გაგვიღიმებდა, პატარ-პატარა იმედსა და სითბოს დაგვიტოვებ-

და ყველას და მიდიოდა. იმავ წუთიდან დაწყებული მეორე დილას ველოდით, როდის ჩამოიკიდა შავგვრემანი ნადეჟდა.

ზღაპრული დილა გათენდა იმ დღეს. კრიალა ცაზე ფთილა ღრუბელიც არსად ჩანდა. სიო ეალებოდა თავს ბანაკს იქით წამოსულ ბალახს. ბალახში გამორეულ ყაყაჩოებს წითლად მოეჩითათ მწვანე ველი. ჩვენთვის კარგი და ცუდი ამინდი არ არსებობდა. არსებობდა ერთსიტყვიანი ბრძანება: „იმუშავეთ!"

გამოჩნდა ნადია, ხელში ახლაც პატარა შეკრულა ეჭირა. მოდიოდა თეთრ კაბაში გამოწყობილი, წითელი ყვავილებით მოქარგულ სიმწვანეში. ნადია ჩვენს პირდაპირ შედგა, ღიმილი შემოგვაგება. შეკრულიდან დიდი ვაშლი ამოიღო და ჩვენსკენ ისროლა. მერე ყაყაჩო მოწყვიტა ნადიამ, ისიც ჩვენკენ ისროლა და წკრიალა ხმით მოაყოლა:

— სამი დღის შემდეგ, შუადღი...

ავტომატის მოკლე ჯერმა დაკენკა დილა. ნადია შეტორტმანდა. მისგან ნასროლი ყაყაჩო უმწეოდ გადაეკიდა ეკლიან მავთულზე. ორივე ყვავილი ერთად გამოესალმა სიცოცხლეს. თეთრი კაბაც ყაყაჩოსფრად შეიღება. სისხლი გაგვეყინა ძარღვებში. ჭკუასელს ვაშლი ჩაებღუჯა. ზედამხედველები მოცვივდნენ.

— იმუშავეთ! იმუშავეთ! — აყეფდნენ ერთხმად.

გერმანელები ძლივს აკავებდნენ ძაღლებს. რაღას ვიზამდით, მუშაობა გავაგრძელეთ.

მეორე დილით იმ ადგილზე სისხლში ამოსვრილი პატარა ფუთა ეგდო.

მესერშმიტები ცალკე შეღობილში იყო. ზოგჯერ მფრინავებთან ტყვეები მიჰყავდათ შავი სამუშაოების შესასრულებლად, „ერთხელაც ვერ მოვხვდი თვითმფრინავებთანო", — ჯავრობდა ჭკუასელი.

ბოლოს და ბოლოს მოგვიწია თვითმფრინავებთან ახლოს მუშაობა.

ჭკუასელი გულდასმით ათვალიერებდა გერმანულ მანქანებს.

„ერთი რომ შიგაც ჩამახედა!" — ინატრა თავისთვის.

გერმანელი მფრინავი მოგვიახლოვდა, ეტყობოდა, ზომაზე მეტი გადაეყლუნწა.

— ხოროჩო, რუს?! — ჰკითხა ჭკუასელს და თვითმფრინავზე ანიშნა.

— გუთ, გუთ! — ცერი ამართა ჭკუასელმა.

გერმანელი ფრთაზე აბობღდა, კაბინაში მოკალათდა. მერე ჩვენც გვანიშნა, ამოდითო. ჭკუასელი თითქოს ამას ელოდა, თვალისდახამხამებაში ფრთაზე გაჩნდა. სამართავ მოწყობილობას და შკალებს დაუწყო თვალიერება, „როგორ ეშვება, ბარემ ისიც მაჩვენე და სხვა ჩემზე იყოსო“, ჩემს გასაგონად თქვა ჭკუასელმა.

გერმანელი თითქოს ვარლამის გულში იჯდა. ღილაკებს ტკაცა-ტკუცი აუტეხა და ძრავის ყრუ გუგუნიც გაისმა. ჯერ ნელი გაზი მისცა, მერე მოუმატა. ჭკუასელმა ვითომ ვერ გაუძლო ჰაერის მოძალებულ ნაკადს და ფრთიდან გადავარდა. გერმანელის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ძრავა გამორთო და ისევ დაგვიქნია ხელი, ზევით ამოდითო.

ვარლამი შემეხვეწა:

— ვეთამაშოთ, სანამ არ მოწყინდებაო.

ჭკუასელი ორმოცდასამის გაზაფხულზე ჩავარდნილა ტყვედ. უთანასწორო საჰაერო ბრძოლა მიუღიათ. ერთ-ერთ მოწინააღმდეგეს ზევიდან მოექცა თურმე და ცეცხლი გაუჩინა, მეორეს ტყვიამფრქვევით სტაბილიზატორი და კილი დაუზიანა. საფოტოვით ათამაშდა „მესერშმიტტი“. ჭკუასელის მანქანაც აყირავდა თურმე, თვითმფრინავის საჭე აღარ დაემორჩილა. პანქანის მართვა ან მისი დასმა წარმოუდგენელი გამხდარა. სიმაღლეს კარგავდა. უკანასკნელი გამოსავალი გადმოხტომა შექნილა. ყინავდა თურმე. ყველაფერი თოვლით ყოფილა დაფარული. ქვევით პატარა სოფელი მოჩანდა, დასახლებულ ადგილს მოერიდა, ტყისკენ მიეძალა, ტყე ხშირი არ იყო, მაგრამ ვერც იმდენს მოახერხებდა, ისე დაშვებულიყო, პარაშუტი არაფერს წამოცმოდა... პირველმა ტოტმა ვერ გაუძლო, მეორეზე ჩამოეკიდა. დარჩა თურმე ჰაერში. სხვა გზა არ იყო, გამოჭრა პარაშუტი და თორმეტ-თოთხმეტი მეტრიდან ქვასავით მოწყვეტილა ხიდან. დიდი თოვლი ყოფილა, თორემ სული არ დაჰყვებოდა. ხეზე პარაშუტის დატოვება არ იქნებოდა. ად-

გილზე დარჩენაც არ შეიძლებოდა. ბინდდებოდა თურმე, უნდა წასულიყო, თორემ გაიყინებოდა. თოვლი მუხლებამდე ყოფილა, ადგილ-ადგილ მეტიც. საითაც უფრო თავისუფალი მოეჩვენა გზა, იქით წასულა. უკვალავ თოვლში სიარული როგორია, ფეხზეც მძიმე ვუნტები სცმია. მიდიოდა გაჭირვებით. სწრაფად უნდოდა ეკლო, ფიქრობდა, დაბნელებამდე დაეყენებია საშეელი. • ძაღლების ყეფის ხმა მისწვდა თურმე. მიხვდა, არც ისე შორს იყო, მაგრამ ვისგან? ან რისგან? არაფერი იცოდა. მიდიოდა და ისიც ვერ გაეგო, უახლოვდებოდა თუ შორდებოდა ამ ხმას. ყინვამ იმატა, მაინც ოფლში გაიღვარა, არაქათი გამოეცალა, დასვენებაც არ შეიძლებოდა. ძალისძალად ადგამდა ნაბიჯებს. ათიოდე მეტრში რაღაც ფიცრული შენიშნა. იმედმოცემულ კაცს ძალაც ემატება. სირბილით ვერა, მაგრამ ჩქარა კი გაუტია იქითკენ თურმე. როგორც იქნა, მიაღწია. ნაკვალევზე ეტყობოდა, ვიღაც ახალი ნამყოფი ყოფილა შიგ. „იქნებ ახლაც შიგაა?“ — გაიფიქრა და გაყინული ხელით პისტოლეტი მოსინჯა. მონადირის ქოხს წაადგა. კარი ნახევარზე გამოეღია, მეტი არც იღებოდა. ისე ყოფილა მოყინული. ძლიეძლიეობით შეეტია შიგ. ყველაფერი მოათვალიერა. ცარიელი მოსჩვენებია იქაურობა, თანდათან შეაჩვია თვალი სიბნელეს. უკანა კედელთან ღუმელისმაგვარი რაღაც შენიშნა. შეშაც ეყარა იქვე. ხის ნატეხით ნაცარი გადაჩხრიკა. აქა-იქ ნაკვერცხლებიც გამოკრთა თურმე. სიღრმეში კაიხელა ნაკვერცხალი გამოჩიჩქნა. შეშა შეუმატა და სული მანამ უბერა, სანამ ცეცხლის ალმა ქოჩორი არ შეატრუსა. განათდა იქაურობა. ხის ტახტი იდგა კუთხეში. კედელზე მიკიდებული ძველი საწვიმარი ლაბადაც შეუმჩნევია. ხის უბადრუკ მაგიდაზე ჭრაქის ლამპა იდო. მოსინჯა, ნავთი არ აღმოჩნდა. დაღლილი იყო, აღარაფერი შეეძლო. ტახტს ხელი ჩასჭიდა, ღუმელთან მივაჩოჩებო, მიჭედებული აღმოჩნდა. ხელი ჩაიქნია, შეშა მიამატა და ტახტზე წაეორდა თურმე.

„ეი, ხლოპეც, გაიღვიძე! ვესმის? გაიღვიძე!“ — ანჯღრევდა ვიღაც.

თვალი გაუხელია, ახსოვდა სადაც იყო და პისტოლეტზე უსტაცია ხელი.

„გამარჯობა", — მისალმებია დაბამბულ კურტკაში და ყურებიან ქუდში შემძვრალი, შუახანს გადაცილებული კაცი.

„სადა ვარ? ვინა ხარ!"

„იქიდან?" — ხელი ცისკენ აუქნევია მოსულს.

თავი დაუქნია თურმე.

„რამდენი ხანია გძინავს?" — შეკითხვია ისევ.

„არ ვიცი".

„ი, ძმობილო, მთელი თვრამეტი საათი გძინებია. მე დაგინახე, მაშინ არ მეცალა, პარაშუტი დღეს ჩამოვხსენი, აგერ დაეწვი ღუმელში. მშიერიც იქნებიო". — უკითხავს.

ისევ დაუქნევია თავი.

„ომამდე მეტყველ ვიყავი, ახლა პარტიზანებთან ვარ შეკავშირედ, სტეპკოს მეძახიან, — უთქვამს მოსულს, — სოფელი გერმანელებითაა სავსე, როგორმე პარტიზანებთან უნდა გავიყვანო. მეორე დღეა დაძრწიან, ალბათ, შენ გეძებენ, საღამომდე უნდა გაუძლო, საღამოს მოვალ და ვცადოთ ბედიო".

დაღამებულა. სტეპკო არ გამოჩენილა. მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს. ელოდა თურმე. „სიფხიზლეა საჭირო, არ ჩაგეძინოს, ბიჭო!"—იმხნევებდა თავს. რამდენჯერმე გარეთაც გასულა, პირსახეზე თოვლს იყრიდა, იფხიზლებდა ძილისკენ წაჩუმათებულ თვალებს. გამთენიისას მაინც ჩასძინებია თურმე. ავტომატმომარჯვებული ორი გერმანელი წადგომია თავზე მძინარეს. ერთი ვარლამის პისტოლეტს ატრიალებდა ხელში. წინ გაიგდეს, თვითონ თხილამურებით მოჰყვებოდნენ.

მოედანზე სახრჩობელასთან ჩაარონიეს. ფეხშიშველა კაცის სხეულს აქანავებდა სუსხიანი ქარი. კისერზე გერმანული წარწერა ჰქონდა ჩამოკიდებული,—„პარტიზან". „როგორ თბილად ეცვა წინა ღამით სტეპკოს", — გააკანკალა თურმე ჭკუასელს.

იმ საღამოს ობერლეიტენანტმა დაჰკითხა. სიტყვა ვერ დააცდენინა, მეორე დღეს ორმა ჯარისკაცმა უფრო მაღალ ჩინთან შეაცილა.

კისერშეხვეული, ხნიერი გენერალი ისე მიაჩერდა, როგორც ბავშვი უყურებს მობეზრებულ სათამაშოს.

„გშია?“ — ჰკითხა გენერალმა.

„მრცხვენია!“

„რისი?!“

„ჩემს მიწაზე შემოჭრილი მტრის წინ რომ ედგავარ და ტყვე მქვია“, უპასუხნია ვარლამს.

„თუ ჭკუით არ იქნები, გვამი დაგერქმევა“.

„ეგ ვიცი!“

გერმანელმა გაიღიმა თურმე.

„სასმელ-საჭმელის საქმე როგორ გაქვთ არმიაში?“

„კარგად. არც არასდროს შემოგვკლებია“.

„თვითმფრინავები თუ გყოფნით?“

„ერთი რომ დავალებაზე მივდივართ, უკან მობრუნებულებს, მეორე გამზადებული გვხვდება“.

„რას ამბობენ შენი მეთაურები, ომი როდის დამთავრდებაო?“

„როცა გავიმარჯვებთო“.

გენერალი გაცხარებულა, მეავტომატეებს ანიშნა თურმე, გაიყვანეთო. ვინ მოთვლის რამდენი ტანჯვა გამოიარა მის მერე. ორ თვეში ტყვეთა ოთხი ბანაკი გამოაცვლევინეს.

ბობკოვმა საათს დახედა. დრო კიდევ გვაქვსო, თქვა, წკალი მოსვა, სიგარეტი გააბოლა და განაგრძო:

— ნადიას სიკვდილის შემდეგ გერმანელები უფრო დაფაცურდნენ. მაღალი ჩინები ჩამოდიოდნენ, მშენებლობას ამოწმებდნენ. მიწის სამუშაოებს რომ მოვრჩებოდით, მერე თვით გერმანელები აბეტონებდნენ.

პირველი რიგის სამუშაოები უკვე დამთავრებული ჰქონდათ. ერთ კვირაში გამოცდას ატარებენო, ასე გამოვიდა ხმა.

ოცდახუთ ივნისს შუადღისას ბანაკის რადიო აღრიალდა:

— ახტუნგ! ახტუნგ!..—შემდეგი სიტყვები საჰაერო განგაშის ზმუილში ჩაიკარგა.

— ხელები თავზე, ყველანი ბანაკში, სირბილით, სირბილით!.. — ყვიროდნენ ზედამხედველები და მიგვერეკებოდნენ.

ბანაკამდე კილომეტრზე მეტი იყო. ასი მეტრიც არ გაგვერბინა, რომ ცაში გუგუნი გაისმა.

— ხმაზე ვცნობ, ჩვენებია! — მომაძახა ჭკუასელმა, — რაღაც უჭირთ, ამათი...

გერმანელი მფრინავები „მესერშმიტებისკენ" გაიქცნენ. სანამ თვითმფრინავებამდე მიაღწევდნენ, მანამ დაიწყო ბომბარდირება. რამდენიმე თვითმფრინავი ცეცხლში გაეხვია. გერმანელები მიწაზე დაცვივდნენ. ტყვეები დაიფანტნენ. ეკლიანი მავთულები მხოლოდ ალაგ-ალაგ შემორჩენილიყო. მე და ვარლამი თვითმფრინავებისკენ გავიქეცით. ჩვენთვის აღარავის ეცალა.

„თუ გავძვერით, გავძვერით, ამაზე უკეთესი შემთხვევა აღარ ვეექნება", — ყვიროდა ჭკუასელი.

თვითმფრინავებამდე მისვლას თითქმის აღარაფერი გვიკლდა, ის „მესერშმიტი", ჩაჯდომას რომ ვაპირებდით, აფეთქდა. თვითმფრინავების ახლოს მიწასაც ეკიდა ცეცხლი. სხვების აფეთქებაც ყოველწამიერად იყო მოსალოდნელი. გავუსხლტით ცეცხლსაც, ყუმბარებსაც და სულ განაპირა თვითმფრინავთან გავჩნდით. ძლივს ავბობღდით თვითმფრინავზე.

— ახლავე თუ არ ავფრინდით, ჩვენც ცეცხლში გამოვიხრუკებით, — იძახის ჭკუასელი. საჭეს ჩააფრინდა, მერე ღილაკებს ეცა. პუჟ-პუჟ-პუჟ! — ჩართო ერთმანეთის მიყოლებით. არაფერი გამოვიდა ცეცხლი კი რიგრიგობით აფეთქებს თვითმფრინავებს. ღილაკები თავიდან „ჩამოირბინა" ჭკუასელმა, ძრავა არა და არ გაეშვა. გული ბაგა-ბუგით ითელიდა წამებს. სისხლი მოაწვა თვალებში. ცივი ოფლით დაეცვარა შუბლი. გამწარებულმა მუშტები დაუშინა ღილაკებს. მოხდა სასწაული, ძრავა ჩაირთო. ახლა ადგილიდან ვეღარ დაძრა, მხრებში ჩავაფრინდი და შევანჯღრიე.

— დამშვიდდი, — ყურში ჩავძახე თავგზააბნეულ ჭკუასელს ხმის კანკალით.

როგორც იქნა სამართავ მექანიზმსაც აუღო ალღო, ბენზინის ავზის ონკანიც გახსნა და მანქანაც წინ გაგორდა.

ჩვენი თვითმფრინავები აღარსად ჩანდნენ. ჭკუასელმა „მესერშმიტი" ასაფრენი ზოლისკენ მოაბრუნა, გერმანელები

რომ გინს მოვიდნენ, ყვირილ-ყვირილით და სროლით გამოიქცნენ. მაგრამ საკმაოდ შორს ვიყავით.

რაღაც სიმღერა წამოიწყო მაშინ ჭკუასელმა. მომეჩვენა, ერთი კი არა, მთელი გუნდი მღერისო, მერე ისე ჩაგრიხა-ჩაახვია მისამღერი, მსგავსი არაფერი გამიგონია. მეც მოვიყვანა სიმღერის ხასიათზე და ისეთი ხმით დავიწყე, „ეი უხნემ", თვითმფრინავის ძრავის ხმა გადაეფარე.

ჭკუასელი თავისას მღეროდა, მე ჩემსას.

„აქ უკვე ჩვენებია, ეტყობა!" — დასაჯდომი ადგილი დამანახა ვარლამმა. თანდათან მივუახლოვდით მიწას. ჭკუასელმა ფრთების ათამაშებით ანიშნა დამხვდურთ სამტროდ არ მოესულვართო. გადმოვხტით თვითმფრინავიდან. ჩვენკენ მომართული ავტომატები და გაკვირვებული სახეები შევნიშნეთ.

მე და ჭკუასელმა ხელი-ხელს გადავხვიეთ. ისევ სიმღერა წამოვიწყეთ და როცა გერმანელთა ტყვეობიდან გამოქცეულები, ჩვენი მებრძოლების „ტყვეობაში" მოვხვდით, ვარლამმა ხმის ჩაწყვეტამდე იყვირა:

— ჩვენ უკვე სახლში ვართ, პარამოონ!!!

სულ მალე, მართლა დავიჯერეთ, რომ ეს ყველაფერი ცხადში მოხდა...

საღამოსათვის შტაბის უფროსთან დაგვიბარეს ორთავე. გამოსაცვლელი ტანსაცმელი მოგვცეს, ტბაზე გავიქეცით დასაბანად. გავიძვრეთ ზოლიანი ხალათები და იმ წუთში ჩვენზე ბედნიერი ალბათ არავინ იყო. დღევანდელივით მახსოვს, ჭკუასელის გაბადრულ სახეს უცებ შეეყინა ღიმილი.

— ეს რა მოგსვლია, პარამონ! — მკითხა შემკრთალმა. — ეს რა მოგსვლია, პარამონ! ეს რა მოგსვლია, ბიჭო!

— რა მოხდა, აღარ იტყვი?!

ხელი ჩამავლო, შტაბში წამიყვანა და სარკეში ჩამახედა.

ერთ საათში გავთეთრებულვარ, ღერი თმა აღარ მქონდა შავი.

— არ შემიძლია იმის გაფიქრებაც კი, რომ ჭკუასელი აღარაა, — გააგრძელა ბობკოვმა ცოტა ხნის შემდეგ, — ისეთი რწმენა ჰქონდა, რასაც ამბობდა, თითქოს კანონი იყო. ჩოხა-

ტაურში ვიქეიფოთო, მპირდებოდა, მეც გადმომედო მისი რწმენა და სამჯერ გავიმარჯვე სიკვდილზე, დღეს აგერ ეზიავარ თქვენთან ერთად.

ჩემი წასვლის დრო მოვიდა. ქუჩამდე გამომაცილეს. ნაწილში დროზე- დავბრუნდი.

დილით ზემდეგი ჟივოგლიადი მეკითხება:

— აბა მომიყევი, საიდან გამოჩხრიკე უმანელი მთავარი ინჟინერი?!

— ის კურსკელი გახლავთ, ამხანაგო ზემდეგო, ცოტა გრძელი ამბავია, მე კი კუბრიკი მაქვს დასალაგებელი და მოსაწმენდი.

— იშმურატოვ! — დაიძახა ჟივოგლიადმა.

— გისმენთ, ამხანაგო ზემდეგო!

— კუბრიკს დაალაგებ!

— არის!

მე მუშტი მომიღერა, თან თავს ისე აქნევდა, აქეთ-იქით უვარდებოდა ქუდი, მგონი, ქუდიც ორი ნომრით დიდ ჰქონდა იშმურატოვს.

ჟივოგლიადმა თავის ოთახში შემიყვანა, საუზმემდე გამოიეიზოგე სალაპარაკო.

—საუზმისთვის მოეწყვეთ! — გავიგონე სერჟანტ კოზარეზოვის ხმა.

წასასვლელად მოვემზადე.

— მოიცა, — შემაჩერა ჟივოგლიადმა, მგონი სასადილოშიც იშმურატოვის გაგზავნა უნდოდა ჩემს მაგიერ,—საუზმის შემდეგ გავაგრძელოთ, — გამაფრთხილა და გამიშვა.

19

ახალწვეულებისთვის პირველი ხტომები იყო დანიშნული. ყველა ღელავდა. რაღა დაგიმალოთ და, მეც გულის კანკალი მქონდა ატეხილი.

ექვს მარტს დილიდანვე შევუდექით მზადებას. ოცდაათი

ახალწვეული სპორტდარბაზში შევიკრიბეთ. ერთ მწკრივად მოგვაწყვეს, პირველ-მეორეზე გავითვალეთ. ჩვენ-ჩვენი პარაშუტები გავშალეთ, რომ გადმოხტომის წინ ხელახლა დაგვეკეცა. პარაშუტის დაკეცვაში ერთმანეთს მე და მალახოვი ვეხმარებოდით.

დავკეცეთ გუმბათები. ჩამოიარა ინსტრუქტორმა და ყველას პარაშუტი შეამოწმა. მერე შევკეცეთ თოკები, მკერდისა და ფეხის თასმები. ინსტრუქტორმა კელავ შეამოწმა. ასეთივე თანმიმდევრობით დავკეცეთ სათადარიგო პარაშუტებიც. საქმეს რომ მოვრჩით, შევავსეთ პარაშუტის პასპორტები:

დაკეცვის თარიღი — 6/III—64 წ.

№ 1-ის (ვისაც პარაშუტი ეკუთვნის) ლევან გოგიაშვილი. ხელმოწერა

№ 2-ის (ვინც დაკეცვაში მიეხმარა) ოლეგ მალახოვი. ხელმოწერა.

პარაშუტი საბოლოოდ შეამოწმა ინსტრუქტორმა, მანაც მოაწერა ხელი და პასპორტები შევინახეთ პარაშუტის ჯიბეებში.

მხოლოდ ამის მერე ითვლება პარაშუტი მზად ხტომისათვის. თუ ეს ხტომა პირველია, საბრძოლოს ვერ დაარქმევ. პირველს გაჭირვების ხტომა ჰქვია — სხვა გზა რომ არ გაქვს და უნდა გადმოეშვა. ძნელი გასაბედია, ისიც დამეთანხმება, ვინც გადმომხტარა და ისიც, ვინც არ გადმომხტარა.

მარტი მშრალი ამინდებით დაიწყო. ჰაერის ტემპერატურა ათიდან თხუთმეტ გრადუსამდე მერყეობდა. ღამით წაუყინავდა კიდეც. დილდილობით თოვლს ხრაშა-ხრუში გაპქონდა. გაზაფხულის სუნთქვა მაინც იგრძნობოდა. შეღვიძებული ბუნება სიცოცხლეს იწყებდა. ამ დროს ახალბედები პირველ ნაბიჯს ვაკეთებდით ჰაერნაოსნობაში.

პარაშუტები ავისხით. ორ მანქანაში მოვთავსდით და საწვრთნელი აეროდრომისკენ გავემართეთ. ყველას ენა გადაეყლაპა. იშმურატოვი ზოგჯერ ძილშიც ლაპარაკობდა, ახლა

მკერდზე მიმაგრებულ თასმებზე დაეკრიფა ხელები და ფიქრებში ჩაძირულიყო. სერჟანტი აკალადა მიხვდა სიჩუმის მიზეზს.

— სიმღერა წამოიწყეთ! — ბრძანა აკალადამ.

Забота у нас такая,
Забота наша простая,
Была бы страна родная
И нету других забот.

წამოიწყო მალახოვმა. თავიდან სიმღერას ვერ დაარქმევდით... პირველი ხტომის მოლოდინში მეტ-ნაკლებად ყველას შეპარვოდა შიში.

И в снег, и в ветер,
И в звезд ночной полет,
Меня мое сердце
В тревожную даль зовет.

აეყევით ბიჭები. სიმღერა ვერ იქნა და ვერ დავამგვანეთ სიმღერას. მეორე სტროფი თვითონ აკალადამ დაიწყო, მისამღერიც უკეთ გამოგვივიდა. იშმურატოვი მაინც ისე მღეროდა, შეგეცოდებოდა კაცს. საწვრთნელი ბაზისკენ გადავუხვიეთ. ჰაერზე მოტივტივე დირიჟაბლი პირველ ეკიპაჟს ელოდა.

ორი ინსტრუქტორი, ლეიტენანტები კრილოვი და ტრეტიაკოვი ადგილზე 'დაგვხვდნენ.

დირიჟაბლის ახლოს ვილისი გაჩერდა. მწყობრისკენ პოლიტნაწილის უფროსი პოლკოვნიკი კულიკოვი გამოემართა.

— სმენა!—ბრძანა ლეიტენანტმა ტრეტიაკოვმა და პოლკოვნიკს საწვრთნელი ხტომების დასაწყებად მზადყოფნა უპატაკა.

პოლიტნაწილის უფროსი მოგვესალმა:

— გამარჯობათ, ამხანაგო ჯარისკაცებო!

ისე რიხიანად მივესალმეთ, დირიჟაბლი შეტორტმანდა. პოლკოვნიკს მაიორი კოლესნიკოვი და ლეიტენანტი ლაბადა ახლდნენ.

ლაბადამ ბიჭებს ჩამოუარა, გვარიგებდა, გვამხნევებდა, პარაშუტებს გვიმოწმებდა.

პირველი სასინჯი ხტომა გამოცდილებს უნდა ეჩვენებინათ. დირიჟაბლის გოდოლში ინსტრუქტორი კრილოვი ავიდა, აკალადა და ანტიპოვი შეჰყვნენ.

— ერთ-ერთი ახალწვეულიც გავაყოლოთ, — თქვა კულიკოვმა და მწყობრს არწივის მზერით ჩამოურბინა. მომიახლოვდა, ჩემს წინ გაჩერდა.

— რიგითი გოგიაშვილი! — მოვახსენე.

— ეს ისაა? — ლაბადას დაეკითხა პოლკოვნიკი.

— ისაა, ამხანაგო პოლკოვნიკო.

— ყოჩაღ, გოგიაშვილო! შენს შესახებ მესაუბრა ზემდეგი ჟივოგლიადი, ალბათ ერთად მოგიწევთ მუშაობა. ახლა კი პირველი გადმოხტომის უფლება შენ გერგო.

— არის გადმოვხტე პირველი! — ვუპასუხე და გოდოლიკენ გავემართე, „რაღა მე ამომირჩია? — ვფიქრობდი, — ისე, სულ ერთი არაა, მაინც უნდა გადმოვხტე და ბოლოს გადმოხტომას პირველად გადმოხტომა სჯობს“...

გოდოლში შევედი. ლეიტენანტმა კრილოვმა კარი ჩარაზა და დირიჟაბლის ამვება ბრძანა.

მიწაზე ტრეტიაკოვი დარჩა მბრძანებლად. ცაში კრილოვი მომყვებოდა.

— რამდენ მეტრზე უნდა ავიღეთ? — ვკითხე კრილოვს.

— ოთხმოცი ათას სანტიმეტრზე, — ღიმილით მიპასუხა კრილოვმა.

„ისე იყურება, ესეც ივავ-არაკებს წერს, მგონი,“ — გავიფიქრე ჩემთვის.

დაბნეული ვიყავი, ოთხმოცი ათასი სანტიმეტრი ვერაფრით ვერ გადავიყვანე მეტრებში. ჩვენსა და მიწაზე დარჩენილებს შორის ნელ-ნელა იზრდებოდა მანძილი, უკვე სამოც მეტრზე ვიქნებოდით მიწიდან. გარკვევით ვუყურებდი მომღიმარ პოლკოვნიკს, მაიორ. კოლესნიკოვს, უფროს ლეიტენანტ ლაბადას, მალახოვს, ივანცოვს, იმშურატოვს და მთელ მწყობრს.

აკალადა რაღაც ანეკდოტს ჰყვება, ერთი სიტყვა არ მესმის მისი. მე სულ სხვაგან ვარ ახლა. სასიამოვნო კი არის ზევით-ზევით რომ მიიწევ, თანდათან რომ პატარავდე-

ბიან მიწაზე დარჩენილები, თითქოს მათ ხარჯზე ჩვენ ვიზრდებოდით. შემეცოდნენ კიდეც, ისე დაპატარავდნენ. თანამგზავრების ხარხარი მესმის, ალბათ სასაცილო ანეკდოტს მოჰყვა აკალადა. ამათთვის პარაშუტი ჩვეულებრივი ამბავია. პირველი ნაბიჯი სხვაა, პირველი ნაბიჯი მიწაზეც ძნელი გასაკეთებელია.

— სიმაღლე რვაასი მეტრი, — თქვა ინსტრუქტორმა, — პირველად გადახტება აკალადა!

აკალადამ პარაშუტის რგოლი ფოლადის გვარლზე ჩამოაცვა. კრილოვმა გოდოლის კარი გამოაღო.

— წავიდა! — დაიძახა აკალადამ.

წამიც და აქანავებულ გოდოლში სამიღა დავრჩით. ცოტა ხნის შემდეგ ანტიპოვმა დაიძახა ნახვამდისო და მიჰყვა აკალადას. დადგა ჩემი რიგი, რგოლი ტროსზე ჩამოვაცვი, რაზე ვფიქრობდი იმ წუთში, ვერ გეტყვით, მეგონა არაფერზე და ყველაფერზე. კრილოვი მარიგებდა, სიტყვები მესმოდა მხოლოდ, აზრი არა, ქვემოთ გადმოვხედე „ტრეტიაკოვის გამოფენას“. ერთ წუთში იმათთან ვიქნები, მიწაზე, ამის გაფიქრება და თავისუფალი ვარდნის შიში და სიამოვნება ერთდროულად ვიგრძენი. წამის მეათედში, მომეჩვენა ითქოს, ნახევარი მანძილი ვიფრინე. ქვემოთ დატოვებული „კაცუნები“ თვალსა და ხელს შუა წამოიჩიტინენ. რაღაცამ ისევ უკან დამქაჩა და დირიჟაბლისკენ ამისროლა. პარაშუტი გაიშალა ალბათ, ჩემდაუნებურად ხარხარი ამიტყდა. ეხარხარებდი ცაში, სადაც ჩემს გარდა არავინ იყო. არასოდეს გამიცინი ამ სიმაღლეზე, ვუახლოვდები მიწას, რაც უფრო ვუახლოვდები, მით უფრო იმედიანი ვხდები. გერშალოვის მიერ ნასწავლი დამიწების წესები გამახსენდა, პარაშუტი ჩემკენ დავქაჩე, ტანი ავიმჩატე და ჰოოპ! ასეე! ჩავჯექი თოვლში.

ხუთი წუთის შემდეგ პოლკოვნიკმა მწყობრის წინ მომილოცა პირველი ნახტომის შესრულება, შაბათს ქალაქში სეირნობის უფლება მომცა და სათანადოდ შევსებული საბუთი გამომიწოდა. მწყობრიდან ორი ნაბიჯი წინ გადავდგი.

„—ეემსახურები საბჭოთა კავშირს!“ — ვთქვი ხველას გასაგონად.

დირიჟაბლი ახალ ეკიპაჟს ელოდა.

— ვინც მოხალისედ ჩაჯდება, გოგიაშვილივით დავაჯილდოვებ, — თქვა პოლკოვნიკმა.

მალახოვი გაემართა პირველი. მას ივანკოვი მიჰყვა. კიდევ ორის ადგილი იყო დარჩენილი. მოხალისეები აღარ აღმოჩნდნენ.

— ტრეტიაკოვ, გააგრძელე დაკომპლექტება! — ბრძანა კულიკოვმა.

ინსტრუქტორმა მალენკინსა და ვარგვალისს უბრძანა ჩაჯდომა.

— ჩემით მაინც წავსულიყავი, — წუხდა მალენკინი.

დირიჟაბლი ნელ-ნელა ატივტივდა ჰაერში. მზის ნელთბილ სხივებს ისხლეტდა შემღვალი თოვლი. ასეთმა ამინდმა იცის თოვლქვეშიდან ყვავილების ამოტყუება. ორი დღის მერე მუსიკალურ სასწავლებელში ვართ მიწვეულები სარვამარტი ზეიმზე, ყვავილებით დაიმშვენებდა კაცი ხელს.

— გოგიაშვილო, თვალები თუ დახუჭე გაღმოხტომისას? — შეკითხება იშმურატოვი.

— არ მახსოვს, მგონი არა.

— აბა, ისე როგორ გადმოხტი?!

— უბრალოდ, ავიწიე და გადმოვხტი.

— რას გრძნობ გადმოხტომისას? — ახლა ლიტველმა სლავინსკასმა გააგრძელა „დაკითხვა“.

— თითქოს დგახარ დედიშობილა და მდუღარეში ჩახტომას გაიალებენ.

— მერე!

— მერე, გადმოვხტი მაინც, ეს რა ექენი-მეოქი, გავიფიქრე, მაგრამ უკან შეხტომა ველარ მოვახერხე და ახლა აგერ ვარ თქვენთან.

— გული თუ აგიფანცქალდა, — დაინტერესდა იშმურატოვი.

— გულიც ამიფანცქალდა და სხვა რამეც, ისე, საშიში არაფერია, პირიქით, თავისუფალი ვარდნა ისეთი სასია-

მოვნია, პარაშუტს არც გახსნიდა კაცი, თვითონ რომ არ იხსნებოდეს.

— რა დამწვარი ბედი მაქვს, ამისგან სიმართლეს ვერ გაიგებ, იშმურატი კი შორსაა აქედან, ჭკუა დამარიგოს. ზის ალბათ ფესმორთხმული თავის „ნამუშევარში" (ასე იხსენიებდა ოერომეტ და-ძმას) არხეინად და შეექცევა ჩაის. მე აკადემიაში ვერავარ გავგზავნილი. ჯარი ცხოვრების აკადემიაა, მარიგებდა. ვთქვათ, არ გაიშალა ეს ტომარი, ზურგზე რომ მაქვს, ხომ დავასკდი მიწას ნესვივით. იშმურატის აქლემი მჯობია ახლა მე, ორი კუზი აქვს და არცერთის დარდი არ აწუხებს.

— თუ არ ვცდები, იშმურატს მეორე აქლემიც ჰყავს. ერთკუზიანი, დღე და ღამე ეს კუზი აწუხებს!—ვთქვი და იშმურატოვის პარაშუტს ხელი მოვუთათუნე.

— ენა რომ არ გქონდეს, ზევით წაგიღებდა პარაშუტი, ქვევით კი არა.

მეორე ოთხეულიც კარგად გადმოხტა. იშმურატოვს რომ შიშისგან მართლა კუზები არ წამოსხმოდა, მესამე ეკიპაჟში ჩართეს.

გადმოხტა ერთი, მეორე, მესამე, მეოთხეს ცოტა შეაგვიანდა, ბოლოს ის მეოთხეც გამოეყო დირიჟაბლს. ისე უხერხულად აღმოჩნდა ჰაერში, ვეგონებოდათ, უბიძგესო. პარაშუტს ეაშლისთანავე ორი შავი რაღაც გამოეყო.

— რა არის ეს? — იკითხა შეშფოთებულმა კულიკოვმა.

— თუ არ ვცდები, იშმურატოვი გადმოხტა, ამხანაგო პოლკოვნიკო.—მოვახსენე პოლიტნაწილის უფროსს, — ის ორი შავი ნაწილაკი მისი ჩექმები იქნება, ორი ნომრით დიდი აქვს და წაბერა ალბათ ჰაერში.

კულიკოვს გაეღიმა.

იშმურატოვს მიწაზე ფეხის შეხება გაუხარდა, მაგრამ ეს სიხარული მალე გაუცივდა ფეხებთან ერთად. ცალი ჩექმა ნახა, მეორე დიდხანს ეძია.

— ამხანაგო პოლკოვნიკო! ნება მომეცით მოვაძებნინო! — ვთხოვე კულიკოვს.

— არა, თვითონ მოძებნოს, შემდეგისთვის ეცოდინება თავისი ჩექმის ნომერი.

მეორე ჩექმაც ნახა იშმურატოვმა. უზბეკურად ბუზღუნებდა რაღაცას. მივხვდი, იშმურატი იყო ისევ პროგრამაში.

— რას ერჩი მამაშენს? — ჰკითხა აკალადამ.

— როგორ თუ რას ვერჩი, — ორი ნომრით დიდი ჩექმები ჩაიცვი და ფეხები ბუხარივით თბილად გექნებაო, ბუხარივით კი არა, ეგვიპტის მუმია უფრო თბილი იქნება ახლა... —.და ისევ უზბეკურად გააგრძელა იშმურატოვმა.

— ის კი ზის თავის „ნამუშევარში" და მეათე ჭიქა ჩაის შეექცევა ალბათ,—ეუთხარი თანაგრძნობით იშმურატოვს.

— აბა, მოკეტე! — თვალები „დამიბრიალა" იშმურატის ნაბილარამ, — ესაა მდუღარე? გავიყინე კაცი!

პირველი ნათლობა მივიღეთ. პარაშუტები ხელახლა დავკეცეთ, ნაწილში დავბრუნდით. ყველაფერი საწყობს ჩავაბარეთ და მოსაწევ ოთახში სიგარეტები გავაბოლეთ. ახლა სულ სხვა გემო ჰქონდა თუთუნს. ხიფათგავლილი კაცი რომ გააბოლებს გემრიელად, ისეთი.

20

ჯარში გაწვევამდე რა მოვახსენოთ და, გიმნასტურის გადაცმისთანავე კი დავრწმუნდი, მზარეულობაზე გემრიელი პროფესია არ არსებობს. მოგშივდება თუ არა, თვალწინ დაგიდგება ქვაბებთან მოფუსფუსე, თეთრჩაჩიანი „ღვთიური" სახე. ფოსტალიონი?! ფოსტალიონი მზარეულზე მაღლა დგას. მზარეული მაგარ მოშიებულზე თავისუფლად შეიძლება შეადარო სახმელეთო ჯარების პოლკოვნიკს. ფოსტალიონი კი ზოგჯერ გენერალიცაა და ადმირალიც.

ჩვენი ნაწილის ფოსტალიონი თავიდან კუროჩკა იყო. ყოველდღიურად პირველ საათზე, დიდი პორტფელით მიყუნცულობდა ფოსტისკენ. ალბათ ასეთი სიარულის გამო შეარქვეს „კენგურუ". სანამ ჭიშკარს გასცდებოდა, ათასნაირ დაკვეთებს აძლევდნენ. ზოგი დედის წერილს აბარებდა, ზოგი შეყვარებულის წერილს, ზოგსაც ტკბილეულით სავსე ამანათის მიღება ერჩივნა. კუროჩკა ყველას თავს უქნევდა, ვნახოთო.

ახლაც დავინახეთ თავისი განუყრელი ჩანთით, ფოსტისკენ მიიჩქაროდა. ჩვენთვის, ხანდახან, ღმერთი იყო, თვითონ კი ამბობდა: მზის შვილი ვარო. მზის კალენდრით ემუშაობ, ჩემი მფარველი პლანეტა მზე არისო და მზეს იფიცებდა, რიცა ძალზე სურდა მისი ჩათქვამი დაგვეჯერებინა.

მიდიოდა ფოსტისკენ „კენეურუ“ და ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე ერთი მტკაველით მაინც უახლოვდებოდა მზეს. ყველა იმედით აყოლებდა თვალს ჭიშკრის იქით წამიდან-წამზე გამოჩენილ ქუდს, ხან რომ ასცილდებოდა ჭიშკარს და ხან ჩაიკარგებოდა.

მალახოვიც უთვალთვალებდა მიმავალ კუროჩკას. რამდენი გამოჩნდებოდა. მწერსო იტყოდა, ჩაიკარგებოდა ქუდი და, არ მწერსო. თითქოს ხელში გვირილა ეჭირა და ოცნების პეპლებად აქუცმაცებდა ყვავილს.

— დღეს წერილს მომიტანს „ჩანთოსანი“, — თქვა მალახოვმა.

— თუ მოსკოვის ერთ-ერთ სკოლაში ხუთი დღის წინათ საკონტროლო წერა ჰქონდათ, რა თქმა უნდა, მოგიტანს, წერილი წითელი მელნით იქნება დაწერილი, — ვუთხარი მალახოვს.

— საკონტროლო რა შუაშია, მაინც მივიღებ.

მალახოვისგან ყველაფერი ვიცოდი: მოსკოვის სკოლაში. რუსულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა მისი ტოლა გოგონა — გუტია. ინსტიტუტი ერთად დაუმთავრებიათ. ორი წლის შემდეგ, როგორც კი ოლეგი სამხედრო სამსახურს დაამთავრებდა, იქორწინებდნენ კიდეც. ზოგჯერ მალახოვს გუტიას წერილიც წაუკითხავს ჩემთვის. მართლაც ლამაზი ენით წერდა გუტია და თუ ასევე უყვარდა, როგორც წერდა, ოლეგს თავი ქუდში ჰქონდა. რა თქმა უნდა, სამხედრო ფორმის ქუდში და სანამ იმ ქუდს არ მოიხდიდა, მანამ წითელი მელნით აჭრელებულ წერილებს უნდა დაეპურებია.

უკან დაბრუნებულმა კუროჩკამ წერილები ჩამოარიგა. მალახოვს მართლაც გაუმართლა—წერილი წითელი მელნით იყო დაწერილი.

ოლეგს წერილის კითხვა სადილობისას უყვარდა. კითხუ-

ლობდა, თან წვნიანს მიირთმევდა. ისე გაიტაცებდა ხოლმე წერილი, საჭმელი ავიწყდებოდა, კოვზი პაერში უშეშდებოდა. მის მაგიდასთან ვიჯექი და ჩემს წინ გამოშკერილ მალახოვის კოვზს, თითქოს რაღაცის დამატებას რომ ელოდა, გულგრილად ვერ ვუყურებდი, მარილს ვაყრიდი და ვუთვალთვალებდი. ის კი, აქაც არაფერიო, ჩვეულებრივად აგრძელებდა, არც ხმას იღებდა, არც პირისახეზე იმჩნევდა რამეს. ამ ამბავს ისე შევეჩვიე, უკვე მოვალეობად ვთვლიდი, კოვზზე მარილი დამემატებინა და იმით გათამამებული, რომ მალახოვი არაფერს ამბობდა, თანდათან ვზრდიდი დოზას.

21

ორი კვირა იყო გასული, ბობკოვებისგან არაფერი ისმოდა. შუადღისას კურუჩკამ ორი წერილი მომცა. ერთი ჩემივე გაგზავნილი აღმოჩნდა. „ადრესატი ამ მისამართზე აღარ ცხოვრობს", ეწერა კონვერტზე გაკრული ხელით. მეორე პარამონ ბობკოვის გამოგზავნილი იყო. მამას ველარ ჩაესწრო შვილისთვის. „ვალოდია კომისარიატში აღარ მუშაობს, რომელილიღაც ნაწილში გაუგზავნიათ სამსახურის გასაგრძელებლადო", — იწერებოდა პარამონ ნიკიტას ძე. ჩვენებთან შეუვლია, კარგად შემხვდნენო. კომისარიატში შეპირებიან, დავადგენთ მისამართს და აუცილებლად გაცნობებთო. ცოტა ხანს კიდევ მოვიცდი, იქნებ კომისარიატის პასუხმაც მომისწროსო.

ცხრა მაისს ოცი წელი სრულდებოდა ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვებიდან. კიდევ მრავალი ობელისკი წამოიმართა ომში თავდადებული ბიჭების ხსოვნის უკვდავსაყოფად. საზეიმო საღამოს მოსაწყობად ჩვენი ნაწილიც ემზადებოდა. ამ საღამოს გვქონდა ჩაფიქრებული, ყველა მოსამსახურისთვის გვეჩვენებინა ოცდახუთი წლის უნახავი მამა-შვილის—ბობკოვების შეხვედრა. მთავარი იყო უმცროსი ბობკოვის მისამართი დაგვედგინა. დანარჩენს პოლკოვნიკი კულიკოვი შეგვპირდა, მოგიხერხებთო.

წერილის მიღებიდან ერთი კვირის შემდეგ პარამონ ბობკოვი უმანში დაბრუნდა. ნაწილში მომაკითხა. შინიდან გა-

მოგზავნილი ჟურნალ-გაზეთები და რაღაც რაღაცეები მომიტანა.

— კომისარიატს ჯერჯერობით პასუხი არ მიუღია, აქაური მისამართი დავუტოვე და წამოვედი, — სინანულით ამბობდა მიხუცი.

— პარამონ ნიკიტას ძევ, ერთ რამეზე შეეთანხმდეთ, უნდა მოთმინებით აღიჭურვოთ. თქვენს ვაჟს რვა მაისს, საზეიმო საღამოზე შეგახვედრებთ.

— რა მომათმენინებს, შვილო, ორი თვეა დარჩენილი.

— უარესისთვის გაგიძლიათ და...

22

ჩვენს სამხედრო ნაწილსა და ქალაქის მუსიკალურ სასწავლებელს დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებდათ. მუსიკალური სასწავლებლის სტუდენტები ხშირად საშეფო კონცერტებს მართავდნენ ჩვენი ნაწილის ჯარისკაცებისთვის. ტრადიცია გრძელდებოდა. რვა მარტს მიწვეული ვიყავით სასწავლებელში, ქალთა დღისადმი მიძღვნილ საზეიმო საღამოზე. თორმეტ ჯარისკაცს შორის, რომლებიც საღამოზე უნდა წასულიყვნენ, მე და მალახოვიც მოვხვდით. დილით ზემდეგ ჟიოგლიადს ვთხოვეთ: ერთი საათით ნაწილის მახლობლად ტყეში გავეშვით ყვავილების მოსაკრეფად. ზემდეგმა ნება დაგვრთო და ტყისკენ მოვკურცხლეთ.

ტყეში სიარული ბავშვობიდანვე მიყვარდა. ფეხი-ფეხზე მქონდა დავლილი სიმონეთის მახლობლად „მოქცეულა“, „ყორნელა“, „შინდოვანი“, „სამანიშვილის გორა“. ტყეში წასულს არც საჭმელი მახსოვდა, არც სასმელი. იქ ბევრი რამაა ისეთი, ქალაქელი ბიჭის ყურადღების მიქცევა რომ შეუძლია. თუნდაც მთელი დღე მეხეტიალნა, დაღლას არ ვიგრძნობდი. ახლაც სიამოვნებით შევედი ტყეში. ტყეში მალახოვიც შინაურულად გრძნობდა თურმე თავს. მას დედა ბელორუსი ჰყოლია, გრიოღნოს მახლობელი სოფლიდან.

— ტყეზე რომ ჩამოვარდება სიტყვა, შენ გაჩერდი, — გამა-

ფრთხილა ილეგმა, — ტყეში არ დავბადებულვარ, თორემ ტყეში გავიზარდე.

— სულ მინდოდა, მეკითხა...

— რა უნდა გეკითხა? — თვალებში მომაჩერდა მალახოვი.

— ტყეში ხომ არ ხარ გაზრდილი-მეთქი.

— ვითომ რატომ? — დამცინავად გადმომხედა.

— გორკის ქუჩაზე მოსეირნე ბიჭის სიარულს არ ჰგავს შენი ბაკბაკი, როცა გიყურებ, ყოველთვის მგონია, გუტიას ტყეში ყავხარ გაგზავნილი სოკოზე.

მალახოვმა გაიცინა. სხვა დროს ასეთ ხუმრობაზე წამოენთებოდა ხოლმე, ახლა წინ ჩამოყრილი თმა ხელით გადაივარცხნა და ღიმილით გაბადრულ პირისახეზე თითქოს შეყვარებული ბიჭის გულმაც გამოიგაზაფხულა.

— გუტიას მიღებული ექნება ჩემი მისალოცი ბარათი ალბათ, — ჩაილაპარაკა თავისთვის.

არყის ხეები ერთმანეთს გასჯიბრებოდნენ სილამაზეში. იდგნენ მორცხვი გოგონებივით ტანაყრილები, თითქოს ელოდნენ, როდის გაიწვევდნენ საცეკვაოდ. მარტის თოვლი ალაგ-ალაგ დიდი ხნის ნახმარი ფარდაგივით დაცრეცილიყო ტყეში, უკვე სიმწვანე ერეოდა თეთრ ფერს. ენძელებს ამოეხეთქათ მიწაც, თოვლიც და თითქოს კაბებს ქვეშიდან შესჩერებოდნენ არყის ხეებს.

ტყემ ღრმად შეგვიტყუა. ის-ის იყო უკან გამობრუნებას ვაპირებდით, რომ ჩვენს წინ, ორმოცდაათი-სამოცი მეტრის სიგრძეზე ოდნავ შესამჩნევად შემაღლებული პორცვი დავინახეთ. თავში პატარა, ობელისკისმაგვარი ბეტონის სვეტი იდგა. „1944 წელი, 12 თებერვალი“, ეწერა ლითონის პატარა დაფაზე. ობელისკთან მხრებში მოხრილი, თეთრთმიანი კაცი იდგა. სამი მიხაკი დაედო შეზურგულებულ მიწაზე. მე და მალახოვმა უსიტყვოდ გადავხედეთ ერთმანეთს, მხრები ავიჩეჩეთ, ნელა მივუახლოვდით მოხუცს. თაიგულები მიხაკებთან დავაწყვეთ და გვერდით დავუდექით. მოხუცს არ გაჰკვირვებია ჩვენი მისვლა, თითქოს ყველაფერი ასე უნდა მომხდარიყო. შეგვათვალიერა. მივესალმეთ.

უხმოდ დაგვიქნია თავი.

— უკაცრავად, აქაური ბრძანდებით? — შეეკითხა მალასოვი კარგა ხნის შემდეგ.

— არა, ამჟამად ლვოვში ვცხოვრობ, — ჩახლეჩილი ხმით გეიპასუხა უცნობმა.

— რას ნიშნავს ყოველივე ეს? — ახლა მე შეეკითხე.

— აქ ასოცდაცხრა უდანაშაულო ადამიანის საფლავია, ასოცდამეათე მე ვიყავი, შემთხვევით გადავრჩი.

ტანზე ბუსუსები ამეშალა.

— ეს როგორ?! — წამომცდა უნებურად.

— როგორ და ხელი დამრჩენოდა მიწის ზემოთ. მეორე დღეს ჩვენებმა აიღეს ქალაქი. ჩემი გმინვა ისმოდა თურმე მიწიდან. სანიტარი გოგონა დაბნეულა, მებრძოლები დახმარებიან შეშინებულს.

ჩემი გადარჩენა საეჭვო ყოფილა. მძიმე ჭრილობა მქონდა მკერდის არეში, მაგრამ... როგორც ხედავთ... დავით ფურმანი ვარო, გვითხრა. აქ ჩემი ცოლი და ორი ვაჟია დამარხული, ასოცდაცხრავე ებრაელები ვიყავით, ოჯახებით ჩაგვულიტეს ჩვენივე ხელით გათხრილ ორმოებში. ახლა ოცდაორი წლის ვარ. დასაფლავებიდან მეორე დღეს დავიბადე. რაც მოხდა, ყველაფერი საზარელ სიზმრად ჩავთვალე. ხელახლა დავიწყე ცხოვრება. ომმა ყველაფერი მომტაცა. სულისა და ხორცის მეტი აღარაფერი შემრჩა. აქ ველარ გავჩერდი... ყოველწლიურად ჩამოვდივარ. რვა მარტს ჩემი ცოლის დაბადების დღეა... ძნელია აქ სამი ყვავილის დადება... — გვითხრა ფურმანმა და წყლიანი თვალებით მოგვაჩერდა. ამ თვალებს ახლაც ეშინოდა რაღაცის, ახლაც გერმანელების ტყვეთა ბანაკში მოხვედრილი ტუსაღი გვიყურებდა თავისი ხელით გათხრილი სამარის წინ, ახლაც მისკენ მიშვერილი ავტომატის ლულაში იყურებოდა ეს შიშნაჭამი თვალები თითქოს. შეგვატყო, გვეჩქარებოდა. წადითო, გვითხრა, ცოტა ხანს კიდევ დავრჩებიო.

ჟივოგლიადთან ხელცარიელი დავბრუნდით, დაგვიცალა, ყველაფერი დაწვრილებით მოვუყევით და გაჩერდა.

— ვიცნობდი მაგ კაცს, — ჩაილაპარაკა ზემდეგმა, — კარგი ექიმი იყო, ცოცხალი აღარ მეგონა, — ბავშვობიდან აქ

ვცხოვრობ და ებრაელთა საფლავის ამბავი პირველად მესმის, მერე ავტოპარკისკენ შებრუნდა, ჩემს მაგივრად გტოვებო, გასძახა სერჟანტ აკალადას.

— აბა მიჩვენეთ ეგ საფლავი, — და ჭიშკრისკენ გაემართა. ნახევარი საათის მერე იმ ადგილზე ვიყავით. ფურმანი ისევ ისე, თავდახრილი დაგვხვდა ჟივოგლიადი მიესალმა. მოხუცმა ამოხედა. როგორც წელან, ახლაც უხმოდ დაქნია თავი. ნელა წამოდგა. მუხლებმა ტკაცანი გაიღეს, სახე დაემანჭა ფურმანს. იქაურობა მოათვალიერა, ჟივოგლიადს მიაჩერდა ბოლოს. რაღაცის თქმა უნდოდა. უსიტყვოდ შებრუნდა მაინც. ნელა გაუყვა თოვლში დატოვებულ თავის ნაკვალევს. გაუნძრევლად დავრჩით. ვიდექით და ვუყურებდით ფურმანის ზურგს, იგი ნელ-ნელა გეშორღებოდა. თვალს მიეფარა და მაინც მეგონა, თითქოს ჩვენ წინ იდგა. იღგა და გვიყურებდა დაფეთებული თვალებით.

ნეტა რაღასი უნდა შინებოდა ფურმანს?..

— როგორ შეცვლილა! — ჩაილაპარაკა ჟივოგლიადმა, მერე საფლავი მოათვალიერა, — შეამჩნევდით ალბათ, რაღაცის თქმას აპირებდა მოხუცი. საჭიროდ აღარ ჩათვალა ეთქვა, ისე გაბრუნდა. თუ მიხვდით, რა უნდოდა ეთხოვა ფურმანს? — გვკითხა ჟივოგლიადმა.

მხრები ავიჩეჩეთ.

— აი რა: ნაწილში დაბრუნებისთანავე შეხვალთ კომკავშირის მდივანთან და მოუყვებით ყველაფერს. თხოვეთ, რომ გსურთ ამ საფლავის მოვლა-პატრონობა იკისროთ. ვფიქრობ, უფროსი ლეიტენანტი ლაბადა წინააღმდეგი არ იქნება...

ლაბადა თავის ოთახში დაგვხვდა. რაღაცას წერდა. კარი რომ შევაღეთ, ხელი დაგვიქნია.

— შემოდით, შემოდით! შენ გეძებდი გოგიაშვილო, ჩვენი წერილის პასუხია ქუთაისიდან. ვლადიმერ ბობკოვის ახალ მისამართს გვატყობინებენ კომისარიატიდან. პატარა ქალაქი, სადაც ბობკოვი მსახურობდა თურმე, უმანიდანაც ახლოს იყო. მისამართის გადასაწერად მოვემზადე. არაო, შემაჩერა ლაბადამ. არაფრის მიწერა არ შეიძლება. პოლკოვნიკი კულიკოვი გზავ-

ნის ოფიციალურ მიოთხოვნას მის გამოსაშვებად. იგი ჩვენს ქალაქში ჩამოვა რვა მაისს, არც ადრე, არც გვიან. სადგურზე შენ დახვდები და საიუბილეო საღამოს დაწყებამდე შეიქცევ. ექვსი საათისთვის დარბაზში შემოიყვან და.. მანამ ორი ოვეა, ჯერჯერობით ადრეა ამაზე ლაპარაკი. ახლა რამ შეგაწუხათ, რისთვის მოსულხართ?

დაწვრილებით მოვუთხრეთ მისვლის მიზეზი.

— ყოჩაღ, ბიჭებო! მომწონს თქვენი წინადადება — წამოდგა, ხელი ჩამოგვართვა ორთავეს, მერე სუფთა ქაღალდი აიღო, ჩვენი გვარები დაწერა პირველად, ათი სხვა გვარი მიუმატა და თავი ასწია:

— ხვალვე, საუზმის შემდეგ ავიღებთ საჭირო სამუშაო იარაღებს და წაგვიძღვებით წინ. ერთი წუთით აქ დამელოდეთ, პოლკოვნიკ კულიკოვს ნებართვას ვთხოვ.

ცოტა ხნის შემდეგ ლაბადამ კულიკოვის მიერ ხელმოწერილი სია გადმომცა.

23

სავრამარტო საღამოზე წამსვლელები ფაცი-ფუცით ემზადებოდნენ, მუნდირებზე თეთრ საყელოებს ცვლიდნენ, პირს იპარსავდნენ, ღილებსა და ქამრების ბალთებს ასიდოლის ხსნარით აპრიალებდნენ, აუთოებდნენ შარვლებს, იწმენდნენ ჩექმებს.

ხუთი საათისთვის ზემდეგმა ჟივოგლიადმა შეამოწმა, როგორ ემზადებოდნენ ბიჭები.

— ყველაფერი კარგი, მაგრამ ჩექმებს მაინც სხვანაირად უნდა გაპრიალება. ისე უნდა გაწმინდოთ, სარკესავით კრიალებდეს. ცეკვის დროს კაბის ქვეშ რომ შეაცურებ, ყველაფერი უნდა გამოჩნდეს, რასაც ასე გულდასმით მალავენ მათი პატრონები. აბა, გაიქეცით! ათ წუთში მზად იყავით, უკვე წასვლის დროა.

ატყდა ჩექმების ხელახალი წმენდა, ყველაზე დიდხანს იშმურატოვი აპრიალებდა. წასასვლელად მოვეწყვეთ. იშმურატოვმა ჟივოგლიადის დასანახად ქუდი მოიხადა. სავარცხე-

ლი ამოიღო, ჩექმისკენ დაიხარა და ქოჩორი გადაივარცხნა. ჩემს გვერდით მდგომ მალახოვს რაღაც წავჩურჩულე, ოლეგმა გაიღიმა, ვითომ უცაბედად მოუვიდა, ფეხი დააბიჯა იშმურატოვის ჩექმას და თავისი ჩექმის ლანჩა მიაბეჯდა.

— ბოდიში, იშმურატოვ, უცაბედად მომივიდა! — ღიმილს ვერ იკავებდა მალახოვი.

— აქლემი! — შეუღრინა იშმურატოვმა.

ჟივოგლიადი ყველაფერს ხედავდა, იმასაც მიხვდა, რომ მალახოვმა ეს შეგნებულად გააკეთა.

— იშმურატოვ, რა ნომერია შენი ჩექმა? — იკითხა ზემდეგმა.

— ფეხი ორმოცი ნომერი მაქვს, მაგრამ ჩექმები...

— ორი ნომრით დიდი, — წაეშველა ჟივოგლიადი.

— სწორედ ასეა!

— მალახოვ, შენი ჩექმები რა ნომერია? — ახლა ოლეგს მიუბრუნდა ჟივოგლიადი.

— ორმოცდაერთი, ამხანაგო ზემდეგო!

— ორივეს თითო ნომრით დიდი გექნებათ, ახლავე გაუცვალე იშმურატოვს!

იშმურატოვმა მალახოვის ჩექმები ჩაიცვა.

— სულაც არ არის ცუდი, — ჩაილაპარაკა თავისთვის.

— გასასვლელისკენ ნაბიჯით იარრ! — ბრძანა ჟივოგლიადმა.

— ღონისძიებას უფროსი ლეიტენანტი ლაბადა ხელმძღვანელობდა.

მუსიკალური სასწავლებელი ქალაქის ცენტრში იყო. ექვსი საათისთვის საზეიმოდ მორთულ შენობაში შევედით. საკონცერტო დარბაზში ყველაფერი ისე ლამაზად და გემოვნებით მოეწყოთ, იგრძნობოდა, ქალთა დღესასწაული რომ იყო.

დირექტორმა გაგვაცნო სასწავლებლის მოკლე ისტორია, თუ რომელ წელს დაარსდა, რომ მათი კურსდამთავრებულები მთელს კავშირში, საბავშვო ბაგა-ბაღებში არიან მიმოფანტულნი. ახლანდელი მსმენელები ანუ თქვენი მასპინძლები, ყველანი უკრაინელებია, წარმატებით ეუფლებიან პედაგოგ-მუ-

სიკოსის სპეციალობას. გაუთხოვრები არიან და ფიქრობენ გათხოვებაზე.

დარბაზში სიცილ-კისკისმა გადაირბინა. ყველა რომ მიწყნარდა, იშმურატოვის ხვიხვინი შემორჩა ბოლოს.

— რა გაცინებს, — გადაუჩურჩულა ლაბადამ.

— არაფერი, არაფერი, — სიცილს ძლივს იკავებდა იშმურატოვი, — მრავალცოლიანობა აღარ შეიძლება და ამდენ გოგონებს რა დაათხოვებს.

დამსწრეთ ლაბადამაც გააცნო ჩვენი ნაწილის საბრძოლო გზა დიდ სამამულო ომში. ჩამოთვალა ომის გმირები და საბრძოლო დიდების სამივე ხარისხის ორდენების მფლობელები ჩვენი ნაწილი ახლაც დგას მშვიდობის სადარაჯოზე და ამზადებს ახალგაზრდა კადრებსო, მათგან ერთი ჯგუფი დღეს თქვენივე მოწვევით თქვენთანაა. აქაა რუსი, უკრაინელი, უზბეკი, ქართველი, ლიტველი, ესტონელი... ყველანი საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების წარჩინებულები არიანო.

— ოჯახური მდგომარეობა, ამხანაგო ლეიტენანტო! — წამოიძახა ვიღაცამ უკანა რიგებიდან.

— ცოლიანი ვარ!

— გილოცავთ, კარგად გამყოფოთ, მაგრამ ბიჭებზე გეკითხებით, — ახლა შუა რიგებიდან იკითხეს ყველას მაგიერ.

— ااا! ბიჭები უცოლოებია.

— მაშინ, შეგვიყვარონ ჩვენ!

— ეს ამათი საქმეა, — თავი ჩვენკენ მოაბრუნა ლაბადამ.

— თქვენ უბრძანეთ, გესმით, უბრძანეთ, რომ ჩვენ შეგვიყვარონ.

— არ შემიძლია!

— განა ასე ძნელია?..

— სიყვარულთან ბრძანებით ვერაფერს გააწყობთ, — სხვაგვარად მიუდგა საკითხს ლეიტენანტი და სანამ კვლავ რაიმეს შეეკითხებოდნენ, დაასწრო, — მოგესალმებათ მოსკოველი მალახოვი! — თქვა და დაჯდა.

მალახოვი წამოდგა. ორიოდე სიტყვით მიულოცა ქალებს გაზაფხულის ეს ნათელი და შინაარსიანი დღესასწაული.

მალახოვის შემდეგ იშმურატოვი მიესალმა მუსიკოსებს.

ვიწრო თვალებში იმდენი ეშმაკი ჩასახლებოდა, ვერ დაითვლიდით.

— პირველ რიგში რვა მარტს გილოცავთ, — დაიწყო იშმურატოვმა, — ამაზე უკეთესი რაღა იქნება, ვუყურებ გაჭრილ საზამთროსავით ავარდისფერებულ თქვენს პირისახეებს, მაშინ როცა ბუნება იღვიძებს და ყველაფერი საზამთროსავით მწვანდება. გაზაფხულზე ახალი ძალით იღვიძებს სიყვარული, ახლა ჩემშიაც გაიღვიძა ამ კეთილშობილმა გრძნობამ. ბრძანება რა საჭიროა, ბრძანების გარეშე მიყვარხართ ყველა, უზბეკეთში თერთმეტი და-ძმა მყავს, აქ კიდევ დები შეეიძინე, საზამთროსავით გემრიელ ცხოვრებას გისურვებთ, ძვირფასებო.

ჩემი რიგიც დადგა, ჯერ ქართულად მივულოცე რვა მარტი. ვერაფერი გაიგეს. მერე უკრაინულად შევეცადე. ჩემს უკრაინულზე იმდენი იცინეს, შემეცოდა დარბაზი. ბოლოს მოვყევი ენძელების საკრეფად რომ წავედით ტყეში, ისიც ვუთხარი, ფერმანის ცოლი რვა მარტს ყოფილა დაბადებული-მეთქი. ომში დაღუპული ქალების საპატივცემულოდ დარბაზი ფეხზე დადგა და წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს მათ ხსოვნას. ყველანი რომ დასხდნენ, გავაგრძელე: საზამთრო საქართველოშიაც მოდის, მაგრამ იშმურატოვმა იმდენი ილაპარაკა, ულამაზოა შევეცილო. ამიტომ გისურვებთ ხვანჭკარა ღვინოსავით ტკბილები და მათროთლები იყვეთ მუდამ.

როიალის ხმა გაისმა. რევაზ ლაღიძის „თბილისომ“ ჭერამდე აავსო დარბაზი. მომღერალ გოგონებს შეეუერთდი. ისინი რუსულად მღეროდნენ, მე ქართულად, მაინც კარგად გამოვვივიდა. უფროსი ბობკოვი და ჭკუასელი გამახსენდა: გაზოტაცებულ გერმანულ თვითმფრინავში ქართულ-რუსულად რომ მღეროდნენ, ჩამოხეულ ზოლიან ტანსაცმელში, ზურგზე დიდი შავი სამიზნე წრით, თმაგაბურძგნულები. ჭუჭყიანები, გაძვალტყავებულები, სალამანდრებივით უვნებელნი რომ გამოძვრნენ ცეცხლიდან. ამ ორ სიმღერას შორის დიდი სხვაობა იყო. ახლა, ამ დარბაზში მეც მომინდა რაღაც დიდი საქმე გამეკეთებინა. ვაჟკაცობად ჩაეთვალათ ჩემი თავგანწირვა. ვმღერი, თან მეჩვენება, თითქოს დარბაზი ზღვაში მოტივტივე ხომალდი იყოს, იქ მსხდომნი კი დასაღუპად განწირული მგზავრები.

რამდენიმე ასეული წყვილი თვალი მომჩერებოდა, თითქოს, შველას მთხოვდნენ, მე კომპასდაკარგული კაპიტანივით არ ვიცოდი, როგორ გამეყვანა გემი ნაპირზე... ამ გაწამაწიაში ვიყავი, რომ გოგონებს სიმღერა დაემთავრებიათ, მე კი მესამედ ვიმეორებდი მისამღერს, ჩემი ხომალდი სიცილის ზღვაში ჩაიღუპა, ვერ გავიყვანე გემი სამშვიდობოს. სამაგიეროდ, როიალს რომ უჯდა და სიმღერა წამოიწყო, იმ ქალიშვილს მოვკიდე ხელი და ის გავიყვანე საცეკვაოდ. მინდოდა, რაღაც მეთქვა, ვერაფერი მოვახერხე. თვალები ჩვენს უკითხავად დაეშმაკობდნენ, ცეკვის დროს პაემანის დაუნიშნავად ხვდებოდნენ და ქურდობაში წასწრებულივით გაურბოდნენ კიდეც ერთმანეთს.

— რა გქვია, ქართველო! — დამასწრო გოგონამ.

— ლევანი, რიგითი ლევან გოგიაშვილი.

— ოჰო, კარგი სახელია! ლევან! — გაიმეორა გაპრანჭულ ხმა-კილოზე, — ასეთი სახელი კაპიტანსაც დაშვენდებოდა, — და ისე შემომხედა, თითქოს განაჩენი გამოიტანა და მისი შეცვლა აღარ შეიძლებაო.

— ახლა, ამ წუთში, მართლაც კაპიტანი ვარ, — ხმამაღლა წამომცდა ფიქრი.

— თქვენ, კაპიტანი?!

— ჰო, გემის კაპიტანი, თანაც კომპასდაკარგული, ყველაფერი კი თქვენი ბრალია.

— ჩემი?

— თქვენი, თქვენი!

— უკომპასოდ რომ დარჩით?

— დიახ, უკომპასოდ!

— ნუ გეშინიათ, კაპიტანო, ფარ-ხმალი არ დაყაროთ, მღელვარე ზღვაში არ დაგტოვებთ, — როიალისკენ წამიყვანა, კუნძულივით რომ ჩანდა მოცეკვავეთა შორის.

— რა ჰქვია ჩემს პოსეიდონს? — ეკითხე და კომპასის ძებნას შევუდექი.

— ლუსია კუპრი, — თქვა და გაიცინა.

— სიცილი ყველას უხდება, მაგრამ ლუსიას განსაკუთრებით.

მუსიკა შეწყდა, გამხიარულებულ ბიჭებს გადავხედე. ყველას ეტყობოდა, პირველი ცეკვის შემდეგ თითო სახელი ესწავლათ და ახლა მოუთმენლად ელოდნენ მეორე ცეკვას.

— ქალთა ცეკვა! — გამოაცხადეს დარბაზში.

თვალსა და ხელსშუა დაიტაცეს ბიჭები. მთელი დარბაზი ტრიალედბდა. ცეკვავდნენ ლაბადა, ჟიეოგლიადი, მალახოვი, იშმურატოვი — ყველა, ზოგიერთი ქალიშვილის გარდა. მე ვინც საცეკვაოდ გამიწვია, მხიარული გოგონა აღმოჩნდა.

— ჩვენთან წაბლის ლამაზი ხეივანიაო, — მითხრა და მომაჩერდა, რა შთაბეჭდილებას მოახდენდა ჩემზე წაბლის ხეივანი.

— ძალიან კარგი, — ვუპასუხე, ისე, სხვათაშორის.

— იცი, როგორ ჰყვაეის წაბლი? რა სურნელი იფრქვევა ირგელივ? თქვენთან, საქართველოში თუ იზრდება წაბლი?

— როგორ არა, არის!

ლუსია შევნიშნე, როიალს ჩამოყრდნობილი ჩვენსკენ იყურებოდა. გაკულიმე. ღიმილითვე მიპასუხა. როგორ უსდებოდა ღიმილი...

— რა ჰქვია წაბლს ქართულად? — ეკითხა ლოყებაწითლებულმა გოგონამ და მედუზისფერი თვალებით ისე დამაკვირდა, როგორც რაიმე ნივთს აკვირდებიან ყიდვის წინ.

ვუთხარი.

— ცაბლი, ცაბლი, ცაბლი! — იმეორებდა გოგონა და უხაროდა ქართულის სწავლა ამ სიტყვით რომ დაიწყო.

ცეკვის შემდეგ გოგონებმა უკრაინული სახუმარო სიმღერა წამოიწყეს.

ტიჟ მენე პიდმანულა,
ტიჟ მენე პიდველა,
ტიჟე მენე მოლოდოგო,
სუმა რაზუმ ნი ზველა..

მღეროდა ლუსია და საჩვენებელ თითს ნაწყენივით უქნევდა დარბაზს. არ ვიცი, მომეჩვენა თუ რა, ლუსია თითს დარბაზს კი არა, მე მიქნევდა გაბუტული.

სახუმარო სიმღერა ახალი რიტმით შეიცვალა. კელავ აცეკვდა სტუმარ-მასპინძელი. ლუსიასთან მივედი. ცეკვა არც ერთს არ გვინდოდა. იშმურატოვს მასზე მაღალი გოგონა დაეწელკავებინა და თავდახრილი დაშტერებოდა მალახოვის ჩექმებს. სიცილი ამიტყდა. ლუსია მიზეზს ჩაეძია, რატომ

იცინიო. მოვუყევი ჩექმების ამბავს და მისი კისკისიც ზამბარასავით შეხუჭუჭდა საერთო ხმაურში. იცინოდა ეთელი ტრესებით. ლუსიას თვალებში ჩემი თავი დავინახე. ისე პატარა ვიყავი, გრძელი წამწამებით შემოსაზღვრულ ზღვისფერ სარკეებს ალბათ ველარც დავაღწევდი თავს.

ცეკვის შემდეგ მალახოვი მოგვიახლოვდა, ქერა გოგონა ახლდა.

— გაიცანი,. ჩემი მეგობარი ლიდა, — მითხრა ღიმილით.

ასეთი კარგი გოგონას გაცნობა სასიამოვნოა და ასევე მოვახსენე ყველას, ვინც მისმენდა, მერე ლუსია წარეუდგინე მალახოვს.

ლუსია და ლიდა მეგობრები აღმოჩნდნენ, ერთ კურსზე სწავლობდნენ და საერთო საცხოვრებელშიც ერთ ოთახში ცხოვრობდნენ თურმე.

საღამო დასრულდა. ჩვენი წასვლის დროც დადგა. გოგონებმა ეზოში გამოგვაცილეს. მასპინძლები გაცილებით მეტნი იყვნენ. ორ მწკრივად მოვეწყვეთ და ერთხმად ჩავაგრუხუნეთ:

— ნახ-ვამ-დის! ჩვენ ისევ შევ-ხვდე-ბით!

— ნახვამდის!—ერთხმად გვიპასუხეს გოგონებმაც.

— ნაბიჯით იარრ!! — ბრძანა ჟიოგლიადმა და რიტმული ნაბიჯების ექომ მუსიკალური სასწავლებლის ფანჯრები შეაზანზარა.

წინ მივდიოდით და უკან ვიხედებოდით. გოგონები ხელების ქნევით გვემშვიდობებოდნენ.

— ნახეთ რამდენი არიან, რა დაათხოვებთ ამათ, — წუხდა იმმურატოვი და მალახოვის ჩექმებს გამეტებით უბათქუნებდა ქვაფენილზე.

— სიმღერა! — ბრძანა ჟიოგლიადმა.

ასე კარგად არასდროს გამოგვსვლია. ჩვენს სიმღერას გოგონების ხმაც შემოუერთდა, არც ისინი მღეროდნენ ცუდად. მათი ხმა თანდათან შესუსტდა, ბოლოს სულ მიწყდა, თითქმის ყველამ მივიხედეთ უკან. აღარც მუსიკალური სასწავლებელი ჩანდა, აღარც გოგონები, აღარც მათი სიმღერა ისმოდა.

მეორე დილით ლაბადა ადრე მოვიდა. ვისაუზმეთ თუ არა, ტყისკენ გავემართეთ. მშვენიერი დილა იყო. კარგმა ამინდმა ხასიათის აყოლიებაც იცის. ჩიტების ჭიკჭიკი მიგვაცილებდა. თოვლი გუშინს აქეთ თვალსა და ხელს შუა გაპარულიყო. მიწას ახალი ბალახი ამოეგზავნა გაზაფხულის მოციქულად ასეთი დილაა ალბათ, ახალ სიმღერას რომ გათქმევინებს. ლექსს დაგაწერინებს, ზღაპარს დაგახატვინებს და ყველაფერში დიდ სიყვარულს გაგარეკინებს. ტყეს წლის ყველა დროის აქვს თავისი ანდამატი. გაზაფხულის ტყის სიმფონია მაინც შეუდარებელია-მეთქი, — ვფიქრობდი ჩემთვის და ბარებითა და თოხებით შეიარაღებულ ბიჭებს მივუძღოდი. არცერთი ხმას არ იღებდა. ალბათ ყველა მათგანი ჩემსავით ეპარებოდა ჩასაფრებულ გაზაფხულს, ხვალ თუ ზეგ ფეხზე რომ წამოიჭრებოდა, კუდით ქვას ასროლინებდა ზამთარს და ციყარტყელას ფერებით გადაიტკარცალებდა, გაუხედნავი კვიციეთ გადაიჭიხვინებდა თვალსაწიერს.

იმ ადგილს მივუახლოვდით. ჯერ კიდევ არ ჩასდა საფლავი. ხმა შემოგვესმა, თითქოს ტყის სიღრმეში რაღაცას ჩეხდნენ. ცოტაც და ყველაფერი ნათელი გახდა. საფლავთან თეთრთმიანი მოხუცი იდგა ბარით, უხერხულად ჩიჩქნიდა მიწას. მივხვდით, ბარი მისთვის შეუჩვეველი იარაღი იყო. გავიტრუნეთ. მოხუცმა ბარი მიწაზე დააგდო. საფლავთან ჩაცუცქდა. მაპატიეთო, იხვეწებოდა ჩახლეჩილი ხმით. ყველანი მჯობიხართ, მომიტევეთ, რომ მე უბადრუკი, ცოცხალი დავრჩი, სანამ შემეძლო, საფლავს მაინც ვწმენდდი, ახლა აღარც ეგ შემიძლია. მაპატიეთ, ჩემო ბიჭებო, ჩემო სოფა.— მოხუცს მხრები აუთახთახდა, აქვითინდა დავით ფურმანი. სადღაც კოდალამ სამჯერ დააკაკუნა ხეზე, თითქოს სამი წერტილი დაუსვა ფურმანის გოდებას...

— დილა მშვიდობისა! — ერთხმად მიესალმეთ მოხუცს.

დაბნეული ფურმანი ფეხზე წამოდგა, დამფრთხალი თვალებით მოგვაჩერდა, თითქოს რაღაცას იხსენებსო, წამიერმა ღიმილმა მოიტაცა მისი პირისახე, თითქოს ღრუბლების ტყვეობიდან თავდაღწეულმა მზემ გამოანათაო.

უფროსი ლეიტენანტი ლაბადა ჯერ მხედრულად მიესალმა, შემდეგ ხელი ჩამოართვა ფურმანს, გააცნო ჩვენი ნაწილის მებრძოლთა გადაწყვეტილება. მოხუცს თვალები ხელახლა გაევსო ცრემლებით.

— მადლობის მეტი რა მეთქმის!—ჩურჩულით თქვა. მე და შალახოვს მოგვაჩერდა, გვაგრძნობინა, გიცანითო. ოფლს, შუბლზე და სახეზე რომ ასხდა წვეთებად, თვალებიდან გადმოგორებული ცრემლები შერეოდა. ორივე სიმწრისა იყო, ორივე ნაღდი იყო და მთელი თავისი ცხოვრება ორივესთან ერთად გაეჯახირებია ფურმანს. მოხუცმა აქეთ-იქით მიისედ-მოიხედა, მერე ხელჩანთა აიღო, ბარი და თოხი მხარზე გაიდო, თქვენს წასვლამდე დავბრუნდებიო, თქვა და ნელა გაუყვა ქალაქისკენ.

მუშაობას შევუდექით. საფლავის ბორცვს უფრო მისძალებოდა ბალახი. საქმე თითქმის დამთავრებული გვქონდა, ფურმანი რომ დაბრუნდა. სავსე ხელჩანთა და ყვავილების თაიგული მოიტანა. იქვე ახლოს ჩამოჯდა. მძიმედ სუნთქავდა. ცოტა ხანს გვათვალიერა. კარგი ხალხი ხართო, ჩაილაპარაკა. თქვენი ღონე და ჯანმრთელობა ყველაფერზე დიდი სიმდერეაო. თქვენი იმედი გვაქვს, ახალგაზრდებო. მჯერა, ბედნიერად იცხოვრებთ. ეს ბედნიერება თვითონ უნდა გამოჭედოთ, თქვენი მარჯვენით და თქვენი აზრითო.

იშმურატოვი მოხუცის წინ გაჩერებულიყო, მარცხენა ხელით ბარი ეჭირა, მასზე ფეხიც ჩამოესვენებია. მარჯვენა, რომლითაც, ფურმანის თქმით, ბედნიერება უნდა გამოეჭედა, ჯიბეში ედო და უსმენდა სვენებ-სვენებით მოლაპარაკე მოხუცს. ფურმანს ეტყობოდა, ყველაფერს ამას თავისთვის ლაპარაკობდა, მის წინ იშმურატოვი შენიშნა, ისე მიაჩერდა, თითქოს იცნო და ვერც იცნოო.

— იშმურატოვ! — თავისთან მიიხმო ჟივოგილადმა.

— გისმენთ, ამხანაგო ზემდეგო!

— ნემსი და ძაფი გაქვს?

— მაქვს, ამხანაგო ზემდეგო!

— ახლავე ამოკერავ ჯიბეს, რომელშიც ხელი გქონდა,

ხუთ წუთში მომახსენებ, — ისე დაბალ ხმაზე უთხრა, ფურმანს არაფერი გაუგონია.

— არის, ამხანაგო ზემდეგო! — წაიბუზღუნა იშმურატოვმა. გულჯიბის შიგნიდან ნემსი და ძაფი გამოაძრო, იქვე ყუმბარისაგან ამოთხრილ ორმოში ჩაჯდა და საქმეს შეუდგა.

— რა კაცია ჩვენი ზემდეგი, მამაჩემს გაასწრებს უცნაურობაში. რას არ მოიგონებს, რა უნდა, ჯიბეს რომ ეცა, — განაგრძობდა ბუზღუნს.

— მამაშენიც ასეთი უცნაურია? — ვეკითხები იშმურატოვს.

არ მელოდა, ისე შეუმჩნეველად . მივეპარე, შეხტა კიდეც, უხერხულობიდან თავდასაღწევად იშმურატის ამბავი დაიწყო:

— ერთხელ ვზივარ სახლში ცეცხლისპირას. ზამთარია. შეშა იყო შემოსატანი. მამაჩემმა ბათირს დაავალა, უფროს ძმას, ადე, შეშა შემოიტანეო. ვის უხარია თბილი სახლიდან სიცივეში გასვლა. ბათირსაც შეეზარა და კომარს უთხრა, მომდევნო ძმას, შეშა შემოიტანეო, კომარმა აიდინს გადააბარა ბრძანება, აიდინმა — საბირს. უფროს-უმცროსობით იმდენი იარა თხოვნამ- თუ ბრძანებამ, სანამ ყველაზე უმცროსამდე, ანუ ჩემამდე არ მოაღწია. ჩემზე უმცროსი აღარავინ იყო. ვიჯექი ჩემთვის, ვითომ არც გამიგონია. ძმებიც არხეინად მისჩერებოდნენ ცეცხლს. ხანდახან თუ გავაპარებდით იშმურატისკენ მზერას, ვის დაატყდებოდა მისი რისხვა, არ ვიცოდით. იშმურატმა ჩიბუხი გულდასმით ამოასუფთავა, ამას იმდენს მოუნდა, კინაღამ წამოვდექი და შეშის მოსატანად გავიქეცი, მაგრამ ძმების ჯინაზე მაინც ადგილზე დაჭედებულივით დავრჩი. იშმურატმა, როგორც იქნა, შეინახა ჩიბუხი. ფეხზე წამოდგა. გასასვლელისკენ გაემართა. ყველას თავი ისე შებრუნდა, იშმურატის ზურგი დაენახათ. კართან მისული მამა უცებ შეჩერდა. მისკენ მიპყრობილ თორმეტ წყვილ თვალს ცალ-ცალკე გაუსწორა მზერა, ისევ ცეცხლს ჩავაშტერდით. ფეხის ხმაზე მივხვდით, გარეთ კი არ გასულა, ჩვენკენ შემობრუნდა. აი, მოვა ახლა და ბათირს დღეს დააყრის?! — ვფიქრობდი ჩემთვის. მაინც რამდენ ხანს მოუნდა მოსვლას. ბათირს ურჩევნია ახლავე გაიქცეს და შეშა მოიტანოს... ამ ფიქრებში ვიყავი... ჩემი ყური იმ ნათურისკენ აქაჩეს, ჭერზე რომ ეკიდა. სანამ შევ-

ძელი, ავყევი ყურს, მერე გავჩერდი, ეს უფრო მტკივნეული აღმოჩნდა, მოვაღე პირი. იშმურატმა მანამ არ გამიშვა ხელი, სანამ კარგად არ ამიხსნა: „უმცროსისთვის უფროსის სიტყვა კანონიაო“. მერე ყურით წამიყვანა. კარი გამოაღო და მიმართულება პანღურით მომცა. ვერც მაშინ მივხვდი, რატომ დამსაჯეს მაინც და მაინც მე. ახლაც მიკვირს, რა უნდოდა ჩემთან ჟიეოგლიადს. ჯიბე ამოიკერეო, მერედა, სადღა შევინახო რამე. ჯიბე იმიტომ აქვს ტანსაცმელს, საჭიროა ალბათ. არა, ამოიკერეო, მერე რა, ხელს რომ ვიყოფ ჯიბეში, ვისაც აქვს ჯიბე, ყველა იყოფს ხელს. არაფერიც რომ არ გქონდეს შიგ, მაინც წაგცდება ხანდახან ხელი, მიჩვევაა უბრალოდ. რამდენი დიდი კაცის სურათი მინახავს, ჯიბეები აქვთ. ჯიბე ისეთი რამაა, ყველას სჭირდება. საინტერესო კია, როდის დაიკერა ადამიანმა ჯიბე, რატომ დაიკერა. თუმცა ამას რა მიხვედრა უნდა, დაჭირდა და დაიკერა... — იჯდა იშმურატოვი ორმოში ნახევრად გამოჩეკილი წიწილივით და ჯავრობდა ჯიბეზე, რომელიც ეს ესაა, საკუთარი ხელით ამოაკერინეს.

საფლავი გაიწმინდა. ყველანი ფურმანის მახლობლად ჩამოსხდნენ. მოხუცმა ხელჩანთა გახსნა, ფორთოხლები ჩამოარიგა.

— გემის კაპიტანი მყავს მეგობარი, მან მომიკითხა, გასინჯეთ!...

იშმურატოვმა პირი დააღო.

— ამოდენა ფორთოხლები, სიმართლე გითხრათ, არც მინახავს. ნესვები. იზრდება ჩვენთან ამოდენები.

ფორთოხალს ხელში ათამაშებდა, ჰაერში აისროდა, ტაშს შემოჰკრავდა, დაიჭერდა, ისევ აისროდა: ამ ცელქობაში იყო, რომ ცხვირის მარცხენა ნახევარზე და თვალის უპეს ქვეშ ჩიტის თეთრყვითელა სკინტლი ჩამოეთხლაწა. ციცწყალგადასხმულივით გაშეშდა. ბიჭები სიცილს ვეღარ იკავებდნენ. იშმურატოვმა ფორთოხალი ამოკერილ ჯიბეზე გაისვა, თავი გააქნია მწარედ, მეორე ჯიბეში ვერაფრით ვერ ჩაატია, მერე მიწაზე მოისროლა, კვლავ რაღაცას დაუწყო ძებნა ჯიბეში. ხელი ჩაიქნია და სწორედ იმ ჩაქნეული ხელისგულით მოიწმინდა პირისახე.

— იშმურატოვ, ცხვირსახოცი არა გაქვს?

— არა, ამხანაგო ზემდეგო! მას მერე ვერ ვიტან, მაგის გულისთვის დეზდემონა რომ დაახრჩვეს.

— მიმუნობას თავი დაანებე! — გაბრაზდა ჟიეოგლიადი.

— მაქვს, მაგრამ შენახულია საიმედოდ.

— როდისთვის?

— სანამ სირაქლემა არ ჩაასკინტლავს, — იხუმრა მალახოვმა,

— ამოკერილ ჯიბეში დამრჩენია, — ამოიხვნეშა იშმურატოვმა და ახლად ამოსულ ბალახზე შეიწმინდა ხელი, — ჯიბე ამოუკერავი აქვს ყველას, მე რა დავაშავე?

— ნუ ჯავრობ, სკინტლი ბედნიერების ნიშანია. ახლა კი გაარღვიე ჯიბე და... — ნება დართო ჟიეოგლიადმა.

— ჯიბე მქონდეს და ყველა ბედნიერება თქვენთვის დამითმია.

ამ ამბავმა ფურმანსაც მოჰგვარა ღიმილი. ხელჩანთიდან კიდევ ერთი ფორთოხალი ამოიღო და იშმურატოვს გაუწოდა.

25

მუსიკალური სასწავლებლიდან სეტყვასავით წამოუშინეს წერილები. ერთი მეც მივიღე. იმ გოგონასაგან, წაბლის ხეივანზე რომ მელაარაკა. ამჯერად ჩემს ჯანმრთელობასთან ერთად ხვანჭკარას სხვა თვისებებითაც დაინტერესებულა, საუბარში შეყოლიების ეს ძველი მეთოდი არ მომეწონა. ვითომ ვერაფერს მივუხვდი.

„კაცი რომ ღვინის თვისებებით დაინტერესდება, მისი ჯანმრთელობა საკითხავი აღარ უნდა იყოს, — ვწერდი საპასუხოდ, — ხვანჭკარა შესანიშნავი სუფრის ღვინოა, მზადდება დასავლეთ საქართველოს მთიან ზონაში (სოფელი ხვანჭკარა, ამბროლაურის რაიონი). ყურძნის ჯიშებია ალექსანდროული და მუჯურეთული. საუცხოო არომატი, ჰარმონიული გემო და ხავერდოვანი ტონი ამ ღვინის მთავარი კომპონენტებია: შეიცავს 10,5—12,0 ალკოჰოლს, ხვანჭკარას ზომიერად უნდა სმა, თუ ჭარბად მიეძალე, გემოს ვერ გაუგებ. კარგი შენახვა და ხელისწყობა უნდა, თორემ მოგ-

მარებაც იცის. სხვა შემთხვევაში, შემიძლია ასეთივე ზოგადი ინფორმაცია მოგაწოდოთ ციცქინა ლობიოზე, იაპონურ ზღმარტლზე და სხვა ბალახ-ბულახზე.

მოკითხვა გადაეცი ლუსიას!"

ის იყო და ის, მისგან წერილი აღარ მიმიღია. ვიფიქრე, ბოტანიკას თავი დაანება და სხვა მეცნიერებით დაინტერესდა-მეთქი, მაგრამ შევცდი. ერთი თვის შემდეგ ფედია დიმჩუკმა მიიღო წერილი, სალამ-ქალამის მერე ორ ფირცელზე ისევ წაბლის ირგვლივ იყო საუბარი. წაბლი ძალიან მიყვარსო, გამოუტყდა დიმჩუკი პოდრებს და შემდეგ შაბათს ქალაქში სეირნობის დროს ლოყებლაჟღლაჟა გოგონა რომ გაიცნო ძმებს, პოდრებმაც დაიჟინეს, - წაბლი ჩვენც გვიყვარსო. ძმები, როგორც იშმურატოვი ამბობდა, აქლემივით ჰგვანდნენ ერთმანეთს. ხმელნიცკის რაიონიდან იყვნენ ტყუპები. ერთმანეთის ფასი არაფერი ჰყავდათ, მაინც კინკლაობდნენ დღენიადაგ. როგორც ლეკვების თამაშით ერთობა კაცი, ჩვენც ასე ვერთობოდით პოდრების კამათით. ერთ-ერთი ქუდს მოისდიდა, მეორეს ესროდა, მეორეც ვალში არ რჩებოდა. ბოლოს ნიკოლოზი ივანეს ქუდს დაიხურავდა, ივანე ნიკოლოზის ქუდს და სხვადასხვა მხარეს წავიდოდნენ ბუზღუნ-ბუზღუნით, რომ ცოტა ხნის მერე ისევ ერთმანეთი მოეძებნათ.

სიმართლე თუ გინდათ, სახელით და გვარით ვერ ვარჩევდით, თუკი ვინმე მაინც ანსხვავებდა მათ, ალბათ თვითონ ძმები იყვნენ. ერთხელ სამხედრო ბილეთზე წაკინკლავდნენ. ორივე იჟინებდა, ნიკოლოზ პოდრაზე შევსებული ბილეთი ჩემიაო. მაშინ შემეპარა ეჭვი: თვითონაც ხომ არ ეშლებათ-მეთქი.

ერთ დღეს მორიგე ვიყავი. ღამის სამ საათამდე უნდა მეფხიზლა.

— ნიკალაი! — დავუძახე პოდრას, თუმცა დარწმუნებული არ ვიყავი, მართლა ნიკოლაი იყო თუ მისი ძმა ვანია. შევატყვე, დაძინება ვერ მოეხერხებია.

—რა გინდა?!—გამაგონა.

— ასე რომ ჰგავხართ ერთმანეთს, სახლში როგორღა გარჩევდნენ შინაურები?

— ეგ პრობლემა დედ-მამამ ადვილად გადაწყვიტა. ივანეს მთლად ხოტრავდნენ თავს, მე პატარა ქუცუცს მიტოვებდნენ წინ. პირველ ხანებში გვანსხვავებდნენ, მერე იმითაც ავიწყდებოდათ, რომელი იყო ქოჩრიანი და...

— ამხანაგები? მეგობრები? თანაკლასელები?!

— მაგაზე რა მოგახსენოთ. ეს კია, ამხანაგები მე უფრო ბევრი მყავდა. ვანია წიგნებს უჯდა სახლში. სათამაშოდ სად ეცალა. წერით დავალებებს ორ-ორ ცალად ასრულებდა ყოველთვის. ჯერ ჩემს მაგივრად ჩააწკრიალებდა. მამამ დაგვარიგა ერთხელ: „ნამდვილი ძმობა თუ გინდათ, ეგაა, ჯერ ძმაო ჩემო, მერე თავო ჩემოო“. მაშინვე უკულმა დალაგებულად მომეჩვენა მამის ნათქვამი. ვანია კი მის მერეა ცუდ დღეში. სკოლაში საკონტროლო წერას ჯერ ჩემს მაგივრად დაწერდა, თავისი ან დაუმთავრებელი რჩებოდა, ან მიახუთშაბათებდა. მე კარგ ნიშნებს ეღებულობდი, ჩემი ძამია სამს ან... ეს, როცა ვერ ამთავრებდა.

ზეპირში მიჭირდა შედარებით. მასწავლებლები ერთდროულად გვიძახებდნენ დაფასთან. ვანია რომ მოჰყვებოდა გაკვეთილს, თუ მოვახერხებდით, ადგილებს შევცვლიდით და ისევ მეორედ ყვებოდა იგივეს, თუ არა და ერთ-ერთი ორიანს ეღებულობდით. თქმა არ უნდა, ყოველთვის მე მეკუთვნოდა ორიანი, მაგრამ ხშირად ვანიას ეწერებოდა.

„შენი სახელიო“ — მკითხავდა ისტორიის მასწავლებელი. ვანია-მეთქი, ვეტყოდი უტეხად. მეოთხედის ბოლოს, თითქმის ყველა საგანში ჰქონდა ჩემს ძამიას ნიშანი გამოსასწორებელი. სულ მარიგებდნენ: „საეშმაკოდ და სათამაშოდ რომ უჭირავს თვალი, გვერდით მოისვი და ცოტა მაინც ამეცადინეო“. თავს ვიმართლებდი: „ჩემი კი არა, მამა-ჩემის არაფერი სჯერა, ცემით მემუქრება და რა ექნა-მეთქი“. ვანია უხმოდ გვისმენდა. ასე წამებაში დავამთავრეთ საშუალო. მე რა, ვანიამ დაამთავრა. თანაც ორმაგად ისწავლა. ორი უმაღლესი დაამთავრაო, ამბობენ ზოგიერთებზე. ორი საშუალო სკოლა დაემთავრებინოს, ასეთი არც იქნება ვანიას მეტი. ჭკეიანი ბიჭია. თუ ეს ტვინი შერჩა, შორს წავა. გაკვეთილების გარდა სხვა წიგნებსაც კითხულობდა. ორი

წიგნი წაიკითხა ისეთი, თითო ფუთი მაინც იქნებოდა თითო. იმისთანა ჭკვიანური დაწერილია, რაც არ უნდა იკითხო, ვერაფერს გაიგებო, მითხრა. შორს წავა-მეთქი, რომ ვამბობ, ტყუილია? მაგისთანებს უმართლებთ დღეს ცხოვრება.

ნიკოლოზის საწოლი მალახოვის საწოლის გვერდით იდგა, მის იქით, კუთხეში ვანია იძინებდა. ძმებს სექტემბერში დემობილიზაცია უწევდათ. ნიკოლოზისთვის რომ გეკითხათ, უკვე ხედავდა დემობილიზაციას, გამზადებული ჩემოდნით რომ მოდიოდა მისკენ.

— უძილობა დამჩემდა, რაც სახლში წასვლის დრო მოახლოვდა. ამას ძინავს ტკბილად, — ძმისკენ გამახედა ნიკოლოზმა. ვანიას საწოლს მიუახლოვდა, დაიხარა ძმის ყურთან და დამტკბარი ხმით დაუწყო: — ვანიას უნდა ფისი-ფისი, აბა, ვანია, თავი არ შეირცხვინო, ვანია, საწოლში არაფერი გაგეპაროს, ვანია. აი ასე, ტუალეტში გავიდეთ, ხელი ჩამჭიდე. აი ასე, ფისი-ფისი უნდა ვანიას, აბა რაღას უცდი, აი, ყოჩაღ. გამობრუნდა ნიკოლოზი. შეეორდა ლოგინში და კმაყოფილი ხითხითებდა.

ვანია საწოლში ახვანცალდა, — რამდენჯერ გითხარი, შე უღმერთო, დაანებე თავი ამ სისულელეს-მეთქი! — ბუზღუნებდა ძილ-ღვიძილში, სულ მალე გამოფხიზლდა, ჩაიცვა და საწოლზე ჩამოჯდა.

— რატომ გაწვალებს? — ჩურჩულით ვკითხე ვანიას.

— რას გაიგებ, ეგ ხომ ადამიანი არაა, — საწოლიდან წამოდგა, ხელი ჩაიქნია და მომიახლოვდა,—მაგისი პირველი მზაკვრობა ეგაა: ხუთი წუთით რომ მომასწრო ამქვეყნად მობრძანება. ოცდარვა თებერვალს, ღამის თორმეტ საათს სამი წუთი უკლდა თურმე, ეგ რომ დაბადებულა. ოცდაცხრა თებერვალს პირველის ორ წუთზე ვავჩენილვარ მე. არ გავჩენილიყავი ნეტა. ნიკალაის ყოველწლიურად ულოცავდნენ დაბადების დღეს. მე ოცდამეერთე წელში ვარ და ხუთჯერ მქონდა სულ. კიდევ იტყვიან, ხუთი წუთი არაფერიაო. ეგ ხუთი წუთია, რომ მომინელა. მიკვირს, ცხრა თვეს როგორ გავძელი მაგასთან ერთად. ჩემი ძმის წყალობით ბავშვობაც მოშხამული მქონდა. ვინმეს რამეს გაუფუჭებდა, მერე თვი-

თონ ერიდებოდა მასზე გაბრაზებულს, ნიკალაის მაგიერ ყველა ჩემს ყურებზე ვარჯიშობდა. რამდენჯერ ვთქვი, ჩემი ძმა იქნებოდა-მეთქი, პანღურსაც მიმატებდნენ. მერე ვისწავლე ჭკუა, ხმას აღარ ვიღებდი. შედარება არ იყო, უფრო იოლად გამოვდიოდი. სახლში ტირილ-ტირილით ვბრუნდებოდი, შემომხვდებოდა ეგ „მაიმუნი" და თანაგრძნობით მკითხავდა:

— ტიმოხამ გაგლახა, ძამია?

ბრაზისგან ტირილს ვუმატებდი. ეგ კი მარიგებდა:

— არავის არ უნდა მიეკარო, ოხერი ხალხი ცხოვრობს ამ ქვეყნად, ყველას ეფხანება ხელები. ამ დილით ოწინარის ვედრო ჩამივარდა მაგის ჭაში, შემპირდა, ყურებს დაგახევო, არ აუსრულებია მაგ მათხოვარს?

ხან ვიღაცის ძაღლს მოტეხდა ფეხს, ხანაც სხვის ბაღჩაში გადაიპარებოდა, ხან რას ჩაიდენდა, ხან რას, პასუხისმგებელი ყოველთვის მე ვიყავი. ყურები აწითლებული მქონდა სულ.

სკოლაში იყო და დამტანჯა. კითხვა არ იცის წესიერად. ასოებს ძლივს არჩევს, თავის სახელს და გვარს თუ მოახლაფორთებს გაჭირვებით. ხშირად უთქვამს: კიდევ კარგი, ჟიოგლიადი რომ არ ვარ, თორემ მაგ სიგრძე გვარს დაწერა არ უნდაო. მეცოდება, როგორ უნდა იცხოვროს ამ ქვეყნად მაგ საწყალმა, ყოველთვის სად ვეყოლები. ორჯერ მოხვდა ჰაუპტვახტში ათ-ათი დღით, ორივეჯერ მე მომახდევინა სასჯელი.

ერთ გოგონასთან ვმეგობრობდი ჯარში წამოსვლამდე. კატია ბაშკო მიყვარს-მეთქი, გამოვუტყდი. არაა ცუდი გოგო, შე ეშმაკო, მითხრა და თვალი ჩამიკრა. ამ ამბის მერე მდინარის პირას დავასეირნებ კატიას, შორი-ახლო მიეყვები, ჩემთვის ვნატრობ, ნეტა ხელი ვადამახვევინა მხარზე და ასე გვატარა მთელი ღამე-მეთქი. მაშინ შევამჩნიე, რა ლამაზი და მშვენიერი იყო იქაურობა — მდინარის ხმაც, ხეების შრიალიც, ცაზე გაბნეული ფთილა ღრუბლებიც, ადრიანად ამოსულ მთვარეს რომ ეფარებოდნენ ხანდახან.

— დღეს როგორი მორცხვი ხარ, ვანია, — თითქოს თავისთვის წაიჩურჩულა კატკამ.

— რა ვქნა, ასეთი ვარ, — მთლად მოვისაწყლე თავი.

— რა ვქნა, ასეთი ვარ, — გამომაჯავრა შეთამამებულმა გო-

გომ და კაბის საყელო გადასწია. კისრისა და მხარის ზღვარზე ჩალურჯებული ნაკოცნი მთვარემაც დაინახა, — დედამ შემნიშნა, ადრიანად დაგიწყია სიყვარულის თამაშიო.

მთვარე გადავყლაპე მეგონა, თითქოს კასერში გამეჩხირა ამ ამბის უნებლიე მოწმე. აღარც სიტყვა მფოყნიდა, აღარც ჰაერი.

— გუშინ სულ სხვა იყავით, ვაჟბატონო, — მომესმა ქალის ხმა, რომელშიაც გამოსჭვიოდა, გუშინ რომ იყავი, სწორედ ისეთი უნდა იყო, თუ ხარ... ალბათ ამან წამაქეზა, კატკას ხელი მოვხვიე, გულში ჩავიკარი და ნიკალაის ტუჩების ნაკვალევს დავეწაფე.

იმ ღამეს არ მიძინია. სულ იმას ვფიქრობდი, წინა დილით ჭარხლის ასაღებად საკოლმეურნეო ნაკვეთზე სამუშაოდ გასვლა როგორ მოხერხებულად აიცილა. თურმე კატკასთან ერთად ყოფილა მთელი დღე ბატების ფერმაში. საღამოს დაქანცული დავბრუნდი ნაკვეთიდან. ნიკალაი არ დამხვედრია სახლში, მოგვიანებით შემობორიალდა. არაყით იყო გამობრუჟული. კატკა კარგი გოგოა და ითხოვეო. რად მინდოდა მისი თქმა, უკვე გადაწყვეტილი მქონდა, ჯარში წასვლამდე ვიქორწინებ-მეთქი. დაიძინე, ბიჭო! — ვუთხარი და ლოგინი გავუშალე. მოვეფერე, ვაკოცე ნასიამოვნებმა. უხეშად მომიცილა, ქალი ხომ არ ვარო და საწოლზე გაიშოტა.

„თურმე ვის ვკოცნიდი წუხელ", — ვფიქრობდი გულზე ვასივებული. იმ დღის შემდეგ გადავწყვიტე, კატიას აღარ ვითხოვ-მეთქი. ახლა ვფიქრობ, გოგო რა შუაშია, ესაა ტუტუცი, მთელი ორი წელია წერილებს მწერს, შენს ჩამოსვლას მოუთმენლად ველიო. სურათიც გამომიგზავნა, ბატთან ერთად იყო გადაღებული. კარგად იყო გამოსული, სულ იმას ვფიქრობ, ბატთან რატომ გადაიღო სურათი. დემობილიზაციის შემდეგ ალბათ ცოლად შევირთავ.

ვუსმენდი და მეცოდებოდა ხუთი წუთით უმცროსი პოდრა. ბევრი ისეთი სალაპარაკო დაგროვებოდა, ძმასთან ვერ გაამხელდა და იმის ნაცვლად, რომ მშვიდად სძინებოდა, იდგა ჩემს გვერდით და თუთუნის კვამლში ახვევდა გულისნადებს, ბოლმასაც ინელებდა, თანდათან თავისუფლდებოდა.

ერთ დღეს ჟივოგლადის საკუჭნაოში კაპიტანი შელიაევი შევიდა, — ნამწვი ურნაში მოისროლა და გააგრძელა პოდრამ,— მეორე ოთახში ვმუშაობდი, მგონი კედელს ვათეთრებდი, ტიხარი ხისაა, მოლაპარაკეს ვერ შეხედავდი, ისე ყველაფერი ისმოდა.

— ერთი ჯარისკაცი მჭირდება საწყობში, — ამბობს შელიაევი.— ფიზიკურადაც და გონებრივადაც განვითარებული, მეკუჭნაევედ იმუშავებს ჩემთან. სასურველია, პირველწლიანი შემირჩიო.

— ასარჩევი სადაა, — ჩაიცინა ჟივოგლიადმა, — ყველა დასაქმებულია, მხოლოდ ორი ჯარისკაცი მყავს — პოდრები.

ჩვენი გვარები რომ გავიგონე, უფრო გულმოდგინედ მიეუგდე ყური.

— ვიცი, ვიცი, ტყუპები, კვახებივით გვანან ერთმანეთს, როგორ ფიქრობ, შეძლებენ ჩემთან მუშაობას?

— ორივე ძმას სამი ცხენის ძალა მაინც ექნება.

— თავში თუ აქვთ რამე?

სმენა დავძაბე, ჟივოგლიადს უნდა ეთქვა, მქონდა თუ არა რამე თავში.

— რა ვიცი, ორივეს სამოცდაორი ნომერი ქუდები ახურავთ, ამოდენა გოგრებში რაღაც ექნებათ.

ნელა მოვიქექე ის ადგილი, რომელზეც ჩემს უფროსებს საუბარი ჰქონდათ.

— უფრო სანდო რომელი მიგაჩნია?

— ერთი გარეწარია, მეორე — პირიქით, ზედმიწევნით მართალი, კაცმა რომ თქვას, რომელი რომელია — ვერ ვარჩევ.

— არცერთი არ მაწყობს, ერთი ზერელე იქნება, მეორე — საწყალი. ორივესთან აუტანელი იქნება მუშაობა, მაგრამ, რახან სხვა არჩევანი არაა, ისევ ის მეორე იყოს.

— არის, ამხანაგო კაპიტანო!

— ხვალ დილით საწყობში გამომიგზავნე, ოღონდ კარგად დაუკვირდი, არამზადა არ შემხვდეს.

შელიაევი გარეთ გავიდა, სანამ დერეფანში მისი ფეხის ხმა მიწყდებოდა, ჩემთვის ვფიქრობდი: ცხადია, ის მეორე

მე ვარ, საწყობში რომ გამამწესეს, მაგრამ ჩემთან მუშაობა რად იქნებოდა აუტანელი, ვერ გამეგო.

სადილის შემდეგ ჟიეოგლიადმა თავისთან მიხმო.

— შენ რომელი პოდრა ხარ?

— რიეითი ივან პოდრა, ამხანაგო ზემდეგო!

— მაგას არ გეკითხები.

— რასაც მეკითხებით, მზად ვარ გიპასუხოთ, ამხანაგო ზემდეგო!

მიეხვდი, ჟიეოგლიადი იმას მეკითხებოდა: არამზადა ხარ თუ ის მეორე, მე რომ მჭირდებაო, მაგრამ ვერ მოეხერხებინა შეკითხვის სწორად დასმა.

— სხვადსხვა ფერად ვადაგლებოთ, თუ რა გიყოთ... — ჩაილაპარაკა გაორჭოფებულმა ჟიეოგლიადმა.

ამ დროს ეზოში ჩემი ძმა დაინახა, რომელიც ორმოების საჭრელად ჰყავდა გაგზავნილი ზიგმუნდ მადარაშთან ერთად. მუშაობის მაგიერ ბარებზე შემდგარიყო და ოჩაფეხებივით დაახლახუნებდა.

— გასაგებია, ის ისაა, ეს-ეს, — თავისთვის გადაიანგარიშა ზემდეგმა. გამომყევიო, მითხრა და საკუჭნაოში შემიყვანა, შავი ფერის კომბინეზონი მომცა, — ამიერიდან ეს კომბინეზონი გეცმევა, ხვალ დილით შელიაევის საწყობში მიხვალ, მასთან იმუშავებ მეკუჭნავედ. არ შემარცხვინო, თორემ ხომ იცი!

— ვეცდები, ამხანაგო ზემდეგო!

საღამოს ჩემს დანახვაზე ნიკალაიმ იმდენი იცინა, კინაღამ გაიგუდა.

— ახე ყვავივით ვინ გამოგაწყო? — მკითხა.

ყველაფერს მოვუყევი, ხვალიდან საწყობში ვიქნები, კაპიტან შელიავთან-მეთქი.

— ასეა, ძამია, უმართლებს ხალხს, მე ორმოებს ვთხრი, ეს საწყობის გამგედ დანიშნეს, კაცს რომ ქუდბედი დაჰყვება, სწორედ ეგაა.

მეორე დილით, პირის დასაბანად რომ შევედი, ნიკალაი უკვე გამზადებული დამხვდა. შავი კომბინიზონი ჩაეცვა, საწყობში წავედიო, მითხრა.

გაოგნებული დავრჩი. სანამ კედელს მიეფარებოდა, მომი-

ბრუნდა, — ბარები ბიცურასთანაა, — მომაძახა და გაუჩინარდა.

მთელი ორი დღე ვთხრიდი ორმოებს მადარაშთან ერთად. უკვირდა მადარაშს, რამ გადაკრია, ხანდახან დაეისვენოთ კიდეც, გუშინ ძლივს მიგდენე საქმეზე, დღეს ასე გულმოდგინედ მიძვრები მიწაშიო. ბოლმა მჭირს-მეთქი, რახან ბოლმა გჭირს. — კარგიო, თავი გამანება მადარაშმა. ამ ლაპარაკში ჟიეოგლიადი წამოგვადგა, დახედა ნამუშევარს, გაუკვირდა. გამოიხედე აქითო — მომაჩერდა, მიყურა და მიყურა, შენ რომელი ხარო? — მკითხა ბოლოს.

— რიგითი ნიკოლოზ პოდრა! — ამოვძახე ორმოდან.

— მერე რა მოგეჩვენა? ხომ არაფერი გაწუხებს?

— არაფერი, გადავწყვიტე აწი მაინც ვიმუშაო კეთილსინდისიერად, ჩემი ძმა დააწინაურეთ, იქნებ მეც დამადგეს საშველი...

— კარგი, კარგი, რომელი ხარ? — ისევ მკითხა ჟიეოგლიადმა. პასუხს არც დალოდებია, ისე თქვა, სულ ერთი არაა, რომელიც ხარ?.. ხვალ ორთავენი — შენც და მადარაშიც, დიეზიონიდან ჩამოსულ ჯარისკაცებთან ერთად სოფელ მანკოვკაში წახვალთ, კოლმეურნეებს ვაშლის კრეფაში დაეხმარებით.

მეორე დღეს კომბინეზონი ჩემს საწოლთან დამხვდა, ნიკოლოზი მადარაშს არ სცილდებოდა. რაღას ვიზამდი, კომბინეზონი ჩავიცვი და საწყობისკენ წავედი: შელიაევმა საყვედურებით ამავსო, რატომ დაიგვიანეო.

ფეხის ხმა შემოგვესმა, პოდრამ ისევ ჩააქრო სიგარეტი, ვითომ წასასვლელად მოემზადა.

დერეფანში ნაწილის მორიგე, კაპიტანი დარბინიანი გამოჩნდა.

— რაო, ჩვენებურო, ძილისკენ ხომ არ ეპარება თვალი?! — მკითხა ღიმილით.

— არა, ამხანაგო კაპიტანო!

— შენ აქ რა გინდა? — ახლა პოდრას ჰკითხა კაპიტანმა.

— რა ვიცი, ამხანაგო კაპიტანო, ასე კია და! — მხრები აიჩეჩა ივანემ, — რაც უფრო ახლოვდება შინ წასვლის დრო, მით უფრო მიტყდება ძილი.

— ახლა დაწექი და თავს მიეძალე, ჯარისკაცს ძილის დროს უნდა ეძინოს.

— გასაგებია, ამხანაგო კაპიტანო!

დარბინიანი საგუშაგოების შესამოწმებლად წავიდა. პოდრა დასაძინებლად წამოწვა ულეიბო საწოლზე.

ჩემი მორიგეობის დრო იწურებოდა, ხუთი წუთით ადრე ლასიცკასი გავაღვიძე, ადექი, დროა-მეთქი. ცოტა ხნის მერე მეზობელ კუბრიკიდან ნახევრად მძინარე ლასიცკასმა ჩექმები გამოაჩოჩიალა.

— გაიღვიძე, ბიჭო! — მხარზე ხელი დავკარი ლასიცკასს.

— მღვიძავს, ვერ ხედავ? — შემომიტია მთვლემარე ლასიცკასმა.

ასეთი ცვლის დატოვება არ ივარგებდა. პირის დასაბანად შევიყვანე, ცივი წყალი რომ შეისხა, რაღას უცდიო, მკითხა.

კუბრიკში ფეხაკრეფით შევედი. გავიხადე ტანთ და დავწექი. ვიღაცამ ამოიხვნეშა.

— პოდრა, გღვიძავს? — ვიკითხე ხმადაბლა.

— მღვიძავს! — ერთხმად მიპასუხეს ძმებმა.

ერთმანეთის გვერდი-გვერდ იწვნენ ტყუპები, მათ შორის ხუთი წუთი ჩამდგარიყო. არც ისე ცოტა ყოფილა ხუთი წუთი. ველარც მე დავიძინე. ძმებზე ვფიქრობდი, თუ სხვა რამეზე, ვერ გავიგე, ვერ დავიძინე კი.

უფროსმა პოდრამ უმცროსი არც იქ მოასვენა, წამოაგდო საწოლიდან, გვერდით მიიწვინა, ერთმანეთის მკლავებზე დააყრდნეს ერთ ყალიბში გამოყვანილი თავები, თითქოს გამთლიანდნენ, ერთ სულად გადაიქცნენ და მშვიდი, მონოტონური ფშვინვა, ძილს რომ ახლავს, მალე დაეუფლა ორთავეს, და როცა ჩვენი საძინებელი ოთახის ფანჯრებიდან თავისი მქრქალი სათვალეებით დილამ შემოიხედა, ყველას დაგვანახა, რა ტკბილად, თბილად, გემრიელად ეძინათ პოდრებს.

26

აპრილის ბოლოს ჩვენს ნაწილს დიდი საწვრთნელი მანევრები უნდა ჩაეტარებია. ღონისძიება ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების მეოცე წლისთავს ეძღვნებოდა. ყველა პასუხის-

ეგებლობით ემზადებოდა. განსაკუთრებულ ყურადღებას ახალბედებს აქცევდნენ, ნათლობა რომ უნდა მიეღოთ საველე მეცადინეობაში. ამიტომაც მარტის მიწურულს დამატებითი მეცადინეობა ჩაგვიტარდა. ამჯერად პარაშუტებით გადმოხტომამ თვითმფრინავიდან მოგვიწია. ვერ გეტყვით, რომელი უფრო გამიძნელდა. დირიჟაბლიდან მაინც სხვა იყო, გაჩერებული საგნიდან გვიწევდა ხტომა. თვითმფრინავი სხვაა... ორივე შემთხვევაში ასპარეზი ცა და მიწაა. ამ დროს უნდა გადახტე და მოსინჯო, რა ძალით გიზიდავს მიწა. დირიჟაბლიდან უფრო დიდი მოჩანდა ყველაფერი. იშმურატოვის გარეგნობა არც ახლა მომეწონა, ისევ ლუღლუღებდა რაღაცას მამამისის მისამართით. თვალს არ აცილებდა მალახოვის ჩექმებს, რომელიც უფრო საიმედოდ ეცვა. ყოველი შემთხვევისათვის, თასმებითაც შემოეკრა და გულისფანცქალით უცდიდა, როდის აინთებოდა სალონში მწვანე ნათურა.

პიიპ! პიიპ! პიიპ! — აციმციმდა ხმოვანი სიგნალი ჟიეოგლიადის თავს ზემოთ.

ინსტიქტურად ყველა პარაშუტის რგოლს ჩააფრინდა, თითქოს გულზე ხელდადებული ბიჭები ერთმანეთს ეფიცებოდნენ რაღაცას.

პირველად ჟიეოგლიადი გადახტა. მას ტულიში მიჰყვა და ამჩატდა თვითმფრინავი. ტულიშს იგაუნისი და ვარჟგალისი გამოედევნენ. კაპიტანი მიაკოტა გადახტომამდე ამოწმებდა, ყველაფერი წესრიგში ჰქონდათ თუ არა მებრძოლებს, მერე მხარზე ხელის მსუბუქი დრატყმით ნებართვას იძლეოდა.

სანამ პარაშუტი გაიხსნებოდეს, შიშის პატარა ჩიტი მაინც ზის გულში. გაიშლება თაღი და ჩიტიც გაფრინდება. ლამაზი სანახავია პარაშუტებით თეთრად გადაპენტილი ცა. თავდაპირველად თვითმფრინავიდან გადმოცვენილი პატარ-პატარა შავ-შავი წერტილები თანდათან იზრდებიან, იცვლიან ფერსაც და მიწაზე ფეხისდაკარებისთანავე ბრძოლისათვის ყოველმხრივ მომზადებულ, სრულყოფილ ჯარისკაცებად იქცევიან. ჩვენი ქვეგანაყოფის სადესანტო ჯგუფი ნაძვის ტყის ახლოს იკრიბებოდა. შეკრებას ჟიეოგლიადი ხელმძღვანელობდა. ჯერ კიდევ ჰაერში შემომესმა ხმა. დროზე შევამჩნიე, თორემ ერი-

ერთ ნაძვის ხეზე საახალწლო საჩუქარივით ჩამოეკიდებოდი. პარაშუტის თოკები მოეწიე და ტყის ნაპირას ჩავჯექი. მოშორებით დგაფანი გაისმა, ამას იშმურატოვის უზბეკური ჯუჯღური მოჰყვა. თავი წამოვყავი და გავხედე. ჩემგან ორმოციოდე ნაბიჯზე იშმურატოვი დავინახე, ორივე ფეხებით საფრთხობელასავით ჩასობილიყო ჭანჭრობში და ამაოდ ეძიძგილავებოდა. საშველად გავიქეცი. ტყის ნაპირზე დაგდებული ნაძვის ჩამოტეხილი ტოტი გავუწვდინე. ჩააფრინდა, კინაღამ მეც ჩამითრია წუმპეში. უკან მივეძალე, რაც შემეძლო. წონასწორობა ვერ შეინარჩუნა, თავი ვერ შეიკავა და ტალახში ამოისვარა.

— ვამბობდი, ჭკვიანი კაცია იშმურატი-მეთქი, ჩექმა ორი ნომრით დიდი უნდა ჩაიცვაო, დამარიგა, არ დავუჯერე და წავიმტვრიე კიდევაც ცხვირი. მერე ჯოხს ხელი გაუშვა. ამოთხვრილი ხელებით თასმებს ჩააფრინდა, ვერაფერი მოუხერხა. დანა ინატრა, უზბეკეთში რომ დატოვა. ჯიბიდან მონადირის დანა ამოვიღე და ვესროლე. დაანაკუწა თასმები, ჩექმები ჩაფლული დატოვა, პირდაპირ ფეხსახვევებით გადმოტყაპუნდა წყალში. ცალი ჩექმა ადვილად ამოაძრო და სიმშრალეში ისროლა. მეორემ გაუჭივრა საქმე, რაღაც ნაწყენი ებუყბუყებოდა ჭანჭრობი. მოულოდნელად ჩექმა ამოძვრა და ახლა უკანალით ჩაჯდა ბაყაყებიან წყალში..

— ეს ადგილი მქონდა მშრალი, — ვფიქრობდი, ამას მაინც მივუტან ჟივოგლიადს წესრიგიანად-მეთქი და ესეც.. — ხელი ჩაიქნია იშმურატოვმა. ამოზიზნილი ჯაყვა მესროლა და მშრალ ნაპირზე გამოტყაპუნდა. ბალახზე ხელები შეიწმინდა.

— რა დროს ეგაა, ჯერ პარაშუტი გამოგეტანა, — ვეუბნები დაბნეულ ბიჭს.

— ვისღა ახსოვდა! — ისევ შეტყაპუნდა ბაყაყებში იშმურატოვი.

სულ ბოლოს კაპიტანი მიაკოტა შეხო მიწას. ჟივოგლიადმა ქვეგანაყოფი დაწყობილი დაახვედრა. კაპიტანმა დაგვისახა საბრძოლო დავალება: ტყის ჩრდილოეთ ნაწილში უნდა აღმოგვეჩინა პირობითი მტრის დაჯგუფება და გაგვენადგურებინა.

ჟივოგლიადმა მე და ვოვერსს კვამლის ხელყუმბარებით საესე ყუთები მოგვცა და წინ წაგვიძღვა. მებრძოლების გასავლელი გზა ჩვენ უნდა აგვებოლებინა. „აი, აქ“ — ხელით გვიჩვენებდა ზემდეგი ადგილს, სადაც მუშტისოდენა შეკუმშული კვამლი უნდა აგვეხრჩოლებინა. სამივეს აირწინაღები გვქონდა გაკეთებული. თავდაპირველად იოლი მოგვეჩვენა, მერე და მერე დაგვეტყო დაღლა, ზემდეგი თითქმის სირბილით მიგვიძღოდა წინ. ჩვენ ტვირთით ვიყავით, არც უნდა. ჩამოვრჩენილიყავით და საქმეც უნდა მოგვესწრო. გაგვიძნელდა აირწინაღებში სუნთქვა. დაგვიმძიმდა ნაბიჯი. ჟივოგლიადი ჩვენზე მსუბუქად მირბოდა წინ. თითს ხან იქით გაიშვერდა, ხან აქეთ.

ნახევარ საათში ხუთკილომეტრიანი ტყის ნაკვეთი გავახვიეთ კვამლში. მერე ახრჩოლებულ ადგილს გავერიდეთ და ერთერთი ხის ქვეშ დასასვენებლად ჩამოვჯექით. აირწინაღები მოვიხსენით და გამოჩნდა ოფლით გახეთქული სახეები. ჩვენზე ნაკლებად არც ჟივოგლიადს ჰქონდა მოქცეული პირისახე, აირწინაღიდან ვერ ვამჩნევდით ვერაფერს თორემ...

— კამენკა! კამენკა! გესმის ჩემი? მე უმანკა ვარ!.. პრიომ!.. — ჩასძახა დისტანციური გადამცემის მიკროფონში ჟივოგლიადმა.

— კამენკა ვარ, კარგად მესმის!.. პრიომ!.. — გავიგონეთ კაპიტან მიაკოტას ხმა.

— ტყეში გაკვალულია ხუთკილომეტრიანი საბრძოლო ტრასა, შეგიძლიათ დაიწყოთ ლაშქრობა!.. პრიომ!..

— გასაგებია, ვიწყებთ ლაშქრობას!.. საიერიშო ზღუდეების სიღრმეში მოგვიმზადეთ სამიზნეები!.. პრიომ!..

— ამოცანა გასაგებია! სამიზნეები მზად დაგხვდებათ. თამბაქო გავაბოლეთ.

— დაიღალეთ? — გვეკითხება ზემდეგი.

— დავიღალეთ!

— დაიღლებოდით! — წამოდგა, მომყევითო თქვა და ისევ წინ გაგვიძღვა. ორასი-სამასი მეტრი გავიარეთ. ტყის შუაგულში გამოჩნდა მინდორი, თითქოს სახელდახელოდ დაეტოვებინათ ასე. ალაგ-ალაგ ჭაობიანი იყო ველი. შუა მინდორში კაცის სიმაღლე სანგარი გაეჭრათ ნახევარწრედ. ერთ

ადგილზე სანგრის ბოლოში ბლინდაჟი იყო. ჟიოგლიადი იქით გაგვიძღვა. ჩავხტით სანგარში, სანგრიდან ბლინდაჟში შეეედით. ძელშიწური ფირფიცარზე დაწებებული მოძრავი სამიზნეებით იყო სავსე. სანგრის მთელ სიგრძეზე ჩავარიგეთ სამიზნეები. თავიდან ფეხებამდე დავსველდით. იშმურატოვზე ნაკლებად არც ჩვენ ვიყავით ამოთხვრილი. საქმეს რომ მოვრჩით, ისევ სიგარეტები გავაბოლეთ, სანგარშივე ჩავჯექით. თუთუნის კვამლით გაიჟღინთა მიწათხრილის ერთი კუთხე, სამივე უხმოდ ვეწეოდით. ვერ გეტყვით, რაზე ფიქრობდა ჟიოგლიადი ან ეოვერსი, მე კი თავი მართლა ბრძოლის ველზე წარმოვიდგინე, ოცდაორი-ოცდასამი წლის წინ, მარიამის ერთადერთი იმედის, ბუჭუკას ადგილზე. ასე იდგა ალბათ ბუჭუკაც მტრის გააფთრებული იერიშის მოგერიების შემდეგ და ვიდრე მტერი ხელახლა მოიკრებდა ძალას, მახორკით იბრუებდა ისედაც გადაქანცულ გონებას. ალბათ მარიამსაც მიაწვდენდა ფიქრს. იქნებ წერილს წერდა დედას ოცდაოთხი წლის წინათ ბუჭუკა. იქნებ იმ ფანჯარაზეც ფიქრობდა, საიდანაც მთელ სოფელს ხელისგულივით გადაჰყურებდა. ვაი თუ სწორედ მაშინ, ოცდასამი წლის წინათ, შეტევაზე წამოსულმა გერმანულმა ტანკმა სიგარეტიც გადააგდებინა, დედაზე ფიქრიც გააწყვეტინა, ფანჯარაც დაავიწყა, რომელსაც მის ჩასვლამდე არავინ შეეხებოდა გასაღებად... ვაი თუ, სწორედ მაშინ, ოცდაორი წლის წინათ... ამ სანგარში დარჩა დაუმთავრებელ წერილთან ერთად და მის გახელილ თვალებს დაისიცა და ვარიჟრაჟიც ერთდროულად შეეყინა.

იმ ფიქრებში ვიყავი, რომ ტყის სიღრმიდან კაპიტან მიაკოტას მოკლე ბრძანებები და ავტომატის კაკანი შემოგვესმა.

ფიქრებიდან ველარ გამოვედი, თითქოს ყველაფერი სინამდვილე იყო, ჟიოგლიადთან ერთად უთანასწორო ბრძოლა უნდა მიმეღო. ავტომატი მოვიმარჯვე. ჟიოგლიადმა აირწინაღის წამოცმა გვიბრძანა. დარჩენილი კვამლის ყუმბარები თანასწორად გაგვიყო და სანგრის მთელ სიგრძეზე ისე გავნაწილდით, თავდაცვითი ხაზის თვალთვალი შეგვძლებოდა. მიაკოტამ ქვეგანაყოფი ისე ჩაასაფრა, სანგრის ნახევარრკალზე განლაგებული, დროდადრო გამოჩენილი სამიზნეები

ყველას შეხვედროდა, ვუყურებდი, ჭილყვავებივით რომ მოიწევდნენ ჩვენკენ ჭაობში ამოწუწული ბიჭები. სამი დამხვდური ვერ აუვიდოდა ამდენ მოძალადეს. ასე იყო ალბათ მაშინაც. ოცდასამი წლის წინათ, ასე საშინელი სახეებით მოდიოდნენ ფიურერის საჩვენებელი თითის მიმართულებით ათიათასობით გერმანელი, მოდიოდნენ და თან მოჰქონდათ ცეცხლი, სიკვდილი, სახრჩობელა და შიმშილი. იმათი ბრალია ის ბიჭები, ძმათა სასაფლაოზე ფიცი რომ მივეცით ყველას გასაგონად. კიდევ კარგი, დროზე შებრუნდა კეხი.

ჟივოგლიადმა კვამლის ხელყუმბარა ისროლა, ეს ნიშანი იყო, მთელი ველი აგვებოლებია. ასეც მოხდა, რამდენიმე წამში „ბრძოლის ველი“ კვამლში გავახვიეთ, და როცა ბომბები შემოგველია, ავტომატები მოვიმარჯვეთ.

ეს ტაქტიკური, საველე მომზადება პირველი იყო ჩვენთვის. ყველამ თვალნათლივ დავინახეთ, რაოდენ საშინელი რამ იქნებოდა ბრძოლის ველი ოცდაოთხი წლის წინათ. მაშინ ავტომატის სავაზნეები ნამდვილი ტყვიებით იყო დატენილი და სასხლეტზე შეყინული მებრძოლთა თითები სიცოცხლეზე გამოდევნებული სიკვდილის აკაკანება იქნებოდა, დღევანდელივით ფუჭი ვაზნები კი არა, მთლად მშვიდობიანად არც დღეს გადავრჩენილვართ. ერთ-ერთ მებრძოლს აირწინაღი ჰქონია სრულად, კვამლით გაბრუებული წაქცეული უნახავს იშმურატოვს. მაშინვე ზურგზე მოუგდია, გაკვამლული ადგილიდან ტყის სუფთა მხარეს გაურიდებია, ხის ძირში დაუწვენია, აირწინაღი მოუხსნია და რიგითი ვარჟგალისი შერჩენია ხელში. გულშეღონებული ყოფილა რაიმონდ ვარჟგალისი. მათარა მოუხსნია და წყალი მიუძალებია თურმე იშმურატოვს, ხელოვნური სუნთქვა ჩაუტარებია და გამოუყვანია გაჭირვებიდან.

იშმურატოვის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, ყველას ეუბნებოდა: „ბეწვზე მივუსწარი, პირდაპირ საიქიოდან მოვაბრუნე ეს საწყალიო.“ რაიმონდს მართლაც არ ჰქონდა კარგად საქმე. იმდენი კვამლი ჩაეყლაპა, კარგა ხანს აფურთხებდა ნახშირს. ხმა ჩახლეჩოდა. თვალებს აქეთ-იქით აწრი-

ალებდა, გაფერმკრთალებული პირისახეს ნელ-ნელა უბრუნ-დებოდა ადრინდელი იერი.

საღამოს კაპიტანმა მიაკოტამ შეაჯამა ტაქტიკური მეცადინეობის შედეგები. ჩვენს წინაშე დასმული ამოცანები შესრულებულად ჩათვალა. ზოგიერთებს შენიშვნები მისცა იშმურატოვს პარაშუტით დაჯდომა დაუწუნა, მაგრამ მწყობრის წინ მადლობაც გამოუცხადა. ვარჟგალისის დ'ხმარებისათვის.

ნაწილში დაქანცულები დავბრუნდით. ფოთლებით მოჩითული შემსილბეელი მწვანე კომბინეზონები გავიხადეთ. ზურგჩანთები და პარაშუტები საწყობს ჩავაბარეთ. პირადი იარაღები, ავტომატი და აირწინაღი გავწმინდეთ და თავის ადგილზე შევინახეთ. ხელ-პირი დავიბანეთ, რამდენადაც შეგვეძლო, მოვწესრგდით. ვახშმისთვის რომ მოგვაწყვეს, მაშინღა ვიგრძენით, მგლებივით მშიერები ვიყავით.

27

ოცდაორ საათამდე ჯარისკაცს საკუთარ საწოლთან ეიახლოვების გარდა არაფერი შეუძლია. გასწორებულ საწოლზე ჩამოჯდომა ან წამოწოლა აკრძალულია. წესდების ამ ნაწილს ჟივოგლიადი ადევნებს თვალს. ვაი იმას, ვისაც საწოლზე ჩამომჯდარს შეისწრებს.

იმ დღეს, საველე მეცადინეობის შემდეგ, დაქანცულები ვიყავით. კუბრიკში შევიხედე, თითქოს თვითონ დამიძახა საწოლმა, აგერ ვარ, მოდი, პატარა წამოისვენეო! კარადიდან წიგნი გამოვიღე და საწოლზე გავიშოტე. შვება იგრძნო ძვალმა და რბილმა. ჩანიშნული ადგილი გადავშალე და კითხვა გავაგრძელე. კუბრიკში მალახოვი შემოვიდა.

— იფ! — შეიცხადა ოლეგმა, — როგორც საკუთარ აპარტამენტში! სხვათა შორის, ჟივოგლიადი ჯერ არ წასულა.

არაფერი მიპასუხნია, ჩამთავრებული გვერდი გადავფურცლე და ისე გადავხედე, მალახოვმა ზედმეტად ჩათვალა რაიმე ეთქვა. ჟურნალ „ЮНОСТЬ"-ის ახალი ნომერი აიღო და

ჩემს მაგალითს მიჰბაძა. ცოტა ხნის მერე კუბრიკის ყველა ბინადარი ჩვენსავით წამოგორდა თავ-თავიანთ საწოლზე. ზიგი კითხულობდა. პოდრები ახლაც კინკლაობდნენ.

საწოლს ვიღაც მოუახლოვდა, წიგნი გვერდზე გადავწიე, ჟივოგლიადი შემრჩა ხელში. არავის შეუნიშნავს, ისე წამოგვდგომოდა თავზე. წამოვიწიე.

— დაისვენეთ, დაისვენეთ, დღეს შეგიძლიათ! — ყველას გასაგონად თქვა და ხელით შემაჩერა, — რას კითხულობ?

— ცვაიგის მოთხრობებს.

— ჩვენები მოილიე და უცხოელებზე გადადი, არა?

— რატომაც არა, რუსული კლასიკა წაკითხული მაქვს.

— ქართული გადაგუთნული გექნება.

ზემდეგის ხმაში და გამოხედვაში, თუმცა ირონია გამოეიჭირე, არ შემიმჩნევია და მშვიდად ვუპასუხე:

— რა თქმა უნდა, ზოგიერთი ზეპირადაც ვიცი.

— შეიძლება ზეპირადაც იცოდე, ბევრიც არ გეყოლებათ... კაცმა რომ თქვას...

— ვითომ რატომ? — ახლა მე გადავხედე დამცინავად.

— თუნდაც იმიტომ, სამმილიონამდე ძლივსა ხართ, — პირდაპირ მითხრა, რასაც ფიქრობდა.

— ამხანაგო ზემდეგო, ქართველებს უძველესი კულტურა გააჩნიათ! — ამბობს მალახოვი. ვერ გავიგე ამით მე წამომეშველა თუ ჟივოგლიადს, მხოლოდ ესაა, ზემდეგს აღარაფერი უთქვამს. კამათი მე და მალახოვმა გავაგრძელეთ.

— სავარაუდო მონაცემებით, ჩემი მშობლიური ქალაქი სამი ათას ხუთასი წლის უნდა იყოს, — ვთქვი ხმადაბლა, მაგრამ ისეთი სიამაყით, თითქოს კავკასიონის მაღალი ქედიდან დამეგუგუნებინოს.

ყველამ თავი მიანება კითხვას, პოდრებმაც კი შეწყვიტეს კინკლავი და ჩვენსკენ შემობრუნდნენ.

— რით ამტკიცებ, რომ სამი ათას ხუთასს არაფერი დააკლდება?

— მაგის საბუთს სანოტარო კანტორა არ იძლევა, მაგრამ ვიმეორებ, სავარაუდო მონაცემები მრავლად მოიპოვება,

ერთ-ერთი აპოლონიოს როდოსელის მითოლოგიური პოემა გახლავთ, „არგონავტიკა". აპოლონიოს როდოსელი მესამე საუკუნეში ცხოვრობდა ჩვენს ერამდე, მაგრამ ათი საუკუნის წინ მომხდარ ამბავს აღწერს. მის პოემაში მრავალგზისაა ნახსენები ქუთაისი და მდინარე ფაზისი, რომელიც ორად ჰყოფს ქალაქს.

— საეჭვო მტკიცებაა, საბუთად ვერ გამოდგება, — თქვა მალახოვმა.

— რატომ, როცა იაზონი კოლხების ძლიერ სახელმწიფოში ოქროს ვერძის მოსაპოვებლად წამოვიდა „არგოთი", მეფე აიეტის ქვეყანას ორი საუკუნის ისტორია მაინც ექნებოდა, მეტი თუ არა.

— ლოგიკურია, მაგრამ საბუთი უნდა მაინც.

— ამ საკითხზე ჩვენი მეცნიერების გარდა უცხოელი სწავლულებიც მუშაობენ, ალბათ მალე აეხდება საიდუმლოს ფარდა, დრომ რომ ჩამოაფარა ჭეშმარიტებას.

— ეგ შეიძლება, მაგრამ მაინც ვერ იქნება ქართული ლიტერატურის ძველისძველი ტრადიციების მიმნიშნებელი.

— რა თქმა უნდა, არა, მაგაზე მხოლოდ ლიტერატურული ძეგლები ღაღადებენ, რომლის მიკვლევაც დღემდე მოხერხდა.

— რაო, რას ღაღადებს დღემდე მიკვლეული ძეგლები, „ვეფხისტყაოსანიო", თუ არ ვცდები, არა?

ოთახში ყველა სმენად იქცა, ჟიოგლიადი დათვზე ჩასაფრებულივით იჯდა.

— მაგასაც, რა თქმა უნდა, და იმასაც, რომ მეხუთე საუკუნის ძეგლი იაკობ ხუცესის „წამება წმინდისა შუშანიკისიც" არ უნდა ყოფილიყო პირველი ხელნაწერი, რადგან ნაწარმოების გმირი, შუშანიკი თვითონ კითხულობს სხვადასხვა სასულიერო წიგნებს. იაკობ ხუცესის მოთხრობის გარდა გვაქვს იოანე საბანისძის „წამება ჰაბოისი", გიორგი მერჩულის „შრომა და მოღვაწეობა გრიგოლისი, არქიმანდრიტისა, ხანძთისა და შატბერდისა, აღმშენებლისა", და სხვა ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებები. საფიქრებელია, მდიდარმა ლიტერატურულმა მემკვიდრეობამ შეუწყო ხელი გამოჩენილი-

ყო შოთა რუსთაველი და ქართული ორიგინალური საერო პოეზია.

— რუსთაველი ქართველია თუ? — იკითხა იშმურატოვმა.

— ეჭვი გეპარება? — ვკითხე იშმურატის ნაბოლარა იმედს.

— რა ვიცი, ქართული გვარები აკი ძე-ზე და შვილ-ზე მთავრდებაო.

— სლავა მეტრეველი, შოთა რუსტაველი, — ხმამაღლა ჩამომარცვლა ივან პოდრამ.

— რა ეშველებოდა რუსთაველს, მეტრეველი რომ არ ყოფილიყო, — შევიცოდე ყველას გასაგონად.

— ქართველი ყოფილა, — დაიმორცხვა იშმურატოვმა.

— დაანებე თავი შოთა რუსთაველს და აქეთურზე მელაპარაკე, აქეთ, უფრო ჩვენკენ, — ისევ დააწყნარა ახმაურებული კუბრიკი მალახოვმა.

— აქეთურებზე შემიძლია გელაპარაკოთ, ოღონდ მეეჭვება რითიმე დაგარწმუნოთ, თუ წაკითხული არა გაქვთ. გვყავს „მეფე პოეტებიც და პოეტი მეფეებიც", რომანტიკოსებიც, კრიტიკული რეალიზმის ფუძემდებელი, სოციალისტური რეალიზმის მამამთავარიც. ალბათ იცით, რომ პუშკინი ქართველ რომანტიკოსებთან მეგობრობდა, ალექსანდრე გრიბოედოვი ჩვენი სიძე იყო, აკაკი წერეთელი — თქვენი, „მაკარ ჩუდრა" თბილისში დაიბეჭდა, რომ ესენინს საქართველო უყვარდა, რევოლუციის ტრიბუნი, მაიაკოვსკი, ბაღდათში დაიბადა ქუთაისის მახლობლად. ქუთაისის გიმნაზიაში ისწავლა წერა-კითხვა და ქართულად იგინებოდა.

— უყურე შენ! — ვერ დამალა აღტაცება ჟიეოგლიადმა.

— ასეა, ამხანაგო ზემდეგო, ძალზე ცოტაა ნათარგმნი ჩვენი ლიტერატურა. თარგმანი თარგმანს გააჩნია, ორიგინალში წამკითხველი ყოველთვის მოგებულია. ბედნიერი ხალხია მხატვრები, რა ენაზეც არ უნდა ლაპარაკობდეს კარგი ტილოს ავტორი, სულ ერთია. ყველა მნახველისთვის მისი ნამუშევარი გასაგებია თარგმანისა და თარჯიმნის გარეშე, ამ მხრივ მწერლებს ბედი არ წყალობთ. მე თვითონ, კიდევ კარგი, ჩეხოვი, დოსტოევსკი, ტოლსტოი და სხვები ორიგინალში წავიკითხე, თქვენ კი, ამხანაგო ზემდეგო, ალბათ,

ვერასოდეს წაიკითხავთ ორიგინალში რუსთაველს, ბარათაშვილს, ილიას, აკაკის, ვაჟას, გალაკტიონს...

— კაცმა რომ თქვას, მაგის გარეშეც ვცხოვრობთ აქამდე, ისე, საინტერესო კია, რას წერენ თქვენი ვაჟა და გალაკტიონი, — ჩაილაპარაკა ზემდეგმა.

— როგორ გითხრათ, დარწმუნებული კი ვარ, თუ მათი წიგნები ხელთ ჩაგივარდათ, თავს წაგაკითხებთ.

— ეროვნულ მწერლობას როცა ასეთი თავვამოდებული დაცვა სჭირდება, ჩემთვის რატომღაც საეჭვო ხდება მისი დონე და ხვედრითი წილი დიდი ლიტერატურული მემკვიდრეობის ფონზე, — თქვა მალახოვმა, ისე რომ ჟურნალისთვის თვალი არ მოუცილებია, თითქოს ყველაფერი იქ ამოიკითხა და სხვა ვინმეს დასტური აღარაა საჭიროო.

— გენაცვალე, სასწავლო კორპუსის უკან კიდევ გაურღვევიათ ღობე, ხვალ შეაკეთე, ისე, შენ რომ იცი, — მითხრა ზემდეგმა, წამოდგა და გავიდა, — ერთი შემასწრებინა ვინ არღვევს, იმას კი... — თავისთვის ჩაიღრუჩუნა და კარი მიიხურა.

— შეეაკეთებ, როგორც მე ვიცი, — დავადევნე ზემდეგს.

28

მეორე დღეს კუროჩკამ ბევრი გაახარა. მალახოვმაც მიიღო წერილი, მისამართი წითელი მელნით ეწერა.

— ოთხი დღის წინ საკონტროლო წერა ჰქონიათ მოსკოვის № 205-ე სკოლაში მერვეკლასელებს,—გავაგონე სასადილოსკენ მიმავალ მალახოვს.

ოლეგმა ჩაიღიმა, სახეზეც ეტყობოდა უზომო სიხარული.

სასადილოში ჩვენ-ჩვენი ადგილები დავიკავეთ. მალახოვმა კონვერტი გახსნა, კოვზი მოიმარჯვა და საქმეს შეუდგა. კერძს მიირთმევდა, თან წითელი მელნით აჭრელებულ ქაღალდს ჩასციებოდა.

თვალს ვადევნებდი. ასე გახარებული არასოდეს ყოფილა. როგორც ყოველთვის ახლაც გაუშეშდა ხელი შუა გზაზე. ამ შემთხვევისთვის ყოველთვის მზად ვარ. კოვზს მარილი დავუმატე, ვიფიქრე, დღეს მაინც იყვირებს-მეთქი. მაგ-

რამ არა, ხელი კვლავ ჩვეულებრივად ამუშავდა, უცებ შეჩერდა, გიჟივით მომაჩერდა.

— იცი? — მკითხა.

— რა უნდა ვიცოდე?

გრაფინიდან წყალი დაისხა, სულმოუთქმელად დალია.

ძეორედაც შეივსო წყალი, ისიც ამოაშრო და მითხრა.

— ზაფხულის არდადეგებზე ჩამოდის, გესმის? ჩემს სანახავად ჩამოდის.

— ვიზიარებ თქვენს სიხარულს.

— აი, ჩამოვა, ახლა რომელი თვეა? ჰო, აპრილი, მაისი, ივნისი, — სამი თითი მოკეცა მალახოვმა, — ორთვენახევარში ჩამოვა და გაგაცნობ კიდეც გუტიას. თუმცა, გიცნობს, მე შენზე რაღაცრაღაცებს ვწერ ხოლმე. იცის გუტიამ, ჩემი მეგობარი რომ ხარ, ერთმანეთის გვერდი-გვერდ რომ ვწევართ, ხშირად რომ ვკამათობთ და „წითელ მელანს" რომ ეძახი. პარკში რომ სურათი გადაიღეთ, ისიც გავუგზავნე. გიცნობს ჩემი გუტია. აი, ჩამოვა სულ მალე და... კარგი გოგოა...

მალახოვს უნდოდა მარტო თვითონ ელაპარაკნა, გაჩერების. საშუალებას წერილის შინაარსი აღარ აძლევდა. ვინანე კიდეც, მარილი რომ დაეყარე კოვზზე. ამოდენა სიხარულს ასეთი. მლაშე საკმაზი არ უნდოდა.

სადილის შემდეგ ჯარისკაცთა ერთ ნაწილს, რომლებიც საყარაულო სამსახურისთვის ემზადებიან, ორი საათით დასვენების უფლება აქვთ. ხუთ საათზე კი ახალი მორიგე ოფიცერი გუშაგების ახალ შემადგენლობას ღებულობს საღღეღამისო საყარაულო სამსახურისათვის. ამოწმებს მათ მზადყოფნას, მოიკითხავს თვითეულის ჯანმრთელობას, ჩაუტარებს მოკლე ინსტრუქტაჟს და ამის შემდეგ ხდება საყარაულო ობიექტების მიღება-ჩაბარება. ძველი შემადგენლობა თავისუფლდება, მის ადგილს ახალი იკავებს.

იმ დღეს ჩვენი კუბრიკიდან ბიცურა ემზადებოდა საყარაულოდ. ბიცურა სექტემბერში სამხედრო სამსახურს ამთავრებდა. ცეცხლფარეშად ახალგაზრდა შემცველელი მოუძებნეს და ბოლო ხანებში, ყოველი სამი-ოთხი დღის შემდეგ, საყარაულო სამსახურში იყენებდნენ. გაიხადა ტანსაცმელი,

შეწვა ლოგინში, ვერაფრით ვერ დაიძინა. იწრიალა, ხან აქეთ შებრუნდა, ხან — იქით, „უსინდისო“ — წამოისლოკინა.

— ბიცურა, რა დაგემართა ბიჭო? — ვეკითხები ტოლიას.

— დამანებე თავი, თუ ძმა ხარ.

— მითხარი, იქნებ დაგეხმარო.

შენ კი არა, ამ საქმეს სადესანტო ჯარების სარდალიც ველარ უშველის.

— რა მოხდა ასეთი?

— უგულო ყოფილა და უსინდისო... — ჩემკენ შემობრუნდა, საბანი გადაიძრო. სველი თვალები ხელისგულით ამოიმშრალა. თავისი კარადის უჯრა გამოაღო, ქაღალდებში რაღაცის ძებნა დაიწყო. ცოტა ხნის მერე ფოტოსურათი გამომიწოდა. იქიდან ჭორფლიანი, მაგრამ ეშხიანი გოგო იყურებოდა.

— გასაგებია!..

— თითქმის სამი წელია მწერდა, ერთი სული მაქვს, როდის ჩამოხვალ, როდის ვიქორწინებთო, ბოლო ხანებში იმასაც მწერდა, ისე მენატრები, მეტი აღარ შემიძლია, ცეკვებზე როცა დავდივარ, მეჩვენება, თითქოს შენთან ვცეკვაედეო. დღეს წერილი მომივიდა. ერთი თვის წინათ გათხოვილა. ვიკითხავ ვერკა გაუცვნია. სულ იმის ბრალიაო, იმან გამაცნო გენკაო. ჩემ ქმარს ახლაც შენ მირჩევნიხარ, მაგრამ ასე კი მოხდაო და... გუშინს აქეთ ამაზე ვფიქრობდი, თუ კარგი გოგოა და მიცდის, წერილს. რატომ ბიგვიანებს-მეთქი. აი წერილიც, სამი თვე ველარ გაძლო და იმ გენკას გაჰყვა ჩემს მაგიერ.

— არ იჯავრო, ჯავრის ღირსიც არ ყოფილა შენი... ის გოგო. იქნებ სჯობდეს კიდეც, ასე რომ მოხდა... შენ ყველაფერი წინ გაქვს. ახლა დაისვენე... ამოიგდე თავიდან... .

— იოლად ამბობ, ამოიგდე, ასეთი არ მიგიღია ჯერ და იმიტომ, — წერილი დაჭმუჭნა, კედელს ესროლა, პირაღმა გადაბრუნდა საწოლზე და საბანი თავზე წაიხურა.

სასწავლო კორპუსისკენ წავედი, ღობე მქონდა შესაკეთებელი. ადამიანთა ბედისწერა სხვადასხვანაირად დააბოტებს ცხოვრების ლაბირინთებში. მალახოვმა და ბიცურამ ერთ დღეს მიიღეს წერილები. ორივემ თავგზა დაკარგა წერილების

წაკითხვის მერე. მალახოვს მასზე ბედნიერი არავინ ჰგონია. ბიცურას — პირიქით. ბიცურას წერილი შავი მელნით იყო ნაწერი.

გამორღვეულ ღობეში გავძვერი, გარედან შემოვუარე და ორი ფიცარი ფეხსალაგის პირდაპირ ავაძვრე. სასწავლო კორპუსის უკან მივაჭედე. ჟივოგლიადის დავალება შესრულებულად ჩავთვალე და სპორტდარბაზისკენ წავედი, იქ ახალ სტენდებს ვაკეთებდით მე და მალენკინი. უფროსი ლეიტენანტი ლაბადა თავზე დაგვტრიალებდა. ლენინის ოთახი უნდა გავეახლებინა, ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების ოცი წლისთავისადმი მიძღვნილი მასალებით გაგვემდიდრებინა. გასაკეთებელი ბევრი იყო, დრო — ცოტა. ხანდახან საყარაულო სამსახურსაც ვასრულებდით და საქმეები ფერხდებოდა. ბოლოს ლაბადამ მიაღწია ჩვენს განთავისუფლებას. სანამ სტენდებს არ დავამთავრებდით, სხვა საქმეზე აღარ შეგვაწუხებდნენ. ვიჯექი მაგიდის კიდეში და მოზრდილ ასოებს ვჭრიდი სტენდის სათაურისთვის „არაფერი და არავინ არ არის დავიწყებული!“ ისევ თავგზააბნეული ბიცურა მედგა თვალწინ, ცხოვრების ბეწვის ხიდზე ფიფქივით რომ დაფარფატებდა. სამხედრო სამსახურის დამთავრებისთანავე ქორწილს აპირებდა ბიჭი, ჭორფლიანი გოგო კი სხვის ბუდეში კაკანებდა თურმე.

დარბაზში მალახოვი შემოვიდა. ოლეგს კარგი კალიგრაფია ჰქონდა და ტექსტები მას უნდა გადაეწერა. გვერდით მომიჯდა, ცმუკავდა, ადგილზე ვერ ჩერდებოდა. ხან რას ეცა და ხან— რას. ქაღალდის ყუთიდან პლასტმასის ასოები ამოყარა, ისე ბიაწყო ერთიმეორეზე — „გუტია“ გამოვიდა. მერე ახალი სტრიქონის შედგენა დაიწყო: „გუტია, მე შენ მიყვარხარ!“ — დაგვიწყო მაგიდაზე თავისი ურყევი აზრი და კიდევ ერთ ძახილის ნიშანს დაუწყო ძებნა. მიაგნო, როგორც იქნა და ისე დასვა წინადადების ბოლოში, მივხვდით, ამ აზრს ვერავინ შეაცვლევინებდა. ბეწვა ხერხი გვერდზე გადავაგდე. მალახოვს გულჯიბე შევუხსენი და ის წინადადება, რომლიც ოლეგამდე ვინ მოთვლის რამდენ შეყვარებულს უთქვამს, ასო-ასო ჩაეულაგე შიგ. მალახოვმა გულჯიბე შეიკრა, მარჯვენა ხელი გარედან მიიდო, „თანახმა ვარო“, თქვა და თავი დაგვიკრა.

— შენ რა გიჭირს,ბიცურას რა ეშველება.

— ბიცურას რა მოუვიდა?

— გაუთხოვდა...

— გუტიასნაირი გოგო სადაა... ის...

— ორწელიწადნახევარი ბიცურაც მასე იძახდა...

— გუტია სხვაა! — შემომიბღვირა მალახოვმა.

— რა გაყვირებს, არავინ გართმევს, ისე, სიტყვაზე ვამბობ.

— ისე შეიძლება, — დაწყნარდა მალახოვი, — აი, ივნისში ჩამოვა და ნახავ. იცი, როგორ ვარცხნილობას იკეთებს? კაპიტან შელიაევის ცოლს რომ აქვს, ოღონდ ცოტა უკეთესად, თეთრი კოფთა ეცმება, მუქი ქვედაწელი და მაღალქუსლიანი თეთრი ფეხსაცმელები, როცა მაღალქუსლიანები აცვია, ცხვირამდე მწვდება, სხვა დროს — ნიკაპამდე.

ხელად წარმოვიდგინე შელიაევის ცოლის ვარცხნილობა, თეთრი კოფთა და მუქი ქვედაწელი. მალახოვის ნიკაპიდან მის აპრეხილ ცხვირამდე მანძილი გუტიას თეთრი ფეხსაცმლის მაღალი ქუსლით გავზომე, ამსიმაღლე ქუსლებზე როგორ ახერხებს სიარულს-მეთქი, გამიკვირდა.

— პატარა ტანის ყოფილა შენი გუტია, — მხოლოდ ეს ვუთხარი ოლეგს.

— პატარაა, მაგრამ ოქროა.

„ახლა მთელი ქვეყანა ამისია!" — გავიფიქრე გუნებაში. იმდენად დიდი იყო ოლეგის სიხარული, მთელ ასეულს გაუნაწილებდა და თვითონაც ეყოფოდა.

— ლევან, სად იხწავლე ეს ყველაფერი — ბეწვა ხერხი, ხეზე კვეთა, — მეკითხება მალენკინი.

— ბავშვობაში ავიასამოდელო წრეში დავდიოდი. სკოლის დამთავრებამდე მოსწავლეთა რესპუბლიკურ შეჯიბრებებში ვღებულობდი მოანწილეობას, ჯარში გაწვევამდე სპორტის ოსტატობის კანდიდატიც გავხდი, საკავშიროზე წასვლა ველარ მოვასწარი.

— ვინმემ აგიყოლია, თუ თვითონ მიაგენი ამ საჩხიკინო საქმეს?

— იცით, ალბათ, ყველა მშობლის სურვილია: თუ მათი შვილი სკოლაში სიარულის გარდა კიდევ რაიმეს გაკეთებას შეძლებს, ეს რაიმე აუცილებლად მუსიკა, ცეკვა ან სიმღერა უნდა იყოს. დედაჩემის დაჟინებული თხოვნით მეც ცეკვის

უმსწავლელ წრეში უნდა ჩავწერილიყავი პიონერთა სასახლეში. ცეკვის გაგონებაც არ მინდოდა. აედექი და ორ თანაკლასელთან ერთად დოსაფის ავიასამოდელო წრეს მივაკითხე. ჭერზე ჩამოკიდებულ თვითმფრინავის მოდელებს დავუწყე თვალიერება. შიშიც გამიჩნდა გულში, ისეთი უზადო შესრულებული იყო მოდელები, ამათ გაკეთებას როგორ ახერხებენ-მეთქი, გავიფიქრე. ალბათ, აკეთებენ, თორემ ჭერზე თავისით არ გაჩნდებოდა, დავიმშვიდე გული.

— გაინტერესებთ ავიამოდელეზმი თუ წამხედურობით მოდით?! — ღიმილით გვკითხა წრის ხელმძღვანელმა.

— გვაინტერესებს! — ვუპასუხეთ ერთხმად.

ისე შემიყვარდა თვითმფრინავების კეთება, მინდოდა სამშაბათის მერე ხუთშაბათი გათენებულიყო, ხუთშაბათს ისევ სამშაბათი მოჰყოლოდა. ამ დღეებში გვქონდა საწრეო მეცადინეობები.

ერთ დღეს სახლში ცოტა მოგვიანებით დავბრუნდი.

— სად იყავი? — ისეთი ხმით მკითხა დედამ, მიეხედი, გამოჭერილი ვიყავი.

— პიონერთა სასახლეში!

— რას აკეთებდი იქ? — გააგრძელა დაკითხვა მამამ.

— ცეკვას ვსწავლობდი.

— აბა, მიჩვენე, რას გასწავლიან?!

— მუსიკის გარეშე?

— დოლი და გარმონი ჩვენ არ გვაქვს, შენ რომ იცი, ის მომიტანე, — ქამარზე ანიშნა დედას, — უნდა ვნახოთ, როგორი ცეკვა ისწავლა! — დააბრიალა თვალები მამამ.

— ცეკვაზე არ დავდივარ მე! — ვთქვი ცრემლმორეული ხმით.

— აბა?!

— ავიასპორტკლუბში მოდელიზმის წრეში ვარ ჩაწერილი.

— რაში?! — ახლა დედამ შეიკივლა.

— ავიასამოდელო წრეში, თვითმფრინავის მოდელებს ვაკეთებ, არ მინდა ცეკვა და...

— მე შენ მოგცემ თვითმფრინავს და ვერტალოტს რას ბედავ, თუ იცი... მივედი პიონერთა სასახლეში, მასეთი გვარი

სულ არ ვეყავს სიაშიო, მითხრა ცეკვის წრის ხელმძღვანელმა. არ შეიძლება, ჩემი შვილი ტყუილს არ მეტყოდა-მეთქი. გამოდის, მე გეუბნები ტყუილსო, განაწყენდა მასწავლებელი. ბოდიში მოვუხადე, ძლივს მოვაღწიე სახლამდე.

— კიდევ როდის გაქვს მეცადინეობა? — იკითხა მამამ.

— ხუთშაბათს.

— მე და შენ ერთად წავალთ.

— არ ამომწერო რაა!

— ვნახოთ.

— რას ჰქვია, ვნახოთ, რა უნდა დოსააფში! — ხმას აუწია დედამ.

— ვნახოთ! — გაიმეორა მამამ და რაღაცნაირად გადახედა დედას.

ხუთშაბათს მართლა გამყვა დოსააფში. დამესწრო მეცადინეობაზე. მოეწონა ჩვენი საქმიანობა, მეორე დღესვე მიყიდა ხელსაწყო-იარაღები და მას შემდეგ აღარც სახლში ვაჩერებდი ხელს... რა ვიცოდი, თუ საპარაშუტო ნაწილში მოვხვდებოდი. ბავშვობიდანვე ვადევნებდი თვალს პარაშუტისტების ვარჯიშს. ავიამოდელისტთა საველე საწვრთნელ მეცადინეობებს აეროკლუბის ბაზებზე ვატარებდით. პარაშუტისტებსა და მოდელისტებს ხშირად ერთდროულად გვიწევდა ვარჯიში. შემთხვევით საინტერესო გაცვლაც გამოგვივიდა. ერთი პარაშუტისტი ისე გაიტაცა ჩვენმა საქმიანობამ, პარაშუტი მიატოვა და საჰაერო ბრძოლის საკორდო მოდელებს დაუტრიალდა, ორ წელიწადში სპორტის ოსტატიც გახდა, ერთ-ერთმა ჩვენთაგანმა მიტოვებულ პარაშუტს სტაცა ხელი და ხტომები დაიწყო. მე ავიამოდელიზმის ერთგული დავრჩი, ახლა კი ბედისწერამ პარაშუტი მარგუნა მაინც. ბავშვობაში ვნატრობდი: ნეტა იმ სიმაღლეზე ასვლა შემეძლოს, სადაც ჩემს მიერ გაკეთებული მოდელი დაფრინავს-მეთქი. მოგვიანებით, მაგრამ მაინც ამისრულდა ბავშვობისდროინდელი ნატვრა.

— სამხედრო სამსახურის შემდეგ თუ გააგრძელებ ავიამოდელიზმს? — მკითხა მალენკინმა.

— რა თქმა უნდა, რობერტ ბაღათურიას და რევაზ ტაბიძის გაზრდილი მოდელისტი ვარ. ვალს გასტუმრება უნდა.

რამდენიმე მოდელისტს მეც გაეუზრდი ქეეყანას. მერე, ვინ იცის, საით გაექცევათ თვალი. მოდელიზმი ტრამპლინია უფრო რთული მეცნიერებისკენ...

— რა დრო გასულა ამის ლაპარაკში, ხელები დავიბანოთ, თორემ უვახშმოდ დაერჩებით, — შეგვახსენა მალახოვმა.

29

აპრილში დიდი საწვრთნელი მანევრები იყო დაგეგმილი. ამ ოპერაციაში სხვადასხვა სახის ჯარებს უნდა მიეღოთ მონაწილეობა. ამბობდნენ, მანევრებს სარდლობაც დაესწრებაო. ჩატარების დრო და ადგილი არავინ იცოდა, ყველაფერი მოულოდნელად მოხდებოდა.

ზემდეგი ჟივოგლიადი დიდ გაწამაწიაში იყო. როგორც ბაზის უფროსი, მთელი ნაწილის საველე ინვენტარს ის განაგებდა, ამიტომაც მოსვენება ჰქონდა დაკარგული. ყველანაირად ემზადებოდა, რომ საგანგაშო სიგნალს თადარიგიანად შეხვედროდა. გავიდა ერთი კვირა, მეორე, არსაიდან არაფერი ბაიბური, ჩვენც გამოგვინელდა ყოველწამიერი მოლოდინი. თითქოს ყველაფერი თავის კალაპოტში ჩადგა. მიგვაიწყდა კიდეც, „დიდი ბრძოლა“ რომ გვქონდა ჩასატარებელი. აპრილი იწურებოდა.

— გამარჯვების დღემდე ერთი მტკაველიღა დარჩა, — გადაზომა იშმურატოვმა, — აწი შეიძლება აღარც ჩაატარონ.

— თუ საჭიროა, ერთი თითის დადებაც რომ დარჩეს, მაინც ჩაატარებენ, — თქვა ჟივოგლიადმა და ერთმწკრივად მოეწყვეთო, გვიბრძანა. სულ გვაფრთხილებდა, „ფორმის ტანსაცმელი ყველას წესრიგში გქონდეთო“ და ახლა გადაწყვიტა შემოწმება.

— რიგითი სლავინსკასი! — მოახსენა ლიტველმა, როცა მის წინ ზემდეგი აისვეტა. სლავინსკასის მამას ბონაპარტე ერქვა და ჩვენც სულ მამის სახელით მივმართავდით პრანასს.

— რას ჰგავხარ, როგორ მოკუზულხარ მხრებში?!

სლავინსკასი გასწორდა, ჟივოგლიადმა ქამარი მოუსინჯა.

— ეს კიდევ რა ოინებია, ბონაპარტევიჩ, ახლავე მოიჭირე ქამარი! — ხმას აუწია ზემდეგმა.

მხიარულმა სიცილმა გადაურბინა მწყობრს. პირველად წამოცდა ჟივოგლიადს სლავისკასის მამის სახელი, სხვა დროს აქეთ გვიწყრებოდა, მაიმუნობას თავი დაანებეთო.

სიცილი ისე მოულოდნელი იყო, შეცბა ზემდეგი, მწყობრს სახრესავით გადაუჭირა მზერა და პირდაღებული სლავინსკასი რომ შერჩა ხელში, თვითონაც ვაღიმა.

— ეგ არაფერი, მამაჩემის პირველი სახელი რომ იცოდეთ, უფრო კარგ ხასიათზე დადგებითო, — სიცილსა და სიცილს შუა მოასწრო სლავინსკასმა.

— როგორ, ახლანდელზე უკეთესია?

— მამაჩემი ათას ცხრაას ორმოცდასამ წლამდე ადოლფი ყოფილა, ბაბუამისის საპატივცემულოდ დაურქმევიათ უფროსი შვილიშვილისთვის.

— ორმოცდასამში ვინ გადანათლა? — ეკითხება ზემდეგი.

— ორმოცდასამში ნაღმის ნატეხი მოხვედრია თავში, სანამ საველე ლაზარეთში მიიყვანდნენ, გრძნობაზეც მოსულა. აუტანელი ტკივილები ჰქონია. მის გადარჩენას ეჭვობდნენ თურმე. სახელი და გვარი რომ გაუგია, უყვირია ექიმს: „ყველა ადოლფი თავში დაჭრილი უნდა იყოსო!“ მამაჩემი შეხვეწნია, „ახლა მიშველე და თუ გადავრჩი, სიტყვას გაძლევ, სახელს გადავირქმევო“. გადარჩა მამაჩემი, მაგრამ თავის ტკივილები დაუტოვა ჭრილობამ. როგორც კი ფეხზე დადგა, მაშინვე შეიცვალა სახელი და მეორე ბაბუას საპატივცემულოდ ბონაპარტე დაირქვა.

— მერედა, რა გეპრანასებოდა ასეთი წინაპრების პატრონს, შენ, სულ მცირე, ნაპოლეონი მაინც უნდა გრქმეოდა, — კბილები გადმოყარა იშმურატოვმა.

— შეწყვიტეთ სიცილი, — ბრძანა ჟივოგლიადმა და ახლა მალახოვის წინ შედგა.

— რიგითი მალახოვი! — ამბობს ოლეგი.

ჟივოგლიადმა ქამრის ბალთა გაუსწორა და იშმურატოვის პირდაპირ გადაინაცვლა.

— რიგითი იშმურატოვი! — მოახსენა ხმამაღლა.

ზემდეგმა გულმოდგინედ აათვალ-ჩაათვალიერა. ამ დროს ქარმა დაუბერა და იშმურატოვს შინელის სამხრეები აქეთ-იქით გადაეშალა, ჯერ ერთ მხარზე შეისწორა, მერე მეორეზე დაირტყა ხელი, ერთზე რომ ვაისწორებდა, მეორე გადმოეშლებოდა. სამხრეების დასამაგრებელი რკინის პატარა ღილება აწყვეტოდა.

— იშმურატოვ, ჩამოუშვი ხელები! — უბრძანა ჟიოგლიადმა.

დაუშვა ხელები თუ არა, იმ წუთშივე პატარა ფრთებივით გადმოეშალა სამხრეები.

— ცოცხალი ანგელოსია, საცაა გაფრინდება! ყველაფერი უმსგავსოება შენ უნდა დაგემართოს?.. არავითარი სუბორდინაცია, არავითარი! ახლავე გაიქცევი საყოფაცხოვრებო ოთახში, დაიკერებ ღილებს და სამ წუთში მწყობრში იქნები, გესმის?! — საათს დახედა ჟიოგლიადმა.

იშმურატოვი ფარიხაფურთხით გაიქცა შენობისკენ. ხუთ წუთში უკანვე დაბრუნდა, სულს ძლიეს ითქვამდა. ჟიოგლიადს ბრძანების შესრულება უპატაკა და მწყობრში დადგომის ნებართვა სთხოვა.

— მოიცა, მოიცა, ეს კიდევ რა მოიგონე, — შინელის სამხრეებს მიაჩერდა ზემდეგი.

— არაფერი?! დროშიც ჩავეტიე და ორივე ღილიც დავიკერე, — ნაწყვეტ-ნაწყვეტად უპასუხა იშმურატოვმა.

— ამაზე გეუბნები, ამაზე! — გაუმეორა ჟიოგლიადმა და ცალ მხარეზე დაკერებული პერანგის ამხანაგის თეთრი ღილი, ორი ამობნევა ძაფით რომ ჰქონდა მიმაგრებული, ააწყვიტა და ცხვირწინ მიუტანა იშმურატის ნაბოლარას.

— სიჩქარეში სხვა ვერ ვნახე... დამაგრებით კი დაამაგრა და... — გალახულიყით წაილუღლუღა იშმურატოვმა.

— მასხრად აგვიღო და კიდევ... არავითარი სუბორდინაცია... ორი რიგგარეშე მორიგეობა!

— არის, ორი მორიგეობა რიგგარეშე! — იშმურატოვს ისევ გადმოეფინა მარცხენა სამხრეული.

საერთო სიცილმა აავსო იქაურობა.

ყოველლიადმა მალენკინი გამოტოვა, მეც გამომტოვა და ჩემს გვერდით მდგომთან შეჩერდა.

— რიგითი ლასიცკასი! — სხარტად უპასუხა ზორბა, ჩაფსკვნილმა ლიტველმა.

— მამის სახელი? — ეშმაკურად ჩაეკითხა ზემდეგი.

— იურგენ!

— თავად რა გქვია?

— პობედას, ამხანაგო ზემდეგო!

— ესე იგი, გამარჯვება?

— სწორედ ასეა, ამხანაგო ზემდეგო! ორმოცდახუთი წლის ცხრა მაისს გამარჯვების სალუტი რომ მიუციათ, ზუსტად მაშინ დავბადებულვარ, ოცი წლის წინათ, ამის მერე მთელი კაცობრიობა ყოველწლიურად ზეიმობს ამ თარიღს. მამაჩემს თავი მოაქვს, ზუსტად გამოვითვალეო.

30

ოცდაოთხ აპრილს განგაშის სიგნალმა ერთ წუთში ფეხზე დააყენა მთელი პირადი შემადგენლობა. ყველაფერი ელვისებურად მოხდა. ქვეგანაყოფებმა მიიღეს კონკრეტული დავალებები. საათის მექანიზმივით მუშაობდნენ ბიჭები. სულ მალე საბრძოლო აღჭურვილობით სავსე მანქანები აეროდრომისკენ მიგვაქროლებდა. დიდი თვითმფრინავები ჩართული ძრავებით გველოდნენ. თვითმფრინავში უკანა ლუკიდან მსუბუქ ტანკებს ტვირთავდნენ. სამ წუთში ჰაერში ვიყავით. დაახლოებით ნახევარი საათი ვიფრინეთ, საჰაერო ხომალდმა დიდი წრე მოხაზა და აინთო ნაცნობი ნიშანი. პარაშუტისტები ერთმანეთის მიმდევრობით ტოვებდნენ თვითმფრინავს და თეთრ-წითელი ფერებიო გადააჭრელეს ცა. ჯერ კიდევ ბნელოდა. ბინდბუნდში შერეული დაისის სუსხი ნელ-ნელა ცრიდა განთიადს. სანამ მიწაზე ფეხს დავაკარებდით, თითქოს გათენდა კიდეც, ყველაფერი კარგად გამოჩნდა ირგვლივ. ცოტა ხნის შემდეგ ჰაერიდან მსუბუქი ტანკები და არტილერიაც მოგვაწვდინეს.

ოპერაცია „ნაპერწკალი“ სამი სხვადასხვა ფერის მაშხა-

ლის გასროლის შემდეგ უნდა დაწყებულიყო. შეტევითი მანევრებისათვის გამზადებული ვიყავით და გულისფანცქალით ველოდით იმ ნიშანს, „ბრძოლის“ დაწყებას რომ გვაუწყებდა. ჩვენი ნაწილის ამოცანა იყო, ზურგიდან მივპაროდით პირობითი მტრის განლაგებას და მოულოდნელი დარტყმა მიგვეყენებინა.

ექვსს ხუთი წუთი აკლდა, ნიშანი რომ მისცეს, გრგვინვა-ქუხილმა შესძრა მიწა. ჩვენ ჯერჯერობით ვერაფერს ვხედავდით, მხოლოდ საარტილერიო მომზადების ხმა გვესმოდა. ძირითადი ნაწილები „ბრძოლაში“ ჩაებნენ. ჩვენი შენაერთი ნელა დაიძრა შემოვლითი გზით.

პოლკოვნიკ ლაზარევის ბრძანებით ლეიტენანტ კრილოვს დაევალა დაეზვერა რუკაზე ნაჩვენები სალაშქრო მარშრუტი. იყო თუ არა ეს მარშრუტი მსუბუქი ტანკებისა და არტილერიისთვის გზაგამტარი, თუ არ იყო, შესწორება შეეტანა და შეედგინა ახალი გზა-გეზი. კრილოვმა თვითონ დააკომპლექტა ათეული: ორი მენაღმე, ორი ტოპოგრაფისტი, სერჟანტები — ჩაპლია და ანტიპოვი. დანარჩენ ოთხ მებრძოლს შორის მე და ბერაია მოვხვედით. დაეტოვეთ ძირითადი ნაწილი და რუკაზე ნაჩვენებ მარშრუტს გავყევით. დასაწყისში ნაჩვენები გზა კარგი იყო. წინ მენაღმეები მიდიოდნენ, ნაღმმაძიებლებით, პირველ კილომეტრზე არაფერი შეგვხვედრია საეჭვო, შემდეგ კი ველი დანაღმული აღმოჩნდა. ნაღმები პირდაპირ ჩვენს მარშრუტზე ჩაეწყოთ. სახიფათო ზონას ჭრელი თოკი შემოვავლეთ, დანაღმული ველის პირობითი ნიშანი დავასვეთ. ამ ველის სამეთვალყურეოდ ლეიტენანტმა კრილოვმა რიგითი ვარჟგალისი და სერჟანტი ჩაპლია დატოვა, შენიღბულ ადგილზე მტრის მზვერავებს რომ აღნიშვნა არ ვადაეადგილებიათ და სამაგიერო გზის ძებნა დავიწყეთ. გზის კარგი ადგილი დანაღმული იყო, გვერდით ჭაობიანი ადგილი ტანკებისათვის იყო სახიფათო. შემოვლითი გზა უნდა გამოგვეძებნა. შემოვლითმა რკალმა თითქმის ნახევარი კილომეტრით დაგრძელა გზა, სამაგიეროდ, უხიფათო იყო. სხვა მონაკვეთზე აღარაფერი შეგვხვედრია საეჭვო. ექვსკილომეტრიანი გზა-გეზი, მცირედი შესწორებით, ძალაში დარჩა და უკანვე გამოვბრუნდით.

დანაღმულ ველთან, სადაც სერჟანტი ჩაპლია და ვარჟგალისი გვყავდა, კრილოვმა მე და ბერაია დაგვტოვა დამატებით. თვალყური ფხიზლად გეჭიროთო, დაგვიბარა და წავიდა.

ჩაპლიამ დანაღმული ველის მეორე ბოლოში ჩაგვასაფრა. თვითონ ვარჟგალისთან დარჩა. ისე ვიყავით შენიღბული, ეშმაკიც ვერ შეგვამჩნევდა. ერთი წუთითაც არ შეწყვეტილა სროლის ხმა. თითქოს ახლოდან ისმოდა, გეგონებოდა, აგერ, ტყის ნაპირთან არიან და საცაა ველზე გამოცვივდებიანო, მაგრამ ეს მხოლოდ გვეჩვენებოდა, ბრძოლის ველი საკმაოდ მოცილებული იყო ჩვენგან.

კარანტინის შემდეგ პირველად შევხვდი ბერაიას. დანარჩენებს თვალი შევასწარი მხოლოდ, მერე აქეთ წამოვედით და ხელის ჩამორთმევაც ვერ მოვახერხე.

— როგორ ხარ, ომარ! როგორ შეეჩვიე დივიზიონში ცხოვრებას?

— რა მიშავს, ლევანს ვენაცვალე, ჰაერი კარგია, სადაც ვართ დაბანაკებული, ფიჭვის ტყეა დიდებული, მაგრამ მაინც აქ მირჩევნია, თქვენთან, ქალაქში, ხანდახან თვალს წყალს მაინც დაალევინებ. ისე, დრო აქაც და იქაც ერთნაირად გადის, მაგრამ...

— სახლიდან რა ამბები ისმის, რას იწერება მამაშენი, ხომ არაფერი გამოუგონებია შენს აქ ყოფნაში?

ბერაიამ შემომხედა, მართლა მეკითხება თუ დამცინისო. მერე ბრძოლის ველს მიუგდო ყური, უცებ მომიხედა, კვლავ გამომცდელად დამაცქერდა. დარწმუნდა, მართლა მეკითხებაო და ბრძოლის ველზე რომ არ გაეგონათ, ჩურჩულით მითხრა:

— წყალდიდობას დაეუქცევივართ ორი კვირის წინ.

— აპრილი წვიმიანი ყოფილა ქუთაისშიც.

— ჩვენთან სულ სახლებში შესულა წყალი.

— თქვენს სახლშიც?

— აბა რა, ბიჭო, ქვედა სართულში კარიდან რომ შესულა, ფანჯრებიდან გადადიოდა მეზობლისას.

— ადრე თუ ყოფილაო ამოდენა წყალდიდობა?!

— როგორ არა, იმ წელიწადს მახსოვს, ხიდი რომ მოიტაცა და ძუკუს გოგო გადავიყვანე ნაპირზე.

— კი, მაგრამ, ვინ გაზომა?

— როგორ ვინ გაზომა, მაშინ წისქვილი თავის ადგილზე იყო, ახლა მამაჩემს ძველ ადგილზე რომ ვერ უნახავს, ჩაჰყოლია წყლის ნაპირს ქვემოთ და სამ კილომეტრზე ბოგირთან დახვედრია მიხერგილი.

— კიდევ კარგი!

— აბა, ბიჭო, იქვე, ბოგირთან აშენებს თურმე ახლა წისქვილს, ვალიკო იწერება, ამ ზაფხულზე სახლიც უნდა გადავდგა წისქვილთან, თუ არა, ამსიშორს რა მარონინებსო. პრაქტიკული კაცია მამაჩემი.

— მართლაც ყოჩაღი კაცი ყოფილა მამაშენი, წყალწაღებულ წისქვილს თუ იქვე აშენებს, სადაც წამოეწევა. დემობილიზაციის შემდეგ პირდაპირ შავი ზღვის სანაპიროზე ჩაკითხე, იქ დაგხვდება ვალიკო თავისი წისქვილით.

— შენ მასხრობ და მე გულზე ცეცხლი მიკიდია.

— შენ რომ გიკიდია, სხვა ცეცხლია მაგი, ძუკუს გოგოს ბრალი უფრო იქნება. არაფერი მოუწერია აქამდე?

— როგორ არა, ორი კვირის წინ მომწერა, აგერ მაქვს ჯიბეში.

— ჯერ არ წაგიკითხავს, თუ?!

— ჯერ არა, მანევრების მერე მაქვს გადაწყვეტილი მაგის წაკითხვა.

— წარმოიდგინე, ვითომ მართლა გაგანია ომია და განთიადიდან მოგივიდა ძუკუს გოგოს წერილი. კონვერტს მართლა მისი ცრემლები აჩნია...

— კარგი, ბიჭო, გაჩერდი თუ არა, ვიტირებ.

— შენ სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაქვს, არ იცი, გადარჩები თუ მოკვდები...

— გაჩერდი, გულით საყვარელს გაფიცებ, მეტი აღარ შეგიძლია.

— პატარა ამოსუნთქვის საშუალება მოგეცა, არ წაიკითხავდი წერილს? მაინცდამაინც მიწაში გინდა ჩაიტანო?

— შენ თუ შეუჩნდი, ეშმაკს გადააცდენ ნამდვილად, კარგი, წავიკითხავ, ოღონდ ერთ ანდერძს დაგიტოვებ, თუ ვინიცობა: გული გამისკდეს.

— კი, ბატონო, დამიტოვე!

— ეგერ, დანაღმულ ველზე ლამაზი ხე რომ მოჩანს, ... დამმარხე. ვალიკოს ჯერ ნურაფერს გააგებინებ. ერთი თვის მერე გააგზავნე ცნობა, წისქვილი დადგმული ექნება უკვე. ძუკუს გოგოს დიდი მადლობა მისწერე. თვითონ მიხვდება ყველაფერს... მერე შეიძლება კი მოუბრუნდეს გული ჩემკენ, მაგრამ რაღა დროს, იმ ხის ქვეშ ვიქნები... — ანდერძს ცრემლებიც მოაყოლა ბერაიამ.

გულჯიბიდან კონვერტი ამოიღო, ზურგი შემაქცია და მარტო დარჩა ძუკუს გოგოსთან. ცოტა ხნის მერე შემობრუნდა, წერილი გაკეცა, კონვერტში ჩადო. კარგა ხანს იყო ასე ჩაფიქრებული, ვერ მივხვდი, სიკვდილს აპირებდა თუ... მერე წერილი გულჯიბეში შენახა ისევ.

— რაო, ბიჭო, ენა ჩაგიპარდა?

— არ ვიცი, რა ვიფიქრო, ეს წერილი ბირდაბირი ხერხი... ვით ხან აქეთაა, ხან იქით, საით გაჩერდება, რომ არ იცი. იმისთანას იწერება, არც მოგკლავს და არც დაგარჩენს. „ყველას გვენატრებიო“... რად მინდა ყველა, თვითონ რას ფიქრობს ნეტავი, რა ვიცი, იქნებ ერიდება, მენატრებიო მომწეროს და იმიტომაა ყველას რომაა ამოფარებული... ეგეც იწერება, წყალდიდობა იყოო. ახლაც წაიღო ის ხიდი, ჩვენ რომ ვიცითო. ხომ გახსოვს, ფეხი რომ დაგიცდა ქვაზე და წყალში ამოიწუწეო... აქამდე კარგი საკითხავია, მერე ისევ იმას იწერებს, მთელი პროგრამა გადაბულბულებული მაქვსო, ნაპირველმა... სებს თბილისში მივდივარო, გეოგრაფიის მასწავლებელი გარდაიცვალაო, მის უმცროს ვაჟს, — ბაჯაღლო პერტენავას, ზუსტად იმ საათს და იმ წუთს შეძენია ბიჭი. პატარას ბაბუას სახელი დაარქვესო, იწერება, გაუზარდოს დიდი ვაჟკაცი. ბაჯაღლო პერტენავა ოქრო ბიჭია. მამა ხომ ჰყავდა და ჰყავდა, გეოგრაფიას მასწავლიდა. მთელი გლობუსი ზეპირად იცოდა... ერთხელ სკოლაში სტუმრები მოვიდნენ რაიონიდან... ლევან! თვალი მატყუებს თუ ის ჩვენი გაბმული ჭრელი თოკი მართლა მიდის თავისით? — შეწყვიტა თხრობა ბერაიამ, — ნახე, თანდათანობით შემოეხსნა ხეს, მტრის ხელი ურევია, არ უნდა ლაპარაკი...

— სწორედ მაგას ვუთვალთვალებ, ცოტა ახლოს მიეხოხ-დეთ, რაღაცას გვიწყობენ ვგონებ. სანამ სხვა მოგვიწყობს რა-იმე ოამაშას, წამით უნდა დავასწროთ, იქით უნდა გავუკეთოთ» ცუცურმა.

მივუახლოვდით დანაღმულ ველს და ვხედავთ: ხის იქი-თა მხარეს, ჩვენსავით შესანიღბ ტანსაცმელში გამოწყობი-ლი ეროი ჯეელი ჩაცუცქულა, ცერა თითზე და იდაყვზე იხვევს მეორე ხეზე შეხსნილ თოკს, რომლის ბოლოსაც კიდევ ერთი დაუპატიჟებელი სტუმარი მოაცილებს ხოხვით. ახლა ძნე-ლია გაარჩიო, რომელია აქ სტუმარი და რომელი მასპინძელი, მაგრამ ამ წუთში ისინი იყვნენ მტრები და რადაც არ უნდა დაგვჯდომოდა, ჩვენს იმედად დარჩენილი ტერიტორია, ისე დაგვეხვეედრებინა, როგორც კრილოვმა დაგვიტოვა, ჩაპლი-და ვარჟგალისიც. აქეთ წამოსულიყვნეხ.

— რა ამბავია? — იკითხა ჩაპლიამ.

ვიფიქრე, მოკლედ მოვახსენებ საქმის ვითარებას-მეთქი და ის იყო პირი დავაღე, რომ ბერაიამ ამბის შორიდან მოყოლა დაიწყო.

— სულ პირველად ბაწარი დავინახე ამ ხიდან იმ ხისკენ რომ მისრიალებდა, ვიფიქრე, აქ რაღაცაშია საქმე-მეთქი...

— უფრო მოკლედ არ შეგიძლია?

— მოკლედ ისაა, რომ მტერია შემოპარული ზონაში და ჩვენს რიგებში აურზაურის შემოტანის მიზნით, თოკის გა-ტანას ფიქრობს დანაღმული ველიდან, მაგრამ აგერ ვართ ჩვენ და თოკს კი არა, სნაკვს გავატანთ.

— რამდენი შეამჩნიეთ?

— ჯერჯერობით ორი ჩანს.

— ცოტა ხნით თვალი ვადევნოთ, იქნებ კიდევ ახლავთ. თუ საეჭვოს ვერაფერს შევამჩნევთ, თოკს რომ ახვევს, იმას მე და ვარჟგალისი მოვუვლით, მეორე თქვენია. გახსოვდეთ, ყველაფერი უხმოდ უნდა მოხდეს.

ორ-სამ წუთს ვუთვალთვალეთ, მეტი ვერავინ შევნიშნეთ და ჩაპლიას ნიშანზე ჩვენ-ჩვენი „მსხვერპლისაკენ“ დავიძა-რით. ტანმორჩილი, მკვირცხლი ბიჭი ისე მოხერხებულად აკეთებდა ყველაფერს, შეეხარბა ბერაიას. უკან არ გამოვდგო-მივართ. შემდეგ ხესთან, რომელთანაც აწი უნდა მიხოხუ-

ლიყო თოკის შესახსნელად, მოვუჭერით გზა. მივასწარით დანიშნულ ადგილას, ხის ძირს ამოფარებულები მიწას დავაკვდით. მოწინააღმდეგე უფრო თავისუფლად მოდიოდა. აზრზე არ იყო, ხის ძირას რომ ვუცდიდით და სული კბილით გვეჭირა, მოხოხდა ხესთან, წამოიჩოქა, შეხსნა ცალი ბოლო და თავისკენ გაქაჩა. აქედან მე მოვკიდე თოკს ხელი და არ დავანებე. რას გამოედოო, ალბათ ამის გასაგებად გადმოსწია თავი, რომ დამინახა, მოულოდნელობისგან შეხტა, მაგრამ მალე მოეგო გონს, ისე შეემზადა, თითქოს მიწვევდა, „მოდი თუ ბიჭი ხარ და გავარკვიოთ, ვინ ვისო“.. აქასობაში ბერაია ზურგიდან მოახტა, თვალის დახამხამებაში ხელებგაკრული, პირში ხელთათმანგაჩრილი მოწინააღმდეგე, იარაღაყრილი გვიჯდა გვერდით, მეორეც გაკოჭილი იყო უკვე. ისევ შემოვსახლვრეთ დანაღმული ველი. ტყვეებთან დავბრუნდით. ბერაიას მიერ გაკოჭილი ბიჭი ღმუოდა, თვალებს საცოდავად ატრიალებდა, გვანიშნებდა, პირი გამითავისუფლეთო. ჩაპლიამ ნება დაგვრთო. გამოვუღეთ ხელთათმანი, გადააფურთხა გაკოჭილმა.

— ლევანი არა ხარ, ბიჭო, შენ?! — ქართულად მეკითხება ტყვე.

— მე კი ვარ ლევანი, მაგრამ შენ თუ მატრასა ხარ, უნდა დაგაპუტოს კაცმა ეგ ულვაშები.

— რატომ?

— ბერაიას გააკოჭიე თავი და იმიტომ.

— მატარებლით რომ მოვდიოდით, მაშინ მივხვდი, კარგს არაფერს გამიკეთებდა, ისეთი თვალებით მიყურებდა.

— დედას გაფიცებ, გაჩერდი თუ არა, ვიტირებ ახლა, — წამოისლოკინა ბერაიამ.

— ერთბაშად მარგალიტები არ გადმოგცვივდეს ცრემლების მაგიერ.

— რა ჩემი ბრალია, ომი რომ არ იყოს, რაში მაინტერესებდა შენი გაკოჭვა, — იმართლა თავი.

— ქართველია? — იკითხა ჩაპლიამ.

— არა, ჭიათურელი. — უპასუხა ბერაიამ.

— რა დავალებით გამოგგზავნეს შტაბიდან? — დაკითხვაზე გადავიდა ჩაპლია.

— დავალებაზე გამოგვგზავნეს, აბა არა?!

— მერედა გეკითხები, რა ამოცანა გქონდა დასახული!

— დამავიწყდა.

— თავს ნუ იგდებ, როგორ თუ დაგავიწყდა?!

— დამავიწყდა და რა ვქნა?.. თუ ძაან გინდათ, გამიშვით შტაბში, ვიკითხავ, მოვბრუნდები და გეტყვით.

— ხმა ჩაიკმინდე! — იყვირა ჩაპლიამ.

— აბა, რომ ჩამაცივდი, სამშობლოს გამყიდველი ხომ არა ვარ. არაფერსაც არ გეტყვით.

ჩაპლია ახლა მეორეს მიუბრუნდა იგივე კითხვებით, არც ესტონელმა რუტელმა გასცა საიდუმლო.

— წყალი დამალევინეთ! — გვთხოვა მატრასამ.

ბერაიამ თავისი მათარიდან მოასმევინა.

— სხვა ხომ არაფერი გინდა? — ჰკითხა მზრუნველობით.

— რავა არ მინდა, მარა სადაა, ახლა კაი საცივი და ცხელი ღომი მოგვცა. აჰ! რას იტყვით?

— ხელფეხშეკრულს რად გინდა საცივი, ნერვებს აგიშლის, მეტი არაფერი, — ვუთხარი მატრასას.

— რავა, საცივი რომ მოგვცა, არ გამიხსნიდით ხეეელს?! — თვალებში შემოგვცინა მატრასამ.

— ხელებს კი არა, პირსაც აგიკრავდი, მტერი ხარ ჩვენი და იმიტომ.

— რა ჯანდაბამ გამოგცვალა!

— დედა მომიკვდეს, გეხუმრება, ბიჭო, არ დაუჯერო, მაგისთანა ოხერია. მართალი გეგონება ხანდახან, ისე გეტყვის, — არწმუნებდა ომარი.

— თქვენ რომ იყოთ გაკოჭილები, მასე მოგექცევოდით მეეე?!

— აბა, როგორ მოგვექცეოდი?

— მაგ არ ვიცი მარა, მასე არ. მოგექცეოდით. ჯერ იყო და ჭუჭყიანი ხელთათმანით ამომიჩურთეთ სალაპარაკო, მერე...

— მტერი ხარ ჩვენი და იმიტომ.

— რა გვაქვს, ბიჭო, სამტრო მე და შენ. აქეთობას რომ მოვდიოდით, ერთად არ ვმღეროდით?

— კი ვმღერობდით, მაგრამ სხვადასხვა ბანაკი ვართ ახლა.

— ბიჭო, ეს ვარჯიშია, თამაში, ომობანას ვთამაშობთ.

— მაგაშია საქმე, თამაში რომაა, თუ არა, ნამდვილი რომ იყოს, იმ არყის ხეზე კაიხნის ჩამოკონწიალებული იქნებოდი თავდაღმა.

— გეხუმრება, დედა მომიკვდეს!

— აბა არა? მეხუმრება. ჯერ საცივი არ მაჭამა, მერე ხეზე ჩამომკიდა, კიდევ მეხუმრება, ნება რომ ჰქონდეს, გამატყავებდა კიდეც.

მატრასას მართლა მოუვიდა გული, ისევ საჩვენოსკენ რომ მოგვებრუნებინა, ბერაიას ეუთხარი:

— ომარ, ხიდან ჩამოხსენი, ხელები გაუთავისუფლე და ჩემი ნაწილი საცივიც მაგას ჩააცეცხლე, თუ არა, გულზე დამადგება.

მატრასას მტყუანივით გაეცინა, ბერაიამაც ამოისუნთქა.

სროლის ხმა ხან ახლოდან გვეჩვენებოდა, ხანაც შორიდან, ტანკების სუსტმა ხმამაც მოაღწია. ალბათ, ჩვენები მოდიან. მართლაც, მოძლიერდა ტანკების ძრავების გუგუნი. ჩვენს ნაწილს წინ ჯავშნოსანი მოუძღოდა, რომელზეც კრილოვი იჯდა თავისი ათეულით და გზა-გზის სიზუსტეს იცავდა. დანაღმულ ველთან შეაჩერეს ჯავშნოსანი. ჩაპლიამ კრილოვს მოახსენა მომხდარის შესახებ, კრილოვი გადმოხტა მანქანიდან და სირბილით წავიდა ნაწილის უფროსის ვილისისკენ. უფროსმა მანქანის კარი გააღო, კრილოვის პატაკი მოისმინა. კრილოვი გამობრუნდა. ჩაპლიას რაღაც უბრძანა, თვითონ ჯავშნოსანზე დაჯდა. კოლონამ გზა გააგრძელა, ჩვენი ტყვეები კოლონის უკანა საბარგო მანქანაზე დასვეს და მეთვალყურედ ვარუგალისი მიუჩინეს.

ერთ საათში მტერს ზურგიდან მივადექით. გავიშალეთ მთელი ფრონტით და სამი სხვადასხვაფერი მაშხალის გასროლისთანავე შეტევაზე გადავედით. ეს იყო ნამდვილი ბრძოლის ველი. აგრუხუნებული, აბოლებული, ათხრილ-დათხრილი, სანგრებით დახაზული, ტანკებითა და ქვემეხებით მოფენილი, აირწინაღიანი ჯარისკაცებით სავსე. ნამდვილი ბრძოლის ველი იყო, მხოლოდ ესაა, ავტომატებიდან და ქვემეხებიდან

ფუჭ ვაზნებს ვისროდით. არავინ არ კვდებოდა, არ ისმოდა დაჭრილების კვნესა, მომაკვდავების გმინვა, ისმოდა ვაშა და შეტევაზე გადასული მებრძოლების შეძახილები. უზარმაზარი ველი, თვალს რომ ვერ გაუწვდენდი, კვამლით იყო გაბურბუსალებული, თითქოს ბარბაცებდა აქამდე ბალახბულახით მშვიდად წამოწოლილი უკიდეგანო ტრამალი. ფოლადისფერ ღრუბელს გაეტიხრა ცა და მიწა, ზეცამ ერთხანს ითმინა, ბოლოს ბუნებასაც შეეშინდა, მთლად არ დაიწვას ცეცხლმოკიდებული მიწაო, დაუშვა კოკისპირული. სანგრები წყლით ივსებოდა. ერთიანად გავილუმპეთ, ცა და მიწაც გამოცდას გვიწყობდა. გავუძელით ყველაფერს. შესვენების სიგნალმა გახახა სივრცე. ტყიდან შეშა მოვიტანეთ, დიდი კოცონებით აბრიალდა ველი. მალე ტანსაცმელებიც გავაშრეთ და საველე სამზარეულოდანაც მოაღწია მადისალმძვრელმა სუნმა. ბორბლებიან ქვაბებთან გრძელი რიგები გაჩნდა. ასე გემრიელად სასადილოში არ გვისადილნია.

სადილობისას ერთმანეთი მოვიძიეთ, ჩვენებურები ერთად ჩავმწკრივდით მიწაყრილზე, კოვზისა და თეფშის ხმა ისმოდა კარგა ხანს.

— ტყვეებისთვის ხომ არაფერი მიგვეტანა, ისინიც მოშივებულები იქნებიან, — ეუბნები ბერაიას.

— შენი ჭირიმე, ლევან, რომ გაიხსენე! მართლა, ბიჭებო, თქვენ არ იცით და მატრასა გვყავს დატყვევებული.

— გაფიცებთ ყველაფერს? — დაგვეკითხა მახარაძე.

— რად უნდა ფიცი, ჩვენს ზონაში აღმოვაჩინეთ და ავიყვანეთ.

— ადვილად დაიმორჩილეთ?

— მისთვის არ გვიკითხავს, თვალის ხამხამში. გავკიჭეთ. მერე ბევრი იძახა ჰიტლერ კაპუტო, ხელები მაინც არ შევუხსენით. ასე არ არის, ლევან?

— ასეა, ასე და დროზე მივუტანოთ საჭმელი, თუ არა...

— აბა, ბიჭო, მე სულ დამავიწყდა!..

სადილის შემდეგ მთელი ნაწილი მოეწყო. ჩატარდა შემოწმება. პოდრების გარდა ყველანი ადგილზე იყვნენ. ტყუ-

პების ასავალ-დასავალი არავინ იცოდა. შემდეგ ნაწილის უფროსმა, პოლკოვნიკმა ლაზარევმა შეაჯამა დღის პირველი ნახევრის შედეგები. აღნიშნა ცალკეულ უბნებზე დაშვებული შეცდომები, არც ისინი დავიწყნია, ვინც თავი ისახელა, შეისვენეთო, ბრძანა ნაწილის უფროსმა და მწყობრიც დაიშალა. საველე ფოსტა მოვიდა. მეც მივიღე წერილი, მამაჩემი იწერებოდა. ბრძოლის ველზე მიღებული წერილი სადილზე გემრიელი იყო. ახლა უფრო შემეძლო გამეგო იმ ბიჭებისთვის, სამკუთხა ბარათებს რომ ღებულობდნენ ოცი-ოცდაოთხი წლის წინათ, პასუხსაც სანგარშივე წერდნენ და შინაურებთან ჭასაუბრებით ფრთებშესხმულები სიკვდილს მრავალგზის ამარცხებდნენ. იმ ბიჭებივით ვიდექი სანგარში და ვკითხულობდი მამაჩემის წერილს:

„გამარჯობა ჯარისკაცო!

ამ წერილს ჯარისკაცის მამა გწერს. აქაურებზე არ იდარდო, ყველაფერი რიგზეა. შენი ბობკოვი მომეწონა, კარგი კაცია, ისიც კარგია, მამა-შვილის შეხვედრაში წვლილი რომ მიგიძღვის. ამას სიკეთის გაკეთება ჰქვია, უნდა დაეხმარო ყველას. თუ ვინმეს რამეზე ხელს წაუკრავ, არ დაამადლო, არც გაახსენო, თორემ პეწი ეკარგება. მამას არ ჩამორჩე, თორემ მოყვარესაც ეწყინება და მამულსაც. აბა, შენ იცი, იყავი კარგად. წერილებს აგვიანებ, აწი მაინც აღარ მათქმევინო საყვედური“.

ჯარისკაცის მამა

24/04—65 წ.

სამი დღე-ღამე გრძელდებოდა საბრძოლო მანევრები. სამი ღღის მერე ნამდვილი მეომრები ვიყავით. ჯარისკაცებმა კარგად შეასრულეს დასახული ამოცანა. მეთაურებმაც გამოამჟღავნეს სამხედრო სტრატეგიისა და ტაქტიკის კარგი ცოდნა, მზადყოფნა ყოველგვნარი მოულოდნელობისათვის.

მეორე დღესვე შევიტყვეთ პოდრების ამბავი. ტყვედ ჩაუგდიათ მოწინააღმდეგეებს. მანევრების დამთავრებისთანავე მატრასა და რუტელი გადავცვალეთ პოდრებში.

მოახლოვდა ფაშიზმზე გამარჯვების ოცი წლისთავი. მამა-შვილი ბობკოვების შეხვედრის გამო წინასწარ ეღელავდი. ისინი რომ ერთმანეთს გადაეხვევიან, სიხარულით გული არ გამისკდეს-მეთქი, ვშიშობდი.

ორ მაისს მალახოვთან ერთად დილიდან საღამომდე თავისუფალი დრო მოგვცეს. მუსიკალური სასწავლებლის საეროო საცხოვრებელს უკანა მხრიდან მოეუარეთ. მარცხნიდან მარჯვნივ გადავთვალეთ ფანჯრები და ჩვენი აზრით მეხუთე ფანჯარა შევარჩიეთ. ჯიბიდან წინასწარ შეგროვილი კენჭები ამოვიღე. საფანტივით შევაყარე მინას და იმის მოლოდინში, ლუსია და ლიდა სულ მალე ალბათ ფანჯრიდან გაღმოეჩინდებიან-თქო, ორთავე სმენაზე დავდექით ფანჯრის წინ, თავები მდაბლად დავხარეთ. სიცილ-კისკისი შემოგვესმა. ავიხედეთ ჩვენს ზემოთ, ფანჯარაში, მინაზე მიჭეჭყილი უცნობი ეოგონების ცხვირები ჩანდა. იცინოდნენ, ხელს მეორე ფანჯრისკენ იშვერდნენ, შეგეშალათო, გვანიშნებდნენ.

ეგ არაფერი-მეთქი, მეც ვანიშნე, დაბალ ღობეზე გადავხტი, მათი ფანჯრის ქვეშ წვრილი კენჭები ავკრიბე და ახლა მეორე ფანჯარას ვაუწყე ჩვენი მოსვლა. აქაც გამოიჭედა ფანჯრის ჩარჩო თავებით, მათაც გვერდითი ფანჯრისკენ გვანიშნეს. სხვა ფანჯარაზე გადავინაცვლეთ ჩვენი კენჭებით. უკვე ოთხი ფანჯარა გვქონდა აკისკისებულ-აფერადებული, მეხუთედან რომ ხანში შესულმა ქალმა გამოიხედა.

— ეოგონები ერთ საათში დაბრუნდებიან, თქვენზე დაიბარეს, თუ მოვიდნენ, დაგველოდონო.

— დიდი მადლობა! — თავაზიანად ეუბნება მალახოვი.

თითქმის ერთდროულად გაიღო ფანჯრები. ყველანი თავიანთი ოთახისკენ გვეპატიჟებოდნენ, — ჩვენთან დაელოდეთ ეოგონებსო.

მალახოვზე ვანიშნე, ეს არ მომყვება, მარტო მეშინია თქვენთან შემოსვლა-მეთქი.

ლუსიას და ლიდას შეაგვიანდათ და როცა ფანჯარაში მათი თავები გამოჩნდა, ძლივს ვიცანით. ისეთი ვარცხნილობა

ჰქონდათ, მიკოლა ჩევერნოჟენკოც განცვიფრებაში მოვიდოდა.

სოფიევკის პარკში გავისეირნეთ. ბევრი საინტერესო რამ ვნახეთ. ვიცოდით: სამი საუკუნის წინ, გრაფ პოტოცკის მიერ გაშენებული ეს დენდროლოგიური ტყე-პარკი წარმტაცი ადგილი რომ იყო.

თუ გაინტერესებთ, „სოფიევკის" შესახებ ცოტა რამეს მოგიყვებით, — შემოგვთავაზა ლუსიამ. იქვე ხის მერხზე ჩამოვსხედით.

— აი, — ხელი გაიშვირა ქალაქის გარეუბნისკენ ლუსიამ, — იქ, სადაც ერთმანეთს უერთდება პატარა მდინარეები უმანკა და კამენკა, მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისში გაშენებულა ქალაქი უმანი. უმანი ყოფილა ძლიერი ციხე-სიმაგრე, მაქსიმე ზალიზნიაკისა და ივანე გნოტას შლიახტობის დროს ქალაქი გაზრდილა და სალხმრავალი გამხდარა. მოგვიანებით უმანის მფლობელმა, გეტმან პოტოცკიმ განაგრძო წინაპრების საქმე. პოტოცკი დიდი პატრიოტი ყოფილა თავისი ქვეყნის და როცა უფროსმა პოტოცკიმ მის წინ მუხლმოყრილ მემკვიდრეს წინაპართა ვადაშეცვეთილი, საგვარეულო მახვილი გადაუღოცა, ახალგაზრდა გრაფს ფიცი უთქვამს: ღირსეულად მოვუვლიო ჩემს მამულს. უელიდა კიდეც. მის დროს გაფურჩქნილა და გალამაზებულა ქალაქი. ახალგაზრდობაშივე დაუწყია პარკის მშენებლობა. ათასობით გლეხი აშენებდა პარკს. ჩვენამდე მებაღე ზარემბას სახელმა მოაღწია მხოლოდ. ზარემბა ხელმძღვანელობდა თურმე ყველაფერს, მისი ფანტაზიის ნაყოფი ყოფილა: ორსართულიანი ტბა, მრავალი გამოქვაბული, ლამაზი ჩანჩქერები და პარკში მოწყობილი სხვა საოცრებანი, ადრე ამ ადგილას არც ტბები ყოფილა, არც გამოქვაბულები, არც ჩანჩქერები, რასაც უყურებთ, ყველაფერი კაცის ხელმა გააკეთა.

სოფიევკაში მდინარე კამენკა შემოდის და ზედა ტბას ავსებს. ზედა ტბიდან წყალი გაედინება პატარა არხით, კიბისებურ საფეხურებად გადმომჩქეფარ წყალვარდნილებით და ბოლოს იქცევა დიდ ჩანჩქერად. ჩანჩქერის ხმა ზოგჯერ ქალაქის გარეუბანშიც ისმის. წყალვარდნილთან მობანავე ვენერას

სტატუა დგას. წვიმების შემდეგ კამენკა წყალუხვი ხდება და ჩანჩქერის ნაწილი თეთრ მარმარილოში გაშოკვეთილ ქანდაკებასაც უწევს. წყალი თითქოს აცოცხლებს ვენერას, იფიქრებთ, მართლა ტანს იბანსო. ჩანჩქერი ქვედა ტბას უერთდება. ქვედა ტბიდან აქამდე თავ-პირის მტვრევით მომდინარე წყალი საგანგებო არხით მშვიდად მოარშიყობს ერთ ხანს, მერე თითქოს შედედდაო,ადგილზე ჩერდება და გზაზე გაჩხერილი, უზარმაზარი ლოდის, მთელი მდინარე რომ გადაუკავებია, ჩაყლაპვას ლამობს. წყალი ლოდის ზედაპირამდეა სავსე და თუ ჯერ თავზე ვერ გადმოვლებია, იმ ორი ეიწრო ღარის ბრალია, კაცის ხელით ამოკვეთილი რომაა ლოდზე და სამად ჰყოფს მას.

ქვედა ტბის ახლოს პატარა გორაკი მოჩანს, აი, იქ! — გვეუბნება ლუსია და ხელით გვიჩვენა, საით უნდა გაგვეხედა, — იმ გორაკს „მუზების სამეფო“ ჰქვია. დიდი ჩანჩქერიდან თუ გამოვხედავთ, ტბისკენ გადახრილი გორაკის ნაწილი მოხაზულობით ადამიანის პირისახეს წააგავს, ამბობენ, პოტოცკის პროფილიაო.

გორაკს ზემოთ „კავკასიის ხეობა“ იწყება, შემოსასვლელთან სიდზე რომ გადმოვედით, ვენეციურ ბიდს ემსახიან, კავკასიის ხეობის იქით „მცირე შვეიცარიაა“ ყენეეის ტბით და თვალწარმტაცი სანაპიროთი. შემდეგ „ელისეს მინდვრები“, პარკის ცალკეულ კუთხეებს თვით პოტოცკი არქმევდა სახელებს. სოფიოს გული ჯერ კიდევ არ ჰქონდა მონადირებული, „სოფიევკა“ რომ დაურქმევია პარკისთვის. სოფიო არც მანამ ყოფილა პოტოცკისადმი გულგრილად, მაგრამ ღვთისმოშიში და მშობლების მოყვარული ქალი ვერ წყვეტდა გადასულიყო მამის ნება-სურვილს. ოდესღაც პოტოცკისა და ზალიზნიაკების წინაპრები სამკვდრო-სასიცოცხლოდ შერკინებიან ერთმანეთს... მას მერე პოტოცკებს სისხლი მართებთ ზალიზნიაკების, ამიტომაც იდგა უარზე მამა.

გრაფმა საიდუმლო გვირაბი გააჭრევინა ზარემბას. გვირაბი ზალიზნიაკების მამულში, მაგნოლიის ხეივანში ადიოდა თურმე. მამის ჩუმად ხვდებოდნენ ერთმანეთს, სანამ პოტოცკის მსახურს, შეყვარებულების წერილები რომ მიჰქონდ-მოჰ-

ქონდა, ყური არ მოიკრა ზალიზნიაკების ძაღლმა. მამას ამის თაობაზე არაფერი გაუმხელია ქალიშვილისთვის და ღამით მაგნოლიების ხეივნისკენ რომ წასულა სოფიო, ქურდულად გაჰყოლია უკან. ტბის ნაპირთან ჩახვეული შეყვარებულები დაუნახავს...

გამთენიისას შინისკენ გამობრუნებულ სოფიოს მაგნოლიების ძირას უნახავს სულთმობრძავი მამა...

მამის სიკვდილის მერე სოფიომ უარი უთხრა ქორწინებაზე პოტოცკის. ლოცვაში ათენებდა და აღამებდა თვალცრემლიანი, დრო ყველაფრის მკურნალია. სამი წლის მერე მგლოვიარე ქალი მაინც დაიყოლია გრაფმა თურმე. ეს იყო დიდი ხნის წინათ, ახლა კი იმ ხიდზე უნდა გადავიდეთ.

ლუსია წამოდგა და წინ გაგვიძღვა.

უფრო ყურადღებით დავაკვირდი ყველაფერს. მართლაც წარმტაცი იყო იქაურობა. ხიდი გადავიარეთ და პატარა კუნძულზე აღმოვჩნდით. კუნძული მარადმწვანე უცხო მცენარეებით იყო სავსე. წყლის ნაპირებზე მტირალა ტირიფები ჩაემწკრივებინათ. ტირიფების ჩამოხრილი ტოტები ტბის ზედაპირს ახლად აფეთქებული კვირტებით ელამუნებოდნენ. კუნძულის სიღრმეში, ლამაზი, ექვსკუთხა კოშკურა აღემართათ, იქვე ხისგან გაკეთებული გრძელი სკამი მიედგათ, მოშორებით ყვავილების ბუჩქნარი ნაირფერი კოკრებით აპირებდნენ გაზაფხულის გალამაზებას. ნაპირთან ორი თეთრი გედი დაცურავდა. ერთი თავს ეკლებოდა მეორეს, მეორე თითქოს გაურბოდა.

— ამ კუნძულზე ჩვენსავით ჯგუფურად როდი დადიან, აქ მხოლოდ წყვილები დასეირნობენ, — გააგრძელა ლუსიამ, — ოაეიდან პოტოცკი და სოფიო აღამებდნენ და ათენებდნენ თურმე. მაშინ „სიყვარულის კუნძული“ დაურქმევია ამ ადგილისთვის გრაფს და დღესაც ასე ეძახიან. ეს ჩახუტებული ხეებიც მაშინდელიაო, ამბობენ, ჩინეთიდან ჩამოატანინა გრაფმა ზარემბასო.

— გოგონებო! ეშმაკობას თავი დაანებეთ! — საჩვენებელი თითით დაეემუქრე ორთავეს.

— რა მოხდა?! — გაიკვირვა ლუსიამ.

— რატომ შემოგვიტყუილეთ ასეთ ადგილზე?

— როგორ ადგილზე?

— ვითომ ვერ ხვდებით?!

— ვფიცავარ, არაფერი მესმის.

— იქნებ სოფიოსაც არაფერი ესმოდა!

— აი, თურმე, სად უკაკუნებ.

— რაზე საუბრობთ? — ჩაგვერია ფიქრებიდან გამობრუნებული მალახოვი.

— სიყვარულის კუნძული გვინდა ჩვენ? რა შეგვატყობს ასეთი ოლეგ?

— ჩვენს სიყვარულს საზღვარი რად უნდა, ჩვენი ასპარეზი მღელვარე ზღვა უნდა იყოს, აფოფრილი ჟრუანტელი, — ძილ-ღვიძილში ნაოცნებარი, ფერადი ზღაპარი.

— ცხადში ახდენილი სიზმარი! — მიეხმარა ოლეგს ლუსია.

— ნამეტანი არ მოგვიდეთ! — დროზე გაგვაჩერა ლიდამ.

— თავი დაანებე, იქნებ ამ სამხრეებიანმა ახალგაზრდებმა, არც იციან, სიყვარულის კუნძულზე თუ რამე დაკარგეს, მას სხვაგან ვერსად იპოვიან, — ჩუმად ჩაილაპარაკა ლუსიამ და სევდაჩასახლებული თვალები შემომატოვა. ის თვალები გულის რომელიღაც კუნჭულში შეიყუჟნენ, შევატყვე, მის პატრონსაც ეპოვა რაღაც სიყვარულის კუნძულზე. თვითონ უფრო ეშინოდა, ეს ნაპოვნი არ დაპკარგოდა, სხვასაც აფრთხილებდა, ფხიზლად იყავიო.

— სოფიომ ამ კუნძულზე დაპკარგა თურმე... — ეშმაკური ღიმილით გააგრძელა ლუსიამ.

— გრაფი პოტოცკი იპოვიდა, რაც სოფიომ დაპკარგა!

— არა, პოტოცკის არ უპოვია, პოტოცკიმ მოიპარა.

— სოფიო ვერაფერს მიხვდა?

— როგორ არა, ხვდებოდა, მაგრამ თავს იკატუნებდა, ვითომ ვერ ამჩნევდა.

მე და ლუსია იმ სკამზე ვიჯექით, კოშკურასთან რომ იღგა. ხელი მხარზე დავადე, თავი მკერდთან მივიზიდე, მის ჩამოშლილ კულულებში ნელ-ნელა შევაპარე ხელი და გავიტრუნეთ. ტირიფები ტბის ნაპირას ჭყუმპალაობდნენ ისევ. წყლის ზედაპირზე სიცხიანივით ფათურებდნენ ანაკვერცხლე-

ბული კვირტები. ეს კვირტები მანამ იგიჟმაჟებენ, სანამ მწვანეულ არ შეიფოთლებიან, მერე კი, ალბათ, სიყვარულის კუნძულზე შემოხიზნულ წყეულებს ჩურჩულით მოუყვებიან პოტოცკისა და სიფიოს სიყვარულის ამბავს.

ლიდამ მალახოვს კუნძულის ყველა კუთხე-კუნჭული შეშოატარა, საუბრობდნენ ყველაფერზე, რაც საინტერესოდ მოაჩნდათ ამოდენა ცის ქვეშ. ოლეგმა ისიც გაანდო, მოსკოვში შეყვარებული რომ ჰყავდა, კარგი გოგო რომ იყო — გუტია, წერილებს რომ წითელი მელნით წერდა.

— ამ ზაფხულზე ჩამოვალო, შემატყობინა! — მიახარა ლიდას.

— ბედნიერი კაცი ხარ, ოლეგ, — ამოიხვნეშა ლიდამ. — ჩემი ანდრუშა მატყუარა გამოდგა. ერთად დავამთავრეთ საშუალო ბელოცერკოვში. ატესტატის აღებისთანავე კომკავშირულ მშენებლობაზე წავიდა ციმბირში, ორწლიანი ხელშეკრულებით. ჩამოვალ და ვიქორწინებთო, შემპირდა. უსაშველოდ გაგრძელდა ორი წელი. შარშან შემოდგომაზე დაბრუნდა. ციმბირიდან ანდრუშას მოლდაველი გოგო ჩამოჰყვა. ისიც ქვეყნის ასაშენებლად ჩასულიყო შორეულში... მე კი დამაქცია და...

— არ იდარდო, ლიდა!..

— ასე კი მოხდა, მომიტევეო, მითხრა იმ დღეს, შვილი რომ შეეძინათ. ასეა, პირველმა სიყვარულმა ჩაილულის წყალი დალია... ბელოცერკოვში ველარ გავჩერდი, მეორე კურსიდან აქეთ გადმოვედი სასწავლებლად.

— არაფერია, ლიდა! შენ ყველაფერი წინ გაქვს, ისეთი ბიჭი ჩაგიხუტებს, აი ნახავ, ქორწილი არ გამომაპარო, ლევანმა სადღეგრძელოები მასწავლა, თამადად გამოედგები.

ლიდამ ნაღვლიანად ჩაიცინა.

კოშკურასთან რომ დაბრუნდნენ, მე და ლუსია ჩახვეულები დავხვედრივართ. გვითვალთვალებდნენ თურმე ჩუმად, ხელის შეშლა ვერ გაებედათ კარვა ხანს.

— ამათ აწი რაღა გამოხსნით! — შემოგვესმა მალახოვის ხმა.

ძილში უჯმაჯურა რომ დაგეცემა, ასე იყო. ორთავე მალე გამოვბრუნდით ტკბილ ზმანებიდან. მალახოვს თვალებით ეუსაყვედურე.

— რა ვქნათ, კარგა ხანს გადროვეთ! — თავი იმართლა ოლეგმა.

— თვით გრაფი პოტოცკიც ვერ აძლევდა ალბათ თავს აღოდენა სიამოვნების უფლებას! — შენიშნა ლიდამაც.

— ეგოისტები! — ჩაილაპარაკა გაბუტულმა ლუსიამ და რაღაც უკრაინული სიმღერა წამოიწყო ხმადაბლა. ასე მღერიან, როცა გულს ვერ იტევენ საგულეში. ასე მღეროდა, ალბათ, ბერაია „განთიადის“ გუნდში. მეც მომინდა სიმღერა რატომღაც. ჩემდა უნებურად დავიწყე „ჩემო ციცინათელა“. ლუსიამ თავისი სიმღერა შეწყვიტა და მე წამომეშველა, ლიდამაც მოგვახმარა მეორე ხმა, მალახოვი გვისმენდა, ხიდზე რომ გადმოვდიოდით, შევატყვე, ოლეგი არც ჩვენთან იყო და არც გროდნოში — დედამისთან. იგი ახლა მოსკოვში იყო ალბათ და ჩვენს ამბავს უყვებოდა დიდი ხნის უნახავ გუტიას.

გასასვლელისკენ გავემართეთ. იმ ლოდთან, ქვედა ტბიდან გამდინარე წყალს რომ აგუბებდა, ტურისტები შეჯგუფულიყვნენ.

— ეს უზარმაზარი ქვა პოტოცკის ბრძანებით მოუტანიათ ქალაქის გარეუბნიდან, სამი წელი მოაცოდვილებდნენ ელეხებიო, — გავიგონე ექსკურსიამძღოლის ხმა.

ჯგუფს შევუერთდი და ყური მივუგდე.

— ქვის ზედაპირის მოხაზულობა მეჩვიდმეტე საუკუნის პოლონეთის გეოგრაფიულ რუკას წაგავს. ლოდზე გადმომდინარე ორი ნაკადული სიმბოლურად პოტოცკის ცრემლებია, სამად გაყოფილ პოლონეთს რომ დასტირის.

წინ წასულ თანამგზავრებს დავეწიე, მათაც მოვუყევი, რაც მოვისმინე.

— ცოტაც მოგეცადა, უარესს შეიტყობდი, — ამბობს ლუსია.

— რას?!

— იმას, რომ პოტოცკიმ ვერაფერი დააკლო თურქების ფაშას, ვერ შეუსრულა მამას, რომ შეპფიცა: „ჩემს ქვეყანაა არაფერს გავუჭირეებო“.

თურქს იქაურობა მოსწონებია და ჩასახლებულა პოტოცკის მამულში. დარდზე ღვინოს მისძალებია გრაფი, მთლად დაუკარგავს თავვსა. საღამოობით შეიკეტებოდა სატრაპეზოში თურმე და ოქრო-ვერცხლზე ეთამაშებოდა ფაშას.

გრაფის სიმდიდრე თანდათანობით ავსებდა თურქის ქისას, ბოლოს აღარაფერი დარჩენია და სოფიევკის პარკს ჩასულა ფულის მაგიერ. სოფიევკაც რომ თურქის გამხდარა, მთლად დაუკარგავს გონება. იმავე საღამოს ღვინით გალეშილ პოტოცკის სოფიოც წაუგია.

ფაშამ სულთნის გულის მოსაგებად სტამბოლში გააგზავნა სოფიო.

ერთი გამოფხიზლება მაშინ გამოფხიზლებულა პოტოცკი, სულით ხორცამდე გაცლილს აუღია საგვარეულო მახვილი, შესულა პარკში, ჩამდგარა მდინარეში და სამად გაყოფილ ქვამდე წყალ-წყალ უვლია. კარგა ხანს უყურა ორ ნაკადად მომდინარე „პოტოცკის ცრემლებს", მერე არაადამიანურად იღრიალა თურმე და მოქნეული მახვილი ცრემლსა და ცრემლს შუა გადაამსხვრია ქვაზე. ზემოდან გადამხობია ლოდს, ჩაუყვია წყალში თავი და ჩაუტოვებია შიგ.

სოფიევკის პარკი დავტოვეთ, ფეხით გავუყევით მთავარ ქუჩას. წიგნების მაღაზიაში შევედით. თაროზე ალექსანდრე ყაზბეგის რუსულ ენაზე ახლად გამოცემული ორტომეული შევნიშნე, მხოლოდ ერთი კომპლექტი დარჩენილიყო. გული დამწყდა. იქვე ნოდარ დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი"-ს რამდენიმე წიგნი ეწყო, ოთხი ცალი ის ვიყიდე. ილეგმა გუტიასთვის გასაგზავნი ღია ბარათი ვერ შეარჩია, მაისში დაბადების დღე ჰქონია. ლიდა შეჰპირდა, ლამაზ ბარათს მოგცემო.

ნოდარ დუმბაძის წიგნი უკრაინულ ენაზე იყო, სამივეს ჩამოვურიგე. ყაზბეგის ტომები ჩემთვის დავიტოვე. კინოში ქართული ფილმი, „ჯარისკაცის მამა" გადიოდა. ექვსსაათიან სეანსს დავესწარით, ფილმი ყველას მოგვეწონა.

— მამაჩემსაც გიორგი ჰქვია და წერილს როცა მწერს, სახელისა და გვარის მაგიერ ჯარისკაცის მამას აწერს ქვემოთ-მეთქი! — ვუთხარი გოგონებს. მერე ბობკოვების ამბავიც მოვუთხრე.

— თუ შეიძლება, ჩვენც დავესწრებით საზეიმო საღამოს, — შეგვეხვეწა ლუსია.

სიამოვნებით დავეთანხმე. ლიდამ ოლეგს ლამაზი ღია ბარათი გამოუტანა გუტიასთვის. თან დაარიგა — ასე და ასე მისწერეო. ისევ გაიჭედა საერთო საცხოვრებლის ფანჯრები ცნობისმოყვარე გოგონებით. ჩვენ ყველას სამხედრო სალამი მივეცით და ნაწილში დავბრუნდით. გზად ოლეგი ლიდას ამბავს მომიყვა, კარგი გოგოაო, თქვა, თან გუტიასთან გასაგზავნ ღია ბარათს ატრიალებდა ხელში.

კუბრიკში შესვლისთანავე ყაზბეგის წიგნები ჩემს კარადაზე დავაწყვე, სანამ ტანსაცმელს გამოვიცვლიდი, ერთი მალენკინს აეღო, მეორეს ვეღარ მივაკვლიე. ორი კვირის მერე ჩავიგდე ხელში წიგნები, ძლივს ვიცანი. ყდები შეცრეცოდა, მეორე ტომი დაშლის პირას იყო. სხვა კუბრიკებიდანაც მოდიოდნენ და რიგს იკავებდნენ, ვის როდის უნდა წაეკითხა. ნიკოლოზ პოდრა ძმას ეჩხუბებოდა, წაიკითხე და მომიყევიო.

ერთი თვის შემდეგ წიგნები თვალითაც აღარ მისახავს. ლასიცკასმა მითხრა: მეორე დივიზიონში პეტაკოვს დავუნახე, ფურცლები აკლდა, მაგრამ მაინც კითხულობდაო. არც ერთი უკრაინელი არ დარჩენილა „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ არ წაეკითხოს. ქალაქში წამსვლელებს ფულს ატანდნენ, დუმბაძის წიგნი გვიყიდეთო, მაგრამ მაღაზიაში უკვე გათავებულიყო. ერთი წლის მერე ნოდარ დუმბაძემ კომკავშირის პრემია მიიღო. ბიჭები მეკითხებოდნენ, ეს ხომ იმ წიგნის ავტორია, ჩვენ რომ წავიკითხეთო. მე რა ვიცი, მალახოვს ჰკითხეთ-მეთქი, — ვპასუხობდი შანის მოგებით.

32

რვა მაისი გათენდა, თორმეტ საათზე ავტოვაგზალში უფროს ბობკოვს უნდა დავხვედროდი. კრივოეოზეროს ავტობუსს ჩამოჰყვებაო, მითხრა პოლკოვნიკმა კულიკოვმა. საპარადო მუნდირში გამოვეწყვე და ათ საათზე ქალაქისკენ გავყევი ლასიცკასის ვილისს, რომელიც ნაწილის უფროსთან მიდიოდა.

— სად შეგიჩერო, ამხანაგო ლევან?! — მეკითხება ლასიცკასი.

— მუსიკალური სასწავლებლის საერთო საცხოვრებელთან.

— მიტოვებული ბარტყების ბუდეს მიაგენი, ძმაკაც?!

— შენი საქმე არაა, რიგითო ლასიცკას!

— მაპატიეთ, ამხანაგო ლევან, — ღიმილით ამბობს ლასიცკასი და საერთო საცხოვრებელთან მანქანას ამუხრუჭებს. სახლიდან გამოპრანჭული გოგონები გამოვიდნენ, ჩემს დანახვაზე სიცილ-კისკისი და ჩურჩული აურიეს ერთმანეთში.

— რა უგავთ ამათ მიტოვებულ ბარტყებს? — ეკითხე ლასიცკასს.

— შევცდი, გოგიაშვილო, ეს გოგონები გადასაფრენად არიან მზად!

საათს დავხედე, გოგონების გასაგონად ლასიცკასს ხმამაღლა ვუთხარი: — ერთ საათში მომაკითხავ! არ დაიგვიანო, იცოდე!

— მესმის, ამხანაგო უფროსო!

ლასიცკასი წავიდა. კენჭები ფანჯარას შევაყარე. გოგონები ჩაცმულები დამხვდნენ. ოცი წუთის შემდეგ ავტოვაგზალში ვიცდიდით.

კრივოეოზეროს ავტობუსმა დაიგვიანა. ადგილს ველარ ვპოულობდი. ორმოში მოხვედრილი მგელივით ვაწყდებოდი აქეთ-იქით. ჩემს დანახვაზე ლიდა და ლუსია სიცილით იგედებოდნენ. როგორც იქნა, ჩამოდგა ავტობუსი. მგზავრებით გადატვირთული მანქანა ნელ-ნელა იცლებოდა. გოგონებს შევეხვეწე, უკანა კართან დადექით, სამხედრო ფორმაში გამოწყობილი „კრამაროვი“ დაატყვევეთ, თუ ვინიცობაა, უკნიდან ჩამოვიდეს-მეთქი. მივჩერებოდი გაღებულ კარს, რომლიდანაც ორმოცამდე მგზავრმა გადმოაბიჯა, ორი-სამი სამხედრო ფორმაში იყო, მაგრამ... რა ვქნა, თუ არ ჩამოვიდა? რა წყალში ჩავვარდე? — ვფიქრობდი იმედგადაწურული. უკანა კარისკენ მივიხედე, ველარც ლიდა და ლუსია დავინახე. ავგზლის შესასვლელში შევასწარი თვალი. ფორმიან კაცს წინ გადადგომოდნენ და ხელების დახმარებით რაღაცას უხსნიდ-

ნენ. მათთან გავჩნდი. ბობკოვს სამხედრო სალამი მივეცი. უფროსმა ლეიტენანტმა გულში ჩამიკრა და გადამკოცნა.

— რა მეგონა, თუ კიდევ შეეხვედებოდით. — მეუბნება ბობკოვი.

— მე ამ ქალაქში ვმსახურობ.

— ალბათ, წერილიც მომწერე.

— მოგწერე...

— უკან დაგიბრუნდებოდა.

— ჰო, რა. თქმა უნდა!..

— თქვენ რომ თბილისში დაგტოვეთ, ერთ კვირაში ახალი დანიშნულებით სხვა ქალაქში გადავედი. შენი მისამართი მე არ ვიცოდი...

— აქ რისთვის ჩამოხვედით, თუ საიდუმლო არაა? — ეკითხე ბობკოვს ყასიდად.

— არ ვიცი, იქნებ საიდუმლოცაა. მითხრეს, ორდღიანი მივლინებით აქ ჩამოვსულიყავი, ავტოვაგზალში დავხვდებიან და ყველაფერს შეიტყობო. შემთხვევით გოგონებმა შემაჩერეს.

— ჰო, მართლა, ერთმანეთს ჯერ არ იცნობთ, ჩემი მეგობრები: ლუსია კუპრი და ლიდია გავრილოვა, — წარვუდგინე ბობკოვს.

— უფროსი ლეიტენანტი ვლადიმერ ბობკოვი! — ხელი კენ-თან მიიტანა.

— რაღას ვდგევართ, ისინი, ვინც აქეთ უნდა დაგხვედროდათ, ჩვენ გახლავართ. ხუთ სათამდე დიდი დრო გვაქვს, სადმე წავისაუზმოთ და შემდეგ „სოფიევკას" დაგათვალიერებინებთ.

— რა ხდება, გამაგებინეთ! შეიძლება კაცმა იაროს ასე და რისთვის დადის, არ იცოდეს? — მხრები აიჩეჩა ბობკოვმა.

— ყველაფერს ვერც ჩვენ აგიხსნით, ძირითადს მოგვიანებით შეიტყობთ. — ქალაქის ცენტრისკენ წავედით. კაფე-ბარში შევიპატიჟე სტუმარ-მასპინძელი. კუთხის მაგიდა ავირჩიეთ საუზმე შევუკვეთე, სანამ მოგვიტანდა, ოფიციანტს რაღაც წავჩურჩულე. ოფიციანტმა გაიცინა და თავი დამიქნია.

— ვლადიმერ პარამონის ძევ, ახლა იმას მომიყეი, როგორ დაგაპატიმრეს გოგონებმა.

სამიეეს სიცილი წასკდა, გოგონებმა არ იცოდნენ, რად იცინოდა ბობკოვი. ბობკოვმა ის არ იცოდა, რა აცინებდათ გოგონებს. ყოველ შემთხვევაში, სიცილის მიზეზი სამთავეს ჰქონდა.

— ავტობუსიდან ჩამოსვლისთანავე ვაგზლის შენობისკენ გავემართე, — დაიწყო ბობკოვმა, — ეხედავ, ორი გოგონა არაჩვეულებრივი ინტერესით მომჩერებია. მეც, რა თქმა უნდა, მივაჩერდი. ორთავე დაიბნა. რაღაცაზე ერთმანეთს დაუწყეს კამათი. მე გზა გავაგრძელე. ის იყო, კარი უნდა გამომეღო, წინ გადამიდგნენ — „ნამდვილად ის ხართ, ვისაც ეელოდებითო", მითხრა ლუსიამ, „მართალია, თქვენ არ გვიცნობთ, მაგრამ ჩვენ, როგორც კი დაგინახეთ, მაშინვე მივხვდით, ვლადიმერ პარამონის ძე ხართ"-ო. ახლა მინდა გკითხოთ, — ლიდას და ლუსიას მიუბრუნდა ბობკოვი, — რატომ იყავით ასე დაჯერებულნი?

— თქვენი წარმოსახვითი პორტრეტი ლეანმა ისე კარგად დაგვიხატა, შეცდომა გამორიცხული იყო.

ბობკოვს ხელახლა აუტყდა სიცილი, — ვიცი, ვიცი, „კრამაროვი"... „კრამაროვი"!..

უფროსმა ლეიტენანტმა გოგონების გასაგონადაც გაიმეორა „კრამაროვის" მეხანძრეობის ამბავი, არც ის გამორჩენია, თვითონაც რომ შეეძლო მეხანძრის როლის შესრულება აირწინალის გარეშე.

ოფიციანტმა სავსე სინი მოიტანა. გოგონებისთვის პატარა სასმისები ჩამოდგა. ბობკოვს უფრო მოზრდილი ჭიქა შეხვდა. ჩემთვის კი ჩაი მოეტანა, როგორც ვუთხარი.

— სწორი ხარ, ლეან, სასმელი არ შეიძლება, კაცმა რომ თქვას, არც ჩემთვისაა აუცილებელი, მაგრამ როცა ორი თანაქალაქელი ერთმანეთს ხვდება, უნდა აღვნიშნოთ, ასე ვიცით კუტაისელებმა და რა ვქნა, — ქართულად დაამატა ბობკოვმა, სასმისი ასწია, ჭიქებს მიუჭახუნა, — ჩვენს სამშობლოს გაუმარჯოს და ჩვენს ძარღვებში რომ სისხლი ჩქეფს, იმ სისხლს გაუმარჯოს, სამშობლოს საკეთილდღეოდ იტრიალოს სისხლმა და თუ საჭირო იქნა, ისევ სამშობლოსათვის დავღვაროთ, როგორც ამას ჩვენი წინაპრები აკეთებდნენ, —

ბუმერანგივით დამიბრუნა ხუთი თვის წინათ „გასესხებული“ სადღეგრძელო, თვალი ჩამიკრა და ჭიქა გამოსცალა. გოგონებმაც ცოტ-ცოტა მოსვეს. ჭიქაში კოვზს ვურევდი, ვითომდა შაქრის გასადნობად.

— ახლა ერთ სადღეგრძელოს მე გეტყვით, მერე რა, ჩაის რომ ვსვამ, „წყალში გაგიმარჯოთო“, ჩვენთან იციან.

— თქვი, ლევან, მაგასაც ზეპირად ვისწავლი, — გაეღიმა ბობკოვს.

მე ჩემი ჭიქიდან ბობკოვის სასმისი შევავსე, გოგონებსაც დავუმატე.

— იმ დიდი სიხარულის სადღეგრძელო იყოს, რომელიც ჯერ კიდევ გზაშია, — ვთქვი და გადავკარი.

— გამარჯვების დღეს ვადღეგრძელებ! — თავმომწონედ ჩაილაპარაკა ბობკოვმა, აქაოდა, კარგად მივხვდი ნათქვამის დედააზრსო, მერე ჭიქიდან მოსვა, დადგმას აპირებდა, ხელში გაუშეშდა სასმისი, ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს საწამლავი დაალევინეს მოტყუებით და აწი მაინც არაფერი ეშველებაო. — შენც?.. — ძლივს მოახერხა ერთი სიტყვა.

ლიდა და ლუსია გაკვირვებულები ადევნებდნენ თვალს და ვერ მიმხვდარიყვნენ, რა მოხდა.

— როცა ორი ქუთაისელი ერთმანეთს ხვდება, სხვაგვარად არ შეიძლება, ვლადიმერ პარამონის ძევ.

— დიახ, დიახ! — დაბნეულ სახეზე ნათელი მოეფინა ბობკოვს და ჭიქაში დარჩენილი „ჩაი“ ბოლომდე გამოსცალა.

33

„სოფიევკაში“ ბობკოვის მეგზური მე ვიყავი. რაც წინა კვირას ამიხსნეს, იგივე გავიმეორე ბობკოვის გასაგონად.

— კი მაგრამ, მივლინებით იმიტომ გამომგზავნეს, პარკი დამეთვალიერებინა? — უკვირდა ბობკოვს.

— ყველაფერს თავისი დრო აქვს. მოთმინება გმართებს, ვლადიმერ პარამონის ძევ.

— ვითმენ, აბა რა ვქნა, იმაზე უარესი რაღა იქნება, რაც თავს გადამხდა.

ბობკოვი მალე გაუშინაურდა გოგონებს, ხუთ საათამდე პარკში დაესეირნობდით, ქვედა ტბასთან სურათიც გადავიღეთ და ნაწილისკენ გავუყვეთ ფეხით. დრო იმდენი დაგვრჩენოდა, სადღესასწაულო საღამოს დაწყებამდე მივიდოდით. შესასვლელში ლაბადა გველოდა. ერთ ადგილზე ვერც ის ჩერდებოდა. ჩვენი დანახვის შემდეგ უფრო მოუმატა ბოლთის ცემას. უფროსი ლეიტენანტები ერთმანეთს წარვუდგინე. ლაბადამ გოგონები იცნო და ბობკოვთან ერთად მიიპატიჟ..

კლუბი სადღესასწაულოდ იყო მორთული. შესასვლელში სასულე ორკესტრის წევრები ირეოდნენ. მეხუთე რიგის მარჯვენა მსარეს ჩვენი ადგილები დავიკავეთ. ბობკოვი შეშინებულივით აცეცებდა თვალებს, ბოლოს ბედს შეურიგდა, ისიც დაჯდა.

— რას მიწყობთ, არ ვიცი, მაგრამ ყველა შემთხვევისთვის მომზადებული წამოვედი. — მის თვალებს ვერ გავუძელი და სცენას გავხედე, სადაც სადღესასწაულო კრების პრეზიდიუმისთვის სკამები გაემზადებინათ, მარცხნივ ტრიბუნა იდგა. უკან, სცენის სიღრმეში, ცისფერ ფარდაზე დიდი თეთრი ციფრები იყო მიმაგრებული: 1945-1965. მე და მალახოვმა ფირფიცრიდან გამოვჭერით გუშინ. სცენაც გუშინ გავაწყვეთ, ლაბადა შუაღამისას წავიდა სახლში.

წინა რიგები შევათვალიერე, იქნებ პარამონ ნიკიტას ძე შევნიშნო-მეთქი, მაგრამ არსად ჩანდა.

ზუსტად თერამეტ სათზე სცენაზე შემოვიდნენ და პრეზიდიუმში ადგილები დაიკავეს. ნაწილის უფროსი — პოლკოვნიკი ლაზარევი საიუბილეო საღამოს გახსნილად აცხადებს. სიტყვა მოხსენებისთვის პოლიტნაწილის უფროსს, პოლკოვნიკ კულიკოვს მისცა. კულიკოვი ტრიბუნისკენ გაემართა. სანამ მიკროფონში რაიმეს იტყოდა, თითქმის ერთ წუთს, სმენაზე იდგა. ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, ბუზის ხმას გაიგონებდით. ალბათ ახლა ყველა აქ მყოფი თავისთვის ფიქრობდა, იმისიც ეშინოდათ, ხელი არ შეეშალათ ერთმანეთისთვის.

— დიახ, ჩვენ გავიმარჯვეთ! — მკვეთრი ხმით დაიწყო კულიკოვმა, — ამ გამარჯვების მნიშვნელობა, რაც დრო გადის,

მით უფრო იზრდება! — და მომუშტული მარჯვენა ისე დაჰ-კრა ტრიბუნას, თითქოს ვილაც კიდევ დარჩა გასასრესი და აი ისიცო.

პრეზიდიუმში ჩვენი ნაწილის ომგადახდილი ოფიცრები ისხდნენ, მათ შორის თადარიგის ოფიცრებიც. აქა-იქ სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი, ჯილდოებით მკერდმოჭედილი, კუშტი სახეებიც მოსჩანდა.

დარბაზში ვიჯექი, თითქოს არც ვიჯექი. თავი სიზმარში მეგონა. ბობკოვებზე ვფიქრობდი: რა მოხდებოდა, როგორ შეხვდებოდნენ ერთმანეთს, ეს მიტრიალებდა თავში. კულიკოვის მხოლოდ ხმა მესმოდა. უაზროდ მივჩერებოდი სცენას და შინაარსი ვერ გამომეტანა, რას ლაპარაკობდა პოლიტნაწილის უფროსი.

— ასეთებია! — თქვა კულიკოვმა და პრეზიდიუმისკენ ხელი გაიშვირა:

ყური მივუგდე.

— მაიორი ფირსოვი, ზემდეგი ჩევერნოჟენკო, კაპიტანი ბუბნევიჩი, მაიორი ტორგონი. სახელოვანი პარტიზანები, — ახლა პრეზიდიუმში მსხდომნი, სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი ჭაღარასნები წარმოგვიდგინა კულიკოვმა; ბოგდან ხამუტოვსკი, მიკოლა დიმჩუკი, პროხორ პოსუელო, ანატოლი პანჩურა და სხვანი, — ახლა შევნიშნე, კაპიტნის ფორმაში გამოწყობილი, შუახანს გადაცილებული კაცი წამოდგა უკან რიგიდან.

ამ კაცის დანახვისთანავე გული საგულედან კინაღამ ამოხტა. „და სხვანი“ პარამონ ნიკიტას ძე გამოდგა, რომელიც მანამდე დარბაზში მსხდომთათვის ძნელი დასანახი იყო. ჩემს გარდა თითქმის ყველას გაუკვირდა, რატომ გვარი და სახელი არ გაამხილეს ყავარჯნიანი კაპიტნისა.

— ამ კაცს და სხვა ჰქვია? — იკითხა ბობკოვმა.

— მე პირადად ვიცნობ, მაგრამ სულ მალე ყველა გაიგებს მაგის სახელს, — წავჩურჩულე ბობკოვს.

— ჩემთვის დღეს გამარჯვების დღე კი არა, რაღაც გამოცანა გათენდა, — ჩაილაპარაკა ნაწყენმა ბობკოვმა.

— სულ მალე გაიგებ, რაც გათენდა...

„და სხვანი“ ისევ ბოლო რიგებში ჩაიკარგა. კულიკოვმა ყველას მოგვილოცა გამარჯვების ოცი წლისთავი. გვისურვა ეხიზელი სამსახური, მშვიდობიანი შრომა და ცხოვრება.

ლაზარევმა სიტყვა მაიორ ფირსოვს მისცა — სტალინგრადის ბრძოლების მონაწილეს, საბრძოლო დიდების სამივე ორდენის კავალერს, თავის თავზე საუბრით არ გადაუღლია მსმენელი მაიორს. მის თანამებრძოლებზე ჰყვებოდა. ერთი ეპიზოდი გაიხსენა, თითქოს გუშინდელ ამბავს გვიყვებაო, ყველაფერი ცოცხალი სურათივით წარმომიდგა თვალწინ. სიტყვა შუაზე გაუწყდა, თავის ადგილს ისე დაუბრუნდა, სათქმელი არ დაუმთავრებია.

— ბრძოლის ველზე მარტო დამარცხებულები როდი რჩებიან, — კისერში ხელწაჭერილი კაცივით ძლივს აღმოთქვა ადგილზე მისულმა და დაჯდა.

ფირსოვს შემდეგ პარტიზანული შენაერთის ყოფილ უფროსს ბოგდან ხამუტოვსკის მისცეს სიტყვა.

— ჩვენი რეგულარული ჯარების ამბავს მტრისა და მოყვრის გასაგონად რადიო აცხადებდა ყოველდღიურად, — ღიმილისმაგვარი რაღაც აუთამაშდა სახეზე ხამუტოვსკის, — პარტიზანების ამბავს და სამყოფელს არც რადიო აცხადებდა და ვერც მტერი გებულობდა თვითონ. აი, სწორედ აქ უჭირდათ გერმანელებს და როცა გაიგებდნენ ამა და ამ ადგილზე არიანო, ჩვენი საქმე მოთავებული გვქონდა. იმ ციფრების მოტანაც არაა საჭირო, თუ რა ზარალი მიაყენა მარტო ჩვენმა შენაერთმა მტერს. ზოგმა ხელი შესწირა ამ საქმეს, ზოგმა ჯანმრთელობა. ანატოლ ბონდარმა, კირილ პალკომ, მიკოლა ჩიპურენკომ, ოლექსეი ჩერვიაკმა და სხვებმა — სიცოცხლე, მაგრამ მთავარი გაკეთდა.

პროტეზი, რომელზეც ტყავის შავი ხელთათმანი ჰქონდა წამოცმული, ისე დაჰკრა ტრიბუნას, ყველას შეაჟრჟოლა ალბათ, ჩემსავით. — ძვირი დაგვიჯდა ეს გამარჯვება... გაუფრთხილდით მშვიდობას! — მის ხმაში თხოვნაც ისმოდა და ბრძანებაც.

— ახლა კი წარმოგიდგენთ რიგით გოგიაშვილს, რომელიც ერთ საინტერესო ამბავს მოგითხრობთ, — გამოაცხადა ლაზარევმა.

სცენისკენ მიმავალს ფეხები უკან მრჩებოდა. ეღელავდი, ტრიბუნის გვერდით დავდექი. ერთხანს უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა.

— ამხანაგებო! ომის მატიანე ალბათ ასეთი ამბებითაა სავსე. იქნებ ამის მსგავსი რამ თქვენც გაიგონეთ, მაგრამ ვის თავგადასავალსაც ახლა მოგითხრობთ, ჩვენს დარბაზში სხედან. ეს ამბავი კურსკში მოხდა... და მოვყევი უმცროსი ბობკოვის მონათხრობი. როგორ გააცილა დედა-შვილმა ქმარი და მამა ფრონტზე, როგორ მოხვდნენ ბომბარდირების ქვეშ, როგორ გაზარდეს ვლადიმერ ბობკოვი გარდაცვლილი შვილის სახელზე კეთილმა ადამიანებმა. როგორ ეძებდა მამის ასავალ-დასავალს, მაგრამ უშედეგოდ. — ეს პიროვნება გახლავთ უფროსი ლეიტენანტი ვლადიმერ პარამონის ძე ბობკოვი, — ხელი მეხუთე რიგისკენ გავიშვირე, სადაც გაოგნებული ვლადიმერი იჯდა. თვალები ახლაც ცალ-ცალკე გაქცეოდა — თითქოს ერთით თავის ბავშვობაში გადავარდნილიყო, მეორეთი დღევანდელობას შესციცინებსო.

— ვლადიმერ პარამონის ძევ, გთხოვთ, ამობრძანდეთ სცენაზე!

ბოკოვი ძლივს ამოვიდა კიბეზე, ჩემს გვერდით დადგა, ხელები სად წაეღო, აღარ იცოდა. ტაშის გამო არ ისმოდა, მადლობას რომ უხდიდა ყველას. როცა დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდა, ხმამაღლა ვთქვი:

— ძვირფასო ვლადიმერ პარამონის ძევ, დიდ მწუხარებასაც და დიდ სიხარულსაც ვაჟკაცურად უნდა დახვდეს კაცი. ორი თვეა ამ მოულოდნელ ამბავს გიმზადებთ, — ხელი შევაბრუნე სცენის სიღრმისკენ. ხელჯოხიანი თადარიგის კაპიტანი ჩვენსკენ მოაბიჯებდა.

— ვლადიმერ პარამონის ძევ, შეხვდი ამ კაცს, ეგ პარამონ ნიკიტას ძე ბობკოვია, შენი მამა!..

ცრემლებმა კინაღამ დამახრჩო, გალურსული დარბაზი ჩემს გვერდით გაშეშებულ ვლადიმერსა და ჩვენკენ წამოსულ პარამონს მისჩერებოდა. პარამონ ბობკოვმა ჯოხი მოისროლა. ფიფქის სირბილით მიიჭრა გაოგნებულ ვაჟთან, რომელიც ოდნავ უფრო მაღალი იყო და მის მხრებს ჩამოეყრდნო. შვილმა

მამამის კისერი მოძებნა და ისე ჩაეკრა, თითქოს ახლა ინაზღაურებდა, რაც ამ ხნის მანძილზე ერთმანეთს ალერსი დააკლეს, ჩახვეული მამა-შვილი კარგა ხანს კანკალებდა ამ შეხვედრის მოწმეთა თვალწინ.

იქუხა ტაშმა. დარბაზის ჭერი კინაღამ ჩამოიქცა. ყველას თვალებზე სიხარულის ცრემლები კიაფობდა. ეს სიხარული მარტო მამა-შვილმა კი არა, ყველამ თავისად მიიღო.

სცენაზე სამი სკამი გამოიტანეს და ბობკოვების გვერდით მეც დამსვეს. როცა ყველაფერი მიწყნარდა, შტაბის უფროსი, პოლკოვნიკი ფომინცევი გაჩნდა ტრიბუნაზე.

— ამხანაგებო! უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, ფაშიზმზე გამარჯვების ოცი წლისთავთან დაკავშირებით დაწესებულია საიუბილეო მედალი, რომლითაც ჯილდოვდება ყველა, ვისაც სამამულო ომში მონაწილეობა მიუღია, გარდა ამისა, ისინი, ვინც ამჟამად საკალდებულო სამხედრო სამსახურს გადიან საბჭოთა არმიის რიგებში. კომკავშირის კომიტეტის თხოვნით მინდა მედალი პირველად გადავცე პობედას იურგენის ძე ლასიცკასს...

ლასიცკასი მაშინვე სცენაზე გაჩნდა.

შტაბის უფროსმა მედალი მკერდზე მიაბნია და ყველას გასაგონად დასძინა:

— ამხანაგებო, ლასიცკასს ხვალ უსრულდება ოცი წელი, ცხრა მაისს ყოფილა დაბადებული, ამიტომაც დაურქმევიათ მისთვის „გამარჯვება!"...

მეორე დღეს გამარჯვების დღისადმი მიძღვნილ სამხედრო პარადზე ყველანი მედლით მკერდდამშვენებულები გავედით.

— რამდენიმე წუთის შემდეგ გაიმართება საღღესაწაულო კონცერტი! — გამოაცხადა მიკროფონში ნაწილის თვითმოქმედი კოლექტივის სამხატვრო ხელმძღვანელმა ანატოლი პოპოვმა.

ფარდა დაუშვეს. ვლადიმერ ბობკოვი თანდათან მოდიოდა გონს, ჯერ კიდევ ბურუსში იყო, გვერდითი კარიდან ეზოში გავედით. ნატალია ვასილიევნას, ირასა და ვადიმის ტყვეობაში მოვხვდით მაშინვე. მალახოვს ლიდა და ლუსია მოეძებნა და ისინიც ჩვენკენ მოდიოდნენ. მათაც მიულოცეს მამა-შვილს

დღევანდელი დღე. მალე ჩვენს ირგვლივ დიდი წრე შეიკრა. ყველას აინტერესებდა მამა-შვილის ახლოდან დანახვა, თავს ბედნიერად ვგრძნობდი. მარტო ამისთვის ღირდა სიცოცხლე. სულ იმას ვფიქრობდი, ოც ნოემბერს რომ წამოვსულიყავი ათი რიცხვის ნაცვლად, ბობკოვების შეხვედრა მოხდებოდა თუ არა. ყველაფერი როგორ თავისით ლაგდება. თვალდახუჭულმაც რომ იარო, ბედი მაინც იქ მიგიყვანს, სადაც ჯერ არს. ოც. ნოემბერს წასული ყოფილა ვლადიმერ პარამონის ძე კომისარიატიდან, რომ შემთხვევა არა, მამა-შვილი ალბათ საერთოდ ვერ ნახავდა ერთმანეთს.

მეორე დღეს, სიხარული გულში რომ ვერ დავიტიე, ქუთაისში შინაურებს მივწერე. დიდ სიხარულს თუ ვინმეს უნაწილებ, უფრო მოსვენებულად გრძნობ თავს. ერთი კვირის შემდეგ ახალი ამბით გავიხარე, როცა უფროსმა ლეიტენანტმა ვლადიმერ ბობკოვმა, ჩვენი ნაწილის უფროსს, პოლკოვნიკ ლაზარევს უპატაკა:

— ამხანაგო პოლკოვნიკო, უფროსი ლეიტენანტი ბობკოვი გამოცხადდა შემდგომი სამსახურის გასაგრძელებლად.

მოგვიანებით გავიგე, პოლიტნაწილის უფროსს, კულიკოვს, ორი თვის წინ, როცა ეს ამბავი შეუტყვია, შუამდგომლობა გაუგზავნია არმიის შტაბში. კულიკოვის თხოვნა დააკმაყოფილეს და უმცროსი ბობკოვი ჩვენს ნაწილში გამოგზავნეს.

34

მაისის ბოლოს დემობილიზაციამ „ჩემოდნები ჩამოარიგა". კურორჩკა როსტოვს დაუბრუნდა, ბიცურა — დნეპროპეტროვსკს, პოდრები — ხმელნიცკს, ლვოველი დვორნიკი პირდაპირ ნაწილიდან გაემგზავრა ციმბირში, კომკავშირულ მშენებლობაზე. მანამდე მშობლებს წერილი მისწერა, არ იდარდოთო აიღო ჩემოდანი, გადაიკიდა გარმონი და გაუტია ამურის ნაპირებისკენ.

კურორჩკამ ფოსტალიონობა და თავისი ჩანთა მე გადმომაბარა. იმ დღიდან ჩემს წასვლა-მოსვლასაც ისე დაუწყეს თვალთვალი, როგორც კურორჩკას ნაბიჯებს ითვლიდნენ.

ივნისის დამდეგს ქდეპეშა მივუტანე მალახოვს.

„ოცდახუთში უმანში ვიქნები. გუტია“.

— აქ იქნება, გესმის?! — კისერზე ჩამომეკიდა მალახოვი.

— რამ აგაცერცეტა ასე, — ვაწყნარებდი ოლეგს.

ზაფხულის პირველი თვე წვიმებით მოვიდა.

— მზე ალბათ შვებულებაშია! — ამბობდა იშმურატოვი.

თვის ბოლოს ისე გამოაცხუნა, მართლა ახალ დასვენებულს ჰგავდა.

— როგორ ფიქრობ, ოლეგ, გუტია მატარებლით მოდის თუ?.. — ვკითხე მალახოვს.

— თვითმფრინავით! ოცდახუთში ათ საათზე გამოფრინდება, თორმეტ საათზე ბორისპოლის აეროპორტში იქნება, კიევიდან ორფრთიანი თვითმფრინავით ორმოცდახუთ წუთში უმანში ჩაფრინდება.

— მატარებლით რომ ჩამოვიდეს?

— ის „მოფრინდება“ ჩემთან, გესმის!

— რამდენ ხანს დარჩება?

— ალბათ ორი-სამი დღე.

— ორი-სამი დღე ცოტაა.

— რა თქმა უნდა. ხანდახან ვფიქრობდი, ერთი თვალი შემავლებინა, მეტი არაფერი მინდა-თქო. ახლა ვიცი, განშორება უფრო გაგვიჭირდება.

ორი დღის შემდეგ მალახოვი ნაწილში ოცდაორ საათზე დაბრუნდა. დავწექით დასაძინებლად. მალახოვს არ ეძინებოდა, არც მე მომცა ძილის საშუალება.

— სამ საათზე ჩამოვიდა, — ჩურჩულით დაიწყო, — ძლივს ეიცანი, მე რომ ველოდი, არც ის ვარცხნილობა აქვს, აღარც ის ჩაცმულობა. ორფრთიან, პატარა თვითმფრინავს რვა მგზავრი ჩამოჰყვა. თეთრთმიან, ტუჩებგაპუწკულ გოგოს ველი ჩემი ანგარიშით. სადაა მერე. ბიჭურად თმაშეკრეჭილი, ლურჯთვალება, შარვლიანი ქალიშვილ ამესვეტა, მყურებს უტეხად და მიცინის. გავბრაზდი კიდეც, თვალსა და ხელსშუა დავკარგე გუტია და ეს კიდევ ვინ ოხერია-მეთქი, ვიფიქრე, კისერი წავიგრძელე და თვითმფრინავის ცარიელ ფუზელაჟს მივაშტერდი.

— ვინმეს ხომ არ ელოდებით, ახალგაზრდა?! — მეკითხება ის შარვლიანი თავხედი გუტიას ხმით და სანამ რაიმეს თქმას მოვახერხებდი, კისერზე ჩამომეკიდა. ჩემოდნიანი მაღალი ბიჭი დაგედგომოდა შუბლშეჭმუხნილი და ჩვენს ხეევნა-კოცნას უთვალთვალებდა.

— აი თურმე როგორი ყოფილხარ, — უკვე მერამდენედ გავიმეორე ამოჩემებული ფრაზა.

— ასეთი, როგორიცა ვარ, — კისკისებდა გუტია.

ცოტა ხნის შემდეგ, ის, კითხვის ნიშანივით მოხრილი, წაინტელიგენტო ჩემოდნიანი გამოიკვეთა, თვალსაც არ ახამხამებდა, ისე მოგვშტერებოდა. იმ ბიჭის ჯინაზე გუტია ისევ ჩამეკონა. გვერდზე რომ მოვიხედეთ, აეროპორტის სალაროებისკენ მიდიოდა, ჩემოდანი ჩვენს ფეხებთან დაეტოვებია და...

— შენია? — ვანიშნე ჩემოდანზე.

— ჩემია!

— ის ვინღაა?

— არ ვიცი! — მხრები აიჩეჩა გუტიამ და გაღაიკისკისა.

— როგორ, შენი ჩემოდნით მოგაცილებდა და არ იცნობ?

— ბორისპოლის აეროპორტში ამეტორღიალა. ბილეთი რომ შევიძინე, მეც უმანში მოედივარო, მითხრა. მის მერე ეგ ჩემოდანი ხელიდან არ გაუშვია. თვითმფრინავში მთელი ერთი „გაკვეთილი“ თავის თავზე მელაპარაკებოდა. პედაგოგიურ ინსტიტუტში ქიმია-ბიოლოგიური დავამთავრეო. მინიმუმიც ჩავაბარე და რომელღაც პროფესორთან ერთად ქათმის ახალი ჯიშის გამოყვანაზე ვმუშაობო. ორი წლის შემდეგ ჩვენი ქათმები დღე-ღამეში ორ-ორ კვერცხს დადებენ და გოგლი-მოგლი ბევრი გვექნებო. ამ ბოლოს კიდევ ერთ თემაზე გაუმახვილებია ყურადღება, ბავშვობიდან არ ასვენებდა თურმე ეს საკითხი: „რატომ არ შარდავენ ქათმები და სხვა დანარჩენი ფრინველები“... აქ შეწყდა ჩვენი საუბარი, შენ შევიშალე ხელი, თორემ სახეზე ეტყობოდა, სკინტლის საკითხშიც საკმაოდ გათვითცნობიერებული იყო ჩემი საჰაერო კავალერი.

ჩემოდანს ხელი დავავლე, სახელური ახლაც ცხელი იყო, შენობის წინ რომ ჩავიარე, ის ბიოლოგი შესასვლელში იჯდა სკამზე და ისე უყურებდა თვითმფრინავს, თითქოს ქათამსა და

თვითმფრინავს შორისაც ბევრი საერთო აღმოაჩინა, მხოლოდ ესაა, თვითმფრინავი კვერცხს არ დებს და რაც არ უნდა ახალი სახეობა გამოიგონონ, მაინც ვერ დადებს. „მეცნიერებაში პრობლემებს რა გამოლევს“, — ეწერა ასპირანტის ნაოჭიან შუბლს.

სასტუმროში დავაბინავე. კაპიტანი პადლიპინსკი თანახმაა, ხვალაც მიშვებს და ზეგაც დილიდან საღამომდე.

— ხვალ მეც ვიქნები ქალაქში.

— პარკში შევხვდებით ერთმანეთს. გოგონები წამოიყვანე, გუტიას გავაცნოთ.

— ახლა დაიძინე, საცაა გათენდება!

— ნეტა თუ მოეწონებათ ჩემი გუტია?

მეორე დილით მე და მალახოვი ნაწილიდან ერთად წავედით. ოლეგი ქალაქის ცენტრში, სასტუმროში დარჩა. მე საერთო საცხოვრებლისკენ გავაგრძელე გზა. იქ კომენდანტის გარდა არავინ დამხვდა. მუსიკალური სასწავლებლის სტუდენტები საბავშვო ბაღებს გააყოლეს კურორტებზეო.

კუროჩკას მიერ დატოვებულ ჩანთაში ფოტოაპარატი მედო. შუადღეზე გაზეთები და წერილები უნდა წამეღო ნაწილში. დილით სულ სხვანაირი მომეჩვენა სოფიეკა, ჩიტების ჭიკჭიკი, ხეების შრიალი, ჩანჩქერების ხმაური და ტბის ლიელივი, ქვედა ტბის შუაგულში თექვსმეტ მეტრზე ასხამდა შადრევანი, მზის სხივები სხვადასხვა ფერად ბრჭყვიალებდნენ მაღლა ატყორცნილ წყლის ფონზე და დედის უკითხავად გამოპარული ბავშვებივით ჭყუმპალაობდნენ შადრევნის ცივ, გამჭვირვალე წყალში. მთელი პარკი შემოვიარე, აქა-იქ სურათებიც გადავიღე. დიდი ჩანჩქერი, სადაც მობანავე ვენერა ძლივს მოჩანდა, რამდენიმე კუთხიდან აღებეჭდე ფირზე. პოტოცკის გამოქვაბულთან მალახოვი შევნიშნე, მაგრამ გუტიას კი არ მოჰყვებოდა,სხვა გოგონას მოაცილებდა. თანამგზავრს თეთრი თმა ჰქონდა, მაღალი ვარცხნილობა. ორი სურათი ქურდულად გადავიღე. „გუტია იქნება, აბა სად გადაცვლიდა ასე მალე.თმის ფერი და ვარცხნილობა ჩვენს საუკუნეში ქალებს აღარ უჭირთ“, — დავასკვენი ბოლოს.

— შენ აქ ჩამოჯექი, მე ახლავე... — გავიგონე მალახოვის ხმა.

ოლეგი გასასვლელისკენ გაემართა, ქალიშვილი სკამზე ჩამოჯდა. მე ნელ-ნელა მივუახლოვდი და იმავე მერხზე ჩამოვჯექი, რომელზეც გუტია იჯდა.

— ლამაზია აქაურობა, არა? — ვკითხე გუტიას და უფრო ახლოს მივიწიე.

— ძალიან ლამაზი, — თქვა გუტიამ და ისე შემომხედა, მაგრძნობინა, მეტი აღარ მოიწიო თუ არა, ავდგები და წავალო.

— აი, ამოდენა ლოდებში, ერთი დიდი ქვა აგდია კაცის ხელით გამოთლილი, კვერცხის ფორმა აქვს თუ დაუკვირდები. ბუნებისა და ხელოვნების კონტრასტის საჩვენებლად. ეს რომ ნამდვილი კვერცხი იყოს, ის აჯობებდა.

გუტიამ გაიცინა.

— მე აქ ერთი მეგობარი მყავს, პროფესიით ბიოლოგია, მინიმუმიც აქვს ჩაბარებული და ქათმისა და კვერცხის პრობლემებზე მუშაობს. მარწმუნებს, ჩვენი გამოყვანილი ქათამი დღე-ღამეში ოთხ კვერცხს დადებს, სადღესასწაულო დღეებში შეიძლება ექვსიც დავადებინოთო.

— პროგრესია! — სიცილით თქვა გუტიამ.

— რა ბრძანეთ? — დავეკითხე ვითომდა გაკვირვებული.

— არაფერი, მგონი, ვიცნობ თქვენს მეგობარს, გუშინ ორი კვერცხის გარანტიას იძლეოდა, დღეს...

— სხვებთან ნაკლებს ლაპარაკობს, თავმდაბალია. გუშინ ვილაც შარვლიანი გოგონა გაუცვნია, ერთად ჩამოვფრინდითო, მითხრა. გადაუწყვეტია, ცოლად უნდა შევირთოო, რამდენი სულელი ჰყავს ამ ქვეყანას, გუშინ უნახავს პირველად და უკვე უყვარს. „ამ საქმეს რომ მოვაგვარებ, მერე უფრო მუყაითად მიეხედავ კვერცხებსო“.

გუტია სიცილით კინაღამ გაიგუდა.

დრო შევარჩიე, „სურათს გადაგიღებ-მეთქი“, ვთქვი და ლოდებს შუა ადგილის ძებნა დავიწყე.

მალახოვი სოფიევკის ბუკლეტით დაბრუნდა უკან. სანამ სურათებს ვიღებდი, გუტია რაღაცეებს უყვებოდა ოლეგს. ოლეგიც აჰყვა სიცილში,

ორთავემ ირგვლივ მიმოიხედა, ქვის კვერცხზე ჩამომჯდარი რომ დამინახეს, კინაღამ თავის სკამიანად გადაბრუნდნენ. კიდევ ერთი სურათი გადავუღე და მივუახლოვდი.

— გაიცანით, ჩემი მეგობარი ოლეგ მალახოვი, ეს კი ახალგაზრდა მასწავლებელია მოსკოვიდან, გუტიას ეძახიან, ზედმეტად „წითელი მელანი“. ადექით ახლა და წავიდეთ „სიყვარულის კუნძულზე“, თქვენი აქ გაჩერება საცოდაობაა.

— ლევან ვოგიაშვილი ქუთაისიდან, — წარმადგინა გუტიამ მალახოვთან.

სამივე კუნძულისკენ წავედით.

— თქვენს შესახებ ოლეგი მწერდა, ქართველი მეგობარი მყავსო, მაგრამ მაინც სულ სხვანაირად მყავდით წარმოდგენილი.

— დიახ, ჩვენ დიდი მეგობრობა გვაქვს, ორი ფუთი მარილი უკვე შემოგვეჭამა და მესამეზე ვართ გადასული.

— არც ნამეტანი ვარგა, — გაიცინა გუტიამ.

სიყვარულის კუნძულზე უფრო ლამაზი დილა დაგვხვდა. ტბის ირგვლივ ჩარიგებულ ტირიფებს ნიავი ეღლაბუცებოდა და ხის ჩამოსრილი ტოტები მოლურჯო ტალღებში თითქოს რაღაცის დაწერას თუ დახატვას ლამობდნენ.

ოლეგი და გუტია „შეყვარებულ“ ხეებქვეშ ხის სკამზე დავსვი და სურათი ისე გადავუღე, რომ ჩახვეულ ქალ-ვაჟს უკან ერთმანეთზე გადაგრეხილი ხეები მოსჩანდა.

— ამ სურათს, თუ რამე გამოვიდა, მხატვრული ფოტოს კონკურსზე გავაგზავნი, ისე კარგად ხართ აწყობილი, თუმცა, ის შავი გედია მოწადინებული გააფუჭოს ყველაფერი. — ოლეგმა და გუტიამ უკან მოიხედეს. მოშორებით წყალში თეთრი გედები, ალფა და ბეტას მაგვარი მოხრილი, გრძელი კისრებით სიყვარულის ფორმულის გამოყვანას ცდილობდნენ, მათკენ შავი გედი მიცურავდა, მესამე, მესამე ყოველთვის ზედმეტია. ბუნებას თავისი მსტოვრები ჰყავს. ალფას და ბეტას ქორწილში მიიჩქაროდა ომეგა. იქვე ჯოხის ნატეხი ავიღე და შავ გედს ვესროლე. ფოტოაპარატი პორტფელში შევინახე, გამოვემშვიდობე „სიყვარულის კუნძულს“ თავის ხიზნებთან ერთად და უკან გამოვბრუნდი. ასეა ეს ცხოვრება.

პოტოცკის გაშენებულ კუნძულზე ახლა მალახოვი ჩახვეოდა თავის გულისსწორს. მეც მესამე ვიყავი, და კიდევ კარგი, დროზე რომ მიეხვდი და წამოვედი, არც ფოტოაპარატიანი „ომეგაა“ ადვილი ასატანი.

იმ საღამოს არ მომცა ძილის საშუალება ოლეგმა.

— გუტიას მოეწონე, — მითხრა ჩურჩულით, — ულვაშებით და ქილებიანი გიმნასტურით ჰყავდი თურმე წარმოდგენილი. ფოტოაპარატით რომ დაგინახა ქვის კვერცხზე, კინაღამ გაიგუდა. ასეთი კაცის გვერდით თუ გძინავს, არ მოიწყენო. მართალია, გოგოლი რომ ამბობდაო: „მხოლოდ ძალზედ კეთილ სულს შეუძლია, ნათელი, კეთილი სიცილიო“.

— ლიტერატორები კომპლიმენტებსაც ციტატებით ამბობენ, — გამეღიმა.

— შენ თუ მოგეწონა ჩემი გუტია?

— კარგი გოგოა, სიცოცხლით სავსე, მხიარული, ლაპარაკზე ეტყობა, საქმიანიც იქნება და...

— სწორი ხარ...

— თქმაც მიჭირს და უთქმელობაც...

— თქვი, თქვი, — წამაქეზა მალახოვმა.

— სწორედ მასეთებმა იციან, ჩემო ოლეგ, ჯერ დაგიყვავებენ, მერე თეთრეულსა და ჭურჭლეულობას-შენს იმედზე დატოვებენ. თუ სიმართლე გინდა, არც ის მომეწონა, ორი თავით რომ ჩამოვიდა შენთან. ხან შელიაევის ცოლს ჰგავს და ხან ლაზარევის ქალიშვილს. ერთ დღეს იქნება, ვიღაცაში შეგეცვლება და სხვის ცოლს წაეპოტინები.

— შენსას კაცი ვერ გაიგებს, როდის ხუმრობ და როდის... — ნაძალადევად ჩაიცინა მალახოვმა, — ისე, დღეს კარი რომ გამიღო, სასტუმროს თანამშრომელი მეგონა უცებ.

— აი, ხომ ხედავ, ვერც დღეს გიცვნია.

— თავი დაანებე ქირქილს.

შევატყვე, იმ მარილზე უფრო, წერილის კითხვისას რომ ვაპირებდი, ჩემი ახლანდელი სიტყვები ემწუთხა.

— გეხუმრები, ბიჭო! გუტია დიდებული გოგოა.

— პირველი ხელფასით თოთო ბავშვის თეორეული უყიდია, ნელ-ნელა ვემზადებიო, მითხრა.

— თადარიგიანი ქალი დიდ რამეს ნიშნავს ოჯახში, — გავიმეორე ბებუაჩემისგან განაგონი სიტყვები და ოცნების ტაძარში შესახლებულ მალახოვს ძილის ლაბირინთებში გავეპარე.

35

ჭიშკართან მორიგეობა იშვიათად მიწევდა, მაგრამ როცა მიწევდა, ვიცოდი, ჩვენს ნაწილში ვინ მოდიოდა, ვინ მიდიოდა. ვიჯექი პატარა ოთახში, სადაც ტელეფონისა და საწერი მაგიდის გარდა არაფერი იყო, თუ ვინმე გარეშე მოვიდოდა, ნაწილის მორიგეს შევატყობინებდი ელექტროზარის საშუალებით. ადვილი სამსახურია, მაგრამ ყურადღებას მოითხოვდა მაინც.

კარგი ამინდი იდგა და სკამი გარეთ გავიტანე. წიგნს ვკითხულობდი.

ორი ავტობუსი მოადგა ჩვენს ჭიშკარს, თავხოტორა ბიჭებით იყო სავსე, მაიორი ფირსოვი მოჰყვა ახალგაზრდებს.

— შიგ არ შეუშვაო — გამაფრთხილა და მორიგეს ორი ავტობუსი გამოთხოვა, რადგან ის ორი მანქანა, რომლითაც მოვიდნენ, უკანვე გაბრუნდა.

სანამ მანქანები მოვიდოდა, ბიჭებს გავესაუბრე. ახლა მე ვიყავი მასპინძლის როლში. სადაურობა ვიკითხე, — საიდან არ ჩამოსულიყვნენ. ურალიდან, ბარნაულიდან, კალინინგრადიდან, მთიანი ალტაის მხრიდან...

— როგორაა სამსახურის საქმე? — მკითხა შავგვრემანმა ბიჭმა.

— კარგად, ვხტუნავთ ხანდახან, — ცაში ავიხედე.

— არაფერია, ჩვენც ვიხტუნავებთ.

ღილაკს თითი დავაჭირე, ავტობუსებს ჭიშკარი გავუღე. ბიჭები აბანოში წაიყვანეს, ვიდექი სამორიგეო ოთახში და გავყურებდი ჩვენი ნაწილისკენ მომავალ გზას, ქვეყნის ყველა კუთხიდან ჩამოსულები, ერთად შეგროვილან და ამ გზით

შემოვლენ ჩვენს ნაწილში, იმსახურებენ და ისევ გაელიან ამ ჭიშკრიდან ჩემოდნებით. ამ გზით წავლენ. სასწაულია, მაგრამ ამ პატარა გზის მონაკვეთმა ყველას სახლი იცის, როგორ იცის? როგორ — რა ვიცი, ასე კია. ამდენი რომ იცის, მიტომ ჰქვია ალბათ გზა. გზა რომ არ იყოს, გაგვიჭირდებოდა ადამიანებს. გუტია ვერ ჩამოაკითხავდა ოლეგს, მამა-შვილი ბობკოვები ვერ შეხვდებოდნენ ერთმანეთს, კუროჩკა ვერ დაბრუნდებოდა სახლში. ცუდი გზა და კარგი გზა არ არსებობს, თუ კი გსურს მოხვდე მთის სოფელში, ოღროჩოღრო ხვეულებსაც კარგი გზა ჰქვია, რადგან თავის დანიშნულებას ამართლებს და სწორედ იქ მიგიყვანს, სადაც მიდიოდი. გზა ცოცხალი კაცივითაა, გზამ ყველას სახლი იცის, გზას ბოლომდე უნდა მიჰყვე, გზით ცხოვრებას გაიკვლევ, გზად ყველგან კარგი უნდა ჰქმნა. გზავ, საწყისიც ხარ და დასასრულიც! გზაო, შენი მეკვლე ვარ და ვიქნები. გზების ნაწილი ერთმანეთის გვერდით არიან, ერთმანეთთან კი არავითარი კავშირი არა აქვთ, ერთმანეთის არაფერი ესმით. ისინი არასოდეს გადაკვეთენ ერთმანეთს. ხიდები გვაკლია ამ გზების შესარიგებლად, რომ მთელი დედამიწის ცოცხალი არტერიები დავაკავშიროთ.

36

საახალწლოდ კლუბის წინ დიდი ნაძვის ხე გავაწყვეთ. თოვლის ბაბუა დავდგით, დიდი ხურჯინითა და პარაშუტით, დიმჩუკს რადიოკვანძის ოთახამდე შენიღბული ხაზით ხმამაღლა მოლაპარაკე ჩაერთო და ჩახურჯინებულ-ჩაპარაშუტებული თოვლის ბაბუა მოდურ სიმღერებს მღეროდა.

დილით ფოსტა მოვიტანე. „წითელი მელანი“ რაღაც სქელ კონვერტს უგზავნიდა მალახოვს. ოლეგი საგუშაგოზე იყო და გუნება ჰქონდა გაფუჭებული, როცა ჩვენთან საახალწლო კარნავალი დაიწყებოდა, ავტომატმომარჯვებული მალახოვი დალუქული საწყობების წინ უნდა მდგარიყო. საყარაულო ოთახში გუტიას ბარათი რომ მივუტანე, გაფრინდა სიხარულით. წერილთან ერთად სურათებიც გამოეგზავნა გუტიას.

ნატაშას დაბადების დღეზე ვიყავითო, იწერებოდა. მალახოეს ორი კოვზი მარილით შევუკმაზე ეს სიხარული, წარბიც არ შეუხრია, „შენ სურათები დაათვალიერეო“ — გამომიწოდა. ოთხი გოგონა და სამი ვაჟი იყო ყველა სურათზე. დაწყვილებული გოგო-ბიჭების გვერდით გუტია ცალად იდგა. ნეტა ვინ იღებდა ამ სურათებს? თუ დედა იღებდა ნატაშასი, არაფერი უჭირს, მაგრამ ვაი თუ?.. მალახოეს ყურადღებაც არ მიუქცევია. მე ვფიქრობდი მის მაგიერ. კიდეე კარგი, არაფერი წამომცდენია. ბოლო ხანებში გვიან-გვიან უგზავნიდა წერილებს და მოლუშული მალახოეის დანახვას ვერ ვიტანდი. ხშირად ვამხნევებდი:

— წელს უფროსკლასელებს ასწავლის, საკონტროლო წერებიც იშვიათადაა...

მიიღებდა წერილს და ხელად გამოიცვლებოდა. საპასუხო წერილში საყვედურის თქმაც ავიწყდებოდა.

დილით მუსიკალური სასწავლებლის გოგონები გვესტუმრნენ. ლიდა და ლუსია ფიფქიებივით, თეთრი კაბებით გამომეცხადნენ, ჩურჩხელები ჩამოვურიგე გოგონებს.

— შო ცე ტაკი? — უკრაინულად მეკითხება ლუსია.

— ჩურჩხელებია!

— რა არის ჩურჩხელა?

— ჩურჩხელა ჩურჩხელაა.

— კი მაგრამ, ეს ჯოხები იჭმება თუ სხვა რამისთვის გამოდგება?

— იჭმება.

— ხეზე იზრდება თუ ბოსტანში?

— ხეზე, შეგიძლიათ მიირთვათ.

ლიდამ ჩურჩხელა გატეხა. — ჩემი ძაფიანიაო, — თქვა და გაკვირვებული მომაჩერდა.

— ხდება ხოლმე, ზოგი ძაფიანი გამოდის, ლუსია, შენი როგორია?

— ჩემიც ძაფიანია.

— ხანდახან ძაფიანსაც ვჭამთ, — გამოვართვი ჩურჩხელები და ვაჩვენე როგორ იჭმება, ცოტა ხანს მადროვეს, რომ არაფერი მომსელია, ხვეწნა დამიწყეს, ჩვენც გაგვასინჯეო.

სულ მალე ჩურჩხელებისხელა ძაფები შერჩათ ხელში.

— ძაფი არცერთს არ გყვარებიათ.

— ძაფი არა, ეს დიდებული ყოფილა, ამის ხის ნერგი თუ ივარგებს ნეტა ჩვენთან? — კითხულობს ლიდა.

— ყინვას ვერ უძლებს, თუ არა...

რიტმული მუსიკა აჰყვა ფერადი ნათურების ციმციმს. მუსიკას ჩვენც ავყევით ცეკვით და დატრიალდა დარბაზი. მე და ლუსია ეცეკვავდით.ლიდა ერთ ხანს უხერხულად იდგა, შერე ლეიტენანტმა კაპლუნმა გაიწვია საცეკვაოდ. ამის მერე კაპლუნი ლიდას აღარ მოსცილებია. ლეიტენანტი ჩვენს ნაწილში სასწავლებლიდან მოვიდა, სამი წლით იყო ჩვენზე უფროსი და მოსვლისთანავე დავუახლოვდით ერთმანეთს. მათთან მივედი, ჯიბიდან კენჭები ამოვიღე და ლეიტენანტს გავუნაწილე, უნებურად გამომიშვირა ხელი. შეინახე-მეთქი. გოგონებმა გადაიკისკისეს. კაპლუნი დაბნეული მომჩერებოდა და არ იცოდა სად წაეღო კენჭები. ყურში წავჩურჩულე: — ეს გოგონები ერთად ცხოვრობენ,საერთო საცხოვრებელში, მეორე სართულზე ამათი ფანჯარა, პარკის მხრიდან მესამეა წინიდან კომენდანტი არ გვიშვებს და ამათი გამოძახება მორზეს ანბანით მიწევს.

— გასაგებია, — თქვა კაპლუნმა და კენჭები ჯიბეში ჩაიყარა.

ერთი კვირის შემდეგ კაპლუნს შეყვარებულმა ჩამოაკითხა ტომსკიდან, უკან გასაბრუნებლად ვეღარ გაიმეტა და ერთოთახიანი მარტოხელა კაცის საცხოვრებელი სამოთხედ გადააკეთა.

მეორე დღეს მე მომიწია საგუშაგოზე დგომამ. მალახოვი მუსიკალურ სასწავლებელში წავიდა მიწვევაზე. ყველაფერს მოიყვა; კარგი დრო გავატარეთ, მე და ლიდა მთელი საღამო გუტიაზე ესაუბრობდით. ლიდას მსგავსები ცოტანი თუ იქნებიან ამ ქვეყნადი.

შინ წერილი აღარ გამიგზავნია. ისე მინდოდა მივდგომოდი შინაურებს, გაუფრთხილებლად. რაც უფრო მეტია სიხარული, მით უფრო მსუბუქად მიგაქვს თურმე. ბორისპოლიში მომწია ცდამ, თუ არა, საათნახევარში კოპიტნარის აეროპორტში ვიყავი.

— ლევან! ლევან! — მეძახის ვიღაც მანქანიდან. —

მანქანისკენ წავედი, ძლივს ვიცანი ჩემი ტოლა ბიჭი, ადრე ფეხბურთს ვვარჯიშობდით ერთად.

— დაჯექი, წაგიყვან, მამაჩემს ველოდები, ამ თვითმფრინავს უნდა ჩამოჰყვეს.

— დაველოდოთ, რამაზ! — გავიხსენე სახელიც.

— მსახურობ, ესე იგი.

— ვმსახურობ!

— სულ ჩამოდი თუ შვებულებით, ამხანაგო ჯარისკაცო?

— შვებულებით, — ცივად ვუპასუხე, რადგან შევატყვე, დამცინავად გადმომხედა.

— ძნელია ხომ?!

— შენ რატომ არ გაგიწვიეს? — უპასუხოდ დავტოვე მისი კითხვა.

— მამაჩემმა გააჩალიჩა საბუთები, რაღაც ისეთი ჩაუწერიათ სამხედრო ბილეთში, აღარც სამსახურში მიმიღეს, აღარც მართვის უფლებას მაძლევენ, არა და, სამი წელი რა გაძლებდა ჯარში, სამი წელი ტყუილად უნდა დაკარგულიყო.

— ესე იგი დანელია, მახარაძე, ბერაია, მურმან გეწაძე... ტყუილად წასულან?!.

— რა თქმა უნდა, რაში გარგიათ, თუ რამეს გიკეთებთ კი, მაგრამ...

— ჩვენ გვარგია კი არა, ქვეყანას ვარგივართ...

— დამიწყე შენც, სადაც მასეთებს წერენ, გაზეთს არ ვშლი იმ ადგილზე.

— ჰოო?

— ტყუილია და მიტომ. შარშან ბიჭვინთაში ვისვენებდი, წელს გაგრაში, გაისად ყირიმში წავალ, კაი სმა-ჭამა და კაი ნაშები, ჯარში დაგიხატავენ.

— აწი მაინც რას აპირებ?

— ჯერ პრავა მინდა ავიღო, მერე...

— არ გაძლევენ?

— ხომ გითხარი, მაყუთითაც ვერ გავაკეთეთ. „იმ ბილეთს „უ შევცვლით, გაგიკეთებთ, თუ არა და რა გიყოთო". შეცვლი და ჯარში გიკრავენ თავს. დავიცდი ცოტას, ან კანონი შეიცვლება ან კაცი. დღეს კაცი თუ გყავს, კანონსაც მოევლება.

— ჯარში არ მიჰყავთ: უხელო, უფეხო, ბრმა, ყრუ და ქვეშეფსია, თუ ასეთი არაფერი გაწუხებს, ჩემი აზრით, სირცხვილიცაა, სახლში იჯდე... — ვუთხარი ეს, მანქანიდან გადმოვედი და კარი მივუჯახუნე.

ლევანი ჩამოსულაო და მთელმა მეზობლებმა მიმაცილეს სახლამდე. იმ დღეს ჩვენს ჭერქვეშ სიხარული იჯდა თამადად, ქალაქი შეცვლილი მეჩვენა, გაზრდილიც, გალამაზებულიც, ყველაფერს ისე ვათვალიერებდი, თითქოს პირველად ვხედავდი. ბაღის კიდეზე ძველებურად დასეირნობდნენ.

ათდღიანი შვებულება ისე მალე შემომადნა, არაფერი გამიგია. ახლობლების მიკითხვ-მოკითხვა დამთავრებული არ მქონდა, დამშვიდობება რომ დავიწყე. იმდენი გამცილებელი მყავდა, ასეულს შეადგენდა კაცი. კიევამდე მატარებლით გავემგზავრე. ვიჯექი ფანჯარასთან და თვალს ვადევნებდი თვალუწვდენელ სივრცეებს. ვაგონში სითბო იყო. გარეთ ცივი ქარი აწვალებდა ხის ტოტებს. მატარებლის ბორბლები თავქუდმოგლეჯილი მისდევდნენ ელმავალს და თანდათან მაახლოებდნენ იმ პატარა გზის მონაკვეთს, ჩემი ნაწილის ჭიშკრამდე რომ მიდის.

თებერვალში ნაწილის სპორტის ინსტრუქტორმა, კაპიტანმა ლებედევმა ათკილომეტრიანი გადარბენა მოაწყო თხილამურებით. რა დასამალია და, თხილამურები პირველად მოვირგე.

— ამხანაგო კაპიტანო! — მივმართე ლებედევს, — დროში თუ ვერ ჩავეტიე, რა მეშველება?

— მაშინ ათკილომეტრიანი კროსით შეგიცვლი, მშთ-ს ნორმატივი ხომ უნდა ჩააბარო?!

— კიდევ კარგი, გამოსავალი მაინც ყოფილა, ისე, თხილამურებიც მინდა ვცადო.

კაპიტანმა რაღაც საცხი მომცა: თხილამურებს გაუსვი, მანამ სტარტზე გახვალო.

ბერაია მოსრიალდა სტარტის ხაზთან.

— ლევან, რა არი, რომ უსობ?!

— რაღაც საცხი მომცა კაპიტანმა.

— საცხი რად ვარგა, ბიჭო, თხის ქონია კარგი, მამაჩემი სულ თხის ქონს ხმარობს.

— თქვენთან იცის თხილამურების თოვლი თუ?

— აბა არა? თეთრი თოვლი იცის ისეთი, რა არის ესო, იფიქრებ. თოვლიანში უყვარდა მამაჩემს კურდღელზე ნადირობა. მთელი დღე უსვამდა თხილამურებს თხის ქონს. ასეთი კი არ არის ის თხილამურები, ცოტა ფართოა და მოკლე, იმისთანა თხილამურებს მთელი განთიადი რომ დაიარო, ვერ ნახავ. მოამზადებდა თხილამურებს, იტყოდა, ხვალ უთენია მივდივარო. ავდგებოდი მეორე დღეს, თხილამურები წინკარში მხვდებოდა აყუდებული, თოფ-იარაღი — თავის ადგილზე, ძაღლი — მეზობლებისას, თანატოლებში, ვალიკო — წისქვილში. რატომ არ წასულხარ-მეთქი? — ვკითხავდი, „რასაა, რომ მეკითხები, — შემომიყვირებდა, — ვერ ხედავ? თოვლი გამდნარა და მიწაზე კურდღლის კვალს შენ გაიგებო“; ასე მუქთად წმენდდა თხილამურებს სულ. ერთხელაც არ გამოუყენებია. კურდღელზე ნადირობა ძალიან უყვარს ვალიკოს.

— ბერაია სტარტზე, — გაისმა ლებედევის ხმა.

— ამხანაგო კაპიტანო, თუ შეიძლება გოგიაშვილთან ერთად გამიშვი, ამხელა გზაზე რაღაცას დავილაპარაკებთ.

— არ შეიძლება!

— ლევან, ორ-სამ კილომეტრში დაგელოდები, მოხერხებულ ადგილზე, — ქართულად დამიბარა და თხილამურების ნაკვალევს გაჰყვა. თორმეტიოდე წუთის მერე მეც დავადექი სათხილამურო ტრასას. ხუთ კილომეტრზე უკან უნდა მოებრუნებულიყავით და ფინიში იქვე გაგვეკეთებინა, სადაც სტარტი ავიღეთ. თავიდან ოსტატურად წავხედე ჩემზე გამოცდილებს, არც დაიჯერებდა კაცი, თხილამურებზე პირველად რომ ვიდექი. მერე და მერე აღმართი დაიწყო და მშრალზე დარჩენილი თევზივით დავიწყე სუნთქვა. ჯერ ერთმა გადამასწრო, მერე — მეორემ, მესამემ და მთლად ბოლოში მოვექეცი. ხან დავისვენე, ხან გავაგრძელე გზა. ჯერ კილომეტრიც არ მქონდა გავლილი. მოძრაობას ველარ ვახერხებდი, უკან დაბრუნებისაც მრცხვენოდა, არადა, ყველა თვალს მიეფარა, ვიდექი შუა გზაზე ვენახში დასობილ საფრთხობელასავით. ეჟვნების წკრიალი შემომესმა უკნიდან. მოვიხედე. ჭრელი ცხენი მოდიოდა ჩორთით. მარხილში მოხუცი იჯდა, კაზაკივით გადაფურჩქვნილი ულვაშები ჰქონდა. სადავე მოზიდა, მომაჩერდა. ეტყობოდა გადაეხუხა.

— რაო, ჩვენებურო, ყველამ გადაგისწრო? — მეკითხება მხიარული ხმით, — დაჯექი, წაგიყვან! — შემომთავაზა მოხუცმა.

წავიძვრე თხილამურები და მარხილში მოვკალათდი.

— რამდენი ხანია მსახურობ?

— ნოემბრის მერე, მეორე წელი დაიწყო.

— რა ნაწილში ხარ?

— ასეთ რაღაცეებზე წესდება მიკრძალავს ლაპარაკს.

— თხილამურების ნაცვლად მარხილით რომ მისრიალებ, ამაზე რას ამბობს წესდება?

— თხილამურებზე და მარხილზე არაფერი წერია.

— ის ხომ წერია, ჯარისკაცი მართალი უნდა იყოს, კეთილსინდისიერად შეასრულოს...

— რა ვქნა, ჩვენთან არ იცის თხილამურების თოვლი.

— იმ თავში გამსვლელს არ გავხარ შენ. აგერ ვცხოვრობ ახლოში, წამოდი, ჩემს ხატას გაჩვენებ, სანამ შენები ამობრუნდებიან, წავისადილოთ კიდეც. შენოდენა ბიჭი მეც მყავს ჯარში გაგზავნილი, ანატოლი ჰქვია.

— თქვენი შვილი?!

— არა, შვილიშვილი. შვილსაც ტოლია ერქვა...

ცხენმა თავისით გადაუხვია მთავარი გზიდან. რამდენიმე სახლს ჩაუარა და ერთ ჭიშკართან გაჩერდა. პატრონს გადმოხედა, — ჭიშკარი გამიღეო. ცხენი თავის კანტურით გაემართა სადგომისკენ. სანამ მარხილიდან გამოხსნიდა, გავაზე მოუთათუნა ხელი.

— ეს ცხენი ჩემი მეგობარია, უსიტყვოდ ვუგებთ ერთმანეთს. „ბურია“ ჰქვია.

— თქვენ რა გქვიათ?

— მაქსიმე. სოფლელები ექვსთითა მაქსიმეს მეძახიან, მარჯვენა ფეხზე ექვსი თითი დამყვა დაბდებიდან. შემოდი, შემოდი! — კარი შეაღო და შემიძღვა.

— პრასკოვია, მიიღე სტუმარი და გაუმასპინძლდი!

ქალმა ქაფქირი ქვაბის თავზე ჩამოდო, სველი ხელები წინსაფარზე შეიმშრალა და ღიმილით შემოგვეგება.

— ჰო, იმას გეუბნებოდი, მარჯვენა ფეხზე ექვსი თითი მაქვს. ჩემს ახალგაზრდობაში გაუნათლებელი იყო ხალხი. რევოლუციის შემდეგ ჩვენთანაც გამოჩნდა ერთი — სერაფიმ აქსელროდი. წერა-კითხვას და ანგარიშს გვასწავლიდა. ერთ დღეს მკითხა. რამდენი იქნება ცამეტს რომ შვიდი მივუმატოთო. ჯერ თვრამეტი ვუთხარი, მერე — ცხრამეტი, ორივე დამიწუნა და ოცდაერთი შევთავაზე. — „კარგად დაუფიქრდი რამდენი თითი გაქვს ფეხებზე და ხელებზე ერთადო“ — ოცდაერთი რომ გავიმეორე, თვალები დაკაკლა აქსელროდმა. სიმ გითხარი, დაუფიქრდი-მეთქი, მეხვეწებოდა, თანაც ის გაუკვირდა, როგორ არ იცის, რამდენი თითი აქვსო, — რად უნდა ფიქრი, თუ გაინტერესებს, გაჩვენებ-მეთქი. — ფეხსაცმელი გავიხადე და სკამზე ჩამოვდე ფეხი. ახლა მე შემეცოდა ჩვენი მასწავლებელი, ისე დაბნეული უყურებდა ბუნებრივ წუნს და ექვსი თითიდან ვერაფრით ვერ გაერჩია, რომელი იყო ზედმეტი.

ამ დღის მერე ექვსთითა მაქსიმეს მეძახის მთელი სოფელი. ეს ზედმეტსახელი იწყინა ღმერთმა და ორმოცდასამში, მარცხენა ხელზე, ორი თითი დამაკლდა, შუათითი ნახევრად, არათითი სულ არ შემრჩენია, სამთითა ხელი გაშალა მოხუცმა.

— როგორ მოხდა?!

— შენი სახელი? — მკითხა მაქსიმემ.

— ლევანი!

— ჯერ ვისადილოთ, ლევან, დედაკაცო, მოგვხედე აქეთ! — ეასძახა პრასკოვიას. მაგიდა ხელად გაიკეთა: წვნიანიც იყო აქ, სახლში დამზადებული უკრაინული ძეხვიც, შაშხი და თბილი რძე. ნაწილის სასადილოში გემრიელ კერძებს გვიკეთებდნენ, მაგრამ უკრაინული, სოფლური პურმარილი სულ სხვა იყო.

— ისიც მოიტანე! — თვალით განჯინისკენ ანიშნა მოხუცმა.

პრასკოვიამ განახევრებული შტოფი ჩამოდგა.

— მე არ ვსვამ.

— ყოჩაღ! მე მაინც დავლევ ერთ-ორ ჭიქას, — მითხრა და სამთითა ხელი ყელში წააელო შტოფს, მეორეც შეაშველა და ღვინის ჭიქა შეავსო მღვრიე ფერის შინნახადი არაყით. შენი სიდღეგრძელო იყოს და ჩემი ბიჭის — ტოლიასი. — ერთ ყლუპზე გადაკრა, დაიჭყანა, მარჯვენა ხელის მაჯას დაყნოსა და მოვიდა ხასიათზე. მარჯვენასაც ისე უხერხულად ხმარობდა, შევატყვე, არც ის ჰქონდა საღი, — რა გიკვირს, მარჯვენა ხელს სამთითა მარცხენა მირჩევნია, აი ნახე! — და მოხუცმა მარცხენა ხელის ცერსა და წაჭრილ შუათითს მარჯვენა ხელი მიაზომა, მარჯვენას მტკაველი გაცილებით პატარა იყო. — კიდევ გიკვირს?..

...თვრამეტი წლის ბიჭი ვიყავი, თეთრგვარდიელებმა ანტიპი გაკოჭეს, — მამაჩემი. ორი მისი მეგობარი კუზმა და აკიმი უკვე ჩამოეხრჩოთ. მამაჩემის რიგი იყო. ხელებშეკრულს ცხენდაცხენ მიუახლოვდა თეთრგვარდიელთა შტაბს კაპიტანი ტარნოვსკი.

— გინდა, შენც ჩამოგკიდოთ, თუ ჩვენს ქუდს დაიხურავ? — ჩაეკითხა მამას და თეთრხელთათმანიანი ხელი ნიკაპს ქვეშ ამოსდო. მამამ თვალი თვალში გაუყარა, მეზიზღებითო, უსიტყვოდ აგრძნობინა.

— აზრი თუ დაკარგე, თავსაც მიაყოლებ, — იყვირა ტარნოვსკიმ. ანტიპმა არც აცივა, არც აციელა და გაწკეპილი ულვაშებით გაწყობილ სახეზე შეაფურთხა. ტარნოვსკიმ ხმალზე იტაცა ხელი. იქვე ვიდექი... ტარნოვსკი რომ ხმალს წაეტანა, მაშინ კი მიბიძგა რაღაცამ, ერთი ნახტომით ოფიცრის წინ გავჩნდი, შიშველი ხელით ხმალს ჩავაფრინდი, ისე რომ ხმალს ჩავლებული მარჯვენა ხელი ქარქაშის გაგრძელებასავით დარჩა. ტარნოვსკი არ მორიდებია ჩემს ხელს... დასერილი მარჯვენა სიმწრით ავიქნიე, ახლა თქრიალით წამოსული სისხლი შეემატა ტარნოვსკის მიფურთხებულ სიფათს. თვალებშიც შესხმოდა სისხლი და ბრმად მოქნეულმა ხმალმა თავისივე ცხენს წაათალა ყური, დაფრთხა ცხენი, გაჭენდა. ტარნოვსკიმ თავი ველარ შეიკავა უნაგირზე, ცალი ფეხი უზანგში დარჩა. გადარეულმა ცხენმა კაიხელაზე ათრია შტაბს-კაპიტანი. მე სისხლისგან ვიცლებოდი. მამაჩემსაც ვერაფერი ვუშველე, მაინც ჩამოახრჩვეს. რაღაცნაირად გამომაპარეს. ხელი შემიხვიეს, სისხლიც გაჩერდა, შემიხორცდა კიდეც, მაგრამ ამაზე მეტს ველარ ვშლი ხელისგულს, — მოხუცმა ხელახლა გაივსო ჭიქა, დალია და ისევ შაჯას დაყნოსა. — უდედმამოდ გავიზარდე, — გააგრძელა თხრობა, — ყველაფერი თითქმის გამოსწორდა, წელში გავიმართე და რომ მეგონა, აწი აღარაფერი გვიჭირს-მეთქი, გერმანული ჭირი მოედო ქვეყანას. ხელის გამო არ გამიწვიეს ომში. არადა, სახლშიც ვერ გავჩერდი. სოფელში ჩემი ხნის კაცის ჭაჭანება აღარ იყო. კოლმეურნეობის თავმჯდომარედ ამირჩიეს, ერთ თვეში გერმანელებიც შემოვიდნენ და როცა მანკოვკის ტყეებში პარტიზანები გაჩნდნენ, მეც შევუერთდი. ჩემი ვაჟი, ანატოლი, თექვსმეტი წლისა იყო. მოხალისედ არც ის ჩარიცხეს და ტოლიაც ჩვენთან მოვიდა. ტყვიასავით სწრაფი იყო, მოხერხებული და აზრიანი. ეს სურათი სიკვდილის წინ გადაუღო კოლია ვინოგრადოვმა, მზვერავი იყო ჩვენთან. — სურათზე დაბამბულ კურტკაში გამოწყობილი თმაქოჩორა ბიჭი იღიმებოდა. — აგერ მაგისი ვაჟკაცი, ამასწინეებზე წერილი გამომიგზავნა სურათთან ერთად, — მაგიდის საფარი გადასწია და კონვერტი გამომი-

წოდა, ტანკისტის ფორმაში გამოწყობილი ბიჭი გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა მამას, სურათებში მამა-შვილი ტოლები არიან. ახლა შვილიშვილი უფროსია შვილზე. იმ დაწყევლილ დღეს ანატოლი მოკავშირედ გვყავდა გაგზავნილი, იატაკქვეშელებთან, რკინიგზის სადგურზე. გერმანელებს ეჭვი მიუტანიათ მასზე. გადმოუღია კონდახმოხსნილი გერმანული ავტომატი, კურტკის ქვეშ რომ ჰქონდა შენიღბული და სამივე პატრული მიუწვენია, ცხენს მოხტომია და გამოქცეულა თურმე. მოტოციკლებით გამოდევნებიან, ხრისტინოვკის შესასვლელში წამოწევია მდევარი. ცხენი დაუჭრეს, ფეხი წაქცეულ ცხენქვეშ მოჰყოლია და ფეხმოტეხილს ორი მოტოციკლი მაინც ამოუტრიალებია ხელყუმბარებით...

ტოლიას რომ შეაგვიანდა, ჩვენს მეთაურს ბოგდან ხამუტოვსკის ვთხოვე — არაფერი უჭირდეს, შევეგებები-მეთქი. უარი არ უთქვამს, ორი კაციც გამატანა... ტყვიამფრქვევებით იყო დაცხრილული. იქვე ორი მოტოციკლი ბოლავდა ნახევრად დამწვარი. ცხენი და კაცი გვერდი-გვერდ დავასაფლავეთ. ერთი კვირის მერე გაჩნდა პატარა ბიჭი, მამის სახელი დავარქვი. დედამისი — ვერა მზარეულად იყო ჩვენთან. ხუთი თვის მერე ჩვენი ბანაკი დაბომბეს, სამი პარტიზანი გამოგვაკლდა მაშინ, ეროი ჩემი ვერაჩკა იყო. — მაქსიმემ ცრემლებს არაყიც მიაყოლა და ისევ დაყნოსა მაჯას. — ...ორმოცდაოთხის გაზაფხულზე რკინიგზის ხიდი უნდა აგვეფეთქებინა. ჩემთან ერთად ხუთი კაცი იყო კიდევ, შორიდან დავზვერეთ. ყოველ ნაბიჯზე ჩაემწკრივებინათ ჯარისკაცები, ხიდთან მიახლოებას ვერც ვიფიქრებდით. იქვე მივიღეთ გადაწყვეტილება, ხიდამდე უნდა აგვეფეთქებინა რკინიგზა. ტყე-ტყე გავიარეთ ერთ კილომეტრამდე, ყველა მონაკვეთზე გაძლიერებული მეთვალყურეობა იყო. გადავწყვიტეთ, მტრის ყურადღება რომელიმე უბანზე გადაგვეტანა, ორ კაცს კი რკინიგზა დაენაღმა. გუშაგები უხმოდ მოვხსენით. მაინც შეგვნიშნეს და სროლით დავიხიეთ უკან. უცებ მუხლში ელექტრონიკით ვამიარა... თანდათან სასიამოვნო ბურანმა წამართვა თავი. მერე აღარაფერი მახსოვს. თვალი რომ გავახილე, მივხვდი, სადაც ვიყავი... ღრმა ზურგში თავდაცვით ხაზებს გვაშენებინებდნენ.

სამჯერ გავიპარე, სამიეჯერ დამიჭირეს და უკანვე მიმათრიეს. გაპარვაზე ფიქრი მაინც არ შემიწყვეტია, სანამ ფეხებს შეეძლო სხეულის ზიდვა. ერთ საღამოს, მძიმე მუშაობით გათრეული წელი ძლივს მივიტანე საწოლამდე. ერთი მოლდაველი ბიჭი ტატუიროვკას იკეთებდა ხელზე. ნემსი გამოვართვი და მუხლს ზემოთ ორივე ფეხზე დიდი ასოებით დავიწერე. — ამის თქმა და მაქსიმემ ხვანჯარი შეიხსნა, შარვალი ჩაიწია და მიჩვენა, они устали, — ეწერა მარცხენა მუხლსზემოთ,— но все-таки идут, — მარჯვენაზე გადაეტანა. ოთახში პრასკოვია შემოვიდა, ხორციანი ღვეზელები შემოიტანა, შარვალჩამძვრალი მაქსიმეს დანახვაზე გაიცინა.

— ხელწერას ვერ დაუწუნებ, რაც მართალი მართალია, არ შეგეშინდეს, შვილო, ჰალსტუხი აკლია მხოლოდ, როცა ხელები აღარ ჰყოფნის საბუთად, ფეხებსაც იშველიებს, — თქვა პრასკოვიამ.

რა შემაშინებდა, იმასღა ვფიქრობდი, უბედური გაჩენილა ამ ქვეყნად მაქსიმ ანტიპის ძე-მეთქი. წამოვდექი, ქუდი და კურტაკი ავიღე.

— რა გეჩქარება, მიირთვი რამე, ეგრე როგორ იქნება, ხელი არაფრისთვის გიხლია.

— არ შემიძლია, ის კი მაინტერესებს, ბოლო-ბოლო გაექეცით გერმანელებს თუ...

— მეოთხე ცდაზე გამიმართლა. სამუშაოდან გავიპარე. ნაჭრილობევი ფეხი მახსენებდა თავს, მაშინაც ვერ გავუსხლტებოდი ხელიდან, მაგრამ იღბლად პარტიზანების მზვერავებს წავაწყდი ტყეში, ჩემი მათთან შეხვედრა ზედგამოჭრილი შეიქნა, ტყეთა განთავისუფლება ჰქონიათ გადაწყვეტილი. საჭირო ცნობები ჩამომართვეს, ნახაზებიც გამაკეთებინეს. ორი დღის შემდეგ, გამთენიისას, ათიოდე გერმანელის გარდა არცერთ ესესელს არ გაუგია, როგორმა დილამ შემოიხედა ნაბანაკარში. იმ დღეს პარტიზანებმა ხუთასამდე ტყვე გაათავისუფლეს.

მასპინძლებს ყველაფრისთვის მადლობა გადავუხადე და გამოვემშვიდობე. პრასკოვიამ ქაღალდში შეხვეული ცხელი ღვეზელები დამაწია, არ დაიშალა, ძალით გამატანა, თხილა-

მურები ამოვიღლიავე. ყინვაშეპარული თოვლი ახრაშუნდა ფეხქვეშ. მთავარ გზაზე მოთხილამურეთა ერთი ნაწილი უკვე ამთავრებდა ტრასას. ლებედევი, მურავიოვი და ლაბადა სიცილით კინაღამ გაიგუდნენ, ერთი საათის წინ ფეხებზე წამოცმული თხილამურებით რომ გამისტუმრეს და ახლა ხელით მიეუბრუნე უკან.

— ლევან, სად ხარ, ბიჭო, რომ გადამრიე, — შემომხედა ბერაია, — ცალი თხილამური ფეხზე ეცვა, მეორე — ხელში ეჭირა სამაგრმომძვრალი.

— აგერ ვიყავი, ახლოში!

— ახლოში კი არა ვიცდი ერთი საუკუნეა. ეგი ქე გაციოდა, რაღად ვარგა აწი, — ღვეზელი გამომიწოდა.

— სად იყო?

— ლუბა დეიდამ გამომიცხო, აგერ ცხოერობს, სულ ახლოს, — ხელით მაჩვენა ბერაიამ, — ხომ წავედი ტრასაზე, გადამისწრეს და გადამისწრეს. ლევანი წამომეწევა და ერთად ვივლით, ის რავა გადამისწრებს-მეთქი, ვფიქრობდი, კისკისი რომ შემომესმა, მოვიხედე, გოგო ჩამოყრდნობია ჭიშკარს, მიყურებს და იცინის. სულ არ ჰგავს ძუკუს გოგოს, მაგრამ მაინც ლამაზია. ახლა მე ვუყურე, ვერც რამე ვუთხარ, და ვერც გზა გავაგრძელე, კარგა ხანს ვიყავი ასე.

— ცუდად ხომ არ ხარ? — მკითხა ბოლოს.

— წყა-ლი... — ვთქვი, სხვა რომ ვერაფერი მოეახერხე.

გოგონამ სახლში შეირბინა. მალე გამობრუნდა გრაფინით, შუახნის ქალი მოჰყვებოდა ჭიქით, დაელიე, მოვითქვი სული. შენი ფერი არ მომწონსო, მითხრა ლუბა დეიდამ და სახლში შემიწვია, შენთვის უნდა დამეცადა მაინც და შევყევი სახლში. თბილი რძე და ტკბილი ღვეზელი მომიტანეს, მოგიხდებაო. ის გოგო მიყურებდა უტეხად. ნახევარი საათი გავუძელი მის ღიმილს და შაბიამნისფერ თვალებს, რომ დავემშვიდობე, ლუბა დეიდამ მითხრა, შემოიარე ხანდახანო. კიდევ კარგი, ჩემს მაგივრად მახარაძე რომ არ იყო, თუ არა, შეუყვარდებოდა ლუბას გოგო და ვეღარ მოიცილებდნენ, მარტო ღვეზელს არ დაჯერდებოდა ჩემსავით.

— ეს შენ, პრასკოვია ბებიამ გამოგიგზავნა, ჯერ კიდევ თბილია, — გავუწოდე შეხვეული.

— კარგი ხალხია, დედას გეფიცები!

39

მარტის პირველ რიცხვებში ებრაელთა საფლავი გავწმინდეთ. რვა მარტს, დილით, ყვავილების მოსაკრეფად წავედით. ტყეში თოვლი თითქმის აღარ იყო. ჩიტების სტვენა ისმოდა. გაზაფხულის დილა და მუსიკა მრგვყვებოდა ყვავილებზე. ყვავების ყრანტალი შემოგვესმა. ზევით ავიხედეთ, ხის კენწეროებს დასტრიალებდნენ, სხვა დროს არასოდეს შეგვინიშნავს აქ ყვავები. ახლა საიდან გაჩნდნენ, ერთი კი არ იყო. მივუახლოვდით საფლავს. საფლავის ბორცვზე ფურმანი იწვა გულაღმა, ცალი ფეხი შეკეცილი დარჩენოდა. მარცხენა ხელი გულზე დაედო, მასში სამი მიხაკი ჩაებღუჯა, მარჯვენა გადმოეშალა და საფლავის მიწა მოეპოტნა. თვალები ფართოდ გაეღო, თითქოს ხეებს ზემოთ მოტრიალე ყვავებს უყურებდა. მის თვალებში ახლაც შიში იყო ჩაყინული. იმ ადგილზე იწვა, სადაც მიხაკებს დებდა ხოლმე, საიდანაც ოცდაორი წლის წინათ ამოიღეს ცოცხლად დამარხული. ოცდაორი წელი იარა ცოცხალმა თუ მკვდარმა. განა იმიტომ, ოცდაორი წლის ტანჯვის შემდეგ, ზუსტად იმ ადგილზე დაეხუჯა თვალები? ახლა მას დაუმარხავი მკვდარი ერქვა. ალბათ ამისი ეშინოდა ფურმანს ღღენიადაგ.

40

ბოლო ხანებში მალახოვი სულ გამოიცვალა. ივნისის პირველ რიცხვებში დემობილიზაცია უწევდა. ახლა ოლეგს დასჩემდა უძილობა. მთელი თვე გავიდა, წერილი არ მიეღო. სარვამარტო ბარათი ისევ ლიდამ მისცა, გუტიას გაუგზავნეო, თანაც ასწავლიდა, ასე და ასე მისწერე, გაუხარდებაო. აპრილი დაიწყო, არც პასუხი იყო და არც... ერთხელ

დავამშვიდე, არაფერი იდარდო-მეთქი, საქორწილოდ ემზადება, ათასი საქმე ექნება მოსაგვარებელი-მეთქი. ეწყინა, შენ სამშობლოს დასაცავად ხარ გამოგზავნილი, გუტიას დაცვას არავინ გეხვეწებაო. ამის მერე ვერც ვერაფერს ვეუბნებოდა. დადიოდა შიშველი დარდი და ფიქრი ჩემს გვერდით და სიგარეტის კვამლში ახვევდა თავის ხვაშიადს.

ერთ დღეს წერილების დახარისხებისას გუტიას ხელი ვიცანი კონვერტზე, ოღონდ იმან შემაშფოთა, შავი მელნით იყო დაწერილი.

— არის რამე?! — მეკითხება ფოსტიდან დაბრუნებულს.

— არის!

— იმისგან?

— იმისგან!

კონვერტები გამომტაცა და თვითონ მოძებნა. მელნის ფერი არც მას მოეწონა. წერილის კითხვისას ოლეგსაც შეეცვალა ფერი. ვიჯავრე, ნეტა მარილი არ დამეყარა-მეთქი კოვზზე, გვიანღა იყო. მოხდა სასწაული, პირველად ემწუთბა წვნიანი. ისეთი თვალებით მომაშტერდა, გამათავა კაცი, სამი ფუთი მარილი გვქონდა ნაჭამი, მაგრამ ამ თვალების პატრონს ახლა შეეძლო მთელი მათლაფა ცხელი ბორში შემოესხა სახეში და სანამ ამას მართლა მოისაზრებდა, სასადილოდან გავიქეცი. მივრბივარ და მომდევს ოლეგი. ეზოში ორფრთიანი ძველი თვითმფრინავი ეგდო, იქით გავიქეცი. მივირბინე თვითმფრინავთან და გავჩერდი. „რაც არ უნდა მიქნას, ხელს არ გავანძრევ", — ვფიქრობდი ჩემთვის. შემოვბრუნდი, ოლეგი აღარ მომსდევდა, ნელ-ნელა მოდიოდა ჩემკენ, თავჩაქინდრული, ასანთს აწვალებდა ხელში.

— სიგარეტი!.. — მითხრა ხმადაბლა.

ვერაფრით ვერ მოუკიდა. ცეცხლიც მივაწოდე. ერთ ნაფაზზე გაანახევრა სიგარეტი, არც შემოუხედავს, ისე შებრუნდა. ნელ-ნელა გამცილდა. მეორე დღეს ერთად უნდა წავსულიყავით ქალაქში სასეირნოდ. დილით მითხრა, უჩემოდ წადიო. აღარც მე მივდიოდი, მაგრამ თვითონ დამაძალა.

ლუსიამ, თვის ბოლოს სასწავლებელს ვამთავრებო, თუ მოხერხდა, განაწილებით ლიდასთან ერთად მინდა მოვხვდეო.

გადაფრენის დრო მოახლოებულიყო, სულ მალე ჩემი ჩიტიც გაფრინდებოდა, ჩიტები დიდხანს ვერ ძლებენ კენტად.

ნაწილში დავბრუნდი. ოლეგი არ დამხვედრია. ქალაქში წავიდაო, მითხრეს. იცდაორ სათამდე ჰქონდა თავისუფლება. ჭიშკართან ვუცადე. დაიგვიანა. ერთი საათი რომ გადააცილა, ნაწილის მორიგეც შეშფოთდა. პოლკოვნიკ ლაზარევს დაურეკა და მოახსენა. ცოტა ხნის მერე კომენდატურიდანაც დარეკეს: ეფრეიტორი მალახოვი ჩვენთანაა და წაიყვანეთო. ოლეგი მთვრალი იყო. ნაწილის მორიგემ მეორედ დაურეკა ლაზარევს.

— ამხანაგო პოლკოვნიკო, ეფრეიტორი მალახოვი ქალაქის კომენდატურიდან მოვიყვანეთ!

— ?!

— კომენდატურიდან, ამხანაგო პოლკოვნიკო!

— ?!

— არაფხიზელ მდგომარეობაში, ამხანაგო პოლკოვნიკო

— !!!

— არის, ამხანაგო პოლკოვნიკო!

მეორე დილით მალახოვი ჰაუპტვაჩტში ჩასვეს. ათი დღის შემდეგ გახარებული დაბრუნდა ნაწილში.

— თავს როგორ გრძნობ პატიმრობის შემდეგ? — ეკითხე ოლეგს.

— რა ვიცი, ეს ათი დღე ძალზე საჭირო იყო ჩემთვის. ათი დღე სავსებით საკმარისია საღად ასწონ-დასწონო ყველაფერი.

— რას ამბობ, გამაგებინე, თუ ძმა ხარ!

— სულ მალე ყველაფერს გაიგებ.

იმ ღამით მალახოვი სადღაც გაიპარა, გამთენიისას დაბრუნდა.

— გადაწყდა, ლევან, გადაწყდა! — მომახარა და მომიყვა მთელი ღამის ოდისეა...

ერთი თვის მერე დემობილიზებული ოლეგ მალახოვი თავისი მეუღლით მოსკოვს გაემგზავრა. ქორწინების მოწმობაში ოლეგ მალახოვის გვერდით ლიდა გავრილოვა ეწერა.

ლუსია განაწილებით ყაზახეთში მოხვდა, ქალაქ პავლოდარში.

ოლეგისა და ლიდას ქორწინების მეორე დღეს გავაცილე მატარებელზე, დამთავრდა ყველაფერიო, მითხრა თვალცრეცლიანმა. იქნებ ახლა იწყება, — გავიფიქრე ჩემთვის. ჯიბიდან კენჭები ამოვიღე და ნახევარი ლუსიას ჩავუყარე ხელებში. მისი აცრემლებული თვალებიდან ღიმილმა გამოიანათა. ასეთ ღიმილს არაფერში არ გაცვლის კაცი.

41

ერთ საღამოს მეორე დივიზიონის ავტობუსს ბერაია ჩამოჰყვა. საპარადო მუნდირში იყო გამოწყობილი. ხელში ჩემოდანი ეჭირა.

— საით გაგიწევია?

— არ ვიცი, ლევან, ზემდეგმა მითხრა, შტაბიდან დარეკეს, მთელი ჩემი ავლა-დიდებით აქეთ წამოესულიყავი. სადმე ხომ არ მგზავნიან, ნეტავ.

— სოფლიდან რას გწერენ?

— აუშენებია წისქვილი ვალიკოს, სახლი ველარ გადაუდგამს წელს. ბარემ ჩამოხვალ და მომეხმარებიო, თუ არა, დავძაბუნდი, აღარც თავი მუშაობს ძველებურად და აღარც ხელიო. ის ვიკლუჩატელი მაშინ დაჰკარგვია, წყალდიდობის დროს, მეორე ვერაფრით ვერ გადააკეთა თურმე, სინათლეს აღარ ანთებს და რად მინდა ასეთი ვიკლუჩატელიო. მასეთი ცოლიც არ მინდა, სანთელს თუ ვერ დაანთებს და ცეცხლსო. გენიოსია ვალიკო, არაფერი არ ეშლება, ხუთი თითივით იცის ცხოვრება.

— თუ არაფერი ეშლება, დადგას ის გამომრთველი გადაუკეთებლად და გაანათებს.

— რავა გეკადრება, ლევან, ხომ გითხარი, მამაჩემი უბრალო კაცია და ვერაფერს იტანს ზედმეტს. მე და შენ რას ვასწავლით იმას, რომელი უკეთესია. მაგი ახარებს, ვიკლუჩატელი რომ ჰქვია და სულ განათებული აქვს.

— ძუკუს გოგო რას იწერება?

— მაგაში კი გამიმართლა. გამოცდები ჩაუბარებია, მაგრამ კონკურსში ვერ მოვხვდი, სტაჟიანებმა გადამისწრესო

და მობრუნებულა სოფელში სტაჟის მისამატებლად. ორ წელს ერთი წუთი არ უნდა დააკლდეს თურმე. არის ახლა ფერმაში და წველის ძროხებს, ძუკუს მაგის სამსახურის შოვნა გაუჭირდებოდა? ქვეყანა იცნობს რაიონში!..

ბოლო წერილში რას მწერს, არ ვიცი, იქით კვირას მივიღე და აგერ მაქვს, ხელი გულზე დაიდო ბერაიამ.

— ჯერ არ წაიკითხო, რა გეჩქარება.

— ძუკუს გოგოს წერილს ოთხ ვარიანტად ვადგენ გუნებაში, მაინტერესებს, რომელს დაემთხვევა, — ღიმილით მეუბნება ომარი.

მეორე დილით ბერაია შტაბის უფროსთან გამოიძახეს. ძე გარეთ ვუცდიდი, მალე გამოვიდა. დაბნეული მომაჩერდა.

— რა მოგივიდა, ამოიღე ხმა! — შევანჯღრიე.

— რა ვიცი, ბიჭო, ასე მითხრა, შუადღემდე საბუთებს და ბილეთს მოგცემენ და თავისუფალი ხარო. მერე რაღაცეები მითხრა კიდევ, მაგრამ აღარაფერი მახსოვს. ერთი წელი მიკლია და თავისუფალი როგორ ვიქნები, შვებულებაა იქნებ.

კანცელარიაში შევედი.

— ტოლია, ბერაიასთვის რა საბუთებს ამზადებთ? — ვკითხე მალენკინს.

— დემობილიზაცია!

— როგორ?!

— როგორ და კომისარიატიდან მოსული ცნობების საფუძველზე.

გამოვედი გარეთ და ვეუბნები:

— წაიღე ეგ წერილი, წაუკითხავი რომ გიდევს ჯიბეში და ძუკუს გოგოს წაუკითხე ფერმაში.

— რა გაიგე, მითხარი, თუ ძმა ხარ?!

— განთავისუფლებული ხარ, საბუთები გამოუგზავნია კომისარიატს.

— ესე იგი დამთავრდა ჩემი ჯარისკაცობა?

— ასე გამოდის, რას გაიხარებს, ბიჭო, მამაშენი?!

ბერაიამ თავი დახარა, ფეხით გზაკვალას კიდეს დაუწყო წვალება.

— სად მყავს, ბიჭო, მამა, თვალით არ მინახავს ვალიკო,

განთიადში დედა მელოდება მარტო, — ორი მუგუზალი გადმოეპარა თვალთაგან, — ორმოცდასამში დაბრუნებულა ვალ - კო ცალი ფეხით. ერთი წელი უცოცხლია. მოჭრილი ფეხი გამიზეზებია, განგრენა დართნია და ჩემს გაჩენამდე... პერტენავა მეუბნებოდა — გეოგრაფიის მასწავლებელი, მოქმედი კანონმდებლობით ჯარში სამსახური შენ არ გეკუთვნისო. მარტოხელა დედა გყავს და შენისთანები არ გაჰყავთო, მაგრამ მაინც...

გულში რაღაც ჩამწყდა.

იმ საღამოს გავაცილე ბერაია. წერილები მომწერე-მეთქი, ვუთხარი.

— შვიდას ორმოცდასამეჯერ უნდა ვაკოცო დედაჩემს, ზუსტად ამდენი დღე ვიმსახურე აქ, მაპატიე, შენზე ადრე რომ მივდივარ! — მითხრა დამნაშავესავით თავდახრილმა და ვაგონში ავიდა.

42

პირველი წელი საუკუნედ მომეჩვენა. მეორე თვალსა და ხელშუა გაიპარა, მესამე წლის უკანასკნელი სამი თვე ისე გაჭიანურდა, მეგონა, დრო გაჩერდა. ბოლოს, როგორც იქნა, „გამოჩნდა" ჩემი დემობილიზაციაც.

...ხელში კუროჩკას ნაჩუქარი ჩაქუჩი მიჭირავს და ეშმაკმა იცის, მერამდენედ მივდივარ ღობის შესაკეთებლად, მივდივარ და ვფიქრობ: რამდენიმე დღეც და სამშობლოს წინაშე ვალმოხდილი მოქალაქე გავხდები. გავაგრძელებ სწავლას, დავრგვ ხეს, გავახარებ კაცს...

ღობეს ორი ფიცარი რომ ავაძვრე და გვერდზე გადავწიე, იქიდან მაღალ-მაღალი კაცის ჩრდილი გამოძვრა. თავის აუწევლად ვიცანი, ჟიოგლიადის ჩრდილი იყო, კარგა ხანს ვუყურეთ ერთმანეთს. ზემდეგს ღიმილი შეეპარა ულვაშებში, მოსათიბად გამზადებულ ბალახში ჩაჯდა. დაჯექიო, მანიშნა, მეც ჩავიმუხლე.

— სხვა დროსაც ასე აკეთებდი?

— სხვა დროსაც.

— პირველივე შემთხვევიდან?

— პირველივედან, ძნელად მოიძებნება ფიცარი, არ გადამეადგილებინოს, ამხანაგო ზემდეგო. ჯარისკაცს პატარა გასახედი ყოველთვის უნდა, საიდანაც სხვანაირი ცხოვრება ჩანს, იქით უწევს გული, იქიდან მოვედით და იქით უნდა წავიდეთ. თვალი მაინც იქით გვრჩება. ჯარისკაცისთვის პატარა გასახედი აუცილებელია, ამხანაგო ზემდეგო.

— სამი წლის მანძილზე საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების წარჩინებული იყავი, კედლის გაზეთს რედაქტორობდი, სპორტშიც წარმატებები გქონდა და ამასთანავე ყალთაბანდიც ყოფილხარ თურმე. არა! ბიჭები ისინი იყვნენ: დარსაძე, გურული, მურმან გეწაძე... შენ კი არ გგავდნენ... არავითარი სუბორდინაცია... — წამოდგა, გიმნასტურაზე შეხსნილი ღილი შემიბნია და წავიდა.

43

ვაგონის ფანჯრიდან ვიყურები. არყის ხეები თავპირისმტვრევით გარბიან ჩრდილოეთისკენ. მატარებლის ბორბლები ხმამაღლა ეტრაბახებიან ერთმანეთს. ჰორიზონტის რკალთან ცა მიწას შერევია. მინდა, იქ ვიყო, მიწაზე, თან ცას მივაწვდინო ხელი, ყველამ დამინახოს, სახლში ებრუნდები ნასალდათარი ბიჭი. ჯიბეში მისამართებით სავსე უბის წიგნაკი მიდევს; კუროჩკას მისამართია პირველი, — სამი წლის წინათ თავისი ხელით ჩამიწერა. ბოლო მისამართი ჟივოგლიადს გავუცვალე გუშინ. სადგურზე გამოგვაცილა ბიჭები, გზა დაგვილოცა. გაგვიჭირდა ერთმანეთთან განშორება. სიყვარული და მზრუნველობა, აქამდე თავდაჭერილად რომ გვიზოგავდა, ერთად გვისაგზლა გამომშვიდობებისას.

44

ორი თვის ჩამოსული ვიყავი, ნაწილიდან წერილი რომ მივიღე. ყაზანელი კუზმინი მწერდა:

„ლევან, ძვირფასო, გამარჯობა!

ძალიან მოგვენატრე, შენი წასვლის დღიდანვე ვიგრძენით, თითქოს დაცარიელდა აქაურობა, თითქოს ყველაფერს: საქმეს, სიმღერას, ხუმრობას ძველებური გერგილი დააკლდა. შენს მერე ორი ქართველი მოვიდა ჩვენთან, სიჩინავა და აპულავა. უმაღლესი ხარისხის ქართველები ვართო. ჟივოგლიადმა დაუცაცხანა: თქვენი დახარისხება არ მეშლება მეო. უმაღლესი ხარისხის გოგიაშვილი მყავდა თქენამდე, ხარისხიც ის იყო და ეტალონიცო.

ლეიტენანტ პოპოვს სამხედრო წოდება მოუმატეს. შტაბის უფროსი პენსიაზე გავიდა, ნინკა — ჩვენი მეკავშირე, ლეიტენანტ კრილოვს გაჰყვა ცოლად. კრილოვმა თავი დაანება სიდედრზე ანეკდოტების მოყოლას და ბაზარში ყვავილების მაგიერ ბოსტნეულზე დადის. ჟივოგლიადს შერჩა შენი შერქმეული სახელი, ახლა ყველა „სუბორდინაციას“ ეძახის. სიახლე მეტი არაფერია. მომწერე შენს შესახებ. მოგიკითხავ ყველამ. ჰო, მართლა, კინაღამ დამავიწყდა, ძალიან გთხოვ: გამომიგზავნო „ჩემო ციცინათელას“ ქართული ტექსტი. რა თქმა უნდა, რუსული ასოებით დაწერ. მელოდია მახსოვს, ერთად არ ვმღეროდით? ნახვამდის! ველი პასუხს“.

ვიტალი · კუზმინი
24. 07. 66 წ.

45

აგვისტოა. ნახევრად შიშველი დააბოტებს სიცხით გათანგული ხალხი. ახლაც მისაღებ გამოცდებს ვაბარებთ მე და რეზო. ჯარიდან თითქმის ერთდროულად დავბრუნდით. ვერ შევუსრულეთ მშობლებს სურვილი, ინჟინრები არ გამოვიდა ჩვენგან. ისტორიულზე შევიტანეთ საბუთები. პირ-

ელი გამოცდა ქართულ წერაში გვაქვს. ადრიანად გავემართეთ ინსტიტუტისაკენ, ნოე ხაჭაპურიძის ფურნესთან კატამ გადაგვიჭრა გზა. რეზომ ქვას სტაცა ხელი და მეორე მხარეზე გადასწრებულ კატას, ტროტუარზე რომ ჩამომჯდარიყო და ისე მოგვჩერებოდა, თითქოს ჯავრობდა თავის საქციელს, მოულირა. არ ესროლო-მეთქი, შევაჩერე. ამ გზაზე ტროლეიბუსის ახალი მარშრუტის გაყვანას აპირებდნენ. მახსოვს, ჯარში წასვლამდე, რკინის ბოძები ჩააბეტონეს, ის ბოძები სამი წლის მერეც ისე დაგვხვდა, სადენებგაუბმელი. ნაცრისფრად შეელებათ კაცის სიმაღლეზე, ბოძები თითქოს სულდგმულივით უცდიდნენ, როდის შეღებავდნენ ბოლომდე, როდის შეასრულებინებდნენ იმ საქმეს, რისთვისაც დააყენეს ფეხზე.

— კატას თავი დაანებე და მაგ ქვას თუ იქ მოახვედრეს, ინსტიტუტში მოეწყობი, — ვუთხარი რეზოს და გზის მოპირდაპირე მხარეს ნახევრად შეღებილი რკინის ბოძი დავანახე.

გაეცინა, მაგრამ ქვა მაინც ესროლა სიმიზნეს. ისეთი ხმა გაისმა, თითქოს დედო ზარს შემოჰკრესო.

— ჩათვალე, მოწყობილი ხარ, მე რა მეშველება?

— შენ? ახლავე, — მეორე ქვას დასწვდა რეზო.

ქვამახარობელმა ახლაც ათქმევინა ლითონს დედოზარისებური იმედი.

ხანშიშესული ქალი მოდიოდა გზაზე, გვიყურა და გვიყურა, ჩქარი ნაბიჯით ჩაგვიარა, კაიხელაზე რომ ჩაგვცილდა, ერთი კიდევ მოგვიხედა, მერე თავი გადააქნია და ნაბიჯი ააჩქარა. ვიცოდით, ქვის მოხვედრება არაფერს ნიშნავდა, მაგრამ გზა მაინც მხიარულად გავაგრძელეთ. აუდიტორიაში ადგილები დავიკავეთ. რეზო ჩემს წინ დაჯდა. ცხრა საათზე გაიხსნა დალუქული კონვერტი. დაფაზე სამი საათური გაჩნდა: „თემისა და პიროვნების საკითხი ვაჟას შემოქმედებაში“, „ნიკოლოზ ბარათაშვილის „ბედი ქართლისა“ და თავისუფალი თემა: „წერილი ჩემს მეგობარს“.

ცოტა ხანს ვეთათბირე საკუთარ თავს. ბოლოს თავისუფალი თემა ვარჩიე, მაგრამ ვის მივწერო, ვინ გჭვახარო წე-

რილით, რომელშიც საგამოცდო კომისიამ ნიშანი უნდა დამისვას? — ეფიქრობდი ჩემთვის. რეზო აქეა, რად უნდა წერილი... მალახოვს თუ კუროჩკას? იქნებ ჟიეოგლიადს? ბოლოს გადავწყვიტე, წერილი ვიტალი კუზმინისთვის გამეგზავნა. ვიტალის გაეხარდებოდა ყველაზე უფრო.

თავზე ერთ-ერთი გამომცდელი წამომადგა, ჩემს წინ ცარიელი ფურცელი რომ დაინახა, შეეცოდე. თანაგრძნობით გადმომხედა, დაიხარა და ჩურჩულით მითხრა: „ბედი ქართლისა დაიწყე".

ახალგაზრდა გამომცდელს ავხედე, იმაზე ჭკვიანური გამოხედვა ჰქონდა, ვიდრე შეეფერებოდა. როგორ არ უხდებოდა მის ფართო სახეს ვიწრო ჰალსტუხი. არადა, ფართო ჰალსტუხებია მოდაში, — რა უნდა, რას გადამეკიდა, — ეფიქრობ ჩემთვის.

— ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობაში ნიკოლოზ ბარათაშვილს... ქართულ მწერლობაში... — გაიმეორა ისევ ჰალსტუხიანმა, შევატყვე ნერვიულობდა.

საწერ-კალამი მოვიმარჯვე და ფურცლის შუაში სათაური დავწერე:

გამარჯობა, ვიტალი!

— მე ტარიელი მქვია, — წამჩურჩულა გამომცდელმა.

— გეტყობათ! — ვუთხარი შუბლშეკრულმა.

იმოდენა ნერწყვი გადაყლაპა, ტარიელს რომ შეეფერებოდა, ცივად გამცილდა. ჩემს რიგში აღარ გამოუვლია. წერა გავაგრძელე:

ამ წერილს ინსტიტუტში, მისაღებ გამოცდებზე ვწერ. ახლა გამოჩნდება, როგორი მეგობარი ხარ. უნდა გვერდით დამიდგე ახლაც. აღარ მახსოვს, შენთვის მითქვამს თუ არა, როგორ გავაწბილე ჩემი ბავშვობისდროინდელი ოცნებები. პატარაობისას ვფიქრობდი, მფრინავ-გამომცდელი ან ავიაკონსტრუქტორი გამოვსულიყავი. მინდოდა პატარა წელილი შემეტანა ჰაერნაოსნობაში. წლებმა თანდათან დააცხრო ჩემი მისწრაფებები, ავიამოდელისტი გავხდი, ნაწილობრივ ამით დავიკმაყოფილე აკვიატებული სურვილები.

ხუთი-ექვსი წლის თუ ვიქნებოდი. ფეხის ცერებზე ვდგებოდი, აივნიდან რომ გადამეხედა. ერთი და იგივე, ლამაზი სურათი იშლებოდა. მიკვირდა, რამდენ რამეს იტევს-მეთქი თვალსაწიერი. იქიდან დანახული ქვეყანაც უსაშველოდ დიდი ჩანდა. იმის იქით თუ რამე არსებობდა, აღარ მეგონა. წლები თავისას შვება, რაღაც რაღაცები გავიგე. თითქოს ამოვედი ჭურიდან. ერთ მშვენიერ დღეს, ჩემი აზრით, უფრო კარგად დავინახე უცსაურობით სავსე ცისქვეშეთი. ახლაც ვიფიქრე: შეუცნობელი არაფერი დამრჩა-მეთქი... მაგრამ დრო, რომელიც არავის და არაფერს ყურს არ უგდებს და მიდის უკანმოუხედავად, მრავალ ჩემისთანა ახალგაზრდას სცემს პასუხს შეცდომით გაკეთებულ ნაადრევ დასკვნებზე, ჩააფიქრებს, დააჯერებს, რომ ცხოვრება ვეებერთელა წიგნია და ჯერ მისი შესავალი ნაწილიც არ დაგვიმთავრებია.

შინ დაბრუნებისთანავე მუშაობა დავიწყე პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში. ვხელმძღვანელობ ავიასამოდელო წრეს. ჩემი მასწავლებელი სხვა სამუშაოზე გადაიყვანეს. მიხარია, რომ მის საქმეს ვაგრძელებ. ნელ-ნელა ვეჩვევი პედაგოგობას, ბავშვებთან მუშაობა მაინტერესებს. პედაგოგიურ ინსტიტუტშიც ამიტომ გადავწყვიტე შესვლა.

რეზო ჯავახაძე ხომ გახსოვს, ჩემი მეგობარი, პოლკის მედროშეთა ათეულის უფროსი იყო ბოლო წელს, სანიტარული ნაწილის მედდას რომ დაჰყვებოდა, ნატაშას, აგერ ზის, ისიც ჩემს დღეშია.

ერთი კვირის წინათ სასწაული მოხდა. ქალაქში ბალტიისპირელ ბიჭებს შევხვდი, ავტოქარხნის მისამართი მკითხეს. დავუწყე ახსნა-განმარტება და ხელების შლა. ვინ მაცალა. წვერმოშვებული, ზორბა ბიჭი მომვარდა, გადამეხვია.

„აი, შეხვედრა... რას ვიფიქრებდი... ლევან... გენაცვალე... კაცო!..“ — ყვიროდა წვერგაბურძგნული გოლიათი. მისი მარწუხებიდან ცოტა რომ შევთავისუფლდი, ძლივს ვიცანი ჩვენი ბონოპარტოვიჩი, ლაზარევს რომ ატარებდა. ვილნიუსში მუშაობს, თურმე, მძღოლად. კოლხიდების წასაყვანად გამოეგზავნათ დიდი ჯგუფი ლიტვიდან. ჩემთან ერთი დღის მეტი ვერ დარჩა, საერთო კოლინას უნდა გავყეოო. რა არ გავიხსე-

ნეთ, თურმე რამდენი რამ გექონია მოსაგონარი. მეტი რა მოგწერო, მომიკითხე ბიჭები, ჟივოგლიადი, ნინკას მიულოცე ჩემს მაგივრად. გიგზავნი სიმღერის ტექსტს:

Чемо цицинатела,
Даприпав нела-нела,
Шенма шорис натебам,
Дамцва да дамапела...

4. 08. 66 წ.

ს ა რ ჩ ე ვ ი

მოთხრობები

ასირე დუსპრიალე 9

გზა 27

ქუდია თუ ბოხოხია 34

ხატვის მასწავლებელი 45

ბუჭა, შე ძველო! 51

სოფელო, ჩემო სოფელო...

ესტატე 63

მეკელე 68

ოლინკა 74

ცისკენ გაკვალული ბილიკი 84

სოფლის ექიმი 93

დი შტრასე 102

პაროლი 109

გაუმარჯოს პავლესა 115

ბუზუნა 127

მეოთხე ღილი 139

დაღუპული სასიძო 147

რომანი

ცხოვრება მიდის ურეპეტიციოდ 159

მხატვრული რედაქტორი ბაილა მგელიაშვილი
ტექრედაქტორი ლადო სადუნიშვილი
კორექტორები: გიორგი ჭეიშვილი
დავით ჭეიშვილი
კონტროლიორ კორექტორი ლიკა ბასოვა
ციკოგრაფები: რომან პაიჭაძე
ლადო მეფარიშვილი
ლინოტიპისტები: მერი თევდორაძე
გულნარა თვალოძე
ციური დოგრაშვილი
ნანა გვანცელაძე
დამკაბადონებელი მანანა ბოკორიშვილი
მბეჭდავები: ჯემალ ხუხუნეიშვილი
დავით მაღლაკელიძე
გამომშვები იამზე ჭეიშვილი

გადაეცა წარმოებას 2.08.94.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 22.08.94.
ქაღალდის ზომა 84×108 1/32.
პირობითი ნაბეჭდი თაბახი 23,5.
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 19.
ტირაჟი 2000 შკკვ. № 1341.
ფასი სახელშეკრულებო

გამომცემლობა „მოწამეთა“
ქუთაისი, გრიშაშვილის 6.

სააქციო საზოგადოება
ქუთაისის გალაკტიონ ტაბიძის სახელობის № 5 სტამბა
ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი, 33.